

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მ ა ს ც ნ ე

ენისა
და
ლიტერატურის
სერია

2 · 1979

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ

თბილისი
ТБИЛИСИ

2. 1979

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

ს ა რ ა მ ი დ ე ი ო კ ო ლ ე გ ი ა : ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор).
Гамквелидзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цайшвили С. С.

პასუხისმგებელი მდივანი გ. გლონტი
Ответственный секретарь Г. А. Глонта

რ ე დ ა კ ც ი ა ი ს მ ი ს ი მ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.6.79; შეკვ. 445; ანაწეობის ზომა 7×11¹/₂;
ქალაქის ზომა 7×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბაბი 15.70; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბაბი 16,22; უე 06720; ტირაჟი 2100;
ფასი 1 ზან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниერება», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ე რ ი ლ ე ბ ი

შ. ნ ი ე რ ა ძ ე, ილია ქავეკვაძე და აქარა	5
რ. ბ ა რ ბ ა ქ ა ძ ე, ფერი — მხატვრული აზროვნების ელემენტი (ფერი: როგორც ესთე- ტიკური ფენომენი)	12
ს. ე ო რ დ ა ნ ი ა, აზროვნება, ენა, მხატვრული თარგმანი	38
ნ. დ ო ლ ი ძ ე, ერთი ქართული ზღაპრის („ბროწეულის წყარო“) ავტორის საკითხისათვის	53
ფ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, დამშობილების მოტივისათვის ქართულ ზღაპრებში	59
მ. ნ ა თ ა ძ ე, პოეტიკა და ლინგვისტილისტიკა	72
ქ. ო ნ ი ა ნ ი, სვანური გვარის ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის	80
ო. ს უ ლ ა ძ ე, ივანე ჭავჭავაძის სპარსული ოთხთავის ერთი ხელნაწერის შესახებ	97
გ. ხ ო რ ნ ა უ ლ ი, ზოგიერთი ქართული გეოგრაფიული ტერმინის (ტოპონიმის) და- ზუსტებისათვის	91
ზ. ს ა რ ჭ ე ე ლ ა ძ ე, საზოგადო სახელად გაგებული ერთი ტოპონიმისათვის საბას ლექსიკონში	97
ი. შ ე რ ვ ა შ ი ძ ე, შენიშვნა სიტყვა ტიქვის შესახებ	103
ი. ტ უ რ ა შ ე ი ლ ი, ბერთის ოთხთავის მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი	110
ნ. ქ უ თ ე ლ ი ა, თანხმოდანთკონსტრუქციები ლაზურში	122
ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის ასახვა აფხაზური ზმნის უღვლილებაში	131
გ. ბ უ რ ქ უ ლ ა ძ ე, გარდამავლობა-გარდაუვალობის გარჩევისათვის ლაქურში	137
ნ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, ზანაზშარი ჰამზის სახეობათა შესახებ არაბულში	149
ა. ე ო რ დ ა ნ ი ა, ეგვიპტელ არაბთა კომპრომისული მეტყველების ფონეტიკა	152

ც ნ ო ბ ე ბ ი და შენიშვნები

გ. ბ ე რ ა ძ ე, ირან-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI— XVII სს. სპარსელი პოეტის ლექსები საქართველოზე)	150
---	-----

პუბლიკაცია

ბ. გ ა პ ო ნ ო ვ ი, ბიბლიური მოტივები რუსთაველის შემოქმედებაში	174
--	-----

ქ რ ო ნ ი ა და ინფორმაცია

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში	181
სადოქტორო დისერტაციათა თემების დამტკიცება:	191
ახალი წ ი გ ნ ე ბ ი	191

СОДЕРЖАНИЕ

Статьи

Ш. И. Нижарадзе, Илья Чавчавадзе и Аджария	5
Р. Н. Барбакадзе, Цвет—элемент художественного мышления (цвет как эстетический феномен)	15
С. Д. Жордания, Язык, мышление, художественный перевод	38
Н. Г. Долидзе, Об авторстве одной грузинской сказки	53
П. Э. Зандукели, Мотив побратимства в грузинских сказках	58
М. Р. Натадзе, Поэтика и лингвостилистика	72
Дж. И. Оннани, К этнолингвистическому анализу сванских фамилий	80
О. Г. Суладзе, Ив. Джавахишвили об одной рукописи персидского Четверо-глава	87
Г. И. Хорнаули, Уточнение некоторых грузинских географических терминов (топонимов)	91
З. А. Сарджвеладзе, К этимологии слова ყადირ-ი <i>qadir-p-i</i>	97
И. Н. Шервашидзе, Заметка по поводу слова ჯაიჭ-ი	103
И. Т. Турашвили, Морфологические и синтаксические особенности бертского Четвероглава	110
Н. С. Кутелня, Комплексы согласных в лазском языке	122
К. В. Ломтатидзе, Выражение определенности-неопределенности в спряжении абхазского глагола	131
Г. Т. Бурчуладзе, К вопросу дифференциации переходности-непереходности в лазском языке	137
Н. И. Робакидзе, Замахшари о разновидностях хамзы в арабском	149
А. Г. Жордания, Фонетика компромиссной речи арабов Египта	152

Сообщения и заметки

Г. Г. Берадзе, Из истории ирано-грузинских культурных связей (стихи персидского поэта XVI—XVII вв. о Грузии)	160
--	-----

Публикация

Б. Галпонов, Библейские мотивы в творчестве Руставели	174
---	-----

Хроника и информация

В комиссии по установлению академического текста поэмы Ш. Руставели «Витязь в барсовой шкуре»	181
Утверждение тем докторских диссертаций	191
Новые книги	191

ფ ე რ ი ლ ე ბ ი

ზოთა ნიჰარაჲ

ილია ჭავჭავაძემ და აჭარა

ერთი საუკუნე გვაშორებს აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების დღიდან — ამ დიდი ისტორიული აქტიდან.

აჭარის წარსული მთელი საქართველოს ძტორიის ერთი ფურცელთაგანია. აჭარა საქართველოს ოდესღაც აყვავებული მხარის, ისტორიული მესხეთის ნაწილია.

დიდმა ილია ჭავჭავაძემ, რომელსაც ესოდენ დიდი ამაგი მიუძღვის მაშინდელი აჭარის ეროვნული თვითშეგნების გაღვივებაში, სამხრეთ საქართველოს წვლილი ქართული კულტურის აყვავების საქმეში შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „ოსმალის საქართველოს“ „დიდი პატივსაცემი და სახელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ერის ისტორიაში... დიდი მსხვერპლი მიუტანია, მრავალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვითარსებობისათვის“¹.

ღღეს დამტკიცებულად ითვლება, რომ აჭარა ჭერ კიდევ მე-8 საუკუნეში ჩვენს ერამდე შედიოდა დასავლეთ საქართველოს სამეფოში, კოლხიდაში.

აჭარის ტერიტორიისა და მის მკვიდრთა წარმომადგობაზე ხელშეისახები ცნობები დაგვიტოვეს მე-11 საუკუნის ქართველმა ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა და საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის დიდმა მკვლევარმა ვახუშტი ბაგრატიონმა.

ვახუშტიმ აჭარა ასე შემოსაზღვრა: „... მზღვის: აღმოსავლით მთა აჭარასა და ზარზმას შორისი, და გარდავალს მას ზედა გზა სამცხეს; სამჭრით მთა აჭარასა და ლიგანის ქეჭს შორისი; დასავლით მდინარე კოროხი; ჩრდილოთ მთა გურიასა და აჭარას შორისი, სადა გარდავლენან გზანი გურიას“².

ლეონტი მროველის ცნობით, ძველი წელთაღრიცხვით მე-4—3 საუკუნეების მიჯნაზე სამცხესთან ერთად აჭარა შედიოდა ფარნავაზ მეფის მიერ ჩამოყალიბებულ ოძრხის საერისთავოში. ლ. მროველისავე თქმით, ფარნავაზმა ოძრხის ერისთავს „მისცა ქუეყანა ტასისკართგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა“³.

საისტორიო წყაროებით (პლინიუსი, ს. ჟანაშია, ს. კაკაბაძე და სხვ.), აჭარა მე-2 საუკუნეში (ძვ. წ.) სამცხესთან ერთად იმ დროისათვის საკმაოდ მომძღვარებული იბერიის შემადგენლობაშია.

„მე-8 საუკუნიდან აჭარა სამხრეთ საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად შედიოდა ტაო-კლარჯეთის სამთავროში. საქართველოს ისტორიაში ეს ის ხანაა, როცა ტაო-კლარჯეთი ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში დაწინაურებულ მხარეს წარმოადგენს. ყოველივე ეს კი იმის მომასწავებელიცაა, რომ მესხურ-იმერხელ დილექტებთან ახლო მონათესავე აჭარულ მეტყველებასაც გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა სამწერლო ქართულას ჩამოყალიბებაში.

მე-11 საუკუნიდან აჭარას სამხრეთ საქართველოს სხვა თემებთან (სამცხე, კლარჯეთი, არტანუჯი, შავშეთი) ერთად გამგებლობს გაერთიანებული საქართველოს მეფის მიერ დანიშნული მოხელე აბუსერიისძეთა ფეოდალურ საგვა-

რეულოდან. აბუსერისძეთა უძველესი წარმომადგენელი არტანუჯის ციხის მფლობელი იოანე იხსენება „მატიანე ქართლსაჲს“ მე-11 საუკუნის 20-იანი წლების დასასრულის ამბების აღწერილობაში⁴.

მე-16 საუკუნის ბოლოს ჩვენი სამშობლოს ოდესღაც ერთი ყველაზე დაწინაურებული კუთხე — მესხეთი სულთანის ოსმალეთის ბატონობის ქვეშ ექცევა. თუმცა აჭარა თავგანწირული ბრძოლით ერთხანს კიდევ იგერიებდა მომხდურ მტერს, მაგრამ მე-17 საუკუნის დამდეგს ისიც ხელთ ჩაიგდო მტერმა. აჭარა სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად მოსწყდა დედასამშობლოს. იგი ეროვნული გადაგვარების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ხალხი ოსმალო დამპყრობლებს გაუგონარი თავგანწირვით ეკვეთა და ბრძოლებში გამოატარა თავისი მდიდარი კულტურა, თავისი ენა.

„ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. იგია ჰაგანძე, საცა ერთი პოულობს თავისის სულის ღონეს... თვის ვინაობას, თვის თვისებას... თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იღუმალი შემსკვეალეა, იღუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იქექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ ჩვენ და ოსმალეთის საქართველოა“⁵.

დიდმა ილიამ ეს სიტყვები იმ მშფოთვარე, დაძაბულ მომენტში წარმოთქვა, როცა 1877 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი მხოლოდ დაწყებული იყო, როცა ისტორიამ დღის წესრიგში დააყენა წარსულის ძნელბედობის ჟამს სულთანის ოსმალეთის მიერ ხელოვნურად მოკვეთილი ძველი ისტორიული მიწების დედასაქართველოსთან დაბრუნების საკითხი.

ცნობილია, მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო დიდი ჰახალხო-პატრიოტული მოძრაობა სულთანის ოსმალეთისაგან მიტაცებული ქართული პროვინციების განთავსუფლებსა და მისი დედასამშობლოსთან დაბრუნებისათვის. ამ დიდ მოძრაობაში პირველ რიგში ჩაებნენ გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები — აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, დ. ყიფიანი, დ. კლდიაშვილი, დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, ზ. ჰიკინაძე, ს. მესხი, პ. ლომიკაშვილი, ი. ანდრონიკაშვილი, ნ. წერეთელი, ნ. ცხვედაძე, პ. მირიანაშვილი, ლ. ბოცვაძე და სხვები დიდი ილიას მეთაურობით. მართლაც, ვინ უნდა ჩასდგომოდა სათავეში ამ დიდ ეროვნულ-პატრიოტულ მოძრაობას, თუ არა ილია, რომელიც მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ვითარცა ჩვენი ერის წინამძღოლი, მიმართულეებს აძლევდა თავისი მშობლიური ერის ყოველგვარ პროგრესულ კეთილშობილურ წამოწყებას.

მაინც რამ განაპირობა ილიას თავგამოდებული მზრუნველობა სამხრეთ საქართველოსადმი, რა ამოქმედებდა ჩვენი ერის სასიქადულო წინამძღოლს, ასე თავდაუზოგავად რომ იბრძოდა აჭარის მტრისაგან დახსნისა და დედასამშობლოსთან დაბრუნებისათვის?

ილიამ ძალიან კარგად იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, მისი ისტორიული მხარეების — მესხეთისა და ლაზეთის დედასამშობლოსთან შემომტკიცებას, რა ადგილი ეჭირა საერთაშორისო არენაზე აჭარასა და, კერძოდ, მის საპორტო ქალაქ ბათუმს, და რა სავალალო შედეგს გამოიწვევდა, რომ ის კვლავ სულთანის თურქეთის ხელში დარჩენილიყო. ქვეყნის მომავლის პერსპექტივას ილია ღრმავალიტიკური ინტუიციით ჰვრეტდა და თავისი სამშობლოს დიდებ-

სა და აღორძინებისათვის ურთი წუთითაც არ ივიწყებდა იმას, თუ რა დიდი წარსულის მქონე იყო ისტორიული მესხეთი, ანუ ზემო ქართლი. ილიას მესხეთი სრულიად საქართველოს კუთხეებს შორის ყველაზე უფრო მედიდურ მხარედ ესახებოდა: „საკვირველს მედიდურს სანახაობას წარმოადგენს იგი საქართველოს ისტორიაში... ზემო ქართლი, რომელსაც ეხლა ოსმალის საქართველოს ვუწოდებთ... თვისის მომსახურებით განაძლიერებდა ქართველებს თვით-არსებობის დასაცველად. მაშინ თითქმის მარტო მას ექირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა“⁶.

დიდი ილიას მიერ შთაგონებული პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენცია წინდაწინვე ჰერეტდა, რომ 1877—1878 წლებს რუსეთ-თურქეთის ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდებოდა და ქართველი ხალხის სანუკვარ ოცნებას ფრთები შეესხმოდა, მტრის მიერ მიტაცებული ქართული ისტორიული მიწები დედამამშობლოს დაუბრუნდებოდა. და მართლაც, 1878 წელს მოძმე რუსეთის უძლველი მხედრობისა და ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლის შედეგად მრავალ ძნელბედობათა მომსწრე გაპარტახებულ აქარა ბერლინის კონგრესის ტრაქტატის საფუძველზე განთავისუფლდა. 25 აგვისტოს რუს-ქართველთა მხედრული ლაშქარი გენერალ სეიბოპოლ-მიროსკის მეთაურობით დამწვლურთა საზეიმო ვითარებაში ბათუმში შევიდა. აქარა ხანგრძლივი ტყვეობის შემდეგ სამუდამოდ დაუბრუნდა დედამამშობლოს — საქართველოს.

1877—1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსეთ-საქართველოს გამარჯვებამ ილიას ახალი საზრუნავი ვაუჩინა. აქარისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად ილია მოუწოდებდა და მოაგონებდა ქართველობას „კაცთ-მოყვრულ ზნეობითს მოვალეობას“ ამის წინაშე: „ქართველობავ, ჩვენი უწმინდაესი ვალია, უნდა მივეშველნეთ!.. ღარიბნი ვართო, ვიძახით, მაგრამ ქვეყანაზედ მარტო ღარიბმა იცის — რა არის შევლა, რა არის ძმობა გაკირვებაში“⁷.

ქართველმა ხალხმა თავისი სანუკვარი ოცნების სინამდვილედ ქცევა—აქარის განთავისუფლება და დედამამშობლოსთან დაბრუნება დიდი ზეიმით აღნიშნა. 1878 წლის ნოემბერში ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილმა ქ. თბილისში მუხრან-ბატონის სასახლეში ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებული ბათუმის ოლქის დეპუტაციას გულთბილი შეხვედრა მოუწყო. ბანკეტზე გულითად მიღებას ესწრებოდნენ გრ. ორბელიანი, პ. უმიკაშვილი, დ. ყიფიანი, ს. მესხი და სხვები. ილია ჭავჭავაძისა და დ. ყიფიანის უშუალო ინიციატივით მოწყობილ ამ შეხვედრას თვით ილია ვერ დასწრებია, რადგან იმხანად ის თბილისში არ იმყოფებოდა.

აქარის დეპუტაცია წარმოდგენილი იყო მისი მეთაურის ხუსეინ ბეჟანძის, ხასან ბეჟანძისა და ჰხვათა სახით (სულ 16 კაცი შედიოდა მის შემადგენლობაში). ამ ისტორიულ საზეიმო შეხვედრა-ცერემონიის მიზეზიცა და მიზანაც კარგადაა გადმოცემული გრ. ორბელიანის მეტად მგრძნობიარე, ამაღლეებელ და გულში ჩამწვდომ სიტყვაში: „ბატონებო! რას მოასწავებს დღეს ჩვენი აქ შეყრილობა. რა გვიხარია, რასა ვდღესასწაულობთ. კრება ესე წარმოადგენს სასიხარულოს მას სანახავსა, როდესაც ერთი დედის შვილნი, შავი ბედისა გამო განშორებულნი, დიდხანს ერთმანეთისათვის დაკარგულნი, ანაზღუდულად, მოულოდნელად შეხვდნენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვიდნენ გულითადის სიყვარულით“⁸.

შეხვედრაზე მგზნებარე პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა დიდი ილიას

დიდმა თანამოსაგრემ, მისმა უახლოესმა თანამზრახველმა აკაკი წერეთელმა: „დღევანდელი ლხინი, ვხედავთ სხვაგვარია: მზიარულება უნაკლო და სიხარული უღრუბლო! დიახ, ბატონებო, დღეს ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ ჩვენი წინაპრების საფლავებთან და ჩავძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებია. და რა იყო, ბატონებო, ის ანდერძი? ეს ანდერძი იყო: დედა ენა და ერთობა! პირველი, ე. ი. ენა, ესე მდიდრულად შეუკაზმავთ და ასეთი გემოც მიუციათ, რომ ჭერ კიდევ ვერ მოგვიხერხებია მისი დაფიწყება, და არა თუ ჩვენ, იმ ჩვენ მოძმეებსაც, რომლებიც რამოდენიმე საუკუნეების განმავლობაში დაშორებულები ვცვაყდნენ, იმათაც კი შერჩენიათ დედა ენა ტკბილად სასაუბროდ“⁹.

საინტერესოა აქარის ჟუკანასკნელი ბატონის — შერიფ ხიშშიაშვილის წერილი „გულწრფელი აღსარება“, რომელშიაც ძარღვიანი, ლაზათიანი და დახვეწილი ქართულით გადმოცემულია მაშინდელი აქარის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა შეხედულებანი, მაჰმადიან ქართველთა ეროვნული მეობისა და მოძმე ქრისტიან ქართველებთან შემომტკიცების ისტორიული აუცილებლობის გულწრფელი ზრახვები: „თუცა მე კერძოდ ჩემის ღირსების მომეტებული სახელი მქონდა, პატივიც, სიპდიდრეც მაშა-პაპეული თუ ჩემგან შეძენილი, რომლით შემეძლო გალაღებით და შვებით სიცოცხლე, მაგრამ შინაგან ტკბილი სული, გული მუდამქამს რალაც გამოუჩრკვეველი სიმწუხრის ბნელ უკუნით მოცული მქონდა... ერთი სიტყვით, რყინის გალიაში შემწყვდეული ვეფხის მდგომარეობას ვავდა ჩემი მდგომარეობა. მუდამ ვცდილობდი ჩემი თავის და ჩემთა მოძმეთა გამოხსნას ჩემი ქვეყნითურთ თურქეთის ხელიდან და რუს ხელმწიფის ქვეშევრდომობაში შესვლას, რომლის მფარველობაშიც იყვნენ დიდი ხნის მოდმა ჩემი უმრავლეს საყვარელ მოძმეთა მხარე-ქვეყნები: იმერეთი, კახეთი, შვესხეთის მცირე ნაწილი და სხვა, მაგრამ არ იქნა და არ მეღირსა! ღმერთმა ჰქნას, მეცა და ჩემთა თანამოძმეთა საქმით დაგვემტკიცებინოს ჩვენგან მოსალოდნელი კეთილშობილური მოქმედება... რომლით წინ წავა ქვეყნის მამუნებლობა, განახლდებიან ციხე-ტყაპარნი, სწავლა, მეცნიერება ზნე-კეთილობით... რომ ყოველი კაცი ბედნიერების გზა-კვალს დაადგეს ღვთის მსახურებით, სიმართლით და კაცთმოყვარეობით“¹⁰.

ისტორიული წყაროებით კარგად არის ცნობილი, რომ, სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, ბოლო საუკუნეებში დალატითა და მუხანათობით მთელი სამასი წლით მოსწყვიტა ოსმალეთმა აქარა დედასამშობლოს — საქართველოს. ასე რომ, ხანგრძლივი დროის მანძილზე ავბედითით სავალალო შედეგები პირველ რიგში ისტორიული სამხრეთ საქართველოს პროვინციებმა იგემოა. თუ აპასთან ერთად გავითვალისწინებთ იმ ისტორიულ ფაქტსაც, რომ რუსეთ-თურქეთის ომის შედეგობის მანძილზე კავკასიის ფრონტი ლოკალურად ძირითადად აქარაზე ვრცელდებოდა, მაშინ საუსებით გვაგები იქნება, თუ რატომ ასე ერთიანად გაჩანაგდა, ყველაზე მეტად დაზარალდა აქარა.

შექმნილ მძიმე ვითარებას ილია მაშინვე გამოეხმაურა, სათანადო კვალი-ფიქვაცაა მისცა ამ ისტორიულ აქტს და მახვილი პუბლიცისტური წერილებით ხალხს აუწყა: „ყოველი მხრიდამ ისმის, რომ ჩვენი მოძმენი — აქარელები და ქობულეთლები ძალიან ცუდს მდგომარეობაში არიან და ნუგეშსაც ჭერ-აქამოდე არსაიდამ მოვიღიან. წარსულმა ომებმა თუმცა ყველას მიაყენა აუცილებელი ზარალი, მაგრამ აქარა და ქობულეთი ყველაზედ მომეტებულად დაისაჭა, ამას ექვი არ უნდა. აქარა და ქობულეთი ომის მოედნად გახდა ბედმა“¹¹.

ილია ჭავჭავაძე ძალიან შეწუხებულია კინტრიშის მაზრაში შემავალი სოფლების — მუხნაესტატეს, ზუცუბნის, ქობულეთის, აღამბრის, ლელვასა და სხვათა უმწურო მდგომარეობით. ომის ქარცეცხლმა ხომ სწორედ ამ სოფლებს გადაუარა: „სჩანს მართლა დიდი უბედურება უნდა ტრიალებდეს კინტრიშის მაზრაში, მთავრობა იძულებულ იქმნა ეგ უბედურება ყველასათვის ეუწყებინა. მთავრობა მიშველებია კიდევ გაქირვებულ ხალხს, მაგრამ იგი შევლა საკმარისი არ არისო. ჩვენ ეს არ გვესმის!.. სახელმწიფოსათვის ერთის მაზრის შენახვა... წვეთია ზღვისათვის... რით ავხსნათ ეგ ნამცეცების მიწვდა“¹².

ზალე ამ ეროვნულ-პატრიოტულ თაოსნობას სათანადო შედეგები მოჰყვა. ქართული ხალხი გულმზურვალედ გამოეხმაურა მის მოწოდებას. „იერიისა“ და „ღროების“ რედაქციები სისტემატურად აცხადებდნენ ორგანიზაციებისა და ეალკეული პირების დასახელებით შემოწირულებებს აპარისათვის დასახმარებლად. რადგანაც ვაზ. „ღროება“ ყოველდღიურად გამოდიოდა, ილიას თხოვნით მისი რედაქტორი ჰ. მესხი უწევდა ამ საქმეს უშუალოდ პრაქტიკულ ხელმძღვანელობას. ს. მესხმა არაერთხელ ჩამოუტანა აპარის მოსახლეობას ქართველ ქველმოქმედთაგან წევრობილი ფული, ხორბალი, ტანსაცმელი და სხვ.

ბერლინის ზელშეკრულებით მაჰმადიან ქართველებს ოსმალეთში მუჰაჯირად წასვლის უფლება ეძლეოდათ. ერთი უზღვევით, მუჰაჯირობა თითქოს ნებაყოფლობითს პრინციპზე იყო დამყარებული, ნამდვილად კი ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სულთანის თურქეთის აგენტებისა და მათ ბიერ მოსყიდული თურქოფილური პოლიტიკის მიმდევართა პროვოკაციულ ანკესზე წამოეგო. აპარლების ოსმალეთში გადასახლების — „მუჰაჯირობის ნამდვილი მიზეზი იყო თურქეთის აგენტების პროვოკაციული საქმიანობა და ძალადობა. ცნობილია, რომ ზოგები და მოღები ავრცელებდნენ პროვოკაციულ წებებს, თითქოს რუსები აპარლებს გაარუსებდნენ, წაართმევენდნენ სარწმუნოებას და უძრავ-მოძრავ ქონებას, ჩააყენებდნენ ცხოვრების აუტანელ პირობებში. მოსახლეობას აშინებდნენ, თან ატყუებდნენ, თურქეთში თქვენთვის უზრუნველყოფილი იქნება ცხოვრების საუკეთესო პირობებიო, და მოუწოდებდნენ ოსმალეთში გადასახლებისაკენ. გარდა ამისა ოსმალთა ქარისკაცები მთელი სოფლებით ძალით მიერეკებოდნენ ოსმალეთში“¹³.

ილია ჭავჭავაძე აპარის მოსახლეობის თურქეთში მუჰაჯირად გახიზვნას დიდი გულიანტივილით შეხედა. მუჰაჯირობაში ის ხედავდა მრავალტანჯული ხალხის ახალ მოძალოდნელ უბედურებას. ამიტომ სასტიკად ილაშქრებს იგი ადგილობრივ მცხოვრებთა გადახვეწვის წინააღმდეგ. ისტორიული სამხრეთ საქართველოს, კერძოდ აპარის, ბედით დაინტერესებული დიდი მზრუნველი და მოამაგე ილია შემოფოთებით კითხულობს: „რათ მირბის ხალხი, მერე როგორ მირბის? ვიპეორებთ — სულ ყველაფერს სტოვებს, რისთვისაც კაცი თავს იკლავს ხოლმე მთელი თავის დღენი, რისთვისაც ზრუნავს დაბადების დღიდგანვე, რისთვისაც იღვწის და ამ წუთისოფლის ტანჯვას ითმენს, რაც უყვარს, რასაც შესტარებს, რასაც შეჰხარის, რასაც დღესასწაულობს, — დაო სტოვებს და მიღის საღ?... ოსმალეთში“¹⁴.

ილიას დაუჭერებელ ამბად მიიჩნია, რომ ადამიანმა თავის მშობლიურ კერას ზურგი შეაქციოს და თავის ნებით გაიხიზნოს უცხო მხარეში. თავიდან დაიწყოს უსამშობლოდ ოჯახის შექმნა. ამ გულშემზარავი და შემაძრწუნებელი ამბით შემოთავებელი ილია გულისწყრომით შენიშნავს: „ეს რა აბბაია!..

ადამიანი კიდევ ადამიანია ქვეყანაზედ, თუ განადირდა, გამხეცდა, რომ გვერდთ ადამიანს ვერ იყენებს, ველარ იშვინებს, ველარ ითვისებს! ხალხი თავის ათასწლობით დამკვიდრებულ ბინილამ იშლება და მიდისო... ეს დაუჭერებელი, ტვინის შემარყევი ამბავი მხოლოდ შეიძლება მაშინ მოხდეს, როცა ხალხს ეტყვიან, ან აქ სიკვდილი, ან იქ სიცოცხლეო. სხვა არა მიზეზს არ შეუძლიან ხალხს ასე თავი გამოამეტებინოს, ასე ხელი აალებინოს თავის ბინაზედ, თავის მამულზედ, თავის დედულზედ და გარდახვეწოს ზინ იცის საით¹⁵.

მუჰაჯირთა აუტანელ, საშინელ მდგომარეობაზე მეტყველებს ოსმალეთში გასახლებული აჭარლების მიერ ახლო ნათესაეებისა და მოყვარე-მეგობრებისადმი გაგზავნილი წერილების შინაარსი: „ძმაო რეგებ, ღმერთის ნებით იყოს, რომ შინ დავბრუნდე, ქალ-ბაღანას პური არა აქვს, ტანთ არაფერი აცვიოთ, ფარაც არა გვაქვს, გვიშველეთ რაიმეთი, ჩვენ ზულ ვკვდებით შიმშილით და სიცივით“. წერილის ავტორი აღრესატს აფრთხილებს: „ჩვენი ქვეყანა კარგი არის, აქეთ ნუ მოხვალთ, ჩვენი თხოვნა ეს არის“¹⁶.

მუჰაჯირთა ყოფის კიდევ ურთი შემადრწუნებელი სურათია დახატული მეორე წერილში, სადაც ნათლად ჩანს, რომ ოსმალეთში გასახლებულნი ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად ერთადერთ ხსნას ხედავდნენ იმაში, რომ დაუყოვნებლივ დაბრუნებულყვენ სამშობლოში. ერთ-ერთ წერილში მამა შვილს ევედრება: „შვილო მევლუდ, ცოტა ფარა ნიშველე და მე მაშინვე წამოვალ, აქეთ ნურავინ წამოვა, ყველა გააფრთხილე, მანდ სიკვდილი სჯობია, უბედურება ვნახეთ, დაილუა ჩვენი საქმე“¹⁸.

ილიას მოსვენებას არ აძლევს კითხვა, თუ რამ გამოიწვია მოსახლეობის აყრა მშობლიური კერიდან და უცხო მხარეში გადახვეწა, „რამ მიიყვანა საქმე აქამდის, ამ განწირულებამდე, ამ სასოწარკვეთილებამდე? რამ და იმანო, ამბობენ ყველგან, რომ ამ ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია თურქი ყველა კალიაზედ უფრო მსუნაგი, უფრო ზარბი, უფრო გაუმადლარი წერილი ჩინოვნიკთა“¹⁷.

შორსმჭვრეტელი ილია წინასწარმეტყველურად იპასაც ითვალისწინებდა, რომ აჭარის განთავისუფლებას შემდეგ რეაქციული ძალები ხელზე დაიხვედნენ ორ ძმას შორის — შაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს შორის — სარწმუნოებრივ განსხვავებას. ამიტომაც იყო, რომ 1877 წელს გაზ. „ივერიაში“ ილია წერდა: „სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს... არ გვაშინებს მეთქი ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს, ოსმალს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანებს სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევეუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმობთ, და ქართველი. ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდის ხნის განშორებულ ძმას მშურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ღმობიერს გულზედ ძმას მშურადვე მიიყრდენს, თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი. და თუ ამასთვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუდრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა“¹⁸.

მოწინავე ქართველი მოღვაწეები დღენიდავ ფიქრობენ, გამოსავალს ეძებენ, თუ როგორ გააუმჯობესონ ხალხის პირობები, რათა ილაჯაწვეტილმა ადგილობრივმა მოსახლეობამ გული მოიბრუნოს თავის სამშობლოზე, ხელი აიღოს მუჰაჯირობაზე. გაზ. „დროების“ ფურცლებიდან ქართველ განათლებულ

ახალგაზრდობას სერგი მესხი მოუწოდებდა: „გარემოება თხოულობს, რომ ახლად შექმნილ საქართველოში ჩვენ გვყავდეს კარგი, პატიოსანი, უანგარო, გამჭირიანი, მამულის მოყვარე ჩინოვნიკები. ამიტომ მივმართავთ ამ ახალგაზრდობას და ვეტყვით, წადით ბათუმში, იმსახურეთ, იქ დაიჭირეთ, რაც უნდა მცირე თანამდებობა იყვეს, ოღონდ ხალხთან იქონიეთ საქმე და არა იმ პირებმა, რომელთაც ყველგან თავიანთი ბოროტი სული და ბოროტი საქმე დააქვთ, იქონიეთ ხალხთან საქმე და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენის კეთილშობილურის, უანგარო მოქმედების წყალობით გამაჰმადიანებული ქართველები უკმაყოფილონი არ დარჩებიან ჩვენის მთავრობისა, ნდობის თვალთ შეგვხედავენ ჩვენ, იმათ შორამე ქართველებს და აღარ იფიქრებენ ოსმალეთში გასახლებას“¹⁹.

მოსახლეობის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ქალაქ ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადება. ის სავალალო შედეგი, რაც პორტო-ფრანკოს რეჟიმმა გამოიწვია, საკმაო სიცხადითაა გაშუქებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში: „როგორც კი ბათუმში გამოცხადდა პორტო-ფრანკო, ქართულმა პერიოდულმა პრესამ, კერძოდ „დროება“ და „ივერია“ სასტიკად ამხილა „თავისუფალი ქალაქის“ შექმნის ნიღბით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის ეს დივერსიული გეგმები. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ქართველი მოღვაწეები: ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, ი. გოგებაშვილი და სხვ. თავიანთ წერილებში სასტიკად ილაშქრებდნენ ბათუმში პორტო-ფრანკოს დაწესების წინააღმდეგ“²⁰.

ეპოქის საზოგადოებრივ საკითხებს ი. ჭავჭავაძე, როგორც დიდი მოაზროვნე და განმანათლებელი, „მარად და ყველგან“ წინასწარმეტყველურად ქვრეტდა, თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რომელიმე კონკრეტულ სინამდვილეს აღიქვამდა მომაჯლის პერსპექტივაში. ილიამ ძალიან კარგად იცოდა, რომ, მართალია, ოსმალთა „ძალმომხრეობითი ასიმილაციის მიუხედავად, აქარის მოსახლეობამ მტკიცედ დაიცვა და წამების ქარცეცხლში გამოატარა ქართული ზნე-ჩვეულება და, რაც მთავარია, მშობლიური ქართული ენა... მთავრამ გათურქების პოლიტიკა, ისლამის ფანატიზმი მაინც თავისას აქეთებდა, მოზღვავებული უბედურება, რომელიც საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა, ქართველი ერის სულიერ ორგანიზმზე თავის კვალს სტოვებდა... ნაშთებად იქცა ქართული მატერიალური კულტურის დიდებული ძეგლ-ტაძრები, ციხე-კოშკები; „ნაქილისვარებსა“ და „ნასაყდრევებზე“ ჯამეები და მედრესეები გაჩნდა, გაქრა მწიგნობრობა, შეიბღალა წმიდათაწმიდა მშობლიური ქართული ენა“²¹. ამიტომ ახლად შემოერთებული აქარის მოსახლეობის ჩაუმქრალი ეროვნული გრძნობის შემდგომი გაღვივების, ეროვნული კულტურისა და განათლების აღორძინების ყველაზე მძლავრ და საიმედო საშუალებას ილია ხედავდა ქართულ სახალხო სკოლებში, რომელთაც თანდათანობით უნდა შეეცვალათ ზედრესეები — ისლამის რელიგიური სასულიერო სკოლები.

1881 წლის 23 მარტს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის ინიციატივით ბათუმში გახსნა პირველი ქართული სკოლა. სკოლის გახსნის წინ, როგორც ამის შესახებ „დროება“ წერდა, ბათუმში ჩამოვიდა თვით ილია ჭავჭავაძე და ადგილობრივი მოსახლეობის მოწინავე წარმომადგენელთა თათბირზე თავის გამოსვლაში ჩამოაყალიბა სკოლის გახსნის მიზანი და მუშაობის პირობები.

სამასი წლის განმავლობაში დედასამშობლოს მოწყვეტილ მხარეში, ახლა

კი იმავე დედასაქართველოსთან სამუდამოდ შემომტყეველ აჭარაში პირველი ქართული სკოლის გახსნა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ჭეშმარიტად ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა იყო. ორი ძმის ჰულოერი შეკავშირებისათვის, საუკუნეების შანძილზე უცხოურ გარემოცვაში მოქცეულ აჭარაში რამდენადმე შებღალთული მშობლიური ქართული ენის თავის უფლებებში აღდგენისათვის ქართული სკოლის ისტორიული მისია მართლაც განუზომელი იყო.

ბათუმში ქართული სკოლის გახსნა გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. აპიტომ, ითვალისწინებდა რა მოსალოდნელ წინააღმდეგობებს, ილია მოუწოდებდა მოწინავე ქართველ მამულიშვილებს — დაუღალავად ებრძოლათ დედასამშობლოსთან ახლად შემოერთებული მხარის კეთილდღეობისათვის. ილიას მოწოდების საპასუხოდ ბათუმში სამუშაოდ გაემგზავრნენ: ი. მესხი, ლ. ჭათანი, გრ. ვოლსკი, მ. შარაშიძე და სხვები. ბათუმში მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ხელმძღვანელობდა დ. კლდიაშვილი.

პირველ ხანებში ახლად გახსნილ ბათუმის ქართულ სკოლაში მაჰმადიან ქართველთა მოზიდვა გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ნივთიერი ზღვოკლებობის გამო ყველას არ შეეძლო სწავლის ქირის გადახდა. ილიას უშუალო ჩარევით ეკონომიკურად ხელშეწყობილ მოსწავლეები განთავსდებოდნენ იქნენ სწავლის გადასახადისაგან. ეს შეღავათი ყველა ქართველი მაჰმადიანის მიმართ (შეძლებულთათვისაც) გავრცელდა. ქართული სკოლის ერთ-ერთი პირველი მაჰმადიანი ქართველი მოსწავლე, შემდეგში ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჰაიდარ აბაშიძე მადლიერების გრძნობით აღნიშნავდა, რომ ჭეშმარიტად მშობლიური ზრუნველობით გვზრდიდნენ ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეები და სახელოვანი პედაგოგები დიდი ილიას რჩევითა და დაარგებით.

ილიამ და მისმა თანამზრახველმა ქართველმა მამულიშვილებმა ამ გზით მრავალი თავყანისმცემელი გაიჩინეს აჭარაში, მათ შორის გულო კაიკაციშვილი, ხუსეინ ბეჟანიძე, დედი-ალა ნიქარაძე, ნური ხიმშიაშვილი (შავშეთიდან), აბაშიძეები (ბათუმიდან) და სხვ.

ითვალისწინებდა რა ბათუმში შექმნილ მუშაობის რთულ პარობებს, ილია დიდ სიფრთხილესა და წინდახედულობას იჩენდა, რათა ბათუმში გასაგზავნად შეერჩია გამოცდილი, მცოდნე და უნარიანი მუშაკები.

„ბათუმში გამგზავრებად, — იგონებს მიხაკო შარაშიძე, — ილია ჭკვევაძემ მიმოხმო ბინაზე და ასე დამარჩია: ჩემი პირადი სურვილი იყო, რომ შენ ასეთ პასუხსაგებ აღგიღზე გამეგზავნე. იმედი, რომ ნდობას გაამართლებ... დიდი სიფრთხილითა და მოჩივებით არის საჭირო ქართველ მუსლიმანებს შორის მუშაობა. გახსოვდეს, რომ ქართველი მუსლიმანები ჩვენი ძმებია, მეტად ნიჭიერი, დინჯი, დაკვირვებული და ზრდილობიანი ხალხია. ერთი უადგილოდ და ნაქარევედ ნათქვამი სიტყვა მთელი წლობით დასწევს უკან ჩვენს საერთო საქმეს. იხმარე ყოველი ღონე, რომ მათი ნდობა და სიყვარული დაიმსახურო. დიდი მიღწევა იქნება ჩვენის მხრივ, წერა-კითხვასთან ერთად თუ მათ შეავნებინებთ, რომ ისინი ქართველებია, რომლებიც ჩვენგან განიზრევიან მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოებით“²².

ქართველი ერის სულიერ მამას, ეროვნული სახალხო სკოლის ჩამოყალიბების ორგანიზატორს ილიას მტკიცედ სწამდა, რომ ცოდნა, სახალხო განათლებ-

ბა წარმოადგენს ჭეშმარიტად რევოლუციურ ძალას და რომ ცოდნისა და განათლების გარეშე „არა ღონე არ ექნება გაუნათლებელ კაცს მონობის ჯაჭვის დასამსხვრევად“. ოსმალთა საუკუნოვანი მონობის უღლისაგან გამოსხნილი აქარის მუსლიმან ქართველ ბავშვთათვის პირველი ქართული სახალხო სკოლის გახსნით ილიამ ამჯერადაც თავი მოაბა დიდ სახალხო ეროვნულ საქმეს.

ილია „მარად და ყველგან“ ჰუმანიზმის დიადი პრინციპებით ხელმძღვანელობდა. ყოველთვის მტკიცედ იცავდა თავისი ერის, ხალხის ინტერესებს. ჯერ კიდევ 1863 წელს თავისი მოქმედების ლაიტმოტივად ხალხისათვის თავდადებული სამსახური აღიარა. „ჩვენი საქმე, — ამბობს ილია, — საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი ფაშოზინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“.

ამიტომაც, რომ აქარის შრომებში მთელ ქართველ ხალხთან ერთად საბოლოო ინახვენი დიდი ილიას სახელს. ილიას უკვდავსაყოფად ბევრი რამ გაეთდა აქარაში: 1954 წელს ჭალაქ ბათუმის ერთ-ერთ მაგისტრალურ ქუჩას ილია ჭავჭავაძის სახელი მიეკუთვნა; 1957 წელს ბათუმის ცენტრალურ ნაწილის ერთ-ერთ უღამაზეს სკვერში ილიას ბიუსტი დაიდგა; 1958 წლიდან ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი ილია ჭავჭავაძის სახელს ატარებს; 1959 წელს ილიას სახე პირველად მთელ საქართველოში ა. შერვაშიძის პიესის „ოქროს სამაჯურების“ მიხედვით ბათუმის თეატრის სცენაზე განასახიერა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა მ. ხინიკაძემ; პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ვოლსკის ყოფილ სახლს დღევანდელ სტალინის პროსპექტზე (№ 52) ამშვენებს მემორიალური დაფა წარწერით: „ამ სახლში, სადაც ცხოვრობდა პოეტი გრიგოლ ვოლსკი, ბათუმში ჩამოსვლისას ჩერდებოდა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე“; ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 წლისთავის იუბილეს დღეებში ქ. ბათუმის № 4 სამშულო სკოლას მიეკუთვნა ილიას სახელი.

დიდ წარსულს დიდი მომავალი ექნებაო, — ხშირად იტყოდა ზოლმე ილია. მან ყველაზე უკეთ იცოდა საქართველოს ისტორიაში სამხრეთ საქართველოს, კერძოდ აქარის, დიდი წარსული.

ქართველი ხალხის უკეთესი მერმისისათვის, ეროვნული მთლიანობისათვის სახელოვან მამულიშვილთა თავდადებულ ბრძოლას დიდი ილიას მეთაურობით უკვალოდ არ ჩაუვლია. აღორძინებული აქარა — სრულიად საქართველოს ერთ-ერთი მაცოცხლებელი ძარღვი, მისი გულისა და სულის ნაწილი — ფართოდ მზრებუაშლილი შეეგება აქარის ოტომანთა იმპერიისაგან თავის დახსნისა და დედამამშობლოსთან დაბრუნების 100 წლისთავს.

და მ ო წ მ ე ბ ა ნ ა

¹ ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 9.

² „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, ბ ა ტ ო ნ ი შ ე ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 676.

³ „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 24.

⁴ „ქართლის ცხოვრება“, ანა დედოფლისეული ნუსხა, თბ., 1942, გვ. 123.

⁵⁻⁶ ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 9, 10.

⁷ იქვე, ტ. V, გვ. 31.

⁸ გაზ. „დროება“, № 239, 1878 წ.

⁹⁻¹⁰ თ. ს ა ხ ო კ ი ა, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 154—155, 156—157.

¹¹⁻¹² ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, თბ., 1955, გვ. 27, 29.

¹³ გრ. ბ ა ბ ი ლ ო ძ ე, სახალხო განათლება აქარის ასს რესპუბლიკაში, 1958, გვ. 33.

14-16 ი. ქაეჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, გვ. 33.

16 ზ. ქიქინაძე, ქართულ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, ტფილისი, 1917, გვ. 47. დამოწმებულია შამშუ მეგრელიძის წიგნში: აქარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, 1956, გვ. 88.

17 ი. ქაეჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, გვ. 33.

18 იქვე, ტ. IV, გვ. 14.

19 „ღროება“, 1879, № 14. დამოწმებულია შ. მეგრელიძის წიგნში: აქარის წარსულიდან, 1964, გვ. 75.

20 ვლ. სიქინავეა, პორტო-ფრანკოს როლი რუსეთ-საქართველოს ეპირობის განვითარებაში, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1976, № 6, გვ. 58—59.

21 შ. ნიჟარაძე, აქარული დოკუმენტი, ბათუმი, 1975, გვ. 7—8.

22 პაიღარაბაშვიძე, წერილები, 1960, გვ. 125.

Ш. И. НИЖАРАДЗЕ

ИЛЬЯ ЧАВЧАВАДЗЕ И АДЖАРИЯ

Резюме

С 60-х годов XIX века началось народно-патриотическое движение за освобождение и возвращение захваченных султанской Турцией грузинских провинций. В это движение в первую очередь включились видные общественные деятели во главе с Ильей Чавчавадзе.

Русско-турецкая война 1877—78 годов завершилась победой России и Грузии. Аджария вместе с другими южными районами была возвращена Грузии. Если учесть тот исторический факт, что в течение всего хода войны Кавказский фронт в основном проходил через Аджарию, то станет понятно, почему она так сильно пострадала и разорилась.

В связи с создавшимся тяжелым положением Илья Чавчавадзе призвал грузинский народ протянуть руку помощи населению Аджарии. С большой чуткостью отозвался грузинский народ на этот призыв. Разоренное население Аджарии систематически получало в виде жертвования деньги, зерно, одежду и другую помощь.

По трактату Берлинского конгресса грузинским мусульманам давалось право уехать в Турцию в качестве мухаджиров. Определенная часть местного населения, попавшая на провокационную удочку агентов султанской Турции, добровольно обрекла себя на мухаджирство.

Илья Чавчавадзе в мухаджирстве увидел новое бедствие многострадального народа, поэтому он решительно выступал с острыми публицистическими статьями против мухаджирства.

Тяжелое экономическое положение населения еще более усугублялось объявлением после войны города Батуми порто-франко, последствия чего освещались в публицистических статьях Ильи Чавчавадзе.

Основой для пробуждения чувства национальной гордости, развития национальной культуры и образования в Аджарии Илья Чавчавадзе считал грузинскую народную школу, которая должна была заменить медресе-мусульманскую духовную школу.

23 марта 1881 года по инициативе Ильи Чавчавадзе в Батуми открылась первая грузинская школа, что, можно без преувеличения сказать, явилось событием эпохального значения.

შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიურმა

რუსულად ბარბაქადი

ფერი — მხატვრული აზროვნების ელემენტი

ფერი როგორც ესთეტიკური ფენომენი

უკანასკნელ დროს სულ უფრო მატულობს ხელოვნებასა და ლიტერატურაში ფერის ფენომენის ფუნქციონირების საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა რაოდენობა. ინტერესი საკვებით ბუნებრივია. მხატვრული შემოქმედების ნაწარმოებთა უბრალო თვალის გადავლება ან გახსენებაც კი ძალზე ვრცელ და შრავალმხრივ მასალას წარმოგვიჩენს აღნიშნული თვალსაზრისით და საკითხის მხატვრული შემოქმედებებს კომპლექსური შესწავლის საერთო პრობლემატიკის დონეზე დაყენების პოტენციურ შესაძლებლობას ნათელყოფს.

მართალია, საზოგადოდ ხელოვნების ნაწარმოებთა იდეურ-შინაარსობრივ და მხატვრულ რაობას ადამიანი ერთ მთლიანობად აღიქვამს და ეს მთლიანობავე იწვევს მასში გარკვეულ ემოციებს, ესთეტიკურ ტკობას, მაგრამ აღნიშნული მომენტი, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ამ მთლიანობის ცალკეულ ელემენტთა შესწავლას შესაძლებლობას, თუნდაც მათი მექანიკური დანაწევრების გზით. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ისეთ სპეციფიკურ ფენომენს, რომელიც ხელოვნების თითქმის ყველა დარგშია რეალიზებული და თანაც ძირითადად ყველგან ერთი ფუნქციით: ფერი მხატვრული აზროვნების ელემენტია, ნაწარმოების მთლიანი მხატვრული სისტემის სრულყოფილიანი კომპონენტი. უფრო მეტიც: ხშირად ისეთ დარგებშიც კი, რომელთაც ერთი შეხედვით თითქოს ჰაერით არაფერი უნდა ჰქონდეთ ფერთან, როგორც მხატვრული გამოსახვის საშუალებასთან, ეს ფენომენი გარკვეულ, თავისებურ „შემოქმედებით“ ურთიერთობას ამყარებს მხატვრული სისტემის ელემენტებთან და ზოგჯერ ხელოვნების ახალი დარგის (მართალია, შუალედურის ან სინთეზურის) წარმოქმნის პერსპექტივითაც კი „გვეშუქება“ (გავიხსენოთ თუნდაც უკანასკნელ წლებში ასე პოპულარული ფერადი მუსიკა, ე. წ. „Цветомузыка“).

[ყოველივე ზემოთქმული, რა თქმა უნდა, არ უგულებელყოფს მხატვრული შემოქმედების განსხვავებულ სფეროებში ფერის ფუნქციონირების ხასიათისა და მნიშვნელობის სხვადასხვაობის ფაქტს].

ფერის, როგორც მხატვრული აზროვნების ელემენტის შესწავლა, საკვლევადიებო სამუშაოთა რამდენიმე ასპექტის ერთ მთლიან პლანში გათვალისწინებას მოითხოვს. ეს პროცესი შეიძლება საფეხურებრივი პრინციპითაც წარმოვადგინოთ:

I. ფერის, როგორც მხატვრული აზროვნების ელემენტის თავისებურებათა წვდომის მიზნით აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს სინამდვილის უბრალო ატრიბუტიდან ამ ფენომენის მხატვრული შემოქმედებებს სისტემათა კომპონენტად განვითარების გზა.

II. დადგინდეს ხელოვნების ცალკეულ დარგებში ფერის ფუნქციონირების თავისებურებანი ამ დარგის ნაწარმოებთა ფერთი სისტემების მონაცემების, აღნიშნულ საკითხზე არსებული თეორიული შეხედულებებისა და თავად.

შემოქმედებითი პროცესის მოცემულ: დარგისთვის ნიშნული სპეციფიკის გათვალისწინების საფუძველზე.

III. კვლევის ორივე ეტაპის მონაცემთა ანალიზის, სინთეზისა და განზოგადების გზით შემუშავდეს ზოგადი თვალსაზრისი (თუ გნებავთ თეორია) ფერის, როგორც მხატვრული აზროვნების ელემენტის, საერთო ბუნების შესახებ.

ჩვენი საკვლევაობიერ ინტერესი ამჯერად მხოლოდ პირველ პუნქტში წარმოდგენილი თემატიკითაა შემოსაზღვრული. ამის მიუხედავად, სპეციფიკის გამო აღნიშნული პრობლემის დამუშავება ერთი რომელიმე კონკრეტული დარგის ფარგლებში არ ხერხდება¹. ჩვენ თავს ვარიდებთ ღრმა ექსკურსებს, განსაკუთრებით, არამომიჭნავე დისციპლინებში და მათგან ძირითადი საკითხის გაშუქებისთვის აუცილებელი მინიმალური ინფორმაციის მოყვანით ვკმაყოფილდებით.

მხატვრული სახის წარმოქმნა-ჩამოყალიბებაში, საერთოდ, მხატვრული შემოქმედების პროცესში განსხვავებული ფუნქციური სისტემები მონაწილეობენ, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ფასეული ადამიანის მხედველობითი სისტემის წვლილი. საცებით მართებულად წერს ამის თაობაზე ვ. ზინჩენკო: «Этот вклад не ограничивается репродуцированием реальности. Зрительная система выполняет весьма важные продуктивные функции. И такие понятия, как визуальное мышление, «живописное соображение» (Н. В. Гоголь) отнюдь не являются метафорой»².

ფერი მხედველობითი სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს „სამუშაო უბანს“ წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, იგი, როგორც ადამიანის უშუალო ვიზუალური აქტის პროცესშივე პოტენციურად წარმოდგენილ თავისებური პირველსაწყისი და პირველწყარო ხელოვნების ნაწარმოებთა მხატვრულ სტრუქტურის ელემენტისა, ძალზე იშვიათად თუ გამხდარა მკვლევართა ყურადღების ღირსი, ისიც — მხოლოდ სინამდვილის, ბუნებას ესთეტიკურ ხედვასთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას.

ეს მაშინ, როცა მხატვრული შემოქმედების ნებისმიერ ნაწარმოებს, როგორც წესი, მისი შემქმნელის სინამდვილესთან ურთიერთობის გამოცდილება უძევს უპირველეს საფუძველად (ბუნებრივია, „გამოცდილება“ გულისხმობს როგორც წმინდა ინდივიდუალურ, ისე სოციალურ, საზოგადოებრივ მომენტებსაც).

ფერი, როგორც ობიექტური სინამდვილის ელემენტი, ადამიანის ყურადღებას რამდენიმე თვალსაზრისით იმსახურებს, რაც განსაკუთრებით მკვეთრად ფერის ფენომენით განსხვავებულ მეცნიერებათა დაინტერესების ფაქტში მქლავნდება და თავად ფერის არსებობის წესისა და მასთან ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების სპეციფიკითაა შეპირობებული.

ფერის თეორიის ისტორია ამ „ურთიერთდამოკიდებულებაში“ გარკვევის უამრავ ცდას იცნობს. საკითხი ხშირად ცილობა-კამათის საგანიც ხდებოდა, რის მიზეზიც უპირველეს ყოვლისა იმ ინტერესთა სხვადასხვაობაშია საძიებელი, რომელთაც განსხვავებული მეცნიერებანი იჩენდნენ აღნიშნული ფენომენის მიმართ³. ასეთ მეცნიერებათა რაოდენობა კი არცთუ მცირეა. დ. შკლოვერის სიტყვებით რომ ვთქვათ, «Наука о цвете—цветоведение охватывает широкий круг вопросов, включающих в себе существенные разделы физики, светотехники, физиологии, психологии и тесно связана с эстетикой, искусством и рядом отраслей техники»⁴.

აღბათ ამ გარემოებითვე უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ფერის თეორიაში ცნობილ უამრავ ნაშრომთა შორის ძნელად თუ მოიძებნება ისეთი, რამდენაღმე სრულად რომ ითვალისწინებდეს ფერთან დაკავშირებული საკითხების ფართო წრეს.

ისახავენ რა მიზნად ამ უკანასკნელთა ძირითადი არისის პოპულარული ფორმით გადმოცემას, ეს ნაშრომები მხოლოდ გარკვეულ ზოგადთეორიულ საფუძველს ქმნიან იმ სპეციფიკური საკითხების შესაწავლად, რომელთაც ფერის ფენომენი ცალკეულ მეცნიერულ დისციპლინებში დამოუკიდებელ პრობლემათა სახით აყენებს და რომელნიც არცთუ იშვიათად ამ მეცნიერებებში ცალკე საკვლევეი ნაწილების, მიმართულებებისა და დარგების წარმოქმნის საფუძველიც კი ხდება ხოლმე.

და თუშტა აღნიშნულ ნაშრომებში, ავტორის ინტერესთა შესაბამისად, ზოგიერთ საკითხზე განსაკუთრებითაა გამახვილებული ყურადღება, თვით ამ საკითხების გაშუქებაც კი, ვფიქრობთ, ძირითადად ზემოთ დასახელებულ გარემოებათა გამო (ერთი მხრივ, ფერის ფენომენთან დაკავშირებულ პრობლემათა ფართო წრე, ხოლო, მეორე მხრივ, ნაშრომის, როგორც მეცნიერულ-პოპულარული გამოცემის შედარებით „შეღავათიანი“ მიზანდასახულობა), ხშირად ზედაპირული და არაყოველმხრივი ანალიზის შთაბეჭდილებას სტოვებს.

განსაკუთრებით ეს ითქმის ფერის ესთეტიკასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, რომელთა შესწავლაც, როგორც ამას ქვემოთაც დავინახავთ, ფერის ფენომენის მთლიან პრობლემატიკასთან ისე მკიდროდაა დაკავშირებული, რომ ამ უკანასკნელთა გათვალისწინების გარეშე ზოგადი ექსპერიმენტული მონაცემების გარდა რაიმე სერიოზული კვლევითი მუშაობის ჩატარება შეუძლებელი ხდება.

ფერის თეორეტიკოსებისათვის (ასე უწოდებენ ისინი უმეტესწილად თავიანთ თავს) ფერის ესთეტიკაში უპირველეს ყოვლისა პრაქტიკულ საჭიროებათა მიზნითაა საინტერესო, როგორც სინამდვილესთან ადამიანის ურთიერთ-დამოკიდებულებაში ჰარმონიულობის თვალსაზრისით რამდენადმე ღირებული სპეციფიკური ელემენტი, რომელიც ამავე დროს ადამიანის სულიერ და ფიზიკურ ძალთა თავისებურ მასტიმულირებელსაც წარმოადგენს. ამიტომაც, რომ დღეს მეცნიერთა მიერ განსაკუთრებით აქტუალურადაა მიჩნეული ფერის ფუნქციონირების პრობლემა სამრეწველო საწარმოებში (ე. წ. ტექნიკური ესთეტიკა), არქიტექტურაში და ადამიანის მოღვაწეობის სხვა სფეროებში. და გასაკვირი არაა, რომ მიზანდასახულობისდა შესაბამისად, მკვლევართა ყურადღება ადამიანზე ფერის ფსიქიკური და ფიზიოლოგიური ზემოქმედების თავისებურებებზე უფროა კონცენტრირებული, ვიდრე საკუთრივ ფერის ესთეტიკაზე. საქმეს ვერ შველის ის მცირერიცხოვანი გამოკვლევები, რომელნიც ხელოვნების ცალკეულ დარგებში (უმეტესწილად ეს შეეხება ფერწერას ან ფერად მუსიკას) ფერის ფუნქციონირების საკითხებს ეხებიან. მათ სხვა მიზანდასახულობა მოეპოვებათ და ფერის ესთეტიკას მათთვის მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა აქვს.

რამდენადაც ხელოვნება სამყაროს არა მარტო სახეობრივი ასახვა, არამედ მისი ესთეტიკური ათვისებაცაა, — «Искусство познает действительность не просто моделируя, но и пересоздавая ее сквозь призму заложенных в ней эстетических возможностей»⁶, — ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნით პირობითად გაგვიძინა ერთმანეთისგან ფერი — ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი ფ ე ნ ო მ ე ნ ი და ფერი — მ ხ ა ტ ვ რ უ ლ - ე ს თ ე ტ ი კ უ რ ი ფ ე ნ ო მ ე ნ ი. პირველი 2. მ ა ც ე ე. ენისა და ლიტერატურის სერია, 1979, № 2

ტერმინით ფერთან ადამიანის პირველადი ურთიერთობის ესთეტიზმია ხაზგასმული (რა თქმა უნდა, თუკი ეს ურთიერთობა ესთეტიკური ცდის, ესთეტიკური აქტის სახეს ატარებს), მეორით — მხატვრული შემოქმედების ნაწარმოებში ფერის ფუნქციონირების ხასიათი.

ამგვარ გამიჯვნას პრაქტიკული მნიშვნელობის გარდა რამდენადმე პრინციპული საფუძველიც აქვს. ფერის ფენომენტთან ადამიანის ურთიერთობა ძირითადად ორი გზით ხორციელდება: 1. ადამიანი უშუალო ვიზუალური აქტის პროცესში პირველადი აღქმის სახით ეცნობა ბუნების, სამყაროს ფერადოვნებას; სწორედ აქ არის უმთავრესად საძიებელი „ფერი — ესთეტიკური ფენომენი“, 2. პირველადი აღქმის პრაქტიკაზე დაყრდნობით, ადამიანის ცნობიერების სულ უფრო აქტიური ჩარევით მიმდინარეობს მისი შემდგომი ურთიერთობა ფერთან. პირობითად ამ აქტს შეიძლება მეორადი აღქმა ვუწოდოთ. მეორადი აღქმის პროდუქტად უნდა ჩავთვალოთ როგორც ადამიანის მიერ შექმნილ ხელოვნების ნაწარმოებებში რეალიზებული ფერის ფენომენი, ისე მისი აღქმის შემდგომი და თანადროული ასოციაციები და ასოციაციათა კომპლექსები. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც ფერთან ადამიანის პირველადი ურთიერთობის გამოცდილებით საზოგადოებრივი ცნობიერების მთლიან სტრუქტურაში გადადის (თუმცა ხშირად წმინდა სუბიექტურ, ინდივიდუალურ ხასიათსაც ღებულობს). ამავე რიგის მოვლენებად უნდა მივიჩნიოთ ფერის ფუნქციონირების მომენტები რელიგიაში, აგრეთვე ადამიანთა ყოველდღიური ელემენტარული კავშირურთიერთობის სხვადასხვა სფეროში.

რა თქმა უნდა, ხელოვნების ნაწარმოებთა პალიტრა მხილველისათვის შეიძლება პირველადი აქტის სახესაც ატარებდეს, მაგრამ რამდენადაც იგი თავად ხელოვანის სინამდვილესთან ურთიერთობის პრაქტიკული გამოცდილების ასე თუ ისე მანევრ სუბიექტურ გამოსახულებას წარმოადგენს, ფერთა აღქმის პირველადი აქტი (ესთეტიკურია ეს აქტი თუ არაესთეტიკური, ნეიტრალური, ეს ცალკე შესწავლის საგანია, ცალკე პრობლემა) შემოქმედებითი ლაბორატორიის მიღმა უნდა ვიგულისხმოთ.

როგორც ვხედავთ, ჩვენი კვლევის ობიექტი ძირითადად აქაც პირველი პუნქტით გათვალისწინებული თემატიკის ფარგლებში რჩება. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოთ წარმოდგენილ კლასიფიკაციათა (იხ. გვ. 15—16 და გვ. 18) პირველი და მეორე პუნქტები ერთმანეთს არ გამოორიცხავენ. ჩვენთვის საინტერესოა ფერთა პირველად აღქმასთან დაკავშირებული საკითხების წრე და სპეციფიკა მათი მეორადი აღქმის, როგორც შემოქმედებითი ხელვა-წვდომის, ან შემოქმედების (იგულისხმება მხატვრული შემოქმედება) ხელვა-წვდომის პროცესის, ფერის, როგორც მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენის ზოგად თავისებურებათა უკეთ გათვალისწინების გზა და საშუალება.

ის, რომ ხელოვნების ნაწარმოებთა მხატვრულ სტრუქტურაში რეალიზებული ფერის ფენომენი ადამიანზე ესთეტიკური შემოქმედების ძალას ფლობს, ერთი შეხედვითაც ყველასათვის ნათელი ჰქმნაბრტყება, მაგრამ როგორია ფერის ფენომენის ესთეტიკური „ღირებულება“ პირველადი აღქმის პროცესში? ფერის მხატვრული აზროვნების ელემენტად ჩამოყალიბებას მისი მხოლოდ ესთეტიკური შემოქმედების ძალა განსაზღვრავს, თუ მას სხვა შემაპირობებელი ფაქტორებიც მოეპოვება, ან ატარებს კი ადამიანის ურთიერთობა ფერთან მუდამ ესთეტიკური აქტის ხასიათს? — მსგავსი კითხვები უჩვეულოდ არ მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რომ ხელოვნებაში, ლიტერატურაში ფერის მხატვ-

რული ფუნქცია ძალზე ხშირად წმინდა ესთეტიზმის გარდა ღრმა შინაარსობრივი განზოგადებით წარმოდგენილ სიმბოლურ აზროვნებასაც ითვალისწინებს⁷.

ჩვენ რომ ცალკე თავად გამოგვეყო „ფერი, როგორც ესთეტიკური ფენომენი“, ალბათ, ცდუნებას ვერ გავუქცევოდით და ეპიგრაფად იე პე გრანის ამ სიტყვებს წავუძმღვარებდით: «*Чем больше смотришь на этот мир, тем больше убеждаешься в том, что цвет был создан для красоты. И красота эта — не удовлетворение прихоти человека, а необходимость для него*»⁸. ესეც რომ არა, განა გაძნელებოდა ფერის სიმშვენიერით აღტაცებულ ხელოვანთა (ან თუნდაც არახელოვანთა) გამონათქვამების დაძვბნა?! — მარტო გოეთეს, ლეონარდოს ტრაქტატების, ან თუნდაც რემბოს ლექსის გახსენებაც იკმარებდა. მაგრამ ერთია ფერთა ხედვით გამოწვეული აღტაცება, როგორც ესთეტიკური ტვობის გრძნობად-რეალური გამოხატულება და მეორეა მისი საფუძვლის, თავად ესთეტიკური ცდის არსების, ამ უკანასკნელის ემოციურ პლანში ფიქსაციის სპეციფიკური აქტის მეცნიერული ანალიზი⁹.

რაკი საქმე ესთეტიკური ფენომენის შესწავლას შეეხება (ფერი ხომ უპირველესად ამ მხრივია ჩვენთვის საინტერესო), საკითხს სწორედ ესთეტიკის პოზიციებიდან უნდა შევხედოთ. მოგვიხდება უახლეს ზოგადმეთოდოლოგიურ მითითებათა გათვალისწინებაც: «ესთეტიკა შეიძლება აშენდეს მხოლოდ იმ მეთოდით, რომელიც მთლიანობაში განიხილავს ესთეტიკურ სუბიექტურ და ობიექტურ, ღირებულებით და საგნობრივ მომენტებს, რომელიც თვითონაც წარმოადგენს შესაბამისი მომენტების მთლიანობას — მეთოდი ხომ შესაძლებლის ადეკვატური უნდა იყოს. ეს კი ნიშნავს, რომ ესთეტიკის მეთოდი მომენტების სახით უნდა შეიცავდეს ობიექტურ მეთოდებსაც და სუბიექტურსაც. საგნობრივსაც და ღირებულებობსაც, აქსიოლოგიურსაც»¹⁰.

უხდა გავითვალისწინოთ ის ზოგადი დებულებანიც, რომელთა შესახებ ჩვენ აქა-იქ ზემოთაც მივეთითებდით: ესთეტიკური ადამიანს თავისებურ აქტში — ესთეტიკურ ცდაში ეძლევა. ესთეტიკური ცდა კი ადამიანისა და სინამდვილის გარკვეულ სპეციფიკურ ურთიერთობას, მათი, როგორც სუბიექტურისა და ობიექტურის თავისებურ ერთიანობას გულისხმობს და ადამიანის ემოციურ სისტემაში ესთეტიკური განცდის სახით ფიქსირდება.

ჩვენ არ შევუდგებით აღნიშნული თემატიკის ფარგლებში მოქმედ ზოგად კანონზომიერებებსა და თავისებურებებზე მსჯელობას. მათზე იმდენი დაწერილა და თქმულა, მარტო განსხვავებულ შეხედულებათა უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წავიყვანდა. შევეცდებით ზემოთ დასახელებული მომენტების „მთლიანობა“ თავად ესთეტიკური ცდის, ფერთან დაკავშირებული ესთეტიკური აქტის ანალიზის პროცესში წარმოვაჩინოთ.

ფერის აღქმასთან დაკავშირებულ ესთეტიკურ ცდაში, ისევე როგორც ნებისმიერ ვიზუალურ აქტში, ძირითადად ორი ელემენტი მონაწილეობს: ფერი და ადამიანი.

ფერი, ტრადიციული განსაზღვრით, ესაა შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს თვალზე საგნის მიერ ანარეკლი სინათლე. როგორც ვხედავთ, ფერის ფიქსაციის, გამოვლენის წესივე გულისხმობს ობიექტურ სინამდვილესთან ადამიანის თავისებურ, ვიზუალური აქტის სახით არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას. ამ ურთიერთდამოკიდებულების არსში წვდომის უპირველეს გასაღებს ასახვის ლენინური თეორია იძლევა. ვ. ი. ლენინი პირდაპირ მიუთითებს, რომ ფერი თვალის ბალურაზე ფიზიკური ობიექტის ზემოქმედების შედეგია: «*Если цвет является*

ощущением лишь взаимности от сетчатки (как вас заставляет признать естествознание), то, значит, лучи света, падая на сетчатку, производят ощущение цвета. Значит, вне нас, независимо от нас и от нашего сознания существует движение материи, скажем, волны эфира определенной длины и определенной быстроты, которые действуя на сетчатку, производят в человеке ощущение того или иного цвета». «Это и есть материализм: материя, действуя на наши органы чувств, производит ощущение. Ощущение зависит от мозга, нервов, сетчатки и т. д., т. е. от определенным образом организованной материи»¹¹.

ამდენად, ადამიანის მიერ ფერის აღქმა ამავე დროს მის შეგრძნებასაც გულისხმობს. შეგრძნება კი (ნებისმიერი მოდალობისა), როგორც ეს ფსიქოლოგიდანაა ცნობილი, განსაზღვრული ემოციური ტონალობით ხასიათდება (სხვა საქმეა, რამდენად ინტენსიურია ეს „ემოციური ტონი“ ან რა თვისებების მატარებელია იგი). ამასთან, ფერის შეგრძნებასთან დაკავშირებული ემოციები შედარებით მეტი სიმკვეთრით, მეტი გამომსახველობით გამოარჩევიან. საქმე ისაა, რომ ფერი, როგორც გარკვეული ფიზიკური მოვლენა, ადამიანზე ფსიქიკური და ფიზიოლოგიური ზემოქმედების ძალას ფლობს¹² და მისი ეს თვისება, შესაბამისად, განსაკუთრებულ სტიმულს იძლევა ფერთი შეგრძნებების ემოციური თვალსაზრისით გაფორმებისათვის¹³. გარკვეულ შემთხვევებში კი ადამიანსა და ფერს შორის არსებული ურთიერთობა, როგორც ვიზუალური აქტის სუბიექტური და ობიექტური მოქმედების თავისებური მთლიანობა, ესთეტიკური ცდის, ესთეტიკური აქტის სახეს ღებულობს და ადამიანის მხრივ ესთეტიკური გრძნობის პლანში რეალიზდება.

დროული თვალსაზრისით ვიზუალური და ესთეტიკური აქტები ერთმანეთს ემთხვევა; ესთეტიკური ცდა ხომ ერთდროულად ხედვისა და შეფასების აქტია. ხედვა-შეფასების ხასიათზე კი გარკვეულ გავლენას ახდენენ არა მარტო ცდი-სეული სუბიექტისა და ობიექტის თავისებურებანი, არამედ საგანთა და მოვლენათა, ან მათ ცალკეულ თვისებათა სახით წარმოდგენილი მთელი რიგი სხვა ფაქტორებიც, რომელნიც განსხვავებული სუბიექტურ-ობიექტურობით გამოირჩევიან და ესთეტიკური ცდის სპეციფიკური სტიმულატორების როლს ასრულებენ. ამ უკანასკნელთა რიცხვი განსაკუთრებით იზრდება ფერთა აღქმასთან დაკავშირებული ესთეტიკური აქტის პროცესში. მიზეზი თავად ფერის ფენომენის სპეციფიკურობაა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მხედველობის ორგანო (იგულისხმება, რა თქმა უნდა, ნორმალური, არაპათოლოგიური ჯანმრთელი თვალი) პრინციპში ყველა ადამიანს ერთნაირი აქვს, როგორც აგებულების, ისე ფუნქციონირების თვალსაზრისით, ხოლო ობიექტური რეალობა, ობიექტური სინამდვილე, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებულის სახით მოქმედებს ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე და იწვევს შეგრძნებებს (ამ შემთხვევაში ფერისას), ლოგიკური მსჯელობის გზით იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ადამიანთა დამოკიდებულება სინამდვილისადმი, ფერთი ელემენტისადმი ერთნაირია, ერთგვაროვანია. ეს კი, თავის მხრივ, ფერთა აღქმით შეპირობებულ ემოციათა განუსხვავებლობას გულისხმობს. მაგრამ ასეთი დასკვნა რეალურ ვითარებას, პრაქტიკული გამოცდილებით მიღებულ შედეგებს აშკარად ეწინააღმდეგება. შეგრძნებებსა და ამ შეგრძნებებით შეპირობებულ ემოციებს შორის ურთიერთობა ერთმნიშვნელოვანი არ არის. ერთი და იგივე შეგრძნება ყოველთვის როდი იწვევს ერთნაირ ემოციებს.

ადამიანის გრძნობადი სისტემის რეაქცია გამლიზიანებლის მოქმედებაზე მსგავს და ახალოგიურ პირობებშიც კი ხშირად ძალზე განსხვავებულია.

იმ ფაქტორებისა თუ მომენტების სიმრავლე, რომელთა თანხლებაც შეგრძნებების ემოციურ სისტემაში ფიქსაციის პროცესს ამა თუ იმ მიმართულებით წარძარბავს, რაც თავის მხრივ რამდენადმე ესთეტიკური აქტის რაგვარობის განსაპირობებელიცაა, შეგვიძლია პირობითად ორ ჯგუფად დავყოთ (ესთეტიკური ცდის ძირითად ელემენტთა კვალად): ობიექტურად და სუბიექტურად.

ჩვეულებრივ, ფერი ადამიანს დამოუკიდებელი, იზოლირებული სახით არასოდეს არ ეძლევა. ფერი ყოველთვის რაიმეს ფერია და ჩვენი მხედველობის არეში ამ „რაიმესთან“, საგანთან ან მოვლენასთან ერთად სინამდვილის გარკვეული მთლიანობის სახით შემოდის. ჩვენ, როგორც წესი, ერთდროულად ფერთა სიმრავლეს ვხედავთ. ერთეული ფერთი აღქმა მხოლოდ ექსპერიმენტის გზით შეგვიძლია გამოვიწვიოთ. და თუმცა უშუალოდ ჩვენს გრძნობათა ორგანობებზე სინამდვილის მხოლოდ ნაწილი მოქმედებს, ფერის შეგრძნებით შეპირობებულ ემოციათა ფორმირებაში იგი, როგორც ობიექტური რეალობა, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით. მთელი თავისი მრავალფეროვნებით, მთელი თავისი სიმდიდრით მონაწილეობს. ადამიანის მიერ ფერთა აღქმის ხასიათზე გარკვეულ გავლენას ახდენს ის ობიექტური პირობები, რომლებშიც და რომელთა თანხლებითაც მიქმდინარეობს ეიზუალური აქტი. ობიექტური პირობები კი, გარდა ფერის მატარებელ საგანთა და მოვლენათა ცალკეული თვისებებისა (აღქმის ხასიათზე გავლენას ახდენს მათი ფორმა, მოცულობა, აგებულება... და ზოგჯერ მარგებლიანობის თვალსაზრისით მათზე არსებული ტრადიციული შეხედულებებიც კი), გარკვეულ გარემოსაც გულისხმობს, რომლის გეოგრაფიული განსაზღვრულობა ამ განსაზღვრულობისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ სინამდვილესთან ერთად გარკვეულ, ასევე მისთვის სპეციფიკურ განათებას, სინათლის ფაქტორის არსებობასაც (რაც ფერთა აღქმის ერთ-ერთი საფუძველთაგანია) ითვალისწინებს.

რაც შეეხება სუბიექტურ „მომენტებს“, ჩვენ მიერ გამოყენებული კლასიფიკაციის პრინციპით, სუბიექტურად უნდა მივიჩნიოთ ყველა ის ფაქტორი, რომლებიც ესთეტიკურ ცდაში ცდის სუბიექტის — ადამიანის სახელს უკავშირდება. ჩვენვე ზემოთ „პირობითად“ განვსაზღვრეთ ასეთი კლასიფიკაცია. ეს კი იმით იყო გამოწვეული, რომ ძალზე ხშირად სუბიექტური მომენტი, ადამიანის სახელთან დაკავშირებული გარკვეული ქმედება ან თვისება იმდენადაა შეპირობებული და განსაზღვრული ობიექტური ფაქტორებით, რომ მისი წმინდა სუბიექტურად მიჩნევა მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება. ასეთი, სუბიექტურ-ობიექტური თვისებების მქონედ მოსჩანან ესთეტიკურ ცდაში (და საერთოდ, ეიზუალური აქტში) — ადამიანის თვალი, როგორც ფერთაღმქმელი ელემენტი (თუმცა ინდივიდუალური თვისებებები მასშიც იჩენს ხოლმე თავს) და, საერთოდ, ადამიანი, როგორც ბიოლოგიური, სოციალური და თუნდაც ეთნიკური ელემენტი. ბოლოს და ბოლოს, წმინდა სუბიექტურ მომენტად ადამიანის ფსიქიკურ-ემოციური სისტემა რჩება მხოლოდ და ისიც უცილობლად გულისხმობს ჩამოყალიბების პროცესში გარკვეული ობიექტური ფაქტორების ზემოქმედებას. მაგრამ მთლიანობაში, საბოლოო ჯამში, ადამიანის გრძნობადი სისტემა გარემოს განსაზღვრებელს უმეტეს შემთხვევებში სწორედ სუბიექტური, ინდივიდუალური თვალთახედვით პასუხობს. ფაქტია, რომ როგორც ერთი მკვლევარი წერს, «Видение мира — неповторимо индивидуально»¹⁴, სამყაროს

ხედვაზე (რომელიც შემდეგ მხატვრულ შემოქმედებაში სწორედ ინდივიდუალური, სუბიექტური იხტერპრეტაციით იჩენს თავს), ზემოთ დასახელებული ობიექტური ფაქტორების გარდა, ადამიანთან, როგორც ინდივიდთან, დაკავშირებული უამრავი წერილმან-მსხვილმანი ახდენს გავლენას. სინამდვილესთან ადამიანის ასეთი თუ ისეთი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ — მისი ინდივიდუალური ემოციური სისტემა, ხასიათი, ასაკობრივი და სქესობრივი თავისებურებანი, ნაციონალური ან სოციალური ვინაობა, კულტურა-ინტელექტი, პროფესია, მსოფლმხედველობა, მთელი ცხოვრებისეული გამოცდილება და სხვ. მაგრამ, ვიმეორებთ, ეს მომენტებიც საბოლოო ჯამში ობიექტური რეალობითაა განსაზღვრული. ინდივიდუალობას, წმინდა სუბიექტურობას, ამ სიტყვის ფართო გაგებით, მათი ერთიანობა ქმნის.

ახლა, თუ ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, იმ შესაძლებლობებს, რომელთაც ადამიანის თვალი ფლობს ფერთა აღქმის თვალსაზრისით (თვალს სპექტრში ასორმოცდაათამდე ფერის გარჩევა შეუძლია, საერთოდ კი ჯანმრთელი თვალი ნორმალური განათების პირობებში ასიათასამდე ფერით სტიმულს ასხვავებს)¹⁵, ხოლო, მეორე მხრივ, იმ გარემოებას, რომ საბოლოოდ ყოველი 'შეგრძნება, მათ შორის ფერებისაც, ადამიანის გარკვეული ემოციური განწყობის საფუძველს წარმოადგენს და ამ პროცესში წმინდა ობიექტურ მომენტებს გარდა სუბიექტური ფაქტორებიც მონაწილეობენ, — სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში კი ჩვენ ერთეულ შეგრძნებებთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ სხვადასხვა გამლიზიანებელთა მოქმედებით შეპირობებულ შეგრძნებათა რთულ კომპლექსებთან (ფერის აღქმა-შეგრძნებათა პროცესებში ხომ, როგორც ეს მკვლევართა მიერაა დადგენილი, მონაწილეობას ლებულობს არა მარტო მხედველობითი სისტემა, არამედ ადამიანის თითქმის ყველა გრძნობის ორგანო; თუმცა ამ უკანასკნელთ აღნიშნული თვალსაზრისით მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა ენიჭებათ)¹⁶, ასე თუ ისე, რამდენადმე გასაგები გახდება ის სიმწლეები, რომელთა წინაშეც ფერის აღქმასთან, განსაკუთრებით კი, ფერის ესთეტიკასთან დაკავშირებული საკითხების მკვლევარნი დგანან. ესთეტიკური ფენომენი ხომ თავისთავადი სპეციფიკური მოვლენაა, რომელსაც ვერც მარტო ფიზიკის და ვერც მარტო ფსიქოლოგიის ან ფიზიოლოგიის მონაცემებით ვერ ახსნი, თუმცა ნებისმიერი ვიზუალური აქტი გულისხმობს აღნიშნული მომენტების ერთ მთლიანობაში გათვალისწინებას.

როგორც ვნახეთ, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ესთეტიკური ცდის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები ადამიანის ობიექტურ სინამდვილესთან ურთიერთობის ნებისმიერი ვიზუალური აქტის კომპონენტებს იმეორებენ. შეიძლება განმასხვავებლად მივიჩნიოთ ხედვა-შეფასების ერთდროულობა, როგორც ესთეტიკური აქტის თავისებურება, მაგრამ ეს მთლად მართებული არ იქნება. ადამიანის მიერ სინამდვილის ნებისმიერი აღქმა შეიძლება ხედვა-შეფასების აქტსაც წარმოადგენდეს და პირიქით, ხედვა-შეფასების ერთდროულობა ყოველთვის როდი ნიშნავს ესთეტიკური ცდის არსებობას. მაშ რაშია საქმე? რატომაა, რომ ადამიანის ურთიერთობა სინამდვილესთან ერთ შემთხვევაში უბრალო, შედარებით ნეიტრალურ განწყობილებად რეალიზდება, მეორე შემთხვევაში კი ესთეტიკური ცდის სახეს ლებულობს და ესთეტიკური ტვზობის, ესთეტიკური გრძნობის პლანშია მოცემული?

აღნიშნული საკითხი არაერთგზის გამხდარა მეცნიერთა კამათის საგანი.

ერთნი ცდის ობიექტს მიაწერდნენ „ესთეტიკურის“ ბუნებას, მეორენი — სუბიექტს. როგორც ზემოთ ვნახეთ, ესთეტიკური ცდა ორივეს, სუბიექტისა და ობიექტის, ადამიანისა და სინამდვილის თავისებური ურთიერთობაა. ამ თავისებურებაში გარკვევა უკანასკნელ წლებში ისეთმა მეცნიერებებმაც სცადეს, რომელთაც, ერთი შეხედვით, თითქოს არც არაფერი უნდა ჰქონდეთ საერთო ესთეტიკასთან. მხედველობაში გვაქვს კიბერნეტიკის მიერ წამოყენებული ინფორმაციის თეორია, რომელიც სხვა პრობლემებთან ერთად ესთეტიკურ აღქმათა მათემატიკური მეთოდების გამოყენებით შესწავლასაც ითვალისწინებს.¹⁷ ამ თეორიის ამოსავალი დებულება, ი. ფილიპიევის სიტყვებით, შემდეგში მდგომარეობს: «Входя в наше восприятие, красота и эстетические ценности действуют как организующий импульс, обуславливающий соответствующую настроенность нашего духовного мира. Здесь проявляется особая сигнально-организующая природа красоты и эстетических ценностей»¹⁸.

რა მდგომარეობას გვიჩვენებს საკითხის ასე დაყენებისას ფერის ფენომენი? აქვს კი მას ის თავისთავადი ღირებულება, ის „ესთეტიკურ-მარგანიზებელი ძალა“, რომელიც ადამიანში ესთეტიკური ტემპობის, მის სულიერ ძალთა ესთეტიკური ორგანიზაციის წყაროდ გამოდგებოდა? აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ, რომ ადამიანი ფერს მხოლოდ გარკვეულ საგნებთან ან მოვლენებთან ერთიანობაში ხვდება. თუ ფერს თავისთავადი ესთეტიკური მნიშვნელობა მოეპოვება, მაშინ ადამიანი ფერის მატარებელი საგნებისა და მოვლენების გაუზარებლად უნდა განიცდიდეს ფერის, როგორც სასიგნალო იმპულსის, ესთეტიკურ-მარგანიზებელი ძალის ზემოქმედებას. მაგრამ ასეთი დაშორიშორება ფერისა და მისი მატარებელი საგნის ან მოვლენის ვიზუალური ხატებისა პრაქტიკულად შეუძლებელია¹⁹. შევეცადოთ საკითხის გაანალიზებას ისტორიული ასპექტით შესწავლის გზით, გადავხედოთ წარსულს.

არსებობდა თუ არა ფერი, როგორც ესთეტიკური ფენომენი, უძველესი ადამიანისათვის? — ძნელი სათქმელია, მაგრამ ნათელსა და ბნელს რომ განასხვავებდა, ეს უეჭველია; ალბათ ზოგ ფერსაც აღიქვამდა, შეიგრძნობდა, მას ხომ მხედველობა ჰქონდა და გარშემო მყოფი საგნები და მოვლენები გარკვეულ ზემოქმედებას ახდენდნენ მის მხედველობის ორგანიზზე. ის კი არა, ზოგი მეცნიერის აზრით, ჩვენს წინაპრებს უფრო განვითარებული თვალი, უფრო მგრძნობიარე ფერთაღქმელი ელემენტი უნდა ჰქონოდათ, ვიდრე ეს დღევანდელ ცივილიზებულ ადამიანს მოეპოვება²⁰. ასეა თუ ისე, ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ დილის აისის ან ამრიალებული ტყის ფერადებს ისევე შეეძლოთ მიეპყროთ პირველი ადამიანების ყურადღება, როგორც ჩვენი თანამედროვეებისა. მაგრამ ამ ყურადღებას ესთეტიკურ გრძნობას ვერ დავარქმევთ (თუმცა რა თქმა უნდა, ვერც ფერის მიმართ ცხოველთა სამყაროს მიერ გამოვლენილ ინტერესს გავუტოლებთ)²¹. ეს უფრო ესთეტიკური გრძნობის ჩანასახია — გრძნობისა, რომელიც თავდაპირველად შესაძლოა მხოლოდ თვალისთვის არსებობდა; ფერის სასიგნალო თავისებურებები განაპირობებდა იმას, რომ თვალი მასზე მზერის შეჩერებას ითხოვდა, მაგრამ იგივე სიგნალი ადამიანის ესთეტიკური ორგანიზაციის ძალას მოკლებული იყო. განვითარების ადრეულ სტადიაზე ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი სახით, მხოლოდ ჩანასახის სახით თუ არსებობს ესთეტიკური გრძნობის უნარი. სიგნალი კი, ინფორმაციის თეორიის თანახმად, მხოლოდ მაშინ ასრულებს თავის მარგანიზებელ ფუნქციას რომელიმე სისტემაში, როცა იგი მთლიანად შეესატყვისება ამ სისტემის სტრუქტურას. წინააღმდეგ შემთხვევაში

სისტემა მოქმედებაში არ მოვა, სიგნალი მისთვის მხოლოდ „უცხო სხეულის“ როლს თუ შეასრულებს. განვითარების აღრეულ სტადიებზე ფერსა და ადამიანს, როგორც სასიგნალო სტიმულსა და გარკვეულ სტრუქტურულ სისტემას შორის, არასრული შესატყვისობაა, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ აღქმა ადამიანის სინამდვილესთან ურთიერთობის სპეციფიკური, თავისებური ფორმაა. იგი ერთდროულად შემეცნების აქტია. «Эстетическое восприятие есть всегда познавательный акт... В эстетической деятельности мы находим элементы познавательной деятельности, но они не определяют ее сущности и специфики, хотя используются иногда в решении эстетических задач»²². ესთეტიკური აღქმა პასიური ხედვითი აქტი კი არაა, შემოქმედებითი, აქტიური პროცესია. «Восприятие не является механическим регистрированием сенсорных элементов, оно оказывается поистине творческой способностью мгновенного схватывания действительности, способностью образной, пронизательной, изобретательной и прекрасной»²³

ადამიანის განვითარების აღრეულ ეტაპზე ესთეტიკური ცდა, ესთეტიკური აღქმა ასეთ აქტივობით უნარს, რომელიც უპირველეს ყოვლისა ვიზუალური ცდის „აქტიურ თანამშრომლობას“ გულსხმობს შემეცნების პროცესებთან, რამდენადმე მოკლებულია. მაგრამ ესთეტიკური გრძნობა, როგორც გარკვეული სოციალური, საზოგადოებრივ-ისტორიული ხასიათის მოვლენა, განვითარებადი. ადამიანის ფსიქიკურ-ფიზიოლოგიურ, ბიოლოგიურ განვითარებასთან ერთად (რაც თან სდევდა მის ფიზიკურ დამკვიდრებას დედამიწაზე) ვითარდებოდა და თვისობრივად იცვლებოდა სინამდვილესთან მისი ურთიერთდამოკიდებულების ხასიათიც, რაც სხვა პროცესებთან ერთად ვიზუალურ აქტშიც იჩენს თავს. ვიზუალურ აქტში სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ ადამიანის განვითარებადი ცნობიერებისა და ემოციური სისტემის ელემენტები. შესაბამისად ვითარდება ესთეტიკური გრძნობის ჩანასახიც. ადამიანი, როგორც გარკვეული სტრუქტურული ერთიანობა, სულ უფრო მეტ შესაბამისობას ამყლავნებს გამომიზიანებელი სასიგნალო იმპულსის—ფერის სტრუქტურასთან.

სინამდვილის ესთეტიკური თვისებები მთლიან სისტემათა თვისებებს წარმოადგენენ²⁴. ფერი ამ სისტემის ერთ-ერთი ელემენტთაგანია. მაგრამ მას რიგით ელემენტად ვერ ჩავთვლით. ფერს თავისთავადი ესთეტიკური ღირებულება მოეპოვება. იგი საგანთა და მოვლენათა ერთობლიობაშიც კი უმეტესწილად მხოლოდ ესთეტიკური სიგნალის როლს ასრულებს ადამიანისათვის. სხვათა შორის, საგნებით მართებულად შენიშნავს ა. პოტებნია: «Цвета, как бы ни безобразно было их соединение, не возбуждают даже и той степени неудовольствия, какую вызывают диссонансы, о которых мы говорим, что они «уши дерут» или «терзают слух». Во всех впечатлениях зрения, кроме ослепительно-го блеска, который, скорее, относится к общему чувству, мы не видим ничего нарушающего правильное течение жизни нашего организма»²⁵ (ეს სიტყვები ხომ რამდენადმე იმ „შესაბამისობაზე“ მიუთითებენ, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი).

ყოველივეს საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფერი ადამიანისთვის უპირველეს ყოვლისა ესთეტიკური ფენომენია. სხვა საქმეა, როგორია მისი ესთეტიკური ძალა, ადამიანზე მისი ესთეტიკურ-მარჯანზეხედილი შემოქმედების ხასიათი, როგორია შესატყვისობა ადამიანისა და ფერის სტრუქტურულ სისტემებს შორის, მაგრამ ერთი ცხადია: ფერი ადამიანისთვის უპირ-

ველეს ყოვლისა ესთეტიკური სიგნალის როლს ასრულებს, თუმცა მისი მოქმედების ინტენსივობა სხვადასხვაგვარია და განსაზღვრულია მასთან ადამიანის ურთიერთობის თავისებურებებით (ობიექტურ ფაქტორებზე აღარაფერს ვამბობთ).

პირველადი აქტის პროცესში ფერი, როგორც სიგნალი, ადამიანზე ფსიქიკური და ფიზიოლოგიური ზემოქმედების ძალით უფრო ახდენს გავლენას, ვიდრე ესთეტიკურ-მორგანიზებელი თვისებით. ფერის ზემოქმედება ადამიანში იწვევს გარკვეულ რეაქციას, მაგრამ იგი მხოლოდ ცალკეულ ორგანოთა მგრძნობელობის სახით ვლინდება: ფერი მოქმედებს თვალზე და, როგორც შეგრძნება, ამ გზით გარკვეულ ცვლილებებს იწვევს ადამიანში ფსიქიკური და ფიზიოლოგიური თვალსაზრისით. მთლიან ემოციურ ჩისტემასთან კავშირი კი ძალზე სუსტია. სუსტია იმიტომ, რომ ადამიანის ურთიერთობა ფერთან ამ ეტაპზე რამდენადმე ქვეცნობიერ ხასიათს ატარებს. ესთეტიკური აქტისთვის დამახასიათებელი ხედვა-შეფასების ერთღოვლობა აქ მხოლოდ ჩანასახის სახით თუ არსებობს, — გააჩნია, რას დეარქმევთ თვალის მიერ ფერთა აღქმის პროცესში გამოვლენილ ყურადღებას — უნარს, გამოარჩიოს ესა თუ ის ფერი, ან ფერთა ერთობლიობა და გარკვეული სიამოვნება იგრძნოს მასთან ურთიერთობაში. ყოველ შემთხვევაში, თვალი რომ ხედვასთან ერთად „ქვეცნობიერად“ არჩევს და, ამდენად, „აფასებს“ კიდეც ფერს და შესაბამისი ფსიქიკური და ფიზიოლოგიური რეაქციების წარმოშობის საფუძველი ხდება, ეს ფაქტია. რა თქმა უნდა, ამ მოვლენას ესთეტიკურ გრძნობად ვერ მივიჩნევთ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაგრამ აშკარაა, რომ იგი ფერთან ადამიანის შემდგომი ურთიერთობისას გამოვლენილი ესთეტიკური დამოკიდებულების საწყისსა და საფუძველს წარმოადგენს.

ადამიანისა და ფერის ურთიერთობის შემდგომ საფეხურებზე ვიზუალურ აქტში თანდათანობით ერევა ცნობიერება. ეს პროცესი თავდაპირველად ვიზუალურ აქტში შეფასების მოქმედების ელემენტარულ მონაწილეობას უზრუნველყოფს. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი უკვე ხედვის პროცესშივე გრძნობს, უფრო სწორად, უკვე იცის, მოსწონს მას ესა თუ ის ფერი, თუ — არა, სასიამოვნოა იგი მისთვის, თუ — არა. მაგრამ აქაც კი ცნობიერება ძალზე პასიურად ერევა ხედვა-შეფასების პროცესში — მინიმალურად, თუ შეიძლება ასე ითქვას. უბრალოდ, იგი უზრუნველყოფს თვალის მიერ მიღებული ინფორმაციის (იგულისხმება ფერთა ხედვა-შეფასების შედეგები) ემოციურ ჩისტემაზე გადაცემას, ემოციურ პლანში მოცემას. ამ ეტაპზე უკვე გამოკვეთილად ვლინდება ფერის, როგორც ესთეტიკური სიგნალის, ორგანიზაციული თვისება. იწყება, ერთი მხრივ, ადამიანის მიერ სამყაროს ესთეტიკური ხედვის, ხოლო, მეორე მხრივ, ფერთა ტრადიციული სიმბოლური სისტემების ჩამოყალიბების პროცესი.

საერთოდ, ადამიანი, ცნობიერების აქტიური მონაწილეობით, გარკვეულ მთლიანობად აღიქვამს სამყაროს ესთეტიკურ სინამდვილეს, რომელშიც ფერი საგნებთან და მოვლენებთან (მათ ფორმასთან და მთელ რიგ სხვა ობიექტურ თვისებებთან) ერთიანობაშია მოცემული. ამდენად, ფერი, როგორც გარკვეული ესთეტიკური ძალის მქონე ფენომენი, ესთეტიკური სინამდვილის — ობიექტური რეალობის ელემენტად გვევლინება.

ფერი ესთეტიკური სინამდვილის ელემენტია, მაგრამ თავისთავადი ესთეტიკური ღირებულების გამო იგი უპირველესი სტიმულის, უპირველესი სიგნალის როლს იწარჩუნებს: ადამიანი მთლიანობაში ხიბლავს ფერად-ფერადი ყვა-

ვილებით აკრელებული მინდორი, მაგრამ მის განწყობას უპირველეს ყოვლისა ყვავილთა ფერადები წარმართავენ და არა მათი, ვთქვათ, ფორმა ან სურნელი. (თუმცა, საერთოდ, როცა აღნიშნავენ, რა მშვენიერიაო, იგულისხმება, რომ ერთ მთლიანობადაა შეფასებული ყოველივე — ესთეტიკური სიგნალის მოქმედებით შეპირობებული ასოციაციური სურათი სინამდვილისა).

შემდგომ ეტაპზე ხედვა-შეფასების აქტი ცნობიერების უფრო აქტიური მონაწილეობით ხასიათდება; იმდენად აქტიურით, რომ იგი ესთეტიკური აღქმის გაცნობიერებადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ. ადამიანს უგროვდება გარკვეული გამოცდილება. მან უკვე იცის, (საერთოდ იცის, და არა მხოლოდ ხედვის პროცესში), რომელი ფერი სიამოვნებს მის თვალს და გრძნობებს, რომელი — არა, მაგრამ ამ „გამოცდილებაზე“ სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენენ თავად საგანთა და მოვლენათა თავისებურებები. ადამიანის მიერ ფერი უკვე საგანთა და მოვლენათა გაცნობიერებულ კავშირში აღიქმება და ამ უკანასკნელთა შეფასება, მათ შესახებ გარკვეული აზრის შექმნა, რამაც ამოსავალს უმეტესწილად მათივე სარგებლიანობის ფაქტორი წარმოადგენს, თავისებურად მოქმედებს ფერის იმ „ესთეტიკური ღირებულების“ დადგენა-შემუშავებაზე, რომელიც შემდეგ, ყოფაში დამკვიდრება-განმტკიცების გზით, ტრადიციულად და ზოგჯერ კანონიკურადაც კი იქცევა ხოლმე.

ადამიანის ცნობიერებაში ერთმანეთს ერწყმის ფერის, როგორც სინამდვილის ელემენტის, წმინდა ესთეტიკური და გნოსეოლოგიური ღირებულებანი. ხედვითი აქტების განმეორებათა გზით ეს ღირებულებანი ერთ მთლიანობად იყრიან თავს ცნობიერებაში და უკვე მათი მთლიანობაა ამოსავალი ხედვა-შეფასების პროცესში. ესთეტიკურ სინამდვილესთან შემდგომი ურთიერთობა, ცნობიერების სულ უფრო ქმედითი მონაწილეობით, უზრუნველყოფს აღნიშნულ შეფასებათა განმტკიცებას. ამავე დროს, ესთეტიკური სინამდვილის მთლიანობაში აღქმა და მისი შემდგომი გაცნობიერება (ანალიზი, განზოგადება...) თავის მხრივ იმის საფუძველი ხდება, რომ ფერთა ესთეტიკური გააზრების ხასიათზე უკვე სინამდვილის მთლიანობაში აღქმის შედეგებიც მოქმედებენ. ყოველივე ამან შესაძლოა რამდენადმე შეცვალოს ესთეტიკური ზემოქმედების ძალა და ესთეტიკური გემოვნებაც კი. შეიძლება მოხდეს ფერის წმინდა ესთეტიკურ ღირებულებათა გადაფასებაც. „ფერის ესთეტიკა“ უკვე ნაკლებ კავშირშია მის ფსიქოლოგიურ მახასიათებლებთან. ფსიქიკური ზემოქმედების ტონს რამდენადმე თავად ფერის მრავალი „მომენტის“ შეჩერებით „თეორიულად“ ჩამოყალიბებული ესთეტიკური ღირებულებაც განაპირობებს. ერთი სიტყვით, ფერი ე. წ. „ნიშნის“ თვისებებს ამჟღავნებს, ყალიბდება, როგორც ნიშანი, რომელიც, თავის მხრივ, ფერთა სიმბოლიკის საფუძველს წარმოადგენს. მაგრამ ეს ჩერ კიდევ არაა ფერთა სიმბოლიკა. ფერთა სიმბოლური სისტემის ჩამოყალიბებას დრო და პრაქტიკული გამოცდილებით განმტკიცება ესაჭიროება. ამ ეტაპზე კი ფერს მხოლოდ სუსტად გამოხატული ასოციაციური ზემოქმედების ძალა გააჩნია. მაგრამ დროთა განმავლობაში იგი ასოციაციური ხილვების საფუძველი ხდება და, თუ აღრე საგნის ან მოვლენის გნოსეოლოგიური ღირებულებანი მოქმედებდნენ ფერის ესთეტიკურ გააზრებაზე, ახლა ხშირად თავად ფერის „ესთეტიკური ღირებულება“ წარმართავს საგნის ან მოვლენის ხედვა-შეფასების პროცესს. ერთი სიტყვით, მიმდინარეობს ორმხრივი ურთიერთქმედების პროცესი: ფერის წმინდა ესთეტიკური შინაარსის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს გარემო სინამდვილე. შემდეგ კი ფერის ესთეტიკის ჩამოყალიბებული, „განმტკიცებული“

„შინაარსი, როგორც გარკვეული „ნიშანი“, სინამდვილის გააზრების ხასიათზე მოქმედებს. ადვილი შესაძლებელია, აღნიშნული მომენტი საგანთა და მოვლენათა ხედვა-შეფასებაში ზოგჯერ შეცდომების წყაროდ გახდეს, მაგრამ ეს შეცდომა ინდივიდის მიერ უკვე შემთხვევითობად იქნება მიჩნეული. კეშმარიტად იგი მაინც იმ ძველ, პრაქტიკით ნაცად შეფასებას, ნაცად ასოციაციებს მიიჩნევს. მაშ რა ხდება?—ღიას, ეს არის სქემატურად წარმოდგენილი გზა ფერის ინდივიდუალური სიმბოლიზაციისა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ფერთა სიმბოლური მნიშვნელობების ჩამოყალიბებას მხოლოდ ცალკეული, ერთეული ადამიანების გამოცდილებას ვერ დავუკავშირებთ. სიმბოლიზაციის პროცესი უფრო ფართოა და მრავალმხრივი, როგორც დროული, ისე სივრცული თვალსაზრისით.

ადამიანთა საზოგადოება ინდივიდებისაგან, ცალკეული ადამიანებისაგან შედგება. ერთ გარემოში, ერთმანეთთან კონტაქტში მყოფ ადამიანებს რომ ფერთა ასე თუ ოსე მსგავსი აღქმადობა ახასიათებდეთ, ეს გასაკვირი არაა (გავიხსენოთ ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტური და სუბიექტური „მომენტები“). მაგრამ ისიც თვალსაჩინოა, რომ ადამიანთა დიდ ჯგუფში ყველა ფერის მიმართ ერთნაირი აზრი ვერ იქნებოდა. თავი რომ დავანებოთ ადამიანთა ინდივიდუალურ ემოციურ სისტემებს, თავად ობიექტური პირობებიც ხომ განსხვავებული და ძალზე მრავალრიცხოვანია. ამასთან, მრავალრიცხოვნება და განსხვავებულობა ყველას წინაშე კი არ იჩენს თავს, არამედ ხან ერთ ადამიანთან შედარდება, ხან—მეორესთან. მაშ, როგორ უნდა გავიაზროთ ფერთა მთლიანი, თუნდაც ტრადიციული სისტემის წარმოქმნის პროცესი?

ადამიანებს ფერი სხვადასხვა პირობებში ეძლევათ სხვადასხვა სახით. გარკვეული, განსაზღვრული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ამა თუ იმ ფერის მიმართ დრო სჭირდება. დრო საუკუნეებს გულსხმობს. ამასთან, დრო სჭირდება ადამიანთა ესთეტიკური შესაძლებლობების განვითარებასაც. ჩვენ არ ვიცით, რამდენი ფერის აღქმა შეეძლო უძველესი ადამიანის თვალს. მით უმეტეს, არ ვიცით, რამდენად იყო ესთეტიკური ადამიანის პირველი ურთიერთობები ფერით ელემენტთან, მაგრამ ფაქტია ის, რომ ესთეტიკურ გრძნობას, თუნდაც პოტენციურად, ჩანასახის სახით არსებულს (და იგი ასეთად ალბათ ყველა ადამიანშია), განვითარება ესაჭიროება. ესთეტიკური განცდა ხომ ადამიანის გრძნობად-ემოციური სისტემის უმაღლესი გამოვლინებაა და მის ასეთად ჩამოყალიბებაში კაცობრიობის მთელი წინარე ისტორია ღებულობდა მონაწილეობას (უძველესი ადამიანიდან დღევანდლამდე)²⁶.

ვერ ვიტყვი, რომ ადამიანის ესთეტიკური გრძნობის განვითარებას ისტორიულად მუდამ ევოლუციური ხასიათი ჰქონოდა, არცთუ იშვიათაა შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ეპოქას წინანდელთან შედარებით ესთეტიკურის გაცილებით ნაკლები მგრძნობელობა ახასიათებს. ეს მდგომარეობა უპირველეს ყოვლისა აღნიშნული ეპოქის სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული მახასიათებლებით უნდა აიხსნას. საზოგადოებრივი ცნობიერება ძალზე ხშირად „ეპოქის კარნახით“ ჩქმალავდა ან უგულვებელყოფდა თავის ესთეტიკურ პოტენციალს; გარკვეული საზოგადოებრივი ინსტიტუტები ამ პროცესის მიმდინარეობაში გადამწყვეტი სიტყვის თქმის უფლებას ფლობდნენ და, ბუნებრივია, ცდილობდნენ თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ ეს უფლებები.

მაგრამ ასეა თუ ისე, ესთეტიკური გრძნობა მთლიანობაში უძველესი ადამიანიდან დღევანდლამდე, ამ უკანასკნელის ფიზიკურ და სულიერ მახასიათებ-

ბელთა ჰარმონიული განვითარებისდა კვალად, მიუხედავად აქა-იქ ხშირად ძლიერი, საუკუნეთა გასახელებზეც კი საკმაოდ საგრძნობი „ჩაგარდნებისა“ და აქედან გამომდინარე წყვეტადობისა, განვითარების მაინც ერთი მთლიანი აღმავალი ხაზის სახით წარმოგვიდგება?.

უძველეს ადამიანთა ინდივიდუალური, სუბიექტური გამოცდილება ფერთა ესთეტიკური და შემეცნებითი ღირებულების შესახებ თანდათანობით მათ გარკვეულ ჯგუფებში გროვდებოდა. „დაგროვება“ არასტაბილური, აღრეული ინფორმაციის სახეს ატარებდა. ფერი მათში მოვლენათა ან საგანთა ნიშნად იყო მიჩნეული მხოლოდ და სხვადასხვა, არსებითად განსხვავებული სიტუაციების ელემენტს წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში ხდებოდა ის, რაც ნიშანს სიმბოლოდ აქცევდა: ანალიზი, ჰინთეზი და განზოგადება ყოველივე დაგროვილისა, ფერთა ურთიერთობის მთელი გამოცდილებისა; შედეგი: ტრადიციული ელემენტარული სიმბოლური სისტემა ფერებისა.

რა თქმა უნდა, ასე შეიძლება აიხსნას ერთი რომელიმე ხალხის, ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ფერთი სიმბოლიზაციის საფუძველი, ისიც — არა ყოველთვის, მაგრამ კაცობრიობა? ადამიანთა მთელი მოდგმა? ფერთა სიმბოლიკა ხომ მთელ დედამიწაზეა გავრცელებული...

ეს მართალია, მაგრამ რამდენი ხალხი და რამდენი ეროვნებაც არ უნდა არსებობდეს ამ ქვეყნად თავისი ისტორიითა და სულიერი ფასეულობით და, რა თქმა უნდა, თავისი სიმბოლური სისტემებით, ადამიანობას აქვს ერთი საერთო ისტორია — კაცობრიობის ისტორია, კაცობრიობის განვითარება, რომელიც ყველგან, ყველა სფეროში საერთო უზოგადეს კანონზომიერებათა არსებობას ითვალისწინებს. თუმცა ეს კანონზომიერებები სხვადასხვა ხალხში სხვადასხვა სპეციფიკური სახით ვლინდება. იგივე შეიძლება ითქვას მსოფლიო ცივილიზაციისა და, შესაბამისად, ესთეტიკური აზრის განვითარების შესახებაც (რომლის ერთ-ერთ უმცირეს, მაგრამ მნიშვნელოვან პრობლემას ფერის ესთეტიკა წარმოადგენს).

ფერთა ელემენტარული ტრადიციული სისტემა ამ ფენომენის აღქმასთან დაკავშირებულ სწორედ უზოგადეს კანონზომიერებათა გამომხატველია, მაგრამ მას მხოლოდ პირობითად შეიძლება სიმბოლური ეწოდოს.

ტრადიციული სისტემა პირდაპირ, უმარტივეს ასოციაციებს ემყარება და ზოგჯერ ფერთა მხოლოდ პოზიტიური ან ნეგატიური თვალსაზრისით ელემენტარული შეფასებითაც კი იფარგლება. ამდენად, მასში თუმცა ზოგად, მაგრამ მაინც ჭეროვან ასახვას პოულობს ფერების ფსიქიკური, ფიზიოლოგიური და ესთეტიკური მახასიათებლები, ღრმა შინაარსობრივი კონტექსტებისა და იდეათა აბსტრაქტიზებული გამოხატვის უნარი კი, რაც სიმბოლური აზროვნების ერთ-ერთ უპირველეს ნიშანს წარმოადგენს, შედარებით მოჩქმალულია.

ყოველივე ეს გახაპირობებს აღნიშნული სისტემის რამდენადმე უნივერსალურ ხასიათს, რაც მისი „ტრადიციულად“ სახელდების საბაზს იძლევა. მაგრამ ტრადიციულობასაც გააჩნია...

განსხვავებულ ხალხებში ფერთა სიმბოლური სისტემები სპეციფიკური ფორმებით ვლინდება — სპეციფიკურით იმ შინაარსსა და ფუნქციონირებასთან შედარებით, რომელსაც ფერთა სიმბოლიკის ტრადიციული ელემენტარული სისტემა ითვალისწინებს. ეს კია: აღნიშნული სპეციფიკურობა უმეტესწილად ნიუანსობრივ სახესხვაობათა ფარგლებშია წარმოდგენილი, რადგან ნებისმიერ დროულ ან სივრცულ ჩარჩოებში მოქმედ ფერთ სისტემას, როგორც

წესი, ან მზამზარეული სახით აქვს მიღებული და შეთვისებული ტრადიციული ხისტიემის თავისებურებანი საზოგადოებრივი ცნობიერების ფონდიდან, ან არა-და, თვითონ იქნეს მათ ჩამოყალიბების პროცესში (ეს პროცესი ხომ განვითარების უზოგადეს კანონზომიერებებს გულისხმობს).

ამდენად, ფერთა ელემენტარული, ტრადიციული: სიმბოლიკის ერთი მთლიანი სისტემის სახით წარმოდგენა განსხვავებული ხალხების ფერთი სისტემების მონაცემების შეჯერება-განზოგადების გზითაა შესაძლებელი მხოლოდ. სწორედ ტრადიციული სისტემის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ის ელემენტარული ასოციაციები, რომელნიც თერთ ფერს — სინათლეს, შავს — წყვდიადს, მწვანეს — აყვავება-ალორძინებას, წითელს — სისხლს ან ცეცხლს და ა. შ. უკავშირებენ და ამ კავშირებიდან ამოდიან აღნიშნულ ფერთა შეფასებისა და უფრო რთული (შეიძლება ითქვას, უფრო „ზორეული“) სიმბოლური ერთეულების ჩამოყალიბებისას.

ტრადიციული ელემენტარული სისტემის სუსტად გამოხატული ჰიმბოლურობა და მეტისმეტი უნივერსალობა (რომელთა წყალობითაც იგი თითქმის ყველა, ნებისმიერ ფერთ სისტემას „ერგება“ და ესადაგება) უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ეს სისტემა ადამიანებს ხშირად გაუცნობიერებელი სახით აქვთ შეთვისებული თუ შემუშავებული, როგორც პირადი და საზოგადოებრივი გამოცდილებით დაგროვილი პასიური ცოდნის ნაწილი და გასაკვირი არაა, რომ მას არც სიმბოლურად აღიქვამენ და არც სისტემად.

უმეტესწილად ასევე გაუცნობიერებლად, სტიქიურად ხდება ტრადიციული სისტემა საფუძველი და ბაზისი ფერთა მეორადი სპეციფიკური სიმბოლური სისტემებისათვის, რომელნიც მოქმედების შედარებით მცირე მასშტაბებს მოიცავენ — დროული და სივრცული თვალსაზრისით ასე თუ ისე განსაზღვრულს, მაგრამ მკვეთრი თავისთავადობა ახასიათებთ როგორც სტრუქტურის, ისე ჰიმბოლური ქვეტექსტების სიღრმისა და მნიშვნელობის მხრივ. მხედველობაში გვაქვს ამა თუ იმ ეპოქის, ხალხის, კულტურის, რელიგიის თუ სხვა დროული და სივრცული თვალსაზრისით რამდენადმე განსაზღვრული სამოქმედო მასშტაბებისათვის დამახასიათებელი ფერთი სისტემები.

ტრადიციული სისტემა ასახავს ფერის ფენომენის შესახებ ყოფაში დამკვიდრებულ შეხედულებათა საერთო ძირითად არსს.

საზოგადოებრივი ცნობიერების სხვადასხვა სფეროში (რელიგია, კულტურა და სხვ.) გადასვლისა და მათში დამკვიდრების პროცესში, იქნეს რა ამ უკანასკნელთათვის დამახასიათებელ თავისებურებებს, ფერთი სისტემა ყალიბდება როგორც აღნიშნულ სფეროთა თვალსაზრისთა მარეალიზებელი სისტემა (სისტემა, ამ სიტყვის ნამდვილი და სრული მნიშვნელობით). გავიხსენოთ, მაგ., რომელთა სახელმწიფო-პოლიტიკურ ურთიერთობაში გაბატონებული ოთხელემენტოვანი ფერთი სისტემა, რომელიც შემდეგ ბიზანტიაშიც გავრცელდა; ან კიდევ, ქრისტიანობის მიერ შემუშავებული სისტემა ფერთა სიმბოლიკისა, რომლის დაცვა კანონიკურ წესად იყო მიჩნეული როგორც ლეთისმსახურებაში, ისე ქრისტიანული კულტურის ყველა სფეროში.

მხატვრული. ხაწარმოები შეიძლება ითვალისწინებდეს ფერთა როგორც ტრადიციულ ელემენტარულ, ისე რომელიმე მეორად სპეციფიკურ სისტემას, ან კიდევ ორივეს ერთად. მაგრამ ჩვეულებრივ, უმეტესწილად, საზოგადოებრივი ხასიათის ნებისმიერი სიმბოლური სისტემა მხატვრული შემოქმედების ნაწარმოებში მისი შემქმნელის, ხელოვანის ინტერპრეტაციის სახით გადადის

(ეს შეეხება ხელოვნების თითქმის ყველა დარგს, სადაც კი ფერი ფუნქციონირებს). ზოგჯერ ეს ინტერპრეტაცია იმდენად თავისთავადია, რომ უფლებას გვაძლევს გარკვეული აზრით მასზე ვიმსჯელოთ, როგორც დამოუკიდებელ ინდივიდუალურ ფერით სისტემაზე და კონკრეტული ხელოვანის, მისი შემქმნელის სახელს უფრო მტკიცედ დავუკავშიროთ იგი, ვიდრე რაიმე საზოგადოებრივი ხასიათის შოვლენას (გავიხსენოთ, მაგ., „რემბრანდტის კოლორიტი“, „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“ და სხვ.).

საგულისხმოა, რომ არცთუ იშვიათად ასეთი „ინდივიდუალური“ ფერთამეტყველება, გარკვეულ თავისთავადობასა და ტრადიციულ სისტემათაგან შეფარდებით დამოუკიდებლობას რომ ამჟღავნებს, თანდათანობითი პოპულარიზაციის გზით საზოგადოებრივი ხასიათს ღებულობს, ამა თუ იმ საზოგადოებრივი ერთეულისთვის „ტრადიციულის“ მნიშვნელობას იძენს და შესაძლოა, დროთა განმავლობაში თვითონ იქცეს ახალ ფერით სისტემათა ჩამოყალიბების ერთ-ერთ საფუძველად.

აქ კიდევ ერთხელ უნდა შევნიშნოთ ტერმინ „ტრადიციულის“ პირობითობის შესახებ: გარკვეული პირობებისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის მეორადი ფერთი: სისტემა, რომელიც უცხო თვალისთვის, გარედან, სპეციფიკურად აღიქმება და შეფასდება, ამ პირობებისთვის, ე. ი. აღნიშნული სისტემის მარეალიზებელი საზოგადოებრივი ერთეულისათვის, ტრადიციულს წარმოადგენს. ამ გარემოების გათვალისწინება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფერთა სიმბოლური სისტემების ჩამოყალიბება-განვითარების პროცესის შესწავლის დროს.

სტატიის დასაწყისში ჩვენ მიზნად დავისახეთ გვეჩვენებინა, თუ როგორ იქცევა ფერი სინამდვილის უბრალო ელემენტიდან ხელოვნების ნაწარმოებთა მხატვრული სისტემების სრულყოფილებიან კომპონენტად. როგორც ვნახეთ, ამ პროცესმა ძირითადად ფერის თანდათანობითი სიმბოლიზაციის გზა აჩაჩა. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს აღნიშნული პროცესის მთლიანად გავლა სავალდებულო იყოს ხელოვნებაში ფერის ნებისმიერი რეალიზაციისათვის. არა, ესაა ზოგადად წარმოდგენილი პროცესი ფერთა იმ ტრადიციული სიმბოლური სისტემის ჩამოყალიბებისა, რომელიც შემდეგ საფუძველად ედება ფერთამეტყველებას ხელოვნებაში და რომლის გამოყენების ხასიათსა და მასშტაბებს, თავად ხელოვანის გარდა, მთელი რიგი ობიექტური პირობებიც განაპირობებენ. არც ის უნდა ვიფიქროთ, თითქოს ჩამოყალიბებული ტრადიციული სისტემიდან ფერები უშუალოდ, მექანიკურად გადადიოდნენ ხელოვნებაში. ფერმა, როგორც ნიშანმა ან სიმბოლომ, კიდევ გრძელი გზა უნდა განელოს, ვიდრე იგი მხატვრული სისტემის ელემენტად ან, მით უმეტეს, მხატვრულ სახედ იქცეოდეს. ეს გზა, ერთი მხრივ, ხელოვანის ინდივიდუალურ თავისებურებებს, ობიექტური რეალობის მისეულ თვალთახედვას, ხოლო, მეორე მხრივ, იმ დარგის სპეციფიკას მოიცავს, რომელშიც ეს ხელოვანი მოღვაწეობს. რამდენადაც აღნიშნული პროცესის შესწავლა ლიტერატურისა ან ხელოვნების ცალკეულ დარგთა სპეციფიკის გათვალისწინებას მოითხოვს, ჩვენ მას ამჯერად არ შევეხებით. შევხიშნავთ მხოლოდ, რომ, მართალია, მხატვრული შემოქმედების ყველა ასპექტში, მათ შორის ფერის ფუნქციონირების საკითხშიც, მთავარი და გადამწყვეტი სიტყვა თავად ხელოვანს ეკუთვნის, მაგრამ ამ უკანასკნელის „თავისუფლებას“ გარკვეულ საზღვრებსა და კალაპოტში აყენებს თვით დარგის სპეციფიკა, — შესაძლებლობანი, რომელიც აღნიშნული თვალსაზრისით

მხატვრული შემოქმედების განსხვავებულ სფეროებს მოეპოვება. ასე მაგ., ფერწერული ან დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოების აღმქმელს მასში რეალიზებული ფერთი ელემენტი უშუალო ვიზუალური აქტის პროცესში ეძლევა, მაშინ როცა ლიტერატურული ფერწერა, ჩვეულებრივ, ფერთი შინაარსის მქონე სიტყვათა მეშვეობითაა განხორციელებული. შესაბამისად, მხატვარი-ფერმწერი თავისი კოლორიტის იმ სახით წარმოიჩინას ესწრაფვის, რომელიც, მისი აზრით, უშუალო ვიზუალური აქტის პროცესში ადამიანზე სასურველი მხატვრულ-ესთეტიკური ეფექტით მოქმედებას შესძლებდა. მწერალი კი ანალოგიური მიზანდასახულობის პირობებში ფერთი ტერმინოლოგიის მკითხველისეული აღქმის შესაძლებელი ასოციაციური კავშირების გათვალისწინებიდან ამოდის. ეს ასოციაციები, ჩვეულებრივ, ფერთა საზოგადოებრივი ხასიათის მქონე ტრადიციულ სისტემებს უკავშირდებიან.

უფრო მეტიც: ტრადიციული ფერთი სისტემების მონაცემებს მეტ-ნაკლებად ითვალისწინებს ხელოვნების თითქმის ყველა დარგი, რომელშიც კი ფერის ფენომენი ფუნქციონირებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფერთა ტრადიციული ელემენტარული სისტემის წვლილი. თვით დეკორატიულ-ორნამენტული ხელოვნების ნიმუშებშიც კი, რომლებიც, ჩვეულებრივ, უმეტესწილად თავისუფალია რაიმე იდეურ-შინაარსობრივი ქვეტექსტებისაგან, ავტორს გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს მის მიერ გამოყენებული ფერადების აღქმათა შესაძლებელი (დასაშვები) ემოციური მახასიათებლები. სხვაგვარად იგი ვერ მოახერხებს ფერთა კომბინაციები ფერთა პარამონის გამოხატულებად, ადამიანის ესთეტიკური ტკობის წყაროდ აქციოს. ერთი მხრივ, ხელოვანის, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ხელოვანის მხატვრული ქმნილების პოტენციური „ამთვისებლის“ (აღმქმელის) მიერ ფერთა ტრადიციული ელემენტარული სისტემის მარვეხებლების თუნდაც ქვეცნობიერი გათვალისწინება უკვე იძლევა იმის შესაძლებლობას (და თავისებურ გარანტიასაც კი), რომ ნაწარმოების აღმქმელის პირადი, სუბიექტური ასოციაციები და, იგულისხმება, ამ ასოციაციებით შეპირობებული ემოციებიც (სხვა შემაპირობებელ ფაქტორებზე ამჯერად აღარაფერს ვამბობთ) მეტ-ნაკლებად, რა თქმა უნდა, თავად ხელოვანის მიერ ნაგულისხმევი და მისთვის სასურველი მიმართულებით წარიმართოს.

ფერთა ინდივიდუალური მხატვრული სისტემა ხშირად საზოგადოებისათვის ნაცნობი ფერთი სისტემებიდან ძალზე დაშორებულად აღიქმება და მკითხველი, მხილველი თუ მსმენელი მისი წვდომა-გააზრების მიზნით იძულებულია ფერთა ტრადიციულ ელემენტარულ სისტემას მიმართოს დახმარებისათვის ასოციაციური ან ზოგჯერ აქტიური აზრობრივი პროცესების მონაწილეობის საშუალებითაც კი.

ვერ ვიტყვი, რომ მხატვრული ნაწარმოების შემქმნელისა და აღმქმელის თვალსაზრისები ამ გზით სრულ იდენტურობას აღწევდნენ ყოველთვის, მაგრამ იმ იშვიათი გამონაკლისების გარდა, როცა მხატვრული ნაწარმოების ფერთი სისტემას ხელოვანის არარეალისტური, ან უბრალოდ, აბსტრაქტული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი უშინაარსო, გაურკვეველი სინესთეზიური წარმოდგენები უძევს საფუძვლად, „არაიდენტურობა“ მხოლოდ უმნიშვნელო უკმა-რისობას ნიშნავს ფერის შინაარსის ათვისების თვალსაზრისით. შესაძლოა პირიქითაც მოხდეს: მხატვრული ნაწარმოების ფერთი სისტემაში უფრო მეტი იქნეს ამოკითხული და დანახული, ვიდრე ამას ავტორი ფაქტობდა და გულისხმობდა. ეს კია, რომ, თუ ხელოვანი სპეციალურად არ გამოკვეთს თავისი ფერების

სიმბოლურ მნიშვნელობებს, მისი პალიტრის გაგებაში ნაწარმოების აღმქმელისათვის მთავარ საშუალებას ისევ და ისევ ფერთა ტრადიციული ელემენტარული სისტემა წარმოადგენს.

აქვე ერთ საკითხზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება.

როგორც ცნობილია (და როგორც ეს არაერთგზის აღინიშნა ზემოთ), ადამიანების დამოკიდებულება ამა თუ იმ ფერისადმი ერთგვაროვანი არ არის („დამოკიდებულება“ გულისხმობს როგორც ფერთა ვიზუალური აღქმის პროცესის თანმხლებ სუბიექტურ რეაქციებს, რომლებიც ჩვეულებრივ ემოციურ პლანშია წარმოდგენილი, ისე აღქმის შემდგომ და თანადროულ ასოციაციებს, რომელთაც ასევე სუბიექტური ხასიათი აქვთ).

ამავე დროს ფერთა ტრადიციული ელემენტარული სისტემის არსებობა უკვე თავისთავად უსვამს ხაზს ფერთა შეფასებების სტაბილურობისაკენ სწრაფვის ტენდენციას. ხომ არაა აქ რაიმე წინააღმდეგობა? მით უმეტეს, რომ ძირითადად ეგვევ ფაქტორები შეაპირობებენ ადამიანის მიერ ფერების მიმართ გარკვეული გემოვნების სახით გაფორმებულ ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც, როგორც ცნობილია, საკმაოდ ცვალებად ბუნებას ამჟღავნებს.

აქვე ჩნდება მეორე კითხვა: რამდენად „იტანს“ ფერების მიმართ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების არსებობის ფაქტი ფერთა აღქმის პროცესში ამ ფენომენის ესთეტიზმის პრიმატის აღიარების პრინციპს?

დავიწყოთ იქიდან, რომ განსაზღვრება „ფერი — ესთეტიკური ფენომენი“ სრულიადაც არ გულისხმობს იმას, თითქოს ეს ფენომენი ყოველთვის, ყველა შემთხვევაში ესთეტიკურ გრძნობათა საფუძველს, ესთეტიკური ტკბობის ობიექტს წარმოადგენდეს.

ობიექტურ ზინამდვილეში საგნები და მოვლენები ფერის გარდა უამრავი სხვა განსაზღვრულობებით ხასიათდებიან (ფორმა, მოცულობა, სიმკვრივე და სხვ.). ეს განსაზღვრულობები თავიანთი მთლიანობით წარმოადგენენ საგანთა ან მოვლენათა არსებას და, ბუნებრივია, ამ მთლიანობითვე აღიქმებიან ადამიანის მიერ. ესთეტიზმის პრიმატის აღიარება ნიშნავს იმას, რომ აღნიშნულ განსაზღვრულობათა სიმრავლეში ფერი წარმოადგენს უპირველეს მახასიათებელს, რომელიც ამ საგანთა და მოვლენათა ესთეტიკური აღქმის წყარო შეიძლება გახდეს. რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რომელ თვისებაზეა აღმქმელი სუბიექტის მიერ აქცენტი გაკეთებული, მაგრამ ზოგადად, ნეიტრალური მიდგომის დროს, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული საგნის ან მოვლენის ესთეტიკური მთლიანობის აღქმის საფუძველს, სიგნალს, რომელიც ესთეტიკური ცდის ორგანიზაციის სტიმულატორი ხდება, ფერი წარმოადგენს.

ფერი, როგორც ესთეტიკურ-მორგანიზებელი სიგნალი, მუდამ ერთი ძალით არ მოქმედებს. ესთეტიკური განცდა ადამიანის სულიერი და გონებრივი ძალების განსაკუთრებულ ორგანიზაციას გულისხმობს, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს როგორც ობიექტური სინამდვილე, ისე წმინდა სუბიექტური ფაქტორებიც. ვინ იცის, რამდენ ხელოვანს „აღმოუჩენია“ ჩვეულებრივ სინამდვილეში სხვებისთვის შეუმჩნეველი „ესთეტიკური ტკბობის საგანი“, ესთეტიკური ობიექტი. აღმოუჩენია და თავისი ხელოვნებით სხვებისათვის, ხალხისათვისაც დაუნახებია. (მოგვიტხრობენ, მაგ., რომ თურმე ლონდონის მცხოვრებნი თითქმის შოკირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, როცა ტერნერის ტილოზე თავიანთი ქალაქი ვარდისფერ ნისლში გახვეული იხილეს. მაგრამ ეს იყო

პირველი შთაბეჭდილება. გავიდა ცოტაოდენი დრო და ყველამ აღიარა, რომ ტემზის სანაპიროს ნისლიან ბურუსს მართლაც ვარდისფერი გადაჰყარავდა).

რაც შეეხება ამა თუ იმ ფერისადმი უპირატესობის მინიჭების ფრიად ურთიერთგანსხვავებულ მრავალრიცხოვან ფაქტებს, უნდა ითქვას, რომ გემოვნების საკითხში ადამიანები ყოველთვის ესთეტიზმის პრინციპებით როდი ხელმძღვანელობენ. ფერებს ისინი განსხვავებულ შემთხვევათა პირობებში არჩევენ. ის, რაც ერთი საგნისათვის იდეალურ ფერად მიგვაჩნია, საერთოდ არ გამოდგება მეორე საგნის დასახსიათებლად. ექსპერიმენტული ესთეტიკა უამრავ ფაქტს იცნობს, როცა ამა თუ იმ ფერისადმი დამოკიდებულების ხასიათი, სიყვარული თუ სიძულვილი (ე. ი. შეფასებითი მომენტები) სწორედ კონკრეტული კერძობითი ფაქტებითაა ახსნილი.

მართალია, საზოგადოებრივ შეხედულებათა ჯაფუძველს კერძო, კონკრეტული შემთხვევები ქმნიან, მაგრამ ფერთა ტრადიციული ელემენტარული სიმბოლური სისტემის და, საერთოდ, ნებისმიერი ტრადიციული სისტემის ჩამოყალიბების პროცესი უამრავ კონკრეტულ შემთხვევათა გათვალისწინების, ხანგრძლივი გადარჩევისა და საერთო უზოგადეს შეხედულებათა დეფინიციის ამსახველია. და რა თქმა უნდა, უკიდურეს სუბიექტურ განწყობილებათა გამომხატველი კერძობითი ხასიათის კონკრეტული ფაქტები (ვთქვათ ასეთი: სუბიექტი თავის უარყოფით დამოკიდებულებას მუქი შინდისფერის მიმართ იმით ხსნის, რომ ამ ფერის ყელსაბაშს ატარებდა ოდესღაც მისთვის საძულველი მასწავლებელი) ხამდვილად არ გამოდგება ფერთა ტრადიციული სისტემების ჩამოყალიბების მთლიან საზოგადოებრივ პროცესში რაიმე კორექტივის შეტანის საბაზად; თუმცა, ადვილი შესაძლებელია, ანალოგიური ხასიათის ფაქტებმა თავი იჩინოს რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებში, ხელოვანის ინდივიდუალურ შემოქმედებით სისტემაში.

ფერთა სიმბოლიზაციის პროცესი რთული, მრავალმხრივი და წინააღმდეგობრივი პროცესიც კია. მასზე გავლენას ახდენს სინამდვილის უამრავი ელემენტი და უამრავი მომენტი: სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული თუ სხვა ხასიათისა.

ობიექტური რეალობა ძალზე ხშირად უკვე ჩამოყალიბებულ, „გაფორმებულ“ სიმბოლურ სისტემებზეა კი „ასწორებდა“ და ცვლიდა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ფერის ძველი, ტრადიციული თვალსაზრისის თანხვედნილი მნიშვნელობა იშვიათად იკარგებოდა. თუ ახალი სიმბოლური შინაარსის მოტივაცია და, რაც მთავარია, მისი რეალიზაცია ყოფაში ძალზე ძლიერი იყო, სისტემა ამ ფერის ორივე შინაარსს შეითვისებდა ხოლმე (მიუხედავად იმისა, რომ ისინი ზოგჯერ ერთმანეთის დიამეტრალურად საწინააღმდეგონიც კი იყვნენ); თუ არადა, გარკვეულ პერიოდში, გარკვეულ გარემოში ახალი სიმბოლური შინაარსი ბატონობდა; შემდეგ კი, საარსებო პირობების შესუსტებასთან ერთად, თანდათანობით იკარგებოდა — ძველ, ტრადიციულ მნიშვნელობას იბრუნებდა და აღამიანთა ყოველდღიურ ყოფაში ამ სახით მკვიდრდებოდა.

[აქ მაგ., შუა საუკუნეებში, ჭვაროსნული ომების მსვლელობის დროს, ვიდრე მეომრებს აღმოსავლეთიდან დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ ყვითელი ფერის აბრეშუმი, ევროპაში ამ ფერის ტანსაცმელი არისტოკრატულობასა და კეთილშობილებაზე მიუთითებდა. ომების დამთავრების შემდეგ კი, როცა აბრეშუმიცა და ყვითელი საღებავიც განსაკუთრებით გაძვირდა, ლატერანული საბ-

ქოს დადგენილებით ყვითელი ნიშნის ტარება სავალდებულოდ გაუხადეს ებრაელებსა და მაჰმადიანებს].

საგულისხმოა ისიც, რომ ამ სახის ცვლილებები, როგორც წესი, ერთჯერობაზე საზოგადოებრივი ხასიათის მქონე ამა თუ იმ ფერითი სისტემის მხოლოდ ერთ ან რამდენიმე ელემენტს თუ შეეხებოდა ხოლმე; და თუმცა ხშირად ესეც საკმარის საბაზს ქმნიდა მისი სისტემური მთლიანობის გააზრებაში ნაირნაირი კორექტივის შესატანად, საკვებით თვალსაჩინოა, რომ ეგვიპე კანონზომიერება ფერით სისტემას გარკვეულ სტაბილურობასაც ანიჭებდა. უფრო სწორად, უბიძგებდა სტაბილურობისაკენ.

დაბოლოს, ყოველივე თქმულის შეჯამების საფუძველზე შევეცდებით მოკლედ გავცეთ პასუხი ჩვენ მიერვე ზემოთ დასმულ კითხვებს (იხ. გვ. 18), რომელთა გაერთიანება ძირითადად ფერის მხატვრული აზროვნების ელემენტად ჩამოყალიბების პროცესში მისი ესთეტიზმის მნიშვნელობას განსაზღვრავს.

როგორც ირკვევა, ფერის მხატვრული აზროვნების ელემენტად ჩამოყალიბება ადამიანზე ფერის მხოლოდ ესთეტიკური ზემოქმედებით, ფერის როგორც ესთეტიკურ-მორგანიზებელი სიგნალის მოქმედებით არ განისაზღვრება. ეს ფაქტორი გადამწყვეტია, პირველადი მნიშვნელობისაა, მაგრამ ფერის ფენომენის სპეციფიკური ურთიერთობა, ერთი მხრივ, გარემო სინამდვილესთან, ხოლო, მეორე მხრივ, თავად ადამიანთან, განაპირობებს იმას, რომ ეს უკანასკნელი ფერის შესახებ საბოლოო დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში, ნებისთ თუ უნებლიეთ, ფერთან დაკავშირებულ ძალზე ბევრ მომენტს, ბევრ ფაქტორს ითვალისწინებს. საბოლოო ანგარიშით, ეს ურთიერთდამოკიდებულება ტრადიციული სიმბოლური სისტემის შემოქმედისეული ინტერპრეტაციის სახით გადადის ხელოვნების ნაწარმოებში.

შეიძლება შეგვედავონ: ნებისმიერი ხელოვანი პალიტრის არჩევანში თავისუფალია, არავითარ სიმბოლურ სისტემას იგი არ ეყრდნობაო. ეს მართალია, მაგრამ აღნიშნული ტრადიციული სიმბოლური სისტემა ხომ ჩვენში ქვეცნობიერადაც კი არსებობს. ბავშვის დაშოკირებულების ხასიათს ამა თუ იმ ფერის მიმართ, მასთან შეძგლომი ურთიერთობის გარდა, გარემოს, საზოგადოებრივი ცნობიერების აქტიური ზემოქმედებაც წარმართავს. საბოლოო შეჯამება და დასკვნის სახით ჩამოყალიბება კი ამ პროცესისა, რა თქმა უნდა, თავად სუბიექტში, ადამიანში ხდება. შემოქმედის ბუნება თავისებურ, მისეულ ინტერპრეტაციას აძლევს ამ დაშოკირებულებას და ხელოვნების გარკვეული დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახალი სიმბოლური შინაარსებით ამდიდრებს მას, რაც, შესაბამისად, ფერის, როგორც მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენის მისეულ გაფორმებას გულისხმობს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

¹ სიმენლეს ქმნის ის გარემოება, რომ, როგორც ნ. ვოლკოვი წერს, «Психология и физиология мозга еще не достигла уровня оптики, наука не знает пока тех сложных сцеплений опыта, которые заставляют нас чувствовать, что это красиво, а то нет» (Н. В о л к о в, Цвет в живописи, М., 1965, გვ. 87).

² В. П. З и н ч е н к о, Продуктивное восприятие, «Вопросы психологии», 1971, № 6, გვ. 41.

³ ამის თაობაზე ფრანგი მეცნიერი მორის დერიბერე შენიშნავს: «Если цвет и вызывал много споров, то главным образом из-за первоначальных неверных определений... Под одним и тем же термином «цвет» художники, текстильщики и печатники понимают обы-

чно вещество, применяемое для получения окраски, а физики — результат разложения белого цвета». (М. Дербер, Цвет в деятельности человека, сокр. перевод с французского А. М. Григорьева, М., 1964, გვ. 9).

⁴ Д. Шкловер, Предисловие к русскому изданию. В кн.: Р. Ивенси, Введение в теорию цвета, перевод с английского, М., 1964, გვ. 5.

⁵ დავასახელებთ ფერის თეორიის ენობილ მხოლოდ რამდენიმე შედარებით პოპულარულ ნაშრომს. ზემოთ ციტირებული მ. დერიბერსა და რ. ივენსის წიგნების გარდა, ასეთებია: В. Ф. Бецольд, Учение о цветах по отношению к искусству и технике, перевод с немецкого С. Ломанского, СПб., 1879; Е. Зяниц, Солнце, Цвет, Человек, Баку, 1974; М. Миннарт, Свет и цвет в природе, перевод под ред.-ей Г. А. Лейкина, М., 1969; Н. Д. Нюберг, Курс цветоведения, М.-Л., 1932; Г. Фрилинг, К. Ауэр, Человек-цвет-пространство, Прикладная цветопсихология, Сокр. перевод с немецкого О. В. Гавалова, М., 1973; Г. Цойгнер, Учение о цвете, сокр. перевод с немецкого М., 1971.

⁶ Краткая литературная энциклопедия, т. 5, М., 1968, გვ. 368.

⁷ ეს ფაქტი კი, სხვათა შორის, თანამედროვე მეცნიერების მიერ შემუშავებული იმ ზოგადი დასკვნის ერთ-ერთ პრაქტიკულ დადასტურებას წარმოადგენს, რომ: «...отражательная деятельность человеческого мозга, его механизмы, структура познавательных образов включают в себя такие элементы, которые характеризуются свойствами знаков и символов». (Л. В. Уваров, Символизация в познании, Минск, 1971, გვ. 7).

⁸ ციტირებულია მ. დერიბერის ზემოდასახელებული წიგნიდან.

⁹ მკვლევართა უმრავლესობა, მართალია, აღნიშნავს აღძვირებულ ფერის ესთეტიკური ზემოქმედების ფაქტს, მაგრამ „ესთეტიკურის“ კვლევისას, როგორც წესი, ხელოვნების ნაწარმოებთა შესწავლთ იფარგლება. ასეთი „შეზღუდვა“, სამწუხაროდ, თითქმის ყველა მეცნიერების წარმომადგენლებსთვისაც კი არის დამახასიათებელი. ერთგვარ გამოწვევას უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ ზოგიერთი ნაშრომი, რომლებშიც ხელოვნების ნაწარმოებთა ესთეტიკური ბუნება მათთვის შემომქმედ ხელოვნება სინამდვილის ესთეტიკასთან კავშირშია განხილული და რომელიც ამ გზით გარკვეულ ზოგადთეორიულ საფუძველს ქმნიან ფერის ესთეტიკასთან დაკავშირებული საკითხების ფართო წრის ჯეროვანი გათვალისწინებისათვის. მაგ.: Н. З. Чавчавадзе, О некоторых особенностях художественного отражения действительности, Тб., 1955; С. Петров, Тайны творчества, М., 1964; Л. Юлдашев, Практика как основа эстетического чувства, автореферат диссертации, М., 1964 და სხვ.

¹⁰ Б. Кавчаваძე, ესთეტიკის მეთოლოლოგიისათვის, თბ., 1977, გვ. 50.

¹¹ В. И. Ленин, Материализм и эмпириокритицизм, М., 1977, გვ. 53.

¹² საკულისხმა, რომ ამ ფაქტით — აღძვირებულ ფერის ფსიქიკური და ფიზიოლოგიური ზემოქმედების თავისებურებებით, — თავის დროზე მედიცინაც დაინტერესდა და დღეს მის მთელ რიგ დარგებში მკურნალობის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად მიჩნეულია. ვ. «Цветотерапия».

¹³ საინტერესოა ამ მხრივ ფერის ფენომენის გოთესეული შეფასება (ფერის ემოციური ზემოქმედების შესწავლის პირველი სერიოზული ცდა ხომ სწორედ მას ეკუთვნის): «Вся природа открывается чувством зрения посредством цвета... Глаз не видит формы, а только свет, темнота и цвет вместе являются тем, чем отличается для глаза предмет от предмета и части предмета друг от друга... Взятый как элемент искусства, цвет может быть использован для содействия высшим эстетическим целям... Отдельные красочные впечатления не могут быть спутаны... Они должны действовать специфически и в живом органе вызывать безусловно специфические состояния...» (В. Гете, Избранные сочинения по естествознанию, М., 1957, გვ. 269).

¹⁴ С. Петров, Тайны творчества, М., 1964, გვ. 13.

¹⁵ გ. ცოცხერი, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

¹⁶ ფერის კომპლექსური აღქმის პრობლემებზე ორმოციან წლებში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საბჭოთა მეცნიერი ს. კრაევოი. იხ. მისი გამოკვლევები: Взаимодействия органов чувств, М.-Л., 1948; Глаз и его работа, М., 1950; Цветовое зрение, М., 1951 და სხვ.

¹⁷ ა. მოლოს განხილული ნაშრომის (Теория информации и эстетическое восприятие, М., 1966) რუსული თარგმანის გამოქვეყნების შემდეგ საბჭოთა მეცნიერთა შორის აღნიშნული საკითხით განსაკუთრებული დაინტერესება შეიძინევა. ასე მაგ., ჩვენს პრობლემასთან დაკავშირებით საკუთრადღებო მასალა წარმოადგენილი გამოკვლევებში: Ю. А. Филіпьев, Сигналы эстетической информации, М., 1971; С. Р. Вартазарян, От знака к образу,

Ереван, 1973; У. И. Р и ж и н а ш в и л и, Эстетическая информация, Опыт применения идей семиотики и теории информации к анализу некоторых проблем эстетики, Тб., 1975.

¹⁸ ი. ფ ი ლ ი პ ი ე ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

¹⁹ ექსპერიმენტის გზა აქ ბერის ვერაფერს მოგვეცემს. იგი ადამიანზე ფერის ფსიქიკური და ფიზიოლოგიური ზემოქმედების შესწავლაში თუ დაგვეხმარება მხოლოდ; თუმცა, ფერის ესთეტიკის კვლევაში ამასაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა.

²⁰ ასე მაგ., გ. შარონოვი წერს: «Изучение жизни народов, находящихся на низком культурном уровне, показывает, что хотя их язык в отношении обозначения цветов иногда бывает очень беден и во многих случаях ограничивается 4—6 наименованиями, способность их зрения к различию тонких цветовых оттенков не только не ниже, а напротив, нередко выше, чем у высококультурного человека. Таким образом, здесь дело не в свойствах зрительного аппарата, а в примитивности хозяйственного уклада жизни, который довольствуясь лишь очень общим определением цвета, не нуждается в детальном описании более тонких цветовых различий» (Г. Ш а р о н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 105—106).

სხვათა შორის, როგორც ირკვევა, განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხებში ფერითი ტერმინოლოგიის შეზღუდულობას უოფის პრიმიტიულობასთან ერთად ამ ფაქტორითვე შეპირობებული სინამდვილისა და, რაც მთავარია, ფერების, როგორც ამ სინამდვილის ელემენტის, ზედმეტად სიმბოლური გააზრებაც უნდა განსაზღვრავდეს. (იხ. ამ საკითხის შესახებ: В. У. Т е р н е р, Проблема цветовой классификации в примитивных культурах (на материале ритуала идиambu); в кн.: Семиотика и искусствоведения, Современные зарубежные исследования, Сборник переводов, М., 1972).

²¹ ჩვენ აქ საესებით ზედმეტად მოგვაჩნია ყურადღება შევაჩეროთ ცხოველთა სამყაროში ესთეტიკური გრძნობის არსებობის მამტიკებელ თეორიებზე, ან ამ უკანასკნელთა კრიტიკაზე მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პოზიციებიდან.

²² К. Ж. Ж у н и с б а е в, К вопросу о специфике художественного восприятия; Вопросы истории и теории эстетики, под ред. М. Н. Афанасьева, М., 1975, გვ. 89.

²³ Р. А р н х е й м, Искусство и визуальное восприятие, сокр. перевод с англ. В. И. Самохина, Общ. ред. и вступительная статья В. П. Шестакова, М., 1974, გვ. 20—21.

²⁴ В. С. К о р н и е н к о, О законах красоты, К вопросу о сущности эстетических явлений в действительности и в искусстве, Харьков, 1976, გვ. 60.

²⁵ Л. А. П о т е б н я, Эстетика и поэтика, М., 1976, გვ. 90.

²⁶ «Лишь благодаря предметно развернутому богатству человеческого существа развивается, а частью и впервые порождается, богатство субъективной человеческой чувственности: музыкальное ухо, чувствующий красоту формы глаз, — короче говоря, такие чувства, которые способны к человеческим наслаждениям и которые утверждают себя как человеческие сущностные силы. Ибо не только пять внешних чувств, но и так называемые духовные чувства, практические чувства (воля, любовь и т. д.), — одним словом, человеческое чувство, человечность чувств, — возникают лишь благодаря наличию соответствующего предмета, благодаря очеловеченной природе. Образование пяти внешних чувств — это работа всей предшествующей всемирной истории». К. М а р к с и Ф. Э н г е л ь с, Соч., издание второе, т. 42, М., 1974, გვ. 122.

²⁷ ა. ბიზე წერს: «Интенсивное чувство природы обуславливается всегда достаточною высотой культуры, достаточным развитием ума и сердца. Только специально человеку высотою культуры, достаточным развитием ума и сердца. Только специально человеку открывается природа в своем целом и развитие чувства природы идет путями аналогичными общему развитию культуры» (А. Б и з е, Историческое развитие чувства природы, СПб., 1890, გვ. 7).

P. H. БАРБАКАДЗЕ

ЦВЕТ—ЭЛЕМЕНТ ХУДОЖЕСТВЕННОГО МЫШЛЕНИЯ

Цвет как эстетический феномен

Резюме

Чтобы проникнуть в специфику цвета как элемента художественного мышления, необходимо наряду с другими вопросами учесть путь эволюционного развития этого феномена от простого атрибута реальной действительности до элемента систем художественного творчества.

Поскольку основной характеристикой интересующего нас аспекта взаимоотношения человека с феноменом цвета является эстетизм, способность цвета к воздействию эстетически организующей силы, вышеуказанные области функционирования цвета (действительность, природа и художественное творчество, искусство) условно могут быть определены терминами: цвет—эстетический феномен и цвет — художественно-эстетический феномен.

Процесс развития цвета как элемента художественного мышления в основном отражает его постепенную символизацию. В этом процессе участвуют традиционно-элементарные, а также вторичные символические системы цветов.

Однако большей частью любая символическая система общественного характера переходит в произведение художественного творчества в интерпретации автора (писателя, творца, мастера). Нередко это последнее проявляет самостоятельность и относительную независимость от традиционной системы, путем постепенной популяризации приобретает общественный характер и в дальнейшем сама может стать одной из основ формирования новой символической системы.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაელის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაელის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის კანუოფილება

სულხან შორაანი

აზროვნება, ენა, მხატვრული თარგმანი

აზროვნების კანონები, ლოგიკის კატეგორიები¹ ზოგადსაკაცობრიო ერთეულებია, კონკრეტული ენა კი განუშეორებელი ნაციონალური თავისებურებებით ხასიათდება. ეს თავისებურებანი თავს იჩენენ ენის ნებისმიერ დონეზე, მის როგორც ფონეტიკურ, ისევე გრამატიკულ (სინტაქსურ და მორფოლოგიურ) და ლექსიკურ იარუსებზე. ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით გამოთქმული შეხედულებანი პირობითად შეიძლება სამი რუბრიკის ქვეშ გამოვყოთ. ერთი შეხედულების მიხედვით აზროვნებისა და ენის კატეგორიები იდენტურია; მეორე თვალსაზრისის მიხედვით მათ საერთო არაფერი აქვთ: „ენობრივი და ლოგიკური კატეგორიები შეუთავსებელი კატეგორიებია, რომლებიც ისე ეფარდებიან ურთიერთს, როგორც ცნებები — წრე და წითელი“ (გ. შტაინთალი); მესამეს მიხედვით კი, რომელიც, კერძოდ, ო. იესპერსენს ეკუთვნის, ენა არც ლოგიკურია და არც აბსოლუტურად ალოგიკური². ენისა და ლოგიკური კატეგორიების გაიგივებას მიუყვართ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხების აზროვნების, ლოგიკური კატეგორიების სხვადასხვაობის აღიარებამდე, რაც ეწინააღმდეგება მარქსისტული ფილოსოფიის დებულებას იმის შესახებ, რომ: „აზროვნების ზოგადი კანონები, აზროვნების ასახვითი ხასიათი ერთია სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხებისათვის“³.

აღსანიშნავია, რომ ჭერ კიდევ ჰერდერმა მე-18 საუკუნეში გამოთქვა აზრი ენასა და ნაციონალურ ზასიათს შორის ახლო კავშირის შესახებ. ჰერდერის შემდეგ, — წერს ჯ. ლაიონზი, — ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტმა ამ თეზისს კიდევ უფრო გარკვეული ფორმა შესძინა. ის ამტკიცებდა, რომ ყოველ ენას გააჩნია თავისი განსაკუთრებული სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს და ასახავს ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის აზროვნების მანერას. რწმენამ ნაციონალურ ენასა და ნაციონალურ ზასიათს შორის არსებულ კავშირში, — დასძინს ლაიონზი, რომელმაც ღრმა ფესვები გაიდგა გერმანიაში, შემდგომში წარმოშვა ექსტრავაგანტური იდეები, სადაც გამოუსწორებლად აღრეულ იქნენ ერთმანეთში რასისა და ენის ცნებები⁴. ამ იდეების უკიდურეს გამოვლინებას ეპოულობთ ფ. ნიცშესთან, რომელმაც გერმანული, ბერძნული და ინდური ფილოსოფიის სისტემების მსგავსება ახსნა იმ ენების მსგავსებით, რომლებითაც ეს სისტემები შეიქმნა. ნიცშეს ზოგიერთი გამონათქვამისათვის ადვილია მსგავსი პარალელების პოვნა დასავლეთის ზოგიერთი ენათმეცნიერის კონცეფციისაში. ნიცშე, მაგალითად, ამბობს: „ურალურ-ალთაური ლინგვისტური ჯგუფის ფილოსოფოსები (რომელთა ენაშიც „სუბიექტის“ ცნება ყველაზე უფრო ნაკლებადაა განვითარებული), ალბათ, განჰკერეტენ სამყაროს სხვაგვარად და ივლიან სხვა ბილიკებით, ვიდრე ინდოგერმანელები ან მუსულმანები: გარკვეული გრამატიკული ფუნქციების მაიძულებელი სტიმული საბოლოოდ განისაზღვრება ფიზიოლოგიური შეფასებების ძალითა და რასობრივი პირობებით“⁵. შეადარეთ ამას ლ. ვიტგენშტეინის გამონათქვამი: „ჩემი ენის საზღვრები ჩემი სამყაროს საზღვრებს ემთხვევა“⁶. სხვა ფორმით მსგავსი აზრი ჩამოყალიბებული აქვს

მ. ჰაიდეგერს: „უცხო ენა — უცხო ყოფიერების სახლია, ასე, რომ ევროპიელი ცხოვრობს არსებითად სხვა „სახლში“, ვიდრე იაპონელი. ერთი სახლიდან მეორეში საუბარი თითქმის შეუძლებელია“⁷. თუკი ჰუმბოლდტი, ნიცშე და ჰაიდეგერი ძირითადად ენის გრამატიკულ სტრუქტურას უდებენ საფუძვლად აზროვნების მანერის სხვადასხვაობას, ლ. ვაისგერბერი ამ სხვაობას ლექსიკური სისტემების რაჯურსიდან განჭვრეტს. მ. გუნზანის აზრით, ლ. ვაისგერბერის კონცეფციაში ენა შეცვლილია აზროვნებით, აზროვნების ფორმები გახსნილია ენის ფორმებში⁸.

ბევრი საერთო აქვს ევროპულ „ენობრივ სამყაროს“ ამერიკულ ლინგვისტურ დეტერმინიზმთან. ამერიკელი ინდიელების ენების შესწავლის შედეგად ე. სეპირი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მშობლიური ენის ნორმები განსაზღვრავენ იმას, თუ როგორ ვხედავთ, გვესმის და აღვიქვამთ ობიექტური სინამდვილის ამა თუ იმ მოვლენას⁹. შემდგომში მისი მოწაფე ბ. უორფი შეეცადა პრაქტიკული გამოკვლევების გზით დაესაბუთებინა თავისი მასწავლებლის ამ თეზისის ჭეშმარიტება¹⁰. სეპირისა და უორფის ჰიპოთეზას ბევრი მიმდევარი გაუჩნდა. ყურადსაღებია ამ მხრივ ა. რაპოპორტისა და ნ. ალექსანდერის შეხედულებანი. ა. რაპოპორტი წერს: „საბოლოო რეალობა სამუდამოდ მოწყვეტილია ჩვენგან ჩვენი დაკვირვებებისა და თვით ჩვენი ინტელექტის შეზღუდულობით“¹¹. შეაღარეთ ამას ნ. ალექსანდერის თვალსაზრისი: „ენა მეორე კანის ნაირსახეობაა, რომლითაც ჩვენ კონტაქტს ვამყარებთ სამყაროსთან“¹². ბ. უორფის ზემოხსენებული წიგნის წინასიტყვაობაში კი ს. ჩეიზმა ასეთი აფორისტული ფორმით განმარტა თავისი დამოკიდებულება ამ პრობლემის მიმართ: „სხვადასხვა ენების მატარებელნი სხვადასხვანაირად ხედავენ და აფასებენ კოსმოსს“¹³.

მიუხედავად იმისა, რომ ბ. უორფის გამოკვლევებში შეგროვებული და გაანალიზებულია უდიდესი მასალა ლინგვისტური ფარდობითობის თეორიის დასასაბუთებლად, და მიუხედავად იმისა, რომ ამ თეორიას დღესაც ჰყავს მიმდევრები, არ იქნებოდა გადაჭარბება იმის მტკიცება, რომ ძირითადად ეს ჰიპოთეზა მიუღებელია ენათმეცნიერთა უმეტესი ნაწილისათვის¹⁴. ჯ. ლაიონზის ზემოხსენებულ მონოგრაფიაში, მაგალითად, კვითხულობთ, რომ ენის სტრუქტურის მიერ სამყაროს აბსოლუტური კატეგორიზაცია უსაფუძვლო ჰიპოთეზაა, მაგრამ მოცემული ენის ლექსიკურ სისტემაში ასახული კულტურის თავისებურებებს მივყევართ განსაზღვრულ ლინგვისტურ და კულტურულ „ფარდობათობისაკენ“¹⁵. ყურადსაღებია ს. ულმანის შეხედულება: „ცოტა მეცნიერი თუ მიიღებს უორფის ზედმეტად დრამატიზირებულ სურათს, სადაც ადამიანი მშობლიური ენის კედლებშია გამომწყვდეული; უმეტესობა კი დაგვეთანხმება, რომ მის ძირითად პრინციპში არის ჭეშმარიტების განსაზღვრული რაოდენობა“¹⁶. ი. აპრესიანის თვალსაზრისით, არსებობს სამყაროს ორი სურათი: მარტივი სურათი და ლოგიკური სურათი. ლოგიკური სურათი საწინდარია იმისა, რომ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკენი უგებენ ერთმანეთს და ერთნაირად აფასებენ კოსმოსს. მარტივი სურათი კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ სხვადასხვა ენაში სამყაროს ესა თუ ის ნაწილი შეიძლება სხვადასხვა ინტერპრეტაციას იღებდეს. რუსულში, მაგალითად, მარტივი სურათის მიხედვით გული ისეთი ორგანოა, სადაც ლოკალიზებულია სხვადასხვა ემოცია, მაგრამ ლოგიკური სურათის მიხედვით, მეცნიერული ფსიქოლოგიის მიხედვით ეს ასე არ არის¹⁷. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამყაროს ლოგიკური სურათი უშუალო კავშირში იმყოფება ენის უნივერსალურ სტრუქტურასთან, რომელიც, როგორც ამას აღნიშნავს გ. კოლმანსკი,

ერთია ყველანაირი ენისათვის. ამ უნივერსალური სტრუქტურის რეალობა საბუთდება იმით, რომ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხები უგებენ ერთმანეთს, ერთნაირად აფასებენ სამყაროს. თარგმანის რეალობა ლინგვისტური დეტერმინიზმის უსაფუძვლობაზე მეტყველებს¹⁸.

ენისა და აზროვნების ანალიზი საფუძვლად უდევს ყველა სერიოზულ გამოკვლევას, თარგმანის თეორიაში. ამ პრობლემის ინტერპრეტაციას სხვადასხვა რაკურსიდან და მისი დათმობილი ყურადღებისა და ინტერესის გარკვეულ „დოზას“ ვხვდებით თარგმანის ისეთი თეორეტიკოსების შრომებში, როგორც არიან გ. გაჩეჩილაძე, ე. მუნენი, ა. ფედოროვი, ლ. ბარხუდაროვი, ე. ნაიდა და სხვები. ეყრდნობოდა რა ვ. ი. ლენინის ასახვის თეორიას, გ. გაჩეჩილაძე წერდა, რომ: „მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა. მასში აისახება მთარგმნელის მეთოდი და მსოფლმხედველობა, მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობა, თარგმანისა და ორიგინალის ნაციონალური სპეციფიკა“¹⁹. ნაციონალურისა და ზოგადნაციონალურის პრობლემა თარგმანისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. იგი იმპლიციტურად მაშინაც ისმის, როდესაც ლაპარაკია დედნო, წინადადების სიღრმისეული სტრუქტურის შენარჩუნებაზე თარგმანში, ზედაპირული სტრუქტურების შეცვლისას. როგორც წესი, — ამბობს ამის თაობაზე ლ. ბარხუდაროვი, — „ადეკვატური თარგმანის შემთხვევაში ორიგინალისა და თარგმანის შესატყვისი წინადადებები იდენტურია სემანტიკური სტრუქტურით, ზედაპირული სტრუქტურები კი ხშირად საკმაოდ იცვლიან სახეს“²⁰. რასაკვირველია, თარგმანში უპირველეს ყოვლისა, უნდა აისახოს დედნის ლოგიკური შინაარსი, მაგრამ მხატვრული ნაწარმოების ლოგიკად ზოგჯერ გამონათქვამის თვით ესთეტიკურ-ემოციური მხარე მოგვევლინება. რაც შეეხება წინადადების ზედაპირულ სტრუქტურას, ჩვენ სავსებით ვეთანხმებით რიჩარდ ოპმანს იმაში, რომ სიღრმისეული სტრუქტურის სხვადასხვა ტრანსფორმაციებში (ე. ი. ზედაპირულ სტრუქტურებში. — ს. ჟ.), რომელთაც ხმარობს მწერალი, აირეკლება ის, რასაც დაკვირვებული მკითხველი აღიქვამს როგორც ლიტერატურულ სტილს²¹. ამიტომ ჩვენ ფიქრობთ, რომ მხატვრული ნაწარმოების თარგმნისას წინადადების ზედაპირული სტრუქტურა უნდა გადმოსცემდეს არა მარტო ორიგინალის ლოგიკურ შინაარსს, არამედ იმ ესთეტიკურ-ემოციურ მხარესაც, რომელიც ახასიათებს საწყისი წინადადების ზედაპირულ სტრუქტურას²². პრაგმატული ფაქტორი ხომ ის „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი „ფილტრია“, რომელიც არა მარტო განსაზღვრავს თარგმნის პროცესის ხერხს (წესს), არამედ თვითონ არის თარგმანში გადმოცემული ინფორმაციის ობიექტი“²³. ენისა და აზროვნების და ადეკვატური თარგმანის შესაძლებლობის მშვენიერ ინტერპრეტაციას ვხვდებით ე. მუნენის ნაშრომში „თარგმანის თეორიული პრობლემები“²⁴. ავტორი არ უარყოფს იმ სიძნელეებს, რომლებიც წარმოიშობა თარგმნის პროცესში ენებს შორის გრამატიკული და სემანტიკური სხვაობის გამო, მაგრამ გამოაქვს სწორი დასკვნა იმის შესახებ, რომ ადეკვატური თარგმნის უარყოფის თეორია მთლიანად დაფუძნებულია გამონაკლისების, განსაკუთრებული შემთხვევების განზოგადებაზე და ამ გამონაკლისების გადატანაზე ნებისმიერ შემთხვევებზე. არ არის უარყოფილი განსაზღვრული ენობრივი სირთულეების არსებობა თარგმნის პროცესში თარგმნის ლინგვისტური თეორიის ისეთი მკვლევრის მიერ, როგორიცაა ა. ფედოროვი. ა. ფედოროვი გამოყოფს ორგვარი სახის ენობრივ სირთულეს. ერთ შემთხვევაში ორიგინალის ენის სპეციფიკურ ელემენტებს არა

აქვთ პირდაპირი შესატყვისი მეორე ენაში, მაგრამ მათი ფუნქცია კონტექსტის სისტემაში შეიძლება გადმოტანილ იყოს თარგმანში განსაზღვრული გრამატიკული და ლექსიკური ხერხებით. მეორე შემთხვევაში კი მოცემული ელემენტების ფუნქციის გადმოტანა შეუძლებელია²⁵. ავტორს მხედველობაში აქვს ორიგინალში ნახშიარი დიალექტიზმებისა და სოციალური ჯარგონების ფუნქციის ასახვა. ორიგინალში ისინი „ადგილობრივი“ სიტყვების ფუნქციას ასრულებენ, რომლის თარგმნაც შეუძლებელია. ასეთი ელემენტები წარმოადგენენ ორიგინალის ენის საერთო ნორმიდან გადახვევის შემთხვევებს. მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც კი, თარგმნის აბსოლუტურ შეუძლებლობაზე ლაპარაკი არ არის გამართლებული, რადგანაც დიალექტიზმების თარგმნისას მდებიური ენის მეშვეობით ნაწილობრივ მაინც ვინარჩუნებთ მოცემული ელემენტების განსაზღვრულ ეფექტს. ასეთ შემთხვევებში უფრო მართებულია ლაპარაკი თარგმნის შეზღუდულობაზე და არა აბსოლუტურ შეუძლებლობაზე²⁶. ა. ფედოროვიჩი მიერ ჩამოყალიბებული თარგმნის თეორიის ძირითად პრინციპში აღნიშნულია, რომ ის რაც შეუძლებელია ერთი ელემენტის მიმართ, შესაძლებელი ხდება რთული მთლიანობის მიმართ. ეს შესაძლებლობა ხორციელდება ცალკეული ერთეულების აზრობრივი და მხატვრული ფუნქციების გამოვლენისა და გადმოცემის მეოხებით და არა მათი ვიწრო ფორმალური რეპროდუცირებით. ამ ფუნქციების გამოვლენა შესაძლებელია იმ სემანტიკური კავშირების დადგენის საფუძველზე, რომლებიც მოცემულია ცალკეულ ელემენტებს შორის მთლიანის სისტემაში. ყოველი განვითარებული ენა წარმოადგენს ისეთ საშუალებას, რომლითაც შესაძლებელია მეორე ენით გამოხატული შინაარსის გადმოცემა ფორმასთან მთლიანობაში²⁷. ეს დებულება ექსპლიცირებულია ბევრ ნაშრომში, სადაც მკვლევარებს ანალიზის ობიექტად თარგმანთან დაკავშირებული სიტყვები აქვთ ამორჩეული²⁸. ჩვენ გვსურს შევხვთ ლინგვისტური კატეგორიების ერთ ფენომენს — სიტყვას, განვიხილოთ იგი მხატვრული თარგმნის კონტექსტში. ამავე დროს, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ, ერთი მხრივ, თავიდან ავიცილებთ ამგვარი გამოკვლევებისათვის დამახასიათებელ ლინგვისტურ ფორმალისტს და, მეორე მხრივ, ჩვენი შრომა არ დაემსავსება ზოგიერთ ლიტმოდულულობის ზასიათის ნაშრომს, სადაც იგნორირებულია მხატვრული ნაწარმოების ენა და მთელი ყურადღება გადატანილია აბსტრაქტულ-საეკულატური ხასიათის მსჯელობებზე²⁹.

როგორც თარგმნის შესაძლებლობა, ისევე ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკეთა ურთიერთგაგებინება დაფუძნებულია ერთი მნიშვნელობის მატარებელ ერთეულებზე, რომელთაც ხან სიტყვის მნიშვნელობით წარმოკვიდგენენ, ხან სიტყვის მნიშვნელობის ვარიანტად და ხან ცალკეულ სიტყვად. აუკი სემანტიკის ისეთ კატეგორიას, როგორიც არის სიტყვის მნიშვნელობა ან სიტყვის ცნება. „მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის“ სემანტიკური სტრუქტურიდან გამოვიყვანთ³⁰, მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხებს სხვადასხვა ცნებითი აპარატი გააჩნიათ, რადგანაც „მრავალმნიშვნელობიანი სიტყვების“ სემანტიკური სტრუქტურები, როგორც წესი, საგრძნობლად განსხვავდებიან სხვადასხვა ენებში³¹. სტატიამი „რა უნდა ჩავთვალოთ ენის ძირითად ნომინატურ ერთეულად“, ჩვენ ეს გარემოებაც გვქონდა ნაგულისხმევი, როდესაც „მრავალმნიშვნელობიანი“ სიტყვა ომონიმური სიტყვების კომპლექსად გამოვაცხადეთ, ცალკე „მნიშვნელობა“ კი სიტყვის სტატუსში ავიყვანეთ³².

ფრანგ ენათმეცნიერს შ. ბალის სჯეროდა, რომ ნებისმიერი სიტყვა დაკავშირებულია ათასგვარი ასოციაციებით სხვა სიტყვებთან. ჩვენი აზრით, ეს დებულება ჰარმონიაშია ლექსიკური ნიშნის სოსიურისეულ გაგებასთან: ენობრივი ელემენტის მხოლოდ ცნებისა და ბგერათა კომპლექსის ერთიანობად მიჩნევა უდიდესი შეცდომაა³³. მისი ამგვარი ინტერპრეტაციის შემთხვევაში იგი იზოლირებული იქნება იმ სისტემისაგან, რომელსაც იგი ეკუთვნის³⁴. შ. ბალი უდიდეს ყურადღებას აქცევდა ენის სისტემურ ხასიათს. მისი აზრით, ენობრივ სიმბოლოებს იმიტომ აქვთ განსაზღვრული მნიშვნელობა და იმიტომ ახდენენ ჩვენზე ამა თუ იმ ფექტს, რომ ჩვენი აზროვნება მყისვე აკავშირებს თითოეულ მათგანს მეტყველების ფაქტების მთელ სისტემასთან³⁵. ძნელია ამასთან დაკავშირებით უკეთესი ხატოვანი დაფორმულების ჩამოყალიბება, ვიდრე ამას თვით ბალი აკეთებს: „ყოველი სიტყვა თვალთა ჩვენი მახსოვრობის მიერ წარმოუდგენელი რაოდენობის ბოჭკოთი მოქსოვილ უნაზეს ბადეში; ათასობით ასოციაციური კავშირი თავს იყრის და გამოდის სიტყვიდან ყოველი მიმართულებით“³⁶. სტილისტური კვლევის პროცესში, მკვლევარს ყურადღების სფეროში ჰყავს მოქცეული ნებისმიერი სიტყვის „ასოციაციური ქსელი“. ამ ასოციაციების უგულებელყოფამ არ შეიძლება დალი არ დაასვას მის მიერ ენობრივი ფაქტების შეფასების ჭეშმარიტებას, არ მიიყვანოს იგი სტილისტური ნიუანსების გაუმართლებელ ნიველირებამდე. აბსტრაქციის შედეგად ბალი ყოფს ნებისმიერ გამონათქვამს ორ ნაწილად: ემოციურ და გონებრივ მხარედ. ეს მხარეები მოლაპარაკის (მწერლის — ს. ე.) სულიერ მდგომარეობასთან შესაბამისად სხვადასხვა პროპორციაში მოგვევლინება³⁷. იმისდა მიხედვით, თუ რომელი ელემენტი დომინირებს გამონათქვამში, ლოგიკური თუ ემოციური, შეიძლება ვილაპარაკოთ ლოგიკურ, ან ემოციურ დომინანტაზე. ბალი აღნიშნავს, რომ ლიტერატურაში ხატებს ყოველთვის ახასიათებს ის, რომ ისინი წარმოადგენენ ინდივიდუალური ხელოვნების შედეგს და გამიზნულნი არიან ესა თუ ის ესთეტიკური შეგავლენა მოახდინონ მკითხველზე³⁸.

მხატვრული ნაწარმოები წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელშიაც ურთიერთშეპირისპირებულია ამ მთლიანობის სხვადასხვა კომპონენტი. მისი ენობრივი ქარგა არ არის თავიდან ბოლომდე ერთნაირი ესთეტიკური ღირებულების მატარებელი, ვერ აღძრავს მკითხველში ერთნაირად მძაფრ ემოციებს. ცალკეული სიტყვიდან დაწყებული დისკურსით³⁹ დამთავრებული ემოციონალური დაძაბულობა არათანაბარია. ა. ბელის სჯეროდა, რომ ნებისმიერ ლექსში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე სიტყვა, რომლებიც ვარსკვლავებივით კაშკაშებენ. სწორედ ამ სიტყვებს უნდა უმადლოდეს ლექსი თავის არსებობას⁴⁰. ტექსტის ცალკეულ ელემენტებად დაყოფა, ამ ელემენტების სკრუპულოზური სტილისტური ანალიზი გვეხმარება უფრო სწორად აღვიქვათ იგი მთლიანობაში. ენოციურად დამუხტული ელემენტი შეიძლება იყოს ცალკეული ტროპი, გადატანითი მნიშვნელობით ნახშირი სიტყვა, მეტაფორული შეიძლება იყოს მთელი წინადადება, დისკურსი და ზოგჯერ მთელი ტექსტი, როგორც ასეთი. ტროპის მნიშვნელობაზე მხატვრულ ნაწარმოებში ძალიან ბევრია დაწერილი. რ. ბრაუნის აზრით, ვ. ნაბოკოვის რომანის ლოლიტას მთავარი გმირის ჰამბერტის მანიაკური ავტორცობით შეპყრობილი სულდ უდიდესი ძალით მხოლოდ მეტაფორულ მეტყველებაში ვლინდება⁴¹. სწორად შენიშნავს მეტაფორასთან დაკავშირებით შ. ბალი, რომ ჩვეულებრივი ხატიც კი წარმოდგენას გვაძლევს ადამიანის აზროვნების სტრუქტურაზე⁴². ჰეგელს სჯეროდა, რომ აზრის მეტაფო-

რული გამოხატვა აძლიერებს გრძნობას და თვალსაჩინოს ხდის მას⁴³. ბ. მეილახის აზრით, პოეტური მეტაფორა მაღალგანვითარებული აზროვნების თვისებაა⁴⁴. იგი აღვიძებს მკითხველის მხატვრულ წარმოდგენას. აიძულებს მას პოეტთან ერთად გაიაროს სინთეზისა და ასოციაციის გზები; მეტაფორაში განსაკუთრებული ძალით ვლინდება მოცემული მწერლის ინდივიდუალური აღქმა სინამდვილისა⁴⁵.

თუკი მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მეტაფორის კონსტრუირებაში მონაწილეობს ორი ძალა — მოცემული ენის სტრუქტურული თავისებურება და მოცემული პოეტის ორიგინალური მხატვრული აზროვნება, ნათელი გახდება, რომ მეტაფორული მეტყველების თარგმნა ერთი ენიდან მეორეზე დაკავშირებული უნდა იყოს განსაკუთრებულ სიძნელეებთან. ჩვენ შეპარისპირებითი სტილისტიკურ-სემანტიკური ანალიზის ობიექტად ავიჩინეთ ვაჟაფშაველას პოეტური მეტყველების ის მონაკვეთები, რომლებიც, გ. კიკნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, განუმეორებელი, არნახული, მაგრამ ამასთანავე ბუნებრივი ხატების სამყაროს წარმოადგენენ⁴⁶; ზოგიერთი მათგანა კი აქამდე ქართული პოეზიისათვის მიუწვდომელი ნიმუშია⁴⁷. არ შეიძლება არ დავეთანხმეთ გ. კიკნაძეს იმაშიც, რომ „ბუნების მოვლენებს ვაჟას ზილის შემდეგ კიდევ უფრო ემატებათ ღირებულება“⁴⁸. გველის მკამელში პოეტი ამბობს:

„დილაზე ფრთადაკეცილთა, ნამტირალევთა ღამითა,
მთებზე ვძინა ნისლეზსა მიტკლით შეკრულის თავითა“.

ფართოდ გავრცელებული აზრის თანახმად, იმისათვის, რომ ორი გამოხატვაში სინონიმურად ან ადეკვატურად (თარგმნის შემთხვევაში) ჩაითვალოს, ან იმისათვის, რომ შესაძლებლობა მოგვეცეს ორი გამოხატვამის სტილისტიკურ-ემოციური მხარის იდენტიფიკაციის, მათი დაპირისპირებისა და შეფასებისა, ამ ორი გამოხატვამის ლოგიკური შინაარსი იდენტური უნდა იყოს⁴⁹. ყველაზე უფრო ზოგადი განმარტებით ეს შინაარსი მოცემულ ნაწყვეტში შეიძლება განვმარტოთ როგორც დილა მთაში. ამ თემის კონკრეტიზაცია ხდება ვაჟას ერთ-ერთი უსაყვარლესი, მის მიერ მეტაფორიზაციისა და პერსონიფიკაციისათვის მრავალჯერ ნახმარი სიტყვის — ნისლის — მოქმედების აგენსად წარმოდგენის შედეგად. პოეტური გამოხატვამის სიღრმისეული სტრუქტურა ასეთია: ნისლებს ფრთები დაუკეციათ; ნისლებს ღამე უტირიათ; ნისლებს სძინავთ; ნისლებს თავი აქვთ მიტკლით შეკრული. შევადაროთ ორიგინალის ამ ნაწყვეტებს ბ. პასტერნაკისეული თარგმანი:

«С утра седловины кряжа
Покрылись толпой покаянной:
Под платами, крылья сложа,
Потупясь, стояли туманы».

იმავე თემის კონკრეტიზაცია თარგმანში უკვე ორი აგენსის — ხალხისა და ნისლის მეშვეობით ხდება: ხალხი მოეფინა ქედებს; ნისლებს ფრთები დაუკეციათ; ნისლები იდგნენ; ნისლებს თავი დაეხარათ.

როგორც ვხედავთ, ორიგინალისა და თარგმანის სემანტიკური სტრუქტურა⁵⁰ არ არის სინონიმური. გვაძლევს თუ არა ეს უფლებას, რომ თარგმანი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩავთვალოთ უხეიროდ? ჩვენი აზრით, ასეთი დასკვნა ნაადრევი იქნებოდა. მოცემულ ნაწყვეტში გამოხატვამის ესთეტიკურ-ემოციური მხარე დომინირებს ლოგიკურ მხარეზე. გამოხატვამის თემა, მისი სემანტიკური სტრუქტურა მხოლოდ საშუალებაა მიზნის ხორცშესასხმელად. მიზანი კი იმაში მდგომარეობს, რომ ენის სუბსტანციაში დატყვევებულ იქნეს

მშვენიერების წამი, განსაკუთრებული ენერგიით აისახოს სამყაროს მხატვრული ღირებულება⁵¹, სიმულტანურად გამოიხატოს ამ ღირებულებით გამოწვეული პოეტის სულიერი მდგომარეობა. ვაჟას პოეტური ხედვით დატყვევებული ბუნების სურათები იმიტომ გამოირჩევიან განსაკუთრებული გამომსახველობით, რომ მის ხატებში არ შეიძლება არ შევამჩნიოთ სამყაროს გარკვეული კონცეფცია⁵², ის ადგილი, რომელიც პოეტმა მიუჩინა მოცემულ „საგნებს“ თავის სამყაროში. თუკი თარგმანში შენარჩუნებული იქნება ორიგინალის ესთეტიკურ-ემოციური დომინანტა, მაშინ განსაზღვრული ლოგიკურ-სემანტიკური გადახვევა შეიძლება გაპართლებულ იყოს. რა ესთეტიკურ-ემოციური ღირებულება აქვს, კონკრეტულად, იმ სემანტიკურ „ინოვაციას“, რომელიც მთარგმნელს შემოაქვს ტექსტში? შეიძლება ითქვას, რომ მას არავითარი ღირებულება ამ მხრივ არ გააჩნია. ხდება უბრალოდ ფაქტის კონსტანტაცია, გარკვეული ლოგიკურ-სემანტიკური ინფორმაციის გადმოცემა:

«С утра седловины кряжа
Покрылись толпой покаянной».

ენობრივი ხატით გამოწვეული ესთეტიკური სიამოვნება დაკავშირებულია შემეცნებით გამოწვეულ სიხარულთან⁵³, როდესაც მკითხველი შეიცნობს პოეტის მიერ საგნებში შემჩნეულ იმ შესაძლებლობებს, რომლებიც შეუმჩნეველი იყო სხვებისათვის, თუმცა მათ ათასჯერ ჰქონდათ მანამდე ამ საგნებთან საქმე⁵⁴. ამ მხრივ ეს „ინოვაცია“ უფრო პროზაულია, ვიდრე პოეტური. თარგმანის მოძღვენო სტრიქონებში კი უდავოდ საქმე პოეტურ ხატთან გვაქვს:

«Под платями, крылья сложа,
Потупясь, стояли туманы».

ორიგინალშიც და თარგმანშიც ნისლი პერსონიფიცირებულია: მას ადამიანის, ცოცხალი არსების ნიშან-თვისებებით ახასიათებენ. ეს სიტყვა ოს ლოგიკურ-ემოციური ფოკუსია, რომელზედაც პროდუცირებულია რიგი მეტაფორულად ნახშიარი სიტყვები და შესიტყვებები: მანდილს ქვეშ, ფრთადაკეცილნი, თავდახრილნი იდგნენ (ნისლები). არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თარგმანში მოცემულია სიტყვების უჩვეულო შეხამება, არც მანდილი, არც ფრთები და არც თავდახრილი დგომა არ წინასწარმეტყველებს ნისლს. ეს ქმნის გამონათქვამის ესთეტიკურ ღირებულებას, ემოციური დომინანტა დევნის ლოგიკურ შინაარსს. რაც უფრო მოულოდნელია მოცემული ენობრივი ფაქტი მოცემულ გამონათქვამში, მით მეტი მნიშვნელობა აქვს მას და, პირიქით, რაც უფრო მოსალოდნელია იგი, მით ნაკლები⁵⁵. თუკი ინფორმაციის თეორიის ამ დებულებას კონტექსტუალური სემანტიკის ენაზე ვთარგმნით, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ, რაც უფრო მოულოდნელია მოცემული ენობრივი ფაქტი, მით მეტია მისი ესთეტიკურ-გამომხატველობითი მნიშვნელობა⁵⁶. აღსანიშნავია, რომ „СТОЯЛИ ТУМАНЫ“ (იდგნენ ნისლები) რუსულში ჩვეულებრივი შესიტყვებაა და მხოლოდ წინამავალი სიტყვების გავლენის შედეგად იძენს სიტყვა СТОЯЛИ ერთგვარ მეტაფორულ იერს: თუკი ნისლი თავდახრილია, იგი შეიძლება იდგეს კიდემოულოდნელობის ფაქტორის უგულებელყოფა მეტაფორის ესთეტიკურ-გამომხატველობითი ღირებულების კონსტრუირებაში არ იქნებოდა გამართლებული, მაგრამ არც ამ ფაქტორის აბსოლუტიზაციაა მისაღები⁵⁷. მეტაფორის ემოციურ-ესთეტიკური ღირებულების კონსტრუირებაში დიდი როლი აქვს აგრეთვე იმ რეალურ სურათს, რომელსაც მოცემული მეტაფორა წარმოგვიდგენს. ამ მხრივ ბ. პასტერნაკისეული გავრცობილი მეტაფორა გაცილებით უფრო ნაკ-

ლები ღირებულებიდან, ვიდრე მისი ორიგინალის პარალელი. ნისლები ორიგინალში თავის განმსაზღვრელ მეტაფორებთან ერთად უშუალოდ იღებენ მონაწილეობას ბუნების სურათის, მოცემული თემის — აღწერაში.

ვაჟას გავრცობილი მეტაფორა კვანტიტატიურადაც და კვალიტატიურადაც „აღემატება“ მის პასტერნაკისეულ ინტერპრეტაციას. თარგმანში ხატი ერთგვარად მოწყვეტილია ბუნებას, დროსა და სივრცის პერსპექტივას. ეს აიხსნება იმით, რომ მთარგმნელს შემოჰყავს მეორე აგენსი — ხალხი — და ამ აგენსის მოქმედებას აკავშირებს ამ ფაქტორებთან. ორიგინალში ცალკეული სიტყვა-მეტაფორა უფრო კონკრეტულია მასთან დაკავშირებული დროისა და ადგილის აღმნიშვნელი სიტყვების გამო. მაგალითად, ვაჟა ამბობს: „დილაზე ფრთადაქცილთა“, პასტერნაკი — „крылья сложя“; ვაჟას ბრწყინვალე ხატი — „ნამტირალევთა ღამითა“, რომლის შინაგანი ფორმა, ამ ტერმინის პოტენციისეული გაგებით, ცხადლივ წარმოგვიდგენს არა მარტო თვით ნისლს, არამედ მის მიერ ღამით დაღვრილ ცრემლებსაც, დილით ნამად რომ მოფენია მთებს, საერთოდ ვერ პოულობს ვერავითარ შესატყვისს თარგმანში; უფრო მოულოდნელია, კონკრეტული და ამაღლევებელი „მთებზე ეძინა ნისლებსა“, ვიდრე შედარებით აბსტრაქტული და ხშირად მხარებელი ენობრივი შტამში „стояли туманы“, დაბოლოს „под платями“ არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი მეტაფორული შესიტყვების ეკვივალენტად, როგორცაა „მიტკლით შაკრულის თავითა“, რომელიც გაცილებით უფრო მოულოდნელია და მეტ ინტელექტუალურ დაძაბულობას მოითხოვს მკითხველის მხრივ. ამასთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს, რომ გავრცობილი მეტაფორა პოტენციურად უფრო ორიგინალურია, ვიდრე მეტაფორული სიტყვა, რადგანაც სიტყვებზე რაოდენობა შედარებით განსაზღვრულია ენაში, შესიტყვებებისა კი განუსაზღვრელია⁵⁸. რასაკვირველია, თუკი გავრცობილი ხატის ნებისმიერი ელემენტი აღემატება ესთეტიკური თვალსაზრისით მის ნათარგმნ პარალელის ელემენტებს, მაშინ მთლიანობაში აღებულიც, იგი უფრო მაღალმხატვრული იქნება და თუკი ერთი მწერლის ხატების (ამ შემთხვევაში ენობრივისა) ხარისხი უფრო დაბალია, ვიდრე მეორესა, მაშინ მთელი მისი ნაწარმოებიც ნაკლებად მხატვრული იქნება⁵⁹.

ლევ ტოლსტოის კარგად აქვს ნათქვამი, რომ პოეტის ხელოვნება მდგომარეობს მის მიერ ერთადერთი აუცილებელი (საჭირო) სიტყვებისათვის ერთადერთი აუცილებელი განლაგების პოვნაში⁶⁰. სწორედ ასეთი სიტყვები და ასეთი განლაგება აქვს ვაჟას ნაპოვნი, როდესაც ამბობს:

გ ა ე ა

„ცაზე ჰევიან ღრუბელნი,
შვის სხივებს ჰსეამენ დილითა.
მთებს აუხსნათ პირბადე
შვილებით, შვილი-შვილითა“.
(„სისხლის ძიება“)

ნ . ზ ა ბ ლ ო ც ე ი

«Когда румяным утром мая
Цветут на небе облака,
Семейство гор, чадру снимая,
Глядит на нас издалека».

ორიგინალშიც და თარგმანშიც პერსონიფიცირებულია ორი აგენსი: ღრუბელნი და მთები. ორიგინალში ღრუბელნი ცაზე ყვავიან. ყვავილსა და ღრუბელს შორის სემანტიკური ძაფის გაბმა თავისთავად არის უკვე ესთეტიკური ღირებულების დამკვიდრება. ეს უდავოდ მშვენიერი მეტაფორაა, მაგრამ არცთუ ძალიან ორიგინალური. ქართულსა და რუსულ ენაშიც მეტაფორიზაციის ისეთი მოდელი, როდესაც ყვავილის — თავისთავად მშვენიერი საგნის და საერთოდ მშვენიერების სიმბოლოს — ნიშან-თვისებები ნაკლებად მშვენიერსა და ნაკლებად ამაღლებულზე გადააქვთ საკმაოდ ტრადიციულია. ხშირად ვხვდებით რუ-

სულსა და ქართულში ისეთ შესიტყვებებს, სადაც ჰყვავის არა მარტო კონკრეტული უსულო საგანი, როგორცაა ღრუბელი, არამედ ისეთი აბსტრაქციაც, როგორცაა: სული, ან ადამიანი, სავაჭრო ან სამრეწველო საწარმო, სახელმწიფო და ა. შ. ნ. ზაბოლოცკი ზუსტად თარგმნის ამ მეტაფორას და, ჩვენი აზრით, მიუხედავად ამ პედანტური სიზუსტისა მისი ესთეტიკური ღირებულება ტოლფასი ორიგინალისა, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, ორივე ენის ამ კონკრეტული მოდელის (მეტაფორიზაციის) პროდუქტიულობით აიხსნება. რას წარმოადგენს ორიგინალში მომდევნო სტრიქონი? შევეცადოთ ავხსნათ მისი ემოციურ-ესთეტიკური ღირებულება მოულოდნელობისა და მეტაფორიზაციაში მონაწილე საგნების ესთეტიკური ფასით, მეტაფორის მიერ წარმოდგენილი ობიექტური სინამდვილის მშვენიერებით. პოეტი ამბობს ღრუბლებზე: „მზის სხივებს სვამენ დილითა“.

ამ მეტაფორის მოდელი ასეთია: ერთი მხრივ, უსულო საგანს მიწერილი აქვს სულიერის ნიშან-თვისება — ღრუბელი სვამენ და, მეორე მხრივ, მზის სხივები გარდამავალი ზმნის „სვამენ“ პირდაპირი დამატების ფუნქციაში წარმოდგენილია როგორც წყურვილის მოსაკლავი სითხე. მთლიანობაში ეს მეტაფორული შესიტყვება მოულოდნელობის უმაღლეს გრადაციას შეიძლება მივაკუთვნოთ. თვით საგნებიც და დროს ლოკალიზაციაც თავისთავად ესთეტიკური კატეგორიებია — მზის სხივი, დილა, ღრუბელი. მაგრამ ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, განსაკუთრებული ხაზი გაუუსვათ იმ გარემოებას, რომ პოეზიის ზოგიერთი შედეგის, კერძოდ ვაჟა-ფშაველას ენობრივი ხატების ახსნა მოულოდნელობისა და მეტაფორიზაციაში მონაწილე საგნების ესთეტიკური ღირებულების პარამეტრებით თითქმის შეუძლებელია. ხატის ემოციურ-გამომხატველობითი ძალა სიხშირისა და საგნების ესთეტიკური ღირებულების მარტივი არითმეტიკული ჯამი კი არ არის, არამედ ამ ორი პარამეტრის ისეთი შენაერთია, რომლის შედეგად თვისობრივად ახალი სუბსტანცია წარმოიქმნება.

ვაჟას ამ ბრწყინვალე „აღმოჩენას“ ნ. ზაბოლოცკი საკმაოდ ბანალური ფრაზით ცვლის: „Когда румяным утром мая“, რუსულ ენაში სიტყვა румяный ძალიან ხშირად ეხამება სიტყვა щеки-ის (წითელი, ლაღაჯა ლოყები) და ეს ასოციაციური კავშირი ერთგვარ მეტაფორულ იერს აძლევს ამ სიტყვას დილასთან კავშირში, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს შესიტყვება საკმაოდ ხშირად არის ხმარებული რუსულ ენაში და ენობრივ მეტაფორას უფრო ჰგავს, ვიდრე კონტექსტურს⁸¹.

შემდგომში ორი სტრიქონის თარგმანთან შედარება ცხადყოფს, რომ ლოგიკური შინაარსის მნიშვნელოვანი შეცვლის მიუხედავად თარგმანში ნაწილობრივ შენარჩუნებულია ორიგინალის ესთეტიკურ-ემოციური შინაარსი. მთარგმნელმა ვერ შესძლო ვაჟას უაღრესად კონკრეტული, ორიგინალური მეტაფორისათვის ეკვივალენტი „აღმოჩენა“, რაც უდავოდ არღვევს ორიგინალისა და თარგმანის მხატვრულ ტოლფასოვნებას: „Семейство гор“ გაცილებით ნაკლებად მეტყველია, ვიდრე მთები შეილებითა და შეილიშვილებით, მაგრამ ამ დანაკარგის ნაწილობრივ აღდგენას მთარგმნელი ახერხებს ასეთი მეტაფორის შემოტანით: „Глядит на нас издалека“ აღსანიშნავია, რომ მთების მზერა ძალიან დამახასიათებელია ვაჟას ხატების მთელი სისტემისათვის, და ეს „ინოვაცია“ ამ მხრივ სავსებით გამართლებულია. მთლიანობაში კი განხილული მეტაფორული სურათი ორიგინალისა გაცილებით უფრო მალალმხატვრულია, ვიდრე მისი რუსული ნაირსახეობა.

ვაჟა-ფშაველას გავრცობილი მეტაფორების თარგმანებთან შეპირისპირებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ თარგმანში ვაჟას ენობრივ ხატებს სისტემატურად, მეთოდურად აკლდება კონკრეტულობა და ამასთან ერთად გამომხატველობითი ძალაც. ვაჟა ამბობს: „მთებმა დახუჭეს „თვალეები“. ვ. დერჟავინი თარგმნის: „Горы меркнут“. ბრწყინვალე მეტაფორა:

„აღარ შფოთავენ საფლავში
გმირთ ოფლის მღვრელი ძვლები“ —

თარგმანში გაცილებით უფრო პროზაული გამონათქვამით წარმოგვიდგება:

«...Спят герои,
Что в могилу с поля битвы
В боевом поту сошли».

ვაჟა პირდაპირ ასახელებს საგანს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე არქმევს მას ახალ სახელს და დასახელებასთან ერთად ამკვიდრებს მას როგორც ასეთს⁶². ამიტომ, რომ მის პოეზიაში მეტაფორა მხატვრულობისა და ემოციურობის დამკვიდრებაში გადაწყვეტი ფაქტორია⁶³. თარგმანი კი ზოგჯერ ორიგინალის ინტერპრეტაცია-განმარტებას უფრო ჰგავს: „Спят герои“-ს მოჰყვება განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, თითქოსდა იმისათვის, რომ მკითხველმა ნაკლებად დაძაბოს ინტელექტი, ადვილად გაიგოს რომელ გმირებზეა ლაპარაკი.

ლ. რუბინშტეინის ერთი შეხედვით პარადოქსულ დებულებაში, რომ ლაპარაკი მხოლოდ ურთიერთობის დამყარებაა და არა აზროვნება⁶⁴ — არის ერთი მეტად რაციონალური მომენტი: ყოველგვარი გამონათქვამი არ კარნახობს მსმენელს (მკითხველს) ერთნაირ სტიმულს აზროვნებისათვის⁶⁵. ზოგი გამონათქვამი მართლაც რომ არ შეიძლება აზროვნების ეტალონად ჩათვალოს. ერთსა და იმავე თემაზე დაფუძნებული ორი გამონათქვამიც კი სხვადასხვა პროპორციით შეიცავს ურთიერთობისა და აზროვნების ელემენტებს.

ეს უკანასკნელი მეტი პროპორციით მოგვევლინება ორიგინალში, ვიდრე თარგმანში:

„ღღემ დაიხურა პირ-ბაღე,
მთებმა დახუჭეს თვალეები.
აღარ შფოთავენ საფლავში
გმირთ ოფლის მღვრელი ძვლები.“

«День оделся покрывалом.
Горы меркнут. Спят герои,
Что в могилу с поля битвы
В боевом поту сошли».

არ შეიძლება გულისტკივილი არ გამოითქვას იმის თაობაზე, რომ ვაჟასეული მთის ბუნების ამსახველი მეტაფორების სისტემატური ახსნა-განმარტებანი თარგმანებში, მათი შეცვლა შედარებებით, ან სხვა, ვაჟას პოეტური ხილვისათვის არადამახასიათებელი ხატებით არა მარტო ფიტავს მის ნაწარმოებებს ესთეტიკურ-გამომსახველობითი ძალისაგან, არამედ პერსპექტივას უცვლის მწერლის მსოფლმხედველობას, ბუნების ვაჟასეულ ხილვას პოეტური სიტყვის პრიზმიდან. ერთხელ კიდევ გვიჩდება გამეორება იმისა, რომ ვაჟა მეტაფორით ამკვიდრებს ახალ საგნებს. მას შეუძლია თქვას ასე:

„ნაძინარევი ღვეები
ისევ ბურანში არიან,
ერთს ადგილს ღღოთ ტანჯულნი
შეპირვებულან ძალიან“.

ენის გენია კი არ ახვევს პოეტს თავის რიგორისტულ კანონებს, არამედ ვაჟას გენია განსაზღვრავს ენას, აიძულებს მის სუბსტანციას შეედნოს თავის ჩანაფიქრს. ვაჟას პოეზიაში აბსოლუტური თავისუფლების ილუზია გვექმნება.

არ იგრძნობა ის ფორმალური შეზღუდვა, რომელსაც ენობრივი მატერია ახვევს თავს შემოქმედს. ეს, ე. სეპირის სიტყვებით რომ ვთქვათ, დიდი ხელოვნების დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა⁶⁶. ვაჟა ამბობს: დევები არიან ბურანშიო და ნისი ფრაზა არ საჭიროებს კომენტარებს იმის თაობაზე, რომ დევები მთებია, არც იმას უსვამს ხაზს პოეტი, რომ დევები საუკუნეების მანძილზე დგანან ერთ ადგილას, რაც ისევ და ისევ იმპლიციტური განმარტებაა: „დევები მთებია“. ამ სტროფის ვ. დერჯავინისეული თარგმანი სტრუქტურულ მოდიფიკაციას უქვე-თებს ვაჟას ხატებს, უქარგავს მათ ორიგინალობას:

«Горы были, словно дэвы
После сна, еще в дремоте,
Простоять века на месте
Было тягостно для них».

ვაჟასეული ხატების ესთეტიკური ღირებულება არ მდგომარეობს მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ ნისი უახლოესი მშვენიერი გარემოს მშვიდ განჰკრეტა-ში. როდესაც პოეტის სულიერი მდგომარეობა შემოქმედებით ევზალტაციას აღწევს და იფრქვევა თვალისმომჭრელი ხატების ნაკადად, ამ წმიდა ესთეტიკურ ფენომენში ყოველთვის შეიძლება სუბიექტის შემჩნევა, ვაჟას „მე“ ისმის ყო-ფიერების ყველაზე უფრო ღრმა უფსკრულიდან. ვაჟა არ ცხოვრობს მხოლოდ და მხოლოდ თავისი ხატების გარემოცვაში, არ ტყბება მათი მშვენიერების მშვიდი ჰკრეტი. ვაჟას გარემომცველ ბუნების სურათს მიჰყავს პოეტი თავისი თავის აღიარებამდე, როგორც წმინდა, შეუდრეკელი და მშვიდი სუბიექტისა. ვაჟაზე ითქვა: „მთების სიმძლეს შერასა რომ მიაყრობდა, ადამიანებშიც ასეთ სიმძლევებს შეჰფოფინებდა და ამიტომაც მიიჩნევდა თვით მთების სიდიადის საზომად ადამიანური ყოფის ნიშანსვეტს — ფიქრს, აზრსა და გონებას“⁶⁷. ვაჟას გენიას ესმის ხელოვნებმ მარადიული რაობა. ის ჩვენ ზღაპრულ არსე-ბას გვაგონებს, რომელსაც რაღაც სასწაულის გზით შეეძლო საკუთარი თვალე-ბის შემოტრიალება და თავისი თავის დანახვა შიგნიდან: ამ დროს ვაჟა სუბიექ-ტიცაა და ობიექტიც. პოეტიცა და მკითხველიც. ამიტომ არის ვაჟას პოეზიის თარგმნა განსაკუთრებულად ძნელი.

როდესაც ვაჟასთან ცალკეული ელემენტის ხედრით წონაზეა ლაპარაკი მთლიანისადმი მიმართებით, იგულისხმება ზოგადისა და კერძოსათვის დამა-ხასიათებელი ურთიერთკავშირიც. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ არსებითი სიტყვის, არსებითი ხატის არაარსებითი შეცვლა მოასწავებს მხატვრული პერს-პექტივის გადაგვარებას, ჩვენ სრულიად არ ვიზღუდებით ამ მოცემული ელე-მენტის ფარგლებით. ჩვენ მეთოდურ, დიდ შეცდომად მიგვაჩნია მეტაფორის შედარებით თარგმნა არა მხოლოდ იმიტომ, რომ მეტაფორა თავისთავად არის უფრო რაფინირებული მხატვრული აზროვნების მოდელი, არამედ, კიდევ იმი-ტომ, და შეიძლება ითქვას, რომ უფრო იმიტომ, რომ ჰეშმარიტად მალა-მხატვრული ნაწარმოები ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგანმსაზღვრე-ლი სიტყვების სისტემაა და არა სიტყვების მექანიკური გროვა. ელემენტის შე-ცვლას სისტემის შეცვლისკენ მივყავართ. ვაჟას მიერ მოცემული თემის მეტა-ფორული გაშლა ხასიათდება ერთგვარი ფსიქოლოგიური დინამიზმით, დამა-ბულობით; ერთი მეტაფორა მეორეში გადადის; მეტაფორულ მეტყველებას ჩვეულებრივი მეტყველება ენაცვლება: ხატების ქარიშხალს, მოცემულ მო-მენტში, ერთადერთ საპირო მომენტში, მოჰყვება არსებითი ხატის ექსპლიკაცია. ფროიდის სიტყვებით რომ ვთქვათ, ხდება განსაზღვრული „დამაბულობის მოხს-ნა“. რაც უფრო ფართოა კონტექსტი (იდეალურად ასეთი კონტექსტი მთელა

ნაწარმოები), მით უფრო აღვილია ნაწარმოებში ფსიქოლოგიური დაძაბულობის დინების იდენტიფიკაცია და ანალიზი, მაგრამ ასეთი შესაძლებლობა ერთი სტატიის მოცულობაში გამოირიცხულია. დაეკმაყოფილდეთ ერთი დისკურსით, სადაც მთის აღწერა და მის მიმართ პოეტის დამოკიდებულებაა გამოხატული. თავიდანვე აღვნიშნოთ, რომ ვ. დერჯაინი დევების ექსპლიკაციით დისკურსის დასაწყისშივე: „მთები — დევებს გვანდენო“ — არღვევს ვაჟას თხრობის ტემპის თავისებურებას, მისი გავრცობილი მეტაფორისათვის დამახასიათებელ ფსიქოლოგიურ კონვენციას. ორიგინალის ნატიფი მშვენიერება ამ ასპექტში სამუდამოდ დაკარგულია. ვაჟა დევებზე ლაპარაკობს და არა მთებზე და ამას მთელი დისკურსისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც გავრცობილ მეტაფორას ერთგვარ დაძაბულობაში ჰყავს მკითხველი მანამდე, სანამ პოეტი არ მიიჩნევს საჭიროდ პირდაპირ დაასახელოს მეტაფორის უკან მდგარი საგანი, დაასახელოს საგანი თავისი სიტყვით: სიტყვა მთა ამ დისკურსში იქ არის ნახმარი, სადაც ის ფსიქოლოგიურადაც და ესთეტიკურადაც აუცილებელია. ეს არის დიდი პოეტის მიერ ერთადერთი საჭირო სიტყვისათვის ერთადერთი საჭირო განლაგების დამკვიდრება. მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ დევების იმპლიციტური ექსპლიკაცია მათ მთებით დასახელებამდეც ხდება:

„ნამძინარევი დევები
 ისევ ბურანში არიან,
 ერთს აღვიღს დგომით ტანჯულნი
 შეგებრებულან ძაღვან;
 მზე რო მოვალს, მამინის
 შაკს ნისლეხს გადაიკრიან,
 თუნდ მთლად ქვეყანა დაეცესო,
 აბჭართ არ ჩამაიყრიან;
 გულ-მკერდს ერთმანეთს აბჭენენ
 წარბშეუხრებლად მდგარნია,

წვანან ხმაამოუღებლად,
 როგორც ხაფლავეში მკვდარნია.
 ნეტავ ბუნების ქმნილება
 სხვა მათ რა შეადარება,
 მაღალზე შავი ჭანლები
 თავზე რომ დღეფარება!
 ნისლი ფეჟრია მთებისა,
 იმათ კაცობის გვირგვინი
 მიყვარს შეუღრეკს მათს მკერდზე
 ხშირის ბალახის ბიბინი“.

ჩვენ მიერ ხაზგასმულია პოეტის სეტაფორული მეტყველების ნიმუშები, ის ადგილები კი დისკურსში, სადაც ხდება ხატის ექსპლიკაცია, ხაზგაუსმელად გვაქვს დატოვებული. ასეთია ამ დისკურსის მეტაფორული აზროვნებისა და ხატის ექსპლიკაციის ტემპი. სამწუხაროდ, თარგმანში იგი დაკარგულია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სტილის ტემპი, ამ სიტყვის ფართო გაგებით, განისაზღვრება, როგორც ეს ფ. ნიცშეს ეგონა, „რასის თავისებურებებით, ფიზიოლოგიურად რომ ვთქვათ, მისი „ნივთიერებათა ცვლის“ საშუალო ტემპით“⁶⁸. და ამიტომ მისი შენარჩუნება თარგმანში საერთოდ შეუძლებელია. განხილულა მაგალითიდან ჩანს, რომ ტემპის დაკარგვა გამოწვეულია არა რასული თავისებურებებით, არა აზროვნების აპარატის თავისებურებებით, არამედ სისტემის ერთ-ერთი არსებითი ელემენტის ფუნქციის უგულებელყოფით.

მხატვრული აზროვნება აზროვნების უმაღლესი ფორმაა. ამ აზროვნების ერთ-ერთი მანიფესტაციაა მეტაფორული მეტყველება, რომლის ბუნება იმაში მდგომარეობს, რომ მწერალი ექსპლოატაციას უწევს მშობლიური ენის სტრუქტურულ თავისებურებებს... სინონიმური და ანტონიმური სიტყვების რიგებს, ომონიმური სიტყვების რაოდენობასა და მათ შორის სემანტიკური კავშირის თავისებურებებს, სინტაქსურ მოდელებს, ენის ფონეტიკურ მხარეს. ეს გარემოება მოასწავებს იმას, რომ მეტაფორული მეტყველების სიტყვასიტყვითა თარგმანი ერთი ენიდან მეორეზე უმეტეს შემთხვევაში გამოირიცხულია. მაგრამ ნებისმიერ ენას გააჩნია ყველა ენისათვის საერთო უნივერსალური სტრუქტურ-

რა, რომელიც ლექსიკის დონეზე ერთი მნიშვნელობის მქონე ომონიმური და ჩვეულებრივი სიტყვების სახით ვლინდება. სწორედ ეს ელემენტები უდევს საფუძვლად ურთიერთგაგებინებას როგორც ერთსა და იმავე, ისევე სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეთა შორის.

რაც უფრო დიდია მოცემული ენის სტრუქტურის ორიგინალობა, მით უფრო ნაკლებია სიტყვასიტყვითი თარგმნის შესაძლებლობა. სიტყვასიტყვითი თარგმნის შესაძლებლობა კიდევ უფრო გამორიცხულია იმ შემთხვევაში, როდესაც დიდი მგოსანი თავისი ნიქის შესაბამისად თავისებურ ყალიბში ათავსებს მშობლიური ენის რეალურ და პოტენციურ შესაძლებლობებს. ენის რაობა, მ. ჰაიდგერის აზრით, პოეზიის რაობიდან გამომდინარეობს⁶⁹. მხატვრული თარგმანის რაობა კი, ჩვენ ასე გვჯერა, გამომდინარეობს იქიდან, საიდანაც იწყება აზროვნება ხატებით.

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ა

¹ ცნება, მსჯელობა, დასკვნა.

² O. Espersen, *Философия грамматики*, М., 1958, გვ. 397.

³ К. Маркс и Ф. Энгельс, *Соч.*, изд. 2, т. 32, გვ. 121.

⁴ J. Lyons, *Introduction to theoretical linguistics*, Cambridge, 1969, გვ. 24.

⁵ Ф. Ницше, *По ту сторону добра и зла*, М., 1903, გვ. 32.

⁶ Л. Витгейнштейн, *Логико-философский трактат*, М., 1958, გვ. 80.

⁷ См., И. Пшиготажева, М. Хайдеггер и неогумбольдтианство, «Вестник МГУ», 1970, № 3, გვ. 58.

⁸ Гухман М. М., *Лингвистическая теория Вейсгербера*, «Вопросы теории языка в современной зарубежной лингвистике», М., 1961.

⁹ E. Sapir, *Conceptual Categories in Primitive Languages*, «Science», Vol. 74, 1931.

¹⁰ B. Worf, *Language, Thought and Reality*, New York-London, 1956.

¹¹ A. Rapoport, *Science and the Goals of Man, Study in Semantic Orientation* N. Y., 1950, გვ. 175.

¹² N. G. Alexander, *Meaning in Language*, Illinois, 1969, გვ. 127.

¹³ იხ. ციტ. ნაწ. გვ. 10.

¹⁴ Г. А. Брутян, *Философия сущности теории лингвистической относительности*, НДВШ, *Философские науки*, 1963, № 4; М. Блэк, *Лингвистическая относительность*, В кн.: *Новое в лингвистике*, Вып. I, М., 1960.

¹⁵ იხ. ციტ. ნაწ., გვ. 433.

¹⁶ S. Ullmann, *Language and Style*, Oxford, 1964, გვ. 216.

¹⁷ Ю. Апресян, *Лексическая семантика*, М., 1974, გვ. 57.

¹⁸ ენისა და აზროვნების დრმა ანალიზი ამ ასპექტში მოცემული აქვს გ. კოლშანსკის შემდეგ შრომებში: *Соотношение субъективных и объективных факторов в языке*, М., 1975; *Логика и структура языка*, М., 1965.

¹⁹ Г. Гачечиладзе, *Введение в теорию художественного перевода*, Тбилиси, 1970, გვ. 149.

²⁰ Л. Бархударов, *Язык и перевод*, М., 1975, გვ. 167—168.

²¹ Ohmann R., *Generative Grammers and the Concept of Style*, *Word*, 20, 1964, 423—439.

²² Lewin K., *Essay on language and literature*, Boston, 1967, გვ. 224—230.

²³ А. Швейцер, *Перевод и лингвистика*, М., 1973, გვ. 243—244.

²⁴ G. Mounin, *Les problèmes Théoriques de la traduction*, Paris, 1963.

²⁵ А. Федоров, *Основы общей теории перевода*, М., 1968, გვ. 145.

²⁶ იქვე, გვ. 146.

²⁷ იქვე, გვ. 144.

- ²⁸ იხ. მაგალითად, В. Г а х и Е. Р о й з е н б л и т, Очерки по сопоставительному исследованию русского и французского языков, М., 1965; И. Р е в з и н и В. Р о з е н ц в е й г, Основы общего и машинного перевода, М., 1973, გვ. 158—196.
- ²⁹ ეს ფაქტი აღნიშნული აქვს აგრეთვე ე. ფატიუშჩენკოს. იხ. К вопросу о преемственности и развитии лингвистических понятий («Метафора»), «О принципах и методах лингвистического исследования», М., 1966.
- ³⁰ В. З в е г и н ц е в, Семасиология, М., 1957.
- ³¹ Г. В. К о л ш а н с к и й, Соотношение субъективных и объективных факторов в языке, М., 1973, გვ. 180.
- ³² С. Ж о р д а н и я, Что следует считать основной номинативной единицей языка? «Русский язык в грузинской школе», 1976, № 4.
- ³³ Ф. д е С о с с ю р, Курс общей лингвистики, М., გვ. 113.
- ³⁴ Ш. Б а л л и, Французская стилистика, М., 1961, გვ. 89.
- ³⁵ იქვე, გვ. 89.
- ³⁶ იქვე, გვ. 29.
- ³⁷ იქვე, გვ. 310.
- ³⁸ იქვე, გვ. 219.
- ³⁹ Н. С л ю с а р е в а, Гиперсинтаксический уровень языка и грамматическое значение, Тезисы симпозиума «Проблема значения в современной лингвистике», Тбилиси, 1977, გვ. 62.
- ⁴⁰ В. В. В и н о г р а д о в, О теории художественной речи, М., 1970, გვ. 371.
- ⁴¹ R. B r o w n, A Review of Nabokov's Lolita. «Psycholinguistics», USA, 1970, გვ. 371.
- ⁴² იხ. ცოტ. ნაწ., გვ. 219.
- ⁴³ Г. Ф. Г е г е л ь, Лекции по эстетике, соч., т. 12, М., 1938, გვ. 414.
- ⁴⁴ Б. М е й л а х, Метафора как элемент художественной системы, «Вопросы литературы и эстетики», Л., 1958.
- ⁴⁵ იქვე, გვ. 203.
- ⁴⁶ გ. კ ი კ ნ ა ძ ე, ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა, თბილისი, 1975, გვ. 34.
- ⁴⁷ იქვე, გვ. 9.
- ⁴⁸ იქვე, გვ. 35.
- ⁴⁹ R. B r o w n, Psycholinguistics, U S A, 1970, გვ. 337.
- ⁵⁰ უ. ჩეიფის აზრით, სიღრმისეული სინტაქსური სტრუქტურა აღენტურია სემანტიკური სტრუქტურისა. იხ.: Значение и структура языка, М., 1975.
- ⁵¹ Б. М е й л а х, цит. нр., გვ. 205.
- ⁵² А. Б е г и а ш в и л и, Философия и поэзия, Тбилиси, 1973, გვ. 45.
- ⁵³ იქვე, გვ. 46.
- ⁵⁴ იქვე, გვ. 42.
- ⁵⁵ J. L y o n s, Introduction to theoretical linguistics, Cambridge, 1969.
- ⁵⁶ იხ. ს. ქოჩიაძე, სიტყვის სემანტიკის ზოგიერთი თავისებურება მხატვრული ნაწარმოების ენაში, მესამე რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხებზე. მოხსენებათა თეზისები, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ინსტიტუტი, თბილისი, 1976.
- ⁵⁷ იხ. ს. ქოჩიაძე, ზოგიერთი მოსაზრება მეტაფორის სემანტიკურ სტრუქტურასთან დაკავშირებით, X სამეცნიერო სესია, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ინსტიტუტი, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1976.
- ⁵⁸ G. M i l l e r, Language and communication, N. Y., 1963, გვ. 93.
- ⁵⁹ Л. Т и м о ф е е в, Основы теории литературы, М., 1976, გვ. 115.
- ⁶⁰ Л. Т о л с т о й, В книге «Русские писатели о языке», Л., 1955.
- ⁶¹ მხედველობაში გვაქვს ფ. დე სოსიურის ენისა და მეტყველების დიქოტომია.
- ⁶² პოეტის მიერ საგნების ნომინაციასთან დაკავშირებით იხ.: ვ ა ჯ ა ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., ტ. X.
- ⁶³ იხ. ა. ხინთიბიძე, შედარება, წიგნში: „ვაჟა-ფშაველას ბახტრიონი“, თბილისი, 1972.
- ⁶⁴ Л. Р у б и н ш т е й н, Бытие и сознание, М., 1957, გვ. 170.

⁶⁵ Б. Серебряков, *Общее языкознание*, М., 1970, გვ. 67.

⁶⁶ E. Sapir, *Language*, U S A. 1949, გვ. 221—223.

⁶⁷ ვ. ქვაჩახია, გენოსთა სამყაროში, „ლიტერატურული საქართველო“, 1977 წ. 25 პატი.

⁶⁸ იხ. ციტ. ნაწ., გვ. 33.

⁶⁹ იხ. ციტ. ნაწ., გვ. 307.

С. Д. ЖОРДАНИЯ

ЯЗЫК, МЫШЛЕНИЕ, ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ПЕРЕВОД

Резюме

Законы мышления, логические категории едины для всех языков. В основе любого языка лежит одна универсальная структура, которая и является залогом взаимопонимания людей, говорящих на разных языках.

На уровне лексики основной единицей реализации перевода является однозначная единица, которая во многих случаях принадлежит к классу омонимов — слов с одинаковым звучанием и с неодинаковым значением. Универсальность данной единицы заключается в том, что она называет единый для всех народов кусочек экстралингвистической реальности (предмет, ментальный образ, понятие), а специфичность — тем особым, присущим этой единице положением в лексической системе данного языка, которым она характеризуется. Данное положение, сугубо национальное, конституируется отношением единицы к другим единицам языка: синонимам, антонимам, омонимам и т. д.

Поэтическое высказывание, и, особенно, развернутая метафора передает информацию как логическую, так и эмоциональную, но эта последняя в ней доминирует. Эмоциональное содержание метафоры во многом определяется структурным моментом, местом метафорически употребляемого слова в лексической системе. Квантитативно-квалитативная данность определенной омонимической группы в данном языке — явление сугубо узуальное, определяющее в некоторой степени модель метафоризации, которая обыкновенно не совпадает с соответствующей группой омонимов в другом языке. Этот факт исключает возможность дословного перевода. Для сохранения логико-эмоционального инварианта переводчику уже надо будет «не переводить» образную речь, а творить ее: создавать образы через иные интрасловесные ассоциации.

В основе любого окказионального употребления слов в поэтической речи лежит узуальный фактор: модель метафоризации. Однако гениальные художники слова, нередко в большой степени отклоняясь от данной модели, создают шедевры образного мышления. Такими шедеврами пестрит поэзия Важа-Пшавела. Адекватный перевод его образной речи безусловно предполагает переводчика-поэта самого большого калибра в кооперации с лучшими знатоками творчества гениального мыслителя. Существующие переводы поэзии Важа-Пшавела нельзя признать адекватными оригиналу. Принципиально признавая возможность полноценного перевода художественных произведений, автор верит, что в содружестве с грузинскими специалистами русские поэты-переводчики представят творчество Важа-Пшавела в самом близком приближении к оригиналу.

ი. ქვეკვიძის სახ. თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ

ნანა დილოძე

ერთი ძართული ზღაპრის („ბროწეულის წყარო“) ავტორის საკითხისათვის

1897 წელს აკაკი წერეთელმა დააარსა ჟურნალი „კრებული“, რომელიც გათვალისწინებული იყო მისი თხზულებების გამოქვეყნებისა და ფოლკლორული ნიმუშების პოპულარიზაციისათვის.

„კრებულის“ პირველსავე ნომერში (1897 წლის სექტემბერი) აკაკი აქვეყნებს ეთნოგრაფიულ წერილს სხვიტორის შესახებ, რასაც მოჰყვება ზღაპარი „ბროწეულის წყარო“. ამით აკაკიმ დასაბამი მისცა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიული მასალებისა და ამავე მხარეებში გავრცელებული ხალხური შემოქმედების ნიმუშების ჩაწერა-გამოქვეყნებას „კრებულის“ ფურცლებზე. აკაკის მაგალითს მიბაძეს სხვებმა და ჟურნალში ტრადიციად იქცა ანალოგიურად შედგენილი მასალის პუბლიკაცია.

„ბროწეულის წყარო“ მიჩნეულია აკაკის მიერ ჩაწერილ ხალხურ ზღაპრად, რომელიც მწერალმა სოფელ სხვიტორში მოიპოვა. ზღაპარი აკაკის ჩაწერილად მიაჩნიათ მიხეილ ჩიქოვანს¹, ქსენია სიხარულიძეს² და თამარ ოქროშიძეს³, თუმცა, თამარ ოქროშიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ზღაპარს ეტყობა მწიგნობრული გავლენა, რომ იგი არ იცავს დიალექტს და სტილისტურად გამართულია. „ეს ზღაპარი, — წერს თამარ ოქროშიძე, — საკმაოდ სტილიზებულია. ხალხური მთქმელის მხატვრულ ოსტატობას აღემატება ზოგიერთი თქმა აღნიშნულ ძეგლში: „ბატირდა, აავსო ცრემლებით მიღუბი და წყაროდ ბროწეულის თავზე გადააჩუხჩუხა“⁴.

აკაკის მიაჩნდა, რომ ფოლკლორული ნიმუშები უნდა იქნეს ჩაწერილი სტენოგრაფიული სიზუსტით. ამას ითვალისწინებდა ხალხური შემოქმედების შემკრებთა პროგრამაც, რომლის შედგენის ერთ-ერთი ორგანიზატორი თვითვე იყო.

აკაკი წერდა: „ბატონყმობის დროს აქაც (სხვიტორში) იყვნენ მესტიერები, კარგი მოშიარეები და მეზღაპრეები. დღეს არავინ მისდევს ამას და თუ გაიგონებთ იშვიათად სადმე, იმასაც ახალი დროის შესაფერად გადმოსხვაფერებულსა და გაფუჭებულს“⁵. ჩანს, მწერალი თვითონვე იყო სკეპტიკურად განწყობილი სხვიტორის მიდამოებში მთქმელთა არსებობისა და მათი კვალიფიციურობის შესახებ, მით უმეტეს, რომ იგი მთქმელისაგან მოითხოვდა უმაღლეს პროფესიონალიზმსა და ჩამწერისაგან მეტად დაკვირვებულ და ყურადღებიან მუშაობას. მამ რატომ აკლია ზღაპარს, როგორც აღნიშნავს თამარ ოქროშიძე,

¹ მ. ჩიქოვანი, ხალხური სიტყვიერების ისტორია, I, თბ., 1975, გვ. 237.

² ქს. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, თბ., 1956, გვ. 69.

³ თ. ოქროშიძე, „აკაკის კრებული“, ლიტერატურული ძეგლები, ტ. VII, თბ., 1951, გვ. 330.

⁴ იქვე.

⁵ აკაკის „კრებული“, 1897, № 1; სოფ. სხვიტორი (შორაპნის მახრ.). V, გვ. 5.

დიალექტური სიზუსტე, რატომ აქვს მას დახვეწილი სტილი, რატომ მოგვაგონებს იგი ლიტერატურულ ნიმუშს და არა უბრალო გლეხის მიერ მოყოლილ ზღაპარს მუდამ ნალელიანი ხელმწიფისა და დევის მიერ გატაცებული დედოფლის შესახებ?

ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე ვარიანტი ხალხური ზღაპრისა „ბროწეულის ზღაპარი“ და არა „ბროწეულის წყარო“, რომელსაც სიუჟეტურად არაფერი აქვს საერთო აკაკის მიერ გამოქვეყნებულ ზღაპართან. „ხალხური სიტყვიერების“ მეორე ტომში⁶ ვხვდებით ამ ზღაპრის ერთ ვარიანტს. ზღაპარში ლაპარაკია ადამიანის თავის სიმსხო ბროწეულებზე, რომლებსაც ვილაც დამწიფებას არ აცლიდა, საგულდაგულოდ კრეფდა. ხელმწიფის შვილები ცდილობენ დაიპირონ ქურდი; იგი დევი აღმოჩნდება. უმცროსი ვაჟი მისდევს დევის კვალს და აქედან იწყება მისი ფათერაკებით აღსავსე საოცარი თავგადასავალი, რომელიც, რასაკვირველია, კეთილის გამარჯვებითა და ბოროტის განადვურებით სრულდება.

აკაკის ზღაპარი კი სულ სხვა შინაარსისაა. მას არ გააჩნია მსგავსი სიუჟეტი „ბროწეულის ზღაპრის“ სათაურით ცნობილ ზღაპრებში, არც სხვა რომელიმე ხალხურ ზღაპართან აქვს სრული დამთხვევა. ზღაპარი რამდენიმე ეპიზოდსაგან შედგება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი წარმოადგენს კონტამინაციის საშუალებით შექმნილ ერთ დასრულებულ, სტილისტურად დახვეწილ თხზულებას.

ზღაპარი იწყება ოდნავ სახეშეცვლილი ფორმულით: „იყო და იყო, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, ერთი ხელმწიფე იყო და ორი ვაჟიშვილი ჰყავდა, ნანატრი და სანაქებო“. ტრადიციული რიცხვის სამის ნაცვლად აქ ორი ძმა გამოყვანილი, სამი გზის ნაცვლად ორი გზაა, რომელსაც ძმები მიაღებდნენ. „წავიღნენ, დიდი იარეს. პატარა იარეს, ცხრა მთა გადაიარეს და მიაღვნენ ერთ ორკაპალა გზას. მარცხნივ ეკლიანი იყო და მარჯვნივ ია-ვარდით მოფენილი“. ზღაპრისათვის საერთოდ დამახასიათებელია ძმების გაყრის მოტივი სამ გზაზე. თითოეულ გზაზე მათუწყებელი ქვა დევს წარწერებით. უფროსი ყოველთვის ორჩევს შედარებით მშვიდობიანს, საშუალო ნაკლებად სახიფათოს, ზოლო უმცროსი ფათერაკებისა და უბედურების მომასწავებელ გზას დაადგება. მ. ჩიქოვანი აღწერს ამ მათუწყებელი ქვის მოტივის ყველა ვარიანტს, რაც კი ქართულ ხალხურ ზღაპარში ვხვდებავ. მკვლევარს არსად არა აქვს აღნუსხულა მსგავსი ვარიანტი, ე. ი. ორკაპალა გზა, ერთი მხარე — ეკლიანი, მეორე — ია-ვარდით მოფენილი. მას მხოლოდ აკაკის ზღაპარში ვხვდებით.

ზღაპრის ზოგიერთ მოტივს ადვილად ეძებნება ვარიანტი. მაგალითად: ხელმწიფის ვაჟი და მისი ბიძაშვილი გზაში შეხვდებიან კაცს, რომელსაც წისქვილის ქვები წაბოუცვამს მუხლის კვირისთავეებზე და ისე დარბის. მეორე კაცი დამზობია დედამიწას და ყველაფერს ისმენს და ხედავს შიგ რაც ხდება. გაუცინარი ხელმწიფე და დევის მიერ მოტაცებული დედოფლის გამოხსნა უმცროსი ვაჟის მიერ გვხვდება ბევრ ხალხურ ზღაპარში. მაგ., „გაუცინარი ხელმწიფის ზღაპარი“ (ქართული ხალხური ზღაპრები, შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1951, წიგნი I, გვ. 139). გაუცინარ ხელმწიფეს ჰყავს სამი ვაჟი. შვილებს სურთ გაიგონ, რატომ არ იციან მათი მამა. მამა გაგზავნის ვაჟებს ბროწეულის მოსატანად. ბროწეულის ხე დგას იმ ციხის ძირში, სადაც დევს დედოფალი ჰყავს

⁶ ქართული ხალხური ზღაპრები, II, მ. ჩიქოვანის რედაქციით, თბ., 1952, გვ. 290.

⁷ მის. ჩ. ი. კ. ე. ა. ნ. ი, მე-17 საუკუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრები, მრავალთავი, გვ. 139.

დატყვევებული. უმცროსი ვაჟი ბევრი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ მიაღწევს საწაღელს. იხსნის დედას ტყვეობისაგან და, მიუხედავად ძმების ლალატისა, ზღაპარი კეთილად სრულდება. ამ ზღაპარს ბევრი საერთო აქვს აკაკის ზღაპართან. აქაც ხელმწიფე გაუცნობარია; აქაც ბროწეულის ხეა ფიგურირებული; ემთხვევა აგრეთვე ძმთა ლალატი; ბოროტ სულად ორივეში დევია გამოყვანილი და იმ დევის სული, გონება და ძალა სხვადასხვა ჟრინველებსა და ცხოველებში ინახება. მიუხედავად ამ სიუჟეტური დამთხვევებისა, ზღაპრები მაინც ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

აკაკისეულ ზღაპარში დევ-კაჟის სული ჩიტში არის მოთავსებული, რომელიც პატარა ოქროს კოლოფში ზის. ყუთის გაღება მხოლოდ ამირანის გასაღებით არის შესაძლებელი, ხოლო ამირანის გასაღები სამყურა ბალახია. ამ სამყურა ბალახის ამბავი არღვევს ზღაპრისათვის დამახასიათებელ მარტივ კომპოზიციას, მოქმედების თანმიმდევრობას. ხელმწიფის ვაჟი კითხულობს, რა არის ამირანის გასაღებიო. დედოფალი პასუხობს: „რა არიო და სამყურა ბალახიო... დიდხან იყო კლდეში მიჯაჭვული ამირან გმირთა-გმირი, მისი ცოდვით დედამიწა იწვოდა და ცა და ქვეყანას ებრალებოდა, მაგრამ ვერაფერს უშეკლა... ბორკილი არ ტყდებოდა. ერთხელ მოვიდა ქიანჭველა და უთხრა: მეცოდები რომ აგრე იტანჯები და თუ დამიმადლებ, გიმეელი, აგიშეებო. ამირანს გაეცინა და უთხრა, დედამიწის ზურგზე შენზე პატარა არა დაცოცავს რაო, მაგრამ გულა კი ყველაზე დიდი გქონია და შეუძლებელს იჩემებო. ქიანჭველამ უთხრა: აჰა, მე გეტყვი და შენ ყური დამიგდეო. ერთხელ გველმა ბაყაყი დაიჭირა, ჩაყლაპვა უნდოდა, ღერამ გააშვებინა. ბაყაყმა თავს უშველა, გადახტა ბალახებში და მოგლიჯა მატიტელა ბალახი, დაიდვა ნაკბენზედ და წყლული მოიშუშა. მე გამიკვირდა, მივედი მატიტელასთან და ქება შეეასხი: „ბალახი შენ ყოფილხარა-მეთქი“ — ბალახი მე კი არა ვარ, აგერ ჩემს გვერდით რომ სამყური იზრდება, ის არის, რომ ცხრაკლიტულებს ალებს და ბორკილებს ამტვრევს... მიღების მეტი არა უნდა რაო. ეს რომ გაეიგონე, მივედი, მოვგლიჯე სამყურს მეოთხე ფოთოლი და წამოგიღეო. მიცოცდა, მიაღვა ამირანის ჭაჭეს და გაიხსნა ბორკილი. ამირანმა თავი აიშვა და ქიანჭველა დალოცა. რაც ტანი გაქ, ერთი ათასად იმაზე მეტი ძალა მოგეცესო. ეს სამყური ბალახი ამირანს, რაღი თავი აუშვია, გადაუგდია, წყეულ დევ-კაჟს უპოენია და სადღაც დამალული აქვს“.

ამირანის მხსნელი ბალახით, ანუ გასაღებით, კოლოფის გახსნა, სადაც დევის სულია დამწყვდეული, უცნობა ქართულ ზღაპრისათვის. ბალახის მაგიური ძალა, ჭადოსნური გასაღები — ცნობილი და გავრცელებული მოტივებია, მაგრამ ამირანის შემოიყვანა ზღაპარში და თანაც ამგვარ სიტუაციაში, არ არის ქართული ზღაპრისათვის ნიშანდობლივი. ხომ არ შეიძლება ვთქვათ, რომ აკაკიმ ამირანს, რომელიც მისი საყვარელი გმირი იყო, ვერც ახლა აუთარა გვერდი და როგორც გმირთა გმირი თვითონ შემოიყვანა ზღაპარში?

სხვა მოტივებიც, მაგალითად ძმის ლალატი, გმირის სიკვდილიც არაა ახალი, მაგრამ უფრო საინტერესოა ზღაპრის ფინალი. ხალხური ზღაპრისათვის. გამონაკლისის გარდა, დამახასიათებელია კეთილი ზოლო. ხალხი მისწრაფებს სიკეთისაკენ და ამიტომაც ამარჯვებინებს კეთილს და თრგუნავს ბოროტებას. აკაკის ზღაპრის ბოლო არაა კეთილი. გმირი იღუპება, ხოლო სიკვდილის შემდეგ ირკვევა სიმართლე. მკვდარს აღიარებენ გმირად და გუნდრუქს უქმევენ. „მაგრამ ყოველთვის, სწორედ იმ დროს, ერთი მამალი შემოჭდებოდა ხოლმე კომის თავზე და გააბამდა ყივილს“, — კეთილუბობთ ზღაპარში. ხელმწიფე დაინ-

ტერესდება ამ ამბით და ძიძიშვილი მოახსენებს: „მე ვიცი ჩემო ხელმწიფეო! ის მამალი ქვეყნის უმადურობას ყვიისო: ცოცხალი რომ საბატეში გყავდათ და მკვდარს მარმარილოს კოშკი აუგეთ, სიცოცხლეში რომ კიჟინას აყრიდით და ახლა კი თაყვანს სცემთ, მაგითი ამ საწყალს რა გაუკეთდებაო“. შერცხვა ხელმწიფეს, დაფიქრდა და სთქვა: არც არაფერი მაგ მამლის ყვიილიდან გამოდისო. თუ მაგდენი იცოდა, ადრე დაეყვილა, ის არა სჯობდაო? ახლა ან მკვდარს რაღასა არგია და ან ცოცხალსაო?“ ეს ახალი მოტივია, რომელიც არც ერთი ხალხური ვარიანტით არ დასტურდება. ხალხური ზღაპრისათვის არ არის დამახასიათებელი მოვლენათა ანალიზი, გმირთა მოქმედების შეფასება, რასაც ადგილი აქვს აკაკის ზღაპარში. ეს ზღაპარი უფრო ფართო ფუნქციას ასრულებს, უფრო დიდსა და საჭირობოროტო ტვირთს იკიდებს, ვიდრე ხალხური ზღაპრისათვისაა ნიშანდობლივი. აქ საკითხი საზოგადოებრივ ურთიერთობას ეხება, რაც მუდმივად აწუხებდა მწერალსა და რომლის მოწესრიგებისთვისაც იღვწოდა მთელი თავისი შემოქმედებითა და პირადი საქმიანობით. გმირის დაუფასებლობა, მისი გარიყვა და განწირვა დამახასიათებელი თვისება იყო აკაკისდროინდელი საზოგადოებისათვის. გმირის სიკვდილისშემდგომ აღიარებაც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა, რაც მუდამ აწუხებდა აკაკის, ხოლო მყვიანა მამალი ისეთი ცრუგმირია, რომელიც ვერ ბედავს სიმართლის თქმას მაშინ, როდესაც შეიძლება საქმეს კიდევ რაღაც ეშველოს. ამიტომაც გადაჯარგა იგი მწერალმა ცხრა მთას იქით.

თუ დავაკვირდებით ზღაპრის ენას, სტილს, აქაც დავინახავთ დამთხვევას აკაკის ლალ, სასაუბრო მეტყველებასთან. მაგ., „არ გაუვლია დიდ ხანს, რომ ჯავრმა აიტანა უმცროსი ძმა, გული გაუსკდა და მოკვდა. მისი სიკვდილი არავის შეუშინებია, მაგრამ დედოფალმა მეტი ვერ მოითმინა და გადმოყარა კურცხალი. ხელმწიფე შეშინდა და გამოჰკითხა მიზეზი. „ვაი თქმასა და ვუი უთქმელობასაო!“ — წამოიძახა დედოფალმა, არ ვიტყვი, ღმერთსა ვცოდავ და თუ ვთქვი, შენც გაგწირავ და ჩემს თავსაცო“. შევეუპირისპიროთ ეს პატარა ნაწყვეტი ზღაპრიდან ასეთივე პატარა ნაწყვეტს „ბაში-აჩუკიდან“. „საკენკით მოტყუებული და ალერსით თვალახვეული კახეთი მიხვდა, რომ უბედურებაში იყო ჩავარდნილი, მაგრამ თანვე იგრძნო თავისი უძლურება და გაკმინდა ხმა. „სულ არარაობას ცალუდელი ხარი სჯობიაო“. — სთქვა თავის სანუგეშებლად და წაუშვირა კისერი უღელს!“ მოყვანილი ციტატების სტილისტური მსგავსება, მუსიკალური ელერადობის ერთიანობა და მათი სინტაქსური დამთხვევა გვაფიქრებინებს, რომ ორივე მოყვანილი ადგილი აკაკის ხელიდანაა გამოსული.

თუ დავუკვირდებით ზღაპარს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აკაკიმ ხალხური ზღაპრების მოტივებზე შექმნა ორიგინალური თხზულება, ლიტერატურული ზღაპარი, რომელსაც „ბროწეულის წყარო“ უწოდა.

Н. Г. ДОЛИДЗЕ

ОБ АВТОРСТВЕ ОДНОЙ ГРУЗИНСКОЙ СКАЗКИ
(«ГРАНАТОВЫЙ РОДНИК»)

Резюме

В труде рассмотрен вопрос народности сказки «Гранатовый родник», которую опубликовал Акакий Церетели в своем сборнике «Кребули» в 1897 году. Сказка, по мнению ряда ученых, считается народной, писатель записал ее в селе Сачхере.

Автор статьи не разделяет этого мнения, она считает ее оригинальным произведением, созданным по сказочным мотивам.

В труде рассмотрены мотивы, чуждые сказочному эпосу. Утонченный стиль повествования, осложненная сюжетная композиция придают сказке литературную окраску. Фантастическая народная сказка вмещается в строгие сюжетные рамки, подчиняется единой композиционной схеме, поэтому всякое отклонение подтверждает ее ненародное происхождение.

После сравнения сказки с прозаическими сочинениями Акакия Церетели автор приходит к заключению, что стиль сказки «Гранатовый родник» и рассказов Акакия Церетели одинаков, что подтверждает ее мысль об авторстве сказки.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

ფიქრია ზანდუკალი

დაძმობილების მოტივისათვის ქართულ ზღაპრებში

ზღაპარი ხალხის ცხოვრების, მისი ფიქრებისა და მისწრაფებების, განცდებისა და იდეალების მხატვრული ზორცშესხმაა. მასში მკვეთრად ვლინდება ამა თუ იმ ხალხის ბუნება და თავისებურებანი. ზღაპრების მოტივთა შესწავლა თვალნათლივ ამტკიცებს, რომ ფოლკლორში გამჟღავნებული ტენდენციები ხალხის რეალური ცხოვრებიდან, ყოფიდან მომდინარეობს. ამ მხრივ საინტერესო სურათს იძლევა დაძმობილების მოტივის კვლევა ქართულ ზღაპრებში.

დაძმობილების ანუ ძმადნაფიცობის ტრადიციას საქართველოში თავისი ღრმა საფუძველი ჰქონდა. ქართველი ხალხის ისტორია ბრძოლის ისტორიაა. მტერთან გაშუღმებული შერკინება მოითხოვდა გარკვეულ შეკავშირებას, ძალთა გაერთიანებას. ამის ერთ-ერთი გამომხატველი ძმადნაფიცობაც იყო. პოლიტიკურ ვითარებასთან ერთად გასათვალისწინებელია სოციალური გარემო და ყოფითი მომენტებიც. მთაში, სადაც მძიმე პირობებში უხდებოდა ხალხს არაუბობისათვის ბრძოლა, მკაცრ ბუნებასთან ჰიდილი, სადაც კოლექტიური შრომის საპირობის საკითხს თავად ცხოვრება აყენებდა, ბუნებრივია, ნოყიერი ნიადაგი უნდა შექმნილიყო ძმადნაფიცობის ინსტიტუტისათვის და მართლაც ასე მოხდა. დაძმობილებას პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონდა. ძმადგაფიცულთაგან თუ ერთ-ერთი დაიღუპებოდა, მეორე ვალდებული იყო დაღუპულს მშობლებსათვის პატრონობა გაეწია და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, დაძმობილება ჩვენი ცხოვრების სიღრმიდან მომდინარე ობიექტური მიზეზებით განპირობებული ინსტიტუტი იყო. ამ ფაქტმაც დიდად განსაზღვრა მისი სიძლიერე და ნანგრავლივობა.

ცხადია, დაძმობილება მხოლოდ და მხოლოდ ქართული მოვლენა არაა. იგი საერთაშორისო გავრცელებისაა და დასტურდება მსოფლიო ხალხთა, განსაკუთრებით მთის მოსახლეობის (ჩერნოგორელები, სკანდინავიელები, კავკასიური ტომები) ცხოვრებაში. უფრო მეტიც, ძმადნაფიცობის ინსტიტუტის ცალკეული მხარე ზოგჯერ აღმკვეთურიც კი არის სხვადასხვა ხალხში. მაგალითად, აღმოსავლეთ აფრიკის ტომებში გავრცელებული ძმადშეფიცვის წესები დიდად მიაგავს ჩვენში დადასტურებულ წეს-ჩვეულებებს. როგორც ჩანს, ძმადნაფიცობის ინსტიტუტს მასშტაბურობა და გლობალურობა არ აკლდა, მაგრამ განსაკუთრებით გვიანდა ხაზი გავუსვათ იმ გარემობას, რომ ქართულ ზღაპრებში, რა თქმა უნდა, არა იმდენად მთაურულ მოტივს აქვს ადგილი, რამდენადაც ქართული ადგილობრივი ყოფიდან წარმოჩენილ და ამოტივტივებულ მომენტებს.

დაძმობილების მოტივს, როგორც უძველესი ყოფითი ტრადიციის ანარეკლს ზღაპარში, არ შეიძლება არ მკვლევართა ყურადღება არ მიექცია. მაგრამ რამდენადაც კვლევის თანამედროვე ეტაპზე ზღაპართან დაკავშირებული სხვა საკითხები უფრო მეტად იპყრობს ყურადღებას, ამდენად ხსენებულ საკითხზე არსებული გამოკვლევები შედარებით მკირეა. პრობლემის შესწავლის თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ მისი ჩიქოვანის გა-

მოკვლევა, რომელიც ერთდროს 1937 წ. განოცემულ „ქართული ზღაპრების“ ტომს. ცხოველთა ეპოსის მხატვრული კომპოზიციის საკითხებზე მსჯელობისას მკვლევარი ინტერესდება ცხოველთა შეხვედრებით, რომელიც, მისივე სიტყვებით, ქართულ და კავკასიურ ფოლკლორში გაშინააჩსებულია გმირთა დამშობილებით. აქვე წარმოდგენილია ცხოველთა დამშობილებს სიუჟეტური სქემა და უარყოფით-დადებით შეხვედრებზე მსჯელობა. იგივე მოტივი უფრო ღრმად და ჭაფუჭვლიანად შესწავლილია შ. შ. ჩოქოვანის ნაშრომში „საგვირო-რომანტიკული მოტივები ქართულ ეპოსში“³. აქ ყურადღება გამახვილებულია დამშობილების არსებით მხარეებზე, და გაკეთებულია საინტერესო დასკვნები.

ინტერესს იმსახურებს აგრეთვე თორნიკე ჭყონიას გამოკვლევა «მადნაფიცობის კულტი საქართველოში და „ვეფხისტყაოსანში“»⁴. როგორც სათაურიდანვე ჩანს, აქ „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემატიკაა წინა პლანზე წამოწეული, მაგრამ წერილი თუ ჩვენს ყურადღებას იმსახურებს, ეს იმიტომ, რომ პარალელების სახით ავტორს საინტერესო მასალები მოჰყავს ხალხური შემოქმედებიდან და სათანადოდაც აანალიზებს მათ. თ. ჭყონიას გამოკვლევა საინტერესოა იმიტომ, რომ იგი უხე მასალას იძლევა მადნაფიცობის ისტორიის შესასწავლად.

ასევე მნიშვნელოვანია ალ. ღლონტის გამოკვლევა „ქართული ხალხური ნოველა“. მკვლევარი შენიშნავს, რომ ნოველაში დამშობილებაზე მხოლოდ ორიოდ სიტყვითაა ნათქვამი და ამას სამართლიანად ხსნის თვით ნოველის სპეციფიკით⁵. ეს შენიშვნა ვრცელდება ჯადოქანურ და ცხოველთა ზღაპრებზედაც, სადაც მოქმედთა სიძუნწე მადნაფიცობის დასურათხატებში მიჰართ საერთოდ უანროს სპეციფიკით აიხსნება. ზღაპრები ამ მხრივ ჩამორჩებიან მწერალთა მხატვრულ ნაწარმოებებს, სადაც საკმაოდ ღრმად და მრავალმხრივია ნაჩვენები მადნაფიცობის ინსტიტუტის როგორც ძირითადი დანიშნულება, ასევე ნიშნის ნიშანდობლივი ცალკეული მხარეები.

მადნაფიცობას ქართულ ზღაპარში განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი წარმოადგენს სიუჟეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს და კონკრეტული იდეის ზოცვისგან გზას. უფრო მეტიც, ჩვენ რომ მადნაფიცობის მოტივი ამოვიღოთ ცალკეული ზღაპრიდან, შეიძლება მან საერთოდ დაკარგოს მხატვრული ღირებულება და მნიშვნელობა. მადნაფიცობა სხვადასხვა განზრახვით ხდება, სხვადასხვა სახის პიროვნებები იმშობილებიან ერთმანეთს და სხვადასხვა პირობებში. ისიც უნდა ითქვას, რომ დამშობილებულთა დაკავშირება განსხვავებულია. ერთგან, და უმეტეს შემთხვევაში, ისინი ერთგულნი რჩებიან ერთმანეთსა, მეორეგან მათ შორის ბზარიც ჩნდება და ა. შ. ყველა შემთხვევაში დამშობილების მოტივთან დაკავშირებით ზღაპარში იკვეთება მაგისტრალური ხაზი, რომელიც რელიეფურად ასახავს უძველესი ქართული ტრადიციული წეს-ჩვეულების ანარეკლს.

დამშობილების მოტივთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ცნობილი ზღაპარი „ადრანჯალა“. იგი ამ თვალსაზრისით შეიძლება კლასიკურ ნიმუშად ივლინოს. მოხსენიებულ ზღაპარში, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა შემდეგი ვარაუზი, რა ვითარებაში და ვისთან ხდება მადნაფიცობა. ჯერ ერთი, ძნელ იფიქრებია არა ბედისაგან განწირული ადამიანები, არა შევიწროებულნი და ტანჯულნი, არამედ აღზევებულნი და ძლიერნი. ამ ნაწარმოებში მადნაფიცობას საფუძვლად უდევს თანაბარძალიანობა, ტოლობა და ეს ქართული ზღაპრების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია⁶. ალბათ, იშვიათად შევხვდებით

ზღაპარს, სადაც ჩაგრული და აღზევებული ძმად ეფიცებოდნენ ურთიერთს, სადაც მალა მდგომი, ძლიერი და სუსტი უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. ამ შემთხვევაში ალბათ ის მხარე არის გამახვილებული, რომ სოციალურადაც და ფიზიკურადაც დაპირისპირებულ პიროვნებებს ნაკლებად აქვთ საფუძველი ურთიერთის გატანისა და, თუ არღვევა დამობილება, ეს სწორედ იმ შემთხვევაში. თუ გაფიცულნი განსხვავებულნი არიან თავიანთი ფიზიკური ძალითა და სოციალური ვითარებით, ტერმინს „სოციალური“ ჩვენ ფართო გაგებით ვხმარობთ. „ადინანჯალაში“ ძმობილებიან ფრთხილი ძალის პიროვნებები. ადინანჯალა გოლიათია, იგი არა მარტო გონიერი და ჰკვიანია, არამედ ზუმბერაზიც. მხოლოდ მან შეძლო აღმოსავლეთის ხელმწიფის მიერ ჩაპროლი ისრის ამოძრობა, ასეთ ღონიერ კაცს უძმობილებიან: ბელტიყლაპია, ზღვასრუტია, გორიგლეჯია და მისთანანი, რომელნიც ასეთივე ძლიერნი და უჩვეულონი არიან. აქვე საინტერესოა დამობილების ფორმაც. დამობილება ზღვება მხოლოდ ერთი პიროვნების, ადინანჯალას ინიციატივით, იგი თანდათანობით ეცნობა თავის მომავალ-მგებობებს და პირველი შეზღვდრისთანავე სთხოვს დამობილებას. ამგვარ ნაბიჯს იგი იმიტომ სდგას, რომ მოხიბლულია და გაოცებული ახალგაენობილთა თვისებებით. აქვე ისმის კითხვა, რატომ უძმობილებიან ადინანჯალას სხვები. საქმე იმაშია, რომ ადინანჯალა უკვე ცნობილი და სახელოვანი პიროვნებაა. მას მოპოვებული აქვს ავტორიტეტი, შორსაა გავარდნილი მასზე ზემები. როცა ადინანჯალა მგებობებს წარუდგება, ისინი მას უყოყმანოდ უძმობილებიან. ერთი სიტყვით, აქ საქმე გვაქვს პროცესთან, რომელსაც წინ უსწრებს ორივე მხარის ურთიერთსიძლიერის შეცნობა. ამით ხსენებული ზღაპარი მნიშვნელოვნად განსხვავდება იმათგან, სადაც ერთმანეთს უკავშირდებიან არა ფიზიკური სიძლიერის ადამიანები, არამედ ჩაგრულნი, ერთ ბედში მყოფნი, რომელთა დამობილებას სხვა მოტივი განსაზღვრავს.

საანალოზო ზღაპარში მთქმელის მიზანი და ტუნდენცია საკმაოდ გამოკვეთილია. დამობილება ზღვება იმ მოტივით, რომ ადინანჯალას გაუადვილდეს მიზნის მიღწევა. და საერთოდ, თითქმის ყველა ზღაპარში ამ ფუნქციითაა განპირობებული დამობილების მოტივი. ადინანჯალა საომრად მიდის აღმოსავლეთის ხელმწიფის წინააღმდეგ. ბუნებრივია, როგორც ჯადოსნური ზღაპრებისათვის არის ნიშანდობლივი, მას ბევრი დაბრკოლება უნდა გადაელობოს და ამ დაბრკოლებათა გადალახვაში ძმადნაფიცები უნდა დაეხმარონ. ხსენებულ და ანალოგიურ ზღაპრებში საძიებელი მოტივი ცხოვრებისეული მიზნის მიღწევას, შესრულებას ფუნქციით იტვირთება, ეს კი სიუჟეტის განვითარების აუცილებლობით არის გამოწვეული. მართლაც, ზღაპრის ფინალში ეს თვალნათლივ ჩანს. ადინანჯალა ძმადნაფიცების მოშველიებით ადვილად ახდენს მოწინააღმდეგის ჩანაფიქრის ჩაფუშვას და მიზანსაც აღწევს.

ქართულ ხალხურ შემოქმედებაში ვხვდებით ისეთ ზღაპრებსაც, რომლებშიც ძმადნაფიცობის მოტივი ისეთ დატვირთვას არ იღებს, როგორც „ადინანჯალაში“. მათში ძმადნაფიცობა არ წარმოადგენს გარკვეული სიძნელისა თუ დაბრკოლების დაძლევის პირველ პირობას. აქ დამობილებას მეორადი თუ მესამედი მნიშვნელობა ენიჭება და სიუჟეტის განვითარებაში თითქმის უმნიშვნელო როლს ასრულებს. შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ ანალოგიურ ზღაპრებში დამობილებასთან დაკავშირებული მომენტები შემდგომ ეტაპზეა შექრილი, ანდა ევოლუციის პროცესში ზღაპრის პიროვნებებსა სახემ თვალსაჩინო ცვლილებები განიცადა და თავდაპირველი ჩანაფიქრიც დაიკარგა. ავილოთ

ზღაპარი „მჰადნაფიცები“⁷. თუ სათაურის მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს ნაწარმოები მთლიანად ადგიბული უნდა იყოს ამ მოტივზე და ძირითადად ამ ინსტიტუტის ჩვენებას უნდა ისახავდეს მიზნად. სინამდვილეში კი ამ ზღაპარში სულ სხვა ამბავი და მხარე ჩანს. ამასვე ქვემოთ. ხსენებული ზღაპარი საყურადღებოა სხვა მხრივაც. აქ დამშობილება ხდება პერსონაჟთა არა ურთიერთმოწონების ან ერთნაირ ბედში ჩავარდნის გამო, არამედ იმის საფუძველზე, რომ ჯადოსნური ვაშლის ერთი ნაწილი თავადის ქალმა შეჭამა, მეორე ნაწილი — გლეხის ქალმა. ორივეს შეეძინათ ვაჟები, რომლებიც ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. ისინი ძმობილდებიან და ეს დამშობილება ნათესაური კავშირითაა ახსნილი. აქ, სხვათა შორის, ერთი გარემოებაც იპყრობს ყურადღებას, თავადის შვილს ტარიელი დაარქვეს, გლეხისას კი — ხანჯალა. მთხრობელი დასძენს: — „რადგანაც ერთმანეთს ჰგავდნენ ისინი, ზოლო გლეხის შვილი გამოირჩეოდა სიმამაცით, ძმად შეიფიცნენ“⁸. აქ მნიშვნელოვანია ხაზგასმა — გლეხის შვილი უამოირჩეოდა სიმამაცით. ამით თითქოს ერთგვარი კომპენსაცია ხდება, ერთგვარი გამართლება იმისა, რომ თავადის შვილი და გლეხის შვილი ერთმანეთს დაუკავშირდნენ. თუ პირველი თავისი სოციალური მდგომარეობით იყო გამოჩინული, მეორე სიმამაცით. ამდენადაა დასაშვები მათი დაკავშირება. ამ პატარა გადაკრულ თქმაში უთუოდ იგრძნობა სინამდვილის არეალისტური ასახვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხსენებულ ზღაპარში მხოლოდ დამატებითი ფუნქცია ენიჭება ძმადნაფიცობას. თუ სხვა ზღაპრებში ძმობილი ეხმარება ძმადნაფიცს ურთულესი მიზნის მიღწევაში, აქ ამგვარი არაფერი გვხვდება. ხანჯალა დამოუკიდებლად იბრძვის დასახული, საკმაოდ მძიმე მიზნის მიხალწევად, იგი ამარჯვებულს რკინის კაცს და შეეთუნახავს ცოლად ირთავს. შემდეგ კი უკვე გამარჯვებული ბრუნდება ძმობილის სახანავად. აქ ერთი საინტერესო მომენტი იქნის თავს, ხანჯალამ დაბრუნებისას გაიგო, რომ მისი ძმობილი ჰოუელავს ცოლს, რომელსაც სხვა ჰყვარებია. ხანჯალა სიცოცხლეს გამოჰალებებს ძმის მკვლელს და თვითონაც მოიკლავს თავს, რადგანაც ძმადნაფიცნი იყვნენ, — ასკვნის მთქმელი, სიკვდილის წინ ხანჯალა თავის ცოლს ეტყვის: თუ ჩემი ხათრი გაქვს, კძლის ახალი ქმარი მოჰკალი, არ შეარჩინო ძმების სიხსლით. როგორც ვხედავთ, ზღაპარი ძალზე პესიმისტურად შთავრდება, ყველანი იხოცებიან, ხანჯალას ცოლიც თავს იკლავს. მათ საქციელს ზღაპარში სრული მოტივირება არ ახლავს. მხოლოდ და მხოლოდ ისაა ხაზგასმული, რომ ძმადნაფიცებმა ურთიერთისათვის თავი არ უნდა დაზოგონ, ხანჯალაც იკლავს თავს, მაგრამ ამგვარი ფინალი რამდენადმე არაა ტიპური ქართული ზღაპრებისთვის. ჩვენთვის ამ შემთხვევაში შთავარი მაინც ის არის, რომ ანალოგიური ეპილოგით ხაზგასმულია და გამოკვეთილი ძმადნაფიცობის კულტი. მითითებულია, რომ იგი უმაღლესი დამოკიდებულებაა ადამიანებს შორის და ძმობილისთვის თავგანწირვა თავიდათავი ამოცანაა ზღაპრის პერსონაჟისთვის, შემოგანხილულ ზღაპრებს ძლიერ ემსგავსება მითოლური „ძმობილობის არეკი“⁹. მასში მკაფიოდაა გამოჩატული ის პასაჟები, დეტალები, რომლებიც „აღიხანჯალასა“ და „ძმადნაფიცებში“ გვხვდება. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული ასპექტით „ძმობილობის არეკი“ მოხსენიებულ ზღაპართა შერწყმას წარმოადგენს. აქაც მოთხრობილია იმის შესახებ, რომ ჯადოსნური ორი ვაშლიდან ერთი ზელმწიფის ცოლმა შეჭამა, მეორე კი მეწისქვილის ცოლმა. ერთსა და იმავე დროს შეეძინათ ვაჟები, ერთს, მეფის შვილს, ყარამანი

დააჩქეს, მეწისქვილისას კი—ყარამბოლი. საინტერესოა, რომ აქ ზღემა დამობილება არა სხვა ზღაპარებში დამოწმებული მოტივით, არამედ იმის საფუძველზე, რომ სამეგზავროდ მიმავალ მეფის შვილს მხლებლად გაატანონ ვაჟი, რომელიც იმავე დროს დაიბადა, რა დროსაც ყარამანი. „ვინ უძმობს ამას და უნ წაყვება იქო? რას იზამს მარტოვო? — კითხულობს მეფე. ახლა ეძებენ იმასა, რომელიც ამ საათზე გაჩენილა. თუ უძმობს ისა, თორე სხვა არა“¹⁰ მოქმელის წინასწარი განქვერეტა სრულდება. მხლებლები, რომლებიც გააყოლეს ყარამანს მშობილთან ერთად, თანდათან ჩამოსცილდნენ. აღარავინ დარჩა ყარამანისა და ყარამბოლის მეტი.

როგორც დავინახეთ, ამ ზღაპარში დამობილება ზღემა რაღაც სხვა, თუ შეიძლება ითქვას, მაგური მომენტის გათვალისწინებით და არა ურთიერთის. ქირში გამოცდის საფუძველზე. საანალიზო ზღაპარში მკაფიოდაა გამოჩატული მძაღნაფიცისათვის თავდადება. თუ „მძაღნაფიცებში“ ეს მხარე მიჩქვალულია, აქ პირუკუ, იგი აქცენტირებულია. ყარამბოლი ათასგვარ დაბრკოლებას გადალახავს, უძმობს პირობებში იცხოვრებს, მრავალ ფაქტორს დასძლევს და საბოლოოდ მშობილს მანც მოუპოვებს საცოლეს. საინტერესოა ერთი დეტალიც. დევებთან მოზვედრილი მშობილები დევების დავალებას ასრულებენ. ყარამბოლი უფრო ადრე შეასრულებს ამოცანას და შემდეგ მშობილს ეხმარება. იგი გაცილებით მარჯვე, ენერგიული, შორსმჭვრეტელი და შეუპოვარია, ვიდრე თავისი მშობალი, და თუ გარკვეულ შემთხვევაში დამობაზე მიდის, ეს იმიტომ, რომ ხათრით უარს ვერ ეუბნება ზელმწიფის შვილს. ამ ზღაპარში საუცხოოდაა განოკვეთილი მშობილისათვის თავდადებული პერსონაჟის ხასიათი და თვისებები. თუ ზოგიერთ ზღაპარში მთავარი პერსონაჟი მშობილის საქმესთან ერთად თავის საქმესაც აკეთებს, აქ ასეთი რამ არ გვხვდება. ყარამბოლი თავის ინტერესებს გარკვეულად უკანა პლანზე აყენებს, იგი მხოლოდ და მხოლოდ ყარამანის ბედნიერებისათვის იბრძვის.

საანალიზო ზღაპარი იმ მხრივაც იპყრობს ყურადღებას, რომ მასში გვხვდება „ადინანჯალას“ პასაჟები. ყარამბოლი, ისე როგორც ადინანჯალა, გზად ზვდება: მღვდელს, რომელსაც ეკლესია მოუკიდია ზურგზე; გუთნისდედას, რომელიც ბელტებს ყლაპავს; წყლისყლაპვისა და ა. შ. აქაც ყარამბოლი და ეს გოლიათები მშობილებთან, მაგრამ თუ „ადინანჯალაში“ მძაღნაფიცები გამოირჩევიან დიღბუნებოვნებითა და კეთილი თვისებებით, თუ ისინი თავიანთ შესაძლებლობებს და უცნაურ თვისებებს ადინანჯალას დასახმარებლად იყენებენ, აქ მსგავსი რამ არ გვხვდება, პირუკუ, ერთგვარ გოცებასაც იწვევს ის ფაქტი, რომ ეს იწვიათი პერსონაჟები მხლებლები არიან, თავიანთ შესაძლებლობებს სათანადოდ ვერ იყენებენ. და კიდევ ერთი არსებითი მომენტი. თუ „ადინანჯალაში“ მძაღნაფიცებმა ყველაფერი იღონეს, რათა ადინანჯალას დახმარებოდნენ, აქ ასეთი რამ არ გვხვდება. მღვდელმა გატეხა მშობის ფიცი. ყარამბოლის მიერ დახსნილი ყარამანის საცოლე გაიტაცა და ყარამბოლი ქვესკენელში ჩააგდო. საგულისხმოა დიალოგი, რომელიც დევების დასა და ყარამბოლის შორის იმართება. ქალი ეუბნება: „ვ ა ი თ უ ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ მ ა გ ი ლ ა ლ ა ტ ო ნ და დ ა რ - ჩ ე ა ქ ა ო, ყარამბოლი პასუხობს: რ ო გ ო რ მ ი ლ ა ლ ა ტ ე ბ ე ნ, მ მ ა დ ა ე ა რ თ ვ ა ფ ი ც უ ლ ნ ი ო“¹¹. ყარამბოლის სიტყვებში ნათლადაა გამოხატული ხაღბის დიდი წარმოდგენა მძაღნაფიცობაზე. საზოგადოების რწმენით დამობილება უმადლესი და უძვირფასესი ჩვეულებაა, მისი ფიცის გატეხა ყოვლად წარმოუდგენელია. მძაღნაფიცებმა ყოველმხრივ უნდა გაიტანონ ურ-

თიერთი, თავიც არ უნდა დაზოგონ ერთმანეთისათვის. და აი, ხსენებულ ზღაპარში საწინააღმდეგო ხდება. მღვდელი ღალატობს ყარაშბოლღს. რა თქმა უნდა, მთქმელს არ შეუძლია მოიწინოს ეს საქციელი. უფრო მეტიც, ანალოგიურ სიტუაციებში, ეს კი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ხდება, ხალხი მძაფრ რეაქციას ახდენდა და სასტიკად სჯიდა დამნაშავეებს. ასევე ხდება ამ ზღაპარშიც, ქვესტელიდან დიდი გაჭირვებით თავდაღწეული ყარაშბოლღი მღვდელს ჯერისწერისას მიუსწრებს და მოღალატეს ისრით განგმირავს. აღსრულდა უმაღლესი კანონი: დაძაჯა ის, ვინც მშობის ფიცი გატეხა. ანალოგიური პასაჟით მთქმელები ერთხელ კიდევ შეახსენებენ საზოგადოებას, რომ მშობის გამტეხნი უსასტიკესი სასჯელის ღირსნი არიან და არავითარ შეღავათს, პატიებას არ იმსახურებენ. ეს ზღაპარი ოპტიმისტურად მთავრდება. ძმადნაფიცობის წყალობით მიზანი მიიღწევა და, რაც გამსაკუთრებით ზაზვასამელია, ორივე მხრივ სათანადოდ ფასდება ეს გრძნობა. აქ არ არის ცალმხრივი დამოკიდებულება, როცა ერთი უანგაროდ სცემს ყველაფერს, მეორეს კი ეს ბუნებრივად მიანიცა და თავად პასიურობს. დღვის დამ, ყარაშბოლღს ჩააღმა, უდიდესი მსხვერპლი გაიღო. მან უსაყვარლეს პირშვოს ყელი გამოსჭრა, რათა უმწიკვლო ბავშვს სისხლით ლოდათქცეული ყარაშბოლღი გაეტოცხლებინა. როგორც ანალიზმა გვიჩვენა, „მშობილობის არგვი“ ერთი ლაუკეთესობაგანია იმათ შორის, რომლებშიც ძმადნაფიცობის კულტი თვალსაჩინოადაა გაშუქებული.

ზღაპარში დამშობილების მოტივთან დაკავშირებით საინტერესოა საკახები: 1. ვინ მშობილდებიან, 2. რა ფუნქცია ეცისრება თითოეულ მხარეს. როგორც არაერთგზის მოვისმინეთ, ერთმანეთს უკავშირდებიან ერთ ბედში მყოფნი, ერთი სიძლიერის პერსონაჟები. მაგრამ გვხვდება სხვა მოდელიც, როცა განსხვავებული ძალისა და დაპირისპირებული ხასიათის პიროვნებები უმშობილდებიან ერთმანეთს. პირველ შემთხვევას არსებითად მაშინ აქვს ადგილი, როცა მთავარ ნაქმედ გმირს მიზნის მიღწევას გზაზე ძლიერთა დამხარება სჭირდება („სიზმა-რა“)¹². მეორე შემთხვევაში დამშობილება მხოლოდ ფონი და საბაზია იმისათვის, რათა მთავარმა პერსონაჟმა თავისი უჩვეულო ძალა და მოხერხებულობა ხასიათი გამოავლინოს („ოქროსთასიანი“)¹³. 15 წლის ობოლა გადაწყვეტს რჯახი არჩინოს და საშოვარზე შიღოს. იგი მოსამსახურედ დგება ყაჩაღებთან. აქ თავის უჩვეულო ძალას გამოავლენს, რისთვისაც ყაჩაღები იძმობენ მას. მაგრამ ობოლა ყაჩაღებთან ერთად როდი მოქმედებს, მათ გზას როდი ადგება. ერთხელ წყაროსთან ობოლას ურია შეეყარა და ოქროს თასს წაართმევს. იქვე პრინტავი გაჩნდება თავისი სიძარტლის დასამტკიცებლად. ობოლა ირწმუნება, ეს თასი ჩემია, მაგისტანა კიდევ ორი სხვა მაქვსო. მაშინ ხელსუფლებას წარმოამდგენელი ბრძანებს: თუ ის ორი თასი სამ თვეში არ მოგიტანია, შენს ძებებს, ყაჩაღებს ჩამოვალრჩობთო. ამრიგად, ობოლა მძიმე მდგომარეობაში ვარდება და ზღაპარი იმის შესახებ მოგვითხრობს, თუ როგორ იბრძვის ქაბუკი ოქროს თასების მოსაპოვებლად, რათა მშობილები დალუპვას გადაარჩინოს.

როგორც ვხედავთ, ამ ზღაპარში დამშობილება ერთი ასპექტითაა საინტერესო. ზაზვასამელია, რომ მშობილდობის ყველაფერი უნდა გააკეთოს კაცმა, მიუხედავად იმისა, როგორიც არ უნდა იყოს ეს მშობილი. ამ შემთხვევაში ეს ზღაპარიც ტიპურია და არ განსხვავდება სხვებისგან. მაგრამ თუ ზოგიერთ ზღაპარში ამ ტენდენციას გამაჟავრებლად ურთიერთსიყვარული, პატივისცემა და სხვა მომენტებია აქცენტირებული, ე. ი. თუ ნაჩვენებია, რომ გმირი იმპათიურ იბრძვის თავადლებით, რომ თავდაც დავალებულია მშობილდობაგან, აქ ანეით

რამ არ შეინიშნება. საანალოზო ზღაპარში ძმადნაფიცთაგან მხოლოდ ერთი მხარეა წინ წამოწეული, ესაა ობოლა. ძმადნაფიცთა მეორე მხარე — ყაჩაღები თითქმის არ ჩანს; მათ სხვა ზღაპართაგან განსხვავებით თითქმის არავითარი ფუნქცია არ აკისრიათ, ისინი სტატიკურნი არიან, არ მოქმედებენ, არ იღვწიან და მხოლოდ თავიანთი არსებობით, თავიანთი ყოფით განსაზღვრავენ ობოლას მოქმედებას. როგორც იტყვა, ფუნქციათა ასეთი განაწილება დამოზილებულთა შორის თითქმის იშვიათ შემთხვევაში გვხვდება ქართულ ზღაპრებში. მათში უმეტესად ორივე მხარე მეტ-ნაკლებად აქტიურია, ერთმანეთს ეხმარებიან, ერთმანეთს ხელს უწყობენ მიზნის მიღწევაში ან საერთოდ. მთავარი პერსონაჟის ჩანაფიქრის განხორციელებას, რაშიც მობილებმა არსებითი წვლილი შეიტანეს, თან მოსდევს მთავარი პერსონაჟისაგან მობილებისათვის მადლობის გადახდა. გვხვდება აგრეთვე ამის „შებრუნებული სახეც“. ზღაპარში „ადიხანჯალა“ ცენტრალური გმირი საოცნებო ასულის საწაბავად მიემგზავრება. გზად იგი მასკულავეთ ხელმწიფეს დაუმიგობრდება. შემდეგ ქაჯთა ხელმწიფეს ნაბაყს და დაუმობილდება. სამივენი ერთად მიდიან. ფათერაკი გადახდებათ ბევრი. ადიხანჯალა დიდ გმირობას ჩადის, დევებისგან ათავისუფლებს ქალაქს და ხელმწიფის გზელთნახაჯს. ქალების გულს მოიგებს: ერთს ერთ მობილზე დაქორწილებს, ზეორეს მეორეზე; შემდეგ, მობილები თუმცა მოსურნენი არიან, რომ მასთან ერთად გააგრძელონ გზა, მაგრამ ადიხანჯალა ამის ნებას არ აძლევს და მართო მიემგზავრება. იგი ბოლოს და ბოლოს საოცნებო ქალწულს კოშკს მიაგნებს და მიზანსაც შეისრულებს. მაგრამ ბოროტი დედაკაცი პარაფს ხანჯალს, რომელშიც იყო აღიხანჯალას ძალი და სული, ადიხანჯალა განსაცდელშია, მის დასახმარებლად მასკულავეთ ხელმწიფე და ქაჯთ ხელმწიფე მიეშურებიან. ისინი იხანჯიან ადიხანჯალას, იპოვიან ხანჯალს, დაუბრუნებენ ძალასა და სულს და ბედნიერებას აზიარებენ გმირს¹⁴. როგორც ვხედავთ, ამ ზღაპარში ორივე მხარე მოქმედია, ორივე ეხმარება ურთიერთს და ამდენად მათი ძმობა კიდევ უფრო განმტკიცებულია. ზღაპარში ფართო პლანითაა წარმოსახული დამობილება, ნაჩვენებია, თუ რა დიდი სიძნეულების გადალახვა შეუძლია ამ გრძნობით შეკავშირებულ პიროვნებებს. ეს არის ხალხის, მასის ღრმა რწმენა, რომლითაც ერთხელ კიდევ ესმება ხაზი ზსენებული ინსტიტუტის უდიდეს მნიშვნელობას.

გვხვდება სიუჟეტები, სადაც ირიბი გზითაცაა ჩანგასმული ძმადნაფიცობის დიდი მნიშვნელობა და ღირებულება. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ ძმადნაფიცები ყველაფერს აკეთებენ ურთიერთისათვის, უძნელეს დაბრკოლებებს სძლევენ და ერთხელ მიცემული სიტყვის პირნათლად შესრულებისათვის სიცოცხლისაც არ ზოგავენ. ზღაპრის პერსონაჟებმა კარგად იციან, რომ ძმადნაფიცობა უპაღლესი კავშირია და ამიტომაც გარკვეულ შემთხვევაში მას შირბადაც იყენებენ. ეს მაშინ, როცა თავიანთი ქვენაზრახეების დაკმაყოფილებას სხვა გზით ვერ ახერხებენ და ამ წმიდათა წმიდა ადათს ეფარებიან. ეს იმიტომაც ხდება. რომ მათ იციან, რაოდენ მნიშვნელოვანია ძმადნაფიცობა, რომ ფიცი არ შეიძლება გატყდეს. ამიტომაც მოწინააღმდეგის ყურადღების მოღუწებას ესწრაფვიან, ძმად ეფიცებიან და შემდეგ თავიანთ სურვილს ისრულებენ. ერთ რაჭულ ზღაპარში „ჯუჯები, თემირბი, შიბიყი“ მოთხრობილია, რომ ჩერქეზთა ბატონმა ორი ძმა — ჯუჯები და თემირბი (სახელებია) ლალათით სიცოცხლეს გამოასალმა. შემდეგ კი მესამე ძმის შიბიყის მოსაკლავად მიეშურება. მან იცის, რომ პირდაპირ ბრძოლაში ვერ დაამარცხებს მოწინააღმდეგეს და ამიტომაც შემდეგ ფანდს მიმართავს: „მოვედი შენთან, ამბობს ჩერქეზი ხელმწიფე, რათა ძმად გაგეფიცო,

ურთიერთი გავიჯანოთ და შვიდად ვიცხოვროთო“. შიბიცი ტყუევდება, ან უფრო ზუსტად, მას ვერ წარმოუდგენია, თუ ამგვარი სურვილით მოსული კაცი უღალატებს. ისინი ფიცის დასადებად მიდიან. ჩერქეზი ვითომ დაიფიცებს, შიბიცი გულწრფელად შეპფიცებს მძობას. შემდეგ ხდება ის, რაც უნდა მომხდარიყო ზღაპრის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე; ჩერქეზთა ბატონი ძმადგაფიცულს ღალატით კლავს. როგორც ვხედავთ, აქაც ძმადნაფიცობა მოშველიებულია როგორც მიზნის მიღწევის ერთ-ერთი გზა, ქვეტექსტით მის სიდიადეს ესწრაფვა ხაზი. საქმე ისაა, რომ შიბიცი, უფროსი ძმა, იმდენად მაღლა აყენებს ამ ინსტიტუტს, იმდენად სჯერა ამ ტრადიციისა, რომ ვერც კი წარმოუდგენია, თუ ძმადნაფიცებს ეღალატება. აქაც ირიბი გზით ხაზგასმულია ამ ტრადიციის დიდი მნიშვნელობა. საგულისხმოა ამ ზღაპრის ფინალი. მძობილის მოღალატე პასტიკად ისჯება, შიბიცი მემკვიდრე ძმადნაფიცობის მოღალატეს უსწორდება, მტარს სისხლს იღებს¹⁵. რა თქმა უნდა, მხოლოდ იმიტომ კი არ ისჯება ჩერქეზთა ბატონი, ძმადნაფიცს რომ უღალატა, არამედ საერთოდ იმიტომ, რომ როგორც მტარს, როგორც შიბიცი დაშლუპველს არ უნდა შერჩენოდა სისხლი, მაგრამ არსებითი შინაგანად არის, რომ სიკეთე იმარჯვებს.

ზღაპრებში კიდევ ერთი საინტერესო მომენტი შეინიშნება ძმადგაფიცვისა, რომელიც ცალკე არაა გამოკვეთილი. ესაა ძმადგაფიცვა წინასწარი ალტერნატივის მიხედვით. როცა ვაჟი ვაჟს ეფიცება არა ურთიერთ სიძმათიების, არა ერთ ბედში ყოფნის, არა დაძლევის შემდეგ, არამედ წინასწარ ჩაფიქრებული და დათქმული ნიშნის მიხედვით. ზღაპარში „მებდაღური“ მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ გააგდო მამამ სახლიდან ვაჟი. დედამ პური გამოუცხო უცხო ქვეყნად მიშავალ ვაჟიშვილს და ასეთი დარიგება მისცა: „ამხანაგი გაიჩინეო, საჭმელად როცა დასახდები, შენთან თუ ვინმე ბიჭი მოვიდა და წინა წვერი მოატეხა პურს, ძმად გაეფიცე და თუ ყუა მოიტეხა — თავი დაანებეო და წავიდა კიდევ“¹⁶. როგორც ვხედავთ, აქ უკვე წინასწარაა განსაზღვრული, თუ ვის შეიძლება გაეფიცოს ვაჟი. აქ ერთგვარი ჯადოსნური, მაგიური ვითარებაა. ანალოგიური შემთხვევები ხშირი არაა ქართულ ზღაპრებში, ამიტომ თავისთავად ეს მომენტი ძლიერ ანგარიშგასაწევი. აქ უკვე წინასწარაა განსაზღვრული სიუჟეტის შემდგომი განვითარება და რამდენადმე მოხაზულია კიდევ პერსონაჟის ბედი. ანალოგიური სიტუაციები უმეტესად ჯადოსნურ ზღაპრებში გვხვდება. ნიშნისათვის გაეფიცნოთ ზღაპარი „მადლიერი მკვდარი“. აქაც დამძობილება ხდება ჩვენ მიერ მითითებული ნიშნის მიხედვით, ან, უფრო ზუსტად, ვაჟის კონკრეტული საქციელით მოხიზლული და მადლიერი მკვდარი, რომელიც საფლავიდან ამოუღიათ და სახრით სცემენ, რადგან აბაზის გადახდა ვერ მოუხსრია და ისე მომკვდარა, გადაიქცევა მოხუცად და ყმაწვილს უძმობილდება, რადგანაც ამ უქანასენელმა იგი, გარდაცვლილი, შეიბრალა, ერთი აბაზის ნაცვლად რვა აბაზი გადაუხდა მოვალეს. რა თქმა უნდა, მთავარმა პერსონაჟმა არ იცის, თუ ვინ არის მოხუცი და სიამოვნებით უძმობილდება. მოხუცი ბევრ რამეში შევლის ახალგაზრდას, დაღუპვისაგან დაიხსნის, სიმდიდრეს მოაპოვებინებს, უღაპაზეს ქალს შერთავს და ა. შ. როცა თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებს, უმხელს ყმაწვილს, თუ ვინ არის. „ახლა, — უთხრა მოხუცმა ბიჭს: მე არაფერში არ შეგეცილები, ყველაფერი შენთვის დამილოცნია, მე ისა ვარ, გზახე რომ შეგხვდი, ერთი კაცი მკვდარს რომ ცემდა და შენ რომ უთხარი: რაც ემართა ორ იმდენს მოგცემ, ოღონდ თავი დაანებეო. შენ რაკი სიკეთე მიყავი, იმისათვის დავეთხოვე უფალს, წამოვედი შენთან, სპაგიფრო სიკეთე გა-

მეწია რამე, ამაზე მეტი სიკეთე როგორღა გინდა ეს ამოდენა საცხოვრებელი შენ, და გაფრინდა ცაში. ყველანი გაკვირვებულები დარჩნენ. ბიჭი წაშოვიდა იმ კომკისაკენ და დაიწყო კომში ცხოვრება¹⁷.

როგორც ვხედავთ, ეს სრულიად განსხვავებული ასპექტია და თვალსაჩინოდ გამოჩნული ზემოთ განხილული შემთხვევებისგან. აქ დამშობილების არა მოტივებია იმდენად უჩვეულო, რამდენადაც მზარეები. რეალური პიროვნება და თითქმის ირვალური უკავშირდებიან ერთმანეთს. ეს უკანასკნელი მოცული არის თავისებური ბურუსით, თუმცა ეს მხოლოდ ფინალში ირკვევა. რაც შეეხება მოტივს, უფრო სწორად, დამშობილების საფუძველს, აქაც სიკეთისათვის სპაგოეო სიკეთის მიზღვევის ტენდენცია მძლავრობს. მაგრამ, როგორც ითქვა, სხვა შემთხვევაში თანაბარ მდგომარეობაში მყოფნი, ერთნაირი სოციალური მდგომარეობის მქონენი, ერთნაირი ფიზიკური ძალის პატრონი უკავშირდებიან ერთმანეთს და ამიტომაც სთუქტის განვითარება იქ რამდენადმე სხვაგვარია. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ორივე მხარე თითქმის თანაბარი სიძლიერით მოქმედებს. აქ კი სხვა ვითარებაა. მოხუცი თითქმის გრძნეულია. ამიტომაც სიძნელეთა დაძლევა უმეტესად მას უხდება. იგი რამდენადმე აქტიურობს და ეს განსაზღვრულია მისი მდგომარეობით. ყველაზე უჩვეულო სიტუაციების გადალახვა მას უხდება. გავისენოთ ერთი მაგალითი. მოხუცი ბიჭს ეუბნება: მშობილები ვართ და მთელი ქონება თანაბრად უნდა გაინაწილოთ. ბიჭისთვის მოულოდნელი იყო ეს წინადადება, რადგანაც მოხუცს ადრე ასეთი ტენდენცია არ გამოუმჟღავნებია. ყმაწვილი თანხმდება. მოხუცმაც ყველაფერი შუაზე გაყო, ბოლოს თქვა: ხელმწიფის ასულიც, რომელიც ცოლად შეირთე, შუაზე უნდა გაყოთო, „მოხუცმა ჩაანთო თონეში ცეცხლი, სულ ნაკვერჩხლად აქცია. აიყვანა ქალი, დაიჭირა თონეზე, ცალი ხელი თითონ წაავლო, ცალი ხელი ქმარს დააჭერინა, ჩამოკრა ხმალი თავიდან და შუაზე გააპო, გადაჭრილი ქალიდან გამოცვიდნენ არწივები, ბაყაყები, გველები, შიატყუცა ისევ ეს ქალი ერთმანეთს, გვერდებზე მოუსვა ფრინველის ბუმბული და, როგორიც იყო, ისეთი გახადა“¹⁸. ასეთი მოქმედება მხოლოდ გრძნეულს შეეძლო. ერთი სიტყვით, აქაც დამშობილების აპოთეოზია.

ამავე ზღაპართან დაკავშირებით საინტერესოა მოტივირება ურთიერთობისა, მძაღნაფიცური კავშირისა; ხელმწიფის ვაჟს თან თავისი და ახლავს და ამიტომ მოხუცის წინადადებაზე — დამშობილდნენ — თავს იკავებს: ჩვენ ორნი ვართ და რასაც ვიშოვით შენ მეტი დაგეხარჯებაო... აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ მშობილები არა მარტო თავს უნდა სწირავდნენ ერთმანეთსათვის, არამედ მოპოვებულსაც ერთნაირად ინაწილებდნენ. აქ თითქოს მონადირეთა კანონია გადმოცემული ნანადირევის თანაბრად განაწილების შესახებ.

ჯადოსნურ ზღაპრებში თუ უმეტესად დადებით პერსონაჟს ძმად ეფიცებოდნენ და მთელ იდეასაც კეთილი მიზნის მიღწევა შეადგენდა, ნოველისტურ ზღაპრებში სხვა მდგომარეობაა. აქ უმეტესად ერთმანეთს ძმად ეფიცებიან ქურდები, ცრუპენტლები და მისთანანი. ისიც აღსანიშნავია, რომ ძმადგაფიცულნი ერთმანეთს ატყუებენ, პარავენ და ა. შ. ერთი სიტყვით, აქ ძმადნაფიცობას არა აქვს ის ამალღებელი ფუნქცია, რაც ჯადოსნურ ზღაპრებში, და თვით მიზანიც ძმადნაფიცებისა მეტად დაკნინებულია, ფაქტიურად ნოველისტურ ნაწარმოებებში ძმადნაფიცობის ერთგვარი პაროდირება შეინიშნება. სანამუშოდ დავსესხოთ ზღაპარს „ორი ცრუპენტელი“¹⁹. მშობილები დათუა და პეტრიკელა სულ იმას ცდილობენ, როგორ მოატყუონ ერთმანეთი, თუმცა

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ზღაპრის ფინალი ოპტიმისტური, დადებითია. მშობილები გამოსწორდებიან და ურთიერთს გამტანი გახდებიან.

მშაღნაფიცობის მოტივთან დაკავშირებით საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ცხოველთა ეპოსი. ეს უმეტესად განპირობებულია იმით, რომ ამ უკანასკნელში მშაღნაფიცობის კულტი იმგვარი გაშლით და სიღრმით არ გვხვდება, როგორც ჯადოსნურ ზღაპრებში. ამასთანავე, ფუნქცია მშაღნაფიცობისა აქ გაცილებით მარტივი და შეზღუდულია. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ მშაღნაფიცებს ამ ზღაპრებში არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭებათ. ვიდრე ამ საკითხებს დეტალურად გავშლიდეთ, მანამდე საჭიროდ მიგვაჩნია ერთ გამოწვევისზე ყურადღების გაახვილება. ეს არის „რწყილი და ქიანჭველა“. ამ ზღაპარში ერთ-ერთი ძირითადი მოტივი სწორედ დამშობილების მოტივია და იგი განსაზღვრავს კიდევ სიუჟეტის განვითარებას. აქ დაახლოებით იმგვარი სიძლიერითა და განტოტებით გვეძლევა მშაღნაფიცობის მოტივი, როგორც ჯადოსნურ ზღაპრებში. ამ გარემოებას ახსნა უნდა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, რომ ცხოველთა ეპოსი წინ უსწრებს ჯადოსნურს და იგი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შედეგებით პრიმიტიულ საფეხურზე აღმოცენდა, იქნება დაიბადოს ექვი იმის შესახებ, რომ მაშინ დამშობილების მოტივი საერთოდ არ არსებობდა და იგი შემდგომ ეპოქებში ჩაერთო ადრინდელ ზღაპრებს. ამ ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას უთუოდ იძლევა ცხოველთა ეპოსი, სადაც დამშობილება, როგორც აღვნიშნეთ, განსხვავებულადაა წარმოდგენილი.

დავუბრუნდეთ ისევ „რწყილსა და ქიანჭველას“. მასში, როგორც ცნობილია, მთელი ამბავი აგებულია იმაზე, თუ როგორ გადაარჩინს მშობილი გასაჭირში ჩავარდნილ ქიანჭველას. აქ ჩანს ის თავდადება, ის ერთგულება, შეუპოვრობა, რაც დამახასიათებელია საერთოდ დამშობილების ინსტიტუტისთვის და რაც განსაზღვრავს ამ კავშირის ცხოველმყოფელობას. ამ მხრივ ხსენებული ნაწარმოები ბრულიადაც არ განსხვავდება ჯადოსნურისაგან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ პერიპეტებს. ჯადოსნურ ზღაპრებში, ორივე მხარე უმეტესად აქტიურია, აქ კი ასე არ არის და ეს ამბის თავისებურებით განიასწავლება. როგორც ითქვა, სხვა ნიმუშები ცხოველთა ზღაპრებისა, რომელთა რიცხვი არცთუ მცირეა, სულ სხვა ასპექტით და ფუნქციით წარმოსახავს მშაღნაფიცობას. ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ დამშობილება არ ხდება რაიმე არსებითი მიზეზის გამო, ცხოველები შემთხვევით ხვდებიან ერთმანეთს გზაზე და ასევე შემთხვევითვე მშობილდებიან. უბრალოდ მოსწყინდება მარტო ცხოვრება მელას თუ სხვა ცხოველს და გადაწყვეტს ვინმეს დაუახლოვდეს. მეორე თავისებურება ისაა, რომ ე. წ. მშობილები ურთიერთს ატყუებენ; ერთმანეთისათვის თავს კი არ სწირავენ, არამედ რომელიმე მათგანი მეორეს კლავს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, სიუჟეტის განვითარება სხვაგვარია.

საერთოდ, ცხოველთა ეპოსში მშაღნაფიცობა არ წარმოგვიდგება იმ აშკარებულ და მძლავრ კავშირად, როგორც ეს ჯადოსნურ ზღაპარშია. რით უნდა აიხსნას ეს გარემოება. ვიმეორებთ, შეიძლება აქ შემდეგ ვითარებასთან გვეკონდეს საქმე. ადრინდელ საფეხურზე გაჩენილ ზღაპრებში, რომლებშიც სიუჟეტის იხვევით ვითარდება, როგორც დღევანდელ ფარიანტებში, საერთოდ არ ჰქონდა დამშობილებას ადგილი. და ეს სიტყვა, თუ დამშობილების მანიშნებელი რეალიები შედეგებით გვიან გაჩნდა, დამშობილების ინსტიტუტის ცხოვრებაში ფართოდ ფეხმოკიდების და მისი არა არსის, არამედ ფორმის ზეგავლენით, როცა სიტყვა დამშობილებამ გარკვეული საყოველთაო მნიშვნელობა მოიპოვა.

ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ ცხოველთა ებოსში დაძმობილება არ არის ის ინსტიტუტი და ის ფორმა, რაც საერთოდ ჯაღოსნურ ზღაპრებში, ე. ი. შეიძლება ითქვას, რომ აქ უფრო ანარეკლს, ფორმის გადმოტანასთან გვაქვს საქმე.

როგორც ითქვა, ზღაპარში ძმადნაფიცობის კულტი უშუალოდ ცხოვრებიდანაა შესული. შაგრამ იგი რამდენადმე ტრანსფორმირებულია და ზღაპრის ბუნებას დამორჩილებული. ამაში ძნელი არაა დაჯერდნად, თუ დაკვირვებით შევადარებთ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს და ამ სინამდვილეს ზღაპრისეულ ანარეკლს. ჩვენ აქ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ შეტად მნიშვნელოვან გარემოებაზე. როგორც გადმოგვცემენ, ძმადნაფიცვა გარკვეული წესით სრულდებოდა. ეს რიტუალი რთული და თავისებური იყო. ამ რიტუალთან დაკავშირებულ მრავალ დეტალთაგან გვინდა შევჩერდეთ ერთ მათგანზე, რომლის კვალი უთუოდ შეინიშნება ქართულ ზღაპრებში. ამ უკანასკნელში პერსონაჟთა დამბობილებისას ხშირად ფიგურირებს თმის, ბეწვის, ფხის და სხვა რაიმე ნივთის ძმადნაფიცობის გადაცემა. უძველესი რწმენის მიხედვით თმას, ბეწვს, გარკვეული მაგიური მნიშვნელობა ჰქონდა. მისი ფიზიკური გადაცემა ბედის გაზიარებას ნიშნავდა. თუ ვინმე შეგობარს თმას გადასცემდა, ამით მისი მფარველი ანგელოზის ფუნქციებს მასზედაც (შეგობარზედაც) ავრცელებდა. ასეთი ავგაროზის დანიშნულებით თმა უახლოეს ადამიანს ეძლეოდა მხოლოდ. თმის მაგიური ფუნქციით გადაცემის რიტუალი მრავალი დატირების ტექსტშია შემონახული.

„იღუკასთან მაქვს ნაბარბიო,
ე თმანი გამაძინებინო“²⁰.

ამ ლექსში გამოხატულია ქალის სურვილი, იღუკამ, დაღუპულმა ძმამ გაშოუგზავნოს თმა, რომელიც მფარველობას გაუწევს მოტირალ დას. სიმბოლურია, რომ ხშირად თმათა ურთიერთგაცვლა ხდებოდა და თან თმა იმას, ვისაც იგი გადაცემული ჰქონდა, ისეთ ადგილას უნდა შეენახა, რომ კარგად დაცულიყო და, რაც მთავარია, სულ გამუდმებით სხეულთან ახლო ჰქონოდა. ამის კვალიც შემოგვინახა ერთ-ერთი დატირების სტრიქონებში:

„თავივით ამაყენიტენ თმანიო!
ჩაისხენ ჯიბის მასრაჩიგაო,
აეგრაე მია კუჭულანიო,
მესხნიან სარტყლის უბეჩიგაო“²¹.

თმის გადაცემას დაძმობილების რიტუალში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ზღაპარში შემორჩენილი ეს ნიუანსიც. ძმობილი ძმობილს თმას აძლევს. ასე მოგვცნენ ლეთისავარს. „მაშინ მოიჭრა თმა უმცროსმა ძმა-ქაჯმა და მისცა ძმობილს:

— იცოდე, თუ რამე გაგვიორდეს სადმე, ეს ბალანი დაწვი, მახსენე და მეც იქ გავჩნდები იმ წუთშივეო. როგორ გიშველი და მოგეხმარები, მაშინ გაიგებო.

ასე უთხრა უფროსმა ძმა-ქაჯმა და მისცა მოკვეცილი ბალანი. მეფის ვაჟმა ორივე თმა დიდი მზრუნველობით შეინახა უბეში. მოაწყვს ძმობილებმა მისთვის გემი და გაუშვეს ზღვაში“²².

ვფიქრობთ, ეს დეტალი სწორედ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ძველი წეს-ჩვეულება თავისებურად გადავიდა ზღაპარში და ხალხის ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი თვისებაც გააცნაურა. საერთოდ; ამ ასპექტით უთუოდ საყურადღებოა ქართული ზღაპრები. ისინი ბევრ მნიშვნელოვან დეტალს შეიცავენ ჩვენი ხალხის უძველესი წარსულის შესახებ.

თმის მაგიური ფუნქცია თავს იჩენს სხვა ზღაპრებშიც, თუმც აქ ისე მკაფიოდ არ ჩანს, რომ ბეწვის გადაცემა დამშობილების პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია. „მშვენიერი ულენეს ზღაპარში“ არაერთგზის გვხვდება ბეწვის, როგორც მაგიური ნიშნის, გამოყენება. ძაღლები მადლობის ნიშნად ყმაწვილს საკუთარ ბეწვს აძლევენ და ეუბნებიან: „აგერ ეს ჩვენი ბალანი და საცა გაგიპირდება, ჩვენი თავი ახსენო. აილო ბიჭმა ბალანი და წავიდა“²³. ასევე იქცვიან ფუტკრები, ქათმები და სხვ. მართლაც, გაქირვების უამს ბიჭი ბეწვს ამოიღებს და ახსენებს ძაღლებს, ფუტკრებს, ქათმებს... ისინიც ჩნდებიან დაუყოვნებლივ და სურვილს უსრულებენ. აქ ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას. ხსენებულ ზღაპარში სამივე შემთხვევაში ბეწვის ამოღებისთანავე გამოჩენილი ძაღლები, ფუტკრები, ქათმები ასე მიმართავენ ბეწვის მფლობელს: რაშია საქმე ძ მ ო ბ ი ლ ო, რა გაგქირვებია ძ მ ო ბ ი ლ ო, ნუ გეშინია ძ მ ო ბ ი ლ ო და მისთანანი. თვით ეს მიმართვაც — ძმობილო — მრავლისმთქმელია. როგორც ვხედავთ, ამ ზღაპარშიც ზოგიერთი რამ შეიძლება დაკარგული და მივიწყებულია და ფაქტიურად ძველი ჩვეულების ნაშთია შემონახული.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ზღაპრებში მაგიური ძალა, თმის გარდა, მინიჭებული აქვს სხვა საგნებსაც, მაგალითად, თევზის ფხას („მეზადურის შვილი“) და სხვ. ~ თქმა უნდა, ყველა ეს საგანი ფაქტიურად ერთი დანიშნულებისაა და საფუძველიც ერთი აქვთ. მხოლოდ იცვლებიან სიტუაციების მიხედვით და ზღაპრის პერსონაჟთა ვინაობის შესაბამისად.

უნდა ითქვას, რომ დამშობილების მოტივი ერთნაირი ძალითა და მნიშვნელობით არ არის ასახული არათუ სხვადასხვა ხასიათის ზღაპრებში, არამედ ერთი ჯგუფის ნაწარმოებთა ცალკეულ ნიმუშებშიც. ეს ზრულიად ბუნებრივი და კანონზომიერია, რადგანაც კონკრეტული მთქმელისთვის უმეტეს შემთხვევაში, არსებითია არა ძმადნაფიცობის კულტის აღზევება, არამედ სხვა მიზნის მიღწევისთვის ამ მოტივის სხვადასხვა ძალითა და მნიშვნელობით მომარჯვება. თვით ამბავიც, მთქმელის კონკრეტული ჩანაფიქრი განსაზღვრავს დამშობილების მოტივის ადგილს ზღაპრებში. უმეტეს შემთხვევაში ამ მოტივს დაქვემდებარებული როლი აქვს, იგი არსებობს იმდენად, რამდენადაც საჭიროა ბოროტების ძლევისა და სიკეთის გამარჯვების გზაზე ცალკეულ დაბრკოლებათა გადასალახვად, საერთოდ ამ მოტივს ისეთი ფუნქცია არ ენიჭება, როგორც სიყვარულის, გნირობის მოტივს ზღაპრებში. არაა დასაძებნი ზღაპრები, რომლებშიც სწორედ დამშობილებს მეშვეობით მიიღწევა მიზანი. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ხსენებული მოტივის კომპოზიციური ფუნქციის საკითხიც ისმის. დამშობილება არცთუ ისე იშვიათად განსაზღვრავს სიუჟეტის განვითარებას, ხშირად მის გარეშე წარმოუდგენელია კონკრეტული ზღაპრის ასრებობა. საგულისხმოა ის, რომ ბევრ ზღაპარში ეს მოტივი დასაწყისშივე გვეძლევა და ექსპოზიციიდან ეპილოგამდე არსებით მნიშვნელობას ასრულებს. სანიმუშოდ შეიძლება გავიხსენოთ „მადლიერი მკვდარი“²⁴. გვხვდება ისეთი ნაწარმოებებიც, სადაც ძმადნაფიცობას მხოლოდ კონკრეტული ეპიზოდის დასრულებაში შეაქვს თავისი წვლილი, ასევე ზღაპრები შედარებით იშვიათია. ერთი სიტყვით, ეს მოტივი ნაწარმოებებს სიუჟეტური განვითარებისათვის აუცილებელი კომპონენტია.

განალიზებული მასალებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ძმადნაფიცობის კულტის ასახვისა და გამოყენების თვალსაზრისით ქართული ხალხური ზღაპრები ძირითადად სამ ციკლს ქმნიან: 1. ქაღოსური ზღაპრები, 2. ცხოველთა ეპოსი, 3. საყოფაცხოვრებო ზღაპრები. ამგვარი დაჯგუფება გან-

პირობებულა ობიექტური მიზეზებით, ამ თვალსაზრისით, რომ თითოეულ ციკლში საკმაოდ განსხვავებული ფორმით ვლინდება მმადნაფიცობა. პირველ ციკლში მმადნაფიცობას არსებითად ყველაზე დიდი ადგილი უკავია. ამ ტიპის ზღაპრებში მმადნაფიცობის კულტი შედარებით კარგადაა ასახული. მმად უფიცებთან ურთიერთს სხვადასხვა წრის, სხვადასხვა მდგომარეობის, ერთნაირი ძალის და ა. შ. პიროვნებები. მეორე ტიპის ზღაპრებში დამშობილებას არსებითი ადგილი არ უკავია, იგი ზოგჯერ გაიელვებს ხოლმე ამ ზღაპრებში და სიუჟეტის განვითარებაზე დიდ გავლენას არ ახდენს. დამშობილებას აქ უარყოფითი შედეგი მოსდევს. თუ ჯადოსნური ტიპის ზღაპრებში მშობილი მშობილისთვის თავს სწირავს, ყველაფერს აკეთებს, ამ უკანასკნელში (ცხოველთა ზღაპრებში) პირუკუ, მშობილი მშობილს ატყუებს, ჩაგრავეს, სასიკვდილოდ იმეტებს. ერთი სიტყვით, ცხოველთა დამშობილების ფუნქცია სრულიად განსხვავებულია; რაც შეეხება ნოველისტური ტიპის ზღაპრებს, აქაც მმადნაფიცობას გარკვეული ადგილი ეთმობა; მართალია, არც ისე დიდი, როგორც პირველი ტიპის ზღაპრებშია, მაგრამ არც ისე უმნიშვნელო, როგორც მეორეში. ამ ზღაპრებში რეალისტური ცხოვრების საკმაოდ დიდი გავლენა იგრძნობა, ღინამდვილის ასახვის მეტ სიზუსტესთან გვაქვს საქმე. ამით აიხსნება ის, რომ დამშობილების დადებითი ფუნქცია ზანზგასმითაა წარმოსახული და, მეორე მხრივ, ისიცაა ნაჩვენები, რომ მშობილი მშობილს არცთუ იშვიათად ატყუებს, ერთი სიტყვით, აქ უკვე ინსტიტუტის დაცემის თვალსაზრისით ანარეკლი შეინიშნება.

როგორც ვხედავთ, ციკლები საკმაოდ განსხვავებულია ურთიერთისაგან. თუ საერთოდ მმადნაფიცობის კულტის თანმიმდევრულად განვითარებაზე ვიმსჯელებთ (რა თქმა უნდა, ზღაპრების მიხედვით), მაშინ შეიძლება ასეთი თანმიმდევრობა ჩამოყალიბდეს: ჯადოსნური ზღაპრები, საყოფაცხოვრებო და ცხოველთა. აქ შეიძლება ასეთი კითხვაც დაიბადოს ცხოველთა ზღაპრები წინ უსწრებს სხვა ტიპის ზღაპრებს და ამიტომ თითქოს უცნაურად უნდა მოგვეჩვენოს მისი ბოლო პლანზე გადმოტანა; მაგრამ ამჯერად ჩვენ არა საერთოდ ზღაპრების სახეების წარმოშობაზე გვაქვს საუბარი, არამედ დამშობილების მოტივის ზღაპრებში გამოყენებაზე, ვერაუდობთ, რომ ცხოველთა ეპოქაში დამშობილების მოტივის შეტანა შედარებით გვიანდელი ხანისაა.

ამრიგად, დამშობილება ქართული ზღაპრების ერთი მნიშვნელოვანი მოტივთაგანია, რომელიც თვალსაზრისად ავლენს საზოგადოების მიდრეკილებათსადაც და ასევე თვალსაზრისად განსაზღვრავს ზღაპრის სპეციფიკას როგორც შინაარსის (იდეური), ასევე ფორმის (სიუჟეტური) თვალსაზრისით.

დ ა მ ო წ მ ე ბ ა ნ ი

1 Сочинения Корнелия Тацита, т. 2, СПб, 1887, გვ. 355—358.

2 მის. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ქართული ზღაპრები, თბ., 1937, გვ. XV.

3 „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. I, 1943, გვ. 241—257.

4 „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. VII, 1951, გვ. 251—260.

5 ალ. ლ ლ ო ნ ტ ი, ქართული ხალხური ნოველა, თბ., 1963, გვ. 233.

6 მის. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, საგმირო რომანტიკული მოტივები, „ლიტერატურული ძიებანი“,

ტ. I, გვ. 247.

7 „ხალხური სიტყვიერება“, შემდგ. მის. ჩიქოვანი, ტ. II, თბ., 1952, გვ. 201.

8 იქვე.

9 ელ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, თბ., 1958, გვ. 369.

10 იქვე.

- ¹¹ იქვე, გვ. 374.
¹² „რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები“, ელ. ვირსალაძის რედაქციით, შესავალი წერილითა და შენიშვნებით, ტ. I, თბ., 1949, გვ. 394.
¹³ იქვე, გვ. 260.
¹⁴ იქვე, გვ. 177.
¹⁵ შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, თბ., 1974, გვ. 174—175.
¹⁶ „ხალხური სიტყვიერება“, შემდგ. მიხ. ჩიქოვანი, ტ. II, გვ. 166.
¹⁷ იქვე, გვ. 236.
¹⁸ იქვე, გვ. 235.
¹⁹ „რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები“, ელ. ვირსალაძის რედაქციით, შესავალი წერილითა და შენიშვნებით, ტ. II, თბ., 1958, გვ. 318.
²⁰ ეთნოგრაფიული მასალები, ტ. III, გვ. 115.
²¹ იქვე, გვ. 96.
²² „რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები“, შემდგ. ელ. ვირსალაძე, ტ. II, გვ. 99.
²³ „ხალხური სიტყვიერება“, შემდგ. მიხ. ჩიქოვანი, ტ. V, გვ. 98—99.
²⁴ „რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები“, შემდგ. ელ. ვირსალაძე, ტ. II, გვ. 110.

П. З. ЗАНДУКЕЛИ

МОТИВ ПОБРАТИМСТВА В ГРУЗИНСКИХ СКАЗКАХ

Резюме

Изучение мотива побратимства в грузинских сказках явно показывает, что в фольклоре нашли свое отражение тенденции реальной жизни и народного быта. Этот мотив в национальных сказках занимает важное место. Он представляет один из главнейших компонентов сюжетного развития и воплощения конкретной идеи.

В смысле отражения и использования культа побратимства ясную картину дают как волшебные, также и бытовые сказки и сказки о животных. В сущности, мотив побратимства самое важное место занимает в волшебных сказках. В сказках о животных функция побратимства совершенно иная, — хотя этот мотив и наличествует, в развитии сюжета особой роли не играет. Если в волшебной сказке побратимы жертвуют собой друг для друга, то в сказках о животных, наоборот, побратимы способны обмануть, унижить, предать друг друга. Вообще в сказках о животных мотив побратимства привносится позже, а относительно новеллистических сказок можно констатировать, что мотиву побратимства отводится определенное место, не такое важное, как в волшебных сказках, но и не столь незначительное, как в сказках о животных. В новеллистических сказках чувствуется большое влияние реальной жизни, здесь действительность отражается более точно и этим объясняется то явление, что положительная функция побратимства ясно выражена, хотя, с другой стороны, показано и то, что побратимы не щадят и обманывают друг друга. Здесь ясно отражена деградация института побратимства.

В связи с мотивом побратимства в грузинских сказках выделяется магистральная линия, которая рельефно отражает древнейшие грузинские обычаи, наглядно показывает общественные склопности, а также четко определяет специфику сказки, как с точки зрения содержания (идеи), также и формы (сюжета).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

მ ა ი ა ნ თ ა მ

პოეტიკა და ლინგვოსტილისტიკა

„პოეტიკის“//ლიტერატურული სტილისტიკის და ლინგვოსტილისტიკის მიმართების პრობლემა დღეს სტილისტიკის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. მრავალ თვალსაზრისთა შორის ორი დაპირისპირებული და ერთი შუალედური ტენდენცია გამოიკვეთა:

I. ენის სტილისტური რესურსების შესწავლა არის ყოველგვარი სტილისტური კვლევის საფუძველი, რამდენადაც სტილისტურ ეფექტებს სწორედ ეს რესურსები განსაზღვრავს. ძირითადად ეს შარლ ბალის მიმდევართა და თანამოაზრეთა თვალსაზრისია [1—7], რომელიც როგორც ტერმინების, ისე მათი კონკრეტული შინაარსის მხრივ, მხოლოდ ზოგად ხაზებში შემოხვევა. ბალისაგან განსხვავებით ეს მკვლევარები სცნობენ სტილისტიკის ორი შტოს არსებობის უფლებამოსილებას: ენის სტილისტური რესურსების შემსწავლელისა და გამონათქვამის (მათ შორის მხატვრული ტექსტის) სტილის შემსწავლელის. მცირე გამონაკლისით [4—5] ესენი ორივე შემთხვევაში ამოდიან სტილისტური ანალიზის და არა ზოგადი ლინგვისტური ინტერესებიდან.

II. რუსული ფორმალისტიკის შემკვიდრებები უარყოფენ უზუალური ფუნქციის კრიტერიუმს შეტყობინების, მათ შორის მხატვრული შეტყობინების, სტრუქტურის ემოციურ-ესთეტიკურ ღირებულებათა კვლევაში, როგორც ამ სტრუქტურისათვის უცხო [8—16], მაგრამ ამ სტრუქტურის შემსწავლელ სტილისტიკას ლინგვისტურ დისციპლინად აღიარებენ.

ამ პოზიციის თეორიული ამოსავალი არის, ერთი მხრივ, გამონათქვამის აღქმა, როგორც დასშული სტრუქტურისა, რომელსაც საკუთარი შინაგანი მიმართებები და კანონზომიერებები განაგებს, მეორე მხრივ, ენის „მონოლითურობის“ პიპოთეზის გადასინჯვა, ენა-მეტყველება დიქტომიის არ მიღება, ენის აღქმა, როგორც ცალკეული სტრუქტურებისაგან შემდგარი გლობალური სტრუქტურისა, რომელთაგან თითოეულში ენის ერთ-ერთი ფუნქცია დომინირებს. ერთ-ერთი ასეთი სტრუქტურა, რომლის არსებობაც განსაზღვრავს „ფორმის“ // „ესთეტიკური“ // „პოეტური“ // „სტილისტური“ ფუნქციის მოქმედება, არის მხატვრული ლიტერატურის, კერძოდ პოეზიის ენა თავისი შინაგანი კანონზომიერებებით, რომელთაც პოეტიკა შეისწავლის. მაგრამ „ესთეტიკური“ // „სტილისტური“ ფუნქცია მეორად როლში ჰხვავ ვერბალურ სტრუქტურებშიც მოქმედებს (მაიკლ რიფატერის თვალსაზრისით [16] „სტილისტური“ ფუნქცია ყველა სტრუქტურაში დანარჩენი ფუნქციების ინტენსივობას არეგულირებს). ამდენად პოეტიკის შესწავლის საგანი არის ყველა სახის ვერბალური სტრუქტურა და არა მარტო პოეზია. პოეტიკა არის ნაწილი ლინგვისტიკისა, რომელიც ვერბალური სტრუქტურის შემსწავლელი „გლობალური დისციპლინა“ და რომელიც თავის მხრივ „პანსემიოტიკის“ ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს.

„ესთეტიკური“ ფუნქცია ხსენებულ მკვლევართა კონცეფციაში გაგებულია

(მეტ-ნაკლები განსხვავებით) როგორც „ორიენტაცია“ — (set, einstellung) შეტყობინებაზე ანუ შეტყობინების ორიენტაცია საკუთარი თავის მიმართ [10]. ამ ფუნქციის რეალიზაცია მდგომარეობს „სელექციის ღერძის პროეცირებაში კომბინაციის ღერძზე“, რაც გაიშიფრება როგორც ენის პარადიგმულ//ვერტიკალურ კრილში მოქმედი სელექციის კანონების გადატანა სინტაგმატურ//ჰორიზონტალურ სიბრტყეზე, სადაც კომბინირების კანონები მეფობს და სადაც ამის შედეგად ექვივალენტობისა და პარალელიზმის პრინციპი იწყებს მოქმედებას, რომელიც იაკობსონს „პანქრონიული“, „პანნაციონალური“, „პანტერიტორი-ალური“ კანონზომიერების, ანუ ესთეტიკური ღირებულების შემცველი ყოველგვარი გამონათქვამის „იმანენტური სტრუქტურული კანონზომიერების“ დონეზე აპყავს. იაკობსონის არგუმენტაცია ემყარება, ერთი მხრივ, კონკრეტული მხატვრული ნაწარმოებების ანალიზს, მეორე მხრივ, ემპირიულად ცნობილ ფაქტს სხვადასხვა დროის, სხვადასხვა ერის, სხვადასხვა სახის პოეზიაში პარალელიზმის არსებობისა („ტექნიკური პარალელიზმი“ ძველ ებრაულ პოეზიაში, ბიბლიური ე. წ. parallelismus membrorum, ბერძნული, იტალიური, ინგლისური პოეზია [10]. ჩვენი მხრივ ამ ჩამოთვლას შეიძლება დავუმატოთ ევროპელებისაგან ისეთი განსხვავებული ხალხის, როგორცაა ინდოელთა ტომი პაპაგო, უმწერლო პოეზიაში სტრუქტურულად მორგანიზებული ფონეტიკურ-სემანტიკური და სინტაქსური პარალელიზმის არსებობის ფაქტი [17].

არაპოეტური გამონათქვამის ესთეტიკური ღირებულების საფუძველსაც იაკობსონი პარალელიზმში ხედავს [10]: „horrible Harry“. შეკითხვაზე: რატომ თქვით horrible და არა terrible, awful, frightful, disgusting — პასუხია: „მეჩაერება ის კაცი, horrible უფრო უხდება“. იაკობსონი ხსნის ამ არჩევანს შეუცნობელი პარანომასიის ხერხით, რაც ჩვენი თვალსაზრისით, სრულიად ნებისმიერი ახსნაა. სხვა არჩევანში, disgusting Harry-შიც კი შეიძლება პარალელიზმის დანახვა, ოღონდ ანტითეატური გამოვლინებით. გარდა ამისა horrible შეგვიძლია აღვიქვათ როგორც მოლაპარაკის სიძულვილის ემოციის („მეჩაერება“) სინესთეტიკური „იკონური“ ხატი (იაკობსონი ნიშნის პირველადი მოტივირებულობის თეორიას იზიარებს). ასეა თუ ისე, არც ერთი ახსნა არც გადაწყვეტილად მისაღება, არც გადაწყვეტილად მიუღებელი — ერთნაირად სუბიექტურ არგუმენტაციას ემყარება. ასეთივე სუბიექტურია მკვლევრის ანალიზის მეორე ნიმუში: I like Ike—ამომრჩეველთა მოსაზიდი ფორმულა, რომლის შთამბეჭდაობის საფუძველი არის, იაკობსონის განმარტებით, „გრძნობის პარანომასიული ხატი (image), რომელიც სრულად მოიცავს თავის ობიექტს“ ([laik] [aik]) და „პარანომასიული ხატი მოსიყვარულე სუბიექტისა, რომელიც მოცულია საყვარელი ობიექტის მიერ“ ([ai] [aik]). ხდება, როგორც ვხედავთ, პოეტური ხერხების ნებისმიერი მექანიკური ინტერპრეტაცია მათ მიერ გამოხატული ემოციის ხარისხობრივი დახასიათების ტერმინებში.

მიუხედავად ობიექტურ საფუძველს მოკლებული არგუმენტაციისა, იაკობსონის ჰიპოთეზა პარალელიზმის (ექვივალენტობის), როგორც ფინის „ესთეტიკური“ ფუნქციის განხორციელების საფუძვლის შესახებ ინტუიციის და ემპირიული გამოცდილების დონეზე დამაჯერებლად ელერს, რასაც ვერ ვიტყვით იაკობსონისავე მეორე განზოგადებულ დაკვირვებაზე [10].

იაკობსონი განალაგებს ენის ფუნქციებს პოეზიის ჟანრების მიხედვით: „ეპიკურ პოეზიაში, რომელიც მე-3 პირზეა კონცენტრირებული, ხდება ენის დენოტატური ფუნქციის გამოვლენა, ლირიკაში, რომელიც 1-ლ პირზე იღებს

ორიენტაციას, — ემოციურისა, მე-2 პირის პოეზიაში, რომელიც 2 სახისაა: ვედრებითი (supplicative) ან შემგონებელი (exhortative) — მიმართვის (აპელაციის) ფუნქცია მოქმედებს“. ეს განაწილება ჩვენ ნებისმიერად და არადამაჯერებლად გვესახება: განა გრძნობის გამოხატვა „მე“-სთან (1-ლი პირი) და გრძნობის აღძვრა „შენ“-თან (მე-2 პირი) ერთსა და იმავე „ის“-ზე (მე-3 პირი) მოცემულ ხატებსა და სახეებზე) არ არის დამოკიდებული? სად არის საბუთი იმისა, რომ ეპიკა, ლირიკა და სხვა სახის „გრძნობის აღმძვრელი“ პოეზია განსხვავებულია ამ მხრივ? განა უღრმესი ლირიზმი — „მე“-ს განწყობილების ინტიმური გამოვლინება — და დაძაბული დრამატიზმი არ მიიღწევა მე-2 და მე-3 პირის პოეზიაში? — „თითქოს დაეშვა შავი ფარდები\ღამის წყველიდში ისე მწარდები...“ (ვალაკტიონი). ენის ფუნქციების მექანიკურ განაწილებას პოეზიის უნარებისა და მიხედვით (რომელიც ემპირიული ფაქტებით შეუმაჯერებელი სუბიექტური მსჯელობის ხასიათს ატარებს), აგრეთვე უნივერსალური ობიექტური კანონზომიერების ღირებულება ენიჭება.

ესთეტიკურის არსი დღეს პოზიტიური მეცნიერებისათვის უცნობია. რა ბუნებისაა ესთეტიკური ღირებულება? სამყაროს მოვლენათა შორის რომელია „ესთეტიკური“ და რომელი არა? რა განსაზღვრავს მოვლენის ესთეტიკურობას, რით იზომება მისი ხარისხი? შეიძლება კი საერთოდ „ესთეტიკურის“ ობიექტური განსაზღვრა? არსებობს კი ესთეტიკურობის ობიექტური კრიტერიუმი? როგორია სუბიექტის ესთეტიკური განცდის ფსიქოლოგიური მექანიზმი? რა არის ესთეტიკური მოთხოვნების ფსიქოლოგიური საფუძველი? და სხვა და სხვა... დღეს ეს საკითხები მეტ-ნაკლებად სუბიექტური ინტუიციის დონეზე წყდება, მეცნიერებას მათზე ობიექტური პასუხი არ გააჩნია.

თუნდაც ამიტომ ესთეტიკური ღირებულებების იმანენტური ობიექტური საფუძვლების ძიება (დღევანდელ ეტაპზე მაინც) პრინციპშივე ჰიპოთეზირებისა და სუბიექტივიზმისთვის განწირული ჩანს (რაც არ გამორიცხავს ასეთი ჰიპოთეზირების მნიშვნელობას და ღირებულებას).

რამდენადაც ზოგადი ობიექტური კანონზომიერების ძიებისას ინტუიციის პრინციპშივე არასაკმაოა, იმდენად კონკრეტულ სტილისტურ ანალიზში სუბიექტივიზმი უფლებამოსილია. რატომ? არა იმიტომ, რომ არ ჩანს ჭერჭერობით სხვა უფრო სანდო ობიექტური კრიტერიუმი ან ასეთის მოძიების გამოკვეთილი ტენდენცია, არამედ იმიტომ, რომ ყოველი გამონათქვამი, მით უმეტეს მხატვრული, თავის სემანტიკურ-ემოციურ მთლიანობაში არის ინდივიდუალური შემოქმედების ღრმად პიროვნებრივი აქტი, რომლის „გახსნაში“ ინტუიციის როლის გამოთიშვა არ ხერხდება არც ფსიქოლოგიის დღევანდელ მონაცემებზე დაყრდნობით, არც ემპირიული გამოცდილების საფუძველზე. სწორედ ამიტომ, როგორც ჩანს, რომ მკაცრად ობიექტური მათემატიკური სტატისტიკური მეთოდი, რომელიც ინტუიციას გამორიცხავს, ტექსტის ემოციურ-ესთეტიკური მახასიათებლების თუ ესთეტიკური საშუალება-შედგენი მიმართების დადგენაში უძლური გამოდგა; მისი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე უუნქციონირების შედეგად არ მოხერხდა ცალსახა შესატყვისობის არც ერთი შემთხვევის დადგენა გამონათქვამის სტატისტიკურ მახასიათებლებსა და სტილისტურ ღირებულებებს შორის. შემოწმების ერთადერთი კრიტერიუმი კი ისევ და ისევ სუბიექტური ძლევია. ლირიზმის, დრამატიზმის, დინამიკურობის, ემოციური ინტენსივობის თუ რომელიმე ხარისხობრივად დაზუსტებული ემოციის დადასტურება, ისევე როგორც ესთეტიკური ღირებულების და მისი

ხარისხის აღრიცხვა ტექსტში მხოლოდ უშუალო ბიროვნული აღქმით არის შესაძლებელი.

III. ტრანსფორმატორულ-გენერაციული მეთოდის სტილისტიკაში. შუალედური ტენდენცია „ლინგვისტიკა-პოეტისა“ მიმართებაში ლინგვისტიკის შტოდ მიიჩნევა პოეტისა, რომელიც საკვლევ იარაღად ლინგვისტიკურ მეთოდებს იყენებს [18, 19].

1972 წ. მკვლევარი მაკინტოში [20] სთავაზობს სტილისტიკას (აბსტრაქტულად) ტრანსფორმატორულ-გენერაციულ მეთოდს. მკვლევარ ომანის თვალსაზრისით [21] გენერატორული გრამატიკა იძლევა შესაძლებლობას, ერთი მხრივ—სტილის თეორიისა და კონკრეტულ ავტორთა სტილების ანალიზის ობიექტური საფუძვლის შექმნისა, მეორე მხრივ — ენის სტილისტური ელემენტების, ანუ ზედაპირული სტრუქტურების, იმ ტრანსფორმაციული ალტერნატივების აღმოჩენისა, რომლებიც ღრმა სტრუქტურების ბირთვის გარშემო ლაგდება. მათი იდენტიფიკაციის გზა არის ტრანსფორმაციების ტიპების დადგენა სხვადასხვა ავტორთან. მეთოდია — ჯერ ზედაპირული სტრუქტურების დაშლა და ბირთვული მწკრივების (kernel strings) აღმოჩენა, შემდეგ მათი ხელახალი რეკონსტრუირება და ტექსტის ზედაპირისა და ბირთვების მწკრივებს შორის შესაძლო (optimal) ტრანსფორმაციების დათვლა და აღრიცხვა. ამ მეთოდს აქვს ომანისათვის სტილისტური ანალიზის ინტუიტიურ-იმპრესიონისტული მეთოდის ობიექტური მეთოდით შეცვლის ღირებულება, რომელიც წარმოადგენს ტექსტში „სტილისტურსა“ და „აზრობრივს“ შორის ზღვარის დაღების ობიექტურ გზას.

ომანი იძლევა ასეთი ანალიზის კონკრეტულ ნიმუშს ჰემინგუეისა და ფოლკნერის ნაწყვეტებში და არსებითად განსხვავებულ შედეგებს იღებს.

ის, რაც ფოლკნერთან აზრობრივი შინაარსის შენარჩუნებით „სპობს“ სტილის სპეციფიკას (აზრობრივი ზედმეტობების მინიმუმამდე დაყვანა კავშირების and, yet, as...as, more...than მოშორებით), ჰემინგუეის სტილს არაფერს უცვლის. მის შესაცვლელად სხვა სახის ტრანსფორმაცია ხდება საჭირო (მაგ., ე. წ. style indirect libre-ის მოშორება), ისევე როგორც ვირჯინია ვულფის, ფორდ მადაქს ფორდის, ჯეიმს ჯოისის პროზაში.

ექსპერიმენტის შედეგები უკარნახებს მკვლევარს ზოგად დასკვნებს: (1) სტილი არის ენის ტრანსფორმატორული აპარატის გამოყენების დამახასიათებელი მანერა, „გარკვეული კონცეპტუალური ორიენტაცია“. და (2) არსებობს სტილთა შორის სხვაობის 2 ტიპი: ხარისხობრივი—ტრანსფორმაციის წესების სახეობის მხრივ (set of rules) და რაოდენობრივი—სიხშირის მოდულების მხრივ (patterns of frequency).

აქედან, ტრანსფორმატორული მეთოდის შესაძლებლობაზე დაყრდნობით მკვლევარს გამოჰყავს ორი საპროგრამო დასკვნა:

1. „მწერლის კონცეპტუალური ორიენტაციის სპეციფიკაცია იძლევა ობიექტურ იარაღს ავტორის აზროვნებასა და ხელოვნებაში (artistry) ჩასაწვდომად“ და 2. ტრანსფორმატორული ანალიზი არის ენის „სტილისტური“ რესურსების ინტენტივაციის ობიექტური გზა.

რამდენად რეალურია ამ მეთოდის ობიექტურობა?

1. ამა თუ იმ „ორიენტაციის სპეციფიკაცია“ გულისხმობს გარკვეული ცალსახა შესატყვისობის აღმოჩენას მწერლის ქვეცნობიერ ტრანსფორმაციულ აპარატსა და ტექსტის კონკრეტულ „ესთეტიკურ“, „ემოციურ“, „ინტექტუალურ“ ღირებულებებსა და ამ ღირებულებათა მთელ კომპლექსს შო-

რის, ასეთი შესატყვისობის ფაქტის არსებობის თეორიული დამაჯერებლობის მიუხედავად მისი „გახსნის“ ჯერ განუხორციელებელი შესაძლებლობის მიღწევადობა-მიუღწევადობის შემოწმება მხოლოდ ემპირიულადაა შესაძლებელი. მანამდე კი, თუნდაც თეორიული არგუმენტაციით შემაგრებული „პოე“ და „არაე“ ისევე იმ სუბიექტური ინტუიტიური შთაბეჭდილებების დონეზე რჩება, რომელსაც შეებრძოლა თავისი მეთოდით მკვლევარი.

2. საექვთა აგრეთვე ამ მეთოდების ობიექტური მნიშვნელობა და საკმარისობა თვით შეტყობინების სტილისტურად რეღუენატური უღემენტებრს აღმოჩენისთვის. ტრანსფორმაციის ამა თუ იმ სახეობის (საფუძვლის) ამორჩევა რომანის ექსპერიმენტში მკვლევრის სუბიექტური აღქმით არის ნაქარნახევი, ამ მეთოდის ობიექტური ღირებულება ამოიწურება ამა თუ იმ მწერლისთვის, ჟანრისათვის, მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი ინტუიტიურად დაღგენილი სტილისტური მარკერების მხოლოდ შემოწმების შესაძლებლობით, რაც თავისთავად დამხმარე, შეორჯხარისხოვანი ამოცანაა. სუბიექტივიზმის დაძლევა ნახსენები მეთოდით ტრანსფორმაციის ტიპის არჩევისას შესაძლებელი იწნებოდა თეორიულად (შავრამ რამდენად მართებული და რამდენად განხორციელებადია იგი პრაქტიკულად?) მხოლოდ ყველა სახის შესაძლო ტრანსფორმაციის ჩატარების შემთხვევაში, კონკრეტულ ენაზე დაწერილ ყველა მხატვრულ ნაწარმოებში ან ყველა მწერალთან მაინც.

თუ ამ ენაზე შექმნილ პოეზიაში // მხატვრულ ლიტერატურაში მოიძებნება თუნდაც ერთი ისეთი შეტყობინება, რომელიც ტრანსფორმირებას არ ექვემდებარება — „გრამატიკულობის“ საზღვარს სცილდება, რაც თავისთავად უემქველია (ამას გკვარნახობს ემპირიული გამოცდილება და ენობრივი ინტუიცია, რომელიც „გრამატიკულობის ხარისხის“ ერთადერთ საზომადაა აღიარებული თვით გენერატორული გრამატიკის შემქმნელის მიერ [22]), მაშინ ტოტალურად განხორციელებული სტილისტური ტრანსფორმაციაც კი მხოლოდ კონკრეტული სტილისტური ანალიზისათვის გამოდგება და განზოგადებულ ობიექტური კანონზომიერების დონეზე აყვანილი დასკვნების გაკეთების უფლებას კარგავს.

ტრანსფორმატორულ-გენერაციული მეთოდის პოეზიაში (Dichtung)* გამოყენების წინააღმდეგ გამოთქმულია თეორიული ხასიათის მახვილგონიერი არგუმენტი [23]: კარგი პოეზიის ვერბალური სტრუქტურის განსხვავება საერთო სალიტერატურო ენისაგან არსებობს არა ზედაპირული, არამედ სიღრმისეული სტრუქტურის დონეზე; ცუდი პოეზია, რომელიც არსებითად „პროზაული თვისებისაა“, სწორედ იმიტომაც ასეთი, რომ აქ სტილისტური ტრანსფორმაციების აგება — წინადადებათა სიღრმისეული სტრუქტურების აგება — ხდება „სტანდარტული“ ენის გრამატიკიდან აღებული წესების მიხედვით. პოეტი ახალ სელექციას კი არ ახდენს, ლექსის სიტყვები ახალ სელექციურ მიმართებებში კი არ შეჰყავს, არამედ აქ თვითონ სელექციის წესებია სხვა.

ამ მეთოდის ობიექტური ღირებულების თაობაზე ენის სტილისტური რესურსების აღმოჩენაში. გადაჭრით პასუხი აგრეთვე მხოლოდ ემპირიულ კვლევებს შეეძლება. თეორიულად, აპრიორი, ალბათობის გარკვეული პროცენტით შეიძლება დაფუძვალთ მისი შედეგიანობა, თუმცა გრამატიკუ-

* პროზა-პოეზია (Dichtung) დაპირისპირება გულისხმობს აქ არა რიტმულ-ინტონაციური სტრუქტურების, არამედ მხატვრულისა და არა მხატვრულის დაპირისპირებას.

ლობის ხარისხსა და სტილისტური ეფექტიანობის შემოწმების კრიტერიუმის იხვე და ისე ინტუიციით, რაც ამ შედეგიანობას თეორიულადვე საეჭვოს ზღის. პრაქტიკულად მისი აუცილებელი პირობაა ენის მთელი მასალის შემოწმება (ყველა თეორიულად შესაძლებელი ტრანსფორმაციის ჩატარება ენის რეალიზაციის უსასრულო რაოდენობის მხატვრულ კონტექსტში), რაც აგრეთვე მისი განხორციელებადობის ექვს ბაღებს.

გარდა ამისა ამ მეთოდით დადასტურებული სტილისტური მარკერი შესაძლოა ან საერთოდ არ წარმოადგენდეს ენის სისტემის კუთვნილებას (როგორც მაგალითად, style indirect libre ჰემინგუეისთან და ვირჯინია ვულფთან), ან მიუხედავად ენობრივი ბუნებისა (როგორც ვთქვით კავშირი as...as, yet, etc... ფოლკნერის ფრაზაში) არ იყოს ენის სტილისტური ღირებულება — არ ჰქონდეს ნიშნადი პოზიცია ენის სტილისტურ ღირებულებათა სისტემაში [24]. ტექსტის სტილისტური მარკერის ენობრივი ბუნებისა და ენობრივი ფაქტის სტილისტური ღირებულების დადგენა გენერატორულ-ტრანსფორმაციული მეთოდის შესაძლებლობებს აშკარად სცილდება. ამდენად, ამ მეთოდის ღირებულების მიუხედავად კონკრეტული ტექსტის თუ ავტორის სტილის ანალიზისთვის, ანუ „პოეტიკისთვის“ (ლიტერატურული სტილისტიკისთვის, მეტყველების სტილისტიკისთვის), ლინგვისტურ სტილისტიკაში იგი უშედეგო ჩანს.

„პოეტიკისათვის“ ეფექტური მეთოდების გამოუსაღებლობა ლინგვისტურ სტილისტიკაში ჩვენი თვალსაზრისით კანონზომიერად მომდინარეობს ამ ორი დისციპლინის საკვლევი ობიექტის არსებითი სხვაობიდან; ტექსტის სტილი//ემოციურ-ესთეტიკური ღირებულება იქმნება განსხვავებული ბუნებულ ურთიკვებ მოვლენათა ურთიერთქმედებით, რომლებიც ადამიანის არსებობისა და გამოვლინების განსხვავებულ სფეროებს ეკუთვნიან და თავისთავად აღებული მეცნიერებებს შესაბამისი დარგების — ფსიქოლოგიის, ლოგიკის, ლინგვისტიკის — კვლევის ობიექტს წარმოადგენენ. ტექსტის მთლიან სტრუქტურაში ეს მოვლენები ახალ მიმართებებში შედიან — ახალ კონტექსტულურ თვისებებს იძენენ, როგორც ამ სტრუქტურის ელემენტები, და ამ ახალ როლში იქცევიან ტექსტის სტილის შემსწავლელი დისციპლინის — „პოეტიკის“ შესწავლის საგნად ერთი საერთო მხრით — სტილისტური ფუნქციის თვალსაზრისით. პოეტია (როგორც კონკრეტული ესთეტიკური ღირებულებების თუ ესთეტიკური შედეგი-საშუალება მიმართების ზოგადი კანონზომიერებების შემსწავლელი დისციპლინა) ესთეტიკის ერთ-ერთი კერძო დარგია. მეორე მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომ „პოეტურ//ესთეტიკურ ღირებულებათა დიდი ნაწილი ნიშანს წარმოადგენს და ამდენად ზოგადი სემანტიკის, სემიოტიკის, „პანსემიოტიკის“, სემასიოლოგიის კომპეტენციას განეკუთვნება.

ამავე არგუმენტაციით, ზოგადი სემიოტიკის დარგად ჩაითვლება ლინგვისტიკაც თავისი განსტობებით (მათ შორის ლინგვისტილისტიკით, რომელიც აგრეთვე ნიშანთა სისტემას სწავლობს). ტექსტის სტილის შემქმნელი ყველა სახის ელემენტებიდან მის კომპეტენციაში შედის სტილისტური ღირებულებების მქონე მხოლოდ სოციალურად სანქციონირებული ენობრივი ნიშნები, ანუ ენის სისტემის ღირებული ელემენტები [24], ამასთან, მხოლოდ ისეთები, რომლებიც სტილისტურ ფუნქციას ინარჩუნებენ ენის ასოციაციურ კრილშიც.

ᲑᲗᲐᲗᲗᲗᲗᲗᲗᲗ

- ¹ St. Ullman, *Meaning and Style*, Ox. B., 1973.
- ² P. Guiraud, *La stylistique*, P., 1967.
- ³ P. Guiraud, *La semiologie*, P., 1973.
- ⁴ Э. С. Азнаурова, *Очерки по стилистике слова*, Ташкент, 1973.
- ⁵ Н. С. Трубецкой, *Основы фонологии*, М., 1960.
- ⁶ H. Seidler, *Allgemeine stilistik*, Gst., 1953.
- ⁷ И. В. Арнольд, *Стилистика современного английского языка*, Л., 1973.
- ⁸ R. Barthes, *Essais critiques*, P., 1964.
- ⁹ R. Barthes, *Linguistique et Literature "Langages"*, 1968, № 12.
- ¹⁰ R. Jakobson, *Linguistics and Poetics*, ed. Sebeok "Style in Language", L. N. Y., 1960.
- ¹¹ R. Jakobson, *Unterbewusste sprachliche Gestaltung in der Dichtung*, "Zeitschrift f. Literaturwissenschaft u. Linguistik", 1971, Jg. I, H 1/2.
- ¹² C. Levi-Strauss, (Jakobson and Levi-Strauss), *Les Chats de Baudelaire, Le Homme*, 1962, № 2.
- ¹³ M. Riffaterre, *Stylistic Context*, "Word", 1960, vol.16, № 2.
- ¹⁴ M. Riffaterre, *Essais de stylistique structurale*, P-FL, 1971.
- ¹⁵ M. Riffaterre, *Criteria for Style Analysis*, "Word", 1959, № 2.
- ¹⁶ M. Riffaterre, *The Stylistic Function*, "Proceedings of the IX Inter. Congress of linguists" the H. P., 1964.
- ¹⁷ R. M. Underhill, *Vocabulary and Style in an Indian Language*, "American Speech", 1934, vol. IX, № 4.
- ¹⁸ M. Cressot, *Le style et ses techniques*, P., 1959. -
- ¹⁹ N. Er. Enkwist, *Linguistic Stylistics*, the H. P., 1973.
- ²⁰ A. McIntosh, *Language and Style*, "Sociolinguistics-Selected Readings", Harw., 1972.
- ²¹ R. Ohman, *Generative Grammar and Concept of Style*, "Word", 1964, vol. XX, № 3.
- ²² N. Chomsky, *The Logical Basis of Linguistic Theory*, "Proceedings of the IX Inter. Congress of Linguists", The H. P., 1964.
- ²³ J. P. Thorne, *Stylistics and Generative Grammar*, "Journal of Linguistics", 1964, v. I.
- ²⁴ М. Р. Натадзе, *О социальной обусловленности стилистических окрасок* «Вестник АН ГССР», 1975, № 6.

М. Р. НАТАДЗЕ

ПОЭТИКА И ЛИНГВОСТИЛИСТИКА

Резюме

В работе дается «карта» ведущих тенденций современной стилистики в вопросе осмысления отношения между «поэтикой»//стилистикой речи и лингвистической стилистикой. Среди множества точек зрения выделены две четко противоположные и одна промежуточная тенденции: (1) Основой любого стилистического эффекта признаются стилистические явления, бытующие в языке, следовательно, лингвистическая стилистика признается основой поэтики (последователи Ш. Балли). (2) Отрицается критерий узальной функции в изучении эстетической//эмоциональной ценности речевого (художественного) целого, как чуждой ему, — поэтика признается отраслью лингвистики (в основном наследники русского формализма). (3) Поэтика, применяющая лингвистиче-

ские методы, в частности, трансформативно-генеративный метод, признается дисциплиной лингвистической.

Основываясь на определенной теоретической позиции — приятие за исходную тезиса монолитности языковой системы, а также дихотомии *langue — parole, competence — performance* (в отличие от тенденции (2)) и приятие тезиса определенной «замкнутости» структуры высказывания, рождающей вдобавок к узואლным новые конкретно-структурные «стилевые» функции языковых единиц (в отличие от тенденции (1)) — автор с ч и т а е т принципиально неправомерным как слияние поэтики с лингвистической стилистикой и применение одних и тех же методов при исследовании существенно различных объектов изучения этих дисциплин, так и отрицание критерия «кода» при анализе эмоционально-эстетических ценностей структуры сообщения.

Явления различной сущности, создающие стиль подобной структуры, представляющие сами по себе объект исследования соответствующих научных дисциплин (логики, психологии, лингвистики), в качестве элементов единой структуры превращаются в предмет исследования поэтики (дисциплины, изучающей эстетическую ценность высказывания) с одной общей их стороны — со стороны их эстетической функции в тексте. Следовательно, поэтика — одна из отраслей эстетики. С другой стороны, существует мнение, что большая часть «поэтико-эстетических» ценностей является знаком, входя наряду с языком в компетенцию общей семантики, семиотики, семиологии. С позиции той же аргументации отраслью семиотики можно считать также лингвистику с ее отдельными ответвлениями (в том числе лингвостилистикой,) которая, согласно лингвистической логике (с принятой автором позиции) должна изучать из всех стилистических маркеров текста лишь сущности, имеющие стилистическую функцию *in absentia* в ассоциативном разрезе языка, иначе говоря, стилистически значимые языковые факты.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურ
ფილოლოგიის კათედრა
წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ

ჯ უ ნ ის ო ნ ი ა ნ ი

ს ვ ა ნ შ რ ი ბ ვ ა რ ის ე თ ნ ო ლ ი ნ ბ გ ი ს ტ უ რ ი ა ნ ა ლ ი ზ ი ს ა თ ვ ის

როდესაც ვამბობთ სვანურ გვარს, აქ მხედველობაში გვაქვს ძირითადად -იან, -ან ბოლოსართიანი გვარები, რადგანაც სვანეთში გავრცელებული გვარების უმრავლესობა აღნიშნულ სუფიქსებს დაირთავს: ავალიანი, ასათიანი, ბაბლუანი, ბერიანი, გელოვანი, გიგანი, გულბანი, დადუშქელიანი, დავითიანი, დემეტრიანი (დემეტრეანი), ზურაბიანი, კატიშანი, კახიანი, ლიპარტელიანი, მარგველანი, ონიანი, რატიანი, ჩარკვიანი, ყიფიანი, ჭაბუკიანი, წულუკიანი და სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

აკ. შანიძის სიტყვით -იან სუფიქსი ამჟამად გამოყენებულია გვარის ერთ-ერთ დაბოლოებად დასავლეთ საქართველოში, უმთავრესად სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში. ასეთი გვარები, გამოჩენილი მეცნიერის აზრით, აღმოსავლეთ საქართველოშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული, მაგრამ იქ -იან შეუცვლია ძესა და შვილს. მასვე მოჰყავს მაგალითები — ციციან(ნი), ოთარაანი, ოძელაანი და ა. შ. იგი -იან სუფიქსს მიღებულად თვლის -ეან სუფიქსისაგან და მისი ფუნქცია ძველად უნდა ყოფილიყო ვინმესაგან წარმომავლობის აღნიშვნა¹.

ს. ჯანაშიამ -იან დაბოლოება საერთო-ქართველურ ფორმად მიიჩნია და მის პარალელურ ფორმებად ჩათვალა მეგრული გვარების დაბოლოებანი -ია(ნი), ავა(ნი), უა(ნი), ხოლო ყველაზე ხელშესახებად აღნიშნული სუფიქსი, მეცნიერის აზრით, სვანურმა გვარმა შეინარჩუნა². ზემოთ თქმული მოსაზრებებიდან არსებითად არ განსხვავდება ზ. ჭუმბურიძის შეხედულება ამ საკითხზე³.

რადგანაც -იან, -ან სუფიქსით დაბოლოებულ სვანურ (ქართველურ) გვარზე დღემდე არ გავაჩნია ცალკე გამოკვლევა (ამ საკითხის მონოგრაფიული შესწავლის აუცილებლობა დიდი ხანია იგრძნობა), ამდენად ჭერჯერობათ ადგილი აქვს გაუგებრობასაც, რაც იმაში გამოიხატება, რომ ზოგი -იან სუფიქსიან ქართველურ გვარებს ურევს მსგავსი ფორმით დაბოლოებულ სხვა ეროვნების გვარებთან.

ამ წერილში გვსურს გავაკეთოთ რამდენიმე შენიშვნა -იან, -ან, სუფიქსიანი გვარების შესახებ (უმეტესად სვანეთში გავრცელებული გვარების მიხედვით). -იან, -ან სუფიქსით დაბოლოებული გვარები, ერთი შეხედვით, თითქოს მტკიცედ არიან ერთმანეთისაგან გამიჯნულნი: ასათიანი, დადუშქელიანი, დავითიანი, ლიპარტელიანი, ქურასბედიანი, ჩარკვიანი; შეუძლებელია გადავაკეთოთ და ვთქვათ — ასათანი, დადუშქელანი, დავითანი, ლიპარტელანი, ქურასბედანი, ჩარკვანი. -ან სუფიქსიანი გვარები — გიგანი, ნაკანი, გელოვანი, ჩიქოვანი, შუკვანი, კიბოლანი; შეუძლებელია გადავაკეთოთ და ვამბობდეთ გიგანი (ან გიგაიანი), ნაკიანი (ან ნაკაიანი), გელოვანი (ან გელოიანი), ჩიქოვანი (ან ჩიქოიანი), შუკვიანი (ან შუკოიანი), კიბოლიანი და ა. შ.

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1953, გვ. 123—124.

² ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, III, თბ., 1959, გვ. 35—41.

³ ზ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, რ ა გ ჳ ი ა შ ე ნ თ ბ., 1966, გვ. 24—25.

იკრევეა, რომ -იან და -ან სუფიქსით დაბოლოებული გვარები მტკიცედ მიღებულ წესს იცავენ. ჩვენი წერილის მიზანს კი შეადგენს დაამტკიცოს, რომ სვანურ გვარში გვაქვს არა ორგვარი დაბოლოება -იან და -ან, არამედ მხოლოდ -ან სუფიქსი; სადაც -იან ფორმა გვაქვს, ი ხმოვანი აქ ნანათესაობითარია (ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოების იშ, ქართული ის სუფიქსის ნაშთია).

სვანური გვარების უდიდესი უმრავლესობა ადამიანის (წინაპრის) სახელი-საგან მოდის. ასათ, გიგა, გელო, დადეშქელ, ლიპარტელ, ქურასბედ, ყორჯოლ, ჩარუკე, ყიფი, ონი, რატი, კახი და ა. შ. შამაკაის სახელებია და მათგან -ი-ან, -ან სუფიქსის დართვით ვლუბლობთ გვარს, რაც საერთოდ ცნობილი ფაქტია, ხოლო ყველა სვანური გვარი ნანათესაობითარია ისევე, როგორც ძე და შვილით დაბოლოებული ქართული გვარები (ჯავახისშვილი, ციციშვილი, საბანისძე, ინასარისძე და ა. შ.). მაგალითად, გვარი ავალიანი მიღებულია ამგვარად: ავალ (კაცის სახელია) ავალ-იშ-ან-ი, დგას ნათესაობით ბრუნვაში; ქართულად იქნება — ავალ-ის-ან-ი, ე. ი. ავალ-ის-ძე ან ავალ-ის-შვილი. ასათ — ასათ-იშ-ან-ი; ქართ. ასათ-ის-ან-ი, ასათ-ის-ძე, ასათ-ის-შვილი და ა. შ. სვანური ანი — „ძეს“, „შვილს“ ნიშნავს. ალბათ, ამ სიტყვის უძველესი ფუნქცია საერთო-ქართველურ დონეზეც ასეთივე უნდა ყოფილიყო.

სვანური ან (ი) „ძეს“ და „შვილს“ რომ ნიშნავს, გარკვევით ჩანს შემდეგიდან: თუ ქალს ორი კმრისაგან ჰყავს შვილები, ვთქვათ, დავითისა და ზურაბისაგან, პირველისაგან რომელიც ჰყავს, იმას ჰქვია დავითიშანი, ხოლო მეორისაგან რომელიც ეყოლა — მას ზურაბიშანი (ე. ი. დავითის ძე, დავითის შვილი და ზურაბის ძე, ზურაბის შვილი); სულ ერთია, ვაჟი იქნება თუ ქალიშვილი. სვანური გვარის პირვანდელი სახე აქ გარკვევით ჩანს. თუ რატომ არ განიცადა ევოლუცია ამ გამოთქმამ, ამის გარკვევა მომავლის საქმეა.

სვანურ გვარებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ თუ გვარის წინაპრის სახელის ფუძე თანხმონით ბოლოვდება (ჰაბუკ, ქურასბედ, ლიპარტელ, დავით, ზურაბ), მაშინ გვარად გადაკეთების დროს ისინი აუცილებლად -ი-ან(ი) სუფიქსს დაირთავენ (ჰაბუკიანი, ქურასბედიანი, ლიპარტელიანი, დავითიანი, ზურაბიანი), ხოლო ფუძეხმოვნიანი სახელები — ბედი, ონი, რატი, დადი, გიგა, დადუ კი — მხოლოდ -ან(ი) სუფიქსს (ბედიანი, ონიანი, რატიანი, დადიანი, გიგანი, დადუანი). ამ საერთო წესიდან გადახვევა სვანური გვარისათვის ანომალიაა. თუ ასეთი შემთხვევა გვაქვს, იგი მეორე გვარის ანალოგიით ან გვარის წარმოშობის სახელის ფუძის სირთულით (თავისებურებით) აიხსნება.

არის რამდენიმე გვარი სვანეთში, რომლებიც -ი-ან სუფიქსითაც ბოლოვდებიან და -ან სუფიქსითაც. ასეთებია: ყორჯოლიანი (ყორჯოლანი), მარგველიანი (მარგველანი), ჩამგელიანი (ჩამგელანი), ბახსოლიანი (ბახსოლანი), დავითულიანი (დავითულანი). შამაკაის სახელებია — ყორჯო (აქედან კნინობით ფორმაში ყორჯოლ, ქართული — ყორჯიკა, სვანური -ოლ კნინობითი სუფიქსია), ბახსო (კნინობით ფორმაში ბახსოლ), დავით (კნინობით ფორმაში დავითულ). ამ გვარების მტკიცედ დადგენილი წესისადმი დაუმორჩილებლობა აიხსნება სახელის ფუძეებზე -ოლ, -ულ, -ელ სუფიქსების დართვით (-ელ სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსი ჩანს და იგი საერთო-ქართველური უნდა იყოს). ამათი ანალიზი აქ ჩვენს მიზანს არ შეადგენს.

რაც შეეხება ქურდანის, გულბანის, გველბანის — ქურდიანად, გულბიანად და გველებიანად (გველბიანად) მოხსენიებას, როგორც წერილობით, ისე ზეპირ-

რად, საკმაო საფუძველი არ გააჩნია და იგი ანალოგიით აიხსნება ისეთი გვარებისა, რომლებიც -(ი)ან სუფიქსით იწარმოება.

სევანეთში გვაქვს -ან-ი, -(ი)ან-ი სუფიქსებით დაბოლოებული ტოპონიმებიც: გირგოლაანი, სალდაანი, დულდაანი, ქართვაანი, ყანჩვანი, ლელვაანი, ქარაანი, ზურაანი, საყველიანი, ფერგიანი, ჩერგიანი, გიორგიანი, საჭინჭარაანი, სადედარიანი, სივანი, ტოტოლიანი და ა. შ. ჩანს, რომ ეს სახელწოდებანი გვარის სახელებიდან მოდის.

ამრიგად, სევანური გვარის მოდელი ასეთ სახეს მიიღებს: ავალ — ავალ-იშ-ან-ი (ქართული ავალ-ის-ან-ი) — ავალი-ან-ი; ბერი — ბერ-იშ-ან-ი (ქართული ბერ-ის-ან-ი) — ბერი-ან-ი; ონი — ონი-იშ-ან-ი (ქართული ონი-ს-ან-ი) — ონი-ან-ი; დადი — დადი-იშ-ან-ი (ქართული დადი-ს-ან-ი) — დადი-ან-ი; ქაბუკ — ქაბუკ-იშ-ან-ი (ქართული ქაბუკ-ის-ან-ი) — ქაბუკ-ი-ან-ი; გივა — გივა-აშ-ან-ი (ქართული გივა-ს-ან-ი) — გივა-ან-ი და ა. შ. თანხმონით დაბოლოებული სახელებიდან მიღებულ გვარებში დაიკარგა ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი — იშ (ქართული ის) ფორმანიტიდან შ (ქართული ს), ა, ე, ი, ო, უ ხმოვნებით დაბოლოებულ სახელებიდან მომდინარე გვარებში კი — იშ, აშ, ეშ, ოშ, უშ ფორმანტები. ე. ი. გვქონდა: ონიშანი, გივაშანი, დემეტრეშანი, გელოშანი, დადუშანი; გვაქვს: ონიანი, გივანი, დემეტრეანი, გელოანი//გელოვანი, დადუანი და ა. შ. ცნობილია, რომ სევანური ხმოვანფუძიანი სახელები ნათესაობითში დაირთავენ იშ, აშ, ოშ, უშ, ეშ დაბოლოებებს, ხოლო ქართული ხმოვანფუძიანი სახელები — ს, სი დაბოლოებებს⁴.

სევანური გვარის ევოლუცია რომ ამ მოდელის მიხედვით მიმდინარეობდა, ამას ადასტურებს ზემოთ მოყვანილი მაგალითების — დავითიშანი, ზურაბიშანის, დავითის ძედ, ზურაბის ძედ გააზრების — გარდა, ზემო სევანეთში დღემდე შემორჩენილი გვარი კატშანი//კატიშანი (კატი სახელია). ასევე, ისეთი გვარება, როგორცაა თუთისანი, დათუსანი, წილოსანი, ან სევანური თუთი-იშ-ან(ი)ს, დათუ-უშ-ან(ი)ს, წილო-ოშ-ან(ი)ს პირდაპირი თარგმანია, ან სინქრონული პარალელი. ამ გვარებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნები რატომღაც გაქვევებულ ფორმებში შემოგვრჩა. შესაძლებელია, თუთისანი, დათუსანი, წილოსანი — სევანური შტო-გვარის სახელების თუთიშა, დათუშა გვიანდელი თარგმანია. მაგრამ საქმის ვითარებას ეგ არ ცვლის, რადგან ონიშა, თუთიშა, ბენდელიშა, ასათიშა გვარების სახელებია და მათ მოკვეცილი აქვთ ნ(ი) დაბოლოება და ასევე გვარებიდან არიან ეს სახელწოდებები წარმოშობილნი. ეს გვარის სახელებიც ნათესაობით ბრუნვაში დგანან და ქრონოლოგიურად გვარის სახელებს — ონიშა, ბენდელიშა უნდა უსწრებდეს წინ — ონიშანი, ბენდელიშანი (ონიანი, ბენდელიანი). სევანური გვარის ახლო პარალელია აღმოსავლეთ საქართველოში ცნობილი გვარის სახელები: ოძელაანი, ოთარაანი, ციციან(ნი) და ა. შ., ხოლო ჯავახანთ(ი), ციციანთ(ი) გვარის სახელებიც ნათესაობით ბრუნვაში დგანან, ასევე — ოძელაანი და ოთარაანიც.

სევანურ ენას აქვს ძლიერი ტენდენცია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის მოკვეცილისა განსაკუთრებით მაშინ, თუ სახელს სხვა აფიქსი ან სახელი მოსდევს. სევანი ყოველთვის ამბობს „ბერეჟი კეტ“ (უნდა იყოს — „ბერეჟიშ კეტ“ — „რკინის კეტი“), „ციციეი აჟუედ“ (უნდა იყოს — ციციეშ აჟუედ „კატის კული“) და ა. შ.

⁴ სევანურ გვარებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი შ უკვალოდ არ დაკარგულა. ამ ბგერის კომპენსაცია უნდა იყოს ბალსზემოურსა და ლაშხურში გრძლად გამოთქმული სუფიქსები გვიანის ბოლოს — ონიან(ი), ყიფიან(ი), ჩარკვიან(ი) და ა. შ.

გურულ-იმერულ და ლეჩხუმურ დიალექტებში შტო-გვარის სახელები სვანური გვარის პირვანდელი ფორმის მსგავსად გადმოიცემა. სვანური დავითში, ამბროსიში, გელოში, შალვაში, ნიკოლოზში ზემოთ აღნიშნული დიალექტების მიხედვით იქნება დავითისანი, შალვასანი, ამბროსისანი, ნიკოლოზისანი.

ამჟამად -(ი)ან სუფიქსს საკმაოდ გაფართოებული აქვს მნიშვნელობა ქართულშიც. ჩამომავლობის გარდა აღნიშნავს იგი მიმდევრობას, რაიმეს ტარებას და ა. შ. ხოლო გამოთქმები — ჩემიანი, მისიანი ნათესაობას, ასაბიას ნიშნავს. ასეა ეს სვანურადაც (მიშგვიანი, ეჩაანი და ა. შ.).

ჩვენი წერილის მიზანს არ შეადგენს -(ი)ან სუფიქსის ყველა ასპექტში განხილვა.

-(ი)ან სუფიქსით დაბოლოებული გვარების კონსერვაცია მოხდა სვანეთში და ნასვანარ კუთხეებში, ხოლო ბარის საქართველოში გვარების მასობრივი გადასვლა ხდება ძეზე და შვილზე. აღნიშნული პროცესი XIII—XV საუკუნეებში სვანეთშიც დაწყებულია და გვაქვს ასეთი გვარები: როგოის ძე (როგოიანი), ჯოხას ძე (ჯოხანი), დადის ძე//დადისშვილი (დადიანი), მიქელაის ძე//მიქელაისშვილი (მიქელანი, მიქელიანი), წიჯის ძე (წიჯიანი), მარცხის ძე (მარცხიანი), ჯაფარის ძე (ჯაფარიანი), ლორთქიფანის ძე (ლორთქიფანი), ჯამბურიძე (ჯამბურიანი) გარდაფხაძე (გალფხანი) და ა. შ. ეს პროცესი, როგორც ჩანს, შეაჩერა აქ ფეოდალიზაციის შესუსტებამ, რაც საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური ერთობის დაშლა-დაქუცმაცებამ და ცალკეულ სამეფო-სამთავროების წარმოშობამ განაპირობა. მეორე მხრივ, ეს პროცესი იმანაც შეაფერხა, რომ ქართული ძე-ს სვანური პარალელია სვე (ძე, ვაჟიშვილი). თუმცა სვანეთში არ გვაქვს ერთი შემთხვევაც ამ სიტყვით დაბოლოებული გვარის არსებობისა (მეგრულის მსგავსად — წულესიკირი, პაპასქუა და სხვა).

ძე დაბოლოება რომ ბატონყმური ეპოქისათვის არის უმეტესად დამახასიათებელი, იქიდანაც ჩანს, რომ ქვემო სვანეთში ამ ფორმით დაბოლოებულ გვარს „უკეთესად“ თვლიდნენ, ვიდრე -(ი)ან სუფიქსით დაბოლოებულს. გვარი სოციალური კატეგორიაა და მისი ევოლუცია ამ ფონზე გარკვევით ჩანს სვანეთის მაგალითით.

სვანური გვარები ძნელად იცვლიდნენ დაბოლოებას. ეს იქიდანაც ჩანს, რომ საქართველოში არის ისეთი გვარები, რომლებიც ძეზე და შვილზე ბოლოვდებიან, მაგრამ -(ი)ან სუფიქსიც შენარჩუნებული აქვთ: ონიანიძე, ლორთქიფანიძე, ნიშნიანიძე, ჯაფიანიძე (იმერეთი), დავლიანიძე, გელოვნიშვილი (რაჭა) და ა. შ. ირკვევა, რომ სვანურმა გვარებმა — ონიანი, ლორთქიფანი, ნიშნიანი, დავლიანი, გელოვანი გაიკეთეს ძე და შვილი დაბოლოება ქრონოლოგიურად არცთუ ისე დიდი ხნის წინათ.

რაც შეეხება -ეან დაბოლოებას, რომელსაც ა. შანიძე -იან-ის წინამორბედ ფორმად თვლის, მართლაც დასტურდება როგორც გვარის დაბოლოება. მე-11 საუკუნის მეორე ნახევრის სინელი მოღვაწე ეზრა ქობულეანად იწოდება (ეზრა ქობულეანი): ასევე ცნობილია აქაური მოღვაწეები — აზალეანი, ბანეანი და ა. შ. აღნიშნული სუფიქსი ცნობილია უფრო ადრინდელი ძეგლებიდანაც (შდრ. იოვანე საბანისძის ნათქვამი — „ესე ნაშობი იყო აბრამეანი“). -ეან სუ-

† ც. ჯღამაია, მე-10 საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1973, № 4, გვ. 52—53.

ფიქსში ე არაბუნებრივი ჩანს ისეთ გვარებში, როგორცაა: ქობულენი, აზალენი, ორბელენი (ამ ფორმას ხშირად ხმარობდა პროფესორი ს. კაკაბაძე), ხოლო ისეთ გვარებში, როგორცაა: დემეტრენი, ალექსანდრენი, იქმნება ილუზია, თითქოს ისინი ეან სუფიქსით ბოლოვდებიან, მაგრამ აქ ე ფუძისეულია და არა სუფიქსის ნაწილი ისე, როგორც ქრისტეანში (ქრისტე-ანი და არა ქრისტ-ენი). ვფიქრობთ, რომ აბრამენი, აზალენი, ქობულენი და ორბელენიც მიღებული ჩანს ქრისტეანის ანალოგიით. სვანეთში და არც მის მეზობელ კუთხეებში - ეან სუფიქსიანი გვარი ჭერჭერობით არ არსებულა. მსგავსი შეცდომა მოსდით იმათაც, ვინც ისეთ გვარებს, როგორცაა: ბედიანი, დადიანი, ონიანი, ყიფიანი, კახიანი, რატიანი, ჩხეტიანი - იან სუფიქსით დაბოლოებულად თვლის. ამ გვარებში ე ყველგან ფუძისეულია და არა სუფიქსის ნაწილი. სახელები, საიდანაც ეს გვარები წარმოიშვნენ, არის — ბედი, დადი, ონი, ყიფი, კახი, რატი, ჩხეტი და არა — ბედ, დად, ონ, კახ, რატ, ჩხეტ, ყიფ. ამიტომ ეს გვარები ასეა ნაწარმოები: ბედი-ან(ი), დადი-ან(ი), ონი-ან(ი) და ა. შ.

სვანური (საერთოდ ქართველური გვარები) უმეტესად რომ მამაკაცის სახელისაგან იწარმოება, ეს ექვს არ იწვევს, მაგრამ ბევრია ისეთი გვარი, რომელიც ეთნონიმური წარმოშობის ჩანს თითქოს. ასეთია სვანეთში ძველად გავრცელებული გვარები: ქართველიანი, ჭიქიანი, აფხაზიანი, რუსიანი, ლაშხიანი, ფრანგიანი, მუსავეიანი (მუსავე—ქართ. ოსი). საქმე იმაშია, რომ სვანეთში საკმაოდ იყო გავრცელებული მამაკაცის სახელებად: ქართველი, აფხაზი, ჭიქი, მუსავე (ოსი), ფრანგი, რუსი, ლაშხი (ე. ი. ლაშხელი), რაც უმეტესად იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ სახელებიდან მომდინარე გვარები არ მიუთითებს თითოეული მათგანის ეთნონიმურ-ტომობრივ წარმოშობაზე. ამ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ გამოჩაყოს შეგვხვდეს, ისიც ძალზე იშვიათად, რადგან ამ სახელებს ადამიანებს ამა თუ იმ ტომის სიყვარულით, პატივისცემით ან მიმსგავსებით არქმევდნენ (სვანეთში სიმარჯვის სინონიმა ჭიქი, აფხაზი; გაგებულის, კულტურულის — ფრანგი; თუ ადამიანს თეთრი კანი აქვს და შავი თვალ-წარბი — ქართველის და ა. შ.).

რამდენიმე სიტყვა მეგრულ გვარებზე. ახლანდელი მეგრული გვარები: ბერია, წულუკია, გაგუა, სოტკილავა (სოტკილაა) და ა. შ. ამჟამინდელი მეგრული ენით ვერ იხსნება, ხოლო პაპასკუა, პაპასკირი, წულეისკირი, გეგეჰკორი — სავსებით გასაგებია. პირველი — პაპასშვილს, წულეისშვილს, ხოლო გეგეჰკორი გეგეს ყმას ნიშნავს. ძალიან ბევრი გვარია სვანეთსა და სამეგრელოში ისეთი, რომელიც გენეტურად ერთი და იგივე ჩანს. ასეთებია სამეგრელოში გავრცელებული გვარები: აფაქია, ბეღია, ბერია, გაბუნია, გოშუა, მიქია, მურღულია, თორია, წულუკია, ჩხეტია და ა. შ., რომელთაც შეესაბამება სვანეთში გავრცელებული გვარები: ბედიანი, ბერიანი, გაბუნიანი, გოშუანი, მიქიანი, მურღულიანი, თორიანი, წულუკიანი, ჩხეტიანი და ა. შ. მართა ამ გვარების შედარებითაც კარგად ჩანს, რომ მეგრული ამჟამინდელი გვარები ბოლოვდებიან არა -ია, -ავა, -უა სუფიქსებით, არამედ მხოლოდ ა სუფიქსით, რომელიც -ან(ი) დაბოლოების ნაშთია. მართლაც, მეგრელები მასიურად კვეცენ -ნ(ი) დაბოლოებას და ამიტომ იყო, რომ მეგრული გვარების გასაღებად ს. ჭანაშიამ სვანური -ი-ან(ი) სუფიქსით დაბოლოებული გვარები ჩათვალა, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა. გვარში წულუკია ე ნანათესაობითარია და არა გვარის დაბოლოების ნაწილი ისევე, როგორც სვანურ წულუკ-ი-ან-ში, რადგან ეს გვარი წარმოშობილია თანხმონით დაბოლოებული ფუძიანი სახელიდან. სვანეთში ახლაც

ცოცხალია ადამიანების სახელებად — გაგუ, ჩაჩავ (შდრ. მეგრ. გაგუ-ა, ჩაჩავ-ა) და ამიტომ ეს სახელები ფუძეების სახითაა წარმოდგენილი. ცხადია, გვარის მაწარმოებელი სუფიქსი აქ მხოლოდ ა არის. სოტკილავა, ბეალავა მეგრულად არის სოტკილაა, ბეალაა (სვანური ვაფორმებით იქნება — სოტკილაანი, ბეალაანი). ეს გვარები მიღებულია ხმოვანფუძიანი სახელებიდან. რაც შეეხება ვ ბგერის ჩართვას ამ გვარებში, იგი ახსნა პროფ. მ. ქალდანმა. ა სუფიქსით დაბოლოებული მეგრული გვარები იმავე სისტემას იცავენ უკლებლივ, რაც სვანური გვარისათვის არის დამახასიათებელი. მეგრულმა გვარებმა -ნ(ი) დაბოლოების დაკარგვისთანავე ფუნქციის გაგება გააძნეღეს. ამიტომ, რომ დღევანდელი სვანისათვის -ან(ი) დაბოლოება გასაგებია ისევე, როგორც ქართული ძე და შვილი, ხოლო მეგრელისათვის საკუთარი გვარის დაბოლოება თითქმის გაუგებარია (რა თქმა უნდა, ა სუფიქსით დაბოლოებული).

ამრიგად, მეგრული ა სუფიქსით დაბოლოებული გვარები ხმოვანფუძიანი სახელებიდან მომდინარე გვარებში მთლიანად კარგავენ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს (გაგუ-შ-ან-ი — გაგუ-ან(ი) — გაგუ-ა, ჩხეტი-შ-ან-ი — ჩხეტი-ან(ი) — ჩხეტი-ა), ხოლო თანხმოვანფუძიანი სახელებიდან მომდინარე გვარებში შემორჩენილია ნანათესაობითარი o (წულუქ-იშ-ან(ი) — წულუქ-ი-ან(ი) — წულუქ-ი-ა).

ძეზე და შვილზე დაბოლოებული ქართული გვარებიც სვანურ-მეგრულ სისტემას მისდევენ. ჭერ ერთი, ძე და შვილი ქართული გვარის სახელებს ნათესაობით ბრუნვაში დაერთვის — ჭავახი(ს)შვილი, დავითა(ს)შვილი, საბან(ის)ძე, ტარიკ(ის)ძე და ა. შ. აქაც თუ სახელი, საიდანაც გვარი წამოვიდა, ფუძეხმოვანიანია, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს მთლიანად კარგავს (დავითაშვილი, ჭავახძე, ქარქაშაძე, ტაბლიაშვილი, მინდიაშვილი), ხოლო თუ თანხმოვანფუძიანი სახელიდან მოდის გვარი, მაშინ ნანათესაობითარი o აქაც შემოგვრჩება ხოლმე, მაგალითად: გეკონდა ინასარ-ის-ძე, ჭავახ-ის-შვილი, ჭავახ-ის-ძე, წულუქ-ის-ძე და ამჟამად გვაქვს — ინასარიძე, ჭავახიშვილი, ჭავახიძე, წულუქიძე, სადაც o ყველგან ნანათესაობითარია.

ზემოთ მოცემული მსჯელობა, ვფიქრობ, იძლევა შემდეგი დასკვნის შესაძლებლობას:

1. სვანური გვარი ბოლოვდება არა -იან ფორმანტით, არამედ -ან(o) სუფიქსით.

2. სადაც -(o)ან სუფიქსი გვაქვს, იქ o ყველგან ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის oშ (ქართული ის) დაბოლოების ნაშთია.

3. -იან სუფიქსი გაჩენილი ჩანს ქრისტეან სიტყვის ანალოგიით და მსგავსი სუფიქსი სვანეთში არც ისტორიულად დასტურდება და არც ამჟამად მოგვეპოვება სადმე.

4. -ან(o) ოდესღაც ძესა და შვილს ნიშნავდა უშუალოდ და ამიტომ იქცა იგი გვარის დაბოლოებად, როგორც წარმომავლობის აღმნიშვნელი. ეს სუფიქსი საერთო-ქართველურია და მას პარალელი მოეპოვება აღმოსავლეთ საქართველოში ცნობილ შტო-გვარის სახელებში (ოძელაანი, ჭავახაანი და ა. შ.).

5. მეგრული გვარები (გარდა სკუა, სკირი, ჰკორი დაბოლოებისა) სვანური გვარის სისტემას მისდევენ, ისინი ბოლოვდებიან ა სუფიქსით და არა ია, აუა, ავა სუფიქსებით. მათ მოკვეცა მეგრულმა -ნ(ი) ფორმანტი. ამასთან ერთად, მეგრულ გვარში გარკვევით ჩანს ნანათესაობითარი o. მსგავსად სვანურასა თანხმოვანით დაბოლოებულ ფუძიან სახელებიდან მომდინარე გვარებში, ხო-

ლო ხმოვანფუძიან სახელებიდან მომდინარე გვარებში ნათესაობითი ბრუნვის მაწარმოებელი აქაც მთლიანად დაიკარგა.

6. ძეთი და შვილით დაბოლოებული გვარებიც სვანურ-მეგრულ გვარების სისტემას მისდევენ — ნათესაობით ბრუნვაში დგანან. თანხმოვანფუძიან სახელებთან ნანათესაობითარ *o*-ს ინარჩუნებენ, ხოლო ხმოვანფუძიან სახელებიდან მომდინარე გვარებში მთლიანად კარგავენ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს.

7. *-ან(ი)* ფორმანტმა, გარკვეული მიზეზების გამო, ყველაზე უკეთ სვანეთში შემოინახა თავი და ქართველური გვარების გენეზისისათვის სათანადო მასალას იძლევა, რასაც მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ქართველ ტომების ეთნოგენეზისის მეცნიერულად გაშუქების საქმეშიც.

ДЖ. И. ОНИАНИ

К ЭТНОЛИНГВИСТИЧЕСКОМУ АНАЛИЗУ СВАНСКИХ ФАМИЛИЙ

Резюме

Большое количества сванских фамилий оканчиваются на *-iap* и *-ap*. Этнографические данные и результаты лингвистического анализа дают возможность сделать следующие выводы: 1) суффиксом, образующим сванские фамилии, исторически являлся *-ap*; 2) элемент *-i-* суффикса *-iap* происходит от показателя родительного падежа (*-i < -iš*); 3) суффикс *-ap*, следующий за окончанием родительного падежа, означал «сын», «дочь»; 4) архетипом сванских фамилий является фамилия *ḡatšap*, сохранившаяся поныне в Верхней Сванети.

ლენტეხის რაიონის ეახუნდრის საშუალო სკოლა
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

ოლა სულაძე

ივანე ჯავახიშვილი სპარსული ოთხთავის
ერთი ხელნაწერის შესახებ

ტრანსკრიბირებულ ძეგლებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენათა ისტორიული შესწავლის თვალსაზრისით. განსაკუთრებით საინტერესოა ასეთი ძეგლები სპარსული ენის ფონეტიკის საკითხების გარკვევისათვის. ერთ-ერთი ასეთი ძეგლი გახლავთ ქართული გრაფიკით შესრულებული სპარსული ოთხთავი, რომელიც დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (№S—16).

პირველი ბეჭდვითი ცნობა ამ ხელნაწერის შესახებ ეკუთვნის პროფ. ალ. ცაგარელს¹, რომელიც, მიმოიხილავდა რა ქართულ ხელნაწერთა სხვადასხვა კოლექციას, აღნიშნავდა: «Студенческая коллекция, состоящая из 37 экземпляров. Коллекция эта была подарена в 60-х годах студентам Спб университета грузинскою царевною Саломе Парнаозовною, проживавшею в Петербурге. В настоящее время собрание это находится в Тифлисе, при Обществе распространения грузинской грамотности»². სწორედ ამ კოლექციის ერთ-ერთი ხელნაწერია სხენებული ოთხთავი: «Евангелие на персидском языке, писанное гражданскими буквами»³. იგივე ხელნაწერი მოკლედ აღწერა აკად. ნ. მარმა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ოთხთავს სპარსული ენის ფონეტიკის შესწავლის თვალსაზრისით. «Рукопись... представляет некоторый материал для исследователей персидской фонетики, так, как он писан в грузинской транскрипции, свободной от всякой неопределенности в отношении звукового значения гласных или согласных»⁴. იგივე ნუსხა მახსენებული აქვს ექ. თაყაიშვილსაც: «Рукопись без даты, но по всем признакам она написана в XVII веке»⁵.

ოთხთავს საკმარის ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა მ. ხუბუამ. მან აღმოაჩინა ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდში მიაკვლია თბილისური ხელნაწერის სპარსულ დედანს; ნუსხების შეყურებით დაადგინა, რომ პირველი წარმოადგენს მეორის ტრანსლიტერაციას, ზოგადად დაახასიათა ძეგლის ენობრივი თავისებურებები და დაათარიღა თბილისური ოთხთავი⁶.

¹ А. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, СПб., 1886.

² იქვე, გვ. XXI.

³ იქვე, გვ. 27.

⁴ Н. Я. Марр, Описание персидского четвероевангелия, ЗВО имп. Русск. Арх. Общ., т. III, СПб., 1888, стр. 378.

⁵ Е. Такайшли, Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. I, Вып. I, Тифлис, 1902, гв. 122.

⁶ მ. ხუბუა, ოთხთავის სპარსული ხელნაწერები (XVII—XVIII სს.) საქართველოს მეზღვე მზი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, I, თბილისი, 1954.

ამავე ხელნაწერით დაინტერესებულა აკად. ივ. ჭავჭავაძის შვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჭავჭავაძის სახელობის ფონდში ინახება სპარსული ხელნაწერები, გადაწერილი ივ. ჭავჭავაძის მიერ; სულ 67 გვერდი⁷. აქედან 1—32 გვ. და 56—67 გვ. ისტორიული ხასიათის ტექსტია, 33—42 გვ. რამდენიმე კომენტარია ხსენებულ ოთხთავთან დაკავშირებით, ხოლო 43—დან 47 გვ-ის ჩათვლით გადმოწერილია ნაწყვეტი ქართული გრაფიკით შესრულებული სპარსული ოთხთავიდან, კერძოდ, მათეს I თავი სრულად და II თავის I მუხლის ნახევარი. 48-ე გვერდიდან გვაქვს იგივე ტექსტი, გადმოღებული სპარსული ასოებით, ოღონდ მათეს I თავის XVIII მუხლიდან II თავის IV მუხლის ნახევარამდე, შემდეგ 51-დან 55 გვ-ის ჩათვლით ისევ გრძელდება ქართული ასოებით შესრულებული ტექსტი მათეს II თავის I მუხლის მეორე ნახევრიდან XVIII მუხლამდე. ივ. ჭავჭავაძის სახელობის ხელნაწერი შესრულებულია მდარე ხარისხის, მოყვითალო ფერის ქაღალდზე, იისფერი მელნით; დაწერის თარიღი ცნობილი არაა. ჩვენთვის აკად. ივ. ჭავჭავაძის ხელნაწერი დაინტერესოა იმდენად, რამდენადაც იგი გარკვეულ ნათელს ჰყენს ხსენებული ოთხთავის ნუსხის შესწავლის ისტორიას.

მართალია, შენიშვნები მცირეა და, როგორც ჩანს, ხელნაწერის შემდგომი კვლევა მეცნიერს აღარ გაუგრძელებია, მაგრამ ამ მცირედიტაც ნათელი ხდება, რომ ივ. ჭავჭავაძის დაინტერესებულა ქართული ასოებით შესრულებული ოთხთავის გრაფიკული და ფონეტიკური თავისებურებებით.

33-ე გვერდზე ამოწერილია რამდენიმე საკუთარი სახელი: იასუეი — იესო, ნასუნ — ნაასონ, სალმუნ — სალმონ, იუსოფ — იოსებ; ყოველ მათგანს მიწერილი აქვს სპარსული შესატყვისი, მაგრამ მათი სპარსული დაწერილობის სისწორე ეჭვს იწვევს: იასუეი — عسى, ნასუნ — نحشون, სალმუნ — ساومن. ლენინგრადისეულ სპარსულ ნუსხაში იგივე სახელები ასეა გადმოცემული:

يسوع , نسون , سلمون .

34-ე გვერდზე ასეთი კომენტარია: „გრძელი ხმოვნები ქართულში გადმოცემულია ორი ასოთი, მაგ. ინჯილ, იაჭუდაა, ჭაარის, მასიოჭ, ღამინადაბ, ბარაადარაან, ქითაბ, დაავუდ, იბრაჰიმ“.

ყოველ სიტყვას ერთვის სპარსული დაწერილობა. არაფერია თქმული მოკლე ხმოვნების შესახებ, რომლებიც დიდ მერყეობას განიცდიან.

შემდეგი 35-ე გვერდი ეთმობა გემინირებულ თანხმოვნებს. „გაორკეცებული ე. წ. თემდიდიანი თანხმოვანი იმას გარდა, რომ ორჯერ არის დაწერილი ხოლმე, ზედ მათ თვით თემდიდიც უზის ყოველთვის, მაგ. მოთავალლიდ — متاول . გემინირებულ ხმოვნებს ივ. ჭავჭავაძის სახელობის არ განიხილავს; თუმცა მათაც გადაწერილი ასევე აორკეცებს, მაინც აწერს თაშიდს და ეს პრინციპი არსად არაა დარღვეული.

ივ. ჭავჭავაძის აღნიშნავს, რომ ქართული ასო თანით გადმოცემულია სპ. τ, ხოლო ქართ. სანიტ სპ. σ. მოჰყავს აზის მაგალითებიც: ქითაბი, თაამაარ, მოთავალლიდ, ჭაარის, ჭასარუნ. ცნობილია, რომ სპარსულში ერთი და

⁷ საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჭავჭავაძის ფონდი, № 636.

იმავე ბგერის გადმოსაცემად ზოგჯერ რამდენიმე გრაფემა გამოყენებული. ასეთ ასოებს ხელნაწერის გადამწერი ერთი გრაფიკული ნიშნით გადმოსცემს:

მაგ.: ث, س, ص → ს
ذ, ز, ض, ظ → ზ
ت, ط → თ

გ - ის ხმარების შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერს: „*გ ქართული არაბული ასოთივე არის ყოველთვის გადმოცემული. მაგ. იაც ყუბ, გ ამინადაბ, გ უბეიდ*“, აგრეთვე შენიშნავს, რომ ხელნაწერში სპარსული *ფ*-ს ეკვივალენტია *ჭ* ნიშანი. *ჭა* არის, ხოლო *ც*-სა *კი ყარი* — იაც ყუბ, ისპაყ. საერთოდ, ოთხთავის ხელნაწერში იმ სპარსული ფონემების გადმოსაცემად, რომელიც არ არის წარმოდგენილი ქართულში, გამოყენებულია სხვა ნიშნები, მათ შორის *გ* და *ფ*. რაც შეეხება *ჯ* და *შ* გადმოცემას, ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ისინი აღინიშნება *ჭ* მერვეთი, მაგრამ იქვე სადავო აზრს გამოთქვამს: „ზოგჯერ *ჭ*“=0 მაგ. „იბრაჰიმ“ ابراهيم საქმე ის არის, რომ *ჯ* და *შ* ჩვენს ხელნაწერში ეკვივალენტად აქვს როგორც *ჭ*, ასევე *ჰაე*. *ჰაე* უპირატესად გამოიყენება მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელ დაბოლოებაში, მაგრამ საზოგადოდ *ჭ* და *ჰაე*ს ხმარება ტექსტში აღრეულია. როდესაც სიტყვას ბოლოკიდურად აქვს *ჯ* ან *შ* და მას ერთვის მრ. რ. აღმნიშვნელი *ჰ*, ხელნაწერში ბოლოკიდური ბგერა *ჭ*-თი გადმოიცემა, ხოლო მრ. ნიშანი *ჰაე*თი. *ჭ* ჩვენს ხელნაწერში ყოველთვის თანხმოვანს *ჯ* და *შ* გადმოსცემს და იმის მტკიცება, რომ *ჭ*=0-ს, საეჭვოდ ჩანს, ყოველ შემთხვევაში, მოყვანილ მაგალითში — იბრაჰიმ — ابراهيم — *ჭ* რომ *შ* გადმოსცემს, ნათელია.

43-ე გვერდიდან იწყება ქართული გრაფიკით შესრულებული სპარსული ტექსტი. გვერდის დასაწყისში წარწერაა: წ.კ.გ.ს.ს. № 16. შემდეგ სათაური: ქ. ინჯილი. იასუჟ ი. მასიიში. მუყადდას. ჩინანჩი. ნიეშთა. მარრ. მათთა. ისტაში. ავეალ.

ყოველი სიტყვის შემდეგ, ისევე, როგორც დედანში, წერტილია და დასათურება გახაზულია.

მითითებულია, თუ რომელი გვერდი დედნის რომელ გვერდს თანხვდება. ტექსტი მათეს I თავიდან II თავის I მუხლის ნახევრამდე გაბმულად მისდევს: შიგ ჩართულია ტექსტი სპარსული გრაფიკით მათეს I თავის მე-18 მუხლიდან II თავის მე-4 მუხლამდე; შემდეგ კი ისევ ქართული ასოებით შესრულებული ტექსტი გრძელდება მათეს II თავის მე-18 მუხლის ჩათვლით.

ივ. ჯავახიშვილს ქართული გრაფიკით შესრულებული ტექსტის გადამწერისას რამდენიმე ადგილას ფრჩხილებში ჩაუსვამს აღნიშვნა (sic); ეს ის ადგილებია, რომლებიც მას საყურადღებოდ მიუჩნევია. მაგ.: სიტყვასთან ფუსარ (fisc) ფე-სარის ნაცვლად. წინადადებაში „ნამი უ ღამმანაჟილ ქი თარჯომაიის ჯ იინასთ (sic)“. როგორც ჩანს, მკვლევარი ყურადღებას ჰამზის ხმარებაზე ამახვილებს.

ჩართულმა სპარსულმა ტექსტმა ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმდენად, რამდენადაც საინტერესო იყო, ხომ არ იცნობდა ივ. ჯავახიშვილი ტექსტის ლენინ-გრადისეულ სპარსულ ხელნაწერს. ტექსტების შედარებისას აღმოჩნდა, რომ ქართული ასოებით შესრულებული სპარსული ტექსტი მეცნიერს სპარსული გრაფიკით დამოუკიდებლად გადმოუღია.

О. Г. СУЛАДЗЕ

ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ ОБ ОДНОЙ РУКОПИСИ ПЕРСИДСКОГО ЧЕТВЕРОГЛАВА

Резюме

В Институте рукописей АН ГССР хранится персидский Четверглав, выполненный грузинской графикой (№ S—16). Рукопись содержит интересный материал для изучения фонетики персидского языка. На эту рукопись в свое время обратили внимание акад. Н. Я. Марр, проф. Ал. Цагарели, Е. Такаишвили, М. Хубуа. В институтском фонде академика Ив. Джавахишвили хранятся персидские рукописи (636), переписанные рукой самого Ив. Джавахишвили, в которых несколько страниц составляют отрывки из персидского Четвероглава, выполненного грузинским письмом с комментариями Ив. Джавахишвили. Документ поясняет историю изучения названной рукописи.

Несмотря на то, что замечания немногочисленны, они указывают на проявленный акад. И. Джавахишвили интерес к графическим и фонетическим особенностям вышеуказанной рукописи.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად.
გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ინდურ-ირანული ენების განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

გიზი სორნაული

ზოგიერთი ქართული გეოგრაფიული ტერმინის (ტოპონიმის)
დაზუსტებისათვის

გეოგრაფიულ ტერმინებში ვგულისხმობთ მხოლოდ იმ ზოგად სახელებს, რომლებიც გეოგრაფიულ ობიექტებს აღნიშნავენ; ისეთებს, როგორიც არის: მთა, ქედი, გორი, მდინარე, ტბა და სხვა მისთანები. ისინი გვხვდებიან როგორც დამოუკიდებელ ტოპონიმებად, ისე ტოპონიმთა შემადგენლებად — ინდიკატორებად. საერთო ტოპონიმიკური ლექსიკიდან მათს გამოყოფასა და შესწავლის მნიშვნელობაზე ზშირად მიუთითებენ ტოპონიმტები. ჩვენთან ამ შხრივ ჯერჯერობით არაფერია გაკეთებული, საქორების მხრივ კი, ტოპონიმიკის შესწავლის საქმეში, ერთ-ერთი პირველ რიგში მოსაგვარებელ საკითხთაგანია. ახლა, როცა დაწყებულია საქართველოს ტოპონიმიის სისტემატური აღწერა, მწვავედ იგრძნობა ზუსტ ტერმინთა საქორება, რისი უქონლობაც უთუოდ უარყოფით გავლენას მოახდენს შემდგომში ამ აღწერილი მასალის შესწავლა-შეპირისპირებაზე. „მთელი იმ გეოგრაფიული ლექსიკიდან, რომელიც გვხვდება ამა თუ იმ ტერიტორიის გეოგრაფიულ სახელწოდებებში, მთავარ ყურადღებას იქცევდა და იქცევს სიტყვები ან სიტყვათა შეერთებანი, რომლებიც მიუთითებენ სახელდებული ობიექტის რაგვარობაზე, ისეთები, როგორიც არის: მთა, მდინარე, ტბა, ქალა, უღელტეხილი, მწვერვალი და სხვა მრავალი. და ეს გასაგებიც არის, რადგან თუ არ ვიცათ რა გეოგრაფიულ ობიექტთან გვაქვს საქმე, ძნელია ტოპონიმზე მსჯელობა საერთოდ“¹.

გეოგრაფიული ტერმინები კი ქართულში ისევე მრავალფეროვანია, როგორც მრავალფეროვანია თვით საქართველოს რელიეფი. ამ მრავალფეროვნებასა და სიჭრელეს ქმნის დიალექტური სხვადასხვაობანიც.

მართალია, გეოგრაფიული ტერმინები ქართული ენის დიალექტებში ძირითადად იგივეა, რაც სალიტერატურო ქართულში, მაგრამ ეს მთავარი ტერმინებიც დიალექტებში დამატებით მნიშვნელობებს იძენს, რომელთა გამოვლენა და გათვალისწინებაც აუცილებელია. ეს მნიშვნელობანი აზუსტებენ, სრულყოფილს ხდიან ტერმინს და გვაზღვევენ მოკალოდნელი შეცდომებისაგან. ამ თვალსაზრისით განვიხილოთ რამდენიმე ძირითადი ტერმინი.

მთა. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ამ გეოგრაფიული ტერმინის გასწვრივ ვკითხულობთ: „1. დედაშიწის ამაღლებული ადგილი, რომელიც თავისი სიმაღლით თვალსაჩინოდ აღემატება მიდამოს“². ეს არის „მთის“ ლიტერატურული გაგება, ბარის მცხოვრებთა გაგება. მთის კუთხის მცხოვრებთ კი, გარდა ასეთი გაგებისა, აქვთ მთის სხვაგვარი გაგებაც: მთის სათიბი ფერდობი. ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონში, თვით ვაჟას განმარტებით: „მთას“ ეძახიან თითოეულის ნაწილს, მთის ფერდობზე ცალკე ადამიანის სათიბად გამოყოფილს სოფლისაგან“³. ასევე ესმით „მთა“ ხეცსურებს, გუდამაყრელებს, მთიულებს, „მთა — სათიბი ადგილი“⁴.

ლიტერატურული გაგებით მთას თითქმის ყოველთვის რაიმე კონკრეტული სახელი ჰქვია, ზოლო სიტყვა „მთა“ რზმარება ანთროპონიმების საწარმოებლად — პიროვნების ან კომლის სახელზე მისი დამატებით. მაგალითად, გუდა-

მაყრის ერთ-ერთი სოფლის, მაქართის ადგილთა სახელებში, სოფლის ტოპონიმიში გვხვდება „მთის“ სახელები: ბერიანთ მთა, ბეჟაუაის მთა, ბეჟანიანთ პოვლიაის მთა, გარსიაის მთა, სვიმანაის მთა, ვასიკაის მთა, მამუკიანთ მთები, მერეზიანთ მთა, მიხაის მთა, პირქუშათ მთა, ტეფანაის მთა, წიწაის მთა, ჯაბანიანთ მთა, ხუტაის მთა.

საქმენი ჩაუხედავ კაცს ეგონება, რომ ამ სოფელს ბევრი მთა ჰქონია, სინამდვილეში კი მხოლოდ ორი მთა აქვს: ქიჭოლი და მაქართის თავი. აი ამ ორი მთის ფერდობებია დანაწილებული კომლებს შორის სათიბებად, „მთებად“.

ამ თავისებურების გაუთვალისწინებლად, რა თქმა უნდა, მასალის აღმწერსაც და შემდეგ მკვლევარსაც შეეცდომა მოუფა. თუ იგივე მაქართის მაგალითს ავიღებთ ტოპონიმიკური კითხვარის მეორე პუნქტის პასუხად („რისი სახელია?“) „მთა“ მიეწერება მხოლოდ ქიჭოლსა და მაქართის თავს, ზოლო დანარჩენ „მთებს“ — სათიბი, მთის ფერდობი.

აქ წარმოდგენილი ტერმინების ლიტერატურულ გაგებათა გვერდით მოგვყავს დიალექტური განმარტებებიც. ამით ნაწილობრივ გამოსწორდება განმარტებითი ლექსიკონის ხარვეზებიც, რომლებიც გამოწვეულია თავის დროზე დიალექტურ ლექსიკონთა უქონლობის გამო და ეს შეესება გაგრძელება მანამდე, სანამ მთლიანად არ აღიწერება ყველა კუთხის ტოპონიმი და ყველა დიალექტი.

ქედი//ქედა. სალიტერატურო ქართულში, გეოგრაფიულ ობიექტთან დაკავშირებით, შემდეგი მნიშვნელობა აქვს: „წაგრძელებული მთა, სერი, მთაგრეხილი“². დიალექტებში კი გვხვდება ამ ტერმინის სხვაგვარი გაგებაც, უფრო სწორად, აღნიშნავს სხვაგვარ ობიექტსაც: მთიდან ჩამოყუდებულ გორს, მთის ფერდობზე ამოზურგულ, ხეებბითა და რუებით გამოყოფილ ნაწილს. დაყუდებული მთის გარს შემოყოლებით ასეთი ქედები შეიძლება ათობით იყოს. ამისი შედეგია ის, რომ მთიულეთ-გუდამაყარის ტოპონიმიში 430-ზე მეტი ტოპონიმი გვხვდება „ქედი“ ინდიკატორით ნაწარმოები. ლიტერატურული გაგებით კი ქედი ათი-ათხუთმეტი თუ გვექნება.

თმავე სოფელ მაქართაში, სადაც მხოლოდ ორი მთა არის და ქედი არა გვაქვს, 18 „ქედა“: ახოთ ქედი, ბანთუქენაის ქედი, კვირიანის ქედი, ლათბეთ ქედი, მიტქირაის ქედი, ნაყვერაის ქედი, ორმით ქედაი, საზვიანეთ ქედი, სამგლეთ ქედი, სასვენების ქედი, საქარის ქედი, უქედარაის ქედი, ფშარაოს ქედი, ქოჩორ ქედაი, ქვევით ქოჩორ ქედაი, შუა ქედაი, შუა ქედი, ხერხაის ქედი, ხორამზიაის ქედი.

გორი//გორა. ეს გეოგრაფიული ტერმინიც ოდნავ სხვაგვარად იხმარება მთის დიალექტებში: ფშაურში, ხევსურულში, თუშურში აღნიშნავს ზუსტად იმასვე, რასაც ქედი მთიულეთ-გუდამაყარში (მდრ.: „გორი რამ ჩასდგამს შურას წვრად“. ვჯა); ლიტერატურულში კი „გორა — მთა; დიდი ბორცვი; მრგვლად ამაღლებული ადგილი“².

როგორც ვნახეთ, ქედს ლიტერატურული გაგებით აქვს თავისი ობიექტი, გორსაც თავისი ობიექტი აქვს. ამ ტერმინებს სწორედ ეს ობიექტები უნდა შერჩეს (პირველს — წაგრძელებული მთა, მეორეს — მრგვლად ამაღლებული ბორცვი). მთიდან ჩამოყუდებულ გორს კი უნდა სხვა ტერმინი დაეძებნოს.

დღემ. ამ გეოგრაფიულ ტერმინს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში რამდენიმე ახსნა აქვს: 1. „პატარა ხევი“ (საბა), პატარა მდინარე, ნაკადული. 2. „ჩავარდნილი ადგილი მინდორზე ან მთათა შორის“ (დ. ჩუბინ). ურიყო ნაწყლები ადგილი, მშრალი ხევი. 3. მდინარე თავისი ნაპირებითურთ, ჭალა, ხეობა. 4. კუთხ. (ხევის). უღელტეხილი“². ამ განმარტებიდან პირველი და მესამე პუნქტები დასავლური დიალექტებისათვის უფროა დამახასიათებელი, ზოლო მესამე და მეოთხე პუნქტებს შეესატყვისება დღლის აღმოსავლური გაგება.

ტერმინის ოთხი მნიშვნელობით ხმარება გაუგებრობას გამოიწვევს. უფრო ზწორედ, სიტყვა, სახელი ტერმინად არ ივარგებს თუ მას გარკვეული, კონკრეტული ცნება არ შეესატყვისება. ოთხივე იმ მნიშვნელობისათვის, რაც დღეს მიეწერება, გვაქვს ცალკე ტერმინები; ამიტომ უმჯობესად მიგვაჩნია მათი ხმარება: პირველი მნიშვნელობისათვის — ნაკადული, მეორე მნიშვნელობისათვის — ტაფობი, მესამესთვის — მდინარე, ჭალა, მეოთხესთვის — უღელტეხილი. „დღემ“ დარჩება ჩვეულებრივ სახმარ სიტყვად, გეოგრაფიულ ტერმინთა ლექსიკონშიც შევა, მაგრამ ძირითად ტერმინად არ იქნება.

ველი. დაზუსტებას მოითხოვს, აგრეთვე, ველის მნიშვნელობა. მთის დიალექტებში ეს ტერმინიც განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება, ვიდრე სალიტერატურო ქართულში აქვს: „ველი — 1. დიდ ფართობზე გაშლილი უტყეო ვაკე, ჩვეულებრივ ბალახიანი, — დიდი მინდორი“². ამ განმარტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ „ველი“ მთის რაიონებში არც შეიძლება გვექონდეს. სინამდვილეში კი „ველი“ მთის ტოპონიმიში ძალზე ხშირად გვხვდება. საქმე იმაშია, რომ „ველს“ უწოდებენ ტყეებში არსებულ პატარა უტყეო ადგილებს — სათიბებს, საძოვრებს. ეს ადგილები ზანდაზან ზელსოდენაა, მაგრამ მაინც „ველი“ ეწოდება. აქედანა გვაქვს კომპოზიტები ველ-ტყიანი, ტყე-ველი.

მიდის დღეს ტოპონიმისტი ტოპონიმების ჩასაწერად და ჩაიწერა ტოპონიმები ა ჩ ა თ ე ლ ო. რისი სახელია? — დ ე ლ ი ს, — იცნება კითხვარის მე-2 პუნქტი. მაგრამ რა არის ეს დღემ — ნაკადული, მდინარე, ტაფობი თუ უღელტეხილი? მსგავსი მაგალითები ბევრია. ანდა გვაქვს გეოგრაფიული ობიექტები, რომელთა სახელები სალიტერატურო ქართულში არა გვაქვს, ან თუ გვაქვს, ზოგჯერ უცხოური ტერმინი გაგვიბატონებია, რომელიმე დიალექტური, ჩვენი ტერმინი კი ჩრდილშია.

აი, ამ გეოგრაფიულ ტერმინთა თავმოყრის, დიალექტურ ტერმინთა გამოვლენისა და ცარიელი ადგილების შევსების მიზნით, და აგრეთვე არსებულ გეოგრაფიულ ტერმინთა მნიშვნელობების დაზუსტების მიზნით ქართული ენის ლექსიკონებიდან ამოწერეთ გეოგრაფიულ ობიექტებთან დაკავშირებული ყველა სიტყვა და ყველა ტერმინი. ამოწერილი მასალა გააწყვეთ ანბანთ რიგზე და ერთგვარად დავაჯგუფეთ. ძირითადი, სახმარი ტერმინები ცალკე გამოვეყავით, ზოლო მის სინონიმურ უფრო ნაკლებად ხმარებულ და დიალექტურ ტერმინებს ამ ძირითადზე ვუთითებთ. ძირითად ტერმინთან კი ყველა ეს მითითებული ტერმინი ფრჩხილებში მოგვყავს.

მაგალითად, ძალზე დაქანებული ფერდობის აღსანიშნავად გვაქვს ტერმინები: ც ი ც ა ბ ო, ფ რ ი ა ლ ო, ფ ო ფ ზ ი, ფ ხ ა წ ა ლ ი. ყველა მათგანი თავთავისი განმარტებებით ზის თავის რიგში. ამათგან ც ი ც ა ბ ო, როგორც ძირითადი ტერმინი შავი შრიფტით იქნება, ზოლო დანარჩენი სამი — მკრთალი შრიფტით და განმარტების ბოლოს დაურთავს (იხ. ციციბო).

ასევე: მთის წვერის, მწვერვალის აღსანიშნავად გვაქვს რამდენიმე სიტყვა:

მწვერვალი, წვეკრი, კინქუხა (ფშ.), კინწრიხო (მოხ.), ძირითად ტერმინად მწვერვალი გავუშვით, დანარჩენებს კი მასზე მივუთითეთ.

ტერმინთა შერჩევისას უპირატესობას ვაძლევთ იმ სიტყვებს, რომლებიც შესულია განმარტებით ლექსიკონში, მაგრამ მოხდა ისეც, რომ დიალექტურ ლექსიკონებში მიღებულ სიტყვებს მივეცი უპირატესობა. მაგალითად, აქარულ ლექსიკონში გვაქვს ტერმინი „ლილომი“ — მდინარის პირი — საყანედ ვარგისი, გამოსადევი; ადვილად დასამუშავებელია⁶. განმარტებით ლექსიკონში ამ გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელ ტერმინად შესულია ნოლა, რომლის წესტ ტერმინობას ხელს უშლის კიდევ სხვა მნიშვნელობები: „ნოლა“ — საუბ. პატარა და ზევით აწეული (ცხვირი); ასეთ-ცხვირიანი (სახე, ადამიანი), — პაპო, პაპუა. ნოლა² — კუთხ. (იმერ.) მდინარის გაყოლებაზე არსებული ნოყიერი ადგილი, — სალექი მდელი. 2. კუთხ. (ქვ. იმერ.) შავი მიწა. ნოლა³ — კუთხ. (გურ.) 1. ნორჩი, ახალგაზრდა ხე. 2. ტოტებდაკრილი გრძელი ხე (იხმარება რისამე შესაყენებლად, გასამაგრებლად)².

კლდეზე გამავალი ბილიყის აღსანიშნავად გვაქვს წავარნა და შიბი. შიბი უფრო გავრცელებულია, მაგრამ მას ამას გარდა კიდევ ოთხი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ვამჯობინეთ წავარნა.

ჩრდილი — გარდა საერთო მნიშვნელობისა, ზოგიერთ დიალექტში აღნიშნავს ჩრდილოეთისაკენ მიქცეულ მთის ფერდობს, ჩრდილიან მხარეს. იმავეს აღნიშნავს ხევსურულში, მოხეტურში, აქარულში, მთიულურში ჩირდილი; ამასთან იხმარება მხოლოდ ტაბონიძად. ხევსურეთში გვხვდება კიდევ ამ სახელწოდების სოფელი. ამიტომ გეოგრაფიულ ტერმინად ვამჯობინეთ არა ლიტერატურული ჩრდილი, არამედ დიალექტური ჩირდილი.

დიალექტური ზოგი ისეთი ტერმინი, რომლის ტოლფასი სალიტერატურო ქართულში არა გვაქვს და ერთადერთნი არიან გარკვეულ ობიექტთა აღსანიშნავად, ძირითად ტერმინებში გავაერთიანეთ. ასეთებია, მაგალითად: გურული სიტყვა ჭვათიარი (ჩაშვავებულ მიწაში ამოსული ტბა), ფშაური — მატალა (მირიშის კლდე), თუშური — ჭურულო (ისეთი წყარო, რომელიც იქვე ანლოს იკარგება ქვიშაში), ჭიზიყური ბჟანტი (მინდორში, (ხშირად ქაობიდან) გამოშლინარე წყარო), მუჯა (მინერალური წყალი უგაზო, უგემური, სასმელად უვარგისი) და სხვა.

ტაბონიმებიდან გამოვყავით ზოგი ისეთი ტერმინი, რომელიც არც ერთ ლექსიკონში არ აღმოჩნდა. ისინი ფართოდ გავრცელებულნი არიან როგორც ზოგადი სახელები. ამიტომ ძირითადებში შევიტანეთ: საჩქვეფი (ველი ჩრდილიან ფერდობზე, სადაც წყაროც გამოდის), შუბლა (შუბლივით წამოწეული ფერდობი), მშრალი ხევი (ხევი, სადაც ავდარში მოღრმ მხოლოდ წყალი) და სხვ.

როცა ლაპარაკია ტერმინებზე (გეოგრაფიულ ტერმინებზე), რა თქმა უნდა, მათ შესაბამისად უნდა დაზუსტდეს ის ცნებებიც, რომლებსაც ეს ტერმინები აღნიშნავენ (ამაზე ნაწილობრივ უკვე გვქონდა საუბარი). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტაბონიმისტს მოეთხოვება ერთგვარი ტაბოგრაფიული ცოდნა, რათა რაც შეიძლება სიზუსტით ასახოს გეოგრაფიული ობიექტები, ჩვენი გეოგრაფიული ტერმინები ამ მხრივაც ბევრად დასაზუსტებელია. არც გეოგრაფიულ ლიტერატურაში, არც განმარტებით და დიალექტურ ლექსიკონებში მოცემული არ არის გეოგრაფიულ ობიექტთა ზომი-მოცულობა. მაგალითად, რა ზომის ერთეულებს ვუწოდოთ — ბორცვი, გორა, მთა; ან: ნაკადული, ხევი,

მდინარე. ეს ტერმინები, უფრო სწორედ სიტყვები, ხშირად სინონიმურად იხმარება, რაც არ არის მართებული. არნოლდ ჩიქობავა წერს: „შეძლება არც იყოს დიდი განსხვავება მეცნიერულ ცნებასა და სიტყვის მნიშვნელობას შორის. მაგრამ ეს განსხვავება ხშირად ისეთია, რომ სიტყვა ტერმინად შეუძლებელია მივიჩნიოთ, ვერ ვიტყვით ცნების აღმნიშვნელიაო. „მთა“ გეოგრაფიაში ამაღლებული ადგილის შესახებ ითქმის თუ გარკვეულ ჰიმაღლეს აღწევს; ამაზე დაბალი გორაკი იქნება. ყოველდღიურ სიტყვანმარებაში „მთა“ და „გორაკი“ ასე ზუსტად როდია გარჩეული. „გორაკის“ გარდა გვაქვს „ბორცვი“, „სერი“, და არც ერთს მნიშვნელობას მეცნიერული ცნების სიზუსტე არ გააჩნია“.

ამგვარად, თუ გვინდა ამ საზოგადო სიტყვების ტერმინებად გამოყენება, მათი ცნებებიც უნდა დაზუსტდეს. განმარტებით ლექსიკონში ზოგი გეოგრაფიული ტერმინის მიმართ მოცემულია ეს ზუსტი საზომი. მაგ.: „დაბლობი — დაბალი, დაცემული ადგილი ზღვის დონიდან არა უმეტეს 200 მეტრის სიმაღლისა“². „ხეგანი — ვაკე ადგილი მთაზე, მაღლობზე. გეოგრ. ვაკე (ან მცირე გორაკიანი) ადგილი ზღვის დონიდან 200 მეტრის (და მეტ) სიმაღლეზე“. სხვა გეოგრაფიულ ტერმინებთან კი ეს სიზუსტე აღარ არის დაცული, ამიტომ ჩვენ მიერ ნაპრაუდევ ზომებს ვურთავთ.

განმარტებების მიხედვით, გორა, მთა, ბორცვი ერთმანეთის სინონიმებია. ეს კი სინამდვილეს არ შეესაბამება: ბორცვი პატარაა, შემდეგ არის გორი და შემდეგ — მთა.

„ბორცვი — მცირედ შემადლებული ადგილი, — გორაკი“. ამას ავსებს და აზუსტებს ქიზიყური ვაგება ბორცვისა: „ამობურცული ვაკე ადგილზე“. სიმაღლე 100 მ-მდე, ძირიდან წვერამდე.

„გორი — დიდი ბორცვი, მრგვლად ამაღლებული ადგილი“. 100 დან 500 მ-მდე, ძირიდან წვერამდე.

„მთა — 1. დედამიწის ამაღლებული ადგილი, რომელიც თავისი სიმაღლით თვალსაჩინოდ აღემატება მიდამოს“. 500 მეტრი და მეტი სიმაღლისა, ძირიდან წვერამდე.

ასევე დასადგენია, შესათანხმებელია მდინარეთა ზომები. ჩვენ ამჟამად ყველას მდინარეს ვარქმევთ, სინონიმებად თუ ვიხმართ, ხეცს, წყალს, პატარა მდინარეს, ნაკადულს, ლელეს. ამ ტერმინებს მაინც აქვთ ასე თუ ისე გარკვეული ზომის ობიექტების ვაგება. ნაკადული, ლელე, ხევა — უფრო პატარა ზომის მდინარეა, ხევი — შედარებით მოზრდილის, მდინარე კი უფრო დიდს. ამის მიხედვით (რა სიდიდის მდინარეები გვაქვს) შეიძლება მივუსადაგოთ მათ თუნდაც პირობითი ზომები.

მდინარე ვუწოდოთ მხოლოდ იმას, რომელიც მოედინება შორიდან და რომლის სიგრძეც აღემატება 25 კმ-ს; მდინარეთა შენაკადებს; რომელთა სიგრძეც 25 დან 1 კმ-ის ფარგლებშია — ხევი; ამ ხევიების შენაკადებს, რომელთა სიგრძეც 1 კმ-ს იშვიათად აღემატება — ნაკადული.

გეოგრაფიულ ობიექტთა ასეთი ზომების ცოდნა მათი სახელების, ტოპონიმების კვლევის დროს გარკვეულ როლს თამაშობენ. რაც უფრო დიდია, ვთქვათ, მდინარე, მით უფრო მოსალოდნელია, ძველი სახელი ერქვას. ჩვენი ნთავარი მდინარეების თითქმის ყველა სახელი ძველისძველია და უცნობი: მტკვარი, ალაზანი, რიონი, არაგვი, ჭსანი, ენგური და სხვა; ხოლო ხევისა და ნაკადულების სახელწოდებები ნათელია: წიფლიანის წყალი, დუღაგულიანის ხევი და მსგ. ცნობილი რუსი ტოპონიმისტი ვ. ნიკონოვი წერს: „ტერიტორიაზე,

სადაც ენები იცვალა, სხვადასხვა სიდიდის ობიექტთა ენობრივი ფენები განსხვავებულია. მცდარია წარმოდგენა, თითქოს ცნც ადრე მოვიდა, იმან შეარქვა სახელები დიდ მდინარეებს, ხოლო ვინც დაიგვიანა, მას პატარა მდინარეთა სახელების შერქმევალა ერგო წილად. მიზეზი, ჩანს, სხვაგვარია. დიდ მდინარეთა სახელები მრავალი ხალხისათვის არის ცნობილი და თუ ერთნი შეცვლიან მას, სხვებმა შეიძლება არ შეცვალონ, ნაკადულთა სახელები კი მთლად ადგილობრივ მცხოვრებთა განკარგულებაშია. ვ. ი. გეორგივიძის მიხედვით, ბულგარეთში განსხვავებულია სხვადასხვა სიგრძის მდინარეთა სახელწოდებები. პროკუნტული შეფარდება ასეთია:

სახელწოდება	100 კმ-ზე გრძელი	50—100 კმ.
ბულგარული	7	57
თურქული	4	22
ფრაკიული	70	16
სხვადასხვა	19	4

რაც უფრო დიდია ობიექტი, მით უფრო მყარია მისი სახელწოდება¹.

მსგავსი ოპერაციების ჩატარება მოგვიწევს, ალბათ, ქართული ტოპონიმების მიმართაც. ამიტომ საჭიროა მათი ზუსტი აღწერა. ზუსტი აღწერა კი შეუძლებელია ზუსტი ტერმინოლოგიის გარეშე.

დამოწმებანი

- ¹ Г. И. Донидзе, Гидронимические термины в тюркских языках, Ономастика, М., 1969.
- ² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, I—VIII, თბ., 1950—1964.
- ³ ალ. ქიქარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბ., 1969.
- ⁴ ლ. კაიშაური, შთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967.
- ⁵ არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 212.
- ⁶ შ. ნიქარაძე, ქართული ენის აქარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.
- ⁷ სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.
- ⁸ В. А. Никонов, Введение в топонимику, М., 1965, გვ. 49.

Г. И. ХОРНАУЛИ

УТОЧНЕНИЕ НЕКОТОРЫХ ГРУЗИНСКИХ ГЕОГРАФИЧЕСКИХ ТЕРМИНОВ (ТОПОНИМОВ)

Резюме

Обилие географических терминов в грузинском языке вызвано, с одной стороны, разнообразием рельефа, а с другой — различием диалектов. В термины *mta* «гора», *kedi* «хребет», *goga* «горка», *veli* «поляна», *yele* «речка» и др. вкладывается различный смысл, для обозначения одного и того же географического объекта употребляются разные термины. Терминами служат также и диалектные слова: *ṣavaḡna* «тропинка на скале», *ṣirdili* «северная сторона горы», *ṣvatiri* «яма в поле» *ṣugulo* «родник, который там же исчезает» и др.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმის ლაბორატორია
წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

ზ უ რ ა ბ ს ა რ ჯ ე მ ე ლ ა მ

ს ა ზ ო ბ ა დ ო ს ა ხ ე ლ ა დ გ ა გ ე ბ უ ლ ი ე რ თ ი ტ ო ჯ ო ნ ი მ ი ს ა თ ვ ი ს
ს ა ბ ა ს ლ ე მ ს ი კ ო ნ ო შ ი

სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ სიტყვა *ღ ა დ ი რ ი* ასეა განმარტებული: „ქელი გორაკთა წარზიდული“¹. ნ. ჩუბინაშვილი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს საბასეულ განმარტებას: „ღ ა დ ი რ ი წარზიდული სერი, ქელი გორაკთა“².

საყოველთაოდ ცნობილია, რომ „სულხანის ლექსიკონი მეტის-მეტი მეცნიერული სიფრთხილით ნაწარმოებს ჰირნახულს წარმოადგენს და უაღრესად სანდო მასალებს შეიცავს“³. ცნობილია ისიც, რომ სულხან-საბა ხშირად უთითებს წყაროს, საიდანაც იგი იღებს განსამარტავ ლექსიკურ ერთეულს, თუმცა ისეთი შემთხვევებიც დასტურდება, როცა ძველი ძეგლი, სადაც განსამარტავი სიტყვა გვხვდება, მითითებული არაა⁴.

ერთ-ერთი ასეთი ლექსიკური ერთეულია ჩვენთვის საინტერესო *ღ ა დ ი რ ი*. ძველი ქართული ენის ჩვენთვის ცნობილ ძეგლთაგან ეს სიტყვა პირველად გვხვდება გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულებაში: „ცხორებამ და შესხამა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი, კესარიაკაბადუკიელ მთავარეპისკოპოსისაჲ, რომელი აღწერა წმიდამან და ნეტარმან მამამან ჩუენმან გრიგოლი ღმრთისმეტყუელმან“. თარგმანი ეკუთვნის ექვთიმე მთაწმიდელს და შემონახულია ისეთი უმნიშვნელოვანესი ნუსხებით, როგორცაა: Ath.32 (981 წ.), A—1 (1030 წ.), A—92 (XI ს.), A—87 (XI ს.) და მისთ. ამ მნიშვნელოვანი ძეგლს ეფრემ მცირისეული თარგმანი — „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ — სიტყუაჲ ებიტაფიად დიდისა ბასილისთჲს“ — დატულია XII—XIII საუკუნეთა ხელნაწერებში: A—109 (XII ს.), A—1490 (XIII ს.), ქუთ.—9 (XIII ს.), Ier.—43 (XII—XIII ს.), Ier.—15 (XIII ს.) და სხვ. *ღ ა დ ი რ ი* ამ თარგმანშიც დასტურდება. ეს სიტყვა გვხვდება აგრეთვე „ექუსთა დღეთაჲს“ უძველეს რედაქციასა⁵ და გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანში⁶.

ენახოთ, რა კონტექსტებში იხმარება *ღ ა დ ი რ ი* სიტყვა ამ ძეგლებში. გრიგოლი ღმრთისმეტყველის ზემოთ ნახსენები თხზულების ექვთიმესეულ თარგმანში ვკითხულობთ: „ესრეთ უკუე აღივსო რაჲ ყოვლითაჲე სწავლულე-ბითა და სიბრძნითა, რაჲზომ-იგი ბუნებასა შინა კაცისასა ეტევის (რამეთუ უზეშთაჲს *ღ ა დ ი რ თ ა* არა წარივლების)“ (15v). ვიმოწმებთ ათონური, უძველესი ნუსხის მიხედვით. სხვა ხელნაწერებიც ამ ნუსხის ვითარებას ზუსტად იმეორებენ (უმნიშვნელო სხვაობით — A—1-ში ე ტ ე ვ ი ს ფ ო რ მ ი ს ა დ გ ი ლ ა ს ი ტ ე ვ ი ს ი კ ი თ ხ ე ბ ა).

ეფრემ მცირისეულ თარგმანში გვაქვს: „ესრეთ უკუე აქუნდა ესე და აღსავეს სწავლულებითა იყო ტურთი, რაოდენ დასატევენელ არს კაცობრივისა ბუნებისა (რამეთუ მიერ კერძო *ღ ა დ ი რ თ ა* არწარსაველელ)“; (Ier.—43,39r).

გრიგოლი ღმრთისმეტყველის ამ თხზულების ბერძნული დედნის შესაბამისად, *ღ ა დ ი რ ი*, ე ნ ის ა და ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ის ს ე რ ი ა, 1979, № 2

მის ადგილს ვკითხულობთ: „Ἐν ἑνὶ οὐν οὐρανῷ καὶ πλῆρης παίδευσας ἡ φθορίας, ὡς γυνὴ ἐφοῦσεν ἀμφιπλοῖν φῶσει (τὸ γὰρ ἐπέκεινα Γαδείρων οὐ περατὸν)“⁷.

როგორც ბერძნული ტექსტიდან ჩანს, დედანში გვაქვს გეოგრაფიული სახელის მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა (სახ. τὰ Γάδαιρα, ნათ. τὸν Γαδείρων). პ. მინის გამოცემაში ამ გეოგრაფიულ სახელთან დაკავშირებით შემდეგი შენიშვნაა: „Γαδείρων „Gades“ locus est inter Hispaniam et Africam, ubi mare permeabile esse, negavit antiquitas. Unde dictum est istud adagium“⁸.

როგორც ვხედავთ, ბერძნულში ყოფილა ანდაზა, გამოთქმა (τὸ γὰρ ἐπέκεινα Γαδείρων οὐ περατὸν), რაც მიუთითებდა იმაზე, რომ ესპანეთის ქალაქ ლადირთასთან (ძვ. ბერძნ. τὰ Γάδαιρα, ლათ. Gades) ზღვაზე გადასვლა შეუძლებელი იყო. გრიგოლი ღმრთისმეტყველმა ეს ანდაზა გამოიყენა ბასილი კესარიელის დიდი განსწავლულობის დასახასიათებლად. ამის შესახებ ეფრემ მცირის კომენტარებში ვკითხულობთ: „ნავთ აღტურთულობისაგან შემოიღების სიტყუაჲ ესე, რამეთუ, რაჟამს ნავნი ტურთითა აღივსნენ, არლარას უმეტეს ზომისასა დაიტევენ, ეგრეთვე დიდი ბასილი განისწავლა რაჲ, აღსავსე იყო სწავლულებითა, რომლისა უმეტესი არლარა დაეტევის კაცობრივსა ბუნებასა, შეუძლებელ იყო განვლად ლადირთა მისთა, ზოლო ლადირთა თხრობაჲ ჰპოო ზღაპრობათა შინა მეთექუსმეტესა თავსა შინა“ (Ier.—43, 39r).

ექვთიმეს თარგმანი ოდნავ თავისუფალია: ზმნიანი წინადადება ბერძნულის უზმნო კონსტრუქციის ბაღდად; ეფრემისეული — სიტყვისაიტყვითია. სხვაობა სხვა რამეშიცაა: ბერძნულის ἐπέκεινα ფორმას ექვთიმე თარგმნის: „უზუშთაეს“, ეფრემი კი — „მიერ კერძო“.

ცნობილია, რომ „ეფრემ მცირემ ქართველ მკითხველს არათუ მარტო გრიგოლის შრომები გააცნო, არამედ მისი ზოგიერთი კომენტატორისაც. უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის ნონნეც (VI ს)“¹⁰. ნონნეს ეკუთვნის ჩვენთვის საინტერესო თხზულების კომენტარებიც. ლადირთა სიტყვასთან დაკავშირებით აქ ნათქვამია: „ლადირნი ადგილი არს კერძოთა დასაჯალისათა და ადგილი იგი დასასრული არს ზღვსაჲ და რეცა ხერთვისი რაჲმე ჩუენდა მომართისა ამის ზღვსაგან ატლანტიკომისა ზღუად, ვინაჲცა თქუემულ არს, ვითარმედ არლარა თანაწარიელებიან ნაევბითა ლადირნი, რაჲთამცა შევიდა ვინ ამიერ ჩუენ კერძოთ ზღუთ ზღუასა მას ატლანტიკომისასა, რომელი-იგი კლდოვან არს და ბნელ. ზოლო ლადირსახელედვა, რომელ არს ქედი, რამეთუ, ვითარცა ქედი ქუეყანისსაჲ, არს ადგილი იგი ლადირისაჲ“ (A—109, 45v).

ბერძნულ დედანში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: „Γάδαιρα τόπος ἐστὶ περὶ τὰ Ἐπαῖρα μέρη. ὁ τόπος δὲ οὐτός, ἁποτελεῖσθαις ἐπὶ θάλασσης, καὶ οἰοῖται ἔκχριστος ἀπὸ τῆς ὡς πρὸς ἡμᾶς θάλασσης, ἐπὶ τῆν Ἀτλαντιδα θάλασσαν. λέγεται οὖν μηκέτι μετὰ τὰ Γάδαιρα πλεεσθαι τῆν θάλατταν ἐκείνην, διὰ τὸ εἶναι βραχύνει καὶ σκοτεινῆν. Γάδαιρα δὲ ἦκουσε παρὰ τῆν γῆν καὶ τῆν θείραν. θείρη δὲ καλεῖται τράχελος. παρὰ τὸ οὖν τῆς γῆς εἶναι τράχηλον ἐκείνη, ἦκουσε Γάδαιρα“¹¹.

ქართული თარგმანის ხაზგასმული ადგილი წარმოადგენს შესაბამისი ბერძნული ტექსტის რამდენადმე თავისუფალ ვარიანტს. ნონნეს კომენტარში მოცემულია Γάδαιρα ტოპონიმის ხალხური ეტიმოლოგია: Γάδαιρα δὲ ἦκουσε παρὰ τῆν γῆν καὶ θείραν, ე. ი. ნონნეს მიაჩნია, რომ Γάδαιρα მხლებულია γῆ და θείρα

სიტყვათა შერწყმით. ბუნებრივია, ნონესთვის უცნობი იყო ამ გეოგრაფიული სახელის ფინიკიური წარმომავლობა.

როგორც ვხედავთ, თვით ბერძნული დედანი იძლევა ლადირთა სიტყვის იმგვარი გაგების შესაძლებლობას, რაც საბას ლექსიკონშია წარმოდგენილი: ბერძნული ἡ δειρή ნიშნავს: 1. კისერი (ქელი), ყელი, 2. ხახა, 3. მათა წყება. ὁ δειρήσ; სიტყვა „კისრის“, „ქედის“ მნიშვნელობით იხმარება. ხოლო ეფრემისეულ თარგმანში ქედ სიტყვის ხმარება, რომელსაც აქვს როგორც „კისრის“, ისე „მთის“ მნიშვნელობები, კიდევ უფრო ნათელს ხდის იმას, რომ საბა ემყარება სწორედ ეფრემისეულ თარგმანს. დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ ლადირ სიტყვის განმარტებისას საბა სარგებლობს გრიგოლი ღმრთისმეტყველის თხზულებისა და ნონეს კომენტარების ეფრემ მცირისეული თარგმანით.

ერთი გარემოებაა აღსანიშნავი: ძველ ქართულ ხელნაწერებში საკუთარი სახელის (ტოპონიმის) დაწერილობა არ განსხვავდება საზოგადო სახელის დაწერილობისაგან. ამანაც გამოიწვია ის, რომ საბამ ეს ტოპონიმი მიიჩნია საზოგადო სახელად. უთუოდ ამითაა შეპირობებული ისიც, რომ ეს სიტყვა შევიდა ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონშიც, რომელიც გეოგრაფიულ სახელებს, ჩვეულებრივ, გამოტოვებს ხოლმე¹². თვით ავტორი ამის შესახებ შენიშნავს: „სათუთონი სახელნი, ე. ი. კაცთა, ქალაქთა, მდინარეთა და ადგილთანი, შეკრებულ და განმარტებულ არიან საკუთარსა შინა ლექსიკონსა ისტორიულსა ანუ ლეოლოგიულსა, მაშა განმარტება მათა არა ეკუთვნის ქართულსა ლექსიკონსა. ამისა გამო სრულიად გამოხვევულ არიან იგინი ამის წიგნისაგან“¹³.

როგორც ზემოთ ვთქვით. ლადირნი სიტყვა „ექუსთა დღეთაჲს“ უძველეს თარგმანშიც გვხვდება და გიორგი მთაწმიდლისეულშიც.

უძველესი თარგმანი: „და ნუ ვინ იტყუნ, ვითარმედ: უკუეთუ წყალი იყო ზედა კერძო პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, უკუეთუ ადგილნი იგი ლელოვანნი და ღრმანი საესე ვიდრემე იყვნეს, რომელთა-იგი უკუანამსკნელ შეიწყნარნეს ზღუანი. და ვინაჲთგან ესენი საესე იყვნეს, ვითარ შეკრებად იყვნეს წყალნი იგი? და ჩუენ ვთქუათ ამისთჳს: ვითარმედ ღმერთსა განემზადნეს ჭურჭელნი შემწყნარებელნი წყალთანი, რაჲამს ბრძანა ერთად შეკრებად იგი მათი. რამეთუ არა იყო ზღუაჲ, რომელ არს გარეგან ლადირაჲ¹⁴ და არცა შესაძრწუნებელი იგი სიღრმე, რომელსა ვერ მიჰკადრებენ მენავენი, რომელი-იგი გარე მოადგს ჭალაჲს მას ბრიტანიამსასა და ქართველთა მათ დასავალისათა, არამედ მაშინ დაებადნეს და ვანიერცნეს ბრძანებითა ღმრთისაჲთა“ (57, 10—21¹⁵).

გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანი ამავე ადგილს ასე გადმოგვცემს: „და ნუვინ იტყუს, ვითარმედ ვინაჲთგან წყალი იყო ზედა ყოვლისა ქუეყანისა, განალა ყოველნი ესე ლელენი, რომელთა აწ ზღუაჲ შეუწყნარებდეს, აღსაესე იყვნეს წყლითა. სადაჲთ უკუე შეიმზადებოდეს შესაკრებელნი წყალთანი, ვინაჲთგან პირველე დაეპყრნეს იგინი წყალთა? ამას ვიტყუთ ამისთჳს, ვითარმედ ჭურჭელნიცა მაშინ შეიმზადნეს, რაჲამს ებრძანა ერთად შესაკრებელად შეკრებად წყალთაჲ. რამეთუ არა იყო გარეშე ლადირთაჲსა ზღუაჲ, არცა დიდი იგი და მენავეთა შეუკადრებელი უფსკრული, რომელი გარე-შეიცავა“

ქალაქსა მას ვრეტანიისასა და ქართველთა მათ დასავალისათა, არამედ მაშინ დაიბადა სივრცე იგი მათი ბრძანებითა ღმრთისაათა (44, 12—20¹⁸).

„ექუსთა ღღეთაჲს“ ბერძნულ ღედანში იკითხება: Οὐ γὰρ ἦν ἡ ἕξις Γαδερῶν ἢ τῆς θάλασσης. οὐδὲ τὸ μερὰ ξαίνο καὶ ἀτὼ μῆτον πλωτῆραι πέλαγος, τὸ τῆν Βρεττανικὴν νῆσον, καὶ τοὺς ἐπαρείους Ἰβηρὰς περιπτασάμενον ἄλλα τότε τῆς εὐρυχωρίας τῆς πρὸς ἀρχαίαι τοὺς Θέου ἐμμοισυκῆμεναι“⁷.

ღადირნი ამ ძველში მეორედაც გვხვდება. უძველესი თარგმანი: ვითარცა-იგი მოგვთხროს შორად მავალთა ვიეთმე, ესე ტბანი არიან და არა ზღუაჲ. დალაკათუ ეგონოს ვიეთმე, ვითარმედ ზღუაჲ იგი ირკანისაჲ და კასპიასაჲ მოზღლდვილ არიან გარემო, არამედ ვითარ-იგი დაწერეს ქუეყანის მიმთხრობელთა მათ, ვითარმედ არიან იგინი შედგმულ ერთმანერთსა და ზღუასაჲ დიდსა, ვითარ-იგი იტყვან ზღუსათჲს მეწამულისა, ვითარმედ თანა-შეეტყუების იგი ზღუასა მას, რომელ არს გარეგან ღადირასა“ (58, 16—23¹⁸).

გიორგი მთაწმიდლის თარგმანი: „ხოლო ზღუაჲ ერთი არს, ვითარცა-იგი მომითხრობენ ჩუენ, რომელთა-იგი მოვლეს ქვეყანაჲ. დალაკათუ ჰგონებენ ვიეთნიმე, ვითარმედ ზღუაჲ იგი ურკანისაჲ და კასპიისაჲ განთჳსებულ არიან და გარეშემოწერილ თავით თჳსით, არამედ უკუეთუ ჭერ-არს ქუეყანის-აღმწყურელთა მათ მითხრობისა ყურადღებაჲ, ესრეთ იტყვან, ვითარმედ შედგმულ არიან ურთიერთარს და განკერულ, დამოკიდებულ დიდსა ზღუსა ყოველნივე, ვიდრელა ზღუსა მეწამულისათჳსცა იტყვან, ვითარმედ გარეშესა მას ზღუასა ღადირთასა შეეყოფვის“ (45, 16—23¹⁸).

ბერძნული ღედანი: καὶ πρὸς τῆν μερῶν τῆν θάλασσαν ἕξασαι συνηεσθῆσανται. ἄς καὶ τῆν Ἰβηρῶν θάλασσαν φασὶ πρὸς τῆν ἑπέξειν Γαδερῶν συνηεσθῆσαι.“

როგორც ვხედავთ, ამ ძველის უძველეს და გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანებშიც ლაპარაკია ესპანეთის იმავე ქალაქზე (რე Γადერ, Gades), რომელიც მოიხსენიება გრიგოლი ღმრთისმეტყველის ზემოთ დასახელებული თხზულების ძველ ქართულ თარგმანებში. ამასთან აღსანიშნავია, რომ ქართულში დადასტურებულ ამ ტოპონიმის ფორმებს ღადირთა (ნათ. ბრუნვა), ღადირთასა (ნათ.-მიც. ბრუნვა) საფუძვლად უდევს ბერძნული τῶν Γαδερῶν²¹, ხოლო ღადირასა ფორმისათვის (მიც. ბრუნვა) ამოსავალია ბერძნულის სახელობითი რე Γადერ. სულხან-საბას ლექსიკონში (და აქედან ნ. ჩუბინა-შვილის ლექსიკონშიც) შესული ღადირი მიღებულია ღადირთა ფორმის გადააზრინების შედეგად: ლექსიკოგრაფმა ამ სიტყვის მხოლოდობის სახელობითის ფორმად — სალექსიკონო ერთეულად — ღადირი მიიჩნია.

დასასრულ, „ექუსთა ღღეთაჲს“ გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანისა და უძველესი რედაქციის გამოცემებზე დართულ ლექსიკონებში ამ სიტყვის განმარტების შესახებ: მ. კახაძე მიუთითებს ღადირის ზღუა (ესპანეთში)²², ღადირნი (ესპანეთის ქალაქის ღადირის მცხოვრებნი). ეს განმარტებები არაა ზუსტი: ესპანეთის ქალაქის სახელწოდება ძველ ქართულად იქნება არა ღადირი, არამედ ღადირნი (შდრ.: ღადირთა τῶν Γαδερῶν). ამდენად ღადირნი ასე ვერ განიმარტება: ესპანეთის ქალაქის მცხოვრებნი, ზემოთ მოტანილი კონტექსტი ამის საშუალებას არ იძლევა. ესპანეთში არ არის ღადირის ზღუა. როგორც ჩანს, მკვლევარი შეცდომაში შეიყვანა „ექუსთა ღღეთაჲს“ შემდეგმა ადგილმა: „გარეშესა მას ზღუასა ღადირთასა შე-

ე ყ ო ფ ვ ი ს“ (45, 22—23). შდრ. ბერძნ. $\pi\rho\beta\zeta \tau\eta\upsilon \xi\pi\acute{\epsilon}\chi\epsilon\upsilon\iota\alpha \Gamma\alpha\delta\epsilon\iota\rho\alpha\upsilon$ $\sigma\upsilon\sigma\acute{\alpha}\rho\tau\epsilon \sigma \theta\iota\alpha\iota$; ლათ.: (et mare Rubrum) cum eo quod ultra Gades est, connecti ferunt. აქ ლაპარაკია არა „ლადირის ზღვაზე“, არამედ იმ ზღვაზე, რომელიც, ეფრემ მცირის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მეორე კერძო ლადირთა“ მდებარეობს.

„ეჭუსთა დღეთაჲს“ უძველესი რედაქციის ზემოთ გაანალიზებული კონტექსტებისათვის შეუფერებელია ილ. აბულაძისეული განმარტება: „ლადრა 58, 23 (მთაა). Гадес“²³. განსამარტავი სიტყვის მცდარად გაგების შედეგია ის შესწორება, რაც ვამომცემელს ძირითადი A ხელნაწერის ტექსტში შეაქვს.

დაბეჭდილია: „რამეთუ არა იყო ზღუაჲ. რომელ არს გარეგან ლადირთაჲ“ (57, 17—18). თუ ილ. აბულაძისევი განმარტებას გავიხსენებთ (ლადირთა მთაა), გრამატიკულ და აზრობრივ შეუსაბამისობას მივიღებთ: არ იყო ზღვა, რომელიც არის „გარეგან ლადირთა“, ხოლო თუ A ხელნაწერის ჩვენებას ჰქოლიოში კი არ ჩავიტანთ, არამედ დავტოვებთ ძირითად ტექსტში, წინადადებაც სავსებით გაიძარტება: „რამეთუ არა იყო ზღუაჲ იგო, რომელ არს გარეგან ლადირთაჲსა“, ე. ი.: ჯერ კიდევ არ იყო ის ზღვა, რომელიც ლადირთა გარეგან არის; შდრ. ბერძნ.: $\text{Ὅδ ὕψρ ἦν ἡ ἐξῆσ Γαδείρως θάλασσα}$, ლათ.: Neque enim erat illud quod est extra Gades mare.

ამრიგად, ლადირი — ესაა ბერძნული ტოპონიმის (რბ Γάδαιρα) ადაპტირებული ფორმა. ძველ ქართულ ტექსტებში იგი იხმარება ლადირთა, ლადირთა ფორმებით და მნიშვნელობითაც და ფორმითაც შეესატყვისება ბერძნული გეოგრაფიული სახელის შესაბამის ფორმებს. ლადირი იმის შედეგია, რომ ჰაბაჲ გეოგრაფიული სახელის აღმნიშვნელი სიტყვა საზოგადო სახელად მიიჩნია (ამის მიზეზზე ზემოთ მივუთითეთ).

ლადირი საბას ლექსიკონის ზეგაულებნით საზოგადო სახელის მნიშვნელობით გვცვდება ვახუშტისეულ „ქართლის ცხოვრებაში“: „მე, თამარ, მიწა ესე შენი და ზიერვე ცხებულობასა ღირს მყავ და თვისობასა ედემს ლადირად, სამხრით უკუე და ჩრდილოთ“²⁴.

ს. ყაუხჩიშვილი ლადირ სიტყვის განსამარტავად საბას იმოწმებს („ქედ-გორაკთაგან წარზიდული“. საბა)²⁵. აღსანიშნავია, რომ R ხელნაწერის აშიაზე ლადირი განმარტებულია: „ქედ-გორაკთ წარზიდულად“²⁶, რაც აგრეთვე საბას ლექსიკონს ემყარება.

შენიშვნები და დამოწმებანი

1. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძის და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფ., 1928, გვ. 375.
2. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. დლონტის რედაქციითა და გამოკვლევით. თბ., 1961, გვ. 408. თვით ლექსიკოგრაფი თავისი შრომის შესახებ ვეამცნობს, რომ იგი არის „საბა-სულხან-ორბელიანისაგან შეთხზული და მცირედ გამართული სისტემისაგან მისისა“ (გვ. 99).
3. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928, ა. შანიძის წინასიტყვაობა, გვ. IV—V.
4. ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გორგი მთაწმიდლას თარგმანი, ტექსტა. გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, თბ., 1947, გვ. VII.
5. უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის ექუსთა დღეთაჲსა და გრიგოლ ნოსელის თარგმანების „კაცისა აგებულებისათვის“, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1964.
6. ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გამოსცა მ. კახაძემ.

- 7. Εἰς τὸν μῆγαν Βασιλειῶν, ᾠπεῖσχοπον Καισαρείας Κακπαδοκίας, ἔπιτᾶφιος, P. Migne, Patrologia Graecae, t. 36, 1858, სვ. 528.
- 8. იქვე, სვ. 528, შენ. 30.
- 9. ოვლისხმება ესპანეთის ქალაქი Kadis (დღევანდელი გამოთქმით).
- 10. ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ელინთა ზღაპრობანი: ენიქის მოამბე, X, 1941, გვ. 1.
- 11. P. Migne, Patrologia Graecae, t. 36, სვ. 1064.
- 12. აღ. დ ლ ო ნ ტ ი, ნიკო ჩუბინაშვილის ქართული ლექსიკონი, წიგნში: ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 53—54.
- 13. ნ ი კ ო ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 120.
- 14. სქოლიოში ჩატანილი ძირითადი ხელნაწერის, A ლიტერით აღნიშნული Jer.—44-ის (XII-XIII სს.) ჩვენება: ღ ა დ ი რ თ ა ა ს ა.
- 15. უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“... გამოსცა ილ. აბუ-ლაძემ.
- 16. ბ ა ს ი ლ ი დ ი დ ი, ექუსთა დღეთაჲ, გამოსცა მ. კახაძემ,
- 17. Τοῦ δὲ ἀγίου πατρὸς ἡμῶν Βασιλείου ἀρχιεπισκόπου Καισαρείας Κακπαδοκίας Ὁμιλίαι εἰς εἰς τῆς Ἐξᾶήμερον; P. Migne, Patr. Gr., t. 29, 1857, სვ. 85.
- 18. ბასილი კესარიელი, ექუსთა დღეთაჲ, გამოსცა ილ. აბუ ლაძემ.
- 19. ბ ა ს ი ლ ი დ ი დ ი, ექუსთა დღეთაჲ, გამოსცა მ. კ ა ხ ა ძ ე მ.
- 20. P. Migne, Patr. Gr, t. 29, სვ. 88.
- 21. ბერძნული გეოგრაფიული სახელი, მდგარი Pluralia tantum-ში, ქართულშიც რომ მრავლობითის ფორმით იყოს გადმოცემული, ამის მაგალითია ათინები, შდრ. აღ. ᾠδῆται — „ვაქუნდით ჩვენ ათინებთა“, ბას. ეპიტაფ. (ფერ. თარგმანი); 32V; შდრ.: Εἶχαι ἡμᾶς ᾠδῆται (P. Migne, დასახ. ნაშრ., სვ. 513); შდრ.: „შევეკრებით ჩვენ ათინას შინა“ (ექვეთიმეს თარგმანი), 10r, ან კიდევ: „უღუნეტარებად სახელსდებდა ათინათა“ (ფერემის თარგმანი) 35r. შდრ.: Κενήν μακαρίαν τᾶς ᾠδῆται ἀντάλλει (P. Migne, სვ. 520).
- ამის შესახებ თვით ფერემიტორე კომენტარებში შენიშნავს: „ხოლო სამრავლოდ იტყვს სახელსა ქალაქისას, ვითარმედ: „ათინანი“, რამეთუ ჩუეულეებაჲ არს ელენთა ენისაჲ, რაჲთა ოდესმე მასვე დაერთსა სამრავლოდ სახელსდებდეს, არა ხოლო ადგილსა გინა ქაცსა, არამედ მასვე დაერთსა საქმესა სამრავლოდ თქმითა, A—109 (23). აქ მარჯველაძე შენიშნული ბერძნული ენისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მოვლენა. ფერემის ამ გამონათქვამს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიისათვისაც.
- 22. ბ ა ს ი ლ ი დ ი დ ი, ექუსთა დღეთაჲ, გამოსცა მ. კახაძემ, გვ. 188.
- 23. ბასილი კესარიელი, ექუსთა დღეთაჲ... გვ. 458.
- 24. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა; ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1973, გვ. 184, 20—23.
- 25. იქვე, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ შედგენილი ლექსიკონი ამ ძეგლისა, გვ. 960.
- 26. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 184, შენ. 4.

3. A. САРДЖВЕЛАДЗЕ

К ЭТИМОЛОГИИ СЛОВА ღადირ-ბ-ი YADIR-N-I

.С X века в памятниках древнегрузинского языка встречается слово ღადირ-ბ-ი yadir-p-i. В словарях оно объясняется как «высокая гора». Однако, это толкование неверно. ღადირ-ბ-ი yadir-p-i является передачей топонима τὸ Γαδειρα (так назывался в древности испанский город Кадис).

Основанием для ошибочного толкования послужило употребление этого топонима в идиоматическом выражении (древние греки считали, что море у берегов Кадиса невозможно преодолеть), а также тот факт, что в древнегрузинских памятниках не различалось написание собственных и нарицательных имен.

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრა
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჟიქიამ

იზანდ შერვაშიძე

შენიშვნა სიტყვა ტ ა ი ზ ი ს შესახებ

სიტყვა ტაიჰ-ი ქართულ ენაში ჯერ კიდევ შუა საუკუნეების წერილობითი ძეგლებით დასტურდება: «მოიქცა ვახტანგ და აღჯდა ტაიჰსა თუსსა, და რქუა სპათა თუსთა: „ევედრებოდით ღმერთსა და ნუ შეძრწუნდებით“» (ჯუანშ. 153); „მოგუცნა ორნი ცხენნი, ტაიჰნი კარგნი“ (ალაბ. 55); „ტაიჰი მიუქს მერანსა, მიეფინების შუე ველად“ (რუსთ. 95).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ტაიჰ-ი სხვადასხვაგვარადაა განმარტებული: 'ქართული არის, ბედაური ცხენი'; 'ცხენი'; 'იაბო და ტაიჰი კარგს მოსიარულეს ცხენსაცა ჰქვიან'; 'ცხენი საჯდომი გაწვრთნილი სამკედროდ' (თ. ბაგრ. 56/55; 97/96; /1367/1377; /1547/1558); 'გამოყვერული ცხენი, კეთილი ცხენი' (საბა 131); 'ცხენი დაკოდილი, იაბო, мерин' (ნ. ჩუბინ. 375); 'мерин, hongre' (Чубинов, 475); 'არაბული ცხენი' (შაჰ-ნ. 832; აბულ. 123); 'თურქული ცხენი, ბარბარული ცხენი, აფრიკის ცხენი. ფიცხი და სწრაფად მავალი ცხენი, გინა მერანი' (აბულაძე 281); 'ტაჯიკური ჯიშის ფეხმარდი ცხენი' (ქავთ. 348); 'კარგი საჯდომი ცხენი, კეთილი ცხენი' (ქეგლ 1234 შმდ.).

ოშკის ბიბლიასა და ათონის ივერიის მონასტრის ქართული კოლექციის ხელნაწერებში ტაიჰ-ს 'აქლემის' მნიშვნელობაც აქვს¹.

ტერმინი ტაიჰ-ი საფუძვლად დასდებია ასევე ანთროპონიმს: „ამისა ეამთა შევიდენ მთარგმანებელნი წიგნთანი ეფრემ მცირე, და თეოფილე, და არსენ იყალთოელი, და იოვანე ტაიჰის ძე“ (დ. აღმაშ. ისტ. 3341)².

შესაძლოა, იგივე ტერმინი იხმარებოდა ტოპონიმდაც, კერძოდ ახალციხის ლივის (სანჯაყის) ერთ-ერთი გეოგრაფიული პუნქტის სახელად: *ტაიჰ-ი (მეტათეზური კანონზომიერებით) > ჰაიტა³.

აკად. გ. წერეთლის აზრით ტაიჰ-ი „წარმოდგება არაბული სიტყვისაგან

طائي (მიმართებ. طائي „ტაიური“), რომელიც „შემოდის სომხურში (տաინի)

არაბთა აღსანიშნავად — და აგრეთვე ქართულში, ალბათ ჯერ არაბის, ბედუინის აღსანიშნავად და შემდეგ არაბული ცხენისა“⁴. პროფ. გ. ანდრონიკაშვილი ტაიჰ-ის ამოსავალ ფორმად თვლის საშუალო სპარსულ ეთნიკურ ტერმინს tačik 'არაბი'⁵. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს თუნდაც ის, რომ პირუკუ, ქართ. ზოოლ. ტაიჰ-ი, სვან. ზოოლ. დაიჰ, ტაიჰ (ბზ.), ჰაიტ (ლზმ.) არ ნიშნავს 'არაბს'. ამ მოსაზრების გაზიარება გაართულებდა მედიალური ი-ს ახსნასაც ტაიჰ-ში. გარდა ამისა, ტაიჰ-ი რომ ნიშნავდეს 'არაბულ ცხენს', მაშინ „მას ტაიჰსა არაბულსა“ (რუსთ. 55) ტავტოლოგიის მაგალითი იქნებოდა.

დ. ჩუბინაშვილი (Чубинов 475) და გ. დოერფერი (Doerfer II, 863, IV, 863) ტაიჰ-ის წარმომავლობას თურქულენოვან სამყაროს უკავშირებენ, შდრ.: თრქ. რუნ. tañ (Thomsen 54), tay (Tekin 377), МК ta:y, tay (III 158 ta:y — Clauson 566, შდრ. Ligeti 19; 1 206 tay — ДТС 527, შდრ. Brockelmann 192), DK 287, Id. 100, Мел. 84, 100, МА 139, Dur. 79/AZaj 334,

Ettuhf. 254, LOs 256, Šeyh 106, ჩალ. (Vámbéry 257), ყიზ. (Joki 31), ალთ., თელ. (Радлов 765), დობრ. თათრ. (WZaj 123), ყაზ. თურქ. (Алиев 19), თურქ. (Tū.S. 771), გაგ. (Губогло 223), ყ.-ბალყ., ყარ., ნოლ. tay, უილ. tay, tayčak, ფერგ. უილ. tay, taylak (Садвакасов 234), ხალ. ta:y (Doerfer 199), თურქმ. tayčanak, თურქ. დიალ. daylak (DS IV 1388 შმდ.), ჩუვ. *tayka, tiča (Левитская 55, 143) 'კვიცი, ცხენის ნაშიერი'; ყუმ. tay 'კვიცი (ორ წლამდე)'; აზ. day, dayča, daylag 'კვიცი (ექვსი თვიდან ორ წლამდე)'; Clauson 566 ta:y ТАСл 194 tay 'კვიცი (ერთი ან ორი წლისა) (შდრ. PdeC 382); Mūh. 70 (შდრ. BdeM 274), უილ. დიალ. (Jarring 291), ყაზ., თათრ., ყ.-თათრ., ყირგ., შორ., ლებ., თარ., სალ. tay 'კვიცი (ერთი წლისა)' (Радлов 765: 'das einjährige Pferd, d. h. im zweiten Frühlinge'); თობ. (Paasonen 132), ყ.-ყალფ. tay, უზბ. tāy, ბარ. tayzak (Радлов 770), იაკ. liy 'კვიცი (მეორე წლისა)' (Пек. 2934: 'жеребенок по второму году; жеребенок, для которого наступает второе лето или вторая зима'); Ноу. 83, ბაშკ. tay 'კვიცი (ორი წლისა)'; ხაკ. tay 'კვიცი (ორიდან სამ წლამდე)'; თურქმ. tay 'ულაყი/კინნობით-ალერსობითი ფორმები: თურქმ. tayča, უზბ. tāyča, ყაზ.-თათრ. tayčik (Радлов 770), უზბ. დიალ. tāyčik, tāyčak (Щербак 91) და სხვ.

ციტირებული მასალიდან ჩანს, რომ დ. ჩუბინაშვილისა და გ. დოერფერის მოსაზრება ტაიქ-ის წარმომავლობის შესახებ ახლოსაა ჭეშმარიტებასთან. მართლაც, სიტყვაში ტაიქ-ი ადვილად ვლინდება ს.-თრქ. tay 'კვიცი', resp. 'კვიცი, ცხენის ნაშიერი (ასხლექტიდან სამ წლამდე)'¹⁸ და კინნობით-ალერსობითობის მაჩვენებელი. რა თქმა უნდა, იმ მნიშვნელობასთან შედარებით, რომელიც უნდა ჰქონოდა ასეთი შედგენილობის სიტყვას განმსესხებელ თურქულ ენაში, ტაიქ-ის მნიშვნელობა მეორეულია¹⁹. ამ ტერმინის ბოლოკიდური ი ეტიმოლოგიურად ფუძისეულია, თუმცა სახელობით ბრუნვის ნიშანთანაა გათანაბრებული. რაც შეეხება თურქულენოვან ყრუ /č/ აფრიკატს, იგი გადმოიცემა ქართველურ ენებში ყრუ არამკვეთრი (არაგლოტალიზებული) /ჩ/ და ყრუ მკვეთრი (გლოტალიზებული) /ჭ/ აფრიკატებით, ანუ თურქულენოვანი /č/ ფონემის რეფლექსებია ქართველურში ადეკვატური /ჩ/ და სპონტანური, აკუსტიკური ეფექტის შედეგად ფონოლოგიურად გადაწეული /ჭ/ ერთეულები²⁰, შდრ.: čališ — МК 185₉ 'ბრძოლა, ხელჩართული ბრძოლა'; El-Idr. 9 'შეიარაღებული შეტაკება', 'ბრძოლა'; Bul. 16,58 'ბრძოლა', ასევე 'ღროშა', რომელიც გამოჰქონდათ ლაშქრობის დაწყების ნიშნად და სხვ. (იხ. Doerfer III 1051, Clauson 421, Gökyay 291) Via Kiptchakica > ქართ. *ჩალიშ-ი, ჩალის-ი 'რიგით და რიგით ომი'²¹ /*ქალიშ-ი 'მოწინავე ხაზზე მებრძოლი'²²; თურქ. čam 'ფიჭვი Pinus' > ჰან. (ათინ., არქაბ.) ჩამ-ი 'id.' (Mapp 209); čuval 'ტომარა' > ჰან. (არქაბ., ხოფ. — ინფორმატორი: მ. კაზანჯი-ოღლი, ს. ბაქრაძე) ქუვალ-ი 'id.'; ყივჩ. ეთნ. kivčak 'ყივჩალი, ყივჩალები' > ქართ. ეთნ. ყივჩაყ-ი (შდრ. ლ. მროვ. 17₁₂); პაკ. ეთნ. pāčānāk 'პაქანიეები, პაქანიეები' > ქართ. ეთნ. *პაქანიკ-ი (შდრ. ლ. მროვ. 45₁₀); თურქ. sačma 'თევზსაქერი ბადე', 'საფანტი' > ჰან. (არქაბ., ხოფ. — ინფორმატორი: მ. კაზანჯი-ოღლი, ს. ბაქრაძე) საჩმა 'id.'; künčük ay საუბ. 'თებერვალი' (სიტყვასიტყვით 'პატარა თვე') > ჰან. (არქაბ.) კუქულ-აი 'id.' (Mapp 148, 160); ყივჩ. *Sevinč საკუთ. სახ. > ქართ. სევენჩი-ი id.: „მაშინ ძმა ყივჩაყთა მეფისა სევენჩი წინაშე თამარისა იყო სპითა დიდითა წვეული“ (ვახუშტი 182₁₃); თურქ. poğaça 'ღვეზელი' > ქართ. ბალაქ-ი 'უფუვარი პური';

hač 'ჯვარი' > ქან. (არქაბ., ხოფ. — ინფორმატორი: მ. კახანჯი-ოღლი, ს. ბაქრაძე) ხაქ-ი, ხაჩ-ი 'id'.

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ე ბ ი დ ა დ ა მ ო წ მ ე ბ ა ნ ა

1. ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973, გვ. 410.

2. შტრ. ზოოფ. ანთროპ.: თურქმ. Tayča < tayča 'კეცი' (ენნ.-ალრს.); Tay < tay 'ულაყი' (ТРСЛ, 612 შმდ.); რუს. Кобыла (Веселовский, 145) < кобыла 'ფაშატი'; Мерин (ib. 196) < мерин 'ლაფშა' (ცხენი); ბერძ. 'ἵππος (Pape 566) < 'ἵππος რაში, მგრანი'; Πάλος (Pape II 1294) < πάλος კეცი'; აგს.Horsa აბელატივიდან hors (Kluge 608) და ა. შ.

3. იბ., ს. ჟ ი ქ ი ა, გურჯისტანის ვილჯეთის დიდი ღაფთარი, III, თბ., 1958, გვ. 207. შტრ. სვან: ბზ. ზოოლ. ტაქ 'ტაიქი' — ლხმ. ზოოლ. ქაიტ 'id', ასევე ზოოფ. ტობ.: ჩხენიში (დას. საქ. — ნომინატივი შვარ. ჩხენ- 'ცხენ'- ფორმის გენეტივის); Wallach (AH 506) < გერმ. wallach 'ფაშატი'; Hengst (ib. 183) < პოლ. hengst 'ულაყი'; Bucephala — მემორატივი (მემორიალური ტობ.) ზოონომიდან βουκεφαλαιος (Brit. 309); ზოოფ. პილრ.: 'ἵππος—მდ. ცხენის წყალი (Pape 566) და ა. შ.

4. გ. წ ი რ ე თ ე ლ ი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, [თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის] სამეცნიერო სესიები, № 1, მოხსენებათა კრებული, თბ., 1947, გვ. 35 შმდ. შტრ. III. В. Д з и д з и г у р и, Грузинский язык, Тб., 1968, გვ. 72.

სომხურში თანხის 'არაბი' იხმარებოდა 'სწრაფმსროლის' შინაარსითაც ცხენისა და აქლემის მიმართ (იბ. ლ. სნაოკან, ლაქიხონ არნოთასკან ჩაოარან, VI, სრქჟან, 1926, გვ. 760 შმდ.). ეს მნიშვნელობა ასეთგვარად ჩანს განვითარებული: 'არაბი, > 'არაბული (ცხენი)' > 'სწრაფ-მსროლი (ცხენი, აქლემი)'.
5. შბ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1957, გვ. 375 შმდ. შტრ. ი. ქ ე რ ქ ა ძ ე, ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, თბ., 1974, გვ. 160 შმდ.

6. შტრ. Jules Théodore Z e n k e r, Dictionnaire Turc-Arabe-Persan, Tome Second, Lpz., 1876, გვ. 593.

7. შტრ. ს.-თურქ. tay 'კეცი' — თურქმ. tay 'ულაყი'; ქართ. lexw 'ლეკვი, მტაცებელი ცხოველის ნაშიერი (ლომის, მგლისა და მისთ.)' — ქან. (ათინ.) lak- lex-, 'ძალი' (B. M. И л л и ч - С в и т ы ч, Опыт сравнения ностратических языков, Сравнительный словарь, I-ქ, М., 1976, გვ. 34); ი-ე *porikos 'გოქი' — ირან. (ხოტან.) pāsa 'ლორი' (O. H. Т р у б а ч е в, Происхождение названий домашних животных в славянских языках, М., 1960, გვ. 62 შმდ.).

8. ქართველური /ჰ/, თავის მხრივ, თურქულ ენებში გადმოიკემა /z/ შესატყვისით — საილუსტრაციოდ შტრ. მაგალითები ქართ. და თურქ. ენების კონტაქტებიდან: ქართ. პილრ.: კოროხ-ი > თურქ. პილრ. Çoruh; ქართ. კულინ. აქრილი 'ამეავების გამო წამხდარი, — აყეითილი (რძე, საქ-მელი) > თურქ. დილ. ačril 'id' (DS I, 61); ქართ. ზოოლ. კაქკაქ-ი Pica pica' > თურქ. დილ. kačkač 'id' (DS VIII, 2587) და ა. შ.

9. შტრ. ფორმები: ჩალისად, ჩალისობა — ჩალისობა 'რივით და რივით ომი' (საბა, 313) და ამ ფორმების დამახინჯებული ვარიანტები: ჩალიბად, ჩალიბობა — ჩალიბად 'ომი ნაწილ-ნაწილ' (ყაუხჩ. 619), ასევე: * ქალიშ-ი.

შ. ვამესკირია ბანიანი ფორმის არსებობას ქართულში ბ-სა და შ-ს გრაფიკულ აღრევად მიიჩნევს (პირადი საუბრიდან). იბ. მისივე ძველი თურქული ლექსიკის შესახებ იუნუს ემრეს ნაწარმოებებში, „შაცენე“, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1977, № 3, გვ. 143. სხვანაირად იბ.: ვ. ვ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველი და თურქული სამყარო XI—XII საუკუნეებში, „აღმოსავლური ფილოლოგია“, III, ს. ჯიქიას დაბადების 75 წლისთავეზე, თბ., 1973, გვ. 95 შმდ.

10. შტრ. პრეფინალურ პოზიციაში დამახინჯებული ქალამ — ყიფჩაყთა ენით: 'მოწინავე ხაზზე მებძოლი' (ყაუხჩ. 626), ასევე: * ჩალიშ-ი, ჩალის-ი.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ა

აბულ. — იუსტინე ა ბ უ ლ ა ძ ე, მე-XII საუკ. ქართული საერო მწერლობა და „ვეფხისტყაოსანი“, ტფ., 1922.

აბულაძე — შ. რ უ ს თ ე ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი. ი. აბულაძის რედაქტორობით, ტფ., 1926.

- აღაბ. — ცხოვრება და მოქალაქობაა წმიდისა და ნეტარისა შამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა, ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, 1901.
- დ. აღმაშ. ისტ. — დაეთ აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, „ქართლის ცხ.“, I.
- ვახუშტი — ბ ა ტ რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხ.“, IV.
- თ. ბაგრ. — თეიმურაზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, თბ., 1960.
- ლ. მროვ. — ლექსიკონი მ რ ო ვ ე ლ ი, ნაწილი პირველი: ცხოვრება ქართველთა მეფეთა, „ქართლის ცხ.“, I.
- ნ. ჩუბინ. — ნ. ჩუ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბ., 1961.
- რუსთ. — შოთა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966.
- საბა — სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, IV, თბ., 1966.
- ქავთ. — ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ (ლექსიკონი შეადგინა ივანე ქავთარაძემ), თბ., 1949.
- ქართლის ცხ. — „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., I,— 1955; II—1959; IV—1973.
- ქველ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VI, თბ., 1960.
- ყაუხჩ. — ქართლის ცხ., II (ლექსიკონი ს. ყაუხჩიშვილისა).
- ჩუანშ. — ჩ უ ა ნ შ ვ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, „ქართლის ცხ.“, I.
- Алиев—Ф. Ф. Алиев, Очерки по лексике языка тюрк Казахстана, Алма-Ата, 1978.
- Веселовский — С. Б. Веселовский, Ономастикон. Древнерусские имена, прозвища и фамилии, М., 1974.
- Губогло — М. Губогло, Гагаузская терминология по скотоводству, «Тюркская лексикология и лексикография», М., 1971.
- ДТС — Древнетюркский словарь, Л., 1969.
- Левитская — Л. С. Левитская, Историческая морфология чувашского языка, М. 1976.
- МА — Н. Н. Попов. Монгольский словарь Мукаддимат ал-адаб. I—II. М.—Л., 1938.
- Март — Н. Март. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, СПб, 1910.
- Мел. — П. М. Мелиоранский. Араб филолог о турецком языке, СПб., 1900.
- Пек. — Э. К. Пекарский. Словарь якутского языка. Выпуск одиннадцатый, Л., 1928.
- Радлов — В. В. Радлов (იხ. ლექსიკონები).
- Садвакасов — Г. Садвакасов. Язык уйгуров ферганской долины, I. Алма-Ата, 1970.
- ТАСЛ — А. К. Курьяшанов. Исследование по лексике старокыпчакского письменного памятника XIII в.— «тюркско-арабского словаря», Алма-Ата, 1970.
- ТРСЛ — Туркменско-русский словарь.
- Чубинов — Д. Чубинов. Грузинско-русско-французский словарь, СПб., 1840.
- Щербак — А. М. Щербак. Названия домашних и диких животных в тюркских языках, «Историческое развитие лексики тюркских языков». М. 1961.
- АН — Namenverzeichnis zu Andrees Handatlas, Achte Auflage. Bielefeld-Leipzig, 1925.
- AZaj — Ananiasz Z a j ą c z k o w s k i, Das Pferd nach dem Arabisch-Kiptschakischen Glossar Ad-Durra' al-muđi'a fi-l-luġat at-turkiyya, «Central Asiatic Journal», Vol. X, Nos. 3—4 December 1965 (The Hague-Wiesbaden).
- BdeM — A. C. Barbier de Meynard, Dictionnaire turc-français, II, Amsterdam (Réimpression de l'édition, Paris, 1886).
- Brit. — A New Survey of Universal Knowledge, Encyclopaedia Britanica, Vol. 4, Chicago: London: Toronto, 1959.
- Brockelmann — С. Brockelmann, Mitteltürkischer Wortschatz nach Maḥmūd al-kaš-garī's Dīvan Luġat at-Turk, Budapest /Leipzig, 1928.
- Bul. — Ananiasz Z a j ą c z k o w s k i, Vocabulaire Arabe-Kiptchak de l'époque de l'État Mamelouk, Buġal al-Muštaq fi Luġat at-Tyrk wa-l-Qiāz, Warszawa, 1958.
- Clauson — Sir Gerard Clauson, An Etymological Dictionary of Pre-Thirteenth-Century Turkish, Oxford, 1972.

- Doerfer—G. Doerfer. *Khalaj Materials*, Bloomington 1971 (Indiana University Publications, Uralic and Altaic Series, Vol. 115).
- Doerfer II, III, IV—Gerhard Doerfer, *Türkische und Mongolische Elemente im Neupersischen, Türkische Elemente im Neupersischen*, Wsb. II, 1965; III—1967; IV (Schluss) und Register zur Gesamarbeit—1975.
- DK—Muharrem Ergin, *Dede Korkut Kitabı*, II, Indeks-Gramer, Ankara, 1963.
- DS I, IV, VIII — *Türkiye'de Halk Ağzından Derleme Sözlüğü*, Ankara, I—1963, IV—1969; VIII—1975.
- Dur.—Ananiasz Zajączkowski, *Chapitres choisis du Vocabulaire arabe -kiptchak «ad-Durra' al-muḏḏ'a fi-l-luġat al-turkiya»*, I, «Rocznik Orientalistyczny», XXIX, 1, Warszawa, 1965.
- El-Idr.—Velet Izbudak, *El-Idrāk, Hašiyesi*, Ist., 1936.
- Ettuhf.—Ettuhfet-üz-Zekiyye fil-luġat-it-Türkiyye, Çeviren Besim Atalay, Ist., 1945.
- Gökyay—Orhan Şaik Gökyay, *Dedem Korkudun Kitabı*, Ist., 1973.
- Hou.—M. Th. Houtsma, *Ein türkisch-arabisches Glossar*, Leiden, 1894.
- Id.—Dr. Ahmet Cafferoglu, *Abū-Hayyān, Kitāb al-Idrāk li-lisān al-Atrāk*, Ist., 1931.
- Jarring—Gunnar Jarring, *An Eastern Turki-English Dialect Dictionary*, CWK Gleerup/Lund, 1964.
- Joki—Aulis J. Joki, *Wörterverzeichnis der Kyzyl-Sprache*, «*Studia Orientalia*» (editid Societas Orientalis Fennica), XIX, 1, Helsinki, 1953.
- Kluge—Friedrich Kluge, *Etymologisches Wörterbuch der Deutschen Sprache*, Bearbeitet von Walther Mitzka, Brl., 1957.
- Liget—L. Ligeti, *Les voyelles longues en moghol*, «*Acta Orientalia Hungaricae*», XVII, 1, Bp., 1964.
- LOs—Ahmet Vefik Paşa, *Lehce-i Osmânî, Dersaadet 1306 (1888/89)*.
- MK—მაჰმუდ ქაშღარელის ლექსიკონი (*Divanu lüğat-it-Türk, Tipkibasımı*, «*Faksimile*», Ankara, 1941).
- MK I, III—მაჰმუდ ქაშღარელის ლექსიკონი (*Divanu Lüğat-it-türk tercümesi, Çeviren Besim Atalay*, Ankara. I—1939; III—1941).
- Müh.—Aptullah Battal, *Ibnü-Mühennâ Lüğati*, Ist., 1934.
- Paasonen—H. Paasonen, *Über die türkischen Lehnwörter im ostiakischen*, «*Finnisch-Ugrische Forschungen*» (Zeitschrift für Finnisch-Ugrische Sprach- und Volkskunde), Zweiter Band, Helsingfors/Leipzig, 1902.
- Pape, II—Dr. W. Pape, *Wörterbuch der griechischen Eigennamen*, Dritte Auflage, Neu bearbeitet von Dr. Gustav Eduard Benseler, I—II., Braunschweig, 1875.
- PdeC—M. Pavet de Courteille, *Dictionnaire turc-oriental, Destiné principalement à faciliter la lecture des ouvrages de Bâber, d'Aboul-Gâzi et de Mir-Ali-Chir-Nevâi*, P., 1870.
- Seyh—Seyh Süleyman Effendi-i Buhari, *Lüğat-i Ćagatay ve Türkî Osmanî*, Ist., 1298 (1880).
- Tekin—T. Tekin, *A Grammar of Orkhon Turkic*, Bloomington 1968 (Indiana University Publikations, Uralic and Altaic Series, Vol. 69).
- Thomsen—Vilh. Thomsen, *L'alphabet runiforme turc*, «*Vilh. Thomsen, Samlede Afhandlinger*», Tredje Bind. KØbenhavn og Kristiania, MCMXXII.
- Tü. S.—*Türkçe Sözlük*, Altinci Baskı, Ankara, 1974.
- Vámbéry—Herman Vámbéry, *Ćagataische Sprachstudien (nebst Wörterbuch dieser Ost-Türkischen Sprache und verwandten Dialekten)*, Amsterdam, 1975 (Neudruck 1975 der Ausgabe Leipzig, 1867).
- WZaj—Włodzimierz Zajączkowski, *Język i Folklor Tatarów z Dobruży Rumunskiej*, Wrocław-Warszawa-Kraków-Gdańsk, 1975.
- აგს.—ანგლოსაქსური
- აზ.—აზერბაიჯანული
- ათინ.—ათინური (ცილოკაევი ქანური დიალექტისა)
- ალთ.—ალთაური (თირათული)
- არქაბ.—არქაბული (ცილოკაევი ქანური დიალექტისა)

- ბარ. — ბარაბინელ თათართა ენა
 ბაშკ. — ბაშკირული
 ბერძ. — ბერძნული
 ბზ. — ბალს-ზემოური (თქმა სვანური ენისა)
 გაგ. — გაგაუზური
 გერმ. — გერმანული
 დიალ. — დიალექტური
 დობრ. — დობრუჯა
 ზოოლ. — ზოოლოგიური
 ზოოფ. — ზოოფორული
 თათრ. — თათრული
 თარ. — თარანხ(ი)ული (თქმა უიღურული ენისა)
 თელ. — თელუთური (დიალექტი ალთაური ენისა)
 თობ. — თობოლური (დიალექტი თათრული ენისა)
 თრქ. — თურქული (ТЮРКСКИЙ)
 თრქ. რუნ. — თურქული რუნული (დამწერლობის ძეგლების ენა)
 თურქ. — თურქული
 თურქმ. — თურქმენული
 იაკ. — იაკუტური
 ი. - ე. — ინდოევროპული
 ირან. — ირანული
 კულიან. — კულინარიული
 ლებ. — ლებედური (დიალექტი ალთაური ენისა)
 ლხმ. — ლახამულური (თქმა სვანური ენისა)
 მეგრ. — მეგრული
 ნოდ. — ნოღაური
 პაკ. — პაკანიკური
 საუბ. — საუბრისა, სასაუბრო
 სალ. — საღაური (დიალექტი ხაკასური ენისა)
 სვან. — სვანური
 ს.-თრქ. — საერთო თურქული
 უიდ. — უიდურული
 უზბ. — უზბეკური
 ფერგ. უიდ. — ფერგანის ხეობის უიდურული
 ქართე. — ქართველური
 ყაზ. — ყაზახური; ყაზახეთი
 ყაზ.-თათრ. — ყაზახურ-თათრული
 ყარ. — ყარაიმული
 ყ.-ბალყ. — ყარაჩაულ-ბალყარული
 ყ.-თათრ. — ყირიმულ-თათრული
 ყიეჩ. — ყიეჩადური
 ყიზ. — ყიზილური (დიალექტი ხაკასური ენისა)
 ყირგ. — ყირგიზული
 ყუმ. — ყუმისური
 ყ.-ყალფ. — ყარა-ყალფახური
 შორ. — შორული
 ჩალ. — ჩალთაური
 ჩუე. — ჩუეაშური
 ჰან. — ჰანური (ლაზური) დიალექტი მეგრულ-ჰანური ენისა
 ხაკ. — ხაკასური
 ხალ. — ხალაური
 ხოტან. — ხოტანური
 ხოფ. — ხოფური (კილოკავი ჰანური დიალექტისა)
 ჰიდრ. — ჰიდრონომიული
 ჰოლ. — ჰოლანდიური

аркаб. — аркабское (поднаречие чанского диалекта)

груз. — грузинский

кыпч. — кыпчакский

о.-тюрк. — общетюркский

тур. — турецкий

хоп. — хопское (поднаречие чанского диалекта)

чан. — чанский (лазский) диалект мегрельско-чанского языка

ლექსიკონები: А. Н. Б а с к а к о в, Н. П. Г о л у б е в а ლ ა ს ხ ე., Турецко-русский словарь, М., 1977; В. В. Р а д л о в, Опыт словаря тюркских наречий, III, СПб., 1905; Каранымско-русско-польский словарь, М., 1974; Каракалпакско-русский словарь, М., 1958; Кумыкско-русский словарь, М., 1969; Н. А. Б а с к а к о в, А. И. И н к и ж е к о в а - Г р е к у л, Хакасско-русский словарь, М., 1953; Ногайско-русский словарь, М., 1963; Русско-карачаево-балкарский словарь, М., 1965; Татарско-русский словарь, М., 1966; Туркменско-русский словарь, М., 1968; Узбекско-русский словарь, М., 1959; Х. А. А з и з б е к о в, Азербайджанско-русский словарь, Баку, 1965; Х. М а х м у д о в, Г. М у с а б а е в, Казахско-русский словарь, Алма-Ата, 1954; Э. Н. Н а д ж и п, Уйгурско-русский словарь, М., 1968.

И. Н. ШЕРВАШИДЗЕ

ЗАМЕТКА ПО ПОВОДУ СЛОВА *ṭaiṭ-i*

Резюме

В этимологической структуре груз. *ṭaiṭ-i* 'хорошая верховая лошадь, добрый конь' (откуда: истор. 'верблюды') усматриваются о.-тюрк. *ṭay* 'жеребенок', герс. 'детеныш лошади, жеребенок (с отбивки до трех лет)' и формант уменьшительности-ласкательности. Язык-источник заимствования — определить с очевидностью пока трудно. Что касается тюркоязычной фонемы /ṭ/, то она передается в картвельских языках как адекватной /ṭ/, так и спонтанной, в результате акустического эффекта фонологически сдвинутой /ṭ/ фонемами, ср.: кыпч. **Sevinṭ* и. собств > груз. *Sevinṭ-i id.*; тур. *roğaç* 'пирог' > груз. *bağaç-i* 'пресный хлеб'; *haç* 'крест' > чан. (аркаб., хоп.) *χαṭ-i, χαṭ-i 'id.'*

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

ი ვ ა ნ ე ტ შ რ ა შ ვ ი ლ ი

ბერძნის ოთხთავის მორფოლოგიური და სინტაქსური
თავისებურებანი

ქართული კულტურის ისტორიისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს სახარების სამ ხელნაწერს, რომლებიც გრ. ხანძთელის მიერ დაარსებულ შატ-ბერდის ცნობილ მონასტერშია გადაწერილი: პირველი — 897 წელს (ადიშის ოთხთავი), მეორე — 936 წელს (ჯრუჭის ოთხთავი), მესამე — 973 წელს (პარხლის ოთხთავი).

ჩვენი ენისა და ხელოვნების ისტორიის შესწავლისათვის არანაკლები ღირებულებისაა ბერძნის ოთხთავი¹, რომელიც დაწერილია ვინმე გაბრიელისა და მისი მეუღლის მიერ ბერთაში. ბერთა მდებარეობდა კლარჯეთში, მდ. კარჩხლის მარჯვენა ნაპირას². ეს ძეგლი შექმნილი უნდა იყოს X ს-ის მეორე ნახევარში, 988 წლამდე, სუმბატ III ერისთავთ-ერისთავისა და მისი ძეების — დავითისა და ბაგრატის სიცოცხლეში³.

ბერძნის ოთხთავი საყურადღებოა ფონეტიკურ-ორთოგრაფიული და გრამატიკული თვალსაზრისით. ამჯერად ჩვენი მსჯელობის საგანია ხელნაწერის მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი.

I. მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ნ ი. 1. ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ი ს ნ ა ც ვ ლ ა დ. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ წრფელობითი გაუფორმებელი ფუძეა, უძველესი ფორმაა სახელისა. სახელობითი ბრუნვის წარმოქმნამდე მის ფუნქციებს წრფელობითი ასრულებდა. ამ ბრუნვათა მონაცვლეობა ძველ ქართულშივე შეინიშნება. ვ. თოფურიას მითითებით: „უკვე ძველსავე ქართულში გვხვდება წრფელობითის მონაცვლედ სახელობითი ბრუნვა და ისიც არამარტო სხვადასხვა ტექსტის ერთნაირ კონსტრუქციებში, არამედ პარალელურად, ერთასა და იმავე ძეგლის სხვადასხვა რედაქციაში“⁴.

ჩვენს ხელნაწერში წრფელობითი თავის ადგილზეა თითქმის ყველგან. იშვიათად დასტურდება სახელობითი ბრუნვა იქ, სადაც ძველი ნორმების მიხედვით წრფელობითია მოსალოდნელი. სახელობითი იხმარება შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად (შემასმენლისად): იყო კაცი მოვლინებულ იღმრთისა მიერ (ი. 1,6; 204r₁); ვითარ შეკრებული იყვნეს იგინი (მ. 27,17; 81r₂); კაცი ესე ცოდვილი არს (ი. 9,24; 228r₂); რომელი იყო კაცი წინაწარმეტყუელი (ლ. 24,19; 201r₁).

ერთგან გვერდიგვერდ იხმარება წრფელობითიანი და სახელობითიანი ფორმები: რომელი იყო კაცი წინაწარმეტყუელი, ძლიერ საქმითა (ლ. 24,19; 201r₁).

მოყვანილი მაგალითების გარდა, ძეგლში წრფელობითის ყოველთვის თავისი შესაფერისი ადგილი უკავია — იხმარება იქ, სადაც აუცილებელია ნორმების მიხედვით. მაგ.: სიხარული ჩემი აღსრულებულ არს (ი. 3,29; 210r₁); იყო ესრეთ დაწერილ (მრ. 15,26; 128v₁); მოვლინებულ ვარ წინაშე მისსა (ი. 3,28; 210r₁).

2. -ილ-ზე გათავებულ ი საზოგადო სახელები ვითარებით ბრუნვაში. ძველ ქართულში თანხმოვანფუძიან სახელებს ვითარებით -ად დაერთვის. მაგრამ რამდენიმე სახელში, რომელთა ფუძეც -ილ-ზე თავდება, ბრუნვის ნიშნად მართო დონია წარმოდგენილი. -ილ ფუძიან სახელებს ვითარებით -დ-ს დაერთვისას ხშირად ეკარგებოდათ ფუძისეული ლ თანხმოვანი.

ჩვენს ხელნაწერში მოიპოვება სამი -ილ ბოლოსართიანი სახელი: სიკუდილი, ადგილი და ტირილი. სიკუდილი: არცაღა მერმე სიკუდილ ქელ-ეწიფების (ლ. 20,36; 189v₁); სიკუდილითა ეგულებოდა სიკუდილ (ი. 12,33; 236v₂). ადგილი: იყენენ ძრვანი დიდ-დიდნი ადგილად გიდ (ლ. 21,11; 190v₂); განიბნინეთ კაცად-კაცი თჳსა ადგილ (ი. 16,32; 245v₂).

იშვიათად ლასიანი ფორმაც გვხვდება: ჰგონებდეს, ვითარმედ საფლავად მივალს ტირილდ მისა (ი. 11,31; 233r₂).

-ილ ბოლოსართიან სახელთა მსგავსად ვითარებითში მხოლოდ დონი აქვს აგრეთვე -ელ სუფიქსიან სახელს — „საზრდელ“: საზრდელდ მისა იყო მკალი და თაფლი ველური (მ. 3,4; 10r₁); შდრ.: საზრდელად DCAB. ეს სიტყვა ძველ ქართულში არსებულ „სახელ“⁷ („სახლ“-ის მნიშვნელობით) ფუძის მსგავსია. ორივეში სა-ელ აფიქსები გამოიყოფა: სა-ხ-ელ, სა-ზრდელ; ორივეს დ მოუდის ვითარებით ბრუნვაში: სახელდ-სახელდ⁸, საზრდელდ.

3. საკუთარ სახელთა ბრუნების გათანაბრება საზოგადო სახელებთან. ადამიანთა საკუთარ სახელებს ძველ ქართულში რამდენიმე თავისებურება აქვთ: სახელობითში, მოთხრობითა და წოდებითში ბრუნვის ნიშნებს არ დაერთავენ; მიცემითა და ნათესაობითში არ მოუდით ემფატიკური -ა ხმოვანი; მრავლობითი რიცხვი არ გააჩნიათ. ძველ ქართულშივე გვხვდება შემთხვევები, როცა საკუთარი სახელები იჩენენ საზოგადო სახელებთან გათანაბრების ტენდენციას: მათ სახელობითსა და მოთხრობითში დაერთვის ბრუნვის ნიშნები⁹.

ბერთის ოთხთავში საკმაოდ ხშირია საკუთარ სახელებში -ი/ა ნიშნების ხმარების შემთხვევები სახ. ბრუნვასთან: იხილა აბრაჰამი შორით (ლ. 16,23; 179r₂); იხილოთ აბრაჰამი, ისაკი და იაკობი (ლ. 13,29; 172v₂); აბია შვა ასათი (მ. 1,7; 6r₂); მიუტევა ბარაბაა (მრ. 15,15; 127v₂); მოვიდეს მწრაფლ და პოეს მარიაში და იოსები (ლ. 2,16; 136r₁) და სხვაგან.

ხელნაწერში იშვიათად დასტურდება ბრუნვისნიშნის მოთხრობითი: არცაღა სოლომონ მან ყოველსა მას დიდებასა მისსა შეიმოსა (მ. 6,29; 19v₂); (ლ. 12,27; 160r₁).

4. ემფატიკური ხმოვნის კლება. ძველ ქართულში მსაზღვრელი ჩვეულებრივ მსაზღვრელის შემდეგაა წარმოდგენილი. ასეთ მსაზღვრელს ნანათესაობითარ ან ნაგენეტივარ მსაზღვრელს ეძახიან. სწვა სახელის მსაზღვრელად გამოყენებული ნათესაობითში დასმული სახელი იბრუნვის. ორმაგი ბრუნებისას მსაზღვრელი იმართვის მსაზღვრელისგან და იმავე მსაზღვრელს ეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში (საყდარ-მან ღმრთ-ისა-მან..., საყდარ-ნი ღმრთ-ისა-ნი...). ასეთ მსაზღვრელს მართულ-შეთანხმებულსაც უწოდებენ, რომლის ბოლოკიდური -ა არ იკვეცება. მკვლევარი ზ. საჩუველაძე

აღნიშნავს: „იშვითად, მაგრამ მაინც გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა საზოგადო სახელებთან ემფატიკური ხმოვანია მოსალოდნელი, მაგრამ წარმოდგენილი არაა“¹¹.

ჩვენი ხელნაწერი ამ მხრივ ერთგვარ გამოჩაჩის წარმოდგენს. იგი მდიდარია ემფატიკურხმოვანდაკლებული ფორმებით. მაგ.: უამსა განსაცდელისსა განდგიან (ლ. 8, 13; 153v₁); ვიდრე ყოფადმდე მისა მუცელსა დედისსა (ლ. 21,21; 136r₂); განთიადსა მას ერთშაბათისსა მოვიდეს საფლავსა მას ზედა (მრ. 16,2; 130r₂); ზე ზის... ნაშობსა კარაულიისსა (მ. 21,5; 61r₂); კელმწიფებაჲ აქუს ძესა კაცისსა (მ. 9,6; 25v₂); ევედრენით უფალსა სამკალისსა (მ. 9,38; 28r₂); წერილ არს შჯულსა უფლისსა (ლ. 2,23; 136v₁); კუმლივიდეს კუმლივასა დამისსა (ლ. 2,8; 135v₂); ქემარიტად გზასა ღმრთისსა ასწავებ (მრ. 12,14; 118r₁); თანამდებ არს იგი გეჰენიასა ცეცხლისსა (მ. 5,22; 14v₂); იწყეს მუსრვად თავსა კოვილისსა (მ. 12,1; 34r₂) და მრავალი სხვა.

როგორც ვნახეთ, ემფატიკური -ა-ს დაკლების შემთხვევები მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელის მიცემით ბრუნვაზე მოდის. ხელნაწერში ამ ფორმითა გვერდით, რა თქმა უნდა, მოიპოვება ემფატიკურხმოვანებშიც; მეოთხესა საკუმლივასა დამისასა მოვიდა მათა იესუ (მრ. 6,48; 103r₁); ქადაგებდა სახარებასა ღმრთისასა (მრ. 1,14; 87v₂); ქადაგებდა ნათლისცემასა სინანულიისასა (მრ. 1,4; 87r₁) და სხვ.

5. ზმნა. მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშანთა ხმარება. ბერთის ოთხთავი პირის ნიშანთა ხმარების თვალსაზრისით კლასიკური ნორმების დაცვის ნიშნად წარმოდგენს. S₂O₃-ის პრეფიქსი ჰ იკარგება ხმოვნების წინ, თანხმოვნების წინ შენარჩუნებულია, ოღონდ ცხრა თანხმოვნის წინ ხანად არის ქცეული, რომელიც შიშინა თანხმოვნების წინ შინად იცვლება.

S₂—ჰ: რაჲამს დაჰბერდე (ი. 21,18; 256v₁); რაჲათა არა დაჰბრკოლდე (ი. 16,1; 243v₂); რომელი მოჰკალთ შორის ტაძრისა (მ. 23,35; 68v₂); რამეთუ დაჰმაღენით კლიტენი მეცნიერებისანი (ლ. 11,52; 167r₁); ეძიებდით და არა ჰპოოთ (ლ. 11,9; 164r₂); არა ცილი ჰფუცო (მ. 5,33; 15v₂) და სხვ.

S₂—ს: მე-2 სუბიექტური პირის ნიშნად დ, ტ, თ, ძ, წ, ც, ჰ-ს წინ გვხვდება ზაეს ბგერის ნაცვალის ხანი: ნუ სდრტუნავთ ურთიერთას (ი. 6,43; 219r₁); რაჲსა აღშფოთებულ ხართ და სტირთ? (მრ. 5,39; 99r₂); ვიდრე სთქუათ (ლ. 13,35; 173r₂); არა განსძართ კელი (ლ. 22,53; 195v₁); თქუნ სწუხდე (ი. 16,20; 245r₁); არა განსცადო უფალი ღმერთა შენი (მ. 4,7; 11v₁); რაჲთა სჰამო ვნებაჲ ესე (მრ. 14,12; 123r₂).

S₂—შ: ჰ, ჰ თანხმოვნების წინ მეორე სუბიექტური პირის ნიშანი ხ შინად არის ქცეული: ნუ დაშჯდე ბი პირველსა საინაქესა (ლ. 14,8; 173v₂); შჰამეთ პურთა მათგან (ი. 6,26; 218r₁); უკუეთუ არა შჰამოთ კორცა ძისა კაცისაჲ (ი. 6,53; 219v₂).

S₂—ჰს, ჰხ. ხელნაწერში იშვითაა ფორმა გარდამავალი ხანისა ჰემეტობიდან სანარეობამდე (ჰს)¹²: მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ჰს-ცთებით (მ. 22,29; 65r₂).

ერთგან S₂-ის პრეფიქსად ჰხ არის წარმოდგენილი: შეირტყი თავით თვისით და ჰხ-ვლოდე (ი. 21,18; 256v₂).

ს₂ პირის ნიშნის კლება. IX—XI ს-თა წერილობით ძეგლებში თავს იჩენს დარღვევები S₂ და O₂ პირის ნიშნების ხმარებაში¹³. ამ მოვლენას საფუძვლად უძევს ფონეტიკური მიზეზები¹⁴.

ჩვენს ძეგლში მეორე სუბიექტური პირის ნიშანი დაკარგულია ზ, ხ, უ, შ, ხ თანხმოვნების წინ: რასა ზამთ შაბათსა შინა (ლ. 6,2; 146_{რ1}); რაჲსა ზრახავთ გულთა თქუენთა (მ. 16,8; 49_{რ1}); სუმიდეთ ტაბლასა ზედა (ლ. 22,30; 194_{რ1}); რაჲთა არა ყოთ წინაშე კაცთა (მ. 6,1; 16_{ვ2}); თქუენ არა დაშუერთით (ი. 4,38; 212_{ვ2}); რაჲსა ხედავ წუელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა (ლ.6,41; 148_{ვ1}).

O₃—ჰ. მამის ბგერების წინ მესამე ობიექტური პირის ნიშნად ჰაე გვევლინება: ჰკითხვიდა მათ იესუ (მ. 22,41; 65_{ვ2}); ჰნერწყუა ქუეყანასა (ი. 9,6; 227_{რ2}); მოჰვილიდა იესუ ყოველსა გალილეასა (მ. 4,23; 12_{ვ1}); თმითა თესითა წარჰკოცნა ფერქნი მისნი (ი. 11,2; 231_{ვ2}) და მრავალი სხვა.

O₃—ს. დედის ბგერების წინ მესამე ობიექტური პირის ნიშნად ხანი გვხვდება: ხულსა ჩემსა დავსდებ ცხოვართათს (ი. 10,15; 230_{რ1}); მისტაცის დათესული იგი (მ. 13,19; 39_{ვ1}); გინა თევზსა სთხოვდეს (მ. 7,10; 20_{ვ2}); ნელსაცხებელი სცხო უფალსა (ი. 11,2; 231_{ვ1}); ნეტარ იყვენ რომელთა ... სწყუროდის სიმართლისათს (მ. 5,6; 12_{რ2}) და სხვაგან.

O₃—შ. ხელნაწერში იშვიათად O₃-ის პრეფიქსად იხმარება შინი (ჰ-ს წინ): რომელნი შეშქამენ სახლებსა ქურიეთასა (მრ. 12,49; 119_{ვ2}); არარაჲ შქირს ცხოვართათს (ი. 10,13; 230_{რ1}); მოწაფენი მისნი მოშქრიდეს თავსა კოილისასა (ლ. 6,1; 146_{რ2}).

O₃—ჰს. ერთგან მესამე ობიექტური პირის ნიშნად დასტურდება ასიმილირებული ფორმა ჰს: შებორკილიან იგი ჰაჲკუთა და საკრეველითა და ჰსცვედ (ლ. 8,29; 154_{ვ2}).

O₃ პირის ნიშნის კლება. ძეგლში ზოგჯერ დაკარგულია მესამე ობიექტური პირის ნიშანი ჰაე: აღდგა და მსახურებდა მას (მ. 8, 15; 23_{ვ1}); შერთო იგი ფქვილსა სამსა საწყაულსა (მ. 13,33; 41_{რ1}); ნეტარ იყვენ რომელთა შიოდის (მ. 5,6, 12_{რ2}); მიხედა მას იესუ (ი. 1,42; 206_{რ2}).

ერთმანეთის გვერდითაც გვხვდება ნიშნის და უნიშნო ფორმები: რომელნი არა ჰხედვიდეს, ხედვიდენ, და რომელნი ხედვიდეს, დაბრმენ (ი. 9,39; 229_{რ2}).

6. პირდაპირ-ობიექტური პირის ნიშანი I სერიის მწკრივებში. გარდამავალ ზმნებს I სერიის მწკრივებში პირდაპირ ობიექტად დასმული სახელი შეეწყობა. ძველ ქართულში ასეთი ზმნები ზმნისწინიან ფორმებში, თუ ისინი ორპირიანებია და ფუძე თანხმოვნით ეწყებათ, პირის ნიშნისაც მიიღებენ ირიბ-ობიექტიან ზმნათა მსგავსად, რომელთაც I და II სერიის მწკრივებში ირიბი ობიექტი მიცემითში უღვას ყოველთვის¹⁵.

ჩვენს ხელნაწერში ამ მოვლენის რამდენიმე შემთხვევაა დადასტურებული: განჰკურნებდეს სნეულთა ყოველთა ადგილთა (ლ. 9,9; 156_{ვ2}); შდრ.: განკურნებდეს D; ოდეს პასქასა მას დაჰკლვიდეს (მრ. 14,12; 123_{რ2}); რომელნი შესქამენ სახლებსა ქურიეთასა (ლ. 20,47; 190_{რ1}); რომელი არა შესქარებს ჩემ თანა, იგა განაბნეს (ლ. 11,23; 165_{რ1}).

7. -ოდსავრცობიანი ზმნები. ძველ ქართულში -ოდსავრცობიანი ზმნათა უღლება განსხვავდებოდა -დსავრცობიანი ზმნათა უღლებისგან:

-ოდ სავრცობიანებს უწყვეტელსა და I ბრძანებითში -ე მოუღის მწკრივის ნიშნად, ღონიანები კი უნიშნოა; -ოდ-იანები უწყვეტლის ხოლმეობითსა და I კავშირებითში -ო-ს დაირთავენ, ხოლო -დ სავრცობიანებს უწყვეტლის ხოლმეობითში -ი აქვთ მწკრივის ნიშნად, I კავშირებითში კი — ე¹⁶. X საუკუნიდან სალიტერატურო ენაში თავს იჩენს -ოდ სავრცობიან ზმნათა I სერიის მწკრივთა ახლებური წარმოება: -ოდ-იანები, -დ სავრცობიანების მსგავსად, -ო-ს გამოავლენენ უწყვეტელსა და I ბრძანებითში, ხოლო I კავშირებითში -ე-ს. ეს მოვლენა დ სავრცობიან ზმნათა ზეგავლენის შედეგია¹⁷.

ჩვენს ხელნაწერში დადასტურებულია რამდენიმე შემთხვევა -ოდ სავრცობიან ზმნათა გათანაბრებისა -დ სავრცობიან ზმნებთან უღლებიან მხრივ.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი -ო დ-ი: გისტუნევიდით თქუენ, და არა ჰროკევიდით; გიგოდებდით, და არა სტიროდით (მ. 11,17; 33r₁).

I ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი -ო დ-ი: რაჟამს რტონი დაჩჩუნ, და ფურციელი გამოვალნ, უ წ ყ ო დ ი თ, რამეთუ ანლოს არს ზაფხული (მ. 24,32; 71r₁); შდრ.: უ წ ყ ო დ ე თ DEC: ამა ესერა, სიმჭ მოვალს, აღდევით და მიეგებვოდით მას (მ. 25,6; 72v₁); შდრ.: მიეგებვოდეთ C; რამ-იგი მოგეცეს თქუენ მას ჟამსა შინა, მას იტყოდით (მრ. 13,11; 121r₁); შდრ.: იტყოდეთ CD.

უ წ ყ ვ. ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი -ო დ-ე: ოდეს იყავ ქაბუჯ, შეირტყი თავით თხით და ჰხვდოდე, ვიდრეცა გნებავნ (ი. 21,18; 256v₂); შდრ.: ჰხვდოდე D (მიხუელი C).

I კ ა ვ შ. -ო დ-ე: მაშინ რომელნი ჰურიასტანს იყვნენ, ივლტოდენ მთად; და რომელნი იყვნენ შორის მისა, განივლტოდენ (ლ. 21,21; 191r₂); შდრ.: ივლტოდედ, განივლტოდედ DEC; რომელნი იყვნენ ჰურიასტანს, ივლტოდენ მთად (მრ. 13,14; 121r₂); შდრ.: ივლტოდედ ABE, ევლტოდედ D, წარივლტოდედ C. მოცემულ შემთხვევაში I კავშირებითი I ბრძანებითის ფუნქციას ასრულებს.

8. ს ტ ა ტ ი კ უ რ ვ ნ ე ბ ი თ თ ა ა წ მ ყ ო ს ა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის დაბოლოება. ჩვენს ძეგლში I თურმეობითი გარდამავალ ზმნებს ჩვეულებრივ -იეს ბოლოსართიანი აქვთ: თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბად ავაზაკთა (მ. 21,13; 60v₂); და გიტევებიეს უმძიმესი შჯულისაჲ (მ. 23,23; 67v₂); უსასყიდლოდ მიგიღებიეს (მ. 10,8; 29r₁); რამსათუს ქუეყანაჲ და უბყრიეს უქმად? (ლ. 13,7; 171v₁); აქამომდე არარაჲ გითხოვიეს (ი. 16,24; 245r₁).

იეს/იე დაბოლოება აქვს აგრეთვე სტატკური ვნებითის ფორმებს აწმყოში: ვინ ამათ სამთაგანი გგონიეს შენ მოყუას მისა (ლ. 10,36; 163r₂); გიბყრიეს მოძღურებაჲ კაცთაჲ (მრ. 7,8; 104r₂); ვითარ შემოხუედ აქა, რომელსა არა გმოსიეს სამოსელი საქორწინე? (მ. 22,12; 64r₁) და მრავალი სხვა.

იეს/იე დაბოლოების ნაცვლად IX საუკუნის ცოცხალ მეტყველებაში უკვე იაყოფილა¹⁸. ორიოდ მაგალითი მოიპოვება „სინურ მრავალთავშიც“¹⁹.

ჩვენს ძეგლში გვხვდება ერთადერთი შემთხვევა I თურმეობითში -ოა დაბოლოებისა საშუალ-ვნებითი გვარის ფორმაში: ჩუენ გუასშია შჯულისაგან, ვითარმედ ქრისტე უკუნისადმდე ეგოს (ი. 12,34; 236v₂).

9. I თურმეობითის ხოლმეობითის -ენსუფიქსიანი ფორმა. თურმეობით პირველში გრამატიკული სუბიექტის მრავლობითი

რიცხვის მესამე პირის ფორმანტად -ან სუფიქსის პარალელურად ძველ ქართულში დასტურდება იშვიათი ხმარების -ედ და ზოგჯერ კიდევ უფრო იშვიათი -ენ-იც. ამ ნიშნებით გადმოცემული უნდა იყოს ძველ ქართულში ადრე არსებული ხოლმეობითი. ეს მწკრივი, რომელიც I თურმეობითის ფუძეს იყენებს. I თურმეობითის ხოლმეობითადაა მიჩნეული²⁰.

ბერთის ოთხთავში მოიპოვება -ენ სუფიქსიანი I თურმეობითის ხოლმეობითის ერთი შემთხვევა: მოვიმკი, სადა არა დავსთესი, და შევიკრიბი, სადა არა განმბინევიენ (მ. 25,26, 73v2); ასევეა C-ში; შდრ.: განმბინევიენ დე DE. მოყვანილ მუხლში ოთხი ზმნაა, სადაც სამი (მოვიმკი, დავსთესი, შევიკრიბი) II ხოლმეობითის ფორმაა, ხოლო უკანასკნელი I თურმეობითთან არსებული ხოლმეობითია.

10. ნართაული ი. უწყვეტელსა და წყვეტილში, აგრეთვე ამ მწკრივთა ფუძეზე დაყრდნობილ თანხმოვანზე გათავებულ ზმნურ ფორმებში მრავლობითის -თ სუფიქსის დართვის შედეგად მრ. რიცხვში თანხმოვანთა გასაყარად ჩნდება ხმოვანი ი. ნართაული ი შემდეგში გადადის ამგვარ ზმნათა მხოლობითში და აგრეთვე ისეთ ზმნებშიც, სადაც მისი გაჩენის ფონეტიკური საფუძველი არ ყოფილა²¹.

ჩვენს ხელნაწერში ნართაული ი იშვიათად უჩნდება თანხმოვანზე გათავებულ ზმნის ფორმებს უწყვეტელსა და I ბრძანებითის მხ. რიცხვის პირველსა და მეორე პირში: ნეტარ არს მუცელი, რომელმან გიტურთა შენ, და ძუძუნო, რომელთა სწოვდის (ლ. 11,27; 165v1); შდრ.: სწოვდ C; ვპრქუა სულსა ჩემსა... განისუენე, ჭამე, სუ და იხარებდი (ლ. 12,19; 168v2); შდრ.: იხარებდ DEC; ხოლო სხუასა პრქუა: მომდევი მე (ლ. 9,59; 160v1).

ნართაული ი მოიპოვება II ბრძანებითისა და წყვეტილში მოქმედებითისა და ენებითი გვარის ზმნებში: აღიხილენით თუალნი და აღიპყრენით თავნი თქუენნი (ლ. 21,28; 191v2); განმზადენით გზანი უფლისანი და წრფელყვენით ალაგნი მისნი (მრ. 1,3; 87r1); აღავსენით სარწყულნი ეგე წყლითა! (ი. 2,7; 207r1); შეუქრენით მაგას ჭელნი და ფერკნი (მ. 22,13; 64r2) და სხვაგან.

ენებითში: განეშორენით, რამეთუ არა მომკუდარ არს (მ. 9,24; 27r2); ეკრძალენით ქეელის საქმესა (მ. 6,1; 16v2); უკუეთუმცა შვილნი აბრაჰამისნი იყვენით, საქმესაცა აბრაჰამისსა იქმოდეთ (ი. 8,39; 225v1).

ამ შემთხვევების გარდა, მხ. რიცხვის ფორმები ყოველთვის უინოდ არის წარმოდგენილი: ეპა რომელი დაარღვევდ ტაძარსა და მესამესა დღესა აღაშენებდ (მ. 27,40; 82v2); ვიდოდე და შენცა ეგრევე ჰყოფდ (ლ. 10,37; 163r2); დაიყავ პირი და განვედ მაგისგან! (მრ. 1,25; 88v1) და მრავალი სხვა.

მრავლობითში ასეთი ფორმები ყველგან ნართაული ი-თია მოცემული.

11. ზმნისწინთა გამარტივება. ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში ზმნისწინები უმთავრესად ღრული სახით იყო წარმოდგენილი. ახალ ქართულში ზმნისწინები გამარტივებულია, მათ ბოლოკიდური თანხმოვნები ჩამოცილებული აქვთ.

თანხმოვანდაკარგული. გამარტივებული ზმნისწინები თვით ძველ ძეგლებშიც გვხვდება²².

ჩვენს ხელნაწერში ყველაზე ხშირია ღ-დაკარგული ფორმები. იყარგება -აღ ზმნისწინისეული ღ თანხმოვანი ღ-სთან მეზობლობაში (ღ... ღ→ღ): ნუ

ცამდე აჰმალღებე (ლ. 10,15; 161v₂); მე ოღეს ავმალღე ქუე-
ყანით (ი. 12,32; 236v₂).

ბ) ხ-ს მეზობლობაში (ღ... ხ→ხ): ვერ იკადრებდა თუალთა ზე ახილ-
ვად (ლ. 18,13; 188v₂); აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი (ი. 1,29; 205v₁).

გ) კ-ს მეზობლობაში (ღ... კ→კ): არვინ აკდა ზეცად (ი. 3,13; 209r₁);
აკოცნეს ივინი (ლ. 9,54; 160r₂); რაისათეს აჰკსნით კიცუსა? (ლ.
19,33; 186v₁).

დ) (მ) კ-ს მეზობლობაში (ღ... კ→კ): აჰკიღით კაცთა ტურთი ძნიაღ
სატურთავი (ლ. 11,46; 166v₂).

ხელნაწერში დასტურდება აგრეთვე ზმნისწინთა ისეთი გამარტივებული
ფორმები, რომელთაც ლ, ნ, რ თანხმოვნები დაკარგული აქვთ, მაგრამ ეს პრო-
ცესი ფონეტიკური მიზეზების გარეშეა მომხდარი:

ღ: მასვე ჟამსა შინა მოიწია და აუარებდა უფალსა (ლ. 2,38; 137v₁).

ნ: მაშინ გავიდოდა მისა იერუსალშმი (მ. 3,5; 10r₁); ჭამეს ყოველ-
თა და გაძღეს (მრ. 8,8; 106v₁).

რ: წავიდა ადგილთა მაგდალასათა (მრ. 8,10; 106v₁); წამოუღ-
გეს და ჰმსახურებდეს მათ (ლ. 12,37; 169v₁).

II. სინტაქსური თავისებურებანი. 1. მსაზღვრელ-სა-
ზღვრულის სრული შეთანხმება. ძველ ქართულში, თუ საკუთარ
სახელს მსაზღვრელად რაიმე სიტყვა მოსდევდა, თანამდებობის, ხარისხის ან
ხელობის გამომხატველი, თავდაპირველად ორივე იბრუნვოდა, შემდეგში —
მხოლოდ მსაზღვრელი, საკუთარი სახელი უცვლელი რჩებოდა²⁴.

ჩვენს ძეგლში ერთგან ძველი ვითარებაა დაცული: ვითარცა ესმა ესე ჰე-
როღეს მეფესა (მ. 2,3; 7v₂). ასეთივე მდგომარეობაა მაშინაც, როცა
მსაზღვრელად რიცხვითი სახელია გამოყენებული²⁴: არა კელ-ეწიფების ძესა
კაცისასა საქმედ არცა ერთს რას თავით თუსით (ი. 5,19; 214v₂); შდრ.:
ერთ რას DE.

2. ზმნის სახელთან რიცხვში შეთანხმების დარღვე-
ვები. ძველ ქართულში, როცა სუბიექტი ან პირდაპირი ობიექტი სახელო-
ბითშია და მისი მრავლობითობა -ენ, (-ნ) სუფიქსითაა გამოხატული, პირიანა
ზმნაც მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი: დამალნაკაცნი (პირდ.
ობიექტი კაცნი აჩენს -ნ-ს ზმნურ ფორმაში დამალნა), კაცნი დაი-
მალნეს (სუბიექტი კაცნი აჩენს -ნ-ს ზმნაში: დაიმალნეს).

ძველი ქართული ენის ძეგლებში ხშირია ამ სინტაქსური წესის დარღვე-
ვის შემთხვევები: სახელი (სუბიექტი ან პირდ. ობიექტი) ნარიან მრავლობით-
შია, მაგრამ შესაბამისი -ნ, -ენ სუფიქსი ზმნაში არაა წარმოდგენილი²⁵. ასეთივე
ვითარებაა ჩვენს ხელნაწერშიც.

ა) პირდ. ობიექტი მრავლობითშია, ზმნაში მისი
მრავლობითობის ნიშანი არ არის: უკუეთუ არა დაიბა-
ნიან, არა ჭამიან (მრ. 7,4; 103v₂); შდრ.: იბანნიან DEC; მათგანნი მო-
წყუდენ და დევნენ (ლ. 11,49; 167r₁); შდრ.: დევნენ D; მიავლი-
ნა და მოჰყუთა თავი იოვანეს (მ. 14,10; 43v₂); შდრ.: მიავლინნა D;
გრძელ ყვიან ფესუნი სამოსლისა მისისანი (მ. 23,5; 66v₂).

ხედ-/ხედ-ნ. „შეხედვა“ ზმნის პირიან ფორმას „ერთ დროს ... მეორე ობი-
ექტიც უნდა ჰქონოდა, პირდაპირი, და მის როლში აქ მუდამ ერთა და იგივე
სახელი უნდა ყოფილიყო: „თუაღნი“: შეჰხედავს თუალთა, შეჰხედ-

ნ ა თუალნი. დროთა განმავლობაში გამოვარდნილია პირდაპირი ობიექტი, რადგანაც ის ერთ-ერთი სიტყვით იყო წარმოდგენილი და დაუსახელებლადაც აღვლი იყო მისი გულისხმობა, მაგრამ ზმნას შემორჩენია არა მარტო სინტაქსური ძალა გარდამავალი ზმნისა..., არამედ აგრეთვე მორფოლოგიური ნიშანიც: მრავლობითობის ინფიქსი ნ: შეჰხედნა, მიჰხედნა²⁶. ამ ზმნას აღრევე დაუწყია პირდაპირი ობიექტის მორფოლოგიური ნიშნის დაკარგვა²⁷.

ბერთის ხელნაწერში ერთადერთი შემთხვევაა, სადაც პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამომხატველი -ნ შენარჩუნებულია: რამეთუ მოჰხედნა ღმერთმან ერსა თესსა (ლ. 7,16; 150r₂; შდრ.: მოჰხედა DE). ამ ნიმუშის გარდა ყოველთვის ნარდაქარგული ფორმებია წარმოდგენილი (დაქარგულია აგრეთვე ირიბი ობიექტის ნიშანი ჰ): შთახედა და იხილნა ტილონი (ლ. 24,12; 200v₁; შდრ.: შთახედნა C); მიხედა და იხილა (ლ. 21,1; 190r₂) და სხვაგან.

ბ) ობიექტი მხოლოდითშია, ზმნაში ობიექტის მრავლობითობის გამომხატველი არის: აიხუნეს ცოდვა სოფლისანი (ი. 1,29; 205v₁); ცხოვართა ჩემთა კმისა ჩემისაჲ ისმინონ, და მევიცნი იგი (ი. 10,27; 230v₂); მამათა თქუნთა მოწყუდნეს იგი (ლ. 11,47; 166v₂); პოვნა... მოფაოდული ზროხათა და ცხოვართაჲ (ი. 2,14; 207v₁); შეთხუნეს გვრგვნი ეკალთაგან (მ. 27,29; 82r₁); მგელმან წარიტაცნის იგი (ი. 10,12; 229v₂).

გ) -ნ სუფიქსიანი მრავლობითით გადმოცემული სუბიექტი ვერ აჩენს ზმნაში მრ. რიცხვის ნიშანს: შეძრწუნდეს მცველნი იგი და იქმნეს ვითარცა მკუდარნი (მ. 28,4; 85r₁; შდრ.: იქმნნეს DE); ამისთვის იგინივე მსაჯულ გექმნენ თქუნ (ლ. 11,19; 164v₂; შდრ.: გექმნენ E); იოვანეს რაჲ ესმეს საპყრობილესა შინა საქმენი იგი ქრისტესნი (მ. 11,2; 32r₁); უკუეთუ სხუსასა მას სარწმუნო არა იქმნეთ (ლ. 16,12; 178r₂); დაეცნენ პირითა მახულისაჲთა და წარიტყუნენ ყოველთა მიერ წარმართთა (ლ. 21,24; 191v₁; შდრ. წარიტყუნენ DEC). ყველა მოყვანილ შემთხვევაში -ნ-ს დაკარგვა გამოწვეულია თანხმოვანთა თავმოყრით.

ზმნაში სუბიექტის მრავლობითობის ნიშნის დაკარგვის პროცესი თავს იჩენს IX საუკუნიდან (სინური მრავალთავი). ასეთი შემთხვევები ხშირია ადიშის ოთხთავში, შატბერდის კრებულში (973—976 წწ.), სვანურ მრავალთავში და სხვაგან. ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ „მწერლები ცდილობენ, რაც შეიძლება ზედმიწევნით დაიცვან ძველი ქართულის უკვე მკვდარი ნორმები, წერონ „სწორად“. ბუნებრივია, სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების დაცილების პირობებში თავი იჩინოს... სიჭრელემ სალიტერატურო ენაში“²⁸.

3. ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების დარღვევები. ჩვენს ძეგლში ზოგჯერ დარღვეულია ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში. ა) ქვემდებარე მხოლოდითშია, შემასმენელი მრავლობითში: მაშინ რომელი ჰუარიასტანს იყოს, ივლტოდედ მთად (მ. 24,16; 70r₁); საქმეთა რომელთა ვიქმ ... ესე წამებენ ჩემთვის (ი. 10,25; 230v₁); შდრ.: ესენი წამებენ DC; მომკალმან სასყიდელი შიილოს და შეკრიბოს ნაყოფი (ი. 4,36; 212v₁), შდრ.: შეკრიბოს DEC, ესმა ჰეროდეს მეფესა... და იტყოდეს (მრ. 6,14; 100v₂); ვითარცა გემოჲ იხილა პურისა უფალ-

მ ა ნ მ ა ნ წ ყ ა ლ ი... არაა უწყოდეს, ვინაა იყო (ი. 2,9; 207r₂); შდრ.: უწყოდა (ი ც ო დ ა) CE; ბ) ქვემდებარე მრავლობითშია, შემასმენელი მხოლოდითში: ჰრქუა მათ იესუ: ნუ აყენებ (ლ. 9,50; 160r₁); შდრ.: ნუ აყენებთ DEC.

4. -ებ სუფიქსიანი მრავლობითი. ძველ ქართულში -ებ სუფიქსიანი მრავლობითი იშვიათად იხმარებოდა. -ებ-იან მრ-ში დასმული სახელი, სუბიექტი ან პირდაპირი ობიექტი, ზმნას ვერ ეთანხმებდა მრ. რიცხვში²⁹. თუმცაღა, -ებ ნიშნიან მრავლობითთან შემასმენლის შეთანხმების იშვიათი შემთხვევები ძველ ქართულშიც მოგვეპოვება³⁰.

ჩვენს ხელნაწერში -ებ სუფიქსიანი მრავლობითი სინტაქსურ ძალას ამჟღავნებს იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარ მრავლობითში დასმული სახელი ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში ქვემდებარედაა ხმარებულა და შემასმენელი მისგან დაშორებულია, ე. ი. მას მრავლობითში ეთანხმება უკანასკნელი შემასმენლები³¹: ს უ ლ ე ბ ი ი გ ი არაწმიდაა ჰხედვიდა მას და შეუერდებოდეს მას და ღაღადებდეს და იტყოდეს (მრ. 3,11; 92v₂).

ამის გარდა, ხელნაწერში ყოველთვის დასტურდება -ებ სუფიქსიან მრავლობითში დასმული სახელის ზმნასთან შეუთანხმებლობის შემთხვევები: ა) -ებ-იანი მრავლობითი სუბიექტისა ვერ აჩენს ზმნაში მრავლობითი რიცხვის ნიშანს: ზუარაკები და უსხები ჩემი დაკლულ არს (მ. 22,4; 63v₂); სადაც იყოს მძორი, მუნცა შეკრბეს ორბები (მ. 24,28; 70v₂); ს უ ლ ე ბ ი ი გ ი არაწმიდაა ჰხედვიდა (მრ. 3,11; 92v₂) და სხვაგან. ბ) -ებ სუფიქსიანი მრავლობითი რიცხვი ობიექტისა ვერ ეთანხმებს ზმნას მრ. რიცხვში: მოჰგუარეს მას ეშმაკეულები მრავალი (მ. 8, 16; 23v₂); შეკრიან ტურთები (მ. 23,4; 66r₂); ვერ დაასრულოთ ქალაქები ისრაჲლისა (მ. 10,23; 30r₂); იხილა მუნ მგოსნები (მ. 9,23; 27r₂); მოწყუდა ყოველი ყრმები (მ. 2.16; 9r₁) და მისთ.

5. კრებითი სახელი ქვემდებარედ და მისი შემასმენელი. როცა ქვემდებარედ კრებითი სახელია და წინადადებაში ორი ან ორზე მეტი შემასმენელია, მომდევნო შემასმენელი მრავლობითში დგას: ღაღატ-ყო ყოველმან მან სიმრავლემან და იტყოდეს (ლ. 23,18; 197v₁); ერი რომელი სხდა ბნელსა, იხილეს ნათელი დიდი (მ. 4,16; 12r₂); შდრ.: იხილა C; დგა ერი იგი და ელოდეს ზაქარიას (ლ. 1,21; 132r₂); მიუგო ერმან მან და ჰრქუეს (ი. 7,20; 222r₁); შდრ.: ჰრქუა DEC; ყოველმან ერმან იხილა იგი და დაუკრდა და მორბიოდეს მისა და მოიკითხეს იგი (მრ. 9,15; 109v₂); დგა ერი იგი და ჰხედვიდეს (ლ. 23,35; 198v₁), შდრ.: ხედვიდა CD.

6. ბრუნვა წინადადებით განსაზღვრული სახელისა. ჭანათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ, „თუ რომელიმე სახელი განსაზღვრულია დამოკიდებული წინადადებით, იგი, ბრუნვის მიხედვით, ანგარიშს უწყევს დამოკიდებულ წინადადების ზმნას და არა მთავრისას“³². ამ მხრივ ჩვენს ძველში მერყეობაა: მთავარი წინადადების ქვემდებარე ხან უშუალოდ მომდევნო შემასმენელს ეთანხმება (დამოკიდებული წინადადებისას), ხან თავის შემასმენელს. ა) მთავარი წინადადების ქვემდებარე შეთანხმდება დამოკიდებულის ზმნას: მამამ შენი რო-

შელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად (მ. 6,6; 17v₁); კ ა ც თ ა მ ა თ რომელთა შეიპყრეს იესუ, ეკიცხევედს მას (ლ. 22,63).

ბ) მთავარი წინადადების ქვემდებარე ეთანხმება თავის შემასმენელს: მამამან შენმან რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად (მ. 6,4; 17v₁); სასყიდლით დადგინებულმან რომელი არა არნ მწყემს... იხილის რამ მგელი მომავალი (ი. 10,12; 229v₂); შდრ.: სასყიდლით დადგინებულნი რომელი არა არნ მწყემს... იხილის EC.

7. თანდებულიან სახელთა ბრუნება. ძველ ქართულში „წინაშე“, „თანა“ და „ზედა“ თანდებულები „უსულთა“ საგანთა სახელებს მიცემით ბრუნებაში მართავდნენ, ხოლო „სულიერი“ საგნების სახელებს — ნათესაობითში³³.

ამ წესს ბოლომდის მაინც ვერ იცავს ძველი ქართული და „თანა“ და „ზედა“ თანდებულები მეტნაკლებად გვხვდება მიცემითში დასმულ სახელთან მაშინაც, როცა ვინ ჯგუფის სახელებს დაერთვიან³⁴.

ჩვენს ხელნაწერში „თანა“ და „ზედა“ თანდებულები წარმოდგენილია მიცემითში დასმულ ვინ ჯგუფის სახელთან: ცოდვილი სხდეს იესუს თანა (მ. 9,10; 26r₁); შენცა იყავ იესუს თანა (მრ. 14,67; 126v₂); ერთმან იესუს თანამან მიყო კელი (მ. 26,51; 78v₂). იგივე სახელი მიცემითშია მაშინაც, როცა თანა თანდებული მის წინ დგას: დავარდა ფერკთა თანა იესუსთა (ლ. 8,41; 155v₂). ეს ფორმა ნათესაობითი ბრუნვის გამარტივებული სახე უნდა იყოს: იესუ-მს — იესუს-ს.

„ზედა“ თანდებულთან: დაასხნეს კელნი მათნი იესუს ზედა (მ. 26,50; 78v₁); ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოხუედით მახულითა (მ. 26,55; 78v₂).

შენიშვნები

1 ა. შანიძე, ამერიკაში აღმოჩენილია ძველი ქართული ხელნაწერი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 24. XI. 1944, № 39(49).

2 ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნ. II, თბილისი, 1962, გვ. 428.

3 R. Blake and S. Der Nersessian, The Gospels of Bert'ay: an Old-Georgian MS. of the Tenth Century: Byzantion, vol. 16, Fasciul I (Amer. series, 2), 1942—1943, Boston; 1944, გვ. 256; ა. შანიძე, მეათე საუკუნის ქართული ხელნაწერი: „კომუნისტი“, 17, V. 1959, № 112 (11418).

4 ვ. თოფურია, წრფელობითი ბრუნვისათვის ძველ ქართულში: საქართველოს მეცნ. აკად. მოაზრებ., ტ. 38, 1965, № 2, გვ. 506.

5 ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976, გვ. 33.

6 იქვე, გვ. 26.

7 ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იყ., I, 1946, გვ. 66; ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, გვ. 33.

8 ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957, გვ. 39—40.

9 ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, გვ. 41.

10 ა. შანიძე, იქვე, გვ. 42; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება..., გვ. 371—373; კ. ფოგტი, ბრუნებათა სისტემა ძველ ქართულში: მიმოხილველი, 4—5, 1968, გვ. 265; ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1975, გვ. 124—127.

11 ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

- 12 ა. შ ა ნ ი ძ ე, პეპეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: თსუ შოაშბე, III, 1923, გვ. 358—359.
- 13 ა. შ ა ნ ი ძ ე, S_2O_3 , თხზ., I, თბილისი, 1957, გვ. 181.
- 14 ა. შ ა ნ ი ძ ე, სინური მრავალთავი 864 წლისა: ძველი ქართული ენის კათედრის შრ., 5, 1959, გვ. 317.
- 15 ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, გვ. 91; ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული კრესტომათია, ტ. I, ნ. II, თბილისი, 1971, გვ. 163.
- 16 ა. შ ა ნ ი ძ ე, სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველ ქართულში: საქართველოს მეცნ. აკად. შოაშბე, ტ. VI, 1945, № 10, გვ. 835.
- 17 ა. შ ა ნ ი ძ ე, იქვე, გვ. 835 და შ. ზ. ს ა რ ჭ ვ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 157—162.
- 18 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953, გვ. 447; ვ. თ. ო. ფ. უ რ ი ა, ნამყოს სახეობათა სავრთო ნიშნისათვის ქართულში: იყე, VII, 1955, გვ. 456; ნ. ნ ა თ ა ძ ე, შესაბე სერიის დრო-ილოთა წარმოებისათვის ქართულში: იყე, VII, 1955, გვ. 92; ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ზოგიერთი ტიპის მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, 1964, გვ. 109—110; ზ. კ ლ მ ბ უ რ ი ძ ე, ავ და-ამ თემის-ნიშნის ზმნათა უღლებისათვის I თურმეობითში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, 1976, გვ. 27—32.
- 19 ა. შ ა ნ ი ძ ე, სინური მრავალთავი 864 წლისა: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5, 1959, გვ. 318.
- 20 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII—X სს-ის ძველების მიხედვით: თსუ შრ., 53, 1954, გვ. 145; ლ. კ ი კ ნ ა ძ ე, შერეული ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში: „ორიონი“, 1967, გვ. 192.
- 21 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 434—435; ლ. კ ი კ ნ ა ძ ე, პირველი სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები: თსუ შრ., XXXხ, 1947, გვ. 337—338.
- 22 არ. მ ბ რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირვანდელი ფუნქციები ძველ ქართულში: იყე, V, 1953, გვ. 86, 88.
- 23 ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენა, თბილისი, 1939, გვ. 290.
- 24 ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება..., გვ. 576—577.
- 25 ზ. ს ა რ ჭ ვ ე ლ ა ძ ე, -ნ სუფიქსით გამოხატული მრავლობით რიცხვში დასმული სახელის ზმნისთან შეუთანხმებლობის შემთხვევები ძველ ქართულში: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, 1969, გვ. 228—234.
- 26 ა. შ ა ნ ი ძ ე, ზმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში, I, თბილისი, 1942, გვ. 187.
- 27 იქვე, გვ. 188; ა. კ ი ზ ი რ ი ა, სინტაქსური განვითარების ზოგი საკითხი ქართულში: თსუ შრ., B₃ (142), 1972, გვ. 197.
- 28 ზ. ს ა რ ჭ ვ ე ლ ა ძ ე, -ნ სუფიქსით გამოხატული..., გვ. 234.
- 29 К. Д о н д у а, О двух суффиксах множественности в грузинском: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბილისი, 1956, გვ. 301.
- 30 ა. კ ი ზ ი რ ი ა, -გზ ნიშნის მრავლობითი რიცხვის სინტაქსური ძალისათვის ძველ ქართულში: იყე, VII, 1955, გვ. 37; ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება..., გვ. 305—309; ზ. ს ა რ ჭ ვ ე ლ ა ძ ე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1975, გვ. 241—242.
- 31 ა. კ ი ზ ი რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.
- 32 ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენა, ტფილისი, 1934, გვ. 034; ვ. დ ო ნ დ უ ა, მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში: რჩ. ნაწ., I, თბილისი, 1967, გვ. 20—29.
- 33 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „წინაწე“, „თანა“ და „ზედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში: ეტიუდები, I, თბილისი, 1956, გვ. 308.
- 34 ა. კ ი ზ ი რ ი ა, მცემითი დასმული პირმიუმართავი დამატება ძველ ქართულში: იყე, XI, 1959, გვ. 171.

И. Т. ТУРАШВИЛИ

МОРФОЛОГИЧЕСКИЕ И СИНТАКТИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ
БЕРТСКОГО ЧЕТВЕРОГЛАВА

Резюме

В статье проанализированы морфологические и синтаксические особенности Бертского Четвероглава (X в.). Рассмотрены вопросы, связанные со склонением имен, случаи выпадания эмфатического гласного, выражение II суб. и III об. лица, спряжение глаголов с суффиксом -ოდ (-od) в первой серии, а также спряжение статических глаголов в настоящем и переходных глаголов в I заочном скривах, случаи упрощения глагольных превербов; изучены взаимоотношения определяющих и определяемых, отклонения от согласования глагола с именем существительным в числе, употребление суффикса -ებ (-eb) множественного числа, склонение определенных предложением имен и склонение имен существительных с предлогами.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქველი
ქართული ენის კათედრა
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. შანიძემ

ნათელა ჟთთელისა

თანხმომავნთკომპლექსები ლაზურში

ლაზურში ერთი მორფემის ფარგლებში გამოიყოფა თანხმომავნთა ორწევრია, სამწევრა და ოთხწევრა კომპლექსები.

1. ორწევრა ნაზალური ჟგუფები:

- მბ ბომბელა „ობობა“.
- მფ ფამფარი „ჟურის ბიბილო“.
- მპ ოპპონელ „შეჭვარება“.
- მღ მღიკა „ხორბალი“.
- მთ მთილანა „მართალი“.
- მტ ომტინელ „გაქცევა“.
- მძ მძგულდა „სიმინდის ღერო“.
- მც მცულდი „ტყვილი“, სშირია მც—ნც, ნც—მს. კომპლექსები თავისუფლად მონაცვლეობენ ლაზურის სხვადასხვა კილოკავში, ასე მაგ.: მციქა (ხოფ. ვიწ. არქ.), მსიქა (ათან.) „ცოტა“, მცაინცა „ცა“.
- მწ მწულელ „ვიწრო, პატარა“, კომპლექსები მწ—ნწ თავისუფლად მონაცვლეობენ ლაზურის კილოკავებში: მწარი (ვიწ.), ნწარი (არქ.) „ძუა“, ომწელი (ათან.), ონწერი (ვიწ.), ონწელა (ხოფ. არქ.) „აკვანი“. არის შემთხვევები მწ—ნწ—მც—ნც-ს მონაცვლეობისა, მაგ.: ხამანცა|| ხამანწა|| ხამცა|| ხამანწო „კვანი“.
- მჭ მჭიხი „მუშტი“.
- მჩ მჩინოცი „მაკე“.
- მჭ მჭიხა „მეავე“.
- მჯ მჯერი „მგელი“.
- მქ მქირი|| მქერი „ქორი“.
- მკ მკაფელ (ხოფ. ვიწ. არქ.), მკაფელ (ათინ.) „ტურა“; კომპლექსები მკ—ნკ ათანურში გარდაიქმნებიან მკ—ნკ-ლ, თუ მათ უშუალოდ მოსდევს ი/ა. ათინურში მოქმედი ძლიერი პალატალიზაციური ტენდენციის გამო საკმე გვაქვს უკანაენისმიერთა გადაწვევასთან: გ—ქ—კ > ჟ—ჩ—ჭ; შესაბამისად ჟგ—მჭ—მე, გარდაიქმნებიან მჭ—მჩ—მქ კომპლექსებად.
- მზ მზესქელ „შაშვი“.
- მს მსიქი|| მსუქი „სურო“; მსუა (ათინ. ხოფ.) ფსუა (ვიწ. არქ. ათინ.) „ფრთა“; კომპლექსები მს—ფს თავისუფლად მონაცვლეობენ.
- მფ მფორა (ხოფ. არქ. ვიწ.) ზფორა (ათინ.) „მზე“, შღრ. მეგრ. ზეა „მზე“. ზე—მე თავისუფლად მონაცვლეობენ ლაზურის კილოკავებში. ამ მხრივ კილოკავების დაჯგუფება შეუძლებელია, ვინაიდან ათინურში მაგალითად ზფორა გვაქვს და არა მფორა, მაგრამ ეგვერ ათინურში გვხვდება ომფორე და აქედან ვიმფორამ.
- მშ მშირიდონი|| ფშირიდონი|| ფშქირიდონი „მერცხალი“; აქაც მშ—ფშ-ს მონაცვლეობა გვაქვს. მე—ზე და მშ—ფშ თავისუფალი მონაცვლეობა ზე—ფშ-ს კომპონენტთა შეუთავსებლობით აიხსნება ლაზურში.
- მღ მღირერი (ათინ. ხოფ.), მღირი (ვიწ. არქ.) „მღერი“. პარალელურად არსებობს ბღირი (ხოფ.). კომპლექსები მღ—ბღ ურთიერთშენაცვლებადია — ომღორინელ|| ობღორინელ „ბღავილი“.
- მხ მხუჯი (ათინ. ვიწ.), ფხუჯი (არქ. ვიწ. ხოფ.) „მხარი“. ვიწურ-არქაბულსა და ხოფურში დადასტურებულია პარალელური ფორმები: მხუჯი|| ფხუჯი, ნ. მარს ტანური ენის გრამატიკისადმი დართულ ლექსიკონში მოპყავს როზენის მიერ დადასტურებული ამ სიტყვის „ზხო-

- ჩი¹ ფორმა². ბს კომპლექსი აქვს დადასტურებული ბროსეს მეგრულისთვის, მეგრ. ბხოვი „შხარი“²; კემხა||კეფხა „კეფა“.
- წდ კანდა „წვეულება“, ჭუნდი „კონა“. ეს კომპლექსი, რომელიც საზიარო არტიკულების წესით შეერთდება, ძალიან არის გავრცელებული ლაზურში.
- წთ ნთამო—ნთამო (არქ. ვიწ.), თამო—თამო (ხოფ.) „თანდათან“, შათი „შერყეული“.
- წტ ნტანი||ტანი „ტანი“, ონტულე „ბოსტანი“. ნთ—ნტ—ნწ კომპლექსები რაც შემთხვევაში თავისუფლად მონაცვლეობენ, მაგ.: აუნდურა||კუნტურა „თებერვალი“, შდრ. მეგრ. კუნტა „მოკლე“. ნანაშანთიში||ნანაშანტიში (არქ.) „დედინაცვალი“.
- წძ გინძე (ხოფ.), გუნძე (ვიწ. არქ. ათინ.) „გაძელი“.
- წც ნეუმე „ჩუმო, მშვიდი“. ონცირე (ხოფ.), ონცორე||ონცორე (ვიწ. არქ.) „საცირი“. ლაზურის კილოკავებში ნც—მც კომპლექსები ხშირად თავისუფლად მონაცვლეობენ, მაგ., ონცონე||ომცონე „აემა, ასხმა“.
- წწ ოწწორე „გაწწორე“; ოწწოფულე „წწოფა“. ეუკუნწი||ეუკუნცი „ეუწწი, წვერი“. ზოგჯერ ნწ—ნც თავისუფლად მონაცვლეობენ. ასევე თავისუფლად მონაცვლე ვარიანტები არაან მწ—წწ: ნწოლა||მწოლა „ქვარტი“; წწი „ნაბერწალი“.
- წჯ წჯირი „ძილი“, წჯიხი||წჯიხი „მუშტი“, ოქომონჯე „გათხოვება“. ნჯ—მჯ კომპლექსები თავისუფლად მონაცვლეობენ და არამართო ნჯ—მჯ; ნჯ—ნწ—ნწ კომპლექსთა თავისუფალი მონაცვლეობაც გვაქვს ლაზურში, მაგ., კონწოლოზი||კონწოლოზი||კონწოლოზი „ეშმაკი, ჭადოქარი“.
- წჩ წჩამი „წაძე, ველი“, ტომონჩია აგრეთვე. წჩალა „ჩალა“ ოწჩალე||ომჩალე „მკა“ — წჩ—მჩ მონაცვლეობენ კენო (ხოფ.), კენო (ვიწ. არქ.) „წვეილი, ერთნაირი“ — არის შემთხვევები წჩ—ნწ-ს მონაცვლეობისა კილოკავებში.
- წჭ წწანერი „დათობული“, ოწწარე „წწერა“. კანწი||კანწი (ხოფ. ვიწ. არქ.), „მათრახა“.
- წგ ოწგორე „გაგორება“. წგენი „ხბო“. წგ კომპლექსი ძალიან არის გავრცელებული ლაზურში. ზოგჯერ მას თავისუფლად მონაცვლე ვარიანტები უჩნდება ლაზურის ერთსა და იმავე კილოკავში ან სხვადასხვა კილოკავში, მაგ.: ნუნგამ||ნუნგუნს (ვიწ.)||ნუნგაფს (ხოფ.), ნუნკუმ (ათინ.) ამ შემთხვევაში წგ—მგ—მკ თავისუფლად ვარიირებენ.
- წქ ოწქინე „მოქნევა, ოწქორე „მოქნარება“.
- წკ ნკოლი „კალია“, ინკილი „ზვინი“. ნწ—წს—ნე—წშ—წდ—წბ კომპლექსები არაკანონიერია და ლაზურში ისინი ერთი მორფემის ფარგლებში არ გვხვდება, გამონაკლისს წარმოადგენს წმ: აწში „ექვსი“ და ათწურში სპორადულად არსებული მანქერანი „მეორე“, რომელიც გარდემქნება კანონიერ წწ-დ.
- არაკანონიერია ლაზურისათვის აგრეთვე კომპლექსები წე—წბ—წფ—წწ და ისინი ლაზურში წარმოშობის სიტყვებში არ გვხვდება; ზოგიერთ მათგანი წარმოდგენილია თურქულიდან ნასესხებ ლექსიკაში მაგ.: ოწბაში „თელის მეთაური, მაიორი“ (თურქ. oğbaşı „თელის მეთაური, ეფრეიტორი“; თენბიე „დარიგება“ (თურქ. tenbih „დარიგება“).

2. რ-ს შემცველი კონსონანტური ჯგუფები:

- რბ ქორბა „მუცელი“.
- რფ ფარფალი „პეპელა“.
- რპ ჩიკაპურპული.
- რდ ომორდე „გაზრდა“.
- რთ ართი „ერთი“. ზოგჯერ ზდება რდ—რთ—რტ კომპლექსების თავისუფალი მონაცვლეობა, ასე მაგ.: ართაშენი||არდაშენი||არტაშენი — ტომონშია თურქეთის ლაზისტანში; ართი—კართი (არქ.)||ქართი—ქართი (ხოფ.), კარტი—კარტი (ათინ.) „ერთმანეთი“.
- რტ ოზტრინე „ხრტრინი“.
- რძ ბალარძაღა (ხოფ.) „მრავალძარღვა“, ლაზურ კილოკავებში არსებობს პარალელური ფორმები ბალაღაღი||ბალუძღაღი||ბალაზღაღი. უურძენი (ხოფ.), უუჩენი (არქ.), ურძენი (ათინ.) „უურძენი“.
- რც ოფორცე „გაფცქენა“.
- რწ პურწუმოლი||პურწუმოლი „ეკალა“.

¹ Н. М а р р, Грамматика чанского (лазского) языка, С.-Петербург, 1910, გვ. 172.
² И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (инверского) языка, С.-Петербург, 1914, გვ. 409.

- რჭ ჯირჯილი „ღრმილი“.
- რჩ ოფურჩინუ „ჩურჩული“.
- რქ ბურბული „წალდი“ ორქა||ორქე ტომონიმა თურქეთის ლაზასტანში.
- რგ ბირგილი (ხოფ.), ბურგული (ვიწ. არქ. ათინ.) „მუხლი“.
- რქ მარქუქი (ვიწ.), მაქოქი (არქ. ხოფ.) „მაქო, საბეჭავი“.
- რკ ოკარკალუ „კაან“, სხედასხვა კილოკაეში ზოგჯერ რკ—რქ კომპლექსების მონაცვლეობა ხდება, მაგ.: ფურკი (ათინ.), ფურქი (ვიწ.), რკევილი, ფოთოლი“.
- რუ რუ კომპლექსი მხოლოდ ხოფურ კილოკაეშია წარმოდგენილი და ისიც იშვიათად: ღურყულ. ღუყუ „იდაყვი“.
- რზ კირზა (ხოფ.), კორზა (არქ.) „ხის კოვზი“.
- რს —
- რუ —
- რშ ხორშეკალი „ხოშეკალი, სეტყვა“.
- რღ ღარღალიტა „ყალათმა“.
- რხ ხურხი „ხორხი“.
- რჩმ ღორმთი „ღმერთი“.
- რვ მწურველი||მწურველა (არქ.), წუელი (ხოფ.) „წურბელა“.
- რლ ლაზური წარმოშობის არც ერთ სიტყვაში არ დატურდება. გვხვდება ფირლანთი „ბრალიანტი“, რომელიც თურქულში არის წარმოდგენილი ამ ფორმით (pirianta) და სწორედ აქედან არის შესული ლაზურში. რ-ს შემცველი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპლექსი გვხვდება მხოლოდ ინლაუტში. ლაზურში ანლაუტის პოზიციისათვის რ+ხშულთა სამეულები, რ+ნაპარალოგანთა წყვილები ღა რ+სონორები (ლ—მ—ნ) დამახასიათებელი არ არის.
- ბრ ბრანგალი „ბრანგული, ბრახული“, ბრესტი||ბრესთი „ნატირისფერი, რუხი“. ბრინჯი (ხოფ.)-პრინძი||პრინძი (ათინ.), ფრინჯი (ვიწ. არქ.) „ბრინჯი“, ლაზურის კილოკაეებში კონსონანტური ჯგუფები ბრ—ფრ—პრ ურთიერთშენაცვლებადია.
- ფრ წიფრი (ათინ. ვიწ.) „წიფელა“.
- ბრ ოპროცუ||ოფროცუ „გაფტეკნა“.
- ღრ ოდრიკუ „მოღუნვა, მოდრეკა“.
- თრ ოთრაგუ, „დაფარება, დამალვა“.
- ტრ ტრიკი „ჩლიქი“.
- ძრ—ცრ—წრ—ჭრ—ჩრ—ქრ კომპლექსები ლაზურს არ გააჩნია.
- გრ გროში „გროში“.
- ქრ აქრა „რქა“.
- კრ ოკრიჭუ „გაკრეკვა“. ოკრებულე „კერა, ადგილი ბუხრის გარშემო“ კროშე||ქროშე||გროში „გროში“, მოცემულ შემთხვევაში გრ—ქრ—კრ თავისუფლად მონაცვლეობენ.
- ზრ ეზრუმ „ერზერუმი“ (თურქ. ქალაქია).
- სრ ოსრიალუ „სრიალი“.
- ღრ ღრამწო (ხოფ.) „ოხრაზული“.
- ხრ ხრაკეი „მოხრაკული“, ოხრასქირი „მაზლი“.
- ყრ —
- შრ —

3. პ ა რ მ ო ნ ი უ ლ ი კ ო მ პ ლ ე ქ ს ე ბ ი ს ო რ ი ს ი ს ტ ე მ ა ლ ა ზ უ რ შ ი :
 A ს ი ს ტ ე მ ი ს კ ო მ პ ლ ე ქ ს ე ბ ი :

- ბგ ობგარუ||ომგარუ „ბტრილი“, მგ კომპლექსი ბგ-ს თავისუფლად მონაცვლე კარიანტია.
- ფქ ფქეერი||მქვერი||მქირი „ფქვილი“. კომპლექსები ფქ—მქ ურთიერთშენაცვლებადია.
- ბკ ზიბკა (არქ.) „პერანგის ამხანაგი“; კაპკაი „აგი სული“.
- ღგ ოღგუ, ოღგიმუ „დაღგმა, დაღება“.
- თქ თქვან „თქვენ“.
- ტქ ბუტკა „ფოთოლი“.
- ძგ ძგა „ნაპირი, კიდე“ ობლეძგუ||ობლეზგუ „გულის რევა, შეზიზღება“. კომპლექსები ძგ—ზგ თავისუფლად მონაცვლეობენ.
- ცქ მსქიბუ||მსქიბუ „წისკვილი“, ცქ—სქ კომპლექსები თავისუფლად ვარიირებენ; მცქა||მსქა „სკი“.
- წყ მაწყინდი „ბექედი“.

- ჭა ლიჯილილინჯილი „ღრძილი“.
- ჩქ ჩქვა „სხვა“ შდრ. ქართ. სხვა და შეგრ. შხვა, ნომჩქა „ფერფლი“, მუჩქი „ფოცხვერი“, ჩიჩქუ (ხოფ. არქ.), ჩუჩქუ (ვიწ.) „ჩვილი“.
- ჩუჩქი||ბუჩქი (არქ.) „ბუჩქი“. არქაბულში ჩქ—ჩხ ურთიერთშენაცვლებადი პარმონიული ჯგუფებია. ჩქინი (ხოფ.), ჩქუნი (ვიწ. არქ.), ჩქუნი||შქუნი (ათინ.) „ჩვენნი“. ლაზურის კილოკავებში ჩქ—შქ ურთიერთშენაცვლებადი კომპლექსებია.
- კპ კქემი „თესლი“.

B სისტემის კომპლექსები

- ბღ ობღუ „პარსვა“. ბღირი||მღირი „მღვრიე“, ამოსავალია მღ, რომელიც შემდეგ გარდაქმნა ბღ—ღ. ბღ—მღ კომპლექსები ურთიერთშენაცვლებადია. ბღუ „ბუ“, ობღე „ბუღე“.
- ფხ ფხუჯი (არქ. ვიწ. ხოფ.), მხუჯი (ათინ.) „მხარი“. ნ. მარს მოჰყავს აგრეთვე როზუნის მიერ დადასტურებული ფორმა „მხუჯი“. კომპლექსები ფხ—მხ თავისუფლად მონაცვლე ვარიანტებია: ფხენი||მხენი „ნართი“.
- ჰე საჰყარი „ხეიზარი“.
- ღღი ღღა „ღღე“.
- თხ მუთხანი „რალაყა“.
- ტუ ოტატუალუ (ხოფ.) თუთუხნი: დანხი ლეუუ ტატუაბატუ „ცეცხლზე მხალი თუთუხებდა იტუალიუ“ 1. „გატუაბა“, 2. ტლეკვა (ენით), ტუუბი (ხოფ.) „ტუუბი“.
- ძღ ამძღლუ „გაძღომა“. თოლი-უძღლუ||თოლი-უზღლუ „უნახავი“. ძღ—ზღ ლაზურის არქაბულ კილოკავში ურთიერთშენაცვლებადია.
- ცხ ბუცხა (ათინ. ვიწ. არქ. ხოფ.) „ფრჩხილი“. როზუნს დადასტურებული აქვს ამ სიტყვის ბუსხა ფორმა, რაც სავსებით კანონზომიერია. ლაზურში B სისტემის პარმონიული კომპლექსების სრული შერწყმის შედეგად პირველ კომპონენტს შეიძლება მოუვიდეს დეზაფორიკატიზაცია. ასე რომ, კომპლექსები ცხ—სხ, ჩქ—შქ, კყ—სყ, წყ—სყ, ძგ—ზგ ურთიერთშენაცვლებადია.
- წუ მეწუუ „შეწყობა“.
- ჭღ ჭღირერი „დამპალი“.
- ჩხ ჩხომი „თევიზი“. ბეჩჩხა||ბეჩჩხა „კვირა“ შხ კომპლექსი ჩხ-ს თავისუფლად მონაცვლე ვარიანტია: ჭუმჩხა||ჭუმჩხა „ოთხშაბათი“.
- ქუ კოქუი||კოქუი (ხოფ.), დავუბებული წყალი. კაობი“. კინეყვალა (ხოფ.) „ნაწლავები, შიგნეული“. კიქუიბი (ხოფ.) — ჩიტის სახელია. კოქუოფი||კოქუოი (ხოფ.) „კაობიანი ადგილი“. ქყაბი „დადუმფიფებელი“, დიქუიჯი (ხოფ.) „ქინჯარი“.
- ლაზურის ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოკავებს უს შემცველი პარმონიული კომპლექსები აღარ ახასიათებთ. ჰუ—ტუ—წყ—კუ კომპლექსები გარდაქმნილია ჰე—ტე—წყ—ქე კომპლექსებად, თეთი ხოფურ კილოკავშიც, სადაც მთელ რიგ სიტყვებში ჰუ—ტუ—წყ—კუ კომპლექსები შენარჩუნებული გვაქვს, ხშირია მათი გარდაქმნა ჰე—ტე—წყ—ქე კომპლექსებად.
- A სისტემის პარმონიული კომპლექსები კომბინირებული არიან სამეულთა სისტემის წვერებისაგან. პირველ კომპონენტებად გამოდიან ამ სისტემის პირველი ოთხი სამეული, ხოლო მეორე წვერებად ამავე სისტემის მეხუთე სამეული. B სისტემის პარმონიული კომპლექსების პირველ კომპონენტებს შეადგენენ აგრეთვე სამეულთა სისტემის პირველი ოთხი წვერი, მეორე კომპონენტებს კი მეექვსე დეფექტური სამეულის წვერი უ და წყვილთა სისტემის წვერები დ—ხ, რომლებიც პომორგანულ სამეულს (ღ—ხ—ყ) ქმნიან.
- სქ სქანი||სქანი „შენი“. მხსქუ||მხსქუ „შაშვი“. სქირი||სქირი „შვილი“. სქ—სყ კომპლექსები თავისუფლად ვარიირებენ ლაზურში.
- შქ შქა||ჩქა „შუა წელი“, უშქური||უშქური „ეშაში“, ლეშქი||ლეშქი „ტუჩი“. კომპლექსები შქ—შქ ასევე თავისუფლად ვარიირებენ. ლაზურ კილოკავებში ხშირია შქ—ჩქ კომპლექსთა მონაცვლეობაც.

4. ვ—ს შემცველი კომპლექსები ლაზურში

არც ერთ ლაზურ კილოკავს არ გააჩნია კომპლექსები ბე—ფე—ჰე. ბაგისმურე სამეულთა კომბინაცია ვ-სთან ლაზურისათვის შეუთავსებელია.

ღვ ოდვალუ „მიღება“ (ერთმანეთზე).

- თვ მოთვალარე „დახურული“.
- წვ წვინარი||წინარი „წავი“.
- ცვ გონცვერი „ნათელი“, გადაწმენდილი (ცა).
- ჩვ ოჭვინუ „ძოვება“.
- ჩვ ობვალუ „დაცვა“.
- ქვ ქვეერი „დამწვარი“, ქვეარი||ქტარი „ქვეავი“-
ქვ კომპლექსი ლახურში ხშირად გარდაიქმნება ქტ-დ.
- გვ გვერდი „ნახვეარი“.
- ქვ ოქვასუ „დაცეხვა“.
- კვ კეინი „ჩიტი“
- ყვ ყვალი „ყველი“, ყვარერი „დაკოდლი“, ოყვილუ „მოკვლა“, ფაყვა „დახამბამბა“ (თვალის).
- ზვ მოზვარე||მოზარი „მოზვერს“, ზვინი „ზვინი“.
- ხვ სვა „ხადგილი“, ოხვარუ „დაწყობა“ (ერთმანეთზე).
- ქვ ლევერა „დორბლიანი“.
- შვ ოშვანუ „სუნთქვა“.
- ღვ ღვანკილი „ლოყა“.
- ხვ ოხვამე „სალოცავი“.

5. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა ს ა მ წ ე ვ რ ა კ ო მ პ ლ ე ქ ს ე ბ ი :

- | | |
|--|--|
| მღგ ოკომდგმიუ. | მწუ პინუყვალა „ნაწლავები, შიგნული“. |
| მთქ მთქუმუ „ანდაზა“. | მთვ მთვირი „თოვლი“. |
| მტკ მტკო „მტკაველი“. | მტვ მტვერი (ხოფ.) „გველი, წითელი შხა-
მიანი“. |
| მძგ მძგა „კიდე“. | მჭვ მჭვეში „ძველი“. |
| მცქ ომცქუ „ქება“. | მჩვ ომჩვირუ „ცურვა“. |
| მწკ მწკა „ნაპერწყალი“. | მშვ ომშვარუ „წყველა“. |
| მჭგ უმჭგვიში „უკეთესი“. | მსვ მსვა „ფრთა“. |
| მჩქ ნომჩქა „ფერფლი“. | მშვ მშვადი |
| მქკ მქკონი „მუხა“. | მშვ მშვადუ „ბაყავი“. |
| მბღ მბღუ „ბუ“. | ნცვ გონცვერი (ხოფ.) „ნათელი“. |
| მფხ ეიმფხორ „გვიპა“. | ნჩვ ონჩვირუ „ძოვება“. |
| მღღ მღღორა მღღურა „წლან“. | ნჩვ ონჩვირუ „ცურვა“. |
| მთხ მთხა „თხა“. | ნწვ ბობონწვა „ხოკო“, მონწვა „კრუხი“. |
| მძღ — | ნყვ ბონწვერი „ხოკერი“. |
| მცხ მემცხური „სახსრები“. | წუვ ოწვეარუ „გაყავა“. |
| მწყ ომწყვირუ (ხოფ.) „დალაგება, მოწყობა“. | წქვ წქვა „ქვა“. |
| მჭღ ომჭღონუ „გაგზავნა“. | თქვ თქვანი „თქვენი“. |
| მჩხ მჩხოფა „სიტხე“. | ტკვ ტკვაცინი „გასკდომა“. |
| მქუ კიიმქყოფი (ხოფ.) „ქობი“. | ჩგვ ჩაჭვერი „დაბეჭილი“. |
| ნღგ ღუწღდა „ღინდგილი“. | ჩგვ ჩქვა „სხვა“. |
| ნთქ ინთქო-კაკალი — კერინჩხნარის ნაყოფი. | ქკვ ქკვანდერი „გამსკდარი“. |
| ნტკ ონტკაბუ „ტკეპნა“. | მგვ მგვანერი „გასუქებული“. |
| ნძგ ონძგიფუ „ბეჭევა“. | თხვ თხვერი „ნართი“. |
| ნცქ ფუნცქული „სიმიინდის ფუჩეჩი“. | ჩხვ ჩხვარი „ფუტვი“. |
| ნწკ პინწკილი „ხის ნაფოტი“ (პატარა). | მსქ მსქიბუ „წისქვილი“. |
| ნჩგ ონჩგვილი „ღრძილი“. | მსკ მსკალა „კიბე“ |
| ნჩქ ღვანჩქი „ღვანჩქი“. | მშქ მშქერდაძი „შქერი“. |
| ნქკ პინქკუ „ციცინათელი“. | რჩვ კარჩხანა „მარცხენა“. |
| ნღღ ონღღლუ „ღნობა“. | რკვ მარკვანდუ „მათხოვარი“. |
| ნთხ ნთხირი „თხილი“. | რხვ მარხვა „ნაკვერჩხალი“. |
| ნტუ ოტანტყალუ (ხოფ.) 'თუხთუხი'. | რქვ მარქვალა „კვერცხი“. |
| ნძღ — | რგვ ომორგვალუ „დამრგვალეზა“. |
| ნცხ ნოცინცხალე „ნაკვერჩხალი“. | ნღრ ონღრთუ „ღრეკა“. |
| ნწყ ონწყუ ონწყვირუ „მოწყობა“. | ნტრ ონანტრუ „მონანტრება“. |
| ნჭღ ონჭღორე „სირცხვილი“. | მბრ მტხმბრბო „რცხილა“. |
| ნჩხ კანჩხა „ვარტი“. | |

6. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა ო თ ხ წ ე ვ რ ა კ ო მ პ ლ ე ქ ს ე ბ ე :

- მთქვ ოკომთქველუ 'დათქმა, მოლაპარაკება'.
- ნტკვ ონტკვაინულ „შემოყრა“ (ხელის).
- მცქვ ფემცქვა „წაბლის გარეკანი“.
- ნჩქვ მუნჩქვი „ფოცხვერი“.
- მჩქვ ნომჩქვა „ფერფლი“.
- მპქვ ლემპქვა „ნერწყვი“.
- მფხვ ლიმფხვანა „გვიშრა“.
- მღღვ მღღვაბვი „ლაყი, გაფუძებული“.
- ნღღვ ონღღვარულ „ამღვრევა“.
- ნთხვ ნთხვერი „ნართი“; გამანთხვერი „გათხოვილი“.
- მცხვ მემცხვერი „სახსრები“.
- მწყვ მემწყვი „მოწყობილი“.
- მჩხვ მჩხვაფა „სიტყე“.
- ნჩხვ ონჩხვარულ „ცეხვა“.
- მსქვ მსქვა „ლამაზი“.
- მშქვ მშქველა (ვიწ.) „თხმელა“.
- რძგვ||რწვ მარძგვანი||მარწვანი „მარჯენა“.

ზემოთ მოყვანილი მასალიდან შემდეგი დასკვნის გაკეთება შეგვიძლია:

1. სონანტები მ, ნ, რ, ლაზურის თანხმოვანთა სამეულებრივი და წყვილულ-ლებრივი სისტემის ყველა წვერთან კომბინაციის გზით ქმნიან ორწევრა კომპლექსებს ერთი მორფემის ფარგლებში; გამონაკლისს შეადგენს მყ—მპ—ნბ—ნფ—ნპ—რყ—რპ კომპლექსები.

2. A და B სისტემის ჰარმონიულ კომპლექსთა ყველა წვერი ლაზურში დაცულია. გამონაკლისს შეადგენენ პყ—ტყ—წყ—პყ, რომლებიც გარდა ზოფურისა სხვა კილოკავებში აღარ დასტურდებიან; ვიწურ-არქაბულში ისინი გარდაიქმნებიან პყ—ტყ—წყ—პყ კომპლექსებად, თანახმად არნ. ჩიქობავას მიერ დადგენილი კანონისა ყ-ს რეფლექსების შესახებ ლაზურში⁴, ხოლო ათინურ კილოკავში იშლებიან და წარმოდგენილი არიან მხოლოდ პირველი კომპონენტების (პ—ტ—წყ—პ) სახით.

A და B სისტემის ჰარმონიულ კომპლექსთა აქცესიური ვარიანტები ლაზურს არ ახასიათებს, გამონაკლისს შეადგენენ ასპირირებული ჯგუფები ქთ—ხთ—ქც—ხც—ქჩ—ხჩ, რომელთაგან ზოგი მხოლოდ ნასესხებ ლექსიკაშია წარმოდგენილი, ზოგიც (ქთ—ქჩ—ქც) სუპერირდება გასპირანტების გზით.

3. ყველა დეცესიური თანამიმდევრობის ჰარმონიულ კომპლექსს წინ შეიძლება განუვითარდეს მ, ნ, რ (ეს უკანასკნელი ნაკლები სიხშირით ხასიათდება), ბოლოში კი მხოლოდ ვ და მივილებთ თანხმოვანთა სამწევრა ჯგუფებს.

4. როგორც ზემოთ მოყვანილი მასალიდან ჩანს, ლაზურში მაქსიმალური სიგრძის თანხმოვანთკომპლექსები ერთი მორფემის ფარგლებში შეიცავენ ოთხ წევრს, რომელთაგან პირველს წარმოადგენენ მ, ნ, ან რ (ნაკლები სიხშირით), მეორე და მესამე წევრები დეცესიურ ჰარმონიულ კომპლექსებს ქმნიან, მეოთხე წვერი შეიძლება იყოს მხოლოდ ვ, რომელიც ზოგჯერ კილოკავებში გარდაიქმნება უ-დ.

ჩვენ მიერ დადგენილი კონსონანტური ჯგუფების სტრუქტურა ძირითადად ემთხვევა თ. გამყრელიძისა და ტ. გულდავას მიერ დადგენილ თანხმოვანთკომპლექსების მოდელს მეგრულში⁵. აღნიშნული სტრუქტურის კომპლექსებს

⁴ იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქანურის გრამატიკული ინალოზი, თბილისი, 1936, გვ. 16—18.

⁵ ტ. გ უ ლ დ ა ვ ა, თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში (შრომა იბეჭდება აკად. აკ. შანიძისადმი მიძღვნილ კრებულში).

თ. გამყრელიძე, ტ. გუდავა უწოდებენ კანონიკურს. ჩენი კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს გავიზიაროთ ამ ავტორთა მოსაზრება და „კანონიკურ კომპლექსთა“ მოდელი ამოსავლად მივიჩნიოთ ლაზურ-მეგრული ძირის სტრუქტურის შესასწავლად.

აღნიშნოთ ოთხწევრა თანხმოდანთ კომპლექსების კომპონენტთა თანამიმდევრობა სიმბოლოებით a, b, c, d. ირკვევა, რომ a პოზიციაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ზ, ნ, რ (ნაკლები სიხშირით); b პოზიციაში — ბ-ფ-პ, დ-თ-ტ, ძ-ც-წ, ჯ-ჩ-ქ, ზ-ს, ყ-შ, C პოზიციაში — გ-ქ-კ, ლ-ხ-ყ; d პოზიციაში მხოლოდ — ვ.

ოთხწევრა თანხმოდანთ კომპლექსები შეიძლება დაიშალოს abc, bcd, acd, ab, ac, bc, bd, cd სტრუქტურის მქონე ჯგუფებად; ad ერთი მორფემის ფარგლებში არა გვაქვს.

ამოსავალი ლაზური კონსონანტური სისტემისათვის არის ხშულთა სამეულებრივი, ნაპრალოვანთა წყვილეულებრივი და სონორთა ცალეულებრივი ქვესისტემები:

ბ — ფ — პ	გ —	რ
დ — თ — ტ	ზ ს	ლ
ძ — ც — წ	ყ შ	შ
ჯ — ჩ — ქ	ღ ხ	ნ
მ — მ — კ	— ჰ	
— — ყ		

ლაზური ძირის სტრუქტურას განაპირობებენ მოცემული სისტემის თანხმოდანთა კომბინაციები, რომლებიც წარმოდგენენ ორწევრა, სამწევრა და ოთხწევრა თანხმოდანთა კომბინაციებს:

1. ბაგისმიერ და წინაენისმიერ ხშულებს ლაბიო-ველარიზაციის კანონის თანახმად განუვითარდათ უკანაენისმიერი ხშულები და ნაპრალოვნები; შეიქმნა ე. წ. ჰარმონიული დეცესიური თანამიმდევრობის კომპლექსები. მათი არტიკულაციური საფუძველია გ. ახვლედიანის ბგერათშეერთების მესამე წესი — ერთჟამიერობის წესი.
2. ლაბიო-ველარიზაციის წესი პირუკუც მოქმედებს და უკანა რიგის (და არა მარტო უკანა რიგის თანხმოდანთს) გაუჩნდათ ბაგისმიერი ნაზალი (შ). ამის საფუძველზე შეიქმნა დეცესიური მიმდევრობის ნაზალური ჯგუფები. ბაგისმიერი ნაზალური ჯგუფების შემდგომმა ევოლუციამ ასეთი გარდაქმნები მოგვცა: მდ—მთ—მტ—მძ—მც—მწ—მჯ—მჩ—მჭ>ნდ—ნთ—ნტ—ნძ—ნც—ნწ—ნჯ—ნჩ—ნჭ. მოქმედებაში შევიდა ბგერათშეერთების I წესი (საზიარო არტიკულაციის წესი) ნაზალური ელემენტის შენარჩუნებით.
3. უკანაენისმიერი + ვ:წ, როგორც ლაბიო-ველარულ კომპლექსთა შექმნის ტენდენციის გამოხატულება ენაში.
4. რ + სამეულთა და წყვილეულთა ქვესისტემების ელემენტები. ამ კომპლექსთა წარმოქმნის და მათი შემდგომი გარდაქმნების ამოსავალი პრინციპია გ. ახვლედიანის კანონი დეცესიურ-აქცესიურ კომპლექსთა შესახებ. გ. ახვლედიანის წესის თანახმად ხშულთა დეცესიური თანამიმდევრობის ჰარმონიული კომპლექსები კანონიკურია ენისათვის. თუმცა არის ისეთი დეცესიური თანამიმდევრობანიც (მცირე საარტიკულაციო მანძილებით), რომლებიც სუპერირდებიან ენაში.

* იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძველები, თბილისი, 1949.

ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ კანონიკური კომპლექსები. ლაზურის კილოკავებში გვხვდება სხვა, ასე ვთქვათ, არაკანონიკური სტრუქტურის მქონე კონსონანტური ჯგუფებიც, რომლებიც არსებითად თურქულიდან და ბერძნულიდან ნასესებ ლექსიკაში არიან წარმოდგენილნი, ასეთებია: ლმ—ლბ—ლფ—ლვ—ლდ—ლთ—ლტ—ლგ—ლქ—ლყ—ლხ—ლჩ—ლლ—მლ—ვლ—ნლ—ბლ—ფლ—პლ—დლ—თლ—ტლ—გლ—ქლ—კლ—შლ—სლ—ზლ—ლლ—ხლ—მმ—თმ—თფ—შმ—შფ—შთ—შჯ—შნ—შტ—ქდ—ვე—ვა—ვე—ვა—ვბ—ვა—ვმ—ვდ—ზბ—ზნ—ბდ—ბზ—ქმ—ქნ—ქშ—ფჩ—ფთ—პტ—პნ—ლდ—ლჩ—ლნ—ბს—ფს—პს—სტ—სთ—სპ—სფ—სლ—სმ—ხშ—ხმ—ხნ—ხს—ხფ—ქს—კშ—ქნ—კმ—ტნ—ტვ—ჩმ—ჩვ.

Н. С. КУТЕЛИЯ

КОМПЛЕКСЫ СОГЛАСНЫХ В ЛАЗСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Лазский язык обладает сложным и своеобразным консонантизмом. Основной лазского консонантизма является наличие в нем парной и троечной систем согласных фонем и системы сонантов:

		ვ-		
ბხ	ფრ	პრ	ზვ	სს
დძ	თტ.	ტჭ	ქჭ	შჭ
				რგ
ძვ	ცც	წც	ღვ	ხხ
				ლლ
ჭჭ	ჩჩ	ქქ		მმ
—	—	ყყ		ნნ

В предлагаемой работе исследуется структура групп согласных фонем лазского языка в рамках одной морфемы.

Структура лазского корня определяется консонантными группами разных величин, которые складываются из элементов вышеназванных систем.

У лабиальных, а позднее и у переднеязычных, согласно закону лабио-веляризации, образовались велярные ბბჟ გ-კ-ქ и поствелярные ლ ხ ყ ყ ხ დ, что и повело к образованию двух систем гармонических комплексов:

Система А				Система В			
ბგ	ბგ	ფქ	პკ	პკ	პკ	პყ	პრ
ღგ	ღგ	თქ	ტკ	ტქ	ტქ	ტყ	ტრ
ძვ	წვ	ცქ	ცკ	წკ	წქ	წყ	წრ
ჭგ	ჭვ	ჩქ	ჩკ	ქკ	ქქ	ქყ	ქრ

Закон лабио-веляризации действует и в обратном порядке, образуя комплексы с лабиальным назальным (მგმგ—მქმქ→მკმკ—მღმღ—მხმხ—მჭმჭ—მჩმჩ—მქმქ и т. п.) и комплексы акцессивного порядка с конечной фонемой *v* *z* || *ჭ* (*v* || *û* (გვგვ—ქვქვ—ქვქვ).

Следующая эволюция лабиальных комплексов отмечается превращением их в комплексы с единым артикуляционным приступом с сохранением назального элемента მღმღ—მთმთ—მტმტ—მძმძ—მცმც—მწმწ—

მკმჭ—მჩმჭ—მჭმჭ > ნლnd—ნონt—ნტnt — ნძnz — ნცnc — ნწnჭ — ნჟnჭ — ნჩნღ — ნჭnღ.

Все элементы парной и троечной системы сочетаются с фонемой რ.

Лабialsный назальный образовался не только у отдельных фонем, но и у группы фонем, состоящих в основном из двух элементов дещессивного порядка. В результате в лазском образовались трехэлементные консонантные группы (მღლმძv, მძღმჯგ, მჩქმსკ, მჭქმჭჭ, მცქმცსკ, მტქმტჭქ и т. д.). Далее может произойти нарастание комплекса с конечным ჯv, и мы получим четырехэлементную группу. Она и является самой крупной величиной в пределах одной морфемы.

Мы определили позиции согласных фонем символическими знаками a—b—c—d. В четырехэлементном соединении позицию a могут занять только фонемы მ-ბ-რ, m-п-г; позицию b занимают фонемы лабиального и переднеязычного ряда ბფპ bpp, ღტძdtქ, ძცწჯცჯ, ჭჩქჭჯჯ, ზსzs, ჟშჯს; позицию c занимают фонемы велярного ряда გქვეგქქ, ლხყყღ; позицию d может занять только фонема ჯv.

В четырехэлементной фонемной группе между крайними сонантами может быть только комплекс дещессивного порядка. Остальные группы представляют комбинации abc, bcd, acd, ab, ac, bc, cd; комбинация ad исключается. Подобную структуру комплексов согласных Т. Гамкрелидзе, Т. Гудава считают каноническими для мегрельского.

Полученная нами структура консонантных групп в основном совпадает с моделью Т. Гамкрелидзе, Т. Гудава, установленной на материале мегрельского. Мы разделяем мнение ученых и считаем это положение исходной точкой для дальнейших исследований в области изучения структуры строения лазско-мегрельского корня.

В лазском наблюдается не только нарастание парных комплексов до четырехэлементной группы, но и распад этой группы на более мелкие величины с учетом вышеназванных структур.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი
ენათმეცნიერების კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

კეთივან ლომთათიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის ასახვა
აფხაზური ზმნის უღვლილებაში*

განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიის მიხედვით ფორმათა დაპირისპირება, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია სახელისათვის.

განსაზღვრულობის გამონატევა-გამოუნატეველობის მიხედვით ენებში შეინიშნება სხვადასხვა ვითარება. ერთი მხრივ, არსებობს ტენდენცია მისი (ე. ი. განსაზღვრულობის გამონატევის) ჩამოყალიბებისა, მეორე მხრივ, — ტენდენცია განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის მორფოლოგიურად გამონატევის მოშლისა. მოგვიანებით გაჩენილად ითვლება, მაგალითად, იგი ლათინურში (ფრანგულში)¹, გერმანულ ენებში². მოიშალა, მაგალითად, ქართულში (ძველ ქართულში გამონატეული იყო განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა).

გამორიცხული არ არის მოშლაც ამ კატეგორიისა და კვლავ წარმოქმნა შესაბამის გარემოებათა შედეგად³.

აფხაზურ-ადილურ ენებს, უნდა ვიფიქროთ, თავიანთი განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ძველი ქართულის მსგავსად, ახასიათებდა განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის გარჩევა სახელებში. ეს გარჩევის წესი ახლაც მოქმედია ამ ენებში⁴. კერძოდ, ადილურ ენებში მტკიცედ არის გატარებული განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის ფორმათა დაპირისპირება, შდრ. ადილური წგძგ „კაცი“ (განუსაზღვრელი) და წგძგ-რ „კაცი იგი“ (განსაზღვრელი) და მისთ.

უბიხურ ენაშიაც ადასტურებენ მკვლევრები სახელის განსაზღვრული და განუსაზღვრელი ფორმების არსებობას⁵.

აბაზური ენის ტაპანთურ დიალექტში ადილურ ენათა მსგავსად (თუმცა ადილურ ენებში არსებული განსაზღვრულობის გამოსახვის ზუსტი საშუალებები შედარებით ახალი ფორმაციისაა) კარგად არის შემორჩენილი დაპირისპირება სახელის განსაზღვრულ და განუსაზღვრელ სახეობათა შორის: რახიბ „საქონელი“ (განუსაზღვრელი) — არახი (<არახიბ) „საქონელი“ (განსაზღვრელი) და სხვ.

აფხაზური ენის დიალექტებში — აბუუურში, ბზიფურში (და აგრეთვე ნაწილობრივ აბაზური ენის აშხარულ დიალექტში) — დაწყებულია ხსენებული

* წაითხულ იქნა მოხსენებად ოსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის VIII სამეცნიერო სესიაზე 1964 წლის 29 მაისს. იხ. მუშაობის გეგმა და თეზისები, 1964, გვ. 15—16.

¹ Ch. Bruner, Petite histoire de la Langue française, ტ. 1, Paris, 1962, გვ. 23.

² В. М. Жирмунский, История немецкого языка, М., 1956, гв. 235—237.

³ К. В. Ломтатидзе, Из истории определенных форм имени в ашхарском диалекте абхазского языка, К проблеме языковых контактов, ВЯ, 1977, № 2.

⁴ Georges Dumézil, Etudes comparatives sur les langues Caucasiennes du Nord-Ouest (Morphologie), Paris, 1932, гв. 29—40.

⁵ A. Dirr, Die Sprache der Ubychen, Caucasia, Fasc. 4, Leipzig, 1927, § 6; G. Dumézil, La langue des Oubykhs, Paris, 1931, §§ 25, 26; I. Mészáros, Die Pälkhy-Sprache, Studies in Ancient Oriental Civilization, № 9, Chicago, 1934, гв. 48 და სხვ.

დაპირისპირების მოშლა და განსაზღვრულობის ა- პრეფიქსს შეუძენია ფუნქცია სახელის ზოგადი, სალექსიკონო ფორმის გამოხატვისა (ისევე როგორც ეს ქართულ ენაში მოხდა), თუმცა ეს მისი ამოსავალი განსაზღვრულობის ფუნქცია მთელ რიგ შემთხვევებში აღნიშნულ დიალექტებშიაც დღემდე შემორჩენილია⁶.

საერთოდ ირკვევა, რომ განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის მიხედვით დაპირისპირება დამახასიათებელი პრინციპი ყოფილა აფხაზურ-აბაზურში და სხვადასხვა ენობრივ ფაქტში იჩენს თავს.

ჩვენ აქ გვინდა ყურადღება მივაქციოთ მისი გამოვლენის ზოგ მხარეს ზმნის ფორმაში.

ამ მხრივ საინტერესოა სახელთა ფუძეებისგან შედგენილი ზმნური ფორმები, რომლებიც III პირში გვხვდება როგორც პირ-კლასის ექსპონენტებით, ისე მათ გარეშე: ერთი მხრივ, არის დგფჰაჟჰჰ „ის ქალიშვილია“, ხოლო, მეორე მხრივ, — ფჰაჟჰჰ „ქალიშვილია“.

ამათგან „დგფჰაჟჰჰ“ ტიპის წარმოება შეეფერება (თავისი წარმოშობით) განსაზღვრული შინაარსის მქონე ა-ფჰა სახეობას, ხოლო „ფჰაჟჰჰ“ ტიპისა — განუსაზღვრელი შინაარსის ფჰა სახეობას.

ასეთი დაპირისპირების საუკეთესო ნიმუშს გვაწვდის დ. გულიას მოთხრობის „კამაჩიკჰ“-ის ერთი თავი, სადაც საუბარია ახლად დაბადებულის ვინაობაზე, ქალია იგი თუ ვაჟი.

სათაურშივე ავტორი წერს „ფაჟჰჰაჟჰ?“ („ვაჟია თუ ქალია?“). ფაჟჰჰაჟჰჰ შედგენილი შემსმენლის ბადალი სტატიკური ზმნის აწმყოს ფორმებია სათუო კითხვითი შინაარსისა — „ვაჟია თუ ქალია (თუ)“. ეს უპირკლასო ზმნური ფორმები გადმოგვცემს ზოგადად, განუსაზღვრელად აღებულ სახელის შინაარსს, რამდენადაც ჭერ არ იციან ქალი დაიბადა თუ ვაჟი.

ამ სახით სისტემატურად გვხვდება რომანში ეს სიტყვები:

ართ აბრაყა ეზნაზ, ...მკელი პარიხანი რეშითც ალიას იუნჯა...თაჯაგა ილოჟ ანშარა ფაჟჰჰაჟჰჰ ეღურგარაც — აქ შეკრებილებმა...მკიდი და პარიხანი ალიასთან გაგზავნეს...იმის გასარკვევად, თაჯგავას რომ შვილი შეეძინა, ვაჟია თუ ქალია“.

...ახა მაქანა იპაჟჰჰ ფაჟჰჰ, ფჰაჟჰჰჯჯ ცქა ეღურგანე იპაზდგრჰამე — ...მაგრამ ვინე შეგვიძინა, ვაჟია თუ ქალი(ც) ჭერ კარგა გარკვეულად (აჟი) არ ვიცით!“.

მკელი პარიხანი... ირფელაზ აფჰჰს იღურწააჟ — თაჯაგა ილოჟ ანშარა ფაჟჰჰაჟჰჰ ჰა. — ფჰაჟჰჰჰ — ლჰეიტ უჟ აფჰჰს — „მკიდს და პარიხანს რომ ქალი შეხვდა, მას ჰკითხეს — თაჯგავას რომ შვილი შეეძინა, ვაჟია თუ ქალიაო. — ქალიაო, — თქვა იმ ქალმა“.

სასრან იმჯ რგლდონჯ მანჯრგეიტ „ფაჟჰჰ, ფჰაჟჰჰჰ“ ჰა. — ფჰაჟჰჰჰ ჰა ლგბეჟ ააღრგან, ნაყ იუნჯა დნუნალტ — სოსრანმა ხმამალა გასძახა „ვაჟია თუ ქალიაო“. — ქალიაო, — ხმა გასცა ქალმა და სახლში შევიდა“.

სასრან ცქა მამაჟტ სელმა ილჰაზ: „ფაჟჰჰჰ ლჰაზჰა მამაჟტ — სოსრანმა კარგად ვერ გაიგონა სელმას ნათქვამი: „ვაჟიაო“ თითქოს ასე მოესმა“.

აუგტო ჰაბა(ც)ა აჰ დირ, ფაზარ მხესჰან — „ძველად ჩვენი წინაპრები, ვინე რომ დაიბადებოდა, ვაჟი თუ იყო, (თოფს) ისროდნენ“ და სხვ.

საგულისხმოა, რომ სათანადო კონტექსტში სახელად აღებული იგივე ფუძე იქვე განუსაზღვრელი სახით (ე. ი. ა- პრეფიქსის გარეშე) გვხვდება:

⁶ ამ საკითხებთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. ავტორისავე: აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი (ტექსტებითურთ), თბილისი, 1944, გვ. 70—73; აზნარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის, თბილისი, 1954, გვ. 51—57; Из истории определенных форм имени в ашхарском диалекте абазинского языка, ВЯ, 1977, № 2.

... ავგერლ'აქ ეკაჲუა სეშოთ, თაჲგ'აგ'ა ფა დლოუტ იპ'ან, იშაქ' აკინხენ... აწქ' კ'ა დხესეტ — „... სამახარებლო მრეეციოთ, თაჲგუაგუას ვ აჲ ი შეეძინაო, — თქვა, თოჲი ჩამოხსნა და გაისრლა“.

მაგრამ იქვე გვხვდება პირკლასის ნიშნით გაფორმებული იგივე ზმნური ფორმები ამ ფუძეებისა.

როცა ახალდაბადებულისათვის სახელის შერქმევა უნდათ, მაგრამ ჭერ კიდევ არ იციან, იგი ვაჲია თუ ქალი, რომანში ვკითხულობთ:

ზნგ შ'ანჲუს ახ'გთარა, დ ფ ა უ დ გ ფ ჰ ა უ გ გ ცქ'ა იპაზდგრჲამ ჰ'ა — „ჟერ სახელის დარქმევისაგან თავი შეიკავეთ, (ის) ვ ა ჲ ი ა თუ, (ის) ქ ა ლ ი ა [თუ] კარგად არ ვიცითო“.

... უს ანაჲზა, დ ფ ა ზ ა რ გ გ დ გ ფ ჰ ა ზ ა რ გ გ მაზგბზიხაშოა ხ'ძქ მაათამ — „რაჲი ეგრეა, (ის) გ ი ნ დ-ვ ა ჲ ი ი ყ ო ს, (ის)-გ ი ნ დ-ქ ა ლ ი ი ყ ო ს, შესაუერისი ნახელი ეუწოდოთ“.

ზაქ'გზეა იუპ'ო, ალიას? დ გ ფ ა ზ ა რ გ გ უხგსზააძტ, მაბარგუზეა... აფჰა ბზია უჯჰა აფაჲო ბათესქა დრგფსოჲჰ — „რას ანბოთ ალიას? (ის)-თ უ ნ დ-ქ ა ლ ი ო ო ყ ო ს, ისროლე, რა უშავს... კარგი ქალი ორ ცუდ ვაჲად ღირს“.

თაჲგ'აგ'ა იღგზშვაზ დ ფ ა ზ ა რ აბას დღღგშგ'ნგპ'ალა... თაჲგუაგუას ვინც შეეძინა, (ის)-თ უ-ვ ა ჲ ი ა, ასე მიულოცეთ...“ და სხვა.

ასეთი, სახელის ფუძეზე დაყრდნობილი პარალელური უპირკლასნიშნო და პირკლასიანი ზმნური ფორმები III პირში „დ“-ს რიგში, ე. ი. ნ ო მ ი ნ ა ტ ო ვ ი ს რ ი გ შ ი, საკმაოდ გავრცელებულია ენაში. მისი საფუძველი სახელის განსაზღვრულ-განუსაზღვრელ შინაარსთანაა დაკავშირებული და გარკვეულ პარალელს ამჟღავნებს ადილური ენებისა და ძველი ქართულის განსაზღვრულ ბრუნებასთან სახელობითის ფორმაში (შღრ. ადილ. ჟენზ-რ, ძვ. ქართ. სახლ-ი ოგი).

გვხვდება, ერთი მხრივ, განუსაზღვრელი უღვლილება:

ფხნენ (დ. გულია) — „ზაფხული იყო (იღვა)“.

ძნენ (ა. ქოქუა) — „ხამთარი იყო“.

უთახზარ უღბა! (დ. გულია) — „თუ გინდა, ჩამოდი ძირს!“

წოჲჰ (დ. გულია) — „მართალია“.

ბაშოოჲჰ (დ. გულია) — „ამაოა“, „ფუჲია“, „ტყუილ-უბრალოა“.

ფხაშოოჲჰ (დ. გულია) — „ისირცხელია“.

თაბუჰ ჰ'ა მაჩ'ოოძტ („აფსნეს ვაფშ“) — „მადლობა-ო (მადლობა-ა) ეუბნებია“.

ამუადუ მანუ ჴა ვ უ ჰ (ანდაზა) — „დიდ გზაზე გამოსული (ვინმე, რამ) კაციოა“.

ხაჲ'არფგსგ'გ ნარჲჩ'ოჲ ედფშ იხაწაღ'ლაზ ჴა ვ ე ნ (აფხაზური ზღაპრები) — „სოჲეარფისიკ ნარჲჩიოუს მსგავსად ძლიერი ვაჲკაცი კაცი-ო(ვინმე)-იყო“.

აისა იფჲ'ეს მარა შგჲ იბრიგადაჲჲგ აუს ლჲან, ათათენ ქუხზრაზი არგფზრაზი სტახანოეკან (ივ. პაპასკირი) — „აისას ცოლი შიგვის ბრიგადაში მუშაობდა, თამბაქოს შეტრებეაში, აცემში სტახანოეკანიყო“.

მარა ქუჲს ფჲ'ეს დაახვაჲ კ'კენან, ჴახ'ის'აფშუჲაზ დჲაჲგ ასან (ივ. პაპასკირი) — „ის ახალი ცოლმოუყენილი ყმაწვილი (ვინმე)-იყო, რომ შეხედავდი (ის) წერილი კაცი იყო“.

ითარგალაზ ამხგ, მხგ-ქ'ასან (ივ. პაპასკირი) — „ყანა, რომელიც აიღეს, ნაგვიანე ე-ი-ყ ა ნ ა-(რამ)-იყო“.

... ახან ხან-ხ'გ ქგზაარგენ აზგ აჲზაბ (აფხაზური ზღაპრები) — „(ის) სასახლე პატარა-(რამ)-სასახლე-ყოფილა, ამიტომ იქნება“.

... ამახჩიქ'ა მახჩო-ს'ჲქგზაარგენ აზგ აჲზაბ (აფხაზური ზღაპრები) — „აქლემები პატარა-(რამ)-აქლემ [ეპ] ი-ყოფილა, მიტომ იქნება“.

ჯანგმ იფჰა ფჲ'გზბაბზიან, დგფშუჲან (დ. გულია) — „ჯანმის ქალიშვილი კარგი-ო(რამ, ვინმე)-ქალიშვილი-იყო, (ის) ლამაზი იყო“.

თაჲგ'აგ'ა ფჲ'გ'ს-ნაწ'გენ (დ. გულია) — „თაჲგუაგუა მარტოხელა-(ვინმე)-ქალი-იყო“.

აშვრ დაარა ჭატ გ-ბზიოტჰ (ა. კოჭუა) — „ხილი ძალზე კარგი-(რამ)-საკმელოა“.

...ჭამისტგენ იშგზ (დ. გულია) — „... ფაშისტი-იყო, შენ ვინც გაკლდა“ და პრაელო სხვა.

მეორე მხრივ, ანალოგიურს შემთხვევებში ჩვეულებრივია განსაზღვრული უღვლილება ქვემოთ მოყვანილი რიგისა:

იძნჯააატ, იფხნჯზააატ (დ. გულია) — „გინდ-ზამთარი-იყო, გინდ-ზაფხული-იყო“.

...ქარა უზე დაარა იფხაშაროტჰ (დ. გულია) — „შენთვის (ის)-სირცხვილია ძალიან“.

...ზაქუ უზარ, ზენმა იბაშუაძოტჰ (ივ. პაპასკირი) — „რა არის რომ ნახო, (ის)-ს უღვბრალო-რად-ც-არის“.

...ამცხაწა-ბარბარცა რზე იაქობა-ბე-ყა-ი-მ-ათ-ქ-ან-გ იყოლოტ (ივ. პაპასკირი) — „... ცრუმორწმუნეთათვის (ისინი)-მ-შეენიერ-ამ-ბე-ბა-და-არ-ის-რა (გახდება)“.

ლეგორნ ჰა იზუთოქ აკიტგელა დაარაძა იკტგელ-ა-ბ-ზ-ი-ა-ზ-ა-არ-გ-ნ (ა. კოჭუა) — „ლეგორნ რომ უწოდებენ ქათმის ჭიშს, ძალიან (ის)-კარგი-ქათმის-ჭიშ-ი-ყო-ფილა“.

... (ანტიკა)... ლძახუშა, ლტაშუა, ლგზარშუა რგლა ლქელა-ც-ა რზე დ-ქ-ბ-რ-ც-მ-უ-გ-ბ-ზ-ი-ან-გ ლყან (ა. კოჭუა) — „... (ანტიკა)... თავისი კერვის, ჭდომის, თამაშის მანერით თავისი ტოლების (ის)-კარგი ნიშუ-ში-ი-ყო-რა, იყო“.

აბრი მესა დ-ს-ა-მ-არ-უ-გ-ლ-პ-უ-გ-ნ (დ. გულია) — „ეს მუსა (ის)-ხ-უ-მ-არ-ა-ი-ყო“.

...ხუსურა ბზიანზე ითაბუბ ჰა მარპოტტ („აფხნე ყაფშ“) — „მასი კარგი მუ-შაობისათვის მადლო-ბ-ა-ო („[ის]-მადლობა-ა-ო“) ეუბნებიან“;

არ ირენმაზ დ-ბ-ა-წ-ა-ლ-ა-ო (ანდაზა) — „ვინც ჭარს არ შეხვდა, (ის)-ძ-ლი-ე-რ-ი-ე-ა-ე-კ-ა-ც-ი-ი-ყო“ და მისთ.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ამავე თვალსაზრისით ადამიანის წარმომავლობის (სადაურობის) გამომხატველი ზმნური ფორმები. დ. გულიას ერთ-ერთ მოთხრობაში ვკითხულობთ: „... რაშეთ ნხგწტგენ. ზეგ ემცგრდგ-რქაზ ქაე ღეშქ მაქენ — „... რაშიდი გადადმელ-ი-ი-ყო (=ჩრდილოეთ კავკასიელი იყო). ყველასაგან ცნობილი დიდი კაცი იყო“.

რამდენადაც ზმნის ფორმა „ნხგწტგენ“ — „გადაღმელი-იყო“ მიუთითებს „რაშიდზე“, ე. ი. საკუთარ სახელზე, მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო მისი განსაზღვრულობის აღმნიშვნელი დ-პრეფიქსიც ჰქონოდა ზმნას, ისევე როგორც მაგალითად, უჩვეულო არ იქნებოდა თუ აფხაზურად ვიტყვოდით: რა-შეთ დ-ა-ყ-ატ-ენ — „რაშიდი სოხუმელი-იყო“.

მაგრამ საკუთარ სახელსაც ახასიათებს თავისებურად განზოგადებული და კონკრეტული შინაარსი. გამოკითხვისას აფხაზები ამ შემთხვევაში დ-პირის ნიშნის (განსაზღვრული შინაარსისა) გამოყენებას კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტის აღნიშვნისას აძლევენ უპირატესობას (მაგალითად, რაშეთ ღქართტენ, დაყატენ, დაძუბუატენ... რაშიდი თბილისელი-იყო, სოხუმელი-იყო, აძვიბ-ჟელი-იყო... (უფრო იშვიათია: ქართტენ, აყატენ და მისთ), ხოლო არაკონკრეტულ, განუსაზღვრელ გეოგრაფიულ სახელთა შემთხვევაში (მაგალითად, როცა უნდა მიეთითოს მთელს ქვეყანაზე, მხარეზე) პირის ნიშანს ჩვეულებრივ არ იყენებენ (შდრ. მაგ., უმა ხარატოუბ, უმა ზხარატოუბ, დაბატიიდა? ამ-ზ-არ-ატ-ი-უ-ბ (ბ. შინქუბა) — „ის შორეულია, ის [ის]-შორეულია. [ის]-სა-დაურია? მზის მხარელია...“

ამრიგად, დასტურდება ფაქტი აფხაზურში სახელის ფუძის მქონე ზმნებში „დ“-ს რიგის — ნომინატივის რიგის — პირ-კლასის ექსპონენტთა განსაზღვრულობის ფუნქციით გამოყენებისა.

დგება კითხვა, ასეთივე განსაზღვრულ-განუსაზღვრელი უღვლილება ხომ არ იჩენს თავს „ლ“-ს რიგის — ნათესაობით-ერგატივის რიგის — პირ-კლასთა ექსპონენტების გამოყენებისასაც?

ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას მიიქცევს აფხაზური ენის (იგივე ითქმის აბაზურის შესახებაც) ფუძეწინდებულისა ზმნების უღვლილება, ე. ი. ისეთი ზმნების უღვლილება, რომელთა ფუძეშიაც ლოკალური წინდებულების სახით შედის წარმოშობით ს ა ხ ე ლ თ ა ფუძეები, როგორებიცაა, მაგალითად, ა-წა „ფსკერი“ → „ქვეშ“: ახგ (<ა-ჯა) „თავი“ → „ზედ“, „ზევით“...; ა-ჰა „პირი“ → „შიგ“, „ზედ“ და მრ. სხვა.

ასეთ ლოკალურ წინდებულთა ზმნაში არსებობის დროს შეინიშნება ირიბი ობიექტის დაკავშირებაც ზმნასთან, ოღონდ ირიბი ობიექტი ზმნაში საგანგებო ნიშნით ხან შეიძლება იყოს აღნიშნული და ხან — არა. მაგალითად ასეთი აგებულების ზმნა აწალარა „ქვეშ შესვლა, შეძვრომა“, ერთი მხრივ, იძლევა ერთპირიან ფორმას აც^არადღ^ღ დ^ღწ^ალ^ემ^ტ „ტახტ-ქვეშ შევიდა, შეძვრა“, ხოლო, მეორე მხრივ, ორპირიან, ირიბი ობიექტით გართულებულ ფორმას ამაღარა დ-ა-წ^ალ^ემ^ტ, რაც გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს „ტვირთი აიკიდა“, მაგრამ თავისი ამოსავალი მნიშვნელობით არის: „ტვირთი იგ^ე-შ^ი-ს-ქ^ეშ^ეშ^ევი^ედა, შექცვრა“ (ე. ი. „ტვირთის ქვეშ შევიდა“). ამ რიგის სხვა მრავალი ფუძის მოყვანა შეიძლება. დასახელებულ მაგალითში, ვფიქრობთ, ა (დ-ა-წალემტ) უნდა შეწყობოდა იმ ს ა ხ ე ლ ს, რომელიც განსაზღვრული შინაარსით იყო გაგებული, ხოლო დგ-წალემტ სახეობა ამავე ზმნისა ისეთ ს ა ხ ე ლ ს, რომელიც განუსაზღვრელი შინაარსით იყო გაგებული — დაახლოებით გამოდიოდა ზ მ ნ ი ს ა რ თ ი ს ფუნქციით (მაგალითად ასეთი დაპირისპირებით: ა-წა „მის (რალაცის) ფსკერზე, ქვეშ“ და წა — „ქვეშ“. შესაძლოა, დღეს ეს ენაში ასე მწყობრად გატარებული აღარ ჩანდეს, მაგრამ რომ აღნიშნული დაპირისპირება ენაში ჩვეულებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო, აშკარად ვლინდება სახელთა თანდებულოვანი გაფორმებიდან, შდრ. მაგ. ერთი მხრივ, ანაქ[ქ] ა-ლა „ხელით“, („მით ხელით“...) და, მეორე მხრივ, ნაპგ-ლა „ხელით“ (ზმნისარსით)?; ან კიდევ: ერთი მხრივ, აპაპ მგ-და „მის, მღვდლის გარეშე“ (განსაზღვრ. შინაარსით) და, მეორე მხრივ, პაპგ-და „უმღვდლოდ“ (ზმნისარსით) და მისთ.

ამრიგად, შეინიშნება ლ-ს რიგის პირის ექსპონენტების განსაზღვრულობის ფუნქციით გამოყენების ფაქტებიც, როცა ისინი წარმოშობით ს ა ხ ე ლ ი ს ფუძეებს უკავშირდებიან (ნათესაობითის შინაარსით). თქმული რომ ბრუნების „ენაზე“ გადავიყვანოთ, ზემოთ განხილული ფაქტების საფუძველზე, შესაძლოა, აფხაზურში დავინახოთ ადილურ ენათა ორწევრიანი ბრუნების (-რ, -შ) შესაბამისი ვითარება, რამდენადაც დ-ს რიგის ექსპონენტები სახელობითის კორელატად გამოდის, ხოლო ლ-ს რიგისა — ნათესაობით (ერგატივ-მიცემით)ისა, თანაც დაპირისპირებული განუსაზღვრელ ნულოვან გაფორმებასთან.

აფხაზურში ეს, როგორც ვნახეთ, აღინიშნება ზმნის უღვლილებაში, როცა უღვლილების დროს ზმნის ფუძეში ასახვას პოვებს ს ა ხ ე ლ ი ს ფუძე.

7 ქ. ლ მ თ ა თ ი ძ ე, აფხაზური ენის ტაპანტური დიალექტი (ტექსტებითურთ), თბილისი, 1945, გვ. 78—79.

К. В. ЛОМТАТИДЗЕ

ВЫРАЖЕНИЕ ОПРЕДЕЛЕННОСТИ-НЕОПРЕДЕЛЕННОСТИ В СПРЯЖЕНИИ АБХАЗСКОГО ГЛАГОЛА

Резюме

1. Абхазско-адыгские языки характеризуются противопоставлением определенных и неопределенных форм имени. Некоторое отклонение в сторону обобщения определенной формы имени имеет место в абхазском языке (ср. аналогичный факт в грузинском языке), хотя в ряде случаев противопоставление по определенности и неопределенности поныне прослеживается и в формах имени абхазского языка.

2. Выясняется, что противопоставление имен по принципу определенности и неопределенности в абхазском и абазинском языках довольно распространенное явление и находит свое выражение во многих языковых фактах.

В данном случае наше внимание привлекают факты выражения этого противопоставления в некоторых глагольных образованиях. В III лице наблюдается параллельное употребление глагольных форм с лично-классными экспонентами и без них. Это происходит:

а) когда мы имеем дело с именными основами, входящими в составные сказуемые и когда следует ожидать использование лично-классных экспонентов ряда D (т. е. ряда номинатива).

Имеется, с одной стороны, глагольная форма без показателя лица и класса (р h a w ʁ. «дочь-(есть)»), с другой стороны, с показателем лица и класса $\text{d}e\text{r}haw\text{r}$ «(о н а)-де в о ч к а-(е с т ь)», (о н а)-д о ч ь-е с т ь);

В первом случае глагольная форма выражает дочь в неопределенном смысле и показатель лица (класса) в глагольной форме отсутствует, во втором случае перед нами дочь в определенном смысле и в глагольной форме появляется личный (классный) показатель (в данном случае префикс d-).

Такое, связанное с определенностью и неопределенностью, противопоставление глагольных форм систематически проводится в языке:

б) думается, на этот же самый принцип противопоставления определенности и неопределенности опирается факт наличия параллельных форм в отношении выражения «косвенного объекта» (т. е. лично-классных экспонентов ряда L) в глаголах, которые содержат локальные провербы, генетически восходящие к именным основам. Эти провербы в глагольной форме то принимают показатели лиц, то нет.

От глагола $\text{v}\text{-}\text{ʃalaga}$ («войти-под»...) имеется, с одной стороны, одноличный глагол (без показателя лица косвенного объекта) — $\text{ac}^{\circ}\text{arday}^{\circ}\text{v}$ $\text{d}\text{-}\text{ʃalej}\text{t}$ «он полез под тахту», букв. «тахта он-под-влез, вошел...», с другой стороны, двухличный глагол с показателем косвенного объекта — ajdaga $\text{d}\text{-}\text{aj}\text{-}\text{ʃalej}\text{t}$ «он поднял груз», букв. «груз он-под-ним-[в]лез, вошел»...

В первом случае в глагольной форме не отражается лицо косвенного объекта («тахта»), — наподобие наречий, в неопределенном смысле выражается, что он «под-[в]лез», — а во втором случае конкретизируется лицо косвенного объекта, оно выражается определенно при помощи показателя -a-.

Рассматривая эти факты с точки зрения склонения, легко заметить аналогию с двучленной неопределенной (с нулевым показателем) и определенной (с суффиксами -г и -т) разновидностями склонения в адыгских языках (хотя они в адыгских языках более позднего образования).

ბანადი გურგულაძე

გარდამავლობა-გარდაუვალობის გარჩევისათვის ლაკურში

§ 1. გარდამავლობა-გარდაუვალობა ზმნის ძირითადი ნიშანია, — იგი იბე-რიულ-კავკასიურ ენებში სინტაქსური მოვლენაა — გარჩეულია სახელობითში დასმული უახლოესი ობიექტის მქონებლობა-უქონლობით¹.

მართალია, გარდამავლობა-გარდაუვალობა დღეს ზმნაში რაიმე მორფემით არ განირჩევა, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ისტორიულად მისი გარჩევა გვექონდა. ქართველურ ენათა მასალის მიხედვით, მაგალითად, ეს ვარაუდი აღ-რეც გამოუთქვამთ ნ. მარს, გ. დეეტერსს, ვ. თოფურისას (ზეპირად)².

მართლაც, არნ. ჩიქობავას წერილში „ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალო-ბა, როგორც მორფოლოგიური კატეგორია ქართულში“ ნათლადაა ნაჩვენები, რომ ქართველურ ენათა ზმნა ძველად გარდამავლობა-გარდაუვალობას მორ-ფოლოგიურად განარჩევდა³.

როგორც ჩანს, ამგვარ გარჩევას ადგილი აქვს ლაკურშიც.

მართალია, სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ლაკურში გარ-დამავალი და გარდაუვალი ზმნები განირჩევიან მხოლოდ სემანტიკურად, რაკი მათი მორფოლოგიური გარჩევისათვის არა გვაქვს სპეციფიკური სუფიქსი ან წინდებულო⁴, მაგრამ ლაკური ენის ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ შ ი გარდამავლობა-გარ-დაუვალობა მორფოლოგიურად დღეს დ ი ფ ე რ ე ნ ც ი რ ე ბ უ ლ ი ა.

§ 2. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ლაკურის ბრძანებით-ში გარდამავალ ზმნებს ბრძანებითობის ერთი მორფემა მოუღივთ, გარდაუვა-ლებს — სხვა⁵.

I. გარდამავალ ზმნათა ბრძანებითი. აქ ორი ნიშანია: -ა, -ი, როდის — რო-მელი, ამაზე ზმნის ინფინიტივის ნიშანი არას გვეუბნება, რაკი ბრძანებითობის მორფემები ზმნის ძირს უშუალოდ მიერთვიან. ვნახოთ სათანადო ნიმუშები ფრაზებში:

ა) ბრძანებითის ნიშანია -ა: მუ ჩხანგუ დ-იზ-ა „ეგ ფეხიც დამადგი!“ (მღრ. დ-იზ-ან ბ-, ღ-⁶ „ადგომა“, „დადგომა“)... ანაგარნუ ზუმუ ზა დ-იზ-ა „სწრაფად პირში რაიმე (=საქმელი) ჩაუდე!“ დ-უც-ა, ბავად, დ-უც-ა. თოუნ შოარსა დ-უც-ა „დამაქორწინე, დედავ, დამაქორწინე, ცოლი მომაყვა-ნიე“⁷ (მღრ. დ-უც-ინ „მოყვანა“, „დაქორწინება“)... აგანა ქვაუქარჩა, ჩალარ ჩიჩ-ა „უკეთუ არ მოხვალ, წერილი დაწერე!“ (მღრ. ჩიჩ-ინ „დაწერა“)... ტამა ყუყ-ა „შემა დაქერ!“⁸ (მღრ. ყუყ-ინ „დაქერა“)... ინა ფოუ იკუნნიჩა, მა უთთი ვაა ორქრუგუ ლიტ-ა „შენ მამა აკი მოკალი, ახლა ეს ბავშვები დახოცე!“⁹ მღრ. ლიტ-უნ „დახოცვა“, „სიკვდილი“)... თოუნ ჩანსა არკუ დ-ულ-ა „მე ცოტა-ოდენი ფული მომეცი!“ (მღრ. დ-ულ-უნ „მიცემა“)...

ბ) ბრძანებითის ნიშანია -ი: აქ მაწუხარა, ტუტი ბ-უქ-ი „ნაჩქარა ცხენს კბილი არ გაესინჯებო!“¹⁰ (მღრ. დ-უქ-ან „ქამა“)... დუს უვა დაკ ტაფლასა, მურხ ბ-უქ-ი ჩურხ ტაფლასა „მეგობარი გაიჩინე გულწრფელი“ (ზედმიწ. „გულსწორი“), „ზე დარგე ამოლტილი“ (მღრ. ბ-უქ-ან „დარგვა“, „დაქერა“)... დ-უთ-ი, დუშ, მუსილ კმორი „მოიხურე, გოგო, ოქროს ლეჩაქი!“¹¹ (მღრ. ბ-უთ-

...ან „წაქცევა“, „დაყრა“ აქ: „მოხურვა“)... ცინვე უჟულა ინსანთალ ბ-ატ-ი „ყვე-
 ლა ჩვენი ხალხი (=ადამიანები) შეეგროვე!“ (შდრ. ბ-ატ-ის „შეგროვება“)..
 ურმა ჩახირდანულ ბ-უწ-ი „სურა ღვინით გაავსე!“ (შდრ. ბ-უწ-ის „გავსება“)..
 ლაკნიმ ბუჰანნაჩა, ინა ბ-უჟჰ-ი „მე ჩავეთქებ, შენ კი გამოიცანი!“ (შდრ. ბ-უ-
 ჟ-ჰ-ის „გაგება“, „ამორჩევა“)... მურჩალ ყინი ჩიუ ლას-ი, ღარალ ყინი თსა
 ლას-ი ანდ. „ქარიან ღღეს ცხენი იყიდე, წვიმიან ღღეს ცხვარი იყიდე!“ (შდრ.
 ლას-უნ „აღება“, „ყიდვა“)...

იმის თაობაზე, თუ როდისაა გარდამავალ ზმნათა ბრძანებითში -ა და რო-
 დის -ი, პ. უსლარი შენიშნავდა: -ა ბრძანებითის მაწარმოებელია, როცა ბრძა-
 ნება მომავალშია შესასრულებელი, -ი კი მაშინ გვაქვს, როცა ბრძანება
 უშუალოდ უნდა შესრულდესო¹².

მართლაც, ხშირია, როცა ერთსა და იმავე ზმნასთან დასტურდება -ა მორ-
 ფემიანი ბრძანებითიცა და -ი-იანიც:

ბ-ახე-ან	„გაყიდვა“	:	ბ-ახე-თ		ბ-ახე-ა	„გაყიდე!“
ი-ჟ-ჰ-ან	„მოკვლა“	:	ი-ჟ-ჰ-ი		ი-ჟ-ჰ-ა	„მოკალა!“
ბ-ით-ან	„დატოვება“	:	ბ-ით-ი		ბ-ით-ა	„დატოვე!“
ბ-ათხ-ან	„ცემა“	:	ბ-ათხ-ი		ბ-ათხ-ა	„ცემე!“
ჩიჩ-ინ	„დაწერა“	:	ჩიჩ-ი		ჩიჩ-ა	„დაწერე!“
უჩ-ინ	„თქმა“	:	უჩ-ი		უჩ-ა	„თქვი!“
ბ-უწ-ინ	„ავსება“	:	ბ-უწ-ი		ბ-უწ-ა	„ავსე!“
ბ-უხე-ინ	„მოგება“	:	ბ-უხე-ი		ბ-უხე-ა	„მოიგე!“
ბ-იშ-ინ	„დაღება“	:	ბ-იშ-ი		ბ-იშ-ა	„დაღე!“
ლიტ-უნ	„მოკვლა“	:	ლიტ-ი		ლიტ-ა	„მოკალა!“

და სხვა.

ღღეს ბრძანებითობის -ი და -ა ფორმანტთა მონაცვლეობა შედარებით თა-
 ვისუფალია¹³, თუმცა ამ მონაცვლეობას ვერ ჩავთვლით რომელიმე თქმის თა-
 ვისებურებად. ი ს ტ ო რ ი უ ლ ა დ ი გ ი ი მ რ ი გ ის ა დ უ ნ და დ ა ვ ს ა ხ ო თ, როგორა-
 დაც ამას ვარაუდობდა პ. უსლარი, თუ — არა, საკვლევი. ბრძანებითში -ა და
 -ი მორფმათა დღევანდელი თავისუფალი მონაცვლეობა მეორეულია — შედე-
 გი ამ ფორმანტთა პირვანდელი დანიშნულების დარღვივებისა, თუ პირუკუ,
 პ. უსლარს განსხვავებულ ფორმათათვის განსხვავებული შინაარსი დაუძებნა,
 ძნელი სათქმელია.

II. გარდაუვალ ზმნათა ბრძანებითი. გარდაუვალ ზმნათა ბრძანებითის ერ-
 თი მორფმა აწარმოებს — უ: ლიქლულნუ იკ-უ „ფრთხილად იყავ!“ (შდრ.
 ბ-იკ-ან „ყოფნა“).. თხულ ჰარათუ უყ-უ „მომცილდი თავიდან!“ (შდრ ბ-უყ-ან
 „მოცილება“)... ანავარნუ ლიკ-უ, ბაკ ხასხალ ბა „სწრაფად გაიქეც, თავს უშ-
 ველი!“ (შდრ. „ლიკ-ან გაქცევა“)... ჰანთსა იკ-უ, კანუნ ლახ-უ-უ „რომელ ქვე-
 ყანაშიც მოხვდე, იმათი ქული დაიხურე!“¹⁴ (შდრ. ლაშ-ან „დამსგავსება“¹⁵)...
 ლჩჩ-უ, ავთარიჟ ჰალ შარა „გაიქეცი, თორემ დააგვიანებ“ (შდრ. ლჩჩ-ან „გაქ-
 ცევა“)... თხუწუნ ლაჰ-უ „მე ჩამეკიდე!“ (შდრ. ლაჰ-უნ „ჩაჰიდება“)... ბათ
 ხ-უ „გასწი, გაეთრიე!“ (შდრ. ხ-უნ „გახდომა“)... შიქშუნ ბ-აჩ-უ „მოდი
 აქეთკენი!“ — ეტყვიან გოგონას (შდრ. ბ-აჩ-ის „სვლა“)...

ცხადია, ლაკურში ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალ-
 თობა ბრძანებითში გარჩეული ყოფილა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როცა ლაკურში
 ერთი და იმავე ზმნის ძირისაგან ნაწარმოები ფორმა ხან გარდამავალია, ხანაც

გარდაუვალი, მაშასადამე, ლ ა ბ ი ლ უ რ ი ბუნებშია¹⁷. ვნახოთ სათანადო საი-
ლუსტრაციო მასალა:

1. ით-ან (ბ-, დ-) „დატოვება“ : ინა შავა ით-უ „შენ შინ დარჩი!“; შდრ. ცალსხა ნა ით-ი „ჩერჯერობით დამტოვე!“... კივავუ მა ბ-ით-ა „თვალი გეპი-
როს, ოთხი თვალი გამოისხი!“¹⁷.

3. უსლარი იცნობს მხოლოდ ით-უ ფორმას, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ ამ ზმნის გამოყენების სფერო ფართოა და არ შეიძლება ამ მცირე მაგალითე-
ბის მიხედვით მასზე მსჯელობაო¹⁸.

2. უწ-ინ (ბ-, დ-) „გავსება“ : უწ-უ „ავსე!“; შდრ. ურშა ბ-უწ-ი შინალ
„სურა წყლით აავსე!“... თხიგუ ბ-უწ-ა სთაქან ჩაფლულ „დაასხი კიდევ ერთი
კიქა ჩაი!“¹⁹.

3. იშ-ინ (ბ-, დ-) „დადება“, „მოთავსება“ : იწ-უ „მოთავსდი!“; შდრ. ცალ
ვიტი დ-იშ-ა, მაღა ბუსი ჩქერ მოისმინე (ზედმწ. „ჩერ ყური დადე“) შემდეგ
ილაპარაკე!“.

3. უსლარი იშ-ა ფორმის გვერდით აჩვენებს იშ-ი ფორმასაც, ოღონდ, საი-
ლუსტრაციო მასალის გარეშე²⁰.

4. უქშ-ან (ბ-, დ-) „გასვლა“, „ამოღება“ : უქშ-უ შივა „გადა აქედან!“.
შდრ. სთაქვან ბ-უქშ-ი, თხულ არს „საპონი გამოიღე, ჩემო ბიჭო, შვილო!“

5. ი-ტ-კ-ან—ი-ტ-კ-ან²¹ (ბ-. დ—რ) „მოკვლა“, „სიკვდილი“ : ინავა
ი-ტ-კ-უ, შხარ თხუნ დ-ულ-ა „შენ თვიო მოკვდი, ცოლი კი მომეც!“ (ამბობენ,
როცა შეუძლებელს ითხოვენ); შდრ. არს, ცუ ნინუ დ-ი-რ-ჰ-ა „შვილო, თვით
დედა მოკალი“²²

6. ბ-უყ-ან (დ-, Ø-) „ჩამოცლა“... „გაპარსვა“ : ხუღლითა ბ-უყ-უ „გზი-
დან ჩამომეცალი!“; შდრ. მათხუ ბ-უყ-ი „ცხვარი გაპარსე!“.

3. უსლართან ეს ზმნა მხოლოდ „ჩამოცილება“-ს მნიშვნელობითაა: ვნ ზნთ
შიჩხა დ-უყ-ა „მოაცილე ეს (რადაც) აქედან!“²³.

7. ბ-ახხ-ან (დ-, Ø-) „გაყიდვა“ : ახხ-უ „გაიყიდე (თავი)!“ შდრ. ვნ ჩიუ
ბ-ახხ-ი „ეს ცხენი გაყიდე!“

3. უსლარს ამ ფორმათა გვერდით მოჰყავს ბ-ახხ-ა „გაყიდე!“ ფორმაც²⁴.

8. ლაქ-ან „ადგომა“, „დაკიდება“ : ლაქ-უ „დაეკიდე!“; შდრ. მუ ბაან
ჭირთაან ლაქ-ი „ის განცხადება დაკიდე კედელზე (ყენ)“.

9. ბ-უჰ-ან (დ-, Ø-) „დაჭერა“, „დარგვა“ : უჰ-უ „დაჭერილ იყავ!“ შდრ.
დუს უვა დაქ ტაფლასხა, მურხ ბ-უჰ-ი ჩურხ ტაფლასხა „მეგობარი გაიჩინე
გულწრფელი, ხე დარგე აშოლტილი!“

3. უსლართან დასტურდება უჰ-ა ფორმაც²⁵.

10. ათხ-ან (ბ-, დ-) „ცემა“ : ათხ-უ „ნაცემ იყავ!“; შდრ. ინა ქსაჩხო
ბ-ათხ-ა „შენ ძალი ცემე!“.

3. უსლართან გვხვდება ბ-ათხ-ი ფორმაც²⁶.

11. იზ-ან (ბ-, დ-) „ადგომა“, „დადგმა“ : იზ-უ (ბ-, დ-) „ადექი!“; შდრ. მუ
ჩხანგუ ბ-იზ-ა „ეგ ფეხიც დამადგი!“.

3. უსლარი ამ ფორმებს გარდა იცნობს, აგრეთვე, ბ-იზ-ი ფორმასაც²⁷.

ასევეა უჩინ „თქმა“, ბ-აშინ „დაგვა“, ბ-აყინ „შემოყვანა“, „შეგდება“,
„მოკაზმვა“, ბ-ად-ბ-იშინ „დაწყება“, „ლჯინი“ „პოვნა“, „მოსწრება“, „მოხელ-
თება“, „შოუნ მოხვედრება“, „დარტყმა“, „დაკარება“, „შაშან ხხარშვა“ და სხვა
ზმნებთანაც.

ლაკურში ზმნის ლაბილური ბუნება მკვლევარებს შენიშნული აქვთ. ეს

ენება ისეთ საპეციფიკურ შემთხვევებს, როცა სუბიექტი გარდამავალ ზმნებთან ერგატიული ბრუნვის ნაცვლად სახელობითში გვხვდება²⁸. აქ წარმოდგენილი მასალა კი იმავე საკითხს სვამს შორფოლოგიურ დონეზე.

ის, რაც სინტაქსურ დონეზე იყო განხილული, აქ მორფოლოგიურ დონეზე გამოვლინდა.

მართალია, ბ. უსლარი ზემოთ განხილულ შემთხვევებში ხედავდა მხოლოდ მოქმედებითი და ვნებითი გვარების მნიშვნელობებს, მაგრამ ამით მან ფაქტიურად პირველმა დაინახა ზმნის ლაბილური ბუნება, თუმცა ახსნა არ უცდია.

ზემოთ წარმოდგენილი ფორმები მოწმობენ ლაკურში ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობის ადრინდელ მორფოლოგიურ გარჩევას. ამას კი, როგორც ცნობილია, წინ უსწრებდა ისეთი მდგომარეობა, როცა ზმნა გარდამავლობა-გარდაუვალობის თვალსაზრისით ნეიტრალური იყო. ლაკურში -ა, -ი და -უ მორფემებით გარდამავლობა-გარდაუვალობის მორფოლოგიური გარჩევა ბრძანებითის ფორმებში უკვე ენის განვითარების შემდგომ საფეხურს ნიშნავს: აქ ხდება ზმნის სტაბილიზაცია — -ა, -ი მორფემიანი ფორმები გარდამავალია. -უ მორფემიანი — გარდაუვალი.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლაკურში დადასტურებული ერთი ფაქტიც — დიურატულ ფორმათაგან ნაწარმოებ ბრძანებითში²⁹, სულ ერთია, ზმნა გარდამავალია თუ გარდაუვალი, ბრძანებითობის მორფემად მუდამ -უ წარმოიხსნება:

ა) გარდამავალ ზმნათა დიურატულ ფორმებში: ჩიჩ-ლან „წერა“ — ჩიჩ-ლან-ჩ-უ „წერე ხოლმე!“; ლას-ლან „(ა)ღება“ — ლას-ლან-ს-უ „იღე ხოლმე!“; ბ-უწ-ლან „(ა)ვსება“ — ბ-უწ-ლან-წ-უ „(ა)ვსე ხოლმე!“; ბ-ით-ლან „(და)ტოვება“ — ბ-ით-ლან-თ-უ „(და)ტოვე ხოლმე!“.

ბ) გარდაუვალ ზმნათა დიურატულ ფორმებში: ბ-იკ-ლან „ყოვნა“ — ბ-იკ-ლან-კ-უ „იყავ ხოლმე!“; ბ-იზ-ლან „ადგომა“ — ბ-იზ-ლან-ზ-უ „ადექი ხოლმე!“; ბ-უყ-ლან „(მო)ცილება“ — ბ-უყ-ლან-ყ-უ „(მო)მცილდი ხოლმე!“; ლაქ-ლან „(ჩა)კიდება“ — ლაქ-ლან-კ-უ „(ჩა)ეკიდი ხოლმე!“...

გ) შინაარსით დიურატულ ზმნათა ბრძანებითში: წუნ „ავადმყოფობა“, „ტივილი“ — წუნ-წ-უ „ავადმყოფე ხოლმე!“; ზანან „სიარული“ — ზანან-ზ-უ „იარე ხოლმე!“; ტუნ „ლაპარაკი“ — ტუნ-ტ-უ „ილაპარაკე ხოლმე!“; ნან „სიარული“ — ნან-ნ-უ „იარე ხოლმე!“, „მოდი ხოლმე!“; ცულუნ-ც-უ „თიბვა“ — ცულუნ-ც-უ „თიბე ხოლმე!“...

რატომაა, რომ გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათაგან ნაწარმოებ ბრძანებითის ფორმებში ერთი და იგივე, გარდაუვალ ზმნათა ბრძანებითში დადასტურებული -უ მორფემა აღმოჩნდა?

ალბათ იმიტომ, რომ -ლ(ა) მორფემიანი დიურატული ფორმები ლაკურში წარმოშობით არაა დიურატული. -ლ(ა) მორფემის ერთ-ერთი ადრინდელი ფუნქცია გარდამავალ ზმნათაგან გარდაუვალს წარმოება ჩანს, დიურატულილობა შექცენილია. -ლ(ა) მორფემიანი ფორმები შინაარსით აქტიური, მაგრამ ფორმით პასიურია. აქი გამოაჩნდა ბრძანებითში გარდაუვალ ზმნათათვის დამახასიათებელი -უ მორფემა.

მასალაზე, -უ გარდაუვალ ზმნათა მორფოლოგიური ნიშანია, შემორჩენილი ბრძანებითში. მაშინ -ა და -ი გარდამავლობის მორფემებად უნდა დავსახოთ.

§ 3. ამ ვარაუდს მხარს უჭერს სხვა მომენტიც.

დღეს სამწერლობო ლაკურ ენაში ე. წ. ნამყო სრული კატეგორიული მხოლოდ გარდამავალ ზმნას გააჩნია, ისიც ოდენ პირველ პირში³⁰. მეორე და მესამე პირის ფორმები შევსებულია სათანადო საუღვლებელი ზმნის აორისტის ფორმებით ორსავე რიცხვში:

ნა ათხ-ა-ჟ „მე შენ გცემე“

მაგრამ: ინა ა-ჟ-თხ-უნ-ნა ნა „შენ მე მცემე“

„ ა-ჟ-თხ-უნ-ნი თა „შენ ის ცემე“

თანაღ ა-ჟ-თხ-უნ-ნა ნა, ინა „მან მცემა მე“, „მან გცემა შენ“

„ ბ-ა-ჟ-თხ-უნ-ნუ ჟუ, ზუ „მან გვცემა ჩვენ, „მან გვცემათ თქვენ“ და სხვ.

მართალია, -ა-ჟ დაბოლოება აქ ოდენ პირველ პირს აღმოაჩნდა, მაგრამ კითხვით ფორმებში იგი მეორე პირშიც დასტურდება. მხოლოდ ერთი ნიმუში: ინა დარს ლახ-ა-ჟ „შენ გაკვეთილი დაისწავლე?“ — ლახ-ა-ჟ „დავისწავლე“³¹.

ე. წ. აკრძალვით ფორმებში კი ეს დაბოლოება მეორე პირში პ. უსლარის მონოგრაფიაშიცაა დაცული: მა-ბ-ა-ჟ „ნუ გააკეთებ!... მა-ი-ა-ჟ „ნუ ხარ!“³².

ასეთი ფორმები დასტურდება დღეს ვიხლიური, ვიცხაური და არაქული მეტყველებების³³, ჩვეულებრივია იგი აშთიკულურშიც³⁴. ამ უკანასკნელში -ა-ჟ მესამე პირშიაც გვხვდება: მა-ათხ-ა-ჟ „ნუ ცემ!“ — მა-ათხ-ა-ჟ-ჩა „დაე ნუ ცემს!“³⁵ ერთი სიტყვით, ეს -ა-ჟ დაბოლოება სამსავე პირშია.

-ა-ჟ დაბოლოების -ა-, კატეგორიულ პერფექტში მხოლოდ გარდამავალ ზმნათა ორდინარულ ფორმებში რომ გვაქვს, სათანადო ზმნათა მრ. რიცხვის ფორმებშიც დასტურდება: ეუ ათხ-ა-რ-დუ ინა „ჩვენ გვცემთ შენ“... ეუ ჩიჩ-ა-რ-დუ „ჩვენ დაეწერეთ“ და სხვ.

თუ ეს -ა- მორფემა აქ მართლაც გარდამავლობისაა, მაშინ ბრძანებითში დადასტურებული -ა- მას ამ თვალსაზრისითაც დაუჭერდა მხარს: ბრძანებითის მრ. რიცხვშიც იგივე -ა- წარმოჩნდება ხოლმე: ჩიჩ-ა „დაეწერე!“ — ჩიჩ-ა-რა „დაეწერეთ!“; -უწ-ა „გაავსე!“ — ბ-უწ-ა-რა „გაავსეთ!“; დ-უტ-ა „დაასხი!“ — დ-უტ-ა-რა „დაასხით!“...

ნამყო სრულ კატეგორიაში -ა- მორფემა უშუალოდ ზმნის ძირის მომდევნოდაა, ასეთივეა ბრძანებითის ფორმებში -ა-ს ადგილი.

ჭერ კიდევ პ. უსლარი შენიშნავდა, რომ პირის დაბოლოებანი გარდამავალ ზმნათა ბრძანებითში სუბიექტზეა დამოკიდებული, ზმნაში უახლოესი ობიექტისა მხოლოდ გრამატიკული კლასი აღინიშნებაო³⁶.

ნამყო სრულ კატეგორიულშიც პირის დაბოლოება პირველ პირში სუბიექტისაა, უახლოესი ობიექტისა აქაც მხოლოდ კლასია აღნიშნული.

ერთი სიტყვით, ბრძანებითში გარდამავალ ზმნებთან გამოყენებული -ა მორფემა და ნამყო სრულ კატეგორიულში გარდამავალ ზმნებში გამოვლენილი -ა- მასალობრივადაც იდენტური აღმოჩნდა და ფუნქციურადაც. ეს ალბათ იმიტომ, რომ ნამყო სრული კატეგორიული და ბრძანებითი შინაარსობლივადაც აბლოს არიან ერთმანეთთან: კატეგორიულობა ბრძანებითის დამახასიათებელია ხოლმე.

მართალია, დღეს ამ -ა-ს ნამყო სრულ კატეგორიულში დროის გამო-

ხატვა აკისრია, მაგრამ იგი ამ ფუნქციით მეორეული უნდა იყოს — შედეგი -ა- მორფემის ოდინდელი ფუნქციის რეინტერპრეტაციისა³⁷.

თუ ნამყო სრულ კატეგორიულში დადასტურებული -ა- მორფემა გარდამავლობის მორფოლოგიური ნიშანია, რაღაა გარდაუვალობისა?

გარდაუვალ ზმნათა პერფექტის ფორმები მთლიანად ნასესხები ახ: პირველი პირის ფორმები ნამყო არქაულიდანაა, ხოლო მეორისა და მესამისა — აორისტიდან. მაშასადამე, გარდამავალ ზმნათა ნამყო სრული კატეგორიულის ანალოგიური ფორმები გარდაუვალ ზმნებს აღარ შემორჩენიათ. ამდენად, კვალი პერფექტის ფორმებში გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა მორფოლოგიური გარჩევისა წაშლილა.

§ 4. ლაკურის ახლომონათესავე დარგულ ენაში გარდამავლობა-გარდაუვალობის მორფოლოგიურ გარჩევაზე მიუთითებენ ორდინარულ ფორმებშიაც. 1949 წ. ერთ თავის გამოქვეყნებულ სტატიაში ს. აბდულაევი მიუთითებდა³⁸, რომ დარგული ენის ურახულსა და ახუშურ დიალექტებში -ხ და -დ პირის ნიშანთა წინა ხმოვნები (ა, ი, უ) განარჩევენ ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობას: -ა- და -ი- გარდამავალ ზმნათა ფორმანტია, ხოლო -უ- — გარდაუვალებისა:

პირველ პირში: ნუნი ით ვალ-ა-ს „მე მას ვიცნობ“... ნუნი თაბთარ ქაჰს-ი-ს. მე წიგნს ავიღებ“; ნუ უქ-უ-ს „მე ვისწავლი“.

მეორე პირში: ჰოუნი ით ვალ-ა-დ „შენ მას იცნობ“... ჰოუნი თაბთარ. ქაჰს-ი-დ „შენ წიგნს აიღებ“; ჰოუ უქ-უ-დ „შენ ისწავლი“...

ურახულში კი ასეთი დაპირისპირება შეიმჩნევა პირობითი კილოს ფორმებშიც³⁹.

1954 წ. გამოცემულ „დარგული ენის გრამატიკაში“ კი, იმავე ავტორის აზრით, „ფორმის თვალსაზრისით გარდამავალი ზმნა გარდაუვალისაგან ახუშურ დიალექტში განსხვავებულია მხოლოდ მომავალ კატეგორიულ დროსა და ბრძანებით კილოში. სხვა დროებსა და კილოებში გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები თავისი მორფოლოგიური აგებულებით ერთნაირია“⁴⁰.

მართალია, -ა და -ი ორივე გარდამავლობის მორფემა გამოდის, მაგრამ რომელი როლის გამოიყენება, ან არის თუ არა მათ შორის ფუნქციური სხვაობა, ჯერ არ არის დადგენილი, — შენიშნავს ს. აბდულაევი⁴¹. იქვე ისიცაა ნათქვამი, რომ გარდამავლობა-გარდაუვალობის გარჩევა დარგულში ბოლომდე თანმიმდევრულად არაა გატარებული. კერძოდ, ბრძანებითში -ი მორფემა ზოგჯერ გარდაუვალ ზმნებთანაც დასტურდება⁴²: ბერ-ი „გახში!“... ვაკ-ი „მოღი!“... აკ-ი „წარმოიქმენ!“...

მეორე დარგული მკვლევარი ზ. აბდულაევი მარტივი მომავალი დროის ფორმათა ანალიზის საფუძველზე ასკენის, რომ მესამე პირის დაბოლოებათა წინა უ, ა, ა ხმოვნები გარდამავლობის მაჩვენებელია⁴³ და რომ „ამასთან ერთად I და II პირის ფორმები არ არიან გულგრილი გარდაუვალ და გარდამავალ მნიშვნელობათა დიფერენციაციის გამოხატვაში. პირის ნიშნებად აქ გამოდიან -ს (I პ.) და -დ (II პ.). მათ წინ ი, ა, ა დეტერმინატებია, რაც, აგრეთვე, გარდამავალი მნიშვნელობის ნიშანია“⁴⁴.

თუკი ესენი წარმოადგენენ „გარდამავალი მნიშვნელობის ნიშნებს“, მაშინ, რა თქმა უნდა, რას დავარქმევთ მათ, თემატურ დეტერმინატებს თუ თემა-

ტურ ხმოვნებს⁴⁵, სულ ერთია, ცსინი გარდამავლობის მორფოლოგიური ნიშნებია — დღეს მაინც.

ზ. აბდულაევის აზრითაც, ზმნის გარდაუვალობა-გარდამავლობა დარგულენაში განირჩევა ბრძანებითშიც. სამწერლობო ენაში „ა, ა სუფიქსებს შეუძლიათ გამოხატონ ბრძანებითი კილოს ფორმა მხოლოდ გარდამავალი მნიშვნელობისა, ე (ე, ა) ნ კი — როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი მნიშვნელობის ზმნათა ბრძანებითი კილოს ფორმები“⁴⁶.

ორდინარულ ფორმებთან საერთო -ა ელემენტი ბრძანებითშიც გამოვლინდა — გარდამავლობის ფორმანტი. თუმცა გარდამავლობა-გარდაუვალობა ბრძანებითში აქ ლაკურთან შედარებით არცთუ თანმიმდევრულადაა გარჩეული.

დარგული ენის კუბაჩურ დიალექტშიც პირველი უღვლილების ზმნებს ბრძანებითში გარდამავლობის ნიშნად -ა მოუღის, გარდაუვალებს — -ი⁴⁷:

ბწყ-ა „გააკეთე!“; ბწყ-ა „აკეთე!“...

ბუტ-ა „გაყვიე“, „გაანაწილე!“; ბუტ-ა „ყვიე“, „ანაწილე!“

შდრ.: ჟწყ-ე „იმუშავე!“

ჟიბჭ-ე „მოკვდი!“; უბჭ-ე „(მო)კვდი!“

ჟიდიჟ-ე „ოცეკე!“

გარდამავლობა-გარდაუვალობა ასე არაა გარჩეული მეორე და მესამე უღვლილების ზმნებში.

აღნიშნული დაპირისპირება დაცულია ბოთლიხურ ენაში, სადაც „გარდაუვალი ზმნები ი ფორმანტს იღებენ, გარდამავლები კი ა-ს“. მაგალითად⁴⁸: განდ-ა „მოსწიე!“... ქვარდ-ა „წერე!“... ბით-ა „დაკარგე!“... ჯამდ-ა „ჭამე!“... შდრ.: ბილ-ი „დადექ!“... ბით-ი „დაიკარგე!“... კილ-ი „უყურე!“... ინქუ-ი „ჭამე!“ (გარდაუვ.)...

მართალია, რიგს ხუნძურ-ანდიურ ენაში ეს დაპირისპირება მთლიანად არაა გატარებული⁴⁹, მაგრამ ძირითადად იგი მაინც დაცულია.

ხუნძურ-ანდიურ ენათაგან ხუნძურია გამონაკლისი, სადაც გარდამავალ ზმნას ბრძანებითში -ე მორფემა აქვს, ხოლო გარდაუვალ ზმნებში — -ა. ჰამალალურსა, ახვახურსა, ლოდობერიულსა, ტინდიურსა, ბაგვალალურსა, ბოთლიხურსა და კარატაულ ენებში გარდამავალ ზმნებში ერთი მორფემაა ბრძანებითში — -ა, როცა გარდაუვალში რამდენიმეა (-ა-ზე, -ი, -ი-ზე, -ი)⁵⁰. ამათგან ერთგვარ გამონაკლისს ქმნის თითქოს ანდიური, სადაც ბრძანებითში გარდამავალ ზმნებს -ო მორფემა აქვთ (გარდაუვალებს კი — -ო-ბ), მაგრამ ეს -ო მეორეულია — მიღებული -ა-საგან⁵¹.

ლაკურ-დარგულ ენებს გარდამავალ ზმნათა ბრძანებითში საერთო -ა, -ი მორფემები აღმოაჩნდათ. ხუნძურ-ანდიურ ენათათვისაც იდენტურ შემთხვევაში საერთო -ა გამოვლინდა⁵², რაც, ბუნებრივია, სვამს საკითხს, ხომ არ იყო ამ ენებში -ა საერთო მორფემა — ისტორიულად გარდამავლობის ფორმანტი.

გარდამავლობა-გარდაუვალობის გარჩევა ბრძანებითში ცნობილია, აგრეთვე, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც. ასეა, მაგალითად, აფხაზურ-ადიღურ ენათაგან აფხაზურში⁵³, დაღესტნურ ენათაგან დიდოურში⁵⁴...

§ 5. თუ ლაკურის მხ. რიცხვში გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა ბრძანებითი მორფოლოგიურად იყო გარჩეული, მრ. რიცხვში ეს ბოლომდე

არაა გატარებული. მართალია, მხ. რიცხვში დადასტურებული გარდამავლობის -ა ფორმანტი მრ. რიცხვშიც გადაწყვება⁵⁵, მაგრამ ეს არ ითქმის გარდაუვალობის -უ მორფემაზე, ერთი მხრივ, და გარდამავლობის -ი მორფემაზე. მეორე მხრივ. ამიტომ ლაქურში მრ. რიცხვში ბრძანებითის ორი შემთხვევაა გასათვალისწინებელი: I. -ა მორფემიანი მრ. რიცხვი და II. -ი მორფემიანი მრავლობითი.

1. -ა მორფემიანი ბრძანებითი. -ა მორფემიანი მრავლობითი სათანადო მხოლოდობითისაგანაა ნაწარმოები -რა მორფემის დართვით. ასე რომ, -რა ელემენტს, წარმოშობით ფინიტური მნიშვნელობის მქონეს, აქ დ ა მ ა ტ ე ბ ი თ რიცხვის აღნიშვნაც ეკისრება:

ვიპი დ-იშ-ა-რა „ყური დამიგდეთ!“ (შდრ. დ-იშ-ა „დადი!“)... რვი-ა-რა, რვი-ა-რა მურკი ქამალლუდ „მოუხმეთ, მოუხმეთ ბრმა ქამალს“⁵⁶ (შდრ. რვი-ა-რ „მოუხმე!“ „დაუძახე!“)... ზუ თუხ მაქრუ ბარუ, ცამა უც-ა-რა „თქვენ შემატყუებთ. სხვა მიიწვიეთ!“⁵⁷ (შდრ. უც-ა „მიიწვიე!“)... ჰუხხიაღუ ბა ანმა რლლუ ბ-ით-ა-რა „უმწყემსებოდ ძროხები დატოვეთ!“⁵⁸ (შდრ. ით-ა „დატოვე!“)... არცულ ბარუ ბ-ა-რა შაჰრულულ ლაგმა „ვერცხლის ციხე-ქიმაგრის კედელი ააშენეთ!“ (=გააკეთეთ!)⁵⁹ (შდრ. ბ-ა „გააკეთე!“)... ჰუნ დ-ულ-ა-რა „მიეცით დრო!“ (შდრ. დ-ულ-ა „მიეცე!“)...

2. -ი მორფემიანი ბრძანებითი. დღეს სამწერლობო ლაქურში -ი მორფემიანი ბრძანებითი მრ. რიცხვში ახასიათებს არა მარტო იმ ზმნებს, რომლებსაც მხ. რიცხვის ბრძანებითში -ი აქვთ, არამედ ყველა გარდაუვალ ზმნასაც. მაშასადამე, აქ გარდამავლობა-გარდაუვალობა ბოლომდე თანმიმდევრულად გატარებული არაა.

-ი მორფემიანი ბრძანებითი გარდამავალ ზმნებში: ბ-ატ-ი-მა-რა, ვირთხალ ლიეტუ — ბიეშუშიმა... „შეაგროვეთ, გმირებმა მკვდრები და დაჭრილები...“⁶⁰ (შდრ. ბ-ატ-ი „შეაგროვე!“)... ვა ლუ ბ-უქ-ი-მა-რა „ვეგ წიგნი წაიკითხეთ!“ (შდრ. ბ-უქ-ი „წაიკითხე!“)... ურშა შინალ ბ-უწ-ი-მა-რა „სურა წყლით გაავსეთ!“ (შდრ. ბ-უწ-ი „გაავსე!“)... ჩხატ ბ-უქ-ი-მა-რა „ბური შექამეთ!“ (შდრ. ბ-უქ-ი „შექამე!“)...

-ი მორფემიანი ბრძანებითი გარდაუვალ ზმნებში: ვიხნუ ბ-იკ-ი-მა-რა „დარწმუნებული იყავით!“ (შდრ. ბ-იკ-უ „იყავე!“)... ქუნნაჰა-ქუე მანზი-მან-ზინდანია ბ-აწ-ი-მა-რა „ერთი ერთურთისაგან მანძილ-მანძილზე (=დაცურლებით) იდექით!“ (შდრ. ბ-აწ-უ „იდექი!“)... ბ-აჩ-ი-მა-რა კამალუ ბანხუ „მოდით, გაგმისპინძლდებით!“ (შდრ. ბ-აჩ-უ „მოდით!“)... ცინავ ბილაათირთხალ ფროლეთართალ, ცა ხ-ი-მა-რა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ (შდრ. ხ-უ „გახდი!“)... თიქუენ ბ-ურგ-ი-მა-რა „იქით ნახეთ!“ (შდრ. ბ-ურგ-უ „შეხედე!“)... შიჩა ნას-ი-მა-რა „აქედან გასწით!“ (შდრ. ნას-უ „წადი!“)...

ბ-ატ-ი-მა-რა, შეაგროვეთ!“... ბ-იკ-ი-მა-რა „იყავით!“... ფორმათა გვერდით ჩვეულებრივია (და ზოგჯერ უფრო გავრცელებულიც) ბ-ატ-ი, ბ-იკ-ი და მისთანა ფორმები -მა-რა დაბოლოებაჩამოცილებული. გამარტივებული ფორმები მეორეულია, რადგან მრავლობითობა სწორედ -მა-რა ფორმანტს აკისრია, რომელშიც -რა ჩვეულებრივი ფინიტურობის აფიქსია, ხოლო -მა- მორფემა მრავლობითობის გამომხატველია.

-მა მრ. რიცხვის მაწარმოებელია ბრძანებითის ფორმებში დარგულ-

შიც, სადაც იგი ბრძანებითის მხ. რიცხვში გამოვლენილ -ა, -ა, -ა, -ენ მორფემებს დაერთვის⁶¹.

როგორც ჩანს, გარდაუვალ ზმნებში ბრძანებითში დადასტურებულ -უ აფიქსზე -აა-ს დართვისას -უ+-ა-ა-ა-ა (ასიმილაციით), რის შემდეგ გარდაუვალ ზმნათა -ა-ანი ფორმა დამთხვევითა გარდამავალი ზმნის სათანადო ფორმას. მაშასადამე, მრ. რიცხვში ბრძანებითის ფორმათა ზემოთ აღნიშნული გაუდიფერინცირებლობა მეორეული აღმოჩნდა — შედეგი გარკვეული ფონეტიკური პროცესისა.

და მაინც, გამოდის, რომ ბრძანებითი სხვადასხვაგვარად ეწარმოებათ, ერთი მხრივ, -ა მორფემიან გარდამავალი ზმნის ფორმებს, ხოლო, მეორე მხრივ, -ო მორფემიანებს. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი.

-ა მორფემიანი ბრძანებითი გარდამავალ ზმნათათვის უფრო ძველია, -ო მორფემიანი შედარებით ახალი.

-ა მორფემიანი ბრძანებითი იმ ხნოვანი ჩანს, როცა ენაში მრავლობითობის გამოსახატავი სპეციალური მორფემა არცა გვექონდა. მის მაგივრობას ეწეოდა გრამატიკული კლასი. -ო მორფემის შედარებით სიახლესა და -ა-ს სიძველეს ამ უკანასკნელის რიგს დალესტნურ ენაში დემონსტრაციული არსებობაც უნდა მოუთითებდეს.

-ო გარდამავლობის ფორმანტად ლაკურისა და დარგულის საკუთარი მოვლენაა, როცა -ა საერთო ჩანს ლაკურ-დარგულ-ანდიურ ენათათვის მაინც.

შენიშვნები და დამოწმებანი

¹ ქართულსა და სვანურში, მაგალითად, მართალია, უახლოესი ობიექტი პირველ სერიაში მიცემითაა ხოლმე, მაგრამ ეს მეორეულია. მეორე სერიაში, რომელიც გარდამავალ ზმნებში ყველაზე ძველი წარმოებისაა, უახლოესი ობიექტი სახელობითია. ამის შესახებ იხ.: არჩ. ჩიკობავა, К вопросу о переходности, как морфологической категории в грузинском языке, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, IV, თბ., 1977, გვ. 10—11.

² არჩ. ჩიკობავა, დასახ. შრ., გვ. 11.

³ იქვე.

⁴ Г. Б. Муркелинский, Грамматика лакского языка, Махачкала, 1971, გვ. 232. მისივე: О глаголах переходных и непереходных в лакском языке, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, IV, თბ., 1974, გვ. 211.

⁵ П. К. Услар, Лакский язык, Тифлис, 1890, გვ. 171; Л. И. Жирков, Лакский язык, Москва, 1955, გვ. 118; С. М. Хаядаков, Очерки по лакской диалектологии, Москва, 1966, გვ. 155.

⁶ დ — II, IV გრამატ. კლასებისათვის, ბ — III გრამატ. კლასისათვის, ღ — I გრამატ. კლასისათვის.

⁷ საილუსტრაციო მასალა ამოღებული კრებულიდან «Лакрал лакхи балайрду» («ლაკური ეპიკური სიმღერები»), ამირდულ ზაზა, Махачкала, 1969, გვ. 22.

⁸ ჩვენი ჩანაწერიდან. პ. უსლართან დასტურდება ყუყ-ი «დაქვარ»-ი ფორმა (Лакский язык, გვ. 340).

⁹ Л. Толстой, Оьрчинсса хаварду («საბავშვო მოთხრობები»), ფილ («სპილო»), Махачкала, 1958, გვ. 23 (ლაკურ ენაზე).

¹⁰ ზედმიწ. «ბალი ნუ კითხვობ, ყურძენი კამე!»

¹¹ ძარუ ლუპი აშურა («შეთვალა აშურა»), დასახ. კრებულიდან, გვ. 86.

¹² П. К. Услар, დასახ. შრ., გვ. 171.

¹³ Л. И. Жирков, დასახ. შრ., გვ. 118.

¹⁴ ზედმიწ. «დღე-ღამე იყავ, ადგილს ემსგავსე!»

- ¹⁵ ლაშვანი—* ლახანი; ში—ხ ა და ე ხმოვნების წინ ლაკურში ცნობილი ფონეტიკური პროცესია.
- ¹⁶ ასეა, მაგალითად, ბრძანებითის ფორმათა წარმოებისას ბოთლიხურშიც: ა) გარდაშავალი — ბითა „დაქარვე“ ... ბერახე-ა „დაწვიენ“!... ბ) გარდაუქალი — ბითა „დაქარვე“... ბერახე-ა „დაწვი“... (ტ. გულავა, ბოთლიხური ენა, თბ., 1968, გვ. 118).
- ¹⁷ ზედმიწ. „ორივეც თვალი დატოვე“
- ¹⁸ П. К. Услар, დასახ. შრ., გვ. 364.
- ¹⁹ Г. Б. Муркелинский, Русско-лакский словарь, Махачкала, 1953, გვ. 161. ზედმიწ. „კიდევ გაავსე კიქა ჩითი“
- ²⁰ П. К. Услар, დასახ. შრ., გვ. 287.
- ²¹ ლაკურში კ—ჰ ა და ე ხმოვნების წინ ცნობილი ფონეტიკური პროცესია.
- ²² კუნაძნალ სულთან, დასახ. კრებულოდან, გვ. 70.
- ²³ П. К. Услар, დასახ. შრ., გვ. 359.
- ²⁴ იქვე, გვ. 245.
- ²⁵ იქვე, გვ. 358.
- ²⁶ იქვე, გვ. 243.
- ²⁷ იქვე, გვ. 283.
- ²⁸ С. М. Хайдаков, Значение временных форм лакского языка, АКД, Москва, 1953, გვ. 8; Л. И. Жирков, Лакский язык, გვ. 139; Г. Б. Муркелинский, Грамматика лакского языка, გვ. 179.
- ²⁹ რომელიც, როგორც წესი, ძირეული თანხმოვნის (და არა მთლიანი ფუძის) რედუქციაციითაა ხოლმე ნაწარმოები. მსგავსადაა, მაგალითად, ნაწარმოები ბრძანებითი ლეზგოურშიც ბრძანებითის წარმოების IV ჯგუფში (ამის შესახებ იხ.: ვ. თოფურია, ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები, თბ., 1959, გვ. 47—49).
- ³⁰ Н.-И. С. Джидалаев, Категории грамматического класса и лица в лакском языке, АКД, Баку, 1965, გვ. 13.
- ³¹ С. М. Хайдаков, Значение временных форм лакского языка, გვ. 12.
- ³² П. К. Услар, დასახ. შრ., გვ. 101.
- ³³ Г. Б. Муркелинский, Краткие сведения о вихлинском диалекте лакского языка, კრებულში: «Языки Северного Кавказа и Дагестана», II, М.-Л., 1949, გვ. 100—101; С. М. Хайдаков, Очерки по лакской диалектологии, გვ. 178.
- ³⁴ Г. Б. Муркелинский, Говоры аштикулинского диалекта лакского языка, УЗИИЯЛ им. Г. Цадасы Даг. фил. АН СССР, т. XI, Махачкала, 1962, გვ. 24.
- ³⁵ Н.-И. С. Джидалаев, Некоторые вопросы личного спряжения в лакском языке, УЗИИЯЛ им. Г. Цадасы Даг. фил. АН СССР, т. XII, Махачкала, 1964, გვ. 68.
- ³⁶ П. К. Услар, დასახ. შრ., გვ. 155.
- ³⁷ მართალია, ატ დაბოლოება გარდაუვალ ზმნათა აკრძალვით ფორმებშიც დასტურდება, ასევე როგორც სხვა ნაკეთში, მაგრამ ამ უკანასკნელებში მისი პირის დაბოლოების ფუნქციით გამოყენება შეეორეულა.
- ³⁸ С. Абдуллаев, Спряжение даргинского глагола по лицам, Труды второй научной сессии Дагестанской Базы Академии наук СССР, Махачкала, 1949, გვ. 174.
- ³⁹ აქ მოყვანილი საილუსტრაციო მასალაც ამ ნაშრომიდანაა, იქვე, გვ. 174.
- ⁴⁰ С. Абдуллаев, Грамматика даргинского языка, Махачкала, 1954, გვ. 167 (დაყოფა ჩვენია — გ. ბ.).
- ⁴¹ С. Абдуллаев, Спряжение даргинского глагола по лицам, გვ. 175.
- ⁴² იქვე.
- ⁴³ ზ. აბდულაევის საილუსტრაციო მასალის მიხედვით 5 ვარიანტია ა-სი 3^მ, 3^მ, 3^მ ფონემათა მეზობლად.
- ⁴⁴ З. Г. Абдуллаев, Субъектно-объектные и предикативные категории в даргинском языке, Махачкала, 1969, გვ. 195.
- ⁴⁵ როგორადაც უწოდებს ზ. აბდულაევი მარტივი მომავალი დროის პირველი და მეორე პირის ფორმებში გარდამავალ ზმნებთან წარმოჩენილ ა-ს. ამის შესახებ იხ.: З. Г. Абдуллаев, Синтаксическая релевантность классных и личных показателей в даргинском языке, კრებულში: «Вопросы синтаксического строя иберийско-кавказских языков», Нальчик, 1977, გვ. 258—259..

⁴⁰ З. Г. Абдуллаев, Субъектно-объектные отношения..., გვ. 196.

⁴⁷ А. А. Магомедов, Кубачинский язык, Тб., 1963, გვ. 201—202.

საილუსტრაციო მასალა დასახ. მონოგრაფიდანაა, იქვე.

⁴⁸ ტ. გუღაეა, ბოთლიხური ენა, გვ. 117; საილუსტრაციო მასალა დასახ. მონოგრაფიდანაა, იქვე.

⁴⁹ ზ. მამთაძე, ბრძანებითის შესახებ ხუნძურ-ანდიურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXX სამეცნიერო სესია, თეზისები, თბ., 1974, გვ. 21.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ ი. ცერცვაძე, ანდიური ენა, თბ., 1965, გვ. 31.

⁵² გამონაკლისია აქ ხუნძური, სადაც გარდაუვალ ზმნათა ბრძანებითში გვაქვს სწორედ -ა (არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბ., 1962, გვ. 261—262), მაშინ როცა გარდამავალ ზმნათათვის -ე დასტურდება (იქვე), თუმცა ეს უკანასკნელი არაა იშვიათი გარდაუვალუბთანაც.

⁵³ ქ. ლომთათიძე, გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში, ენიმკის მოამბე, XII, თბ., 1942, გვ. 13.

⁵⁴ Д. С. Имнаишвили, Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршинским языками, Тб., 1963, გვ. 190—191.

⁵⁶ Л. И. Жирков, Лакский язык, გვ. 118.

⁵⁶ კმალულ ბაში, დასახ. კრებულიდან, გვ. 112.

⁵⁷ ლაღბარწ ზლი, დასახ. კრებულიდან, გვ. 103.

⁵⁸ კმალულ ბაში, დასახ. კრებულიდან, გვ. 113.

⁵⁹ ბურხაა იზაეა, დასახ. კრებულიდან, გვ. 90.

⁶⁰ ფარტუ ფატიმა, დასახ. კრებულიდან, გვ. 34.

⁶¹ П. К. Услар, Хюркилинский язык, Тифлис, 1892, გვ. 163; С. Абдуллаев, Грамматика даргинского языка, გვ. 174; З. Г. Абдуллаев, Даргинский язык, Языки народов СССР, IV, Иберийско-кавказские языки, М., 1967, გვ. 516.

Г. Т. БУРЧУЛАДЗЕ

კ ВОПРОСУ ДИФФЕРЕНЦИАЦИИ ПЕРЕХОДНОСТИ-НЕПЕРЕХОДНОСТИ В ЛАКСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

1. В лакском языке, как и в некоторых других иберийско-кавказских языках, при повелительных формах переходность-непереходность на сегодняшний день дифференцирована морфологически.

При переходных глаголах в императивных формах выступают морфемы -а, -ი (xič-а «напиши», las-ი «бери!»), а при непереходных глаголах — -и (iz-и «встань!»).

2. Морфологическое противопоставление переходности-непереходности отчетливо проявляется при лабильных глаголах, у которых повелительные формы, маркированные морфемами -а или -ი выступают как переходные, а с морфемой -и — как непереходные: inava ivk-u, saar təun dula «ты сам умри, а жену отдай мне!»¹ Ср.: args, duşman ivč-a² «сын, убей врага!»

¹ Говорится в тех случаях, когда требуют невозможного (С. М. Хайдаков, Лакско-русский словарь, М., 1962, с. 325).

² В форме ivč-a «убей!» č←k. В лакском языке переход k в č перед гласными а и и — распространенный фонетический процесс. Исходный k восстанавливается перед -и (ivk-и «умри!»).

3. Морфема переходности -а в лакском языке встречается и при формах категорического перфекта³ (ла ზიჩ-а-w «я написал», ზი ზიჩ-ა-გდი «мы написали»).

4. В близкородственном лакскому даргинском языке дифференциацию переходности-непереходности указывают наряду с повелительными и ординарные формы. В качестве морфем переходности там выявлены -а, -i, правда, последняя встречается и при непереходных глаголах.

5. В аварско-андийских языках при повелительных формах переходность-непереходность тоже дифференцирована. При переходных глаголах и здесь представлена морфема -а. В андийском языке, правда, в таких случаях выступает -о, но она вторично, получена от -а (И. И. Церцвадзе)⁴.

6. -i, как морфему переходности, следует признать явлением, возникшим в самих лакском и даргинском языках, а общей для лакско-даргинских и андийских языков является морфема -а.

³ Категорический перфект в лакском языке имеется лишь при переходных глаголах в I лице (в вопросительных формах и во II лице).

⁴ Исключения из аварско-андийских языков составляет аварский, где при повелительных формах формантом непереходности является морфема -а.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

ენოვლი რობაჰიმო

ზამახშარი ჰამზის სახეობათა შესახებ არაბულში

ჰამზა ხორხისმიერი ხშულ-მსკლომი თანხმოვანია (რუს. гортанный взрыв, გერმ. Stimmritzenverschlusslaut, ფრანგ. occlusive glottale, ინგლ. glottal stop). იგი წარმოითქმის ხშვით სახმო სიმებში. ჰამზის მდგომარეობა ბგერით სისტემაში მყარია. იგი არაბული ენის ფონოლოგიური სისტემის წევრია. ამასთანავე არაბ ფილოლოგებს აღნიშნული აქვთ, რომ მისი წარმოთქმა „მძიმეა“ (al'istiḡā), რის გამოც ჯერ კიდევ ძველად აღგილი ჰქონდა მისი უფრო „ნატიფად“ (al'istiḡsān) წარმოთქმის ცდებს¹.

არაბებმა შეამჩნიეს, რომ ძნელია სახმო სიმების სრული დახშვა და შემდეგ მათი მეყსეულად გაღება. ამიტომ ისინი ხშირად მიმართავდნენ ჰამზის „შემსუბუქებას“ (taḥfīf), ანდა „დაკარგვას“ (ḥadīf). „შაადეს სწორად ვერ გაუგია taḥfīf-ის მნიშვნელობა ტერმინში taḥfīf'al-hamza და მიაწერს მას არაბების ფსიქიკურ მისწრაფებას შემსუბუქებისაკენ მაშინ, როდესაც არაბებს ამ ტერმინით აღნიშნული აქვთ ფონეტიკური (ფიზიოლოგიური) მოვლენა, ე. ი. ყელის დახშვა, რომელიც მათ მიაჩნიათ ძნელ აქტად“².

სემანი taḥfīf-ს განმარტავს როგორც ჰაერნაკადის არასრულ დაბრკოლებას ხორხში“³. ჰამზის წარმოთქმისას არაბ გრამატიკოსებთან დადასტურებულია ჰამზის შემსუბუქების სამი სახეობა: 1. ჰამზის ხმარება როგორც შუალედური ბგერისა (hamza bayna bayna), 2. ჰამზის შენაცვლება ('ibdal), 3. ჰამზის დაკარგვა (ḥadīf).

ჰამზა გვხვდება პირველ, მეორე და მესამე ძირეულბად. taḥfīf-ს მაშინ აქვს აღგილი, როდესაც ჰამზა მეორე ან მესამე ძირეულია. ეს პროცესი სრულიად გამორიცხულია, როდესაც ჰამზა პირველ ძირეულად გვევლინება. გამონაკლისის სახით, ყურანის კითხვისას მაინც არის მისი დაკარგვის შემთხვევები თანხმოვნის შემდეგ ორი სიტყვის ზღვარზე, მაგ., qul 'a'ḥdū > qul a'ḥdū⁴. ზამახშარის მოხსენებული აქვს პირველი ძირეული ჰამზის დაკარგვა „ალ“ არტიკლის შემდეგ: ამ დროს მისი ხმოვანი გადაინაცვლებს ლამზე, მაგ., al-'arḏu > alarḏu > larḏu al-'iḥā > al'iḥā⁵. ეს ხდება ძალიან იშვიათად. როგორც წესი, პირველი ძირეული ჰამზის წარმოთქმა უცვლელია.

მეორე და მესამე ძირეული ჰამზა სხვადასხვა პოზიციაში გვხვდება: 1. იგი დგას ორ ხმოვანს შორის: V'V; 2. იგი დგას თანხმოვანსა და ხმოვანს შორის: C'V; 3. იგი დგას ხმოვანსა და თანხმოვანს შორის V'C.

¹ G. Weil, Die Behandlung des Hamza-Alif im Arabischen besonders nach der Lehre von az-Zamahšarī und Ibn al-Anbārī, ZA, 1905, გვ. 14.

² M. Brawnan, Materialien und Untersuchungen zu den Phonetischen Lehren der Araber, Göttingen, 1934, გვ. 93.

³ Kh. L. Seaman, Linguistics in the Middle Ages, Leiden, 1968, გვ. 67.

⁴ J. Cantinea, Études de Linguistique Arabe, Paris, 1960, გვ. 78.

⁵ Zamaḥšarī, Maḥmūd b. 'Omar, 'al-Mufaḡḡal, Kahlira, 1905, გვ. 351.

როდესაც ჰამზა ორ ხმოვანს შორისაა, მაშინ ადგილი აქვს შემსუბუქების პირველ სახეობას: bayna bayna. ზამანშარის მიხედვით ეს ნიშნავს „ჰამზის არტიკულაციას, რომელიც საშუალოა მასსა და [მომდევნო] ხმოვანს შორის“⁶. მაგ.: sa'ala — არტიკულაცია ხდება ჰამზასა და ფათჰას შუა; la'uma — არტიკულაცია ხდება ჰამზასა და დამმას შუა; su'ila — არტიკულაცია ხდება ჰამზასა და ქესრას შუა.

ჰამზა იქცევა შუალედურ ბგერად, რომელიც წარმოიქმნება სადღაც ხახასა და პირის ღრუს შორის. ეს მოვლენა არ შეიძლება ჩავთვალოთ სპონტანურად, რადგან ჰამზის ამგვარი ცვლილება გაპირობებულია მისი ინტერვოკალური პოზიციით. „აქ თავს იჩენს სახმო სიმების სწრაფვა — მოლაპარაკისაგან დამოუკიდებლად, პირველი ხმოვნის ვიბრაციიდან უშუალოდ გადავიდეს მეორეზე“⁷.

tabḥīf-ის მეორე სახეობად ზამანშარი ასახელებს 'ibdāl-ს⁸. ამ დროს ჰამზა უფრო ხშირად იმყოფება პოზიციაში V'C. 'ibdāl (შენაცვლება) გულისხმობს: ა) ჰამზის შეცვლას ḫ-თი, როდესაც მისი წინამავალი ხმოვანი ფათჰაა: მაგ., ra's > rās; ბ) I-თ — როდესაც წინამავალი ხმოვანი ქესრაა: მაგ., bi'r > bīr და გ) ū-თი — როდესაც წინამავალი ხმოვანი დამმაა: მაგ., lu'm > lūm. 'ibdāl-ის დროს გვაქვს მრავალი შემთხვევა ჰამზის w-ითა და j-ით შენაცვლებისა: მაგ., maqrū'atun > maqrūwwatun, ḥaṭī'at > ḥaṭīyat. ჰამზის შენაცვლება ხდება ორი სიტყვის ზღვარზედაც: მაგ., qāḏī 'abika > qāḏīyabika, ḡm'amrihim > ḡm'awamrihim⁹. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს უკანასკნელი მაგალითები ზამანშარის შეტანილი აქვს ḫaḏf-ის სახეობაში მაშინ, როდესაც ფაქტიურად ისინი განეკუთვნებიან 'ibdāl-ს. როგორც ვხედავთ, 'ibdāl-ის დროს ჰამზა იკარგვის და მის ადგილს, მეზობელი ხმოვნის შესაბამისად, იკავებს ერთ-ერთი სუსტი თანხმოვანი.

ჰამზის შემსუბუქების მესამე სახეობა, ḫaḏf გულისხმობს ჰამზის დაკარგვას. ამ დროს ჰამზა დგას თანხმოვნის შემდეგ: C'V. მაგ., alḥab'a > alḥaba, al'arḡu > alarḡu, al'aḥmaru > alaḥmaru, mas'alatun > masalatun. ამ სახეობაში ზამანშარის შეტანილი აქვს მაგალითები, რომლებშიც ჰამზა იკარგვის და იმავე დროს გრძელდება მისი შემდგომი ხმოვანი. მაგ., almar'atu > almarātu, alkam'atu > alkamātu. ჩვენი აზრით, ეს შემთხვევაც 'ibdāl-ში უნდა იყოს განხილული. რადგანაც აქ ადგილი აქვს არა მარტო დაკარგვას, არამედ შენაცვლებასაც.

თუ ორი ჰამზა წარმოდგენილია ერთ სიტყვაში, ზამანშარი ამჯობინებს მეორის შემსუბუქებას. ეს უფრო ხშირად ხდება დისიმილაციის გზით, მაგ., 'a'damu > 'ādamu, 'u'aydimu > uwaydimu, 'a'immat > 'ayimmat. ორი ჰამზიანი სიტყვის შეერთებისას ერთ-ერთი მათგანი განიცდის ჰაპლოლოგიას: მაგ., ḡa'a 'aḡaluhum > ḡā 'aḡaluhum¹⁰.

ამგვარად დგინდება, რომ ჰამზის შემსუბუქება ხშირად განპირობებულია ფონეტიკური ცვლილებებით: bayna bayna და 'ibdāl-ი — ასიმილაციით, ხოლო ḫaḏf-ი — დისიმილაციითა და ჰაპლოლოგიით. არაბები კი ყოველგვარ ცვლილებას ენაში თვლიდნენ ენობრივ შეცდომებად, ხოლო მის გამომწვევ მიზეზად ასახელებდნენ სიტყვის ხშირ გამეორებას. მიუხედავად ამისა, ისინი ცდილობდნენ

⁶ იქვე, გვ. 349.

⁷ A. Schaa de, Sibawaihi's Lautlehre, Leiden, 1911, გვ. 31.

⁸ Zamaḥšari, 'al Mufaḡḡal, გვ. 349.

⁹ იქვე.

¹⁰ იქვე, გვ. 351.

დაეხვეწათ მეტყველება და გაემარტივებინათ წარმოთქმა. სიბავაიში ამას ხსნიდა არაბების მისწრაფებით სიიოლისა და სიზუსტისაკენ. ბრავმანი სიბავაიშის ამ მოსაზრებაში ზედავს მიდრეკილებას მოხერხებულობისა და სიციხადისადმი. ამრიგად, ბრავმანის სიტყვებით რომ ვთქვათ, უკვე ძველი არაბები იცნობდნენ ენობრივი ცვლილებების სამი იმპულსიდან ორს; რითაც სიბავაიში და მისი მიმდევრები (რომელთა შორის ზამახშარი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა) თანამედროვე ლინგვისტიკის დონეზე დგებიან¹¹.

Н. И. РОБАКИДЗЕ

ЗАМАХШАРИ О РАЗНОВИДНОСТЯХ ХАМЗЫ В АРАБСКОМ

Резюме

Хамза в арабской фонологической системе занимает устойчивое место. Однако еще старые арабские грамматисты отмечали трудность произношения этого звука, из-за чего еще в древности делались попытки ее более «изящной» реализации ('al 'istiḥsān).

Для указанной цели арабы обращались к taḥfīf-у («облегчение») хамзы, что предусматривает три его разновидности: hamza baupa baupa (использование хамзы в качестве промежуточного звука), 'ibdāl (замена) и ḥaḍf (утеря). Указанные фонетические явления в работе изложены по сочинениям Замахшари и других арабских грамматистов. Однако в статье дается отличная от старых арабских филологов квалификация фонетических явлений, связанных с произношением хамзы. В частности, сделано заключение, что hamza baupa baupa и 'ibdāl вызваны ассимиляцией, а ḥaḍf—диссимиляцией и гаплогонией.

¹¹ M. Bravmann, Materialien..., გვ. 92.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

ალექსი შორაანი

ეგვიპტელ არაბთა კომპრომისული მეტყველების
ფონეტიკა

ეგვიპტელ არაბთა ინტელიგენციის ფენაში ბილინგვიზმის ნორმატიულობა მერყეობს, ამასთან არსებობს უცხო ენასა და არაბულს შორის, აგრეთვე დიალექტსა და სალიტერატურო ენას შორის კონტაქტების შედეგად წარმოშობილი სხვადასხვა სახის ორენოვნება. ჩვენ უკანასკნელი ტიპის კონტაქტ გვიანტერესებს¹. ამ შემთხვევაში ორენოვნება გულისხმობს სალიტერატურო ენისა და დიალექტის ურთიერთობას, როდესაც დაპირისპირებამ საფუძველია, ერთი მხრივ, სტანდარტიზაცია და კონსერვატიულობის დიდი დონე, რაც სალიტერატურო ენის სპეციფიკაა, და, მეორე მხრივ, დიალექტისეული ვარიაცია ენობრივი ნორმების პრაქტიკული გამოხატვისას. ამრიგად, ურთიერთობა ერთი სისტემის შიგნითაა, თუმცა სისტემის ელემენტთა დიფერენციაცია თვალსაჩინოა: ინტერფერენცია, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ორენოვნებას ახლავს, ისეთივე ფასისაა, როგორიც იქნებოდა უცხო ენასა და არაბულს შორის წარმოებული კონტაქტისას და აქ ვაინრაიზის მიერ ჩამოთვლილი ფაქტორები (განსწავლულობის დონე თითოეულ ენაში, ბილინგვური წგუფის სიდიდე და მისი სოციალურ-კულტურული ჰომოგენურობა, „პრესტიჟის“ მომენტი და მისთ.) დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებენ².

ენობრივი კონტაქტის შედეგად ეგვიპტეში არსებობს კომპრომისული მეტყველება, ე. წ. „შერეული“ ანუ „საშუალო“ ენა.

სალიტერატურო ენის დეფორმაციის დონე, ელ-დაშისა და თაკერის მონაცემებით, მერყეობს 78% -სა და 99% -ს შორის³ (საკონტაქტო დეფორმაციის დონე იზრდება ოჯახებსა და სამუშაოზე, მცირდება — სკოლასა და რადიოგადამცემებში, ოფიციალური საუბრისას კი — მინიმალურია).

ეგვიპტელთა კომპრომისული მეტყველების განსაკუთრებით საინტერესო მონაცემებია ფონეტიკაში

ბგერითი სისტემა. I. თანხმოვნები. 1. გ ლ ო ტ ა ლ ე ბ ი. '(ჰამზა). სხვადასხვა პოზიციაში ჰამზა იკარგვის, მაგ.: iḥtizez (სალიტ. არაბ. 'iḥtizāz') 'ვიბრაცია', qáima (qá'imat) 'რეესტრი', is-al ('is'al) 'ჭკითხე', ray (ray) 'აზრი' yugibunī. haza (yu'ḡibunī hāḡā) 'ეს მე მომწონს'.

ისევე, როგორც ეგვიპტურ დიალექტში, კომპრომისულ მეტყველებაშიაც სიტყვის ბოლოს h საკმაოდ შესუსტებულია: men kitébuu (min kitābihi) 'მისი წიგნიდან', ḡarabo (ḡarabahu) 'სცემა მას'.

2. ფ ა რ ი ნ გ ა ლ ე ბ ი. ḡ ხ შირად აღრეულია h ან ḡ ბგერებთან. მაგ.: ḡaḡḡah (ḡaḡḡaha) 'გაიცინა', ḡalḡab (ḡalḡaba) 'მოაძრო', madahḡ (madahā) 'შეაქო'.

ხ შირად ḡ-ს წინ ულტრამოკლე ḡ იქნება⁴, მაგ.: māliḡḡ (milḡ) 'მარილი', riḡḡ (riḡ) 'ქარი'.

' (აინ) სიტყვის დასაწყისში მოკლე ხმოვნის წინ აინი ხ შირად იკარგვის, მაგ.: āmmi ('ammī) 'ბიძიჩემი', afwan ('afwan) 'ბოდიში!'

აინი ეგვიპტურ კილოში⁷ (და, შესაბამისად, კომპრომისულ მეტყველებაში) პალატალიზაციას განიცდის. გრძელი ხმოვანი თუ იქნება აინის შემდეგ სიტყვის დასაწყისში, როგორც წესი, ეს გრძელი ხმოვანი დავიწროებასა და დიფთონგიზაციას განიცდის, მაგ.: 'aydil ('adil) 'ადილი' (საკუთ. სახ.) 'ayṭis ('aṭis) 'მწყურვალი', 'aymil ('āmil) 'მუშა'⁸. დიფთონგი ay ეგვიპტელთა მეტყველებაში ჩვეულებრივ ey-ში და ო-შიც გადადის, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ამ შემთხვევაში კონტრაქციას დიფთონგისას არა აქვს ადგილი, რადგანაც დიფთონგის წინ აინია⁹.

შესაძლოა აინის შემდეგ ხმოვნის ჩართვაც, მაგ.: 'aamila ('amila) 'მუშაობდა', 'aarifa ('arifa) 'იცოლა' 'aadimtu ('adimtu) 'არ ვყოფილვარ'. ამ შემთხვევაში მახვილი ამ ჩართულ ხმოვანს მოუდის.

ხშირია ინლაუტში ან აინის დაკარგვა, ან აინზე ულტრამოკლე ხმოვნის დართვა: sa'id mḥammad (sa'id mḥammad) 'ბ-ნი მუჰამედი', ba'id (ba'id) 'შორეული', ba'eda (ba'da) 'შემდეგ', ga'eda (ga'dat) 'ნაოქი'.

3. ვ ე ლ ა რ ე ბ ი. გ. კომპრომისული მეტყველების გ ტოლფასია ლიტერატურულის შესაბამისი ბგერის.

ჟ. კომპრომისულ მეტყველებაში ჟ-ს წინ ყოველთვის იქნება ნახევარხმოვანი ḫ/ḥ ბოლო პოზიციაში, როგორც თანხმოვნის, ისევე გრძელი ხმოვნის შემდეგაც, მაგალითად: tarī ḫ ḥ¹⁰ (ta'ri ḫ) 'ისტორია', fanḫ (fanḫ) 'პირობის დარღვევა'.

გ. კლასიკური არაბულის ḡim კომპრომისულ მეტყველებაში იძლევა ორ ვარიანტს: ა) ძირითადად გვაქვს გ, მაგ.: ḡemel (ḡamal) 'აქლემი', ḡarīma (ḡarīmat) 'ბოროტმოქმედება'¹¹. ბ) ზოგჯერ ḡ: ეს შეინიშნება წარმოშობით ზემო. ეგვიპტიდან მოსული ინფორმანტების მასალებში, მაგ.: ruḡa 'ტუჩ-საცხი', ar-ḡantina 'არგენტინა'¹².

და მაინც, კომპრომისული მეტყველებისათვის „ნორმატიულად“ შეიძლება გ→გ ვარიანტის ჩათვლა¹³.

4. პ ა ლ ა ტ ა ლ ე ბ ი. K. კომპრომისული მეტყველების K უახლოვდება წარმოთქმით K-ს, ე. ი. ჩვენი აღნიშვნით ასპირაციაშესუსტებულ K-ს. y და ḳ სალიტერატურო ენის შესაბამისი ბგერების ტოლფასია¹⁴.

5. ა ლ ვ ე ო ლ ა რ ე ბ ი. r და l ისეთივეა, როგორც სალიტერატურო არაბულში.

6. დ ე ნ ტ ა ლ ე ბ ი. ემფატიკურ დენტალთა ემფაზი შესუსტებულია, მაგ.: sedr (ṣadr) 'მკერდი', ard ('ard) 'მიწა', uṣlub ('uṣlub) 'ეძებე'. მხოლოდ i-სთან კავშირში შეიძლება ამ ბგერათა შესაბამის კლასიკურის არაემფატიკურებთან დიფერენცია, მაგ.: ṣinā'i (ṣinā'iyy) 'ხელოვნური', dīdd (dīḍḍa) 'წინააღმდეგ'.

ფშინვიერი t კარგავს ასპირაციას (ჩვენი აღნიშვნით t→T), მაგ.: TiTkállam (tatakállamu) 'ლაპარაკობ', Täblig (tabliḡ) 'ცნობა'.

სალიტ. d, s, z უცვლელად გადმოიცემა კომპრომისულ არაბულში¹⁵.

n იგივეა, რაც სალიტ. არაბულში.

7. ლ ა ბ ი ო-დ ე ნ ტ ა ლ ე ბ ი. v. ეს ბგერა არ არის კლასიკურ არაბულში, ხოლო ეგვიპტურ კომპრომისულ მეტყველებაში მისი ხმარება ხშირია, მაგ.: vādīḥ (wāḍiḥ), 'აშკარა' varīd (warīd) 'ვენა'.

f. იგივეა, რაც კლასიკურში, მაგ.: firīḥ (fāriḥa) 'გაიხარა'.

8. ბ ი ლ ა ბ ი ა ლ ე ბ ი. b. განსხვავებით ეგვიპტური დიალექტისაგან,

კომპრომისულ მეტყველებაში მხოლოდ ხ არსებობს, ხ არ ჩანს, მაგ.: bāb (bab) 'კარი' nābr (nabr) 'სიტყვის მახვილი'.

ეს ბგერა იდენტურია შესაბამისი სალიტერატურო ბგერისა, მაგ.: mēnzil (manzil) 'სახლი', māhāll (mahall) 'მაღაზია'.

W. შედარებით კლასიკურ არაბულთან w-ს კონსონანტური ძალა შესუსტებულია და უახლოვდება უკანაენისმიერ u-ს: we hāwa (wehōua/wa huwa) 'და ის', wēled (uēled/wālad) 'ბიჭი', sauT el- arab (šawtu-l 'arabi) 'არაბთა ხმა' (რადიოსადგური).

9. უ ე ვ ლ ა რ ი. ნაქისმიერი q-ის შესატყვისად ეგვიპტურ დიალექტში გვხვდება ჰამზა, რაც კომპრომისული მეტყველების ძ ი რ ი თ ა დ ი გ ა ნ მ ა ს - ხ ვ ა ვ ე ბ ე ლ ი ნიშანია¹⁶.

კომპრომისულ მეტყველებაზე მოსაუბრენი სპეციალურად ვარჯიშობენ რადიოს საშუალებით¹⁷, რათა უველარი q საუბრის დროს აწარმოონ, თუმცა მათი ნაწილი ამ ბგერას ქაფის (k) სახით წარმოთქვამს, მაგ.: ila likā ('ila liqā'(i)) 'ნახვამდის', bakara (baqarat) 'ძროხა'¹⁸.

უველარი q არაემფატიკურია (შდრ. კლასიკური არაბულის q).

II. ხ მ ო ვ ნ ე ბ ი. კომპრომისული მეტყველების ხმოვანთა სისტემა ემთხვევა დიალექტის სათანადო სისტემას; ასე მაგალითად, ხშირად გრძელი ხმოვნები მახვილიანით იცვლება¹⁹, მაგ.: men tālebin el-gāmaa (min ṭalibī-l-ḡāmi 'ati) 'უნივერსიტეტის სტუდენტებისაგან'. გვხვდება ზოგიერთი სხვა ხმოვანთა მონაცვლეობაც: u→o, i→e, a, i→u, ū→o, a→e/ā (იშვითად, a/u→i), მაგ.: šorba (surbat) 'წვნიანი', hom (hum) 'ისინი', bent (bint) 'ქალიშვილი', dihil (dāhāl/dahala) 'შემოვიდა', muftah (miftah) 'გასაღები' mahbēk (mah-bēk) 'კარგად შეკრული', dōnyā (dunya) 'ქვეყანა; ამინდი', šāḥḥa (šihḥat) 'ჯანმრთელობა'.

სიტყვის ბოლოს ხმოვნები ხშირად გრძელდება, მაგ.: maa'hu (ma'ahu) 'მასთან'.

დ ი ფ თ ო ნ გ ე ბ ი. კომპრომისულ მეტყველებაში გაურბიან «ეგვიპტურ-ზაყის» ("aw→o ან ay→e)²⁰, მაგ.: sauda, ეგვ. sōda (sawdā'u) 'შავი', geyb, ეგვ. ḡ.ḡ (ḡayb) 'ჯიბე'.

კლასიკური არაბულის დიფთონგების შენარჩუნების მიუხედავად, მათი ბგერითი გაფორმება კომპრომისულ არაბულში ოდნავ განსხვავებულია, მაგალითად: saut (šawt) 'ხმა', beyt (bayt) 'სახლი'²¹.

მასსადამე, კომპრომისულ მეტყველებაში ამ შემთხვევაში კლასიკურთან უფრო მეტი სიახლოვეა: კომპრომისული au, ey არის ეგვიპტური დიალექტის o, ē-ს ნაცვლად, კლასიკურის aw და ay-ს შესატყვისად²². კლასიკური არაბულის ay შეიძლება q-სა და ემფატიკურებთან გეჰონდეს²³.

მოდითაცვივები კომპრომისულ შეტყველებაში. ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა. el არტიკლი ძირითადად არ ასიმილირდება, თუმცა მისი ასიმილირებადი ვარიანტიც საკმაოდ ხშირია: ერთი და იმავე პიროვნებისაგან შეიძლება მოვისმინოთ el-šare /'el-šareā/ და eššareā 'ქუჩა', mnel-dārs და mned-dārs 'გაკვეთილიდან', 'მეტადინეობიდან'.

კომპრომისულ მეტყველებაზე მოსაუბრეებს el არტიკლის ასიმილირებადი ფორმები საერთოდ "ფელაჰური" ჰკონიათ და ამის გამო ხშირად თავილობენ el-ის ამ ფორმათა გამოყენებას. ხშირად 'alā ნაწილაკი ასიმილირდება, მაგ.: 'an-nūr eššāms ('ala-n-nūri-š-šāmsi) 'მზის სინათლეზე', 'at-tāwilā ('ala-ṭ-ṭāwila-i) 'მაგიდაზე'.

n ასიმილაციას განიცდის l, r-ს წინ, მაგ.: mir rásoh 'მისი თავისაგან' (min ra'sihi), mil laħmih 'მისი ხორცის ნაწილი' (min laħmih).

კლასიკური არაბულის ასიმილაციის ყველა შემთხვევა კომპრომისულ მეტყველებაში შეინიშნება.

ყურადღებას იქცევს აინის წარმოთქმა ყრუ ბგერის წინ: semiħt (sami'tu) 'მოვისმინე'. სიტყვის დაბოლოების დაყრუებით კომპრომისული მეტყველება დიალექტის ტოლფასია²⁴, მაგ.: fáriħ (farig) 'ცარიელი', mablaħ (mablag) 'ჯამი', bank (banġ) 'ბანგი', bant (band) 'სტატია', 'პარაგრაფი', ħunúħ (ħunū') 'დამორჩილება', 'დამცირება'²⁵.

დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი ა. 1. ისეთივეა, როგორც ეგვიპტურში, მაგ.: ('aħud) 'იღებს' → áħuz, ('a'kul) 'კამს' → ákul.

2. (tata'allamu) 'ასწავლი' ta'allam.

3. IV თემაში პრეფიქსი i ხმოვნია, თუმცა ხშირია a ხმოვნია, მაგ.: iħrag 'გაიყვანა', iktab 'დააწერინა'.

ს უ ბ ს ტ ი ტ უ ც ი ა. ეს მოვლენა დიალექტის გავლენით ხდება, მაგ.: šorba (šurbat) 'წენიანი', hom (hum) 'ისინი', zibda (zobda) zubdat 'კარაქი', mazbút (masbū) 'დასვენებელი', zady (ǧady) 'მკერდი', zilzála (zir-zaral) 'მიწისძვრა'.

გუტურალებთან და ემფატურებთან ხშირად i → a, მაგ.: 'ašare 'ჩვენება' ('išár al) faǧǧa (fiddat) 'ვერცხლი'²⁶.

ხ მ ო ვ ნ ი ს ა ნ თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი ს დ ა კ ა რ გ ვ ა. კომპრომისულ მეტყველებაში, დიალექტთან შედარებით, ხმოვნის დართვა ნაკლებად ხდება, ხოლო ხმოვნის ან თანხმოვნის დაკარგვა კი უფრო ხშირია.

გრძელი ხმოვნები ხშირად მოკლდება, მაგ.: (hāǧiħi) 'ეს' hazih, (kitabi) 'ჩემი წიგნი' kitábi. სიტყვის ბოლო ნაწილში და ორ თანხმოვანს შორის მყოფი h ხშირად იკარგება, მაგ.: ayyua (ayyuha) 'ო' ('isti'māriyah პუშალური ფორმა) isti'mariya 'იმპერიალისტური'.

სიტყვის დამოკლების შემთხვევაში i იკარგება ხშირად, მაგ.: (qátiba) qátba 'საერთო ჯამი', lázim:a (lázimat) 'მანქანის ნაწილი'.

საკმაოდ ხშირია a-ს დაკარგვა, მაგ.: qátluhu (qátaluħu) 'მოკლეს ის'.

საერთოდ, გაბმულ, სწრაფ მეტყველებაში ხშირია სიტყვის ნაწილის შეკვეცა, მაგ.: qálla (qāla lahu) 'უთხრა მას', ta'a (ta' al) 'მოდი', aqári ('aqaribu) 'მორიელები', yad (ya wáladu) 'ბიჭო!', ya šáħi (ya šāħibu) 'მეგობარო' და მისთ.²⁷

მ ა რ ც ვ ა ლ ი. კომპრომისული მეტყველება შეიცავს მარცვალთა დიალექტისეულ ტიპებს, მაგრამ აქ, ისევე, როგორც სალიტერატურო არაბულში, არ გვხვდება ორთანხმოვანი დასაწყისი, მაგ.: ეგვიპტური დიალექტის ktir ('kaħīr) 'მრავალი' აქ იქნება kāsīr ტიპით, და მისთ.

ყველაზე ხშირად აღინიშნება მარცვლის ტიპები CVC და CV, შედარებით იშვიათია CV და CVC, მეტად იშვიათია CVCC²⁸. არ მოიძიება დიალექტის CCV ან CCCV.

თავკიდური ჰამზის (ზოგჯერ აინის) დაკარგვის გამო ანლაუტში ზოგან ხმოვანიც შეიძლება იწყებდეს მარცვალს, მაგ.: emteħáni 'ჩემი გამოცდა', emteħanúkom 'თქვენი გამოცდა'.

შეინიშნება მარცვალთა ზოგიერთი ტიპის ხშირი ხმარება, მაგ.: CV: qála (qāla) 'თქვა', láħa (lahā) 'მას აქვს', 'მას'. თუ დასაწყისშია VC, მას, როგორც

წესი, მოსდის ტრანსფორმაცია: VC→VCC, მაგ. ('ah) ahx 'ძმა', მაგრამ ამის გვერდით არსებობს VC-ც, მაგ.: am ('am) 'ან' in ('in) 'თუ' და მისთ.

მარცვალთა ხშირი კომბინაციებია: CV+CVC, მაგ.: qalil 'მცირე', íaris 'ცხენოსანი', CVC+CV, მაგ.: kúllu 'ყველა; ყოველი'. CVC+CVC, მაგ.: qát-tíl 'დახოცე' gargír 'წიწმატი', qiršín 'პისტრისა'. CV+CV, მაგ.: yála béna 'წავიდეთ'²⁹.

მ ა ხ ე ლ ი. კომპრომისული მეტყველება იცავს ეგვიპტური დიალექტის წესებს მახვილის საკითხში. აქ მახვილის პოზიცია ძირითადად ერთნაირია.

სალიტერატურო ენაში, როგორც ცნობილია, მახვილი დაისმის ბოლოდან მეორე გრძელ მარცვალზე, ან — მესამეზე, თუ მეორე მარცვალი მოკლეა, ხოლო კომპრომისულ მეტყველებასა და დიალექტში კი ასეთი სურათი გვაქვს:

1. მახვილი ბოლო მარცვალზეა, როდესაც იგი დახურულია³⁰, მაგ.: kebír 'დიდი', aná katáb t 'დაეწერე'.

2. მახვილი წინა მარცვალზეა, თუ ბოლო მარცვალი მოკლე, ერთი თანხმოვნით დახურულია ან ღიაა, მაგ.: búkra 'ხვალ', mutawáḡḡit 'საშუალო', kullú-hum 'ისინი ყველანი'.

3. ნაცვალსახელური სუფიქსების დართვა იწვევს მახვილის გადაწევას, მაგ.: dárab(a) 'დაარტყა', darabáhu 'დაარტყა მას'; ma'a (maa ... 'თან', ma'áka 'შენთან'.

არაბი გრამატიკოსები არ იძლევიან ცნობებს მახვილის შესახებ არც კლასიკურ არაბულში, არც მის დიალექტებში³¹. ამის გამო ძნელია რაიმეს თქმა მახვილის ადრეული სახისა და დიალექტში მისი ტრანსფორმაციის შესახებ გზების შესახებ. ერთია ნათელი: კომპრომისულ მეტყველებაში ძირითადად დიალექტის ვითარებაა.

ზოგჯერ კომპრომისულ მეტყველებაში მახვილიანი მარცვალი გრძელდება. ეს მაშინ ხდება, როდესაც სურთ რომელიმე სიტყვის სპეციალურად გამოყოფა, მაგ.: hal háza 'al-qur'an? 'ეს ყურანია?' (ევროპელის შეკითხვა); (კომპრ. მეტყველება) qul: aháza elqur'an el-kárim 'თქვი: „ეს კეთილშობილი ყურანია?“ — არაბის „შესწორება“ ამ შეკითხვისა; ასევე: (კომპრომის. მეტყველება) ayyāni 'თავი მტკივა'.

4. ორ- და მეტმარცვლიან სიტყვებში კომპრომისულ მეტყველებაში პირველ მარცვალში მყოფ i-ს მახვილი არ მოუღის³², მაგ.: minzár 'ბინოკლი', miráya 'სარკე'³³.

5. ზოგჯერ ელემენტთა ნაწილი არ მიიღება მხედველობაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ელემენტების ჯაჭვი მეტად გრძელია და გათვალისწინებულია ამ ჯაჭვის დასაწყისი, ან მისი გრძელი მარცვალი, მაგ.: 'andalib 'ბულბული', íárazdaq 'ნამცხვარი'.

6. კომპრომისულ მეტყველებაში კლასიკური არაბულის ბოლო გრძელი ხმოვნები ხშირად მახვილიანია, მაგ.: sahrá 'უდაბნო', მაგრამ: ráma (კლასიკურ არაბულშია: ramā, ეგვიპტურ დიალექტშია: ráma).

7. ისტორიულად გრძელ ხმოვანთან ყველგან მახვილია, მაგ.: káteb 'დამწერი', emteḡáni 'ჩემი გამოცდა'.

8. მეორე მარცვლის i-ს შეიძლება ჰქონდეს მახვილი კომპრომისულ არაბულში.

ე. ი. კომპრომისული მეტყველების ძირითად სიტყვა-ტიპში $[C_1 V_1 C_2 V_2 C_3]$ ასეთი ვითარება³⁴.

(ECA) $C_1V_1C_2V_2C_3$ თუ $V_1 \neq i, V_1 = a, (V_1 = u)$;

[ანუ $Ii = \check{V}, Ia (Iu) = \check{V}$];

(ECA) $C_1V_1C_2\check{V}_2C_3, V_2 = i|a|u$;

(EDA) $C_1i'C_2iC_3$; [EDA] $Ii' \rightarrow (EDA) Ie/I\check{a}$; $[Ii \rightarrow Ie/I\check{a}]$ ტენდენცია

თავიდანვე იყო ეგვიპტურ დიალექტში, ჩვენთვის საინტერესო კომპრომისული მეტყველებაც მისი ერთგვარი „ანარეკლია“³⁵.

ხშირად კომპრომისულ მეტყველებაში გრძელი ხმოვნები იცვლება მახვილიანი მოკლე ხმოვნებით, მაგ.: ('ālim) 'მეცნიერი' → 'ālim (a(ē)lim) aālim; (ṭālib) 'სტუდენტი' → Ṭālib / Tālib; (mafhūm) 'გაიგე?' → mafhūm?/mafḥōm?³⁶

ხშირად ნაცვალსახელური სუფიქსების წინ შეინიშნება მახვილიანი მარცვლის გაგრძელება, განსაკუთრებით მტკიცებით ინტონაციისას, მაგ.: (ma'āhu) 'მასთან' ma'āhu, (ma'āka) 'შენთან' ma'āka³⁷.

ბგერათცვლილებანი წინადადების ბოლოს (ე. წ. „პაუზალური ფორმები“). „პაუზალური ფორმები“ არსებობა თანამედროვე სალიტერატურო ენაში განსაზღვრავს გარკვეული შემუშავებული წესების არსებობას ტექსტის სწორად წაკითხვისათვის. დიალექტში ეს წესები არ მოქმედებს, ხოლო კომპრომისულ მეტყველებაში შენარჩუნებულია ზოგიერთი ეს წესი, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევაში ისინი ირღვევა საკმაოდ ადვილად, მერყეობს სხვადასხვა პიროვნებასთან და სხვადასხვა სინშირით.

აუსლაუტში მოკლე ხმოვნები (an მარცვლის გარდა) არ წარმოითქმის, მაგ.: qādin → qād 'მსაჯული; ყად';

სიტყვის დაბოლოება an გადადის a-ში, მაგ.: kitāban → kitāba (სწორი ფორმა kitāba უნდა ყოფილიყო).

აუსლაუტში გემინაცია მოშლილია ან შენარჩუნებულია i ხმოვნის დართვით, მაგ.: 'amudd (u) 'ვშლი, ვწევ' → 'amud/'amuddi.

ბოლოკიდური მოკლე ხმოვანი ზოგჯერ დაცვის მიზნით h-ს დაირთავს, მაგ.: lam yagzu 'არ დასხმია თავს' → lam yagzuh; huwa 'ის' → huwah³⁸.

გრძელი ხმოვნები მოკლდება მხოლოდ მეტად ფართოდ გავრცელებულ სიტყვებთან: ma³⁹, რა' — fimah / fim; katabluhu → katābtuh 'დაეწერე ის'.

ა შეიძლება ა' კომპლექსით შეინაცვლოს, მაგ.: saḥra → saḥra 'უდაბნო'. პაუზალურ ფორმებში, კლასიკური არაბულის მსგავსად, ხშირია -at დაბოლოების ნაცვლად -ah, მაგ.: tāwilah 'მაგიდა', malikah 'ფუტკართა „დედა“ / 'დედოფალი', Talibah 'სტუდენტი გოგონა'⁴⁰.

ასეთია კომპრომისული მეტყველების ფონეტიკის ძირითადი მონაცემები.

შეიძლება ითქვას, რომ კომპრომისული მეტყველება ფონეტიკურად გამართივებული სალიტერატურო ენაა, რომელიც მოიცავს მდიდარ ვოკალიზაციას და დიალექტისეულ ფონეტიკურ მოდიფიკაციებს.

დიალექტის ზეგავლენით გამოწვეული ფონეტიკური დეფორმაციები კომპრომისული მეტყველების საშუალებით შეადწევენ სალიტერატურო არაბულის კანონიზებულ ვარიანტებშიც (პოლიტიკური ხასიათის რადიოგადაცემები, მოლვაწეთა გამოსვლა კულტურისა და მეცნიერების სფეროში).

შენიშვნები და დამოწმებანი

- ¹ Stewart W., An outline of linguistics: Study of the Role of Second Languages in Asia, Africa and Latin America, Washington, 1962, გვ. 12.
- ² Weinreich U., Language in Contact, New York, 1953, გვ. 1—2.
- ³ El-Dash, Tucker R. G., Subjective Reactions to various speech styles in Egypt: Linguistics, 166, The Hague-Paris, 1975, გვ. 45—46.
- ⁴ შემდგომ-ფრჩხილებში აღინიშნება სალიტერატურო არაბულის მასალა.
- ⁵ Taymūr, Mu'ğam..., 1971, გვ. 49—50.
- ⁶ Harrell R. S., A Linguistic Analysis of Egyptian Radio Arabic, Cambridge, 1960), გვ. 15.
- ⁷ Юшманов Н. В., Семито-хамито-яфетические сжатогортанные, «Язык и мышление», XI, Москва-Ленинград, 1948, გვ. 400.
- ⁸ გრძელ ხმოვანთა დაეწროება და დიფთონგიზაცია ყველა სემიტურ ენაში შეინიშნება. კ. წერეთელი, გრძელი ხმოვნები ურმიის არამეულ დიალექტში, თსუ შრომები, 47, თბილისი, 1952, გვ. 110.
- ⁹ ასეთივე მდგომარეობაა არამეულ ენაშიც. კ. წერეთელი, გრძელი ხმოვნები ურმიის არამეულ დიალექტში, თსუ შრომები, 47, თბილისი, 1952, გვ. 95.
- ¹⁰ T-თი აღენიშნავთ არასპირირებულ ყრუ t-ს.
- ¹¹ Taymūr, Mu'ğam, გვ. 47—48. Tomiche N., Le parler Arabe du Caire, Paris, 1964, გვ. 31.
- ¹² Harrell R., A Linguistic Analysis..., გვ. 16.
- ¹³ Monteil V., L'Arabe Moderne, Paris, 1960, გვ. 55.
- ¹⁴ ჩვენი ინფორმანტებიც, ძირითადად, ჭ—გ ვარიანტს გვიჩვენებენ. ეგვიპტიზმები, რომლებიც თურქულიდან შემოვიდა, ჭ-თი, როგორც წესი, თურქულის ჯ(č) ბგერაა გადმოცემული: šurāb (თურქ. çorab) 'წინდა', šanta (თურქ. çante) 'ჩანთა'.
- ¹⁵ s სალიტერატურო არაბულის ჭ-საც გადმოსცემს, ხოლო z — სალიტერატურო არაბულის ქ-საც. მაგ.: zle'b (dī'b) 'შეგლი', kasir (katir) 'ბევრი'. Monteil V., L'Arabe moderne, გვ. 55. უიშვიათეს შემთხვევებში (ყურანის ტექსტის წაკითხვა და მისთ.) ქ შეიძლება აღინიშნოს: munğa sanateyn 'ორი წლის წინ', ḡu-l māl 'მდიდარი'.
- ¹⁶ Monteil V., L'Arabe Moderne, გვ. 54.
- ¹⁷ ვარდა ამისა, ისინი იყენებენ ეგვიპტის ბედუინთა მეტყველების ნიმუშებსაც, სადაც უკუღარული q არსებობს. Vollers K., Lehrbuch der ägypto-arabischen Umgangssprache, Kairo, 1890, გვ. 7.
- ¹⁸ Taymūr, Mu'ğam, გვ. 76.
- ¹⁹ Harrell R. S., The phonology of Colloquial Egyptian Arabic, გვ. 87.
- ²⁰ დიფთონგების კონტრაქცია სხვა დიალექტებშიც შეინიშნება: Altoma, Problem of Diglossia in Arabic, გვ. 21.
- ²¹ ზოგჯერ ay ვარიანტიც არის: a y wa 'დაახ', ayy 'რომელიმე'. Harrell R., A Linguistic Analysis..., გვ. 22.
- ²² ეგვიპტელები გრაფიკულად a-სა და e-ს ხშირად ასე განასხვავებენ: a წარმოდგენილია ფათის სახით, e კი — ფათისა და ქესრის საერთო კომბინაციით, მათ შიერ არაბული ასოებით. ტრანსკრიბირებულ სიტყვებში, როგორც წესი, ასეთი კომბინაცია ყოველთვის დ ი ა ლ ე ქ ო ს ე უ ლ ი ფორმის აღსანიშნავად გამოიყენება.
- ²³ Harrell R., A Linguistic Analysis..., გვ. 21—22.
- ²⁴ იქვე, გვ. 20.
- ²⁵ ასიმილაციის ძირითადი შემთხვევები განხილული აქვს აჰმად თაიფურს: Taymūr, Mu'ğam, გვ. 33, 37, 48 და ა. შ.
- ²⁶ ზმნებშიც, თუ III ძირეული არის ḡ, ḡ, აინი, r, იმპერფექტივში ჩვეულებრივ a გვევლება ტიპობრივ ხმოვანად.
- ²⁷ Taymūr, Mu'ğam, გვ. 92—94. ხშირია ხმოვანთა დაკარგვა „მტამებში“, მაგ., mā lḡkum? 'რა მოგივიდათ?' → mālkum; halḡī 'დღიადიმი?' ḡāḡī, და ზოგიერთი სხვა.
- ²⁸ მსგავსი ვითარებაა დიალექტშიც. Tomiche N., Le parler Arabe du Caire, გვ. 78.
- ²⁹ არის ასეც: bēnal
- ³⁰ იხ. აგრეთვე Monteil V., L'Arabe moderne, Paris, 1960, გვ. 60.

³¹ Harrell R. S., A Linguistic Analysis..., გვ. 9, Lambert Cf., De l'accent en arabe, გვ. 402—413, Tomiche N., PAC, გვ. 90.

³² ეგვიპტურ დიალექტში ეს იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ dihil ტიპია (რომელიც ტოლ-ფასია კომპრომისული მეტყველების dǧǧal 'შემოვიდა' ტიპისა), მაგ., dilwāti (იშვ. dilwāt 'ახლა' (-di-l-wa'ti), შესაბამისად კომპრომისულ მეტყველებაში იქნება: Flǧra lam tāǧdur(a) lán? 'ფლორა არ გამოჩენილა (ახლა)?'

³³ Brockelmann C., Das Arabische und seine Mundarten: Handbuch der Orientalistik, III, 2/3, Leiden, 1954, გვ. 13.

³⁴ მსგელობისას, აქ შემდეგი აღნიშვნები შემოგვავს: ECA — ეგვიპტის კომპრომისული არაბული, EDA — ეგვიპტის დიალექტი არაბული ენისა.

³⁵ გარდა ამისა, უმახვილო V₁ (V̄₁) თუ არის i, მაშინ იგი დაიკარგება კომპრომისულ მეტყველებაში, ისევე როგორც ეგვიპტურ დიალექტში, ოღონდ იგი უფრო ხშირია ამ უკანასკნელში, მაგ.: (ეგვიპტური დიალ.) kilāb/kilēb—k(i)lāb—k(i)lēb; (კომპრ. მეტყველება) (min 'ayna)→ min ēn—m(e)nén mnén 'საიდან?' (ეგვიპტურ დიალექტშია men eén).

³⁶ ასევეა მალრიბის დიალექტებშიც.

³⁷ უმართებულაა აქვე ისეთი მავალითის განხილვა, როგორცაა kām (kam) 'რამდენი?' აქ Ḍ კითხვითი სიტყვის ბუნებრივი გაგრძელებით არის გამოწვეული (მხოლოდ ყ ი თ ხ ე თ კონსტრუქციაში).

³⁸ ერთმარცვლიანები, დიალექტის მსგავსად, ხშირად გაიორკეცებენ ბოლო თანხმოვანს, მაგ. (huwa), 'ის' howwa-ს სახითაც არის.

³⁹ აქ საფიქრებელია, რომ გაულენის წყაროა ის ფაქტი, რომ mā ხშირად ma-ს სახით გვხვდება.

⁴⁰ ასევე ხშირია -at→-a.

А. Г. ЖОРДАНИЯ

ФОНЕТИКА КОМПРОМИССНОЙ РЕЧИ АРАБОВ ЕГИПТА

Резюме

Одним из видов арабского биллингвизма является компромиссная речь арабов Египта, образовавшаяся в результате контактов между арабским литературным языком и египетским диалектом.

Главными особенностями фонетики этой компромиссной речи являются:

1) проникновение особенностей диалекта в систему согласных литературного языка (утрата хамзы и ослабление h, ослабление аспирации палатального k и дентального t, замещение ǧ звуком g, иногда — удвоение согласного на конце краткосложных слов; дифтонгизация айна в начале слова; добавление ультракороткого гласного перед гортанными в конце слова; наряду с этим — использование литературного звука q);

2) сходство системы гласных с соответствующей системой диалекта (удлинение гласного в последнем слоге, замена долгого гласного ударным и т. д.);

3) использование диалектной системы ударения;

4) смешанный характер типов слога и дифтонгов.

Компромиссная речь арабов Египта является измененным в фонетическом смысле литературным арабским языком, у которого имеются диалектные фонетические модификации. Образованные под влиянием диалекта фонетические деформации посредством компромиссной речи проникают и в канонизированные варианты литературного арабского языка (радиопередачи и т. п.).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიტოლოგიის კათედრა
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა კ. წერეთელმა

ც ნ ო ბ ე ბ ი დ ა შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

ზ ი ა ბ ი რ ა ჰ ი

ირან-საქართველოს კულტურული ურთიერთობის
ისტორიიდან

(XVI—XVII სს. სპარსელი პოეტის ლექსები საქართველოზე)

ნახევარმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც პროფ. იური მარმა გამოაველინა და ამოიკითხა ქართული სიტყვები და საქართველოს შესახები სტროფები ხაყანის (XII ს.) ლექსებში. ამ ხნის მანძილზე მეცნიერებმა მიაკვლიეს საქართველოსთან დაკავშირებულ არაერთ ახალ საყურადღებო მასალას როგორც იმავე ხაყანის, ისე შუა საუკუნეებისა თუ უფრო გვიანდელი ეპოქის სხვა სპარსელი და სპარსულენოვანი პოეტების ნაწარმოებებში. კვლევა-ძიება ამ მიმართულებით დღესაც გრძელდება და ყოველი აქამდე უცნობი ფაქტისა და ძეგლის წარმოჩენა-შესწავლის კვალად სულ უფრო გამოკვეთილ სახეს იღებს თემა — „საქართველო სპარსელ პოეტთა ნაწარმოებებში“.

აღნიშნულ თემას უკავშირდება წინამდებარე ნაშრომიც, რომელიც მიზნად ისახავს XVI საუკუნის მიწურულში კახეთის მეფის კარზე სტუმრად მყოფი სპარსელი პოეტის ქ ა ლ ქ შ რ ლ ა ჰ ი ჯ ა ნ ის (فغور لاهجانی) საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსების გამომზეურებას და ქართველი საზოგადოებისათვის გაცნობას¹.

ქ ა ლ ქ შ რ ლ ა ჰ ი ჯ ა ნ ის (მისი სრული სახელია: ჰაქიმ მარ მუჰამად ჰუსაინ ქალქურ-ი ლაჰიჯანი) ბიოგრაფიის შესახებ ცნობებს მისი ლექსების ციტირებით ვხვდებით როგორც თვით პოეტის თანამედროვე, ისე შემდგომი ხანის ავტორთა მიერ შედგენილ ანთოლოგიებსა და ბიოგრაფიულ კრებულებში². მათგან განსაკუთრებით საყურადღებოა ორი კრებული, რომლებიც წარმოადგენს უპირველეს წყაროს ქალქურ ლაჰიჯანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისათვის: 1. „მაჰსი-ი რაჰიმა — შედგენილი ინდოეთში ჰიჯრის 1025 წ. (= 1616 წ.) მულლ აბდ ალ-ზაყინ ნიჰანდის მიერ“; 2. „მეხსნე“ — შედგენილი აგრეთვე ინდოეთში ჰიჯრის 1028 წ. (= 1619 წ.) მულლ აბდ ან-ნაზრ ქახრ აზ-ზამანნ ყაზენის მიერ“.

ამ წყაროების მოწმობით³, ქალქურ ლაჰიჯანი წარმოშობით ლაჰიჯანის სეიდთა⁴ დიდად განსწავლულ, მდიდარ და გავლენიან საგვარეულოს ეკუთვნოდა. მამამისი, სეიდ აჰმადი, ფრიად დაახლოებული იყო გილანის სამთავროს უკანასკნელ დამოუკიდებელ გამგებელ აჰმად-ხან გილანისთან.

ლექსების წერა ქალქურ ლაჰიჯანის ადრე ასაკშივე დაუწყია და თავდაპირველად თახალუსად (ანუ ლიტერატურულ ფსევდონიმად) აურჩევია „რ ა ს ნ რ“; შემდეგში კი იგი თახალუსად ხმარობდა ძირითადად „ქ ა ლ ქ შ რ“-ს, იშვიათად, აგრეთვე, „მ რ რ“-ს⁵.

წყაროები ქალქურ ლაჰიჯანის ახასიათებენ, როგორც სახელმწიფო პოეტს და განსწავლულ მოღვაწეს ცოდნისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში⁶, მეტადრე მედიცინაში⁷.

წყაროების თანახმად, ქალქურ ლაჰიჯანი ფრიადი მუსიკალური ნიჭითაც

იყო დაჯილდოებული და ამ სფეროშიც ჩინებულ შემოქმედად ითვლებოდა: მის მიერ შექმნილი ჰანგები და სიმღერები პოპულარული იყო როგორც საკუთრივ გილანში, ისე მეზობელ მახანდარანსა და სპარსეთის ერაყშიც; ამას გარდა, იგი ცნობილი კალიგრაფიც იყო, კერძოდ „ნასთა'ლ-რეის“ შესანიშნავი ოსტატი¹¹. წყაროებისავე გადმოცემით, ჭაღატურ ლაჰიჯანი დიდად გატაცებული იყო, აგრეთვე, ნათემატიკით და ჰადრაკით¹².

„მაასირ-ი რაჰიმის“ ცნობით, როდესაც ჭაღატურ ლაჰიჯანიმ შეიტყო შაჰ აბბასის მიერ გილანის დაპყრობის (1592 წ. აპრილი), აჰმად-ხანის ოსმალეთის სულთანთან გაქცევის და გზად განჯაში მისი, ჩასვლის ამბავი¹³, თვითონაც უმალ გილანიდან აზერბაიჯანისკენ წავიდა, თითქოს სავაჭროდ, სინამდვილეში კი ლტოლვილ ხანთან შესახვედრად¹⁴.

აჰმად-ხანთან შეხვედრის შემდეგ კი პოეტი სასწრაფოდ საქართველოსა და სომხეთისაკენ გაეშურა, როგორც წყარო გვაუწყებს: „საქართველოს ფაღიშ-პების კარზე მოღვაწე გილანელი ჰაქიმების დასამოძღვრად და წასახალისებლად“¹⁵.

„იმ სამეფოს ფაღიშაჰი ალექსანდრე-ხანი, — ვკითხულობთ შემდეგ „მაასირ-ი რაჰიმში“, — თუმცა მთელი სისრულით ვერ ფლობდა სპარსულ ენას, უსაზღვროდ გულთბილად მიეგება მის მობრძანებას და ფრიად მოიწონა რა მისი მსჯელობა, მუდამ მასთან საუბრობდა. იმ ქვეყანაში მყოფმა ზოგიერთმა ნიჭით დაჯილდოებულმა ირანელმა¹⁶ შეიტკბო და შეირგო მისი სიტყვები, რომლებიც მან ბრძანა იმ მხარის ლამაზთა საქებრად, მთელს ირანში განთქმული რომ არიან თავისი პირისახის სიმშვენიერით“¹⁷. იმ ქვეყანაში ყოფნის ქამს მან ლექსად გააწყო „შაჰრ-აშუბი“, რომელიც პოპულარულია და იხსენიება იქაურ ხალხში. და ეს ბაჰათებიც იქიდანაა“¹⁸.

იქვე, სათაურით „შაჰრ-აშუბის რჩეული (ბაჰათები)“, ნიმუშების სახით მოყვანილია ფრიად საინტერესო ფრაგმენტები ჭაღატურ ლაჰიჯანის საქართველოში ყოფნისას შექმნილი პოეტური ციკლიდან. მაგრამ ვიდრე თვით ამ ფრაგმენტებს მოვიტანდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავასრულოთ პოეტის ბიოგრაფიის თხრობა და ბოლომდე გავადევნოთ თვალი მისი ცხოვრების გზას.

„მაასირ-ი რაჰიმის“ ცნობით, ჭაღატურ ლაჰიჯანი რამდენიმე ხანი საქართველოში დარჩა და შემდეგ თავის მშობლიურ გილანში დაბრუნდა²⁰, სადაც მხოლოდ მცირე ხანს ვაჩერდა. გილანიდან იგი სპარსეთის ერაყისკენ გაემგზავრა და შემდეგ ქ. ისფაჰანში ჩავიდა²¹.

ისფაჰანის სწავლულთა და პოეტთა წრეებში ჭაღატურ ლაჰიჯანიმ სწრაფად გაითქვა სახელი და სულ მალე თვით შაჰისა²² და მისი დიდებულების განსაკუთრებული ყურადღებაც დაიმსახურა²³.

ჰიჯრის 1012 წ. (= 1603—4 წ.) ჭაღატურ ლაჰიჯანი ისფაჰანიდან ინდოეთისკენ გაეშურა²⁴ და გზად ყანდაჰარის გამგებელს მირზა ლაზი-თარხანს ეწვია. თვით ყანდაჰარის გამგებელი ფრიად გულთბილად შეხვდა მას, მაგრამ სასახლის ყოყლოჩინა სწავლულებმა მურშიდ ბორუჯერდიმ და ასად ყარა-ხანმა სტუმრის მიმართ იმთავითვე მტრული პოზიცია დაიკავეს. მათ გესლიან გამოხედონება და საქციელს ჭაღატურ ლაჰიჯანიმ დიდხანს ვერ გაუძლო და მალე უჩუმრად გაიპარა ყანდაჰარიდან. სტუმრის წასვლა ყანდაჰარის გამგებელმა მხოლოდ სამი დღის შემდეგ შეიტყო და ძალიან ეწყინა. მან სასწრაფოდ მოიხმო თავისთან კარის სწავლულები და განრისხებულმა უთხრა: თქვენ ხართ ის, ვინც თავისი თანდაყოლილი სტუმართმომღლეობითა და გესლით საქვეყნოდ შემარ-

ცხვინა — შეუძლებელია ჩემი გამგებლობის უამს ქალქურ ლაპიჯანისთანა ადამიანი მწვეიოდა და ასე უეცრად გამცლოდა, ჩემგან რაიმე პატივისა და ჯილდოს მიუღებლად. ბატონის ბრძანებით, მურშიდ ბორუჯერდიმ და ასად ყისსა-ხანმა საბოდიშო წერილები მისწერეს ქალქურ ლაპიჯანის და გადასცეს საგანგებო შიკრიკს, რომელსაც თვით ყანდაპარის გამგებელმაც გაატანა თავისი წერილი. ამ წერილში იგი ბოდიშს იხდიდა, მომხდარ ამბავში თავის უცოდველობას ეფიცებოდა და კვლავ თავისთან იხმობდა გილანელ პოეტს. შიკრიკმა გზაშივე მიაწვდინა წერილები ქალქურ ლაპიჯანის, მაგრამ ამოდ: განაწყენებულმა პოეტმა მკვაბე საპასუხო წერილით გაისტუმრა უკან შიკრიკი და განაგრძო თავისა გზა²⁵.

ყანდაპარიდან წამოსული პოეტი ლაპორის გავლით აგრაში ჩავიდა, სადაც ესტუმრა თავის თანამემამულეს ჰაქიმ 'ალა გონანის, რომელიც იმ ხანებში სულტან ჯაჰანგირის (1605—1627) კარზე მოღვაწეობდა და ფრიადი განსწავლულობის გამო ადგილობრივ წრეებში „მეორე პლატონად“ იწოდებოდა. ქალქურ ლაპიჯანიმ სთხოვა გავლენიან თანამემამულეს წარედგინა მისი თავი სულტან ჯაჰანგირთან, მაგრამ ჰაქიმ ალი გილანი თურმე შურით აღევსო ნიჭიერი და განსწავლული პოეტის მიმართ და თხოვნა არ შეუსრულა. იმედგაცრუებულ ქალქურ ლაპიჯანი სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას და ბურჰანფურში ჩავიდა²⁶. ამ ქალაქში იგი დაუახლოვდა 'აბდ არ-რაჰიმ ხან-ი ხანანს²⁷, რომლის სასახლეში თავს იყრიდნენ ადგილობრივი მოღვაწეები და, აგრეთვე, ირანიდან ემიგრირებული სწავლულები, პოეტები, მუსიკოსები, მხატვრები და სხვ. ამ უკანასკნელმა ქალქურ ლაპიჯანი წარუდგინა სულტან ჯაჰანგირის ვაჟს უფლისწულ ფარვიზს, რომელიც მოიხიბლა მისი ლექსებითა და განსწავლულობით და იგი თავის კარზე დაიტოვა²⁸.

ქალქურ ლაპიჯანის შესახებ თხრობა „მაასირ-ი რაჰიმიში“ სრულდება ჰიჯრის 1024 წლით (= 1615 წ.). ამ წელს, წყაროს მოწმობით, გილანელი პოეტი ისევ ბურჰანფურში იმყოფებოდა უფლისწულ ფარვიზის წრეში²⁹.

მომდევნო წლების ამბები მოკლედ გადმოცემულია თეხქერეში — „მიხანენ“. ამ წყაროს მიხედვით, როდესაც უფლისწული ფარვიზი ბურჰანფურიდან ალაჰაბადში გადავიდა, ქალქურ ლაპიჯანიც თან წაყვა მას. იქვე ორი წლის შემდეგ პოეტი გარდაიცვალა და დაკრძალულ იქნა ალაჰაბადის მახლობლად, აგრასკენ მიმავალ გზაზე³⁰.

იმავე წყაროში მოყვანილია ქალქურ ლაპიჯანის აკლდამის ქვაზე შესრულებული „თარხნი“ (გარდაცვალების თარიღის შემცველი ქრონოგრამა)³¹, საიდანაც ირკვევა, რომ გარდაიცვალა იგი ჰიჯრის 1029 წელს (= 1620 წ.)³².

ასეთია მოკლედ ქალქურ ლაპიჯანის ბიოგრაფიის შესახებ ჩვენამდე მოღწეული მასალები.

პოეტის ფრიად საინტერესო ეპიზოდებით სავსე ბიოგრაფიაში ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას, ცხადია, საქართველოში მისი მოღვაწეობის ამბავი იქცევს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 1592 წ. აპრილში აჰმად-ხან გონან ოსმალეთის სულტანთან გაიქცა და გზად აზერბაიჯანში გაჩერდა. სწორედ ამ ამბის შეტყობისთანავე, „მაასირ-ი რაჰიმის“ მიხედვით, ქალქურ ლაპიჯანიც აზერბაიჯანში ჩავიდა, შეხვდა იქ აჰმად-ხანს და ამ შეხვედრის შემდეგ კი სწრაფად საქართველოსკენ გაემგზავრა, მაშასადამე, საქართველოში ქალქურ ლაპიჯანის ჩამოსვლა 1592 წ. აპრილის შემდგომ ახლო ხანებში უნდა ვივარაუდოთ.

საქართველოსკენ ფაქტურ ლაპიჯანის წასვლა, ჩანს, სწორედ აჰმად-ხანთან მისი შეხვედრით იყო შეპირობებული და უთუოდ მისივე დავალებით მოხდა კიდევ. ის, რომ საქართველოში ჩასული ფაქტურ ლაპიჯანი კახეთის სამეფო კარს მიადგა, შემთხვევითი არ უნდა იყოს: ახლო წარსულში მის ბატონს (აჰმად-ხანს) საკმაოდ მკიდრო დიპლომატიური ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონდა ალექსანდრე კახთა მეფესთან³³. ბუნებრივია, რომ ახლა უკვე გასაქირში მყოფი გილანის ლტოლვილი ხანი მფარველისა და დამხმარე ძალების ძიებაში კახეთის მეფეზეც გარკვეულ იმედებს დაამყარებდა და მასთან დაკავშირებას ეცდებოდა³⁴.

ფაქტურ ლაპიჯანიმ, რომელსაც თავისი ბატონის დანაბარები უნდა გადაეცა კახეთის მეფისთვის და ამავე დროს იქ მოღვაწე თანამემამულეები (გილანელი სწავლულები) მოენახულებინა, საქართველოში რამდენიმე ზანი დაჰყო და წარუშლელი შთაბეჭდილებების გავლენით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შექმნა ლექსების საგანგებო ციკლი „შაჰრ-აშუბის“ საერთო სახელწოდებით³⁵. ერთადერთი ცნობა ამ საგულისხმო ფაქტის შესახებ შემოგვინახა შორეულ ინდოეთში შედგენილმა ძეგლმა „მასირ-ი რაჰიმში“; მანვე შემოგვინახა ნაწყვეტები ფაქტურ ლაპიჯანის „შაჰრ-აშუბიდან“³⁶, რაც თუმცა ამ საინტერესო ძეგლის მხოლოდ მცირე ნაწილია³⁷, მაგრამ მაინც გარკვეულ ზოგად წარმოდგენას გვიქმნის სპარსელი ავტორის მიერ საქართველოზე დაწერილი ლექსების ციკლის შინაარსსა და ხასიათზე³⁸.

„მასირ-ი რაჰიმში“ ფაქტურ ლაპიჯანის „შაჰრ-აშუბიდან“ ნიმუშად მოყვანილ ლექსებს³⁹ შორის პირველი ლექსი ალექსანდრე კახთა მეფისადმია მიძღვნილი.

პოეტი ქება-დიდებას ასხამს ქართველ გვირგვინოსანს, აღნიშნავს, რომ „საწუთრო აღვისილია ალექსანდრეს დიდებით, საქართველო მისი წყალობით ისქანდერის (ე. ი. ალექსანდრე მაკედონელის. — გ. ბ.) შესაფერისი ასპარეზია“.

ასეთი შესხმა, რასაკვირველია, ალექსანდრე მეფისადმი პოეტის პირადი სიმპათიითაცაა შეპირობებული, მაგრამ არც რეალურ საფუძველსაა მოკლებული: კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574—1605) თავისი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე იყო, რომლის სახელი ფართოდ იყო ცნობილი საქართველოსა და კავკასიის ფარგლებს გარეთაც — რუსეთში, ირანში, ოსმალეთში, დას. ევროპაში. შემთხვევითი როდია, რომ თვით შაჰ აბბას I-ის კარის მემკვიდრე და მეხოტბე ისქანდერ მუნშრეც კი, რომელსაც, გილანელი პოეტისაგან განსხვავებით, კახეთის მეფისადმი არავითარი პირადი სიმპათიები არ ჰქონია, ალექსანდრე მეფეს ახასიათებს პიროვნებად, „რომელიც თავისი სწორი მსჯელობითა და გამჭრიახობით უგამოჩინებულესი ადამიანი იყო ახალგაზრდათა და მოხუცთა შორის“⁴⁰.

მომდევნო ბაბტში პოეტი ალექსანდრე კახთა მეფეზე წერს, რომ „მისი კეთილშობილ ხელისგულს გამარჯვების ხანჯალი უპყრია, მისი სამეფო გამარჯვებულია, ქვეყანა — აყვავებული“.

მართლაც, იმდროინდელი კახეთი ეკონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად ფრიად დაწინაურებულ სამეფოს წარმოადგენდა. „მთელი XVI ს-ის განმავლობაში, აღნიშნავს აკად. ივანე ჯავახიშვილი, საქართველო გამუდმებულს ბრძოლაში იყო ჯერ სპარსეთთან, შემდეგ კი ოსმალეთთან, რომელიც სპარსეთის ძლიერ და დაუცხრომელ მებრძოლ იქცა. შედარებით მყუდროობაში იყო მხოლოდ კახეთის სამეფო, სადაც ამის წყალობით და ლევანისა

და ალექსანდრე მეფის გამჭირიანობით ქვეყანა მოეშენა, მოსახლეობა გამრავლდა და ეკონომიურად მოღონიერდა. კახეთის ამდროინდელი ხელოვნების სხვადასხვა ძეგლსაც ცხადად ემჩნევა კულტურული აღორძინება⁴¹.

ალექსანდრე კახთა მეფისადმი მიძღვნილი ლექსის ბოლო ბაჰთებში პოეტი უთუოდ მის ვაჟიშვილებს უნდა აქებდეს და მათ უნდა უძღვნიდეს გამოთქმებს: „სრულყოფილების თანავარსკვლავედის ორი ბედნიერი ვარსკვლავი“, „დიდების სფეროს ორი პოლუსი“ და სხვ. ის ფაქტი, რომ ამ ბაჰთებში მხოლოდ ორ პიროვნებაზეა ლაპარაკი, სავსებით შეესაბამება რეალურ ვითარებას: ალექსანდრე კახთა მეფეს, მართალია, ჰყავდა ხუთი ვაჟი — ერეკლე, დავითი, გიორგი, კონსტანტინე და როსტომი⁴², — მაგრამ იმ ხანებში, როდესაც ჭაღჭურ ლაპიჯანი კახეთის მეფის კარზე იმყოფებოდა, მამის გვერდით კახეთში ხუთი ბატონიშვილიდან მხოლოდ ორი იყო (დავითი და გიორგი)⁴³ და, ვფიქრობთ, სწორედ ამ გარემოებით უნდა ავხსნათ ხსენებულ ბაჰთებში ორი ახალგაზრდის ქება-მოსხენიება.

„შაჰრ-აშუბის“ მეორე ლექსში საქართველოს მიწა-წყალი, მისი ხალხი და ბუნებაა პოეტურად აღწერილი. ამ ლექსის პირველსავე სტრიქონებში საქართველოთი უზომოდ მოხიბლული უცხოელი პოეტი ხმამაღლა აცხადებს: „მისი (ე. ი. საქართველოს. — გ. ბ.) მიწის წინაშე, სიტურუის მხრივ, ღირსება და უკარგავს თვით ირამის წალკოტს!“⁴⁴

მომდევნო ლექსში კახეთის მეფის კარზე მყოფი სპარსელი პოეტი და სწავლული აქებს ქართულ ეკლესიას და შავსამოსიან ბერებს, გამონატავს თავის ალტაცებას ეკლესიის მხატვრობით⁴⁵. ქართული ქრისტიანული ეკლესიისადმი საგანგებო სახოტბო ლექსის მიძღვნა მუსლიმი პოეტის მიერ, რომელიც ამასთან წარმოშობით იყო სეაიდი, ანუ ერთი იმათთაგანი, ვინც თვით მუჰამმადის შთამომავლად თვლიდა თავს, — თავისთავად ფრიალ საგულისხმო ლიტერატურული ფაქტია⁴⁶.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ჭაღჭურ ლაპიჯანის ზემოხსენებული ლექსების და, აგრეთვე, მისი „შაჰრ-აშუბის“ სხვა ნაწყვეტების ქართულ თარგმანს მცირეოდენი შენიშვნებით. თარგმანი ეყრდნობა „მაასირ-ი რაჰიმიში“ დატულტექსტს⁴⁷. გათვალისწინებულია, აგრეთვე, პროფ. ა. გოლჩინი-ნი მაჰანის კონიექტურები⁴⁸.

حكيم شهور لاهیجانی
انتخاب شهر آشوب

ქ ა ქ ი მ ქ ა ლ ძ უ რ ლ ა შ ი ჯ ა ნ ი
შაჰრ-აშუბის რჩეული (ბაჰთები)
[ალექსანდრე მეფის დახასიათება]

1. უპირველეს ყოვლისა, გულითადობით დაიწყე (და) გარს შემოეველე მათი გემის საყუდელს.
2. მეომარ ლომთა მომთოკველი, გულად მებრძოლთა დამოკებელი.
3. საწუთრო აღვსილია ალექსანდრეს დიდებით, საქართველო⁴⁹ მისი წყალობით ისქანდერის⁵⁰ (შესაფერისი) ასპარეზია.
4. მის კეთილშობილ ხელისგულს გამარჯვების ხანჯალი უხუარია⁵¹, მისი სამეფო გამარჯვებულია, ქვეყანა — აყვავებული (მოშენებული).
5. დაე, მას, როგორც თავისი ბაღის დამაშვენებელ ყვავილს, სარგებლობა მოუტანონ მისმა ქორფა ყლორტებმა:

- სრულყოფილების თანავარსკვლავედის იმ ორმა ბედნიერმა ვარსკვლავმა ანუ დიდების სფეროს ორმა პოლუსმა.
- ორმა ღვინომ — კაცის წამქცევა ბრძოლის ნაღიში, ომის ნერგის ფესვის (შომკვეთმა) ორმა ცულმა.

საქართველოს მიწის აღწერა⁵²

- მისი მიწის წინაშე სიტურფის მხრივ ღირსება დაუკარგავს (თვით) ირამის წალკოს⁵³.
- ხაშს (შებფერის) მისი დიდებული ქაენის წყალობით (თვით) წისქვილის პირშიც რომ იხაროს მარცვალმა.
- მთვარე მისი მზეთუნახავის (სხივებითა) განათებული, რომლის უმცირესი ნაწილაკიც კი ასი შუის ძალისაა.
- მისი წამწამის ისარი მომაკვინებელია, (ხოლო) ოდნავი მზერა — ხელშეწყის სისხლის ტოლფასი.
- ერთი მისრია (იგი) და ასი იწისუტ ქანა'ნია⁵⁴ მასში, ერთი მონასტერია და ასი რწმენის მეკობრეა⁵⁵ მასში.
- არის, ვითარცა ასწახნავიანი სარკე, რომლის თითოეული წახნავიდან ლამაზი სახე ელვარებს.

ცაღების და მღვდლის აღწერა

- შედი მონასტერში, ძალზე მომხიბველი რომ არის, სიყვარულის ბრამპანი⁵⁶ ხარ და შენი მონასტერი მშვენიერია.
- ისინე ეკლესიის ზარის რეკვა, იესო (ქრისტეს) დიდება ისინე.
- მასზე ნახატა⁵⁷, რომლის წინაშე შერცხენილია ყველა ეპკლიდე და ყველა ზზარი⁵⁸.
- სახეკრიალა მღვდლები ამბრის სურნელოვანი სამოსელით სარკისებრ ჩამალულან ფალანში⁵⁹
- შავად შემოსილი ბერებით ტაძარი ხოტანის მუსკს⁶⁰ დამსაგავსებია.
- მთვარეს ირგვლივ შემოეწელო ნათლის ვალავანი (და) კემლის ფარდაგი (ე. ი. ცა ღამით) აენთო.

ღვინის გამყოფელების აღწერა

- ღვინით მოვაქრე კერპის თვალთმაქცი ღვინო გამაბრუებლად ავარდა ტვინში.
- მისი ღაბაზი⁶¹ მშვენიერების ზღვის ტალღაა, მან სიწმინდის წყალი დაღვარა მშვენიერების ფერხთ.
- თავისი მომაქადოებელი სიცილით გულს აფორიაქებს, ვაი მას, ვისაც მომხიბველ ამბორს აგემებს.
- ცხვირში გამჭდარი სურნელი მისი ჭამისა ცეცხლის ტაძრიდან ბამბნარში ძღვნად გადასროლილი (ცეცხლოვითა).
- ვერცხლისფერი გუმბათი საფარველს ქვეშ ასი აღქია — შალქიას⁶² ნუსხაა⁶³.

აბანოს აღწერა

- შედი წმინდა წყლიან აბანოში, გაოცდი იმ ფერიის სახის მქონე მთვარით.
- სპილოს ძვალი მისი გულ-მკერდის ტყევა, ყარყუმი — მისი ძველთაძველი მსხვერპლი (შესაწირავი)⁶⁴
- განმარტოვდი (გაშიშვლდი) მესიის მსგავსად (და) ხალვათად მზესთან დაიდგი საეიხე⁶⁵.

დაღლაქის⁶⁶ აღწერა

- ჭირკა⁶⁷ გულნათელი დალაქებისა (სალმუნ), რომელთა სახე ფირის⁶⁸ მომხიბლაობის თანაშემწეა.
- შაწვეეროსანთა ღამისათვის დილის სინათლის მომფენი, უწვეერულთათვისაც სარგებლის მიმცემი.

3. მათი დანა ისე ლაპლაპებს, როგორც ცეცხლით მოვაქვრე სახის პირშმწვენიერი მრეცხავი⁶⁸.
4. თი, რა სულის განმწმენდი აბანოა, დათრობის მომბატებელი, ვითარცა ღვინო სისხამ დილით (ნაბახუსეზე).
5. ტანშიშველებით (აბანო) ისე გავსებულა, როგორც ნაყოფით — ფეხშიძივე ქალის საშრო⁷⁰.
6. ბაჩხე-დალღვი⁷¹ უზომოდ მოელვარე, მხურვალე და გახვითქული, ვითარცა ცეცხლი წყალში.
7. აიღე ტან-ი⁷² და წამწამი დაახამხამე, (ყველაფერი ეს) განდეგილობა-ღვთისმოსაუბობასთან ერთად ერთ ტან-ში მოაკეთე.
8. განცხრომის სავანე მისი მკერდია და მხარი, ვნებიანი წადილი — მის გაშლილ მკლავებში მოხვედრა (ჩაკონება).
9. (და) თუ მისმა ხელმა დაგზილა, (იცილდე) ტყავს გაგაძრობს⁷³ ის შექისე⁷⁴.

ზემოთ ჩვენ გავეცანით სპარსელი პოეტის ქალქურ ლაპიჯანის მიერ XVI ს. 90-იან წლებში საქართველოში ყოფნისას შექმნილი „შაჰარ-აშუბის“ ფრაგმენტებს, ამოვიკითხეთ ირან-საქართველოს კულტურული ურთიერთობის მატრიანის კიდევ ერთი ახალი ფურცელი. ვინ იცის, რამდენი სხვა საინტერესო ფურცელია ჯერ კიდევ გადაუშლელი და წაუკითხავი...

შენიშვნები და დამოწმებანი

¹ წინასწარი მოკლე ცნობა აღნიშნულ საკითხზე გამოქვეყნდა 1971 წ. იხ.: გ ბ ე რ ა ძ ე, ახალი წყარო ირან-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, მუშაობის გეგმა და მოხსენებთა თეზისები, თბ., 1971, გვ. 7—8.

² იხ. **فرهنگ سخنوران تألیف دکتر ع. خیامپور، تبریز، ۱۳۴۰** ص ۵۲.

³ ჩვენთვის საინტერესო მასალებს ეხედებით თხზულების ბოლო მონაკვეთში, რომელიც შეიცავს ცნობებს ყველა იმ პოეტსა და სწავლულზე, ვისაც კი შეხვედრია და ვისთვისაც მფარველობა გაუწევია დიდ მოღოლთა სახელმწიფოს ცნობილ მოღვაწეს 'აბდ არ-რაჰიმ ხანი-ხანანს; კერძოდ, ქალქურ ლაპიჯანის შესახებ, იხ. **The Ma'āziri-i-Rahīmī (Memoirs of 'Abd ur-Rahīm Kḥān Khānān) by Mulla 'Abd ul-Baqi Nahavandi. Persian Text. Edited by Shams-ul-'Ulama' M. Hidayet Hosain, Vol. III, Part 2, Calcutta, 1931 ("Bibliotheca Indica", Work No. 181), გვ. 901—927** (ქვემოთ ყველგან — შ ა ბ ა ს ი რ - ი რ ა ბ ა ჯ ი შ ი, III).

⁴ თხზულების ძირითადი ვარიანტი დასრულებულია ჰიჯრის 1028 წელს, მაგრამ მომდევნო წელს ავტორს შეტანილი აქვს მასში ზოგიერთი დამატება (მათ შორის, ცნობა ქალქურ ლაპიჯანის გარდაცვალებაზე). ძველი შეიცავს ცნობებს 90-მდე სპარსულენოვანი პოეტის შესახებ მათ მიერ დაწერილი ე. წ. „საინამეების“ ციტირებით. **تذکره میخانه تألیف ملا عبد**

النبی فخر الزمانی قزوینی در ۱۰۲۸ هجری با تصحیح و تنقیح و تکمیل تراجم باهتام النبى ۱۳۴۰. تهران (ჩვენ ძირითადად ვყარდნობით ამ უხსლეს ჯამოცემას (ქვემოთ ყველგან — „მეიხანე“); ვითარლისწინებთ 1926 წლის ლითოგრაფიულ გამოცემასაც (ქვემოთ ყველგან — „მეიხანე“)).

⁵ „მა-სირ-ი რაჰიმი“, III, გვ. 901; „მეიხანე“, გვ. 453.

⁶ ლაპიჯანი — კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე გილანის პროვინციის (იმ დროს სამთავროს) უმნიშვნელოვანესი ქალაქი; სეგიდებად იწოდებოდნენ მუჰამადის შთამომავლები.

⁷ აჰმად-ხანი გილანის სამთავროს გამგებელი გახდა 1536 წელს. შაჰ თაჰმასპ I-ის (1524—1576) მიერ გილანის დასაპყრობად გავზავნილმა ამირ მა 'სუმ-ბეგმა 1567 წ. დაატყვევე აჰმად-ხანი და ამის შემდეგ იგი დიდხანს ციხეში ჰყავდათ ჩამწყვედული. შაჰ მუჰამად ხოდაბანდემ (1577—1587) გაანთავისუფლა ციხიდან აჰმად-ხანი და ცოლად გააყოლა თავისი და, მარიამ-ბეგუმი, რომელიც დედით ქართველი იყო. გილანის ხანს ამ ქალთან შეეძინა ქალიშვილი, რომელსაც დედის საპატივცემულოდ მარიამი (მერამი) დაარქვეს (აჰმად-ხანის შემდგომი ბიოგრაფიის შესახებ. იხ. ქ ე ე მ ო თ, შენ. 13). აჰმად-ხანი მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის დიდი თაყვანისმცემე-

ლი იყო. მის სასახლეში შეკრებილი იყვნენ გამოჩენილი სწავლულები, პოეტები, მუსიკოსები და სხვ., რის გამოც გილანის გამგებლის კარს ხალხი „თეთრ ინლოეთს“ უწოდებდა (ინდროინდელი ინლოეთის სულტანთა მეცნაერთა ხომ საქვეყნოდ იყო ცნობილი). წყაროთა ვაღმაცემთ, თვით ამჟამად-აქინ შესანიშნავად უკრავდა აღმოსავლურ საქრავებზე, წერდა ლექსებს (ნიშნები მობრანელი იხილეთ თავის თხზულებებში სხვადასხვა სპარსულ ავტორებს) და ა. შ.

8. „მასირ-ი რაშიმი“, III, გვ. 902; „მეიხანე“, გვ. 454. ზოგიერთი წყაროს ცნობით, თავდაპირველი nom de plume პოეტს „ფალტჰერ“-ით შეუცვლია ინლოეთში ჩასვლის შემდეგ, რათა იქაურ მკითხველებს იგი არ აღეროდათ პოეტ რასში იაზღმში. იხ.: „თე ზ ქ ე რ ე-ი ნ ა ს რ ჯ ბ ჯ დ ი“, თეირანი, 1317/1938, გვ. 243; „ათეშქადე-ი ნზერ“, თეირანი, 1337/1958, გვ. 167, იხ., აგრეთვე, აქვე, შენ. 28.

9. წყაროებში („მასირ-ი რაშიმი“, „მეიხანე“...) ფალტჰერ ლაიქანის შესახებ მსჯელობისას ვხვდებით ისეთ მაღალფარდოვან და საქებარ თქმებს, როგორცაა, მაგალითად: „მკვირმეტყველების ვარდნარის ბულბული“, „საწუთროს სიტყვის ოსტატთა შორის უბადლო“, „მეცნიერი სრულჯასოვანი“, „საწუთროს მგოსანთა და ირანის ექიმთაგან გვირგვინისებრ გამოჩინებულ“, „მისი პოეტური და მეცნიერული დიდება მზის სინათლესავეთ მოჰფენია სამყაროს“. და ა. შ.

10. ამ სფეროში ცოდნა-განათლება მას მიუღია ბიძამისის, ჰაქიმ თაქ აღ-დინ ჰუსაინისაგან, რომელიც დიდი ხნის მანძილზე მანზადანის გამგებლის (მირ-სულტან შერად-ხანის) კარის ექიმი იყო. იხ.: „მასირ-ი რაშიმი“, III, გვ. 901—902; „მეიხანე“, გვ. 453.

11. „მასირ-ი რაშიმი“, III, გვ. 902; „მეიხანე“, გვ. 453; „თუზქერი-ი ნასრადი“, დასახ. გამოც., გვ. 244; შ. ბაიბანი, აქვალ ვა ისარი-ი ზოშნაისან, ნასთალიყ ნაეისან, წ. II, თეირანი, 1346/1967, გვ. 575; წ. III, 1348/1969, გვ. 705.

12. „მეიხანე“, გვ. 332, შენ. 1; A Catalogue of the Arabic, Persian and Hindustany Manuscripts of the Libraries of the King of Oudh, compiled under the Orders of the Government of India by A. Sprenger, Vol. I, Calcutta, 1854, გვ. 391.

13. შაჰ აბბას I-ის (1587—1629) ტახტზე ასვლისთანავე ამჟამ-ხანა თავი გილანის დამოუკიდებელ გამგებლად გამოაცხადა და სეფიანთა სახელმწიფოს გამოეყო. ცხადია, შაჰის ხელისუფლება აღვივლად არ დასთმობდა ეკონომიური და სტრატეგიული თვალსაზრისით ამ უაღრესად მნიშვნელოვან მხარეს და ყოველ ღონეს იხმარდა მუამბოხე ხანის დასამხობად. მართლაც, 1592 წ. აპრილში შაჰ აბბას I-მა დალაშქრა გილანი და შოლანად და საბოლოოდ შემოიბრტყია ირანის ეს ნაწილი. დამარცხებული ამჟამ-ხანი თავდაპირველად შირვანში გაიქცა, საიდანაც მალე ჩაეიდა სულტან მურად III-ის კარზე სტამბოლში. გარდაიცვალა იგი 1597 წ. ქერბელაში (ზოგიერთი წყაროს ცნობით, სტამბოლში).

14. „მასირ-ი რაშიმი“, III, გვ. 902—903.

15. იქვე, გვ. 903, „მეიხანეს“ ავტორი კი წერს, რომ ფალტჰერ ლაიქანი მამის გარდაცვალების შემდეგ წაიღია გილანიდან ჯერ შიდა ირანში, შემდეგ აზერბაიჯანში და იქიდან კი საქართველოში, სადაც რანდენიშე ხანი გაატარა ადგილობრივი ხელმწიფის სამსახურში (იხ. „მეიხანე“, გვ. 454).

16. წყაროს ცნობები ქართველ ხელმწიფეთა კარზე მოღვაწე „გილანელ ჰაქიმებზე (სწავლულები, ექიმები)“ და საქართველოში მყოფ „ნიმით დაქილდობულ ირანელებზე“, ისევე, როგორც პოეტისა და სწავლულის ფალტჰერ ლაიქანის სტუმრობა, ირან-საქართველოს კულტურული კონტაქტების, სპარსული ლიტერატურის, ხელოვნების და მეცნიერებისადმი განათლებული ქართველი საზოგადოების ტრადიციული ყურადღების კონკრეტული მოწმობაა. საკუთრივ ალექსანდრე კახთა მეფის ინტერესი სპარსული კულტურისა და კერძოდ კი სპარსული პოეზიისადმი კარგად ჩანს, აგრეთვე, თურქი ავტორის იბრაჰიმ ფეჩევის (გარდ. 1650 წ.) შემდეგი ცნობიდანაც: „ეს ალექსანდრე მეფე, — წერს იბრაჰიმ ფეჩევი, — თავისი აზრით, შიოდნე და გაეხებული კაცი იყო; ისე რომ თავის ბუეებზე ამოტიფრული ჰქონდა ჰაფიზ მორავულის ლექსის თეკვი ხანა; არც ხიდრის სიცოცხლე დარჩენილა და არც ისქენდრის [ალექსანდრე მაკედონელის] სამფლობელო, [ამიტომ] ნუ ვმღერი უმსგავსო ქვეყნიერებას, დერვიშო!“ (იხ. ი ბ რ ჯ ბ ი მ ფ ე ჩ ე ვ ი, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი თარგმანიურთ გამოცემა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიაშ, თბ., 1964, გვ. 78). სპარსულენოვან სამყაროსთან კულტურული კონტაქტები და ურთიერთობა მარტო-ოღენ სამეფო კარისა და უმადლესი წრეების დონეზე როდი ხორციელდებოდა. ამ ურთიერთობის ფერხულში მოსახლეობის ფართო ფენების წარმომადგენლებიც იყვნენ ჩაბმულნი, რასაც დიდად უწყობდა ხელს ჩვენი ქალაქების დაცხოველებული ვაჭრობა-აღმშობიებობა გარე სამყაროსთან. ამ თვალსაზრისით საგულისხმო მასალებიდან, თვით ჩვენი ნაშრომის თემიდან გამომდინარე, ამქრად დავასახელებთ მხოლოდ ერთს — ქ. გრემის საუკურო უბანში 1966 წ. აღმოჩენილ თიხის მოქუქულ

ჯამს (XVI ს.), რომელიც შემკულია სხვადასხვა სპარსული წარწერით, კერძოდ, ოთხი „საღვთაობა“ და ორი ლექსით. აღსანიშნავია, რომ ორივე ლექსი ხალხური შემოქმედების ნიმუშს წარმოადგენს (იხ. ლ. ჯილაშვილი, ჟ. გიუნაშვილი, გრემში ნაპოვნი ჯამი სპარსული წარწერით, „აღმოსავლური ფილოლოგია“, II, თბ., 1972, გვ. 188—192).

17. ქართველთა სილამაზის ქება ხშირია იმდროინდელ სპარსულ წყაროებში. იხ. მაგ., ისქანდერმუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავალითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუტურაძემ, თბ., 1969, ქართული თარგმანი, გვ. 41, 76, 107; სპარსული ტექსტი, გვ. 30, 60, 86.

18. „მასირი-ი რაჰიმი“, III, გვ. 903.

19. იქვე, გვ. 904 შმდ.

20. იქვე, გვ. 912. სხვაგვარად აშუქებს ამ ამბავს „მეიხანეს“ ავტორი, რომელიც წერს, რომ საქართველოში ყოფნის დროს „მუჰამადის (ჩუღლის და) შარათის სიწმინდე წინაღობდა მის (ე. ო. პოეტის— გ. ბ.) საუბარს — ურთიერთობას ურწმუნო გურჯებთან, მათი არაწმინდა ადათ-წესების ხილვას, და ამიტომ, მიეცა თუ არა შესაძლებლობა, იგი მოშორდა ურჯულოთა ქვეყანას და ეკლავ (სპარსეთის) ერაყისაკენ გაეშურა“ (იხ. „მეიხანე“², გვ. 454). მაგრამ ამ ცნობის ტენდენციურობასა და უსაფუძვლობაში იდვილად დავრწმუნდებით თვით ჭაღჭურ ლაიქანის ლექსების წაკითხვისას. როგორც ამას ქვემოთაც ვნახავთ, პოეტი თავის „შაჰარ-აშუბში“ გულწრფელად უმღერის და აქებს საქართველოს. იგი არათუ ცოდვილად გრძნობს თავს ქართველთა „არაწმინდა ადათ-წესების ხილვით“, არამედ მოხიბლულია ამ ადათ-წესებითა, კიდევ მეტი—ეს მაჰმადიანი პოეტის სავანეებო სახობტო ლექსსაც კი უძღვნის ქართულ ეკლესიას!

21. „მასირი-ი რაჰიმი“, III, გვ. 912.

22. „მეიხანეს“ მოწმობით, შაჰ აბბას I-მა ჭაღჭურ ლაიქანი თავის სასახლეში მოიხმო და ნასიამოვნებო დარჩა მასთან საუბრით და მისი ლექსებით, მეტადვე პირადად შაჰის სახობტოდ სახელაბელოდ შეთხზულ ყასიდებით (უთუოდ წყაროს ეს ცნობა აქვს მხედველობაში პროფ. ა. აჰმადს, როდესაც იგი ჭაღჭურ ლაიქანის შაჰ აბბას I-ის მეხოტბეს უწოდებს. იხ. A. A h m a d, Safawid Poets and India, «Iran» (Journal of the British Institute of Persian Studies), Vol. XIV, 1976, გვ. 124). შაჰის მაღალი ყურადღების და კეთილგანწყობის მიუხედავად, ჭაღჭურ ლაიქანი მისი კარის მეხოტბეთა წრეში არ დარჩა და მალე ინდოეთისკენ მიმავალ გზას დაუყვა („მეიხანე“², გვ. 455—456).

23. „მასირი-ი რაჰიმის“ ავტორი, მაგალითად, აღნიშნავს: ჭაღჭურ ლაიქანის ხშირად იწვევდაო ილიყული-ხან შამლუ თავის სასახლეში სხვადასხვა წვეულებებზე და მისი დასწრება სილამაზეს და ლაზათს მატებდაო ამ წვეულებებს (ტ. III, გვ. 912).

24. „მასირი-ი რაჰიმი“, III, გვ. 912.

25. „მეიხანე“², გვ. 256—257.

26. „მეიხანე“², გვ. 257—258.

27. ჩვენ მიერ არაერთგზის ციტირებული „მასირი-ი რაჰიმი“ მიძღვნილია სწორედ ამ პიროვნებისადმი (გარდ. 1036/1626—27 წ.), რომელიც იყო დიდ მოლოლთა იმპერიის სახელმწიფოებრივი სარდალი და ხელოვნებისა და ლიტერატურის დიდი ქომაგი. იგი თვითონაც ქმნიდა ნაწარმოებებს „რაჰიმის“ ფსევდონიმით სპარსულად, არაბულად, პინდიზე და სანსკრიტზე. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორსტრიქონიანი ლექსები (დოჰა) და „რაჰიმ სატსაი“, რომლებსაც საპატიო ადგილი უკავია ინდური (ჰინდი) ლიტერატურის ისტორიაში.

28. „მასირი-ი რაჰიმი“, III, გვ. 912—913; „მეიხანე“², გვ. 458. პროფ. მ. შაჰბი-ს თავის კომენტარებში მოაქვს შემდეგი ცნობა „მასხან ალ-ყარაბ“³-იდან: ერთხელ უფლისწულმა ფარეზმა უთხრა გილანელ პოეტს: გამიგია, ირანში ფაიფურს (ჩინი) ჩინებულად ამზადებენო. პოეტმა მიუგო: სრული შემწარმობაა, პირადად მეც ხელი ვაწაფული მაქვს ამ საქმეში, მაგრამ ჩემი მდგომარეობა არ მაძლევს უფლებას მას მივსლიო. ამის გაგონებაზე უფლისწულმა შესძახა: „ბისმილლამ, ამას რა სჯობია!“ და შემდეგ გილანელმა მის თვალწინ ისეთი შესანიშნავი თასი დაამზადა, რომ აღტაცებულმა უფლისწულმა მას „ჭაღჭურ“-ი უწოდა. ამ დღიდან მოკიდებული პოეტმა თავის ფსევდონიმად „ჭაღჭურ“-ი აირჩიაო, გვაუწყებს ეს გადმოცემა (იხ. „მეიხანე“², კომენტარები, გვ. 66). სპარსულ ძეგლებში „ჭაღჭურ“-ი უწოდა. ამ დღიდან მოკიდებული პოეტმა თავის ფსევდონიმად „ჭაღჭურ“-ი აირჩიაო, სადაც ამზადდნენ საუკეთესო ხარისხის ფაიფურის კურთხვე, ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციას, სადაც ამზადდნენ საუკეთესო ხარისხის ფაიფურის კურთხვეს (აქედანაა ნაწარმოები სპარსულში თვით ფაიფურის სახელწოდება— „ჭაღჭურ“-ი). „ჩინი“. შდრ. ქართ. „ფაიფური“, რუს. фаянсовый и др. и др.).

29. „მასირი-ი რაჰიმი“, III, გვ. 913. პოეტის შესახებ თხრობას მოსდევს აბდ არ-რაჰიმ ხან-ი

ხანანისადმი მიძღვნილი მისი ვრცელი ყასიდის და სხვა ლექსების (საერთო ჯამში 133 ბაატი) ციტირება (იხ. ი ქ ე ე, 913—927).

30. „მეიხანე“², გვ. 458.

31. ქრონოგრაფა შედგენილია ვინმე სლოპ თაბრზზის მიერ, რომელიც ინდოეთში დასახლება-მდე ერთხანს გილანში აჰმად-ხანის კარზე მოღვაწეობდა (იხ. „მეიხანე“², გვ. 458—459).

32. „მეიხანე“², გვ. 459 (წყაროში პოეტის შესახებ თხრობას მოსდევს მისი „სანე-ნამეს“ ციტირება. იქვე, გვ. 460 შმლ) ზოგიერთ წყაროში ჭაღჭურ ლაიჩანის გარდაცვალების თარიღად მითითებულია ჰიქრის 1028/1618—1619 წ. (იხ. მაგ.: ლულამ'ალი აზად ბილგრაში, სარე-ი აზად, პაილარაბადი, 1913, გვ. 37—38; „მასირ-ი რაჰიში“, III, გვ. 903 შენ. 3; „მეიხანე“², გვ. 459 შენ. 1), ან ჰიქრის 1030/1620—1621 წ. (იხ. მაგ.: „თეზქერე-ი ნასრაბადი“, დასახ. ვაშოკი, გვ. 244; აგრეთვე, „რიჰაზ აშ-მო'არა“, რომელიც ხელნაწერის მიხედვით მითითებული აქვს „მასირ-ი რაჰიში“ გამოშტემულ თავის შენიშვნაში, ტ. III, გვ. 903, შენ. 3).

33. იხ. გ. ბ ე რ ა ძ ე, ირან-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან XVI ს. მიწურულში, „ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ო ს ის ტ ო რ ი ი ს ა ღ მ ო ს ა ე ლ უ რ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი“, II, თბ., 1979.

34. კერძოდ, აჰმად-ხანი ცდილობდა გამოეყენებინა კახეთის მეფის ავტორიტეტი რუსეთის ხელშეწყობის დაკავშირების საქმეში (როგორც ცნობილია, 1587 წ. 28 სექტემბრიდან კახეთი რუსეთის მფარველობაში შედიოდა და ალექსანდრე კახთა მეფე რუსეთის ოფიციალური ხელდებულები იყო). როგორც რუსული საარქივო მასალებიდან ირკვევა, 1592 წ. ივნისში აჰმად-ხანმა შეზახადან საგანგებო ელჩობა წარავლინა რუსეთში გილანელი დიდვაჰრის ნეამეტის მეთაურობით. იმავე წლის 22 დეკემბერს მისი ელჩი ეახლა ასტრახანის ვოევოდას ტ. შ. ტროექტუროვს და თვით აჰმად-ხანის ორ სიგელთან ერთად გადასცა ალექსანდრე კახთა მეფის ერთი სიგელი, რომელიც თურმე თან ჰქონდა ჩამოტანილი. იხ. П. П. Б у ш е в, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586—1612 гг. (По русским архивам), М., 1976, გვ. 157.

35. „შაჰრ-აშუბ“ (شهر آشوب) სიტყვასიტყვით ნიშნავს ქალაქის ამფორიკეებელს, მისი სიზღვიდის დამრღვევს. ასე უწოდებდნენ იმათ, ვინც თავისი სიშვენიერით და ხელობა-საქმიანობით ხიბლავდა მხანველს, მთელს ქალაქს, ვინც „აიძულებდა“ პოეტს აეღო კალამი და მასზე ლექსი გამოეთქვა. თანდათან „შაჰრ-აშუბმა“ შეიძინა ტექნიკური მნიშვნელობა, იქცა ისეთი პოეტური ნაწარმოების სახელწოდებად, რომელიც ამა თუ იმ ქალაქს და მის ხალხს ეძღვნებოდა და ავტორის სუბიექტური ელფენა-დამოკიდებულების მიხედვით ატარებდა ან ხორბის, ან პირიქით სატორისა და ზოგჯერ კი აშვარა ლამძღვის ხასიათს. ჩვენამდე მოღწეულია (სრულად ან ფრაგმენტების სახით) XI—XIX სს. რამდენიმე ათეული პოეტის „შაჰრ-აშუბი“ (სინ. „შაჰრ-ან-რაზ“, „ქამან-აშუბ“, „ალამ-აშუბ“, „ქალაქ-აშუბ“, „დაჰარ-აშუბ“), რომლებიც დაწერილია სხვადასხვა სალექსო ფორმით და საზომით, მაგრამ ენათესავენ იმან ერთმანეთს თავისი შინაარსით: მათში შემავალ ლექსებში, როგორც წესი, მოცემულია რომელიმე ერთი ქალაქის (ან მხარის) ვარჯიანი სახის (ბუნება, ძველბიძი...) და პოეტ მოსახლეობის (განსაკუთრებით, სხვადასხვა პროფესიისა და ხელობის წარმომადგენლების) მიუტურეობი დახასიათება. ჭაღჭურ ლაიჩანის „შაჰრ-აშუბი“ ამ ტიპის დღემდე ცნობილი ყველაზე ადრინდელი ძეგლია, რომელიც საქართველოსადმი მიძღვნილი; ადრინდელი, მაგრამ არა ერთადერთი: ამავე ეპოქის განეკუთვნება X VIII ს-ის ავტორის სჰჰი ხალხლარს „თბილისის ქება“ („თარჩი-ი თიქლარს“), რომლის სპარსული ტექსტი ლენინგრადში დაცული ნუსხის მიხედვით აქამდე უკვე გამოცემულია და თარგმნილი ქართულ ენაზე. იხ. შ. თ ო დ ე ა, ქართულ-სპარსული ეტიმოლოგი, II, თბ., 1975, გვ. 195—220.

36. მასასადამე, საქართველოში შექმნილი და საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსების ციკლი სპარსელ პოეტს თან წაუღია და ჩაუტანია ინდოეთში, გაუცნია იქაური შკითხველებისთვის, რომელთაგან ერთ-ერთს („მასირ-ი რაჰიში“ ავტორს) ფრაგმენტები ამ ციკლიდან საგანგებოდ ჩაერთავს კიდევ თავის თხზულებაში. თვით ეს ფაქტი, უდავოდ, ინდოეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის წარსულის თვალსაზრისითაც საინტერესო ჩანს.

37. ჭაღჭურ ლაიჩანის „შაჰრ-აშუბის“ ტექსტი შესაძლოა სრული სახით იყოს შეტანილი მოსი ლექსების „ლივანში“, რომელიც, წყაროთა მოწმობით, დაახლოებით 4—5 ათას ბაათს შეიცავდა (იხ. „მეიხანე“², გვ. 459; „თეზქერე-ი ნასრაბადი“, გვ. 244). პოეტის „ლივანი“, ყერყერობით ხელმოუწვდომელია; მისი ერთი ნუსხის მოკლე აღწერილობაში კი მითითებულია ძირითადად ყასიდები და ლაზალები. იხ. A Catalogue of the Arabic, Persian and Hindustany Manuscripts..., I, გვ. 391—392, № 198. (ბიბლიოთეკა დაიწვა 1857 წ. სხვა ხელნაწერებთან ერთად ალბათ ზემოხსენებული ნუსხაც ეძინა; ჯრდა).

38. ჭადჭურ ლაიფანის „შპარ-აშუბის“ ეს ფრაგმენტები საზოგადოდ „შპარ აშუბის“ დახვე-
წილ და სამაგალითო ნიმუშებანდა მიჩნეული ამ პოეტური ეპიგრამის ირანულ მკვლევართა მიერ. იხ.,
მაგ.: მ. შაჰაჰ ზე, საბქ-ი ხორასანი დარ ში'რ-ი ჭარსი, თეირანი, 1345/1966, გვ. 689; ა. გო-
ლ ჩ ნ ნ - ი მ ა ნ ი, შპარ-აშუბ დარ ში'რ-ი ჭარსი, თეირანი, 1346/1967, გვ. 51—53.

39. ლექსები წარმოადგენს სარიით გაწყობილ მასნაჲს.

40. ის ქ ა ნ დ ე რ მ უ ნ ი ს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართუ-
ლი თარგმანითა და შესავალითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, თბ., 1969, სპარსული ტექს-
ტი, გვ. 31; ქართული თარგმანი, გვ. 42—43.

41. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV, თბ., 1948, გვ. 345. აღუ-
ბული ხანის კახეთის ეკონომიური დაწინაურების და გარე სამყაროსთან საქართველოს სავაჭრო-
ეკონომიურ ურთიერთობაში მისი წამყვანი როლის შესახებ იხ., აგრეთვე: ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი,
საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბი. 1965, გვ. 94—97; ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, XVI-
XVIII სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობათა შუქზე.
კრ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, I, თბ., 1966 გვ. 174 შმდ.

42. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სი-
მონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 370, 516.

43. როსტომი, ჩანს, ყმაწვილობაშივე გარდაიცვალა (1579 წ. შემდეგ წყაროები მას აღარ
ახსენებენ); კონსტანტინე შვიდი წლის ასაკში 1584 წ. ირანში წაიყვანეს მძევლად (ამის შემდეგ
1605 წლამდე კახეთში იგი არ ჩამოსულა); ერეკლე კი 1588 წ. ოსმალეთის სულთანთან „გაიქცა“
და იქვე გარდაიცვალა კიდეც 1590 წ. იხ.: ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია,
წიგნი IV, თბ., 1948, გვ. 343; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები,
წიგნი IV, თბ., 1967, გვ. 31, 87; მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტო-
რიიდან XVI—XVII სს., თბ., 1971, გვ. 171—172.

44. გავიხსენოთ, რომ ჟერ კიდეც XII ს-ში დიდი ნ ი ზ შ მ ი „წალკოტის კორდებზე უფრო
ღლიჯის“ და „სამოთხესაით მორთულ-მოკაზმულს“ უწოდებს საქართველოს (იხ.: ა. ბ ა რ ა მ ი-
ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1952, გვ. 206; ა. გ ვ ა ხ ი-
ა რ ი ა, ნიზამი და საქართველო, „მნათობი“, 1953, № 12, გვ. 172; კ. ფ ა ღ ა ვ ა, ნიზამი, თბ.,
1964, გვ. 145 და სხვ.), ხოლო ნავიგანევი ხანის სპარსელი პოეტი საჭი ხალხალი (XVIII ს.) კი
საქართველოს დედაქალაქის შესახებ წერს: ის „სამოთხის მეტოქეა, მის გვერდით ედემის ბაღიც
რომ არაფერია, ისეთი“ (იხ. მ. თ ო ლ უ ა, ქართულ-სპარსული ეტიუდები, II, თბ., 1975, გვ. 212).

45. ამ ლექსთან დაკავშირებით შეუძლებელია კიდეც ერთხელ არ გავიხსენოთ საზოგადოდ
იმდროინდელი კახეთის და კერძოდ გრემის შესანიშნავი ეკლესიები (მთავარანგელოზის ეკლესიის
ბერწიწვალუ ანსამბლი და სხვ.). იმავე ეპოქის სხვა სპარსელი ავტორიც ხომ წერს: „ხოლო ეს აუ-
ვაუბული ქალაქი (ე. ი. გრემი — გ. ბ.) ნიმუშია სამოთხის ბაღისა, რომელიც ქრისტიანობის საც-
ხოვრებელ ადგილად გამხდარა ამ ქვეყნად... ამ ქალაქში არის ერთი შვენიერი ეკლესია, უაღრუ-
სად ლამაზი და მორთული“ (იხ. ის ქ ა ნ დ ე რ მ უ ნ ი ს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ.
85). კახეთის ძვირფასი ძეგლები დღემდე დაზარალდა შაჰ აბბას I-ის შემოსევების შედეგად. ვახუშ-
ტი ბატონიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, შაჰ აბბასი „ჩამოვიდა კახეთს, მოსრნა, მოსტყუენა,
აქყარნა და მოაოჯრნა, განძარცუნა ეკლესიანი, ხატნი და ჭუარნი შეუქსრნა“ (იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი
ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა“, ტ.
IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973,
გვ. 588). ამასვე აღნიშნავს XVII ს. სომეხი მემპრიანე არაქელ დავრიეციც: „სრულად იავარყ-
ვეს და წაბილწეს ყველაფრით სავეს, მდიდარი და ხალხმრავალი კახეთისა და გრემის ქვეყანა. კახე-
თისა და გრემის ეკლესიების ნივთები და სიწმინდენი, რომელიც იყო ძვირფასი და დიდფასოვანი
და სხვადასხვანაირად შემკული პატრიოსანი ქვებითა და თვალმარგალიტით, შაჰმა ბრძანა, რომ არ
დაემტკრათ, წაეღოთ ქალაქ ისფაჰანში და ხელმწიფის ხაზინაში შეენახათ“ (იხ. ა რ ა ქ ე ლ დ-
გ რ ი ე ე ც ი ს ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო
კუციასი, თბ., 1974, გვ. 28).

46. უფრო გვიან, ქართული ეკლესიის ვრცელ პოეტურ აღწერას ეხვედებით სჰქრ ხალხლის-
თან (XVIII ს.). იხ. მ. თ ო ლ უ ა, ქართულ-სპარსული ეტიუდები, II, თბ., 1975, გვ. 204—
207, 215—218.

47. „მასირ-ი რაჰიმი“, III, გვ. 904—906.

48. ა. გოლინი-ი მანი, დასახ. ნაშრ., გვ. 52—53.

49. ტექსტში: گرج

50. ე. ი. ალექსანდრე მაკედონელის.

51. შეიძლება ითარგმნოს ასეც: „მის გულზე ხელისუფლს დახმარების ხანგალი უპყრია“ (ხომ არ არის აქ გადაკრულად ნაგულისხმები ის „დახმარება“, რასაც ლტოლვილი აჰმდ-ხანი და მისი ამაღა კახეთის მეფისაგან ითხოვდა?). საზოგადოდ, პოლიტიკური სიტყვების ერთდროულად რამდენიმე შინაარსობლივი დატვირთვით ხმარება სპარსულ პოეტთა დამახასიათებელი ხერხია, რასაც არაერთგზის მიმართავს, კერძოდ, ჭადჭურ ლაჰიჯანიც აქ წარმოდგენილ ლექსებში. ამიტომაც, რომ ზოგიერთი მისრა' თუ მთელი ზაათი შეიძლება რამდენიმე ნაირად გაეოგოთ და შესაბამისად რამდენიმე ნაირად ვთარგმნოთ.

52. ტექსტი: **صفت زمین گرجستان**

53. ზღაპრული სილამაზის ბალი იგემში. ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, ირამი (ერამი) გა-
.ამუნა შადდად იბნ ადმა ადენის ახლოს, როგორც სამოთხის ამქვეყნიური ბადალი.

54. ანუ ოსებ მშვენიერი.

55. სპარსული პოეტები მშვენიერსა და მომხიბვლელს ხშირად ამკობენ სიტყვებით: „მეკობრე“, „მტაცებელი“, „დამსჯელი“, „მკვლელი“, „ამაფორიანებელი“, და ა. შ.

56. ბუღდისტი სასულიერო პირი; სპარსულ ავტორებთან ნიშნავს, აგრეთვე, ზოგადად ყველა არამუსლიმ ღვთისმსახურს.

57. ნ ა ყ შ — ნახატი, გამოსახულება, ორნამენტი.

58. მუსლიმური ლეგენდის თანახმად პატრიარქ აბრამის (არაბ. იბრაჰიმ) მამა (ზოგი ვერსიით-
ბიძა), სახელგანთქმული ოსტატი (განსაკუთრებით ცნობილი იყო ხისგან შესანიშნავი ცოცხალი
.ფიგურების — კერპების გამოთლით).

59. დერვიშების უხეში შალის სამოსელი, ძირითადად შავი ფერის (მდრ. ქართ. „ფლასი“,
„ძაძა-ფლასნი“).

60. ხოტანის (აღმ. თურქესთან) სურნელოვანი მუშკი სიშავის სიმბოლოდ ითვლებოდა.

61. ღაბაბი მამაკაიის სილამაზის ნიშნად შიარნდათ მუსლიმურ აღმოსავლეთში, რაც ხაზგას-
.მითაა აღნიშნული ძველ ლექსიკოგრაფიულ ძეგლებშიც (იხ., ზეგ., „ლიფს ალ-ლუღათ“, ტ. II,
გვ. 106).

62. ასე ეწოდებოდა ეროტული ხასიათის პიკანტური სცენებით დასურათებულ წიგნებს, რომ-
.მლებიც, ინდური „კამასუტრას“ მსგავსად, ხელიდან ხელში გადადიოდა და ვრცელდებოდა.

63. ამ ზაათის ეროტული (არაპეტროსექსუალური) ხასიათი აშკარაა, მაგრამ ამ შემთხვევაში
უნდა გავეითადოქსინოთ ეს გაჩერება, რომ სპარსულ პოეზიაში მსგავსი შინაარსის ლექსებისა-
.თვის საზოგადოდ დამახასიათებელი იყო ამგვარი ელვადობის სტროფები, როგორც აუცილებელი,
შტამებდნენ ქვეული ელემენტები.

64. ანუ სპილოს ძვალსა და ყარყუშზე (სითეთრის სიმბოლოები) უფრო ქათქათა.

65. ლაპარაკია მზესთან ანუ პირმშვენიერთან განმარტოებაზე. ამ აზრის გამოსახატავად პო-
.ეტი იშველებს მუსლიმურ გადმოცემას, რომლის თანახმად იესო ქრისტემ იმქვეყნიური მუდმივი
სავანე დაიდგა მეოთხე ცაში მზესთან (აქ ოგი დატოვეს თითქოს იმის გამო, რომ მის სამოსელში აღ-
.მოჩნდა ნემსი, ე. ი. რკინა).

66. აბანოს მსახური, რომელიც ერთდროულად შექსიეც იყო და დალაქი-პარიკმახერიც.

67. ჭვუფი; დასი, სექტა; ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება.

68. ფ ნ რ — მოხუცი, უხუცესი, მოძღვარი, წინამძღოლი. უნდა იგულისხმებოდეს სალჰან
.ალ-ჭაჩრს (შეორენიარად — სალჰანი ფჰქ) — VII ს. ცნობილი სპარსელი მოღვაწე (მუჰამადის
უახლოესი მიმდევართაგანი, ერთ-ერთი ჯადისის ჩამწერი და პირველი კომენტატორი; მასვე მია-
წერს ტრადიცია თვით ყურანის სპარსულ თარგმანს, ე. ი. საერთოდ პირველ თარგმანს მუსლიმთა
ამ წმინდა წიგნისა არაბულიდან სპარსულზე უცხო ენაზე...), რომელსაც თავის ერთ-ერთ სულიერ
მამად თვლიდნენ სუფიები და ქალაქელი ხელოსნები. თავისი ხელობისა და ამქრის პატრონად
ნიარნდათ ოგი, კერძოდ, დალაქებსაც მთელს მუსლიმურ აღმოსავლეთში..

69. ამ ადგილის თარგმანი ეყრდნობა ა. გოლჩინი-მა'ანის კონიექტურას. მისი შენიშვნით,
ბოლო მისრაში უნდა იგულისხმებოდეს პირი, რომელიც აბანოში მოსულებს ინიშ უღებავდა-
წერილ-უღავს (იხ. ა. გოლჩინი-მა'ანის, დასახ. ნაშრ., გვ. 53, შენ. 2).

70. ბოლო ორ ლექსში აღმოსავლური ტიპის აბანოს სურათთა მუსლიმი ავტორებისათვის
დამახასიათებელ სტილში დახატული. საზოგადოდ, აღმოსავლური აბანოები ბევრი იყო იმდრო-
ინდელ აღმ. საქართველოში, კერძოდ კახეთშიც. კონკრეტულად სატახტო ქალაქ გრემში (ე. ი.
იქ. სადაც ყველაზე მეტხანს უნდა გაჩერებულყო საქართველოში ყოფნისას ჭადჭურ ლაჰიჯანი)
არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილია და შესწავლილი ორი აბანო. გრემის ამ
აბანოთა მოხსენიებას წერილობით წყაროებში, რამდენადაც ვიცით, არ ეხებებოთ. ამდენად, ჭად-

ტურ ლაიფანის „შაჰრ-აშუბის“ ბოლო ორი ლექსი, ვფიქრობთ, გარკვეულ ინტერესს უნდა იწვევდეს. საგულისხმო ჩანს, მაგალითად, უკანასკნელი ლექსის მეხუთე ბაიტი, სადაც აბანოში ხალხმრავლობის შესახებად თავისებურად თქმული. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა აღინშნოს, რომ გრემის ერთ-ერთი აბანო, როგორც მისი შესწავლიდან ჩანს, მდებარეობდა ქალაქის საეპიტრო უბანში და ერთდროულად მრავალ მუშტარს იტევდა და ემსახურებოდა; მას გამოიყენებდნენ არა მხოლოდ თვით ამ უბნის მცხოვრებლები, არამედ ქალაქის სხვა უბნების მოსახლეებიც და. აგრეთვე, სხვადასხვა მხარიდან ჩამოსული ვაჭრები, მოგზაურები, ელჩები, და სხვ. (დაწვრილებით იხ. პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ნაქალაქი გრემის არქიტექტურა, თბ., 1975, გვ. 104—111).

71. მუსლიმური აღმოსავლეთის პოეზიაში აბანოსადმი მიძღვნილი ლექსები, როგორც წესი, შეიცავენ „ბაჩჩე“-ებისადმი (ყმაწვილო, მსახური) მიმართული სტერეოტიპულ პასაჟებს. იხ. H. Grotzfeld, Das Bad im arabisch-islamischen Mittelalter. Eine kulturgeschichtliche Studie, Wiesbaden, 1970 გვ. 87.

72. ტ ა ს — „ტაშტი“ (აღმოსავლური აბანოსთვის დამახასიათებელი საგანი); ბაიტი უთუოდ ნაგულისხმებია ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობებით: „თასი“, „ჩაი“; „კამათელი“.

73. ამ ადგილას გამოყენებულია აბანოსთან და მექისის პროფესიასთან დაკავშირებული მოქმედების გამოხატული ზმნა „ქინსე ფარდნხთან“ (ნიშნავს ქისის გასაბნას (აბანოში)). იხ. M. A. Adib-Toussi, Glossaire des mots litteraires, Tome II, Tabriz, 1968, გვ. 649) და, ამავე დროს, ნაგულისხმებია მისი სხვა მნიშვნელობები, რომლებიც არსებითაა ბაიტიში მოცემული პოეტური სახისთვის. კერძოდ, „ქინსე“ უპირველეს ყოვლისა არის პარკი, ფულის ქისა (საფულე), შემდეგ — მექისის ქისა, ხოლო ზოგჯერ გადატანითი მნიშვნელობით — ადამიანის კანი, ტყავი (ანუ ქისა, რომელშიც მოქცეულია ადამიანის სხეული). „ფარდნხთან“ თავისთავად ნიშნავს: „გადახდა“, „აღდა“, „დამთავრება“, აგრეთვე — „ხეხა“. ამდენად თარგმანი შეიძლება იყოს ამგვარი: „ქისას გადაახდებენ“, „ქისას დაგიცლის, დაგიმთავრებს“, ე. ი. ძვირად დაგიყენს ამ საამოვნებას; ან „ტყავს (კანს) გაგიხეხავს, გაგაცლის, გაგაძრობს“. უკანასკნელი (გადატანითი) მნიშვნელობით მთელი ბაიტი შეიძლება შეიცავდეს თავისში ზოგადად ასეთ აზრსაც: „თუკი იმ მექისის ხელი შეგეხება და დაგზილავს, საამოვნებისაგან საკუთარი კანიდან ამოძვრები“. ცალკეული სიტყვების და გამოთქმების ერთდროულად რამდენიმე შინაარსობლივი მნიშვნელობით ხმარების შესახებ აღბეჭდილი ხანის სპარსულ პოეტებთან (კერძოდ, ჭაღატურ ლაიფანისთანაც) ზემოთაუ გვექონდა ლაბარაკის. სამწუხაროდ, საერთაშორისო სტატიის მოცულობა არ იძლევა ყველა ჩახლართული ბაითის შინაარსის სრულად გახსნის და თარგმანში ყველა შინაგანი მნიშვნელობების ჩვენების საშუალებას და ჩვენც ამკრად მხოლოდ ორიოდ მაგალითით შემოვიფარგლეთ.

74. სპარსულ „შაჰრ-აშუბებში“, როგორც წესი, დიდი ადგილი ეთმობა ლექსებს ქალაქის ვაჭარ-ხელოსნებზე, რომლებსაც პოეტები კერპებად ან პირმშვენიერ ფერეებად ხატავენ, ხოლო თავის თავს მათ მიჯნურად წარმოვიდგენენ და ა. შ. (ეს ტრადიცია ჩამოყალიბდა თვით „შაჰრ-აშუბის“ ეპიკის აღმოცენებასთან ერთად XI—XII სს-ში). მაგრამ საინტერესოა, რომ იმავე ლექსებში გარკვეული დოზითა და სახით წარმოდგენილია ხოლმე სათანადო პროფესიული ტერმინოლოგია — მოცემულ პროფესია-ხელობასთან დაკავშირებული პირების, იარაღების, ატრიბუტებისა და სავნების აღმნიშვნელი სიტყვები, სპეციფიკური გამოთქმები და სხვ. რეალიზები და ტერმინები, ჩვეულებრივ, ათასგვარი მეტაფორების და შედარებების მავთულხლართშია მოქცეული, მაგრამ მაინც თუნდაც ამ სახით, „შაჰრ-აშუბები“ წარმოადგენს საინტერესო წყაროს შესაბამისი ეპოქის საქალაქო ცხოვრების შესწავლისათვის (ამ ასპექტზე იხ.: ა. გო ლ ჩ ი ნ - ი მ ა ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 4; A. M и p з о е в, Шахрушъ ва «Шахрош-уб-и Сайидо, «Шархи Сурх», 1948, № 2, მ ი ს ი ე ე, Сайидо Насафи и его место в истории таджикской литературы, Сталинабад, 1954; გვ. 10—11, 84, 142—147; A. H. Б о л д ы р е в, Зайнабдин Васифи, Сталинабад, 1957, გვ. 272—274). როგორც ვნახეთ, ჭაღატურ ლაიფანის „შაჰრ-აშუბის“ ლექსებშიც ჩაქსოვილია შესაბამისი ტერმინოლოგია. განსაკუთრებით უხვადაა წარმოდგენილი პროფესიული ლექსიკა ბოლო ლექსში: მაგ.: დალაჯქ (მექისე, დალაქი—პარიკმახერი), სალმანჩ (პარიკმახერი), ქინსე (ქისა), ფაქჩ (დანა, სამართებელი), მწლუმ (მასაჟი, დახელა), გარმზად (აბანო) და სხვ.

Г. Г. БЕРАДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ ИРАНО-ГРУЗИНСКИХ КУЛЬТУРНЫХ СВЯЗЕЙ

Стихи персидского поэта XVI—XVII вв. о Грузии

Резюме

Статья посвящена неизвестным ранее в отечественной иранистике стихотворениям персидского поэта Хақыма Мйр Муҳаммада Ҳусайна Фағфура Лāхйджāнй (ум. в 1029/1620 г. в Индии), представляющим интерес с точки зрения истории ирано-грузинских литературных и культурных связей. Эти стихотворения были написаны поэтом во время своего пребывания в Грузии в 90-х годах XVI в. и объединены в один общий цикл под названием «Шахр-āшуб».

К сожалению полный текст «Шахр-āшуба» Фағфура Лāхйджāнй пока не обнаружен. Известны лишь его отдельные фрагменты (в частности, восхваление царя Кахети Александра II, стихотворения о Грузии, грузинской церкви и др.), цитируемые одним из современников поэта в своем сочинении «Ма' āсир-и Раҳямя» (1025/1616 г.).

В статье публикуется грузинский подстрочный перевод этих фрагментов с примечаниями.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად.
გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინს-
ტიტუტის მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ

ბ უ ბ ლ ი კ ა ც ი ა

პოეტმა ბორის გაპონოვმა (1934—1972) ქართული დედნადან კლასიკურ ებრაულ ენაზე გადათარგმნა ვეფხისტყაოსანი. იგი გამოქვეყნდა თელავში 1969 წელს. გაპონოვის თარგმანმა ნამდვილი სენსაცია გამოიწვია თავისი მაღალი მხატვრული ღირსებებით, თარგმანის ავტორს კი მიენიჭა ისრაელის სახელმწიფოს ეროვნული პრემია. გაპონოვი კვლევა-ძიებით მუშაობასაც ეწეოდა. ამისი შედეგია ნარკვევი „რუსთველის შემოქმედების ბიბლიურ მოტივებში“, რომელსაც აქვე ვებეჭავთ. სამწუხაროდ, მძიმე და უკურნებელმა ავადმყოფობამ საშუალება არ მისცა მკვლევარს გაესრულებინა თავისი ნაშრომი, გაეთვალისწინებინა ნარკვევში აღძრული საკითხის შესწავლის ისტორია. ამის მიუხედავად, ბ. გაპონოვის ნარკვევი წარმოდგენილი სახითაც უთუოდ საყურადღებოა და მისი პუბლიკაცია გამართლებულია. გაპონოვის შესახებ უფრო ვრცელ ცნობებს დაინტერესებული მკითხველი იპოვის ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს წ ე რ ი ლ შ ი „ბორის გაპონოვის გახსენება“ („მნათობი“, 1978, № 9).

БОРИС ГАПОНОВ

БИБЛЕЙСКИЕ МОТИВЫ В ТВОРЧЕСТВЕ РУСТАВЕЛИ¹

Творение гениального грузинского поэта Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре» удостоилось тщательного изучения и многосторонних исследований, образовавших отдельную ветвь литературоведения — руствелологию. Установлено, что Руставели был чрезвычайно образованным для своей эпохи человеком, владел несколькими языками, глубоко знал западную и восточную философию.

В комплекс тогдашнего образования входило изучение Библии, в составе которой имеются такие блестящие литературные памятники, как книги Исаяи, Амоса, Иеремии, Псалмы, Песня Песней, Притчи Соломона и др. Вполне естественно, что в творческом подсознании Руставели звучали многочисленные библейские изречения, ассоциации, образы и сюжеты, которые, действительно, вкраплены и вплетены в яркую, цветистую ткань поэмы.

В процессе перевода «Витязя в тигровой шкуре» на иврит² я выявил места, вызывавшие библейские ассоциации (а таких строк и строф оказались сотни!), чтобы придать переводу соответствующее звучание.

Как известно, тема библейских мотивов в творчестве Руставели еще не ставилась. Тема эта, при тщательном рассмотрении материала, оказывается весьма обширной, требующей большого труда; поэтому данная статья, являясь лишь постановкой проблемы, не претендует на более или менее полный охват.

I. В поэме «Витязь в тигровой шкуре» прослеживаются два рода библейских мотивов: первый, лежащий, так сказать, ближе к поверхности, — это цитаты, перефразировки, контаминации, ассоциации и т. п.; второй род влияния, более глубинный, состоит в использовании сюжетных библейских мотивов.

От цитат, приводимых в поэтическом произведении, нельзя, конечно, требовать точности, тем более если они приводятся в произведении XII века и автор не указывает источника. А Руставели на всем протяжении поэмы последовательно придерживается этой тактики: цитаты

¹ Доложено 24 ноября 1969 г. в Кавказском кабинете Ленинградского отделения Института востоковедения АН СССР.

² Вышел в свет в издательстве «Сифрият поалим» («Рабочая библиотека»), Тель-Авив, 1969.

он творчески перерабатывает, а на источник не указывает нигде, — кроме двух случаев, когда у цитируемого автора данной цитаты не обнаружено...

Таких «мнимых цитат» в поэме две:³

Об этом свидетельствует мне Дионос, мудрый Эзрос:

Достоин сожаления, когда роза заинедеет и продрогнет. (177)

По-видимому, имеется в виду современник Руставели — живший в Испании еврейский поэт Моше ибн Эзра и арабский перевод сборника его стихов — «Диван» (в греческой транскрипции — «Дионос»). Однако в дошедших до нас произведениях этого поэта⁴ указанного сравнения нет; кроме того, оно чуждо складу его творчества. Можно лишь констатировать, исходя из данного упоминания, что произведения Моше ибн Эзра были известны и почитаемы не только самим Руставели, но и его просвещенными читателями.

Осмелюсь высказать тебе одно слово, сказанное в поучение

Платоном:

«Ложь и двуличие вредят плоти, затем и душе». (789)

Такого изречения у Платона также не обнаружено.

Чем же вызвано то, на наш взгляд парадоксальное обстоятельство, что, приводя мнимые цитаты, Руставели ссылается на источники, а цитируя действительно сказанное, он таких источников не указывает? Мнимые цитаты — это, разумеется, не что иное, как поэтическая вольность, причины которой можно только предполагать. Например: желание популяризировать полюбившего поэта; стремление заинтересовать учением великого философа. Однако таких побуждений не могло быть у Руставели в отношении Библии, которая в его эпоху широко изучалась как основа христианской религии и, следовательно, указания на источник (причем не цитируемый слово в слово) были бы не всегда уместны в поэтическом произведении.

В качестве иллюстрации к сказанному можно привести несколько реминисценций Руставели из Пятикнижия, сюжеты которого были широко известны в руставелевскую эпоху:

Тьма моего сердца озарилась, радость стояла над ним

как столп. (409).

Это сравнение сразу вызывает ассоциацию с библейским рассказом об облачном столпе, озарявшем тьму (Исход 13, 21):⁵ «Господь же шел пред ними днем в столпе облачном, показывая им путь, а ночью в столпе огненном, светя им...»

Строфа 811 — молитва Автандила — вызывает у просвещенного современника Руставели целый ряд ассоциаций из Пятикнижия (а также других библейских книг):

У тебя прошу поддержки, какой бы путь я ни прошел

Если выживу, то буду служить тебе, буду приносить

тебе жертву.

Бытие 28, 20—22: «И положил Иаков обет, сказав: если (Господь) Бог будет со мною и сохранит меня на пути сем, в который я иду, и я в мире возвращусь в дом отца моего, то будет Господь моим Богом, ...и из всего, что Ты, Боже, даруешь мне; я дам Тебе десятую часть».

³ Здесь и далее текст поэмы цитируется в дословном переводе.

⁴ См. «Сокровищница еврейской поэзии в Испании» («Озар шират исраэл би-Сфарад») под ред. Х. Н. Бялика и И. Х. Равицкого, т. 7, Тель-Авив, 1928.

⁵ Здесь и далее библейский текст цитируется по изданию «Библия», СПб, 1897.

Молитва Автандила явно ассоциируется с молитвой Иакова, бежавшего от своего брата Исава; Автандил, так же, как Иаков, ставит богу условие: если выживу (Иаков: возвращусь в мире), то принесу тебе жертву (Иаков: дам тебе десятую часть).

Руставели цитирует хорошо известным его образованному читателю библейские книги Иова, Экклезиаста, Притчей, Исаяи; но он не просто цитирует, а творчески перерабатывает их в соответствии с национальным духом своего произведения. Так, в книге Иова 2, 10 говорится:

«...Неужели доброе мы будем принимать от Бога, а злого не будем принимать?»

А у Руставели:

Если мы хотим радости от бога, — примиримся же и с горем. (726).

Экклезиаст 7, 1: «Доброе имя лучше дорогой масти» (=еяля, оливкового масла. — Б. Г.); а в Притчах 22, 1 — в более общей форме: «Доброе имя лучше большого богатства, и добрая слава лучше серебра и золота». В тех местах, где было написано первое из двух данных изречений, оливковое масло было тогда широко распространено и могло стать источником богатства. В Грузии же, в иных географических и социальных условиях, источники обогащения были совершенно другие, и поэтому Руставели предпочитает более обобщенную, афористическую форму абсолютного утверждения:

Лучше приобрести славу, чем любое приобретение! (799)

Известно пророчество Исаяи (11, 6): «Тогда волк будет жить вместе с ягненокм, и барс будет лежать вместе с козленком...»

Говоря о всеобщем мире и благоденствии, установленном в царствах Тариэля, Автандила и Фридоны, Руставели обращается к этому пророчеству и говорит:

В их владениях коза и волк паслись вместе. (1664)

В поэме «Витязь в тигровой шкуре» имеются уподобления и перифразировки слов, которые Библия вкладывает в уста своих персонажей. Так, в ответном письме Тариэлю взбунтовавшийся против Индзи хатайский царь Рамаз пишет следующее:

«Кто такой ваш государь? Что он за господин над нами?

.....

Да не увижу я более твоих писем!» (400, 401)

В Библии подобные пренебрежительные слова говорят несколько персонажей:

Фараон Моисею (Исход 5, 2; 10, 28): «...кто такой Господь, чтобы я послушался голоса Его?.. Берегись, не являйся более пред лице мое...»

Гаал сын Еведов жителям Сихема (кн. Судей 9, 28): «...кто Авимелех и что Сихем, чтобы нам служить ему?»

Когда в ответ на это дерзкое письмо Тариэль выступает в поход на Рамаза, тот притворяется покорным и пишет Тариэлю:

«Без разорения предоставим мы тебе себя, детей, скот». (422)

Эти слова представляются нам «цитатой наоборот» слов библейского персонажа, царя Содомского (Бытие 14, 21): «И сказал царь Содомский Авраму: отдай мне людей, а имение возьми себе». А царь Рамаз отдавал людей, лишь бы не разоряли его имения...

Особое внимание в смысле библейских ассоциаций обращает на себя строфа 1081, открывающая главу «Любовь Фатьмы к Автандилу»:

Лучше удалиться от женщины, насколько кто может терпеть:
 Она завлекает и прельщает тебя, вызовет доверие и доверится,
 Но внезапно изменит тебе, рассечет то, во что вонзится,
 И потому женщине нельзя доверять никакую тайну.

Таково содержание строфы. Вслед за нею следуют: любовное послание Фатьмы к Автандилу, его ответ, убийство Автандилом бывшего возлюбленного Фатьмы и наконец — ее рассказ о Нестан-Дареджан. После всего этого подробного и долгого повествования (183 строфы!) Автандил открывает Фатьме свою тайну (о том, что он разыскивает Нестан-Дареджан), и — вопреки вышеприведенной сентенции — это ведет лишь к благоу. Таким образом, строфа 1081 явно выпадает из контекста и даже противоречит ему. Исходя из этого, можно рассматривать данную строфу в отрыве от контекста, как навеянную ситуацией (Автандил—Фатьма) и тем, что в дальнейшем ему предстояло поведать ей свою тайну. Это рассуждение приводит нас к следующему выводу: говоря, что следует избегать женщины и не доверять ей тайны, Руставели видел умственным взором историю Самсона и Далилы (кн. Судей 16, 4—21), идея которой в точности соответствует содержанию строфы 1081...

В поэме «Витязь в тигровой шкуре» несколько раз упоминаются библийские географические названия, используемые автором для образования сравнений. В строфе 331 Тарнэль говорит о Нестан-Дареджан, что она росла как древо, насажденное в Гаваоне. Гаваон — город в древней Палестине, который упоминается в книге Иисуса, во второй и третьей книгах Царств, в книгах Паралипомена, в книге Наума, а также в книге Иеремии (41, 12), где говорится: «...у больших вод, в Гаваоне».

Известно, что это была плодородная, хорошо орошенная местность.

Руставели упоминает реки, которые, по библийскому сказанию, вытекают из рая (Бытие 2, 8—14): Фисон, Гихон (или Геон), Хиддехель (Тигр, у Руставели — в арабском произношении «Диджла») и Евфрат. Из них в поэме названы три последних:

В строфе 694 говорится о Тинатин:

Воды Евфрата обильно орошали насажденный в Эдеме стройный
 тополь.

В строфах 832 и 850 слезы сравниваются с волнами реки Тигр:

Лишь льются слезы из глаз подобно течению Тигра.
 Достаточно и для Тигра слез, лившихся из его глаз.

И, наконец, о реке Гихон (Геон, у Руставели — в арабском произношении «Джеон») говорится в строфе 749, в чудесной метафоре, которая перекликается с библийской. В книге Иеремии 9, 1 читаем: «О кто даст голове моей воду и глазам моим — источник слез!» Руставели же говорит:

Не возьму я его слез, даже если бы из глаз моих тек Гихон!

В строфе 1248 Фатьма описывает Автандилу волшебные качества кудесников-каджей:

«Сотворят нечто удивительное, ослепят глаза врага,
 Поднимут страшный ветер, свергнут корабль в море,
 Как посуху пробегут, осушив воду начисто,
 Захотят — превратят день во тьму, захотят — озарят мрак!»

Все четыре перечисленные волшебства описываются в Библии как чудеса Божьи:

1. слепота, или ослепление: «Людей же, что у входа в дом, (ангелы. — Б. Г.) поразили слепотою» (Бытие 19, 11);

12. შ ა ც ხ ე, ეხისა და ლტობრატუროს სერობა, 1979, № 2

2. губительная буря: «Но Господь воздвиг на море крепкий ветер, и сделалась на море великая буря, и корабль готов был разбиться» (кн. Ионы 1, 4);

3. осушение моря: «...и гнал Господь море сильным восточным ветром всю ночь, и сделал море сушею; и расступились воды» (Исход 14, 21);

4. превращение дня в ночь и обратно: «Кто сотворил семизвездие и Орион и претворяет смертную тень в ясное утро, а день делает темным как ночь...» (кн. Амоса 5, 8).

Таким образом, все чудеса, которые Руставели приписал каждаму, являлись, по сути дела, прерогативой Господа Бога...

По воплощению и перевоплощению библейских мотивов совершенно замечательна строфа 1046, каждая строка которой — это реминисценция из Библии:

Человек, не гордись силой и не похваляйся как пьяный;
Ничего не даст тебе мощь, если не поможет божья сила;
С большими деревьями справится и сожжет их малая искорка;
Если бог тебе покровительствует, то одинаково рассечет,
ударит ли ты кого деревяшкой или мечом.

Первая строка этой строфы — «Не гордись силой и не похваляйся» — это почти буквальная цитата из книги Иеремии 9, 23: «... да не хвалится сильный силою своею...»

Вторая строка — «Ничего не даст тебе мощь, если не поможет Божья сила» — представляется парафразом из Псалмов 59, 13—14: «...защита человеческая суетна. С Богом мы окажем силу...»

В третьей строке — «С большими деревьями справится и сожжет их малая искорка» — сопоставлены две враждебные силы: горючий материал и огонь. Подобное противопоставление имеется в двух местах Библии — в книге Исаяи 1, 31: «И сильный будет отпелем, и дело его — искрою; и будут гореть вместе, — и никто не потушит».

В книге Авдия 1, 18: «И дом Иакова будет огнем и дом Иосифа — пламенем, а дом Исавов — соломою: зажгут его и истребят его...».

Однако Руставели не просто сопоставляет две враждебные силы — горючий материал и огонь, как это сделано в процитированных местах Библии, а подчеркивает, что именно меньшая сила может одолеть большую, подобно тому, как искра сжигает лес.

Четвертая строка: «Если Бог тебе покровительствует, то одинаково рассечет, ударит ли ты кого деревяшкой или мечом». Это сопоставление невольно вызывает в воображении поединок Давида и Голиафа, описанный в первой книге Царств 17, 40—51. Вышедший победителем Давид имел при себе палку, метательные камни и пращу (были и пращи с деревянным ложем), Голиаф же был вооружен до зубов. Характерно, что Руставели противопоставляет мечу не дубину, палицу или какое-либо иное деревянное оружие, а именно деревяшку («шеша»), как рассказывается в упомянутой книге (17, 43 и 50): «И сказал Филистимлянин Давиду: что ты идешь на меня с палкою (и с камнями)? разве я собака?...» «Так одолел Давид Филистимлянина пращею и камнем, и поразил Филистимлянина, и убил его; меча же не было в руках Давида».

Это подкрепляет наше предположение о том, что поэт имел в виду Давида и Голиафа.

II. Все сказанное о творческом использовании Руставели ветхозаветной тематики относится и к Новому Завету. В двух местах поэт даже дает общее указание на источник приводимых им цитат; но сле-

дует отметить, что в этих (новозаветных) источниках указанных цитат нет в том виде, в каком они даны у Руставели. В данном случае, однако, перед нами не «мнимые цитаты», о которых говорилось выше, а поэтическая интерпретация новозаветных тем.

Автандил в своем завещании царю Ростевану пишет:

Читал ли ты, как апостолы пишут о любви?

Как говорят, как восхваляют? Признай, обрати внимание.

«Любовь возвышает нас», — звучат они как колокола.

Если ты не веришь в это, — как же мне убедить неучей? (790)

В писаниях апостолов нигде нет подобного выражения: «Любовь возвышает нас» (поэт имеет в виду любовь дружескую); однако выражений, из которых можно извлечь подобный афоризм, у апостолов немало:

Первое послание Иоанна 4, 7—8: «Возлюбленные! будем любить друг друга, потому что любовь от Бога, и всякий любящий рожден от Бога и знает Бога;

кто не любит, тот не познал Бога, потому что Бог есть любовь».

Послание Павла к римлянам 13, 10: «Любовь не делает ближнему зла (вспомним слова Автандила в том же завещании (798): «Незабвение любимого никогда не причинит нам ущерба!»); итак, любовь есть исполнение закона».

Первое послание Павла к коринфянам 8, 1: «...знание надмевает, а любовь назидает»; и там же 13, 8: «Любовь никогда не перестает...»

Послание Павла к колоссянам 3, 14: «Более же всего облекитесь в любовь, которая есть совокупность совершенства» — и многие другие подобные изречения. Таким образом, Руставели мог с полным основанием сделать вышеупомянутую ссылку.

Вторая приведенная Руставели новозаветная цитата:

Победил он в их воине, как желало его сердце.

Некоторые заклинали его: «Не убивай нас ради твоей веры!»

Не убил их, обратив в рабство тех, кто выжил от ран.

Истинно речет апостол: «Страх создает любовь». (1045)

Такого изречения также не обнаружено в канонических писаниях апостолов; Руставели мог, однако, вывести этот афоризм хотя бы из Евангелия от Луки 5, 8—11, где рыбаки, уstraшенные чудотворством Иисуса, полюбили его и стали его приверженцами — апостолами.

Наряду с этими двумя поэтическими интерпретациями в «Витязе в тигровой шкуре» имеются и почти точные новозаветные цитаты, хотя их источники опять-таки не указаны по вышензложенному соображению. Вот три такие цитаты; две из них даны в следующей строфе:

Что кому даст судьба, — пусть довольствуется и говорит о том:

Труженик пусть постоянно трудится, воин пусть геройствует,

Также влюбленный пусть любит и познает свою влюбленность,

Ни сам не будет порицать кем-либо, ни порицает других.

Мысль, выраженная первой строкой этой строфы, дана в Первом послании Павла к коринфянам 7, 24: «В каком звании кто призван, братья, в том каждый и оставайся пред Богом».

Четвертая строка имеет два аналога в Новом Завете:

Евангелие от Матфея 7, 1: «Не судите, да не судимы будете»;

Евангелие от Луки 6, 37: «Не судите, и не будете судимы».

Третья цитата:

В конце каждое скрытое дело проявляется явлю. (939)

Этот афоризм почти слово в слово трижды варьируется в Новом Завете:

Евангелие от Матфея 10, 26: «...нет ничего сокровенного, что не открылось бы, и тайного, что не было бы узнано»;

Евангелие от Марка 4, 22: «Нет ничего тайного, что не сделалось бы явным, и ничего не бывает потаенного, что не вышло бы наружу»;

Евангелие от Луки 8, 17: «Ибо нет ничего тайного, что не сделалось бы явным, ни сокровенного, что не сделалось бы известным и не обнаружилось бы».

III. После того, как библейские мотивы прозвучали для нас в поэме отдельными аккордами, — в виде цитат, уподоблений, перефразировок, ассоциаций и т. п., — мы можем уже с большей уверенностью и с большим основанием искать и находить в поэме и библейские сюжетные линии, которые негромко звучат то тут, то там сквозь симфонию руставелевского повествования.

Царь Парсадан приблизил к себе Тариэля и сделал его своим военачальником; затем царица Нестан-Дареджан посылает Тариэля в поход против хатайцев, обещая стать его супругой. Эта сюжетная линия напоминает другую, а именно: как царь Саул приблизил к себе Давида, сделал его военачальником и обещал выдать за него дочь, если он убьет сто филистимлян (первая кн. Царств 18).

Автандил, отправившись на поиски возлюбленной своего друга Тариэля, скрывает на чужбине свое имя и пользуется услугами женщины легкого поведения, купчихи Фатьмы так же, как посланные Иисусом Навином разведчики воспользовались услугами блудницы Раав (кн. Иисуса 2).

Когда Автандил, по просьбе Фатьмы, убивает ее прежнего возлюбленного, то в доказательство приносит ее перстень, снятый с руки убитого. О доказательстве с помощью перстня рассказывается в библейской истории с Иудой и Фамарью (Бытие 38, 25).

Царь Рамаз, убоявшись выступившего против него Тариэля, посылает ему подарки — и так же, по Библии, поступил Иаков перед встречей с обманутым им братом Исавом (Бытие 23, 14—16).

Царь Парсадан помиловал изменившего ему царя Рамаза, и Руставели горячо одобряет этот акт благородного великодушия (хотя ему, как автору, известно, что Рамаз вторично изменит Парсадану, нападет на его страну и станет причиной его преждевременной смерти.) Аналогичный случай описан в третьей кн. Царств 20: израильский царь Ахав милует разгромленного им арамейского царя Бен-Адада; однако Библия, в противоположность Руставели, не одобряет этого поступка и устами пророка говорит Ахаву (третья кн. Царств 20, 42): «...за то, что ты выпустил из рук твоих человека, закланного Мною, душа твоя будет вместо его души, народ твой вместо его народа»...

За время отсутствия Тариэля царь Рамаз напал на Индию и разорил ее. Возвратившись, Тариэль разгромил Рамаза и вернул себе власть над страной. Подобный сюжет описывается в первой кн. Царств 30, когда Давид выступил в поход, оставив жен и все имущество в городе Секелаге, а в его отсутствие город был разграблен и сожжен амалекитянами. Погнавшись за ними, Давид разбил их и вернул из плена своих жен и имущество.

Предлагаемая статья, как уже говорилось, является только постановкой проблемы, поэтому некоторые ее положения могут быть дискуссионными. Однако нет сомнения в том, что углубленное исследование библейских мотивов в творчестве Руставели может и должно открыть новую грань гениального грузинского эпоса.

ქ რ ო ნ ი კ ა და ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

„მეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგან კომისიაში*

1077 წ. 18 ნოემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 816; 817; 818; 818,1; 819; 820; 821; 822 (პროექტი მოაზუსტეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

816 თავდარეკით იგონებდა, გულსა ჰქონდა კმუნვა დიდი, უში კმნა და აიხენა, უბრანებდა მონას: „შილი, მოვიდეს და აწ მიაშბოს, შემოვიდეს იგი ფლიდი“

და რა ვაზირი შემობრუნდა, ფერი ჰქრთა და ჰქონდა რილი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 810) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: თავდახრილი ფიქრობდა, გულში ჰქონდა დიდი მწუხარება, ამოიხრბა და აიხედა, უბრანა მონას: „შილი (და უთხარი), მოვიდეს და ახლა მიაშბოს, შემოვიდეს ის ფლიდი (ვეზირი)!“ ვეზირი რომ შემობრუნდა, ფერი წაუვიდა და მორიდებული იყო.

817 კულა შვეა დარბაზს ვაზირი დაღრეკით, არამხიარულად;

მეფემან ჰკითხა: „წასრულა მზე დაუდგომლად, მთარულად?“

მან მოაკსენა უჭელი, ვით წასრულიყო და რულად:

და „მზე აღარ მზეობს ჩქენთანა, დარი არ დარობს დარულად!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 811) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: დაუდგომლად (დაუდგრომლად).

ც. კიკვიძემ აღნიშნა, რომ ამ სტროფის ანალიზი მოცემული აქვს ი. გიგინეიშვილს (იხ. მისი: გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბ., 1975, გვ. 306—309). სხვა ვასწორებებთან ერთად მასვე აქვს აღნიშნული, რომ უფრო მართებული წაკითხვაა და უ დ გ ო მ ლ ა დ.

ი. გიგინეიშვილი: მეოთხე ტაეპში ჩ უ ე ნ თ ა ნ ა წაკითხვის ნაცულად რიგ ხელნაწერში ჩ ე ე ნ ზ ე დ ა იკითხება, რაც გაცილებით უკეთ ეგუება კონტექსტს, ვიდრე ტრადიციული ჩ ე ე ნ თ ა ნ ა.

პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

სტროფის შინაარსი: ისევ შედის დარბაზში ვეზირი მოწყენილი, არამხიარულად: მეუემ ჰკითხა: „წასულა მზე (ავთანდილი) შეუჩერებლივ, მთეარის მსგავსად?“ მან (ვეზირმა) მოახსენა ეველაფერი, როგორ წასულიყო და რანაირად: „მზე აღარ მზეობს ჩვენთან, დარი (კი) არ დარობს დარივით“

818 რა მეფემან მოისმინა, დაიზახნა მეტისმეტნი;

მოსთქამს, იტუქის: „ეჲ, გაზრდილო, ვეღარ განახვენ თქალნი რეტნი! --

პირსა ზოკით, წუერსა გლეჩით გააეჭირენა მისნი მჭურტენი, —

და საღ წაჰქე და საღ დაჰკარგენ სინათლისა ევე სჭეტენი?

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 812) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ე ა ე (ეა).

ა. ბარამიძე: ხელნაწერებსა და ზოგიერთ გამოცემაში (K O S Y) ამ სტროფის ტაეპთა თანმიმდევრობა სხვაგვარია: აგბდ. შინაარსობრივ ტაეპების ასეთი თანმიმდევრობა უფრო მისაღებია და ჩვენც ამ თანმიმდევრობით უნდა დაეალაგოთ ტაეპები. ამის შესაბამისად მეორე და მესამე ტაეპებში მოიშლება ტირეები.

ც. კიკვიძემ აღნიშნა, რომ პროექტს მხარს უჭერს ხელნაწერთა სამი რედაქციის ხელნაწერები. სხვაგვარი წყობა კი მხოლოდ ერთი, A რედაქციის ხელნაწერებში გვაქვს, რაც ამ ხელნაწერთა რედაქციულ თავისებურებას უნდა წარმოადგენდეს. აქ თხრობა მარტივია, სხვა რედაქციის ხელნაწერებში კი — გართულებული წინადადების თავისებური წყობით, რაც არ

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მ ა ე ნ ე, ე ნ ის ა და ლ ი ბ რ ა ტ უ რ ის ს რ ი ა“, 1974, №№ 3, 4; 1975, №№ 1, 3, 4; 1976, №№ 1, 3, 4; 1977, №№ 3, 4; 1978, №№ 1, 2, 3, 4; 1979; № 1.

არის უცხო „ეფებისტყაონისნათვის“. მოსალოდნელია, რომ თხრობის გამარტივება შემდგომ მოხდა, პირველ პროცესი ნაკლებ სავარაუდოა.

რედაქციის წევრებმა გაიზიარეს ა. ბარამიძის თვალსაზრისი (წინააღმდეგი — ც. კიკვიძე) და სტროფის ტაეპები დალაგდა აგზდ თანმიმდევრობით, შესაბამისად მეორე და მესამე სტრიქონთა ბოლოს მოიშალა ტირეები.

ამ ცვლილებებით პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მეფემ რომ მოისმინა (ეს ამბავი), საშინლად შეპყვირა; სახის ხოკით, წვერის გლუჯით გააკვირვა მისი მაკერალნი, მოთქვამს, ამბობს: „ვამე, გაზრდილო, ვეღარ გნახევენ (მწუხარებით) გარეტებული ჩემი თვლები სად წახვედი და სად ვადაქარგე სიწათლის ეგ სვეტი (შენი თავი)?“

- 818,1 გაზრდილო, ცეცხლი მედების, ლახურით ვარ მე დახეული;
 გაზრდილო, ჩემთუის გამოჩნდა ვამი მუხთალი, წყუელი;
 გაზრდილო, დიღით სევდითა ძლივდა ცოცხალ ვარ სნეული;
 და გაზრდილო, ადრე მოვეჭდები საბრალო დღედალეული.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 998) შედარებით პროექტში მხოლოდ პუნქტუაციური ზუსათის ცვლილებაა (პირველი და მესამე სტრიქონის ბოლოს, ნაცვლად მძიმისა, დაწერილია წერტილ-მძიმე, ხოლო მეოთხე ტაეპის ბოლოს ძახილის ნაშნის ნაცვლად დაწერილია წერტილი).

პროექტი მიღებულ იქნა. მეოთხე ტაეპში ს ა ბ რ ა ლ -ს შემდეგ დაიწერა მძიმე.

სტროფის შინაარსი: გაზრდილო, ცეცხლი მედება, ლახურით ვარ დაქრილი; გაზრდილო, ჩემთვის დადვა მუხთალი, წყუელი დრო; გაზრდილო, დიდი სევდით სნეული ძლივდა ვარ ცოცხალი; გაზრდილო, საბრალო, დღემიწურული მალე მოვეკედები.

- 819 თუ თავი შენი შენ გახლავს, ლარიბად არ იქსენები,
 მაგრა მე რა ვქმნა, გაზრდილო, აწ სახლად მშართებს სენები!
 გამაღარიბე, დამაგდე, გულსა, გლახ, ვისთუის ენები?
 და შენად შეყრამდის პატოჟთა ჩემთა ვერ იტუეის ენები!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 813) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: თუ შენ საყუთარი თავი გახლავს, მარტო მყოფად არ ჩაითვლები, მაგრა მე რა ვქმნა, გაზრდილო, ახლა სახლად სენაკი შემეფერება! დამაობლე, დამტოვე, გულს ვისთვის უნდისხარ? შენს ნახვამდე ჩემს ტანჯვას ვერავითარი ენა ვერ იტუეის.

- 820 ოდეს გნახავ მხიარულსა, ნადირობით შემოსრულსა?
 ვეღარ გიქურტ ნაბურთალსა, ტანსა მვეკერსა, ჭავარსრულსა,
 ვეღარ ვისმენ კმასა შენსა სასმენელად მე მას რულსა,
 და აწ უშენოდ რა, გლახ, უყო საჯდომსა და სრასა სრულსა?

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 814) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უყო (უყო).

ბ. გიგინეიშვილი: პირველ ტაეპში ო დ ე ს წაკითხვის ნაცვლად უნდა მივიღოთ ვ ე ლ ა რ. თხრობაც გაიშართება და კითხვის ნიშანიც მოიშლება ტაეპის ბოლოს. ამ სტროფში რაინდულა ზნეობის ნიშნებია ჩამოთვლილი: ვეღარ გნახავ ნადირობიდან შემოსულს, ნაბურთალს და სხვ. A²-ის წაკითხვაზე დაყრდნობით მესამე ტაეპში (სასურსა) შესაძლებლად მიმჩინდა გაკეთდეს კონიექტურა მ ო ს ა ს უ რ ს ა.

ც. კიკვიძე: პირველ ტაეპში ვ ე ლ ა რ წაკითხვა მხოლოდ A რედაქციის 5 ხელნაწერშია. სხვა ნუსხეები კი კითხულობენ ო დ ე ს. შინაარსობლივ პროექტისეული წაკითხვა უხერხულობას არ იწვევს. უფრო სავარაუდოა, რომ მეორე და მესამე ტაეპების გავლენით A რედაქციის რამდენიმე ნუსხაში ო დ ე ს წაკითხვა შეიცვალა ვ ე ლ ა რ-ით, ვიდრე პირველ.

ს. ცაიშვილი: თხრობის თვალსაზრისით, ვფიქრობ; უფრო გამართლებულია ო დ ე ს. ყველგან ვ ე ლ ა რ თუ იქნება, თხრობა ძალიან სწორხაზობრივი იქნება და ნაკლებ პოეტური. რედაქციამ გაიზიარა ბ. გიგინეიშვილის მოსაზრება და პირველი ტაეპი ამ რედაქციით მიიღო: „ვეღარ გნახავ მხიარულსა ნადირობით შემოსრულსა“.

ამ ცვლილებით პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვეღარ გნახავ მხიარულს, ნადირობიდან დაბრუნებულს, ვეღარ გავიგონებ შენს სმას, მოსასმენად ჩემვენ წამოსულს, ახლა უშენოდ რა ვუყო სამეფო ტახტსა და ბრწყინვალე სასახლეს?

რედაქციის ზოგიერთ წევრს (ი. გიგინეიშვილსა და ც. კიკვიძეს) შესაძებ ტაქსის შინაარსი განსხვავებულად ესმით: „ველარ გავიგონებ შენ ხმას, სასმენლად მას როგორ მოსასმენს“.

821 ვიცი, არ მოგკლავს შიმშილი, რაზომცა დია ირები;
შენ შენი მშობილი დაგარჩენს, შენთა ისარათა პირები,
ნუთუ კჳლა ღმერთმან წყალობით გაგიადვალოს ქარები,
და მაგრა, თუ მოვკვდები, გაზრდილო, ვისგანდა დაეიტრები?“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 815) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვიცი, არ მოგკლავს შიმშილი, რა ბევრიც უნდა იარო: შენ შენა მშვილდი დაგარჩენს (შეგინახავს), შენი ისრები, ეგების ისეც ღმერთმა წყალობით გაგიადვალოს გასაკირი, მაგრამ თუ მოვკვდები, გაზრდილო, ვისგანდა დაეიტრები?

822 ზარი გაიწმა, შემოკრბა ჭარი მრაველი კაცისა,
დარბაზს ხასთაგან ჭარია ქელითა წუერთა ტაცისა,
იგლეჯს და იცემს უჭელათ, კმა ისმის თავსა ტკაცისა;
და თქვეს: „ბნელი გვმართებს ღლეკულთა, რათგან მზე მიგტიდრკა ცისა!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 816) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვლოვის ზარი დაღვა, შეიკრბა მრაველი კაცი, დარბაზში დიდებულების ჭარი წევრებზე ხელს იტაცებდა, (წევრს) იგლეჯს და (გულში) იცემს (ხელს) ყველა, თავში ცემის ხმა ისმის; თქვეს: ბნელში ყოფნა გვმართებს ღლედაწყველილებს, რადგან მზე (ავთანდილი) ჩვენთვის გაღიხარა (დაგვმორდა)!“

1977 წ. 96 ნომერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ე. მეტრეველი, ს. ციციშვილი, შ. ძიძიგური.

განხილეს სტროფები: 823; 824 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშაშვილიშვილმა, ნ. კობეტიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა); 825; 826; 827; 828; 829; 830 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. ვერიტიშვილმა, ლ. კიკვიძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

823 რა მეფემან დიდებულნი ნახნა, სულთქმით შემოსტირნა,
უთხრა: „ხედავთ, მზემან ჩუენმან შუქნი სრულად დაგუიჭირნა!
რა ვაწყინეთ, რა შეესცოდეთ, რად დაგუყარნა, რად გაგუწირნა!
და სპანი, მისგან დაჰირულნი, ვინმცალა ვით დაგუიჭირნა?“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 817) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მეფემ რომ დიდებულები ნახა, ოხერით შესტირა, უთხრა: „ხედავთ, ჩვენმა მზემ (ავთანდილმა) შუქი გაგვიჭირა (მოგვაკლო) რა ვაწყინეთ, რა შეესცოდეთ, რატომ დაგვტოვა, რატომ გაგვწირა მის მორჩილებაში მყოფი ლაშქარი ვინდა დაგვიმორჩილოს (ჩვენთვის ვინ ამყოფოს მორჩილებაში)?“

824 ყოელნი ტიროდეს, მოსთქმიდეს, მერმე დაწყნარდეს გუიანად.
მეფემან ბრძანა: „იკითხეთ, მარტოა ანუ ყმიანად?“
მოვიდა მონა შერმადინ მოშიშრად, სირცხუილიანად,
და ანდერძი ჰკადრა, ატირდა, სიცოცხლე უჩნდა ზიანად.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 818) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ყველანი ტიროდნენ, მოთქვამდნენ, მერმე მოგვიანებოთ დაწყნარდნენ. მეფემ თქვა: „იკითხეთ, მარტოა (წასული) თუ ყმიანად?“ მოვიდა მონა (მსახური) შერმადინი მოშიშრად, მორცხვად, ანდერძი მიართვა, ატირდა, სიცოცხლე მიანდა უბედურებად.

825 მოაკსენა: „საწოლს ეპოვე ესე მისგან დანაწერი;
დგეს მონანი ნატირებნი, დაეგლიჯა თმა და წუერი;
იგი მარტო გაპარულა, ყმა არ ახლავს, არცა ბერი.
და იქ თუ მომკლათ, მემართლებით, სიცოცხლე მკირს შეუღერი!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 819) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

პირველი და მეორე ტაქების ბოლოს წერტილ-მძიმის ნაცვალ დაისვა მძიმე, შესამის-ბოლოს წერტილის ნაცვალ — წერტილ-მძიმე. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოახსენა: „საწოლში ეპოვე ეს მისგან (ავთანდილისგან) დანაწერი, იდგნენ ნაბტრალევი მონები, დაეგლოჯათ თმა და წვერი, ის მართო გაპარულა, არც ახალ-გაზრდა ახლავს, არც მოხუცი; მე თუ მომკლავთ, ჩემთან მართალი იქნებით, სიციოტლე აწ-შეემფერება (სიციოტლის ღირსი არა ვარ)!“

826 რა ანდერძი წაიკითხეს, კულა იტირეს დიდი ხანი;

მერმე ბრძანა: „მხიარულსა ნუ ჩაიციენ ჩემნი სპანი,
ვამლოცველნეთ დავრდომილნი, ობოლნი და ქუჩრიენი სხუანი,
და შეეწვიენეთ, მშუდილობისა ნუთუ მისცნეს ღმერთმან გზანი!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 820) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: როდესაც ანდერძი წაიკითხეს, ისევე დიდხანს იტირეს; მერმე თქვა (მეფემ): „სამხიარულო (ტანსაცემელს) ნუ ჩაიციემენ ჩემი ჭარები, (მისთვის) ვალოცოთ-დავრდომილები, ობლები და ქვრავები, შევეწიოთ (ლოცვით), იქნებ მშვიდობის გზა მისცეს ღმერთმა!“

827 მთუარე მზესა მოეშორეოს, მოშორებდა გაანათლებს,
რა ეახლოს, შუქი დასწუავს, გაეყრების, ვერ იახლებს,

მაგრა ვარდსა უმზუომა გააქმობს და ფერსა აკლებს,
და ჩუენ ვერკუტურეტა საყუარლისა ჭირსა ძუელსა გაგუთახლებს.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 821) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მთუარე მზეს რომ მოშორდება, დაშორება სინათლეს შემატებს, რომ მიუახლოვდება, (მზის) შუქი დაწვავს, (ამიტომ) მოსცილდება, ახლოს ვერ დარჩება, მაგრამ ვარდს უმზუოდ ყოფნა ახშობს და ფერს უკარგავს, (ხოლო) ჩვენ სატრფოს უნახველობა ძველ ჭირს გაგვიახლებს.

828 აწუა დაეიწყებ ამბავსა, მის ყმისა წამელობასა:

მივა და მიტრის გულმდღურად, ვერ ვიტყუი ცრემლთა მცრობასა,
წამ-წამ მობრუნდის, იაქდის მისთუის მზისავე მზობასა,

და უჭურეტდის, თუალი ვერ მოჰქსნის, თუ მოჰქსნის, მიჰქდის ცნობასა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 822) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მოჰქსნის (მოხსნის, ორივეგან), მიჰქდის (მიხდის). პროექტი მიღებულ იქნა.

ი. გიგინეიშვილიმ აღნიშნა, რომ მობრუნება აქ ნიშნავს გონზე მოსვლას, ვამორკევეას.

შ. ძიძიგურის აზრით წამ-წამ ამ კონტექსტში ნიშნავს: დროდადრო.

სტროფის შინაარსი: ახლა დაეიწყებ ამბავს, იმ მოყმის წასვლის ამბავს: მადის და მიტრის გულმდღურად, ვერ ვიტყუი, რომ ცრემლი უმცირდებაოდა, დროდადრო მობრუნდებოდა. (გონს მოგებოდა) ხოლმე, ითხოვდა, მისთვის მზეს რომ მზუომა გაეწია, უყურებდა, თვალს ვერ სწყვეტდა, თუ მოსწყვეტდა, გონებას კარგავდა.

829 რა მივახლის დაბნედად, ვერ ქელყვის გაძრვად ენისად,

მაგრა სდის ცრემლი თუალთაგან მსგავსად დიჭლისა დენისად,
ზოგჯერ დაბრუნდის, იჭურეტდის ღონედ პატიეთა თმენისად,

და რა გაემართის, არ იციის, მას თუ არბეედის ცხენი სად.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 823) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: როდესაც დაბნედად მივიდოდა (დაბნედას მიუახლოვდებოდა), ენის დაძვრაც არ შეეძლო. მაგრამ თვლებიდან დიჭლასავით (მდინარე ტიგრისივით) სდიოდა-ცრემლი, ზოგჯერ დაბრუნდებოდა, იყურებოდა, რომ ტანჯათა მოთმენის საშუალება ეპოვა. რომ წავიდოდა, არ იცოდა, თუ სად იტარებდა ცხენი.

830 თქვა: „ჩემო, შენი შორს მყოფი კრულია, ვინცა დადუმდეს,

რათგან შენ დაგრაჩა გონება, გული შენკენვე დაბრუნდეს,
თუალთა მტრიალთა შეხედვა შენივე სწადდეს და უნდეს.

და სჯობს, საყუარელსა მოუტარე რაზომცო დაუძახუნდეს!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 824) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: თქვა: „ჩემო, შენგან შორს მყოფი ვინც დაღუპდება (არ იტირებს, არ იჩივლებს), კრულია (წყულია), რადგან შენთან დარჩა ჩემი გონება, გულიც შენგან ბრუნდება, მტრალ თვალებს შენი შეხედვა უნდოდეს და ესტრებოდეს. უმჯობესაა, სატროფოს მოყვარე (მოყვარული, თაყვანისმცემელი) რაც უფრო გაუგულჩეოდება (მისდამი მეტ გრძობას გამოიჩენს).

1877 წ. 2 დეკემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კვიციანი, ს. ცაიშვილი. განიხილეს სტროფები: 831; 831,1; 832; 833; 834; 835 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელოძემ).

831 მე რა ვქმნა შენად შეყვარდის, ანუ რას ვეჭქლე ლენასა? თავსა მოვიკლავ, მე თუშცა შენგან არ ვეჭქდი წყენასა, მაგრამ შენ გაწყვენი ჩემისა არსიციცხლისა სმენასა, და მოდი და მოვსენე ცოცხალმან აქალანი ცრემლისა ღენასა!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 225) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მე რა ვქნა შენ შეხვედრამდე, ან რა ლენაზე ვიფიქრო? თავს მოვიკლავ, შენს წყენინებას რომ არ ვფიქრობდე (რომ არ ვიკოდე, შენ გეწყინება), მაგრამ შენ შეგაწუხებ (დაგაღონებ) იმის გაგებით, რომ აღარ ვარ ცოცხალი, მოდი და ცოცხალმა თეალებს ცრემლი დაეაღვრევიწი!

831,1 ტრის, იტაუის: „დადგე კეშნი ლახქარმან ჩემთუის ათმანო; ინდოთა რახშმან ჩემად კლვად თქვა: ღესე ტევერი ვთხზათო, — მანო. თქალთა გიშერი აშუენებს, სათმან რად მომკლა, სათმანო! და ბაგე-ქბილო და თქალ-წარბო, მომცემდით პატყესა, თმანო!“

საიუბილეო გამოცემისგან განსხვავებით, პროექტში სტროფი ძირითადად არის მიჩნეული. 1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 1012) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ჩემთუის (ჩემთუისი), ინდოთა (პინდოთა), რახშმან (რახშან), თქვა: ღესე ტევერი ვთხზათო, — მანო (თქვა, ესე ტევერი ვთხზა თმანო), მომცემდით პატყესა (მომეცდით პატყესა).

გ. კარტოზია: სტროფი არის ყველა (დაუნაინებელ) ხელნაწერში, აგრეთვე ვახტანგის გამოცემაში. გამომცემლები, ჩანართად რომ მიიჩნევენ, მიუთითებენ სტროფის ენობრივ, მხატვრულ-სტილისტურ გაუმართაობაზე, როგორცაა პირველი ტაემის სარიტმო სიტყვა კეშანი (ასეა დაბეჭდილი ყველა გამოცემაში), ტავტოლოგიური რითმა (II და IV ტაემებში თ მ ა ნ ო). ხელნაწერთა მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ზოგი ადგილის გამართვა. მაგ., პირველ ტაემში უპირატესობა მიეცა კეშნი ფორმას, რომელიც რიგ ხელნაწერში იკითხება და ძველ ქართულშიც დასტურდება (იხ. ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973, გვ. 196); მეორე ტაემში (სარიტმო სიტყვებში) მიღებულია კ. კიკინაძისეული წაკითხვა, რითაც იხსნება ტავტოლოგიური რითმა. II ტაემში ფრანკის კონსტრუქციისათვის შდრ. ანალოგიური შემთხვევა სხვაგან: ავთანდილ, მისჰან მქსენებმან, ლაწო ცრემლითა შინა მან.

ა. ბარამიძე „ვეფხისტყაოსანში“, ჩვეულებრივ, იხმარება კეშანი, ამიტომ როგორც კეშანი, ისე კეშნი არ შეიძლება რუსთველისეული იყოს. მე აღრეე აღმინიშნავ, რომ სტროფი ფორმით უხეიროა და შინაარსობრივადაც საყურადღებოს არაფერს იძლევა.

ი. გიგინეიშვილი: ძველ ქართულში კეშნი ფორმის სპორადულობა (ერთი ნაგალითია ცნობილი) დამაფიქრებელია. შესაძლოა აქ ა მექანიკურად იყოს დაკლებული. რაც შეეხება მეორე ტაემის წაკითხვას (ვთხზათ მანო), ანალოგისათვის მოხმობილი შინა მან არ გამოდგება, თვით მოითხოვს ახსნას. კერძოდ, ვფიქრობ, ეს უკანასკნელი ერთ სიტყვად უნდა წაეკითხათ — შინაშა (ავთანდილ მისმან მხსენებმან ლაწვი ცრემლითა შინა მან). დანარჩენ ტაემებშიც სარიტმო სიტყვები ბოლოციდური წს გარეშე უნდა წაკითხვით. ვფიქრობ, საკმაო საფუძველი არა გვაქვს განსახილველი სტროფის ძირითად ტექსტში შეტანისათვის.

ც. კვიციანი: კეშნი ფორმაში ა-ს უქონლობა, მართლაც შეიძლება მექანიკურა შეცდომის შედეგი იყოს. სტროფი მხატვრულად მეტად გაუმართავია (შდრ., მაგ., ხათ სიტყვის გამოერება: სა თ მ ა ნ რ ა დ მ ო მ კ ლ ა, სა თ მ ა ნ ო), ამჟამად ჩანართი უნდა იყოს.

ს. ცაიშვილი: ის ფაქტი, რომ სტროფი ყველა ხელნაწერშია, ხელს ვერ შეუშლის მის ჩანართად ჩათვლას. ასევე ვახტანგის გამოცემაში მისი არსებობა არ გამოდგება მისი ნამდვი-

ლობის უუკუფლო საბუთად. ვახტანგმა, როგორც ცნობილია, თავისი შეხედულებებისამებრ შეამოკ-
ლა პოემის ვრცელი ტექსტი და ზოგი ჩანართი სტროფი მაინც დარჩა მის გამოცემაში.

რედაქციის წევრებმა ამასთან აღნიშნეს, რომ ხელნაწერებში არსებული ვარიანტები შე-
საძლებლობას იძლევიან გაიმართოს სტროფის ცალკეული ადგილები.

დაადგინეს: სტროფი მიჩნეულ იქნეს ჩანართად (წინააღმდეგი — გ. კარტოზია). ტექსტის
წარმოდგენილი პროექტი დამტკიცდეს.

სტროფის შინაარსი: ტირის, ამბობს: „სევდა (კეშანი) შემყარა (ჩემთვის გააჩინა) მრ-
ვალმა (ათმა) ლახვარმა; ინდოელების რაზმმა (=წამწამებმა) ჩემ მოსაკლავად თქვა: „ეს ტვერი
ეწნათო“. თვალმებს ვცშერი ამშვენებს, სათმა (=შავმა ქარავამ) რატომ მომკლა, სათმა ბაგე-
კბილო, თვალ-წარბო და თმებო, დამტანჯეთ (ტანჯვა მომეციო)!“

832 იტყუის: „ჰე მზეო, ვინ ხატად გოქუეს მზიანისა ღამისად,
ერთარსებისა ერთისა, მის უფამოსა ეამისად,
ვის გმორჩილებენ ციერნი ერთის იოტის წამისად,
და ბედსა ნუ მიქცევ, მიაჯე, შეყრამდის ჩემად და მისად!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 826) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პრო-
ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ამბობს: „ჰე, მზეო, ვისაც გიწოდებენ მზიანი ღამის, ერთარსება ერ-
თის, უფამო ეამის ხატს (სახეს), ვისაც გემორჩილებიან ციური სხეულები ყოველ წამს, შემა-
ვედრე (ღმერთს), ბედს ნუ შემიცვლი ჩემ და მის შეხვედრამდე! („მზიანი ღამის“, „ერთარსება
ერთის“ და „უფამო ეამის“ შესახებ სპეციალურად იხ. კომენტარში).

833 ვის ხატად ღმრთისად გიტყუიან ფილოსოფოსნი წინანი,
შენ მიშეღე რა ტყუექმნილსა, ჭაჭუნი მამიან, რკინანი!
ბროლ-ბალახზისა მიტბნელმან სათნი დავკარგენ, მინანი;
და მაშინ ვერ გავსძელ სიახლე, აწ სიშორესა ვინანი“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 827) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პრო-
ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვისაც (მზეს) ღვთის ხატს (სახეს) გიწოდებენ ძველი ფილოსოფო-
სები, შენ მიშეღე რამე ტყუექმნილს, ჭაჭვი, რკინა მამიან ბროლ-ბალახზის (ე. ო. ტარიელის)
მიტბნელმა სათი და მინა (ე. ო. თინათინი) დავკარგე; მაშინ ვერ გავძელი (თინათინის) სიახლო-
ვე, ახლა სიშორეს ვნანობ.

834 ამას მოსთქმოდის, იწოდის, ვითა სანთელი დნებოდის,
დაყოვნებისა მოშიში ისწრაფდის, იარებოდის;
რა შეუღამდის, ვარსკულავთა ამოსლვა ეამებოდის,
და მას ამსგავსებდის, ილხენდის, უჭურეტდის, ეუბნებოდის.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 828) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: იწო-
დის (იწვოდის). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ამას მოსთქვამდა, იწვოდა, სანთელივით დნებოდა, დაგვიანებისა ეშო-
ნოდა, ჩქარობდა, შეუსვენებლივ მიდიოდა, როდესაც დაღამდებოდა, ვარსკლავების ამოსლვა
უხარობდა, მას (თინათინს) ამსგავსებდა, ილხენდა, უჭურეტდა, ესაუბრებოდა.

835 მთუარესა ეტყუის: „იფიცე სახელი ღმრთისა შენისა!
შენ ხარ მოცემი მიჯნურთა მიჯნურობისა სენისა,
შენ გაქუს წამალი მისისა მოთმინებისა თმენისა,
და მიაჯე შეყრა პირისა, შენ გამო შენებრ მშუქენისა!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 829) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პრო-
ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მთუარეს ეუბნებოდა: „გაფიცე შენს ღმერთს! შენ ხარ მიჯნურე-
ბისათვის მიჯნურობის სენის შემყრელი, შენ გაქვს მისი (მიჯნურობის) გაძღების წამალი, შემა-
ვედრე (ღმერთს) შენი წყალობით შენსავით მშვენიერი პირის (თინათინის) ნახვა!“

1077 წ. 0 დეკემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ვ. მეტრე-
ველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განხილეს სტროფები: 836 (პროექტი მოაშზადეს გ. კარტოზიამ, ვ. არაბულმა, ე. გვრიტი-

შვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ; 837; 838; 839; 840 (პროექტი მო-
ამზადეს უ. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა,
ნ. ცქტიშვილმა).

836 ღამე აღზენდის, დღე სჭიდის, ელის ჩასლვასა მზისასა;
რა წყალი ნახის, გარდაქდის, უჭერეტდის ქველსა წყლისასა,
მას თანართედის ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა,

და ეჭლა გაემართის, ისწრაფდის წავლასა მისევ გზისასა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 830) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექ-
ტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ღამე შევბას აძლევდა, დღე აწუხებდა, მზის ჩასვლას ელოდა ხოლმე;
მდინარეს რომ ნახავდა, ჩამოხტებოდა ცხენიდან, უჭერეტდა წყლის ლივლივს (ქველს), მან
ურთავდა სისხლის ცრემლების ტბის ნაკადს, ისევ გაემართებოდა, ჩქარობდა იმავე გზის გაე-
ლას (ქვაბისაკენ).

837 მარტო მოსთქმადის, ტიროდის ტანად ალვისა ხიანი,
მინდორს თხა მოკლის, სადაცა ადგილი დაბუდის კლდანი,
შეწუის, ქამის და წავიდის პირმზე, გულშარბიანი,

და იტუის: „დაეყარენ ვარდნი და, ამა მე, ვაგლახ, იანი!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 831) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექ-
ტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მარტო მოთქვამდა, ტიროდა ხოლმე ალვის ხის ტანიანი (ავთანდილი),
მინდორში თხას მოკლავდა, სადაც კლდანი ადგილი შეხედებოდა, შეწუავდა, შექამდა და წაეი-
დოდა პირმშენიერი და გულშარბიანი (მარბის გულის მქონე), ამბობს: „ამა მე, ვაგლახ, დაე-
ტოვე ვარდები და იები (თინათინი)!“

838 აწ ვერ ვიტყუი მაშინდელსა მე მის ყმისა ნუბზარსა.

მიუბნობდის, რას მოსთქმოდის, რას ტურფასა, რაზომ გუარსა!

ზოგან თოვლი გაეწითლის ვარდსა, ბრქულითა ნახოკარსა.

და ქუაბნი ნახნა, გაეხარნეს, ზე გავიდა ქუაბთა კარსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 832) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციამ მეორე ტაეპში მიუბნობდის შეცვალა წაეწითით რას უბნობდის,
რომელიც ზოგ ხელნაწერსა და გამოცემაში დასტურდება. პირველი ტაეპის ბოლოს დაისვა
ძმომე, მეორის ბოლოს — წერტილი; რაზომ გუარსა დაიწერა შერწყმულად.

სტროფის შინაარსი: ახლა ვერ ვამბობ იმ მოყმის (ავთანდილის) მაშინდელ ნუბზარს, რას
ლაპარაკობდა, რას მოთქვამდა, რა მშენიერი (სიტყვებს), როგორს. ზოგან თოვლი გაეწითლე-
ბინა ვარდს (ლოყებს), ფრჩხილით ჩამოხოყის. გამოყვებულები დაინახა, გაუხარდა, გამოქვა-
ბულთა კარებს მიადგა.

ა. ბარამიძის, ე. მეტრეველის და შ. ძიძიგურის აზრით, მესამე ტაეპში თოვლი მეტაფო-
რულად სახეს აღნიშნავს, უ. კიკვიძეს, გ. კარტოზიას და ა. ცაიშვილს მიანიათ, რომ თოვლი
აქ პარადაქსი მნიშვნელობით არის ნახმარი.

839 რა ასმათამ დაინახა, მოეგება, ცრემლი სწუთების,
ვით ეამა, სიხარულსა მართ ევლარას ვერ მიხუდების;
ყმა გარდაქდა, მოეხუთა, აკოყებს და ეუბნების.

და კაცი კაცსა მოელოდეს, მოსლუა დია ეამების.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 833) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექ-
ტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ასმათმა რომ დაინახა, მოეგება, ცრემლი სდიოდა, როგორც ეამა (ა-
მას), (სხვა ასეთ) ევლარავითარ სიხარულს ვერ ეწევა; მოყმე ჩამოქვეითდა, მოეხუთა, კოცნის
და ესაუბრება. კაცი (რომ) კაცს ელის, (მისი) მოსლუა დიდად ეამება (გაუხარდება).

840 ყმა ქალსა ეტყუის: „პატრონი, ნეტარ, სად არის და ვითა?“

ქალი ატირდა ცრემლითა, ზღუთაცა შესართავითა,

იტყუის: „რა წახუთე, გაიქრა, ქუაბს ყოფა მისქირდა ვითა;

და აწ მისი არა არ ვიცი არ ნახეთ, არ ამბავითა.“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 834) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექ-
ტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოყმე ქალს ეუბნება: „პატრონი (ტარიელი), ნეტარ, სად და როგორ
არის?“ ქალი ატირდა (იმდენი) ცრემლით, რომ ზღვასაც შეერთებდა, ამბობს: „რომ წახუთედი,

გაიქრა, როგორც კი გამოქვამულში ყოფნა გაუქირდა; ახლა მისი არაფერი ვიცი, არც შინახავს. და არც ამბავი გამიგია”.

1806 წ. 10 დეკემბერი

სხდომის დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. შიშიგული.

განიხილეს სტროფები: 841; 842; 843; 844; 845; 846 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

841 უმა დაქმუნდა, ვითამც რამე ჰკრეს ლახჭარი გულსა შუა;
ქალსა ეტყუის: „აჰა, დაო, ეგეთიმცა კაცი ნუა
იგი ფიცით ვით გატეხა! არ ვეცრუე, ვით მეცრუა
და ვერ იქმოდა, რად მიქადა? თუ მიქადა, რად მიტყუა?!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 835) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოყმე დამწუხრდა, თითქოს გულში რამე ლახჯარი ჰკრეს; ქალს ეუბნება: „აჰა, დაო, ეგეთი კაცი ნურც იქნება (ქვეყანაზე)! ის ფიცით (ჩემთვის მოცემული) როგორ გატეხა! არ მომიტყუებია, როგორ მომბატყუა (თუ) ვერ შეასრულებდა, რატომ დამპირდა? თუ დამპირდა, რად მომბატყუა (რატომ არ შემისრულა დაპირება)?!

842 მე უმისოდ სოჟელს ყოფა რათგან ჩირად არ მიღირდა,
- რად დავვიწყდი, რა მივსცილდი, რად ვერ გასძლო, რა მისქირდა?
მან გატეხა ზენარისა რად შემართა, ვით გაპირდა?
და მაგრა ავის ბედისაგან ჩემი რამცა გამიკვირდა!”

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 836) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. გ. კარტოზიას წინადადებით მეორე ტაეპში რა მივსცილდი (=რათგანაც მოვმორდი) შეიცვალა წაკითხვით რად მივსცილდი (=რატომ დავავიწყდი).

მეოთხე ტაეპის წაკითხვად მიღებულ იქნა: მაგრა ავი ბედისაგან ჩემი რამცა გამიკვირდა! (წაკითხვისათვის იხ. ი. გვიგინიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის. საკითხები, 1, თბ., 1975. გვ. 341—342).

სტროფის შინაარსი: მე უმისოდ ამქვეყნად ყოფნა რადგან ჩირადაც არ მიღირდა, რატომ დავავიწყდი, რატომ ვერ გაძლო, რა გაუქირდა? მან ფიცის გატეხა რატომ გაბუდა, როგორ დააპირა (გადაწყვიტა)? მაგრამ ბედისაგან ჩემი ავი რა გამიკვირდება!

843 ქულა ქალი ეტყუის: „მართალ ხარ მაგისსა დამძიმებასა,
მაგრა რა გაებრტო მართალი, ნუ შეკუტ რასაცა თნებასა:
არ გული უნდა ფიცის და პირისა გასრულებასა?
და იგი უგულო მოელის მართ ღღეთა შემოკლებასა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 837) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მეორე ტაეპში მაგრა-ს შემდეგ დაისვა შიშიმე.

სტროფის შინაარსი კვლავ ქალი ეუბნება: „მართალი ხარ, ამ ამბავმა რომ დავამძიმა, მაგრამ, სიმართლით რომ განსჯი (მართალი რომ ვთქვა), ნუ იფიქრებ ჩემზე, რომ გპირმოთნეო: (განა) გული არ უნდა ფიცის და დაპირების შესრულებას? ის კი (ტარიელი) უგულო (გულწარმეული) მოელის ღღეუბის შემოკლებას (სიკვდილს).

844 გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან;
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან;
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან.
და შენ არ გინახვან, არ იცი, მას რომე ცეცხლინ სწუტიდიან.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 838) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: გული, გონება და ფიქრი ერთმანეთზეა დამოკიდებული: გული რომ წავა, ისინიც წავლენ მასთან ერთად (იმავე გზას დაადგებიან); უგულო (გულწარმეული) ადამიანი ვერ კაცობს. ადამიანთაგან გაკიდებულნი (მოშორებულნი). შენ არ გინახავს, არ იცი, მას როგორი ცეცხლი წავადა.

გ. კარტოზიას აზრით, განაკიდიან ხოლმეობითის ფორმა (=მაშორებენ, გააქიდე-განებენ), სხვებს მიაჩნიათ, რომ აქ გვაქვს შედგენილი შემასმენელი განაკიდიან (=გაქიდე-

განებულია, მოშორებულია), რომელსაც ბოლოში რითმის საპირობის გამო შორფოლოგიურად უფუნქციონერეთის.

ს. ცაიშვილის აზრით, კაცთაგან განაკიდიან ნიშნავს: კაცობისაგან მოშორებულა, კაცუო ღირსებებს მოკლებულია.

845 შენ უმართლე ხარ, ემდურეი, შენ გაეყარე ძმობალსა,
მაგრა ვით ითქმის, ვით გაქდა, ვითა გაამბო ცნობილსა!
ენა დაშურების, გატუთების, გულსა შეელმის ლმობილსა,
და ამას მით ვაზრობ, შინახავს მე უბედურსა შობილსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 839) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გვიგინიშვილი: მეორე ტაეპში უფრო მართებულია ზოგიერთი ხელნაწერისა და გამოცემის (A^o D¹ D² f) წაკითხვა ვით გეაქმობის (შდრ. აგრ. A¹⁰-ის გეაქმობის). ტაეპში მეორე ზმნაც პოტენციალისის ფორმითაა წარმოდგენილი (ვით ითქმის).

ე. მერაყეელიც მომხრეა ვით გეაქმობის ფორმის მიღებისა.

რედაქციის სხვა წევრებმა არ გაიზიარეს ეს წინადადება. პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

სტროფის შინაარსი: შენ მართალზე მართალი ხარ, რომ ემდურები, შენ გაშორდი (ვერ შეხვდი) მშობილს, მაგრამ როგორ ითქმის, თუ როგორ გახდა (რა დღეში ჩავარდა), რანაირად გაამბო ცნობიერს! ენა დაიღლება, გააცდლება, მტკივან გულს ეტკინება, ამას იმიტრად ვფიქრობ, რომ შინახავს მე უბედურად დაბადებულს.

846 ჯერთ მისი მსგავსი სასჯელი არცა ვის ამაღლ სმენია:

არა თუ კაცთა, სასჯელი ქვათაჲა შესაძრწენია,
დიჯლადცა კმარის, მას რომე თუალთაგან ცრემლი სდენია;
და თუით რაჲა ჰბრძანოთ, მართალ ხართ: სხუა სხუისა ომსა ბრძენია.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 840) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ჯერ მისი მსგავსი ტანჯვა ამაღლაც არავის გაუგონია: (ამგვარი) ტანჯვა არა თუ კაცის, ქვის შესაძრწუნებელიცაა, დიჯლად (წყალუხვ მდინარე ტიგრისად) კმარა, მას რომ თვალებიდან ცრემლი დასდენია, თქვენ რაც უნდა ბრძანოთ, მართალი ხართ, (რადგან) სხვა სხვის ომში ბრძენია.

1977 წ. 28 დეკემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიციანი, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 847; 848 (პროექტ. მოამზადეს ც. კიციანემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. კუბიშვილმა); 849; 850; 851 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიციანემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელოძემ).

847 მას წამავალსა ვკითხვედი, დამწუარსა, ცეცხლმოდებულსა:
ემოვიდეს, რა ქმნას ავთანდილ? მისსა დამვედრე დებულსაჲ.
მიბრძანა: ემო-ღა-მნახეილეს მე, მისთუის გაკუდებულსა,
და ამათ არ დავყარი არეთა, არ ვავსტებ მას ქადებულსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 841) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მიმავალ დამწუარს, ცეცხლმოდებულს (ტარიელს) ვეკითხებოდი: „რომ მოვა, რა ქმნას ავთანდილმა? დამიბარე მის მიერ დად მიჩნეულს“. მიხარა: „მომნახოს მე, მისთვის უსარგებლო, ამ არემარეს არ დავტოვებ, იმ შეპირებულს (სიტყვის) არ ვავტებ.“

848 მას ზენაარსა არ ვავსტებ, მას თიცსა არ ვეცრუებო,
მას პაემნამდის მოვიცდი, რაზომცა გამდის რუები;
თუ მკუდარი მნახოს, დამმარხოს, თქუას ვავლაზი და უები,
და კოცხალი დავხუდი, უქუირდეს, სიკოცხლე არს სათუებოჲ.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 842) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: მეორე ტაეპის პირველი ნახევრის აზრი, ჩვეულებრივ, ასე ესმით: იმ პაემნამდის მოვიცდი. მიაჩნიათ, რომ მოვიცდი ერთპირიანი ზმნაა, მას კი — პაემანს-სიტყვის მსაზღვრელი ნაწევარც. სინამდვილეში აჲ, ისევე როგორც აღრინდელი ხანის ძეგლთა

ენაში, მოვიციდი ორპირიანი გარდაშავალი ზმნაა (მოვიციდი მე მას — მოვიცადე მე იგი). ნახევარტაეპის აზრია: მას (ავთანდილს) პაუზნამდის მოეუცდი.

პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იმ ფიცს არ გავტებ, იმ ფიცს არ ვუმტყუნებ, მას (ავთანდილს) პაემნამდის მოეუცდი, რამდენი (ეგრემლის) რუც უნდა მლიოდეს; თუ მკვდარი მიპოვოს, დამმარხოს, ვაგლახი და უი თქვას (იგლოვოს), (თუ) ცოცხალი დაგხედე, გაუყვირდეს, პაექვოა, რომ ცოცხალი დავრჩე.

849 ჩემთვის გარდაქდა მას აქათ გაყრა მზისა და ქედისა; ოდენ მოდენა ცრემლისა მჭირს, ველთა მოსალბე დისა. მსჯის გამრავლება ხელქმნისა სულქმისა ზედა ზედისა, და დავიწყებთვარ სიქედისა, ნახეთ ნაქმარი ბედისა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 843) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მოსალბე დისა (მოსალბედისა).

ა. ბარამიძე: ტექსტში უნდა აღდგეს ტრადიციული წაკითხვა მოსალბედისა, რომელიც ლექსთწყობის თვალსაზრისით უკეთესია.

ც. კვიციანი: ამ კონტექსტში, სადაც ასმათი თავისი ტირილის შესახებ ლაპარაკობს, ზმნის აბსოლუტური ფორმა (დის) არ არის მოსალოდნელი, უნდა ყოფილიყო მდის (მოსალბედისა).

გ. კარტოზია: ნახევარტაეპში სეგმენტების ამგვარი განაწილება (3 + 3 + 2) „ვეფხისტყაოსანში“ იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება. ლიტერატურაში მითითებულია 19 ამგვარი მაგალითი. რაც შეეხება იმას, რომ ამ კონტექსტში აუცილებლად რელატიური ზმნა უნდა გვკონდეს, პოემაში სხვაგანაც გვხვდება მსგავსი შემთხვევა, როცა მოსალოდნელი რელატიური ფორმის ნაცვლად ზმნის აბსოლუტური ფორმა წარმოდგენილი. შდრ. მეხალე მირბის, იხარებს, ოფლნი ქვე მკრამდის ჩადიან. უნდა იყოს ჩასდიან, რომელიც შინაარსობრივად უფრო მართებულია, მაგრამ ამგვარი წაკითხვა ლექსთწყობის თვალსაზრისით არის მიუღებელი: რითმა ირღვევა.

დ. გვიგინიშვილი: მე მივირს მოსალბედის დაშორება ცრემლსიტყვისაგან. უფრო ბუნებრივია, განვიხილოთ ისინი საზღვრულ-მსაზღვრელად.

დაადგინეს: აღდგეს წაკითხვა: მოსალბედისა. ი. გვიგინიშვილის წინადადებათ ზედა ზედისა დაიწერა შერწყმულად (უღეფისოდ).

სტროფის შინაარსი: ჩემთვის გათავდა მას შემდეგ მზისა და ქედის გაყრა (ე. ი. მზის ამოსვლა) [=მას შემდეგ ჩემთვის აღარ თენდება]; მხოლოდ ველთა დამალბობელ ცრემლს ვღვრი. გახელებულს მტანჯავს განწყვეტელი ოხვრა (ოხვრის გამრავლება), სიკვდილს დავიწყებთვარ, ნახეთ ბედის ნახელაფი!

ა. ბარამიძის აზრით, პირველი ტაეპი ასე უნდა გავიგოთ: მას შემდეგ ჩემთვის შეწყდა სი-¹ცოცხლე, დროჟამის მსვლელობა, მზის ამოსვლა და ჩასვლა.

850 ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია: ჟინ მოყუარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერიაჲ. აწ ზაფრანია, ვის წინას ვერ ვარდი ჰგვანდის, ვერ ია; და თულა მონახე, მონახე, ქმენ, რაცა შენი თერიაჲ.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 844) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ეს მართალი (კეშმარიტი) არაკი ჩინეთის ქვაზე სწერია: „ვინც მკვდარს არ ეძებს, ის თავის მტერია“. ახლა ზაფრანაა, ვისაც წინათ ვერც ვარდი ჰგავდა და ვერც ია; თუ მონახე, მონახე, (ისე) მოიქეცი, როგორც შეგეფერება.

851 ყმამან უთხრა: „უმართლე ხარ, არ მამართლო მღურვად მისად, მაგრა გაბრქე, რა მიქნია სამსახური ტუქესა ტუქისად; გამოჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად, და მას ვეძებ და მას ვიგონებ, ვიარები ველთა ვლისად.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 845) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი მოყმემ (ავთანდილმა) უთხრა: „ნავსებით მართალი ხარ, არ გამამართლო მისი სამღურავის გამო, მაგრამ განსაქე, რა სამსახური გამიწვევია ტუვეს ტუვესათვის: შინიდან გამოვჭრილვარ, როგორც ირემი წულის საძებნელად, მას (ტარიელს) ვეძებ და მას ვიგონებ, დავდივარ ველთა დასავლელად (დავდივარ, რომ ველები მოვიარო).

ს ა დ მ ბ რ რ ო დ ი ს ა რ ტ ა ტ ი ა მ ა თ ა თ ე მ ე ბ ი ს დ ა ვ ბ ი ც ი მ ბ ა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებულმა ლიტერატურათმცოდნეობის ფოლკლორისტიკის რესპუბლიკურმა საბჭოებმა თავიანთ ა. წ. 9 თებერვლის სხდომაზე (ოქმი № 1) სალოქტორო დისერტაციათა თემები დაუმტკიცეს:

- 1. გ. ავალიანს: „საბჭოთა კავშირის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობა დიდ სამამულო ომში და ქართული საბჭოთა ლიტერატურა“.
- 2. ბ. ბარდაველიძეს: „დავით კლდიაშვილის პროზა“.
- 3. ე. გაბიძაშვილს: „არსენ ოყალთოელის როლი XI—XII სს. ქართული ფილოლოგიური აზრის განვითარებაში („დიდი სჯულისკანონისა“ და „რუის-ურბნისის ძეგლისწერის“ მიხედვით)“.
- 4. თ. კიკაჩიძეს: „კ. გამსახურდიას მხატვრული პროზის პოეტიკა“.
- 5. შ. სალაყაიას: „აფხაზური ნართული ეპოსი (კავკასიური ნართიადის სხვა ეროვნულ ვერსიებთან შედარებით)“.
- 6. მ. ქავთარიას: „XVII—XVIII სს. ქართული ჰიმნოგრაფია (ტექსტები და გამოკვლევა)“.

ბ ხ ა ლ ი ფ ი ბ ნ ე ბ ი

გ ა მ ო მ ც ი მ ლ ო ბ ა „ მ ე ც ნ ი რ ი ბ ა “

შერი გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, თეიმურაზ პირველის ცხოვრების გზა.

რედაქტორი ალ. ბარამიძე
ნაშრომის მიზანია ლიტერატურულ ძეგლებსა და საისტორიო წყაროებში დაცული ცნობების საფუძველზე მეცნიერულ-პოპულარულად გადმოსცეს აღორძინების ხანის თვალსაჩინო წარმომადგენლის, მეფისა და პოეტის თეიმურაზ პირველის ცხოვრება.

ნაშრომში თეიმურაზი დახასიათებულია, როგორც საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში მდგარი პიროვნება. დამპყრობელთა წინააღმდეგ დიდი ბრძოლების მოთავე, დაუცხრომელი მებრძოლი უცხოურა აგრესიის წინააღმდეგ.

რამდენადაც უცხოური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში თეიმურაზს ორიენტაცია რუსეთზე ჰქონდა აღებული, ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე.

118 გვ., ფასი 50 კაპ., ტირაჟი 5000.

ზურაბ შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე, ფერეიდნელი „გურჯები“.

რედაქტორი ა. გვახარია.

ნაშრომში მოკლედაა მოცემული ირან-საქართველოს ისტორიული ურთიერთობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნიდან მოცილებული ჩვენი წელთაღრიცხვის XVI საუკუნის მეორე ნახევრამდე, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს გაიგოს, თუ რა გზით ხვდებოდნენ ქართველები ირანში.

ფერეიდნელი ქართველები საშობლოდან გადასახლეს XVII საუკუნის დასაწყისში. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული XVI საუკუნის დასასრულისა და XVII საუკუნის დასაწყისის ირანისა და საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან მომენტებზე. მითითებულია იმ მიზეზებზე, რამაც გამოიწვია შაჰ-აბასის ლაშქრობები საქართველოში და ქართველი მოსახლეობის აყრა-გადასახლება თავიანთი ადგილსამყოფელიდან ირანის სხვადასხვა ადგილებში.

მოყვანილია სათანადო მასალა, თუ როგორ მოხდა ქართველების ჩასახლება ფერეიდანში, როდის გაჩნდა პირველი ცნობები მათ შესახებ; დახასიათებულია ფერეიდნის მხარის სოფლები, ფერეიდნელ ქართველთა ენა და ყოფა-ცხოვრება.

წარმოდგენილია თითქმის ყველა ის ცნობა, რომელიც დღესდღეობით არსებობს როგორც ქართულ, ასევე რუსულ და ევროპულ ლიტერატურაში ფერეიდნელ ქართველებზე.

ფერეიდნელთა ქართული მეტყველების ნიმუშები გაბნეულია სხვადასხვა სტატიებსა და წიგნებში. მათი უმრავლესობა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ისინი (უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული ტექსტების გარდა) მოიკვებულა ნაშრომის დანართში. აქვეა მოცემული მცირე ლექსიკონი, სადაც განმარტებულია ზოგიერთი სახეშეცვლილი ქართული სიტყვა და ფერეიდნულ ქართულ მეტყველებაში ფეხმოკიდებული სპარსული გამოთქმები.

202 გვ., ფასი 80 კაპ., ტირაჟი 20000.

ქართული ხიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეორე.

სარდაქციო კოლეგია: ივანე გიგინეიშვილი (რედაქტორი), ლია ლეჟავა (მდივანი), ქეთევან ლომთაძე, ვლადიმერ ფანჩიქიძე, როგნდა ღამბაშიძე, არნოლდ ჩიქობავა, მიხეილ ჭაბაშვილი.

ესევე როგორც კრებულის პირველ წიგნში, ამ მეორე წიგნშიც გამოქვეყნებულია ნარკვევები თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მართლწერის, ლექსიკა-ფრაზეოლოგიის, მორფოლოგია-სინტაქსის და პრაქტიკული სტილისტიკის საკითხებზე, რომლებსაც მოწესრიგება სპირდება. დაბეჭდილია აგრეთვე წერილები ქართული მეტყველების კულტურის, სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და სახელებისა და ზმნათა ფორმების, აგრეთვე გარკვეული ტერმინების რუსული ენიდან ქართულად თარგმნის საკითხებზე. აქ გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს საფუძველს ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა პროექტებისათვის.

318 გვ., ფასი 2 მან., ტირაჟი 4000.

შატბერდის კრებული X საუკუნისა.

გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილი და ელ. გიუნაშვილი.

ტომის რედაქტორი: შუქალა შანიძე.

ნაშრომი წარმოადგენს პირველ მთლიან პუბლიკაციას X ს-ის ხელნაწერისას, რომელიც ცნობილია „შატბერდის კრებულის“ სახელწოდებით. შატბერდის კრებული ქართული ნწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლია.

კრებულში შესულია უძველესი ისტორიული ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ორიგინალური თხზულება ანონიმო ავტორისა. იგი ფასდაუდებელ ისტორიულ წყაროს წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს აბოლიტე რომაელის ქრონიკონი, რომელიც მსოფლიო ისტორიის მოკლე გადმოცემაა. იგი, როგორც ჩანს, გამოიყენებოდა ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც უმნიშვნელოვანესი წყარო.

ზემოხსენებულ თხზულებათა გარდა „შატბერდის კრებული“ შეიცავს რიგ თხზულებას, რომლებიც მდიდარ მასალას აწვდიან ენისა და ლიტერატურის ისტორიის მკვლევართ. მათ შორის ზოგიერთი სრულიად ან ნაწილობრივ გამოუქვეყნებელია. ესენია: „იაკობ ნასიბინელის

ცხოვრება“ ეპიფანე კვიპრელის „უსალმუნთა თარგმანები“.

უველა ეს თხზულება ქართული თარგმნითი ლიტერატურის ძვირფასი მონაპოვარია: ტექსტს ერთვის გამოკვლევა და ლექსიკონი.

426 გვ., ფასი 4 მან. 30 კაპ., ტირაჟი 1600.

თემურ ჭაგოდანიშვილი, რაფიელ ერისთავი და ხალხური შემოქმედება.

რედაქტორი შ. ძიძგური.

ნაშრომში გამოქვეყნებულია ცნობილი ქართველი მწერლის რაფიელ ერისთავის ფოლკლორისტული მოღვაწეობა. რაფიელ ერისთავის ცხოვრებისა და შემოქმედების მაგალითზე ნაჩვენებია, თუ, ერთი მხრივ, მწერალი თავისი საზოგადო-მოღვაწეობის ფორმით როგორ შეიძლება ემსახუროს ხალხური საუნჯის შეკრება-გამომზეურების საპატიო საქმეს და, მეორე მხრივ, საკუთარი მხატვრული პრაქტიკით, შემოქმედებითად რანაირად შეიძლება დაუკავშირდეს ხალხურ სიტყვიერებას.

ამდენად, წიგნში ორი ასპექტით არის ნაცადი რაფიელ ერისთავის ხალხურ შემოქმედებასთან მიმართების რკვევა. ერთია პოეტის ფოლკლორულ-შემკრებლობითი მოღვაწეობა, სადაც რაფიელ ერისთავის, როგორც ფოლკლორისტის, მკვლევრის პოზიციასა გამჟღავნებული და მეორე — საკუთრივ მისი მხატვრული ნაწარმოებების ხალხურობა.

140 გვ., ფასი 80 კაპ., ტირაჟი 1600.

О. А. Лордкипанидзе, А. П. Чехов в дореволюционном грузинском театре.

Редактор Г. Ш. Цицишвили.

В книге рассмотрена проблема восприятия драматургического наследия А. П. Чехова грузинской общественностью. На основе анализа истории русско-грузинских общественно-литературных отношений аргументируется мысль о том, что эти отношения приобрели характер не национальных связей, а классового единения русских и грузинских трудящихся. В этом аспекте рассмотрены факты интенсификации переводов произведений А. П. Чехова на грузинский язык и постановки его пьес на грузинской сцене.

85 стр., цена 65 коп., тираж 1000.